საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ილია ჭავჭავაძე

თხზულებათა სრული კრებული

ოცი ტომად

თბილისი
2006

ილია ჭავჭავაძე

თხზულებანი

ტომი IX

პუბლიცისტიკა წერილები

1887

"ილიას ფონდი"
2006

ილია ჭანჭავაძის თხზულებათა
აკადემიური გამოცემის
მთავარი სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი
გურამ ბენაშვილი

ზურაბ ჭუმბურიძე
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გიორგი აბაშიძე,
ანდრო ბედუკაძე,
თამაზ გამკრელიძე,
თამაზ ტყემალაძე,
გურამ შარაძე,
ჯანსუღ ჩარკვიანი,
თამაზ წივწივაძე,
ელგუჯა ხინთიბიძე.

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და
საძიებელი დაურთო ცისანა ყიფშიძემ

ტომის რედაქტორი რუსუდან კურსაშვილი

† მხატვარი გიორგი ლომიძე

“ილიას ფონდი“
2006

პუბლიცისტური წერილები

«პოლემიკური წერილები “ცხოვრება და კანონის” გამო»

წერილი პირველი

ტფილისი, 3 იანვარი

ამ შვიდის წლის წინად “ივერიამ”,* ჯერ როცა ჟურნალი იყო, გამოსთქვა, რომ სოფელი ერთ წოდებათა გაურჩველს საზოგადოებას უნდა წარმოადგენდეს; 1) რომ სოფლის მართველობასა და გამგეობაში წოდებათა გარჩევა არ უნდა იყოს; რომ უფლება და მოვალეობა ერთნაირის თანასწორობით განაწილებულ უნდა იქმნეს სოფლის ყველა მკვიდრზე, იმისდა მიუხედავად, თუ მკვიდრი რომლის წოდებისაა. “ივერიამ” წინადვე აღიარა თვისი შიში მასზედ, რომ ამ ჩვენს აზრს თვითმსჯელობას მოკლებული კაცი მოესევა და უვიცობის ლაღობით პენტვას დაუწყებსო. წინადგრძნობამ არ უმტყუნვა “ივერიას” და იმავ “ივერიის” ფურცლებზედ ერთმა ლიბერალმა, ლიბერალობის სახელით, გამოილაშქრა ამ აზრზედ და მის ავტორს რეტროგრადობა შესწამა. 2) ამით გათავდა მაშინ ეს საქმე. ავტორმა

* იხილე ჟურნალი ივერია, 1879 წ.

პასუხი არ გასცა თავმომწონე ლიბერალს, მაგრამ ამ ლიბერალს ცუდი საქმე დაემართა. უცებობის ნახტომი აქ ისეთი დიდი მოუვიდა, რომ თავმოწონებული ლიბერალი, მისდა დაუკითხავად, რეტროგრადთა წრეში მოექცა. იქნება მერე ბევრიც იოცა, ეს რა მომივიდაო, მაგრამ რაღას უშველიდა.

არ გასულა ერთი წელიწადი, და პროფესორმა გრადოვსკიმ გამოსთქვა იგივე აზრი, რაც "ივერიამ". რა თქმა უნდა, ეს გარემოება კიდევ საკმარისი არ იქნებოდა, რომ ტყუილის ლიბერალობის ცეცხლით აპილპილებული და გახურებული კაცი განელებულიყო. ამ სამისა თუ ოთხის წლის წინად, როცა აწ განსვენებულმა აკსაკოვმა ნიშნის მიგებით წააყვედრა რუსეთის ლიბერალებს, თქვენც არ იცით რა გსურთო, და თუ იცით, აბა ერთი გვაჩვენეთ, თქვენს დროშაზედ რა აწერიაო, მაშინ ჟურნალმა "Вестник Европы"-მ ლიბერალების სახელით სხვათა შორის დაასახელა იგივე აზრი, რაც ჟურნალმა "ივერიამ გამოთქვა, და რაც ასე გაბედვით ითაკილა ჩვენმა შინაურმა ლიბერალმა, როგორც რეტროგრადების აზრი. ხოლო საოცარი ამბავი კი მოხდა. მას აქედ ამ აზრს ეურჩებიან და ებრძვიან რუსეთში რეტროგრადები, და ლიბერალები კი მფარველობენ და ესრჩლებიან. ვისაც ყური უდევნია რუსულ ჟურნალ-გაზეთებისათვის და ერთობ ლიტერატურისათვის, ამის საბუთს არ მოგვთხოვენ. "ივერიისაგან" გამოთქული აზრი და ჩვენის ლიბერალისაგან დაწუნებული, დღეს რუსეთში დიდს გარჩევაშია და საბაასო საგანია, რადგანაც თვით უმაღლესი მთავრობა ჰზრუნავს, რომ სოფლის სათემო მმართველობა უკეთესად მოაწყოს, იმიტომ რომ შენიშნულია მისი ეხლანდელი ნაკლულოვანება.

13-ს დეკემბერს წარსულის წლისას ერთს სამეცნიერო საზოგადოებაში* პეტერბურგში ბ-ნ არსენიევის რეფერატის გამო ამავე საგანზედ ჩამოვარდნილა ლაპარაკი და ბ-ნ არსენიევს თვის მოპირდაპირეთათვის უთქვამს: ყოველთა წოდებათა საერთო სასოფლო თემობა (всесословная волость) ერთადერთი ღონეა და სახსარი, ერთადერთი შესაძლებელი აგებულებაა ადგილობრივის მმართველობისა და მთლად შეეფერება ეხლანდელის ცხოვრების მოთხოვნილებასაო. ბ-ნს სპასოვიჩს გამოუცხადებია, რომ სრულად თანამოზიარე ვარ ბ-ნ არსენიევის აზრისაო და მეც ერთადერთ ღონედ ყოველთა წოდებათა საერთო სასოფლო თემობა მიმაჩნიაო. არა გვგონია, ჩვენმა შინაურმა ლიბერალმა თავის გასამართლებლად იკადნიეროს და ბ-ნნი არსენიევი და სპასოვიჩი რეტროგრადთა რიცხვში მოაქციოს. ძნელი საქმეა, როცა კაცი ლიბერალობს და არ იცის ცნობა აზრისა, თუ ქვეშ არ უწერია, ეს აზრი ამა და ამ ფერისაა. ამასა ჰქვიან, რუსები რომ იტყვიან: "своя своих не познаша".

ჩვენ თუ ეს დავიწყებული ამბავი გავიხსენეთ, მარტო იმისათვის, რომ დღეს აქაური მთავრობაც და უმაღლესიც იმის ზრუნვაშია, რომ განაკარგოს სასოფლო თვითმართველობა. მეტი არ იქნება, რომ აქაურმა ახალის წესის შემადგენელთა სახეში იქონიონ სათანაგრძნობელი აზრი ბ-ნთ არსენიევისა და სპასოვიჩისა.

* Административное Отделение Юридического Обшества.

«პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში»

ტფილისი, 5 იანვარი,

ჩვენი წერილები პურის ვაჭრობის თაობაზედ ჩვენში სავსე არ იქნება, რომ ერთი ის გარემოებაც არ წარმოვუდგინოთ მკითხველს, რომლის გამოც ჩვენში აღძრული 1885 და 1886 წელს პურის ვაჭრობა შემთხვევას უნდა მიეწეროს და არა მკვიდრად დაყენებულს წარმატებას პურის მოყვანისას. ვის არ ახსოვს, რარიგად დაიწია ჩვენში პურის ფასმა 1884 წელს და ამ დაწეულმა ფასმა საგრძნობლად არც 1885 წელს აიწია. გარდა ამისა, თუმცა ფასები მეტად დაწეული იყო, ამ 1884 წელს თითქმის მუშტარი არა ჰყვანდა ჩვენს პურსა. აი, ამისი მაზეზი რა იყო. ამ 1884 წელს პური დაჰკლებია, ჩეტვერტობით რომ ვიანგარიშოთ:

ინგლისსა და ირლანდიას	23.900.000
საფრანგეთს	9.200.000
გერმანიას	3.500.000
ბელგიასა და გოლანდიას	1.750.000
ისპანიასა და პორტუგალიას	500.000
იტალიასა და სიცილიას	1.500.000
შვეიცარიას	1.250.000
მექსიკას	250.000
დასავლეთ-ინდოეთს	950.000
შიდა-ამერიკას	990.000

პერუს	100.000
ბრაზილიას	250.000
სამხრეთ-ამერიკას	500.000
სულ:	44.640.000

ამავე 1884 წელს პური მოჰმატებია

ოსმალეთს	2.750.000
ავსტრო-ვენგრიას	500.000
რუმინიას	1.000.000
რუსეთს	13.200.000
სპარსეთს	250.000
აღმოსავლეთ ინდოეთს	8.000.000
ავსტრალიას	750.000
ახალ ზელანდიას	600.000
ჩრდილო-ამერიკის შტატებს	30.000.000
კანადას	650.000
ჩილის	750.000
ლაპლატას	200.000
სულ:	58.650.000

ამ ციფრებიდამ სჩანს, რომ საქვეყნო ბაზარს პურისას 44.640.000 ჩეტვერტის მუშტარი ჰყოლია და გამსყიდველი კი 58.650.000 ჩეტვერტისა. ამ სახით საქვეყნო ბაზრისათვის თოთხმეტი მილიონი* ჩეტვერტი პური მეტი ყოფილა იმაზედ, რაც საჭირო იყო. აშკარაა, პურის ფასი უნდა დაცემულიყო საქვეყნო ბაზარში; აშკარაა, რაკი ჩვენს სამზღვარგარედ ამოდენად მეტი პური იყო, რომ იქაც მუშტარი ვერ ეშოვნა, ჩვენში იქიდამ პურის სასყიდლად არავინ მოვიდოდა 1884 წელს. ამან ძალიან დასწია პურის ფასი ყველგან და ნამეტნავად ჩვენში.

პურის ფასის ძლიერმა დაწევამ ის შედეგი იქონია, რომ ინგლისმა ირჩია საპურედ სახნავ-სათესს მიწებზედ—პურის მაგიერ სხვა უფრო ძვირის ფასის

* Англо-Руский торговый журнал 1884 г. №10, გვერდი 226.

მცენარენი რამ მოეყვანა და ამიტომაც ხვნა-თესვა პურისათვის შეამოკლა ასე, რომ ასზედ თოთხმეტი დააკლო. ამერიკაში პურის ფასის დაწევის გამო ბევრს ადგილას მოსული ყანები აღარ დამკეს და ისე მიანებეს თავი მინდვრებზედ, რადგანაც მომკისა და გალეწვის ფასადაც არა ჰქონდათ იმედი პური გაეყიდნათ. ინდოეთში 227, 481 აკრით* ნაკლები მიწები მოხნეს და მოთესეს. ამის გამო პურის რაოდენობამ 1885 წ. და ნამეტნავად 1886 წ. ძალიან იკლო და ფასმა აიწია. რაკი საქვეყნო ბაზარს პური შემოაკლდა იმ ადგილებიდან, საიდამაც აქამდე მოსდიოდა პური, რა თქმა უნდა, მუშტარი ყველგან დაიწყებდა ძებნას პურისას. ამის გამო პურის მუშტარი სამზღვარგარეთიდამ ჩვენშიაც მოვიდა და მას აქეთია პურის ფასი ჰმატულობს.

აშკარაა, ეს მაგალითი და იშვიათი შემთხვევა ჭკვას ასწავლის ინგლისსაც და იმისთანა პურის ბოღაზებსაც, როგორნიც არიან ამერიკა, ინდოეთი და ავსტრალია. არასგზით მოსალოდნელი არ არის რომ 1885 და 1886 წლებით განსწავლული ინგლისი, ამერიკა, ინდოეთი და ავსტრალია, ჩვენ თავის მუშტარს პურისას დაგვითმობს. პირიქით, ყოველს ღონეს იხმარებენ, რომ ჩვენი საკუთარი მუშტარიც წაგვართვან. ეს უსაბუთო შიში არ არის და ძალიან ჭკუაზედ ახლოა, თუ კაცი კარგად დააკვირდება მიწათმოქმედებისათვის ავკარგიანობას ჩვენის ქვეყნის გარედ. ამ საგანზედ შემდეგს ნომერში ზოგიერთს მოსაზრებას წარვუდგენთ მკითხველსა.

* აკრი იმერულ ქცევაზედ 41 ოთხკუთხი საჟენით ნაკლებია.

საკვირველი გახშირება სამიწათმომქმედო მაშინებისა ამერიკაში ხარჯს პურის მოყვანისას მეტისმეტად აცოტავებს. თითქმის არ არის იმისთანა სამუშაო მიწისა, რომ მაშინით არა კეთდებოდეს. გარდა ამისა, რომ ხარჯი იქ ამ გზით შემოკლებულია, თვითონ მოსავალიც პურისა დიდია, იმიტომ რომ ცოდნით ეკიდებიან საქმეს და ყოველს სახსარს და ღონეს მეცნიერებისას ჰხმარობენ მოსავლის განდიდების და გაძლიერებისათვის. რა თქმა უნდა, ესე ყოველი იმოდენად გააიაფებს პურსა, რომ ჩვენ ამაში ცილობის გაწევა არ შეგვიძლიან. თუნდ ესეც არ იყოს, მარტო ის გარემოება, რომ ყოველი ჭურჭელი ამერიკისა რკინის გზით არის შეერთებული ნავსადგურებთან და რკინის გზებით პურის გადატანა დაუყოვნებელია, სწრაფია და იაფი, — მარტო ეს გარემოება საკმაოა დააფოლოს ჩვენი პური საქვეყნო ბაზარში და იქიდამ, როგორც მეტიჩარა, გამოდევნოს. ამასთან ისიც დაუმატეთ, რომ ამერიკის მიწათმომქმედს დაუჯერებლად იაფი კრედიტი აქვს სახელმწიფოსაგან, ასე რომ გაჭირვების დროს მიწათმომქმედი სუბუქად და ადვილად ხელს ინაცვლებს. ამას ისიც ზედ დაურთეთ, რომ დიდს აღებმიცემობაში საზოგადოდ და პურისაში საკუთრივ პატიოსნება და ნამუსიც დიდს საქონლად მიაჩნიათ ამერიკაში. ჩვენებური ვაჭარი ისე თითქმის არას გაჰყიდის, რომ მუშტარი არ მოატყუოს და ამით ესტიბარი არ გაიფუჭოს სამერმისოდ. აქ ჩვენში ვაჭრობა მოტყუებაზედ უფრო დამყარებული, ვიდრე იმის ცდაზედ, რომ საქონლის სიკეთით და იეფობით მუდამი მუშტარი აიჩინოს კაცმა და თავნის ხშირად და ბევრჯელ გადატრიალებით იმდენი მოიგოს, რამოდენისაც ერთხანად ვაჭარს სიხარბე აქვს. ამერიკელი ვაჭარი ცოტა სარგებელსაც სჯერდება, რადგანაც იქ თავნი იეფია და ამასთან ისეთი ესტიბარი და ნდობა აქვს ევროპიის

ვაჭრებთანა, რომ უნახავადაც მარტო ერთის დეპეშით მილიონების პურსა ჰყიდის და ჰყიდულობს და დარწმუნებულია, რომ არც მეორეში არც თვითონ მოსტყუვდება და არც სხვას მოატყუებს.

ყოველივე ეს იმისთანა გარემოებაა, რომ ამერიკის პურის ვაჭრობა ჩვენს ვაჭრობას პურისას არ ახეირებს საქვეყნო ბაზარში, თუ ერთი უბედური წელიწადი არ შეხვდა ამერიკასა.

მეორე დიდი ბოღაზი პურისა ინდოეთია, რომელსაც დღეს თითქმის მესამე ადგილი უჭირავს პურის საქვეყნო ბაზარში. ინდოეთში მუშა ძლიერ იეფია, და თუმცა დიდი სასიხარულო აქ არა არის რა, მაგრამ ამ იეფობის გამო პურის მოყვანაც იეფად უჯდებათ. თვითონ მიწები ძლიერ ნაყოფიერია და ცდა ინგლისელებისა, რომ პურის ვაჭრობაში ინდოეთმა თუ არ აჯობოს ამერიკას, ბევრით აღარას ჩამორჩეს რა, ამაო ცდა არ არის. ჯერ ეს წარმოიდგინეთ, რომ იქ ათას ხუთასი მილლიონი დესეტინა მშვენიერი მიწა ჯერ თავისუფალია, უქმად არის და ელის კაცის მარჯვენა ხელს, რომ სულ საყანედ გადაიქცეს. გარდა ამისა, ინდოეთი ევროპიის ბაზარზედ უფრო ახლოა, ვიდრე ამერიკა. ეს გარემოება პურის გადატანის ფასს ჰცვლის ინდოეთის სასარგებლოდ და ამერიკის საწინააღმდეგოდ. გარდა ამისა, ინგლისელები ჰცდილობენ ინდოეთის შიდა გზები იმოდენად კარგი იქონიონ, რომ პურის გამოტანა შიგნიდამ ნავსადგურებამდე ბევრი არა ჰჯდებოდეს. იმის მაგალითად, თუ რამოდენად მარჯვედ მიჰყავთ ინგლისელებს ამ მხრით საქმე, საყურადღებოა შემდეგი ციფრები. 1853 წელს ინდოეთში რკინის გზები სულ $20^1/_2$ ინგლისური მილის* მანძილზედ იყო; 1860 წ. 839 მილი რკინის გზა ჰქონდათ უკვე; 1870 წ. – 4,775; 1895 წ. – 6,519 და 1881 წლის დასასრულს –9,875. ესე სწრაფად კეთება რკინის გზებისა ამ სიდიდე მანძილზედ იმ ქვეყანაში, საცა იმოდენა სიმ-

* ინგლისური მილი - $1^1/_2$ ვერსტია.

რავლეა მკვიდრთა და იმოდენა ბუნებური სიმდიდრეა, აშკარად გვაჩვენებს იმას, თუ რა ბედი მოელის ინდოეთს საქვეყნო ბაზარში საზოგადოდ და პურის ვაჭრობაში საკუთრივ. თითქმის ამისთანა სახეირო გზაზედვე სდგას ავსტრალიაცა, ეს მეოთხე ბოღაზი პურისა, და მოდით და თქვენ იქონიეთ იმედი, რომ, თუ არ უეცარი და იშვიათი რამ უბედურება ჩამოთვლილ ქვეყნებისა, სხვა რაიმე აიძულებს საქვეყნო ბაზრის მუშტარს ამ ბოღაზებს პურისას თავი დაანებოს და ჩვენში მოვიდეს სავაჭროდ!.. ამ იშვიათის უბედურობის იმედით ნურავინ ნუ მოსტყუვდება და ხვნის და თესვის რაოდენობა მარტო შინაურს ბაზარზედ გაიანგარიშოს. თორემ თუ წასცდა და ამ 1885 და 1886 წლების იშვიათს მაგალითებს მიჰყვა, პური ამბრებში დაულპება და ზარალის მეტს არას ჰნახავს. იმას აღარ ვიტყვით, რომ არც ამ წლების ფასებმა პურისამ იმოდენად აიწია, რომ დიდად სახარბიელო ყოფილიყო მიწათმოქმედისათვის. თუ ეს ასეა დღეს, როცა ასეთი იშვიათი და ჩვენთვის სახეირო წელიწადები შეგვესწრო, რა უნდა ვიგულისხმოთ მაშინ, როცა რუსეთს, ამერიკას, ინდოეთს, ავსტრალიას და სხვა ქვეყნებს თავისი ორთა შუა მოსავალი მოუვათ!.. მაშინ ის იქნება, რაც 1884 წ. მოგვივიდა; შინ სახმარზედ ნამეტანი პური ფუთი შვიდ შაურად, ორ აბაზად და ცხრა შაურად ძნელად იყიდებოდა და ეს თითქმის მარტო მომკისა, კალოზედ მიტანის და გალეწვის ფასსაც არ ააყენებს; ხვნა-ფარცხვა, თესლი, ღალა კი ტყუილუბრალოდ იკარგება სამუდამოდ. აშკარაა, ჩვენი ქვეყანა ამ მხრით წელს ვერ გაიმაგრებს. ჩვენ მარტო იმას უნდა ვეცადოთ, – პური იმოდენად მოვიყვანოთ, რომ სასყიდელი არ გაგვიხდეს ჩვენ და ჩვენს შინაურს ეყოს. მიწათმოქმედება და საზოგადოდ სოფლის მეურნეობა ჩვენი სხვა იმისთანა საგანზედ უნდა მიიქცეს, რომლის გამოც ჩვენთან ცილობის გაწევა საქვეყნო ვაჭრობაში ძნელია. ადგილი და ჰავა ამის ნებას გვაძლევს. სხვა რომ არა ვსთქვათ რა, აი თუნდ ავიღოთ მაგალითად

ღვინო. ამაში ჩვენი ბევრნი მოცილენი ვერ ამოგვიჩ-
ნდებიან და თუ ამოგვიჩნდებიან, აქაურის ღვინის სიკე-
თე ღონეს გვაძლევს ბრძოლისათვის და იმედს გამარ-
ჯვებისას.

«ბამბის მოყვანის საქმე და ბაზრის საკითხი»

ტფილისი, 8 იანვარი

რუსეთში დიდძალი ფაბრიკები და ქარხანებია ბამ-
ბეულობის საქონლის საფეიქროსი. თანხა, რომელსაც
ამ საქმეში რუსეთი ყოველწლივ ატრიალებს, რამდენ-
სამე ასს მილიონს მანეთს იჭერს. ამ ბამბეულობის სა-
ქონლის საფეიქრო ფაბრიკებსა და ქარხანებსა რამ-
დენიმე ასი ათასი მუშაკაცი უნდება. მაშასადამე,
ესგვარი საფაბრიკო მრეწველობა ინახავს და ჰკვებავს
რამდენსამე ასი ათას მუშაკაცს თავის სახლეულობითა
და ცოლ-შვილითა. აქედამა სჩანს, რა დიდი მნიშ-
ვნელობა უნდა ჰქონდეს საერო ეკონომიისათვის და სა-
ხელმწიფო ინტერესისათვის ამგვარს მრეწველობასა.
ხოლო სხვა მხრითაც მეტად საზრუნველია და საფიქ-
რებელი ეგ მრეწველობა რუსეთისათვის. საქმე ის
არის, რომ თვითონ მასალა ამ ფაბრიკებისათვის, ე.ი.
ბამბა, რუსეთს სამზღვარგარეთიდამ შემოაქვს და ამის
გამო ეს უშველებელი მრეწველობა რუსეთისა სხვა
ქვეყნებზეა დამოკიდებული. რუსეთი ბამბას სამ-
ზღვარგარედ ჰყიდულობს და ამ გზით სამზღვარგარეთს
ყოველწლივ თითქმის 75 მილლიონი მანეთი ოქროს
ფული გააქვს რუსეთიდამ. ეს გარემოება არამც თუ ავ-

ნებს ეგრედ წოდებულს ”სავაჭრო ბალანსს”* რუსეთისას, არამედ თვით ვექსილის კურსსაც აფოლებს და ამ მხრით ვნება მოაქვს სახელმწიფო ინტერესებისათვისაც.

ყოველივე ეს კარგა ხანია შენიშნულია მთავრობისაგანაც და რუსეთის ჟურნალ-გაზეთებისაგანაც. დღეს ამ ბამბის თაობაზე ლაპარაკია ატეხილი იმ აზრით, რომ რუსეთმა როგორმე თავისი საკუთარი ბამბა გაიჩინოს და იქონიოს. საქართველო საკუთრივ, ამიერკავკასია საერთოდ, და შიდა აზია, საცა ეხლა რუსეთს უზარმაზარი ადგილები უპყრია, ასეთი ქვეყნები არიან, რომელთაც ჰავა, ადგილმდებარეობა და თვითონ ადგილი ხელს უწყობს ბამბის მოყვანისათვის. ამ ამბავმა ჩვენ გაგვახსენა 1862 და შემდეგი წლები, როცა ქართლ-კახეთში და ნამეტნავად იმერეთში ბამბის მოყვანაზედ მიიმართა დიდი და პატარა, ვისაც კი ცოდნა და წელი მიუძღოდა. იმ ხანებში კარგა ძალი ბამბა მოჰყვანდათ და კაი ფასადაც იყიდებოდა. ნამეტნავად იმერეთმა იმარჯვა ამ შემთხვევაში, რადგანაც ზღვა ახლო ჰქონდა და გადატანის ფასი შესაძლებელ ჰყოფდა ბამბის საპალნების სხვაზედ იეფად ზიდვასა. რომ ეს ამბავი ჩვენთვის საკუთრივ და ამიერკავკასიისათვის საერთოდ ალალბედობისა და შემთხვევის მოწყალება იყო, როგორც დღეს პურის ვაჭრობაა ჩვენში, ეს იმითი მტკიცდება, რომ დღეს ბამბა თითქმის აღარავის მოჰყავს და მის მოყვანაზედ თითქმის ხელი აიღეს. რა შემთხვევა იყო ისეთი, რომ მაშინ ამისთანა ციებცხელება შეუდგათ ბამბის მოყვანისა და დღეს კი ასე დასცხრა და განელდა?

ყველაზედ უდიდესი ბოღაზი ბამბისა ისევ ჩრდილო ამერიკაა. ასეთივე იყო იგი წინადაც. მთელს საქვეყნო ბაზარს თითქმის მარტო ჩრდილო ამერიკა უძღვებოდა

* სავაჭრო ბალანსი იმას ჰქვიან, როცა შეწონილია შემოტანილის და გატანილის საქონლის ფასი, და თუ შემოტანილისა აღემატება გატანილისას, მაშინ ამბობენ, ბალანსი საზარალოაო.

და აძღობდა, მინამ ჩრდილო ამერიკის საქმე თავის რიგსა და წესზედ მიდიოდა, ბამბა რუსეთის უმთავრეს ბაზარში ნიჟეგაროდის “იარმუკაზედ” ფუთი ოთხსა და ხუთ მანეთად გადიოდა. მაშინ, რასაკვირველია, ჩვენებურს მოწარმოებს ბამბისას ხელს არ მისცემდა ბამბა მოეყვანა, რადგანაც მარტო გადატანის ფასი მანათამდე ადიოდა ფუთზედ და მწარმოებელს ფუდზედ მარტო მანათი ან ორი მანათიღა რჩებოდა ყოველგვარ ხარჯის ასაყენებლად და თავის გასამრჯელოდ. თქმა არ უნდა, რომ ამისთანა გარემოება არავის წააქეზებდა იმ რთულსა, ხარჯიანს და ძნელ მუშაობისათვის, რომელიც ბამბის მოყვანას სჭირდება. ამიტომაც იმ დრომდე ბამბის მოყვანა ჩვენში ისე კანტიკუნტად სადმე, ხილად თუ იქნებოდა, თორემ გამოსარჩომად კი თითქმის არსად იყო, ერევნის გუბერნიის გარდა. ერევნის გუბერნიაში ბამბის მოყვანა ხელს აძლევდა მაშინ იმიტომ, რომ შინ და რუსეთში რკინის გზები ასე ხშირი არ იყო და ამერიკის ბამბის შემოტანა შიდა რუსეთში ავის გზების ხარჯს ძლივძლიობით ასდიოდა. ასე, რომ ერევნიდან ბამბის წაღება ცოტაოდნად უფრო სარფა იყო, ვიდრე ამერიკიდამ. ეს იმიტომ, რომ შიდა რუსეთის გზებზედ ერევნის გუბერნია უფრო ახლოა, ვიდრე ამერიკა, და თუ ამ გზებზედ ორსავე ერთი ხარჯი უნდებოდათ, ამერიკის ბამბას ფასი ემატებოდა ამერიკიდამ რუსეთამდე მოსატანისა.

ხოლო როცა ჩრდილო ამერიკის შტატებ შორის ომი ასტყდა, მაშინ ბამბის იქიდამ ზიდვა შესწყდა. ასე, რომ ევროპიის ბაზარში თითქმის ხსენებაც კი გასწყდა ბამბისა. მაშინ იყო ის სახელოვანი გაჭირვება, რომელსაც “ბამბის კრიზისს” ეძახიან და რომელმანც აუარებელი ქონება მეფაბრიკეებისა და მექარხნეებისა შთანთქა და თვითონ ფაბრიკები და ქარხანები ინგლისსა და რუსეთში პირქვე დაამხო. მარტო რუსეთში 659 საფეიქრო ფაბრიკებიდამ, რომელნიც 1860 წელს მოქმედებდნენ, 1863 წელს 388-ღა დარჩა, თითქმის ნახევარზე ჩამოხტა. ისიც ძლივძლივობით სულს

იტრიალებდნენ. ბამბა შიდა აზიისა და ბუხარისა, რომელიც 1860-მდე ფუთი ოთხ და ხუთ მანათად ძლივ გადიოდა ნიჟეგოროდის დიდს ბაზარში, ჩრდილო ამერიკის შტატების ომის დროს 1861 წ. შვიდ-რვა მანათამდე აიწია, 1862 წელს – თორმეტ-ცამეტ მანათამდე და 1863 წელს კი ოცდაორ-ოცდასამ მანათამდე. რა თქმა უნდა, ამგვარმა ყოფამ ბამბის საქმისამ მთელს ქვეყნიერობაზედ თავისი ზემოქმედება იქონია. მუშტარი ბამბისა ბუზსავით ყველგან ირეოდა, რასაკვირველია, იმ ქვეყნებში კი, სადაც ჰავა და ადგილი ბამბის მოსაყვანად შესაფერისი იყო. ამ დიდმა ფასებმა და მუშტარმა ჩვენამდინაც მოაღწია და ყველა, დიდი და პატარა, ვისაც კი ხელი მიუწვდებოდა, მიაწყდა ბამბის საქმესა. იმ ხანად იმერეთმა კარგი გამორჩომა ჰნახა და ეს შემთხვევა ყველაზედ უკეთესად იმან გამოიყენა: დიდძალი თესვა ბამბისა დაიწყეს იმერეთში და კარგა ფული გაინაღდეს ამ გზით. დღეს ბამბის მოყვანის საქმე ჩვენში სრულად შემწყდარია და ეს წყარო სიმდიდრისა ხელიდან გამოგვეცალა. რა იყო ამისი მიზეზი და რა ღონისძიებაა სახმარი, რომ ეს სახეირო საქმე ჩვენთვისაც და რუსეთისათვისაც კვლავ აღორძინდეს, ამაზედ შემდეგს ნომერში მოვილაპარაკებთ

რა თქმა უნდა, რომ თუ რუსეთს ჰსურს თავისი საკუთარი ბამბა იქონიოს და ამ მხრით სხვა ქვეყნებზედ არ იყოს დამოკიდებული, ბამბის მოყვანას ძალიან ხელი უნდა შეუწყოს ყველგან, საცა კი ჰავა და ადგილი შესაფერია ამ მცენარისა. შიდა აზიის გარდა, ბამბა ძალიან კარგად მოდის ამიერკავკასიაში. ქართლ-კახეთი და ერთობ იმერეთი ამისათვის ძალიან კარგი ადგილებია და ამ მხარეში რომ მთავრობამ თავისი შემწეობა მოაშველოს მიწისმოქმედთა და პირველ ხანებში მაინც ყოველისფერში ხელი გაუმართოს, ყოველგვარი შეღავათი მისცეს, დიდძალს ბამბას რუსეთი ჯერ ამ ამიერკავკასიაში იშოვის. სწორედ ესე მოიქცნენ ინგლისელები. როცა ჩრდილო ამერიკის შტატებს შორის ომი ასტყდა და ბამბის კრიზისმა თავი იჩინა, ინგლისელებმა არავითარი ღონე, არავითარი ხარჯი, არავითარი შემწეობა არ დაჰზოგეს, რომ სადმე თავის სახელმწიფოს სამზღვრებში ააღორძინონ და ფეხზედ დააყენონ. ინდოეთსა და ეგვიპტეშიაც კი, რომელიც ინგლისელებს არც კი ეკუთვნით, დიდძალი მეცადინეობა იხმარეს, დიდძალი ფული დაატრიალეს ამის გულისათვის. გარდა ამისა, თვით ინგლისის ფულის პატრონთაც, როგორც კერძო კაცთა, დიდძალი ფული მიაშველეს ბრაზილიას და ხვნა-თესვა ბამბისა დიდად გააძლიერეს იქაც კი. ამ მთავრობისა და კერძო კაცთა ცდამ და ხარჯმა ამაოდ არ ჩაუარათ ინგლისელებსა. ამ მეცადინეობის და ხარჯის შედეგი ის იყო, რომ 1.800.000 ფუთი ბამბა, რომელიც 1862–63 წ.წ. გამოჰქონდათ, მაგალითებრ, ეგვიპტიდამ, ცხრა მილლიონ ფუთამდე აიყვანეს 1884-85 წლებში. ეს იმოდენა ბამბაა, რამოდენიც რუსეთის მრეწველობას და ერთობ რუსეთის ბაზარს თითქმის სრულებითა ჰყოფნის. დღეს ინგლისი ცოტად თუ ბევრად დაიმედებულია, რომ რაც უნდა უეცარი უბედურება შეემთხვეს ჩრდილო ამერიკის ბამბასა,

ინგლისი ცოტად თუ ბევრად დაიმედებული იქნება, რომ ფაბრიკები და ქარხანები არ მოუცდება.

ინგლისელების მიხედვით, თუ საკუთარის მიგნებით, რუსეთშიაც ფულის პატრონებმა, კერძო კაცებმა ხელი მოჰკიდეს ამ საქმესა და განიზრახეს რითმე მოჰშველებოდნენ იმ ქვეყნებს, საცა ბამბა მოდის. ამას წინად სოვდაგარმა მაროზოვმა ჩვენს სოფლის სამეურნიო საზოგადოებას ბამბის თესლი გამოუგზავნა, რომ ხალხს დაურიგდეს და ხალისი აღუძრას ბამბის მოყვანისა. საზოგადოებამ დაურიგა იგი თესლი, მაგრამ, სამწუხაროდ, თესლი იმოდენად უხეირო გამოდგა, რომ მოსცდა და არ ამოვიდა. თვით მთავრობასაც ორი ნასწავლი კაცი გაუგზავნია ამერიკაში, რომ ისწავლონ ბამბის მოყვანის ხელი და მერე რუსეთის სამზღვრებში მოჰფინონ თავისი სწავლა და ცოდნა და ამ მხრით, შეწეობა აღმოუჩინონ მოწათმომქმედთა. რასაკვირველია, ეს ღონისძიებანი საკმაონი არ არიან, რომ ხალხმა ხელი მოჰკიდოს ბამბის მოყვანის საქმესა, თუმცა არც უიმისოა, რომ ცოტაოდნად მაინც ხელი არ მოუმართოს. ჩვენში ბამბის მოყვანის საქმის ცოდნა, მართალია, იმოდენა არ არის, რამოდენიც სანატრელია, მაგრამ იმოდენი კია, კაცი ცოტად თუ ბევრად ამ მხრით დიდს დაბრკოლებას ვერა ჰნახავს. ხომ იყო ჩვენში ცოტად თუ ბევრად გაძლიერებული ბამბის მოყვანის საქმე 1862-63-64 და სხვა წლებში, მინამ ბამბა კაი ფასად გადიოდა და ხალხს ხელს აძლევდა. საქმე ის არის,—ხალხმა გული დააჯეროს, რომ ბამბის მოყვანა სარფაა, თორემ მოიყვანოს და იმ ფასად ჰყიდოს, რომ ხარჯი ძლივს ააყენოს, — ამას ვერა მიწათმომქმედი ვერ გაუძლებს. ეს გარემოება სულს ამოართმევს ხელახლად დაწყობილს საქმესა და ხალხი, რასაკვირველია, მოერიდება, რაც უნდა კარგი თესლი ბამბისა ურიგონ და რაც უნდა ბევრი უქადაგონ მსწავლულმა და მცოდნე კაცებმა.

რომ ეს ასე არ მოხდეს, საჭიროა ხალხი დარწმუნებული იყოს, რომ 1) მისი ბამბა რუსეთის

ბაზარში გავა და 2) ფასი გამოსარჩომი ექმნება. საცა საქონელს ბაზარი არა აქვს და ამასთანაც გამორჩომა რამ, იქ ყოველივე ცდა ამაოა. თუ მართლა სასურველია რუსეთისათვის, რომ ამიერკავკასიამ თავისი ბამბა მიაშველოს, საქმე ისე უნდა მოაწყონ, რომ ამ სურვილის აღსრულების გზაც მისცე. ჩვენი ეკონომიური უბედურება ის არის აქაც, რაც პურის ვაჭრობაში: გადატანის ხარჯი მეტად ძვირად უჯდება მწარმოებელს და ესა გვხუთავს ჩვენ ყოველისფერში. ჯერ რომ რკინის გზა მეტად დიდ ფულს იღებს საქონლის წაღებწამოღებისათვის, მერე თვითონ რკინის გზამდინაც მიტანა ჭირია უგზოუკვლოობის გამო. აი, ამ მხრით მოშველება უნდა, ვისაც ჰსურს ბამბის მოყვანის საქმეს ფეხი აადგმევინოს ჩვენში. გამოცნობილია და გამოანგარიშებული, რომ თუ ბამბის მიტანა მოსკოვში მანათზედ და მანათს უზალთუნზედ მეტი დაჯდა, ჩვენს ბამბას გასავალი არ ექმნება, ან თუ ექმნება, ბამბის პატრონი ზარალის მეტს ვერასა ჰნახავს. რუსული გაზეთები ამბობენ, რომ სამხრეთ რუსეთის რკინის გზებისა რუსეთის ნაოსნობის და ვაჭრობის საზოგადოების შორის მოლაპარაკება არისო, რომ შიდა აზიის ბამბის გადმოტანა მოსკოვამდე ხუთ აბაზ უზალთუნზედ მეტი არ დაუჯდეს ფუთიო. სწორედ ამისთანა განკარგულებაა საჭირო ჩვენის მხრის ბამბისათვისაც, თუ ვისმე ჰსურს ბამბის მოყვანას ჩვენში ფეხი აადგმევინოს იმოდენად, რამოდენადაც სასურველია. თორემ დღეს ფუთი მოსკოვამდე თითქმის სამი მანათი მარტო გადატანა ჯდება და სად გაუძლებს ამოდენა ხარჯს ჩვენებური ბამბა?

«იასე ანდრონიკაშვილი»

ტფილისი, 10 იანვარი.

ჩუმი, მშვიდობიანი, დინჯი, არამყვირალა და ჩხავანა მოღვაწეობა, — საცა უნდა იყოს, — თუ გულმხურვალობით არის გამთბარი, გულმოდგინეობით წარმართული, ერთგულებით ძირმაგარი და პატიოსნებით ნათელცხებული, — უტყუარი ნიშანია მოღვაწის დიდბუნებოვანობისა. იქნება ზოგიერთებს ეხამუშოს, ზოგიერთს ეუცხოვოს ეს ჩვენი აზრი, და სიტყვა შემოგვიბრუნოს: "დიდი საქმეა მარტო უტყუარი ნიშანი თვითონ მოსაქმის დიდბუნებოვანობისაო". ეს მართალია, თუ საქმე ქმნილია. თუ არ არის ქმნილი და მარტო ამაო თავმოწონებით და ცუდმედიდობით ხელწატანებულია, მაშინ საქმე დიდია თუ პატარა, სულ ერთია: იგი ხელის წამტანებელის ქარაფშუტობას უფრო გვისაბუთებს და გვიმტკიცებს, ვიდრე დიდბუნებოვანობასა. მაშასადამე, ამ შემთხვევაში ძალა ქმნასა ჰქონია და არა მარტო ხელის წატანებასა და ფოტინსა. არაქმნა ყოველ დიდს საქმეს ამცირებს და ქმნა კი პატარასაც დიდსა ჰხდის. ესეც მართალია, რომ ქვეყანაზედ ბევრი, იმისთანა ბევრი საქმეა, რომელიც თავისთავად ჰხმაურობს, ქარბუქს აყენებს და ყველას თვალწინ უდგა მთელის თავის სიდიდითა. ხოლო იმისთანა საქმენიც არიან, რომელთაც ჟღარუნები არა აქვთ და არა ჰხმაურობენ, მაგრამ მით არა ნაკლები მნიშვნელობა

აქვთ წუთისოფლის სიმწარის დასატკბობლად და სიმწვავის გასანელებლად, ამისთანა საქმეა, მაგალითად, მართლმსაჯულება. იგი არ დაიარება ქვეყანაზედ ბუკითა და ნაღარითა. მისთა მსახურთა მზადმზარეული გვირგვინი შარავანდედისა არ ადგიათ თავზედ, რომ დიადობის ქარი ჰქონდეს კაცთა თვალთათვის. როგორც თვითონ მართლმსაჯულება, ისეც მისნი მსახურნი, მშვიდობიანად, უბუკნაღაროდ საქმობენ თავის საქმესა და მშვიდობას ქვეყნისას, სიკეთეს ოჯახისას, ნამუსს და პატიოსნებას ადამიანისას ჰპატრონობენ და ესარჩლებიან. თუ ესე არ არის, ასე მაინც უნდა იყოს და ჩვენ მასზედ კი არ ვლაპარაკობთ, რაც არის, არამედ მასზედ, რაც უნდა იყოს.

ნუთუ ამ არამყვირალა საქმეში კაცი ჩაბმული და პატიოსნად მოღვაწე, არ შეიძლება დიდბუნებოვანი იყოს, მარტო იმიტომ, რომ თვითონ საქმე მყვირალა არ არის, ჩუმია და ხმაამოუღებელი? ნუთუ თვითონ საქმე, ურომლისოდაც მთელი ქვეყნიერობა ერთს არეულს და ერთმანეთის მჭამელს მხეცთა გროვას წარმოადგენდა, ნუთუ, — ვამბობთ, — თვითონ ეგ საქმე დიდი არ არის მარტო იმიტომ, რომ ბუკითა და ნაღარით არ იჩენს თავსა!... საქმე დიდია და დიდი არის იგიც, ვინც გულთბილად, კაცთმოყვარეობით, პატიოსნად და სწორის სასწორით ხელში ემსახურა და ჰმსახურობს.

ერთი ამისთანა მსახური მართლმსაჯულებისა არის თ. იასე ადამის ძე ანდრონიკაშვილი, რომელსაც 23-ს თებერვალს 1887 წლისას უსრულდება ორმოცდაათი წელიწადი მას აქედ, რაც სახელმწიფო სამსახურშია და ორმოცდაერთი წელიწადი მას აქედ, რაც ჰმსაჯულობს ჩვენში. მაშასადამე, იგი ყოფილა მსაჯულად იმისთანა ხანებშიაც, როცა ახალი წესები შემოღებულნი არ იყვნენ და ძველნი კი, სამართლიანად ათვალწუნებულნი, მსაჯულს სახსარს აძლევდა ყოველივე ცუდკაცობა ჩაედინა და სამართლის სასწორი ისე ებრუდებინა, როგორც გუნებაში გაუვლიდა. თქმა

არ უნდა, რომ ამისთანა ყოფა მართლმსაჯულებისა მიზეზს აძლევდა კაცს ათასნაირი მართალი და ტყუილი ბრალი შეეწამათ მაშინდელ მსაჯულთათვის, მაგრამ თ. იასე ანდრონიკაშვილმა დღესაქამომდე ისე პატიოსნად და მართლად ატარა თავისი სახელი, რომ არც ერთხელ თვითონ ცილმაც კი ვერ შეჰბედა ცილისწამება; არც ერთხელ ყოველთა სიწმინდის შემბღალველი ბოროტებაც კი ავგულის კაცისა იმოდენად ვერ გაკადნიერდა, რომ მცირეოდენი ჩრდილი მაინც მიეყენებინა მის კეთილსინდისიანობისა და პატიოსნებისათვის. მეტად წმინდა და შუქსხმული პატიოსნება უნდა იყოს, რომ ამოდენა ხნის განმავლობაში ყოველის გამბედავი ცილი და ბოროტება ადამიანისა ვერ ჰბედავდეს მოსცხოს რამ და ენაჩავარდნილი და გაბათილებული მის წინაშე პირქვე დაემხოს!...

მარტო ამ მხრით არ არის ცნობილი ჩვენში თ. იასე ანდრონიკაშვილი. მისი მიუდგომელი პირუთვნელი სიმართლე, მისი გულმოდგინება საქმისა, დაუღალავი შრომა, მისი საქმეში სულით და გულით ჩახედვა, მისი გულშემატკივრობა, კაცთმოყვარეობა, სითბო და სიტკბო, — ყველამ იცის, ყველას ენაზედ აკერია. საცა მართალია, იქ თ. ანდრონიკაშვილისათვის სხვა არ არის რა მართლის მეტი: არც ნათესაობა, არც მეგობრობა, არც თხოვნა-ვედრება არა სჭრის-რა ერთხელ მის მიერ აღიარებულ მართლის მეტი. არა ერთხელ და ორჯელ ჩვენის ყურით გაგვიგონია: მადლობა ღმერთს, დღეს თ. იასე ანდრონიკაშვილი იქნება ჩემის საქმის მსაჯულადა, სხვათა შორის, და იმედია, მართალს მოსარჩლე ეყოლება და სამართლის სასწორს — მფარველი განაჩენის დადგენის დროსაო. ვინც იცის, რა დიდი განძი უნდა ზნეობისა, რომ კაცმა საზოგადოდ და მსაჯულმა საკუთრივ ამისთანა ნდობა მოიპოვოს, ის ჩვენ აღარ მოგვკითხავს ქებასა და დიდებასა თ. ანდრონიკაშვილისას, როგორც სასიქადულო კაცისას და ყოვლად პატიოსან მსაჯულისას.

სახელმწიფო სამსახურში მყოფსა, არც საზოგადოების სამსახური დაჰზარებია ოდესმე თ. ანდრონიკაშვილს. ათი წელიწადი ემსახურა ჩვენის ბანკის საქმესა უანგაროდ, უსასყიდლოდ, იმავე სიყვარულით, გულმხურვალეობით და გულმოდგინებით, როგორც ცნობილია ყველგან და ყველასაგან. არც ერთი სამადლო საქმე არა კეთდება ჩვენში, რომ იქ თ. იასე ანდრონიკაშვილის წვლილი და ხელი არ ერიოს. ამისათვის არა ხარჯს, არა გარჯას და შემწეობას არ მოჰრიდებია თვის და სასახელოდ და უმწეოთა სასიხარულოდ. ასეთია იგი კაცი, რომელსაც უპირებენ დღე ორმოცდაათის წლის მოღვაწეობისა პატივისცემით გადაუხადონო! უფროსს თავმჯდომარეს სასამართლოს პალატისას ბ-ნ განჩაროვს, აქაურ გაზეთების სიტყვით, განუზრახავს, სასამართლოს მოხელეთა ერთობ პატივი აგონ დღეს თ. იასე ანდრონიკაშვილის ორმოცდაათი წლის შეუმწიკვლელ სამსახურისას და მით დაუმტკიცონ თვისი პირუთვნელი, გულითადი პატივისცემა კაცს, რომელიც ყოვლად ღირსეული წარმომადგენელია მართლმსაჯულებისა კავკასიაში.

თუ მარტო სასამართლოს მოხელეთათვის არ არის ეს განზრახვა, რასაკვირველია, მრავალნი სხვანიც მოიწადინებენ მონაწილეობა მიიღონ და ამ გზით გამოუცხადონ თავისი გულითადი პატივისცემა და სიყვარული კაცს, რომლის მოღვაწეობა ესოდენ ყველასათვის სამაგალითოა. თუ არა და სასურველია, რომ ტფილისის საზოგადოებამ, ყველამ საერთოდ, პატივი სცეს ამ დღეს თ. ანდრონიკაშვილს თავის მხრითაც და ამით დაამტკიცოს, რომ კაიკაცობას, კეთილ-სინიდისიანობას და პატიოსნებას, დიდსა თუ პატარა საქმეში, ჩვენშიაც პატივი და დიდება აქვს და ექნება. ძნელად შეხვდება კაცი, რომ პატივისცემა და სიყვარული საზოგადოებისა ისე მართლად და უტყუარად შეეწონოს ჭეშმარიტს ღირსებასა, როგორც ამ შემთხვევაში. ნუ ვიქნებით უმადურნი და ყველას თავისი მივუწყოთ ხოლმე. ხალისი ამითი მხნეობს და მხნეობა ამით ჰხალისობს.

«ბისმარკის სიტყვა სამხედრო კანონის შესახებ»

ტფილისი, 12 იანვარი.

მთელი ევროპაა და თ. ბისმარკის სიტყვა, თქმული პარლამენტში სამხედრო კანონის შესახებ თ. ბისმარკი და, მაშასადამე, მთავრობა გერმანიისა ჰთხოულობდა, რომ პარლამენტმა ნება და ფული მისცეს 41 000 კაცით მეტი ჯარი იყოლიოს გერმანიამ. ვიდრე ეხლა ჰყავს იმ უეჭველის ზედ დამატებით, რომ ამისი ნება და ფული ჰქონდეს მთავრობასა შვიდის წლის განმავლობაში შეუცვლელად და დაურღვევლად. პარლამენტი, რომელიც ჰხედავს რარიგ მძიმე ტვირთად დააწვება ხარჯი ამ 41 000 კაცისა გერმანიის ერსა, უიმისოდაც მეტად დამძიმებულსა და შეწუხებულს მრავალგვარის ხარჯითა, წინააღუდგა ამ ახალს კანონს. შესანიშნავი ეს არის, რომ პარლამენტმა მთლად არა ჰყო უარი და გადასწყვიტა, ეგ კანონი მიღებულ იქნას მარტო სამის წლითა და არა შვიდის წლითა. ამ გადაწყვეტილებაში ორი საგანია საგულისხმიერო; ერთი ისა რომ თვითონ პარლამენტი გულდაჯერებული ყოფილა, რომ ეხლანდელი მდგომარეობა გერმანიისა მართლა ჯარის მომატებას ჰთხოულობს და მაშასადამე, შიში რამ დასდგომია თვალწინ პარლამენტსა; მეორე ისა, რომ პარლამენტი ვეღარა ჰნდობია თ. ბისმარკის პოლიტიკას დიდის

ხნობით და ამისათვის სამის წლის ვადით ნება მიუცია მეტი ჯარი იყოლიოს და მერე კი ხელახლად განსაჯოს თვითონ პარლამენტმა, — საჭიროა კიდევ თუ არა ამოდენა ჯარის ყოლა. ასე ახსნა ოპოზიციის მოთავემ ვინდგორსტმა სამის წლის ვადიანობა, რომელზედაც ბოლოს თვით პარლამენტიც დადგა. თ. ბისმარკმა ბევრი ილაპარაკა მასზედ, რომ ჩვენი კანონ-პროექტი ან უცვლელად მიიღეთ, ესე იგი, მთელის შვიდის წლის ვადითაო, ან არადა პარლამენტს დავითხოვთ და ხელახლად არჩევანს დავნიშნავთო. პარლამენტი არ შეუშინდა ამ მუქარასა და არ შეიწყნარა ბისმარკის თხოვნა. თ ბისმარკმა იქავ პარლამენტშივე ამოიღო უბიდამ ბრძანება იმპერატორისა, წინადვე მომზადებული, და წაუკითხა პარლამენტსა, რომ დათხოვნილი ხართ და ახალი არჩევანია დანიშნულიო. ამ სახით დღეს გერმანიაში პარლამენტი დაშლილია.

ამ ამბავმა მთელი ქვეყანა ააყაყანა. ზოგი რას ამბობს, ზოგი რასა და მართალი კი ჯერ გამოცნობილი არ არის. რა თქმა უნდა, რომ ამ მართლის საპოვნელად მივარდნენ თ. ბისმარკის სიტყვას, პარლამენტში თქმულს. ამისთანა ორპირა და ორაზროვანი სიტყვა ბევრი არა თქმულა პარლამენტში. ცხადია თ. ბისმარკმა მთელი თავისი ოსტატობა იხმარა, რომ ის არ ეთქვა, რაც გულში ედვა და რასაც მართალი ითხოვდა. ავსტრიასთან ძალიან და მეტისმეტად კარგადა ვართო, სთქვა ბისმარკმა; რუსეთთან ისე მეგობრულად ვართ, რომ აქ არავითარი ეჭვი არ გვაქვსო; საფრანგეთს ჩვენ არ დავეცემით, თუ ისინი არ დაგვეცემიან და არცა გვგონია თვითონ საფრანგეთმაც ამ ხანებში ხელი გამოიღოსო, და რაც შეეხება ბოლგარიის საქმეს, ჩვენ იქ არა გვტკივარაო. მაშ, ჯარის მომზადება რაღად გინდათო, — ჰკითხეს ბისმარკსა, თუ ყოველის მხრით ასეთი მშვიდობიამობა მოგველისო. აქ იჩინა თავი თ. ბისმარკის ოსტატობამ. ვინ იცის, რა არ მოხდესო, უპასუხა: მართალია, დღეს საფრანგეთი ხმას არ იღებს, მაგრამ ის ისეთი ქვეყანაა, ხვალ არავინ იცის რას

მოახდენსო. ერთის სიტყვით, ორჭობად ლაპარაკი თ ბისმარკისა დღეს მთელის ევროპის სალაპარაკო საგანია. თვითონ თ. ბისმარკმაც კი აღიარა, რომ მისი სიტყვა ერთსა და იმავე დროს "ჰოც" არის და "არ-აცა". "ვენაში ჩემს სიტყვას რუსეთის სიყვარულში ჩამომართმევენ და პეტერბურგში — ავსტრია-ვენგრიის სიყვარულშიო", სთქვა მან სხვათა შორის. გამართლდა ეს წინასწარმეტყველება თუ არა, ჩვენ არ ვიცით. ჩვენ მხოლოდ ამას ვიტყვით, რომ ბისმარკის სიტყვაში ზოგი შიშის საბუთს ჰხედავს, ზოგი ნუგეშინისას და ერთიც და მეორეც მართალია: ერთსა და იმავე სიტყვაში შიშიც არის და ნუგეშიც. ჭკვიანი კაცი იმითია ჭკვიანი, რომ იცის "ზოგჯერ თქმითაც დაშავდების". ახლა ყველაფერს ხომ ვერ ვიტყვით, წამოსცდა ერთგან თ. ბისმარკსა. მოდი და აქ ის კაცი გაამტყუნე, რომელიც სხვას მახეს უგებს, — რატომ არ გვეუბნები, რა მახეს, სად და როგორ გვიგებო. ამაზეა ნათქვამი:

"სწყუროდეს, წყალსა ვინ დაჰღვრის
კაცი უშმაგო, ცნობილი"!

«საფრანგეთის საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცებისათვის ზრუნვა»

ტფილისი, 13 იანვარი.

ამ მთავარ-მინისტრობიდან გადამდგარ ფრეისინეს მაგიერ, ბევრსა ჰლაპარაკობდნენ საფრანგეთში, ფლოკე გამინისტრდებაო, მაგრამ ეს ვერ მოხდა და მთავარ მინისტრად მოწვეულ იქმნა გობლე. ეს ფლოკე პრეზიდენტი იყო დეპუტატთა პალატისა და პირველს იანვარს ხელმეორედ ამორჩეულ იქმნა ამ თანამდებობისათვის. დაიჭირა თუ არა თავისი ადგილი პალატაში, ბ-მა ფლოკემ, ჩვეულებისამებრ, სიტყვა წარმოთქვა და მადლობა გადაუხადა პალატას ხელა-ხალად ამორჩევისათვის. რასაკვირველია, მარტო მადლობის თქმა არ იკმარა ბ-მა ფლოკემ და არც თვითონ პალატა იკმარებდა ამისთანა გაჭირებულს დროს, შინა თუ გარედ. მართალია, პოლიტიკაში გავლენიან კაცებს წესად მიღებული აქვთ და ხშირად იძულებულნიც არიან სხვადასხვა გარემოების გამო მოკლე სიტყვა გრძლადა სთქვან და ამასთანავე იოსტატონ და არა სთქვან რა. მაგრამ სიტყვა მაინც სიტყვაა და კაცმა რაც უნდა თავი იმალოს სოროში, როგორღაც მოხდება ხოლმე, რომ კუდი გარედ ჰრჩება. ბევრი გაზეთი, შინაური თუ გარეული, ფლოკეს სიტყვას მშვიდობის მომასწავებელს სიტყვათა სთვლის.

იქნება ეგრეც იყოს, ხოლო მის მიერ თქმულში ორიოდე იმისთანა სიტყვა ურევია, რომ კაცს სულ სხვარიგად ჩააფიქრებს.

ბ-ნმა ფლოკემ გადაუხადა რა მადლობა პალატას ხელახლად არჩევისათვის, საგრძნობელის სიტყვით მიიწვია პალატა, ერთობა და თანხმობა ურთიერთშორის იქონიოს, რადგანაც სიმტკიცე და სიმკვიდრე სარესპუბლიკო მთავრობისა ამას ითხოვს და უამისოდ თავს ძნელად დაიჭერსო. სულით და გულით მონატრებული ვართ, რომ იგი მამულიშვილური ცდა და მსხვერპლი, რომელსაც საფრანგეთი ეწევა დღეს ჩვენის ეროვნულის წყობის წარმატებისათვის და განსაკუთრებით ჯარის გაძლიერებისათვის არ დასცხრეს და არ განელდესო. "თუ ჩვენ, დასთა სხვა-დასხვაობის მიუხედავად, ერთნაირის გულისტკივილით მხარს ვაძლევთ ჩვენს მშრომელს და გამრჯელს ყმაწვილკაცობას, თუ ჩვენ ერთსულობისაგან ფრთაასხმულნი არა ვზოგავთ არც თავს, არც ქონებას ჩვენის ძალ-ღონის გაძლიერებისათვის, — ეგ შიშით კი არ მოგვდის, ან გულსწრაფობით და მოუთმენელობითა: ჩვენ გვინდა საფრანგეთს მოუპოვოთ და შევურჩინოთ საყოველთავო პატივისცემა". ამ სიტყვაზედ მთელმა პალატამ ტაშის ცემით დაიგრიალა.

ვისაც ახსოვს, რომ საფრანგეთის დამარცხების შემდეგ, ესე იგი 1870 წელს აქედ ბისმარკის მეცადინეობით და ხერხით გამოძევებულ იქმნა ვროპიის არეოპაგიდამ; ვისაც ახსოვს, რომ დამარცხებული, ღონემიხდილი, დაზარალებული, მამულებჩამორთმეული საფრანგეთი დღეს აქამომდე, ბისმარკის წყალობით, ჩრდილში იყო მიყენებული, თითქმის არავინ არას ეკითხებოდა საქვეყნო საქმეებში, თითქო არ არსებობსო და ბისმარკიც არც ერთს შემთხვევას არა ჰკარგავდა, რომ საფრანგეთის არარაობა არ ეგრძნობინებინა საფრანგეთისათვისვე, — ვისაც ყოველივე ეს ახსომს, იგი ბ-ნ ფლოკეს სიტყვაში ერთს ახალს საგანს დაინახავს, რომლისათვისაც საფრანგეთი თავს

გამოიდებს. აქამდე საფრანგეთის წინა-კაცნი იძახოდნენ, რომ ჩვენ ომის ატეხა არ გვინდა, თუ ჩვენს არსებობას არ შეეხებიანო. თვითონ მისთანებში მეტად კადნიერი და გამბედავი სამხედრო მინისტრი ბულანჟე ამას ამბობდა ხოლმე, როცა შემთხვევა და გარემოება გამოიწვევდა სათქმელად. ეხლა ბ-ნ ფლოკეს სიტყვისაგან ჩანს, რომ საფრანგეთი მზად არის თავი გამოიდოს არამცთუ მაშინ, როცა მის არსებობას შეეხებიან, არამედ საყოველთავო პატივისცემის მოსაპოებლადაც და შესარჩენად. ვისაც საგნის გულში ჩახედვის უნარი აქვს, ის აშკარად დაინახავს, რომ არსებობის დაცვა და პატივის შოვნის წყურვილი ერთი და იგივე საგანი არ არის. პირველს წამლად ეყოფა ფრთხილი ლოდინიცა, კარგად მზად ყოფა მტრის მოსაგერებლად და დასახვედრად, მეორეს — ხელთა განძრევა უნდა, ფეხის წინ წადგმა და არა დგომა და ლოდინი. რაცა გაქვს, იმისათვის ფარია საჭირო, რაც საშოვარია, იმისათვის — ხმალი. ერთს დგომა უნდა, მეორეს — სვლა. ეს ფლოკეს სიტყვა, ერთიანის ტაშით მიღებული საფრანგეთის დეპუტატთა პალატისაგან, ნუგეშია თუ სხვა რამ — ეგ თვითონ მკითხველმა გამოიცნოს. ჩვენ კი ესე გვგონია, რომ თ. ბისმარკს ერთი აქამდე უტკივარი ტკივილი უნდა მოემატოს: თ. ბისმარკმა ძალიან კარგად იცის, რომ მოდი და მნახე, - ერთია, და მოვალ და გნახავ — სულ სხვაა, როცა მტერი მტერს ეუბნება. პირველში შენ გელოდება, მეორეში შენ გალოდინებს. ერთს ერთი ქარი აქვს, მეორეს — მეორე. ესეა და ესე! ... რას იზამ!

"არ დაწყნარდება ქვეყანა
და მისი სანახავები".

«აჟიოტაჟი ბისმარკის სიტყვის გამო»

ტფილისი, 15 იანვარი.

მთელი ევროპა ჰცდილობს ღვიძლი უპოვოს ბისმარკის სიტყვასა, მისი გულისნადები ხელის გულზედ გაიგოროს. "როგორ და რით გათავდება ყოველივე ესაო? ეს შავი ღრუბლები, რომელიც თავს დასტრიალებს ევროპასა, გაიფანტება, თუ ჭექა-ქუხილის მომასწავებელიაო?" ჰკითხულობენ ყველანი, დიდი თუ პატარა. ვერავის ვერ მიუგნია, - რა სთქვა ბისმარკმა თქმითა და რა არა სთქვა არათქმითა. "ბისმარკის სიტყვაშიო,— ამბობს ერთი გაზეთი: შესაძლოა კაცმა ნუგეში მშვიდობიანობისაც იპოვოსო. არც კი ეს არის დასამალავი, რომ იმავ სიტყვაში ყველაფერია, რასაც კი კაცი მოინდომებსო".

ნამეტნავად საფრანგეთის გაზეთებმა მიაქციეს ამ სიტყვას ყურადღება და თითქო გამოცნობაში ერთმანეთს ეჯიბრებიანო, ისე ხარბად ეწაფებიან ყველანი ამ სიტყვასა. საკვირველიც არ არის. მომეტებული ნაწილი ბისმარკის სიტყვისა იმაზეა მიქცეული, რეიხსტაგი დააჯეროს, რომ ადრე თუ გვიან ომი საფრანგეთსა და გერმანიის შუა აუცილებელია. აშკარაა, გაზეთები საფრანგეთისა ამისთანა ლაპარაკს არ გაუჩუმდებოდნენ. ეს კი უნდა ითქვას რომ საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთობა ბისმარკის სიტყვას ფრთხილად და თავდაჭერით მოეპყრა. სიტყვა-პასუხი

საფრანგეთის გაზეთებისა ამ საგანზე ისე მოქმედობს, თითქო ბისმარკის სიტყვაში საფრანგეთისათვის ნუგეშისა და დაწყნარების მეტი არა იყო რა და თითქო ბისმარკმა ყოველივე შიში განსაცდელისა განუფანტა. მაგრამ ვინ იცის? გველი გარედამ არის ჭრელი, კაცი შიგნიდამ. იქნება გული რომ კარგად დაუჩხრიკოს ადამიანმა საფრანგეთის გაზეთების თქმულსა, სულ სხვა გამოვიდეს. იქნება საფრანგეთი გამბეტას ანდერძს მისდევს. ერთხელ ამანა სთქვა: "ომს ნუ ახსენებთ თავის დღეში და ომის წადილი კი ყოველთვის გულში გქონდეთ და ამისათვის ზრუნევ-დეთო". შეიძლება ესეც იყოს.

ბისმარკმა ეს კარგად იცის. "საფრანგეთშიო, სთქვა მან: ამბობენ ჩვენ ვშიშობთ, გერმანია არ დაგვეცეს თავზედ. ნუ დაიჯერებთ, რომ მართლა ეს ასე იყოს და ვინც ამას ამბობს საფრანგეთში, თვითონ იმანაც იცის, რომ მართალს არ ამბობსო"... "განა არისო,- ამბობს სხვა ადგილას ბისმარკი: ან ერთი გაზეთი საფრანგეთში, ან ერთი კაცი იმისთანა, რომ სთქვას, - ჩვენ ხელი აგვიღია ელზას-ლოტარინგიაზედაო?" მაშასადამე, ბისმარკის აზრით, ტკივილი საფრანგეთისა დაუამებელია და ომიც აუცილებელი, თუმცა ამას კი უმატებს, რომ ეხლანდელს სამინისტროს საფრან-გეთისას ომი ფიქრადაც არა აქვსო, მაგრამ ვინ იცის, ხვალ ვინ ჩაიგდებს ხელში საფრანგეთის გამ-გებლობასაო? უცებ გენერალი ბულანჟე რომ მოექცეს კენწეროშიო, მაშინ?... სამხედრო დიქტატურა განა ახალი ამბავია საფრანგეთისათვისაო? ერთხელ მომხდარა ეგ ამბავი, თუ ორჯელო? თუ დიქტატორობა საფრანგეთში ბევრჯელ ყოფილა, რატომ ეხლა კი არ შეიძლება მოხდესო? ესა და ამისებრივი სხვა საბუთები მოჰყავს ბისმარკს იმის დასამტკიცებლად, რომ ომი აუცილებელია საფრანგეთსა და გერმანიას შორის. "როდის არის მოსალოდნელი ეგ ომიო? ჰკითხულობს ბისმარკი: ათს დღეს უკან თუ ათს წელს უკან? აი საკითხავი, რომლის პასუხი მე ვერ გამომიცვნია. მე

ჯერ 1867 წ. ვსთქვი, რომ ლუქსემბურგის თაობაზედ არა ღირს ომი ავსტეხოთ მეთქი; ეხლაც ამასვე ვამბობ. მე გულდაჯერებით ვერას ვიტყვი მერმისზედა. ეს კი ვიცი, რომ მერმისში გარემოება უფრო ჩვენდა სახეიროდ მოეწყობა სწორედ ისე, როგორც 1870 წელს მოეწყო, ვიდრე 1867 წ. იყო მოწყობილიო".

1867 წ. ბისმარკმა უკან დაიხია და ომი არ აუტეხა საფრანგეთს ლუქსემბურგის გამო, თუმცა აქ ბევრი რამ უწოდა მაშინდელს გერმანიას, რატომ, იმიტომ რომ გარემოება ხელს არ უწყობდა. 1870 წელს კი მტვერი აადინა საფრანგეთს, რადგანაც მაშინ გარემოება მისკენ იყო. "ეხლაც იმას ვამბობ, რასაც მაშინაო". აქედამ გამოდის, ვათომც ეხლაც საფრანგეთი აქვს ნიშანში ამოღებული და მარტო ელის, გარემოება მისდა სასარგებლოდ მოეწყოს, რომ მიესიოს და ტუტა ადინოს. ამის მეტი დასკვნა სხვა არ შეიძლება რა კაცმა გამოიყვანოს მის ზემოთქმულ სიტყვებისაგან. მართლა კი ეგრეა? არა გვგონია. არა გვგონია, იმიტომ რომ ჭკვათამყოფელი კაცი თავის მტერს ეგრე აშკარად არ გადაუშლის თავის გულისნადებსა. ეს ერთი, მეორე ისა, რომ გონიერი კაცი თავის მტერს ვერ ეტყვის: ეხლა გარემოება იმოდენად არა მშველისო, რომ შენ მოგერიოვო და მერე კი მე ვიციო. ორში ერთი: ან ბისმარკი ატყუებს საფრანგეთსა, რომ მაგას ეუბნება, მითამ და, დეე, უღონოდ მიგულოს, ვაცდინო და გამემკლავოსო, ან თვალით ერთისაკენ იყურება და ნიშანში კი სხვა ჰყავს ამოღებული საცდენადა!.. ჩვენ ეს უკანასკნელი უფრო ჭკვასთან ახლოდ მიგვაჩნია. აბა, ზემოთქმულს სიტყვაში "ლუქსემბურგის" მაგიერ "ბოლგარია" ჩასვით, და ცოტა ჩაუფიქრდით ეხლანდელს დროს და ეხლანდელს გარემოებას, თუ ამოცანა თავისთავად ერთად არ გადიხსნას! .. ამ ცრუ-სამყოფელს წუთისოფელში ყველაფერი მოსალოდნელია. ან რა გვიკვირდეს საწუთროსი! "რა უქმნია უარაკო"!

«ბელგიის საომარი მზადება»

ტფილისი, 16 იანვარი.

1866 წელს, როცა ბისმარკმა დაუპირა ავსტრიას ომი, რათა სრულებით გერმანიაზედ ხელი ააღებინოს და პირი აღმოსავლეთისაკენ აქმნევინოს, მაშინ აქა-იქ ხმები ისმოდა, რომ ბისმარკი ნაპოლეონს დაჰპირ-დაო, ოღონდ შენ ხელს ნუ გამოიღებ, ნუ დამიშლი ავსტრიაზედ გული ვიჯერო და იმ ნაწილს ბელგიისას, რომელიც შენს მხრივ არის, შენს ანაბარად დაგიგდებ, თუნდა გადაყლაპე, თუნდა რაც გინდა, ის უყავიო; ერთის სიტყვით,– შენც "სუ", როცა მე ავსტრიას წეწვას დავუწყებ და მეც "სუ", როცა შენ ბელგიას კლანჭს გამოსდებო. რა თქმა უნდა, ბისმარკმა ნაპოლეონი ამით დაითათბირა, ავსტრია მიამტვრია, გერმანიიდამ გამოაძევა და უბრძანა: შენ აქ ხელი არა გაქვს, შენი საქმე აღმოსავლეთიაო და ნაპოლეონს კი შეუთვალა, ბელგიაზედ ნურას უკაცრავოდაო. ეს ხმები მაშინ ჭორად დადიოდა და ამ ჭორს ზოგიერთი საბუთი ჰქონდა. საფრანგეთისათვის ავსტრია დიდი რამ იყო, რადგანაც სცდილობდა მისის მომხრეობის შიშით პრუსია, რომელიც დღედადღე ძლიერდებოდა, თავის ქერქში ემყოფებინა მით უფრო, რომ მაშინ გერმანიაში უპირატესობისათვის ავსტრიას და პრუსიას მუდამ ერთმანეთში ცილი ჰქონდათ და ერთმანეთის ჯიბრი. ვის არ უნდა გაჰკვირებოდა, რომ ნაპოლეონმა ხმა არ

ამოიღო და ავსტრია პრუსიას გაათელვინა და ამისათვის არა გამორჩა რა!... აი, იმ ხმების სათავე სად და რაში იყო. თუ იმ ხმებს დავიჯერებთ, ნაპოლეონი III, მაშინ ევროპის თავმომწონე და ძლიერი მბრძანებელი, ამ ჩვენმა ბისმარკმა ყინულზედ გააცურა, თავის წადილი აისრულა და იმას კი თითი გამოუყო. თუ კიდევ იმ ხმებს ავყვებით, - ეს ამბავი ნაპოლეონმა გულში ჩაიხვია და როცა 1870 წელს საფრანგეთი და გერმანია ერთმანეთზედ საომრად აილურსნენ და შეტოტინდნენ, ხმა გაისმა ევროპის ჟურნალ-გაზეთობაში, რომ თავიდათავი მიზეზი ამათის აშლილობისა ბისმარკისაგან ნაპოლეონის მოტყუება არისო და ნაპოლეონი ჯავრს იყრისო.

რამოდენად მართალია ის ამბავი, რომ საფრანგეთსა და გერმანიას ბელგიაზედ რაღაც ლაპარაკი ჰქონიათ და რაღაც სიხარბით თვალი სჭერიათ, ჩვენ ამის გამოკვლევას ვერ გამოვუდგებით და დღეს არც საჭიროა. ჩვენ მხოლოდ ამას შევნიშნავთ, რომ, როცა გერმანიას და საფრანგეთს მტრობა გაუმწვავდებათ, პატარას და ბედნიერს ბელგიას ჰავო აეშლება ხოლმე. საკვირველიც არ არის, ერთს ლუკმას ბელგიას ცალ მხრით საფრანგეთი მისწოლია და მეორეს მხრით გერმანია და აბა, აქლემები რომ წაიკიდნენ, კოზაკს რა ხეირი დაეყრება. და აი, ბელგია საომარს მზადებაშია და ამის გამო ერთი გაზეთი ამბობს: "მთელის ევროპის გასაოცებლად ეხლანდელის ვაივაგლახის მიზეზად პაწია ბელგია გამოდისო". ამის თქმა — თუ დაცინვა არ არის, მეტისმეტი სითამამეა გაზეთის მიერ, მაგრამ ბელგია ისეთის სისწრაფით და სიჩქარით იჭურვება იარაღითა და საომრად ემზადება, რომ მართლა შესანიშნავია. ბელგიის სამხედრო მინისტრს ამ დღეებში უთქვამს, რომ სწრაფად შეიარაღება აუცილებელი საჭიროება არისო. გამოსულა ბელგიის მეფის ბრძანება, რომ ჯარს მოემატოს კიდევ ორი ახალი რაზმი. შინ დათხოვნილის ზურგის ჯარის აფიცრები მოიწვიეს, რომ ყველამ თავ-

თავისი ადგილი დაიჭიროს ჯარში და ამასაც უმატებენ, რომ ამ დღეებში პალატაში შეტანილი იქნება წინადადება, რომ აეკრძალოთ ცხენების გაყვანა ბელგიიდამ და წინადვე აღინიშნოს წესი საომარის ბეგარისა, თუ ვინიცობაა ომი მოხდა. რა თქმა უნდა, აქედ-იქიდამ იკითხავდნენ, - ამ ფაცაფუცის მიზეზი რა არისო და ამაზედ ბელგიის მეფის ლეოპოლდის სამინისტრო პასუხს იძლევა, რომ ჩვენ ფიქრად სხვა არა გვაქვს რა გარდა იმისა, რომ მტრის შემოსევის შიში გვაქვს და იმის დასახვედრად ვემზადებითო; არ გვინდა საქმეთა გარემოებას და განსაცდელს ისე ხელცარიელები დავხვდეთ, როგორც 1870 წელს მოგვივიდა, როცა კინაღამ ჩვენ ჩვენი დამოუკიდებლობა ხელიდამ არ გამოგვეცალაო.

რა თქმა უნდა, ბელგიამ ასე უნდა ახსნას თავისი დღევანდელი ყოფა და გაცხარებული მზადება. სხვა საბუთიც რომ ჰქონდეს და სხვა გულისნადები, ამის წინასწარ თქმა მიუტევებელი ცდომა იქნება ბელგიის მხრით. ვინ იცის, ბელგიას რის ალღო აუღია და რის ქარი და ზარი ამოქმედებს? ადამიანის სიხარბეს საზღვარი არა აქვს: ვერავინ იტყვის, რომ ცალ-მხრით საფრანგეთს და ცალ-მხრით გერმანიას გემრიელის ლუკმის პირში ჩადება ეზარებოდეთ. მართალია, ბელგიის დამოუკიდებლობის თავდებობა ინგლისსა აქვს ნაკისრები, მაგრამ აქედამაც არავინ იცის, რა გამოვა. ძნელი გამოსაცნობია, დრო და ჟამი რას მოიტანს, ვის როგორ გაუჭირებს საქმეს, ვის ვისთვის და როგორ მოაცლის? დღეს კი ისეთი დღეა, რომ ყველას მარტო თავის თავი გახდომია თავში საცემლად.



«ნავთის საქმე კავკასიაში»

ტფილისი, 17 იანვარი

I

“რა ქმნას კარგმა მონარდემა, დროზედ შაში თუ არ მოვა”, — სწორედ ჩვენს ამიერკავკასიაზედ ითქმის. აქეთ-იქით იყურები, სინჯავ და ჰხედავ, რომ მთელი ეს მშვენიერი კუნჭული დედამიწისა, შავისა და თეთრის (კასპიის) ზღვის შუა მდებარე, თითქო საბუდარია, რომელშიაც უანგარო და გულუხვი ბუნება, როგორც კრუხი, ჩამჯდარა, და დაუღალავად, განუწყვეტლივ, შეუფერხებლად სჩეკს ყოველსგვარს სიმდიდრესა. აქ მცხოვრები კაცი კი მაინც ღარიბია და ღარიბი. ეგ კიდევ ცოტა ვსთქვით: ზოგჯერ თვით ეგ სიმდიდრე თავისის აუარებლობით ადამიანის დამამხობელ მიზეზადაც გვიხდება და ამ გზით საბედნიეროდ მიცემული სიმდიდრე ბუნებისა ჭირად გადაგვექცევა ხოლმე. აი თუნდ მაგალითად ავიღოთ ნავთი. იმოდენა ნავთი, რაც დღეს ბაქოში ამოდის და ღვთის წყალობით კიდევაც ამოვა, თითქმის ზღვას შეჰქმნის, მაგრამ რა გამოვიდა? დაატყო რამ ამ სიმდიდრემ აქაურობას? პირიქით, რამოდენა ქონება ჩანთქა ამ სიმდიდრის ვეშაპმა და რამოდენა კაცი შემლებული და ქონებიანი თან ჩაიტანა და მიწასთან გაასწორა.

მთელს ქვეყანაზე ყველაზედ გამოჩენილი ადგილები ნავთისა სულ ორია: ერთი ამერიკა და მეორე ჩვენი კავკასია. კავკასიაში ბევრს ადგილას ამოდის ნავთი, მაგრამ იმოდენა კი, რაც ბაქოში, არსად არ არის. ნავთი ამოდის ამიერკავკასიაში შემახიისა და ტფილისის ახლო, კახეთში მთელი ტბებია ზოგან, მაგალითებრ, ზემო ხოდაშენში ბ-ნ საგინოვების მამულში, თუქურმიშაში და ბევრგან სხვაგან. მართალია, რომ ჩვენში ნავთი ბევრგან არის, მაგრამ ნავთის მრეწველობამ ფეხი მოიკიდა მარტო ბაქოში. ამის მიზეზი ის არის, რომ იქ ნავთი აუარებელია, დიდი თხრა და ვაი-ვაგლახი არ უნდა იმის ამოღებას, ასე რომ შავის ნავთის ამოღება ფუთი $1^1/_2$ — 3 კაპიკამდე უჯდება ამომღებსა. სხვა ადგილებში კი ბევრს ეცადნენ, მაგრამ ფუთის ნავთის ამოღება ორ და სამ შაურ ნაკლებ ვერ დაისვეს. რა თქმა უნდა, რომ ეს ამისთანა გარემოება არაფერს ხეირს არ მოასწავებდა მშრომელისათვის და ამიტომაც შემახიაში, ტფილისის გარეშემოში, კახეთში და სხვა ამისთანა ადგილებში ნავთის საქმემ თავი ვერ დაიჭირა, ან როგორ დაიჭერდა, როცა ბაქოს ნავთი გაწმენდილი და გადახალისებული, ტფილისსა და შემახიაში მარტო ორიოდე შაურით მეტად ჰღირს, ვიდრე ადგილობრივი გაუწმენდელი და პირდაპირ ამოღებული ნავთი.

ბაქოს ნავთის წყარონი ისე მდიდარნი არიან, რომ მართლა გასაოცარი და იშვიათი ამბავია. მთელს დედამიწის ზურგზედ თავის დღეში არა ყოფილა ასეთი ულეველი და მეტისმეტად მდიდარი აუზი ნავთისა. საკვირველი ის არის, რომ ზღვა ნავთი ამოდის ყოველ ცისამარა დღეს და ნავთი არამცთუ კლებულობს, დღითიდღე მატულობს კიდეც მაშინ, როდესაც სხვაგან, მაგალითებრ, ამერიკაში, კლებულობს. რო ცოტა მაინც შევატყობინოთ მკითხველს, რა დიდძალი სიმდიდრეა ნავთისა ბაქოში, საკმაოა მარტო ციფრები ვალაპარაკოთ. ყველგან ამერიკაა ცნობილი ერთ იმისთანა ქვეყნად, საცა მრავალი და მდიდარი ადგილებია

ნავთისა და საცა ნავთის მრეწველობა დიდი ხანია ფეხმოკიდებულია და ფეხგამაგრებული. აი ბაქოს ნავთის მეტნაკლებობა რომ ამ ამერიკის ნავთის მეტნაკლებობას პირისპირ დავუყენოთ, მაშინ ციფრები თავის უტყუარს განაჩენს იტყვიან.

ყოველდღე ბაქოში ამოდის 500.000 ფუთი შავი ნავთი. ეს ნავთი ამოდის 160-ის ჭიდამ. ამ ჭეებს უჭირავს სულ ოთხი ოთხკუთხი ვერსტი. ამდენივე ნავთი ამოდის ამერიკაში ყოველდღე. ხოლო იქ მოქმედობს 24.000 ჭა, და ადგილი, საცა ეს ჭეები მუშაობენ — სიგრძით 200 ვერსტია და სიგანით 40-I, ანუ 8000 ოთხკუთხი ვერსტი. გარდა ამისა შემჩნეულია, რომ ამერიკაში ყოველ ექვსს წელიწადში ჭა ნავთისა ჰშრება და ამის გამო ყოველს ექვს წელიწადზედ ნავთის მრეწველნი იძულებულ არიან გადინაცვლონ ხოლმე ფეხი და ახლა სხვაგან სთხარონ და ეძიონ ნავთი. ამ უკანასკნელ დროში ამერიკელთ ორჯელ გადუნაცვლიათ ფეხი, სხვა ადგილებზედ გადასულან, რადგანაც პირვანდელ ადგილებზედ ნავთი დამშრალა. ბაქოში კი ამ ათის წლის განმავლობაში არამც თუ უკლია ნავთსა, არამედ ერთიორად უმატნია. მაგალითებრ, 1880 წელა ბაქოში 35 მილლიონი ფუთი ნავტი ამოუღიათ, 1885 წ. — 115 მილლიონი და წარსულს 1886 წელს — 170 მილლიონი. აქამომდე სულ ამოუღიათ ნავთი 600 მილლიონი ფუთი. სულ 800 დღიური მიწა კია ის ადგილი, რომელიც ამ უზარმაზარს რიცხვს ნავთს იძლევა, ასე რომ თითო დღიურს უძლევია თითქმის მილლიონი ფუთი. მეცნიერნი, რომელთაც ამ ორ სხვადასხვანაირს გარემოებას ნავთის წყაროებისას ყურადღება მიაქციეს, ამბობენ, რომ აქ შინაგანი მიზეზი მოქმედობსო. ამ შინაგან მიზეზად სთვლიან გეოლოგიურ წყობას მიწისას ბაქოსას და ამერიკისას. ამბობენ, რომ ამერიკაში დიდი ხანია მიწისქვეშ ნავთი კეთებულა და გაჩენილაო. იგი ნავთნი, რომელთაგანაც ნავთი კეთდება მიწისქვეშეთის ძალთაგან, ამერიკაში სულ მოილია და

აღარ არსებობენო, და ამიტომ, რაც წინა დროთაგან ნავთი კეთებულა და დარჩენილა მიწის ქვეშ, დღეს ამერიკაში მარტო ისღა ამოაქვთ, და რაკი ამოსწურვენ, რასაკვირველია, მას მერმედ ჭა შრებაო. ხოლო იმ გარემოებიდამ, რომ ბაქოში ნავთი დღეს არამცთუ ჰკლებულობს, ჰმატულობს კიდეც, მეცნიერთ ის აზრი გამოჰყვათ, რომ დღეს ბაქოში მიწისქვეშეთნი ნივთიერებანი ნავთის შესადგენად არამცთუ მოსპობილან, არამედ ჯერ კიდევ ბევრი არისო და დღეს ნავთის მომავლინებელი მიზეზნი ჯერ კიდევ განუწყვეტლივ მოქმედებენო. ამ სახით გამოდის, რომ ბაქოს ნავთის წყარო ჯერ კიდევ დიდხანს არ დაშრება და არ მოსწყდება თურმე.

ბაქოს ნავთის მრეწველობა არამცთუ ამ მხრით უფრო კარგს გარემოებაში უნდა იყოს და უნდა სჯობნიდეს ამერიკის მრეწველობას, არამედ სხვა მხრითაც. ამერიკაში ნავთისათვის კაცი მეტად ღრმად უნდა ჩავიდეს მიწაში და იქიდამ ამოსწუროს ნავთი. ბაქოში ნავთი ისე ღრმად ჩასვლას არ ითხოვს, რადგანაც დედამიწის ზედაპირზედ ახლოა ნავთი. ეს ერთი. მეორე ისა, რომ ამერიკაში განგებ ამოწურვა უნდა და აქ ბაქოში კი, რაკი ჭას ცოტად თუ ბევრად ამოსთხრიან, ნავთი შადრევანად სცემს და უხარჯოდ და უშრომელად თავისთავად ამოდის. ამ სახით, ამერიკას ერთის ფუთის ნავთის ამოღება ერთი აბაზი უჯდება, ბაქოს კი სამის გროშიდამ ექვს გროშამდე. კაცი ამაების შემნიშვნელი და მნახველი იტყვის: მაშ ბაქოს ნავთის საქმე გაკეთებულა, როგორღა გაუწევს ამერიკის ნავთი ცილობას ბაქოს ნავთს საქვეყნო ბაზარშიო!.. საბუთი და ლოღიკა საბუთისა სწორედ ამას ამბობს და საქმე კი სულ სხვასა, და ეს ბაქოს ნავთის შადრევანებზე არანაკლებ გასაოცარია. როგორც ამერიკისათვის, ისეც ბაქოსათვის თითქმის ერთადერთი ბაზარი ევროპაა, რომელიც ჩვენზედ უფრო ახლოა, ვიდრე ამერიკაზედ, ასე რომ ამ მხრითაც კი ბაქო წინ არის. მაგრამ საოცარი ეს არის, რომ ყოველ მხრით

ბუნებისაგან ხელმოუწყობელი ამერიკა ევროპის ბაზარში ყოველწლივ ცხრა მილლიონს ფუთს ნავთს ასაღებს და ბაქო, ყოველ მხრით ბუნებისაგან ხელ-მოწყობილი, მილლიონ-ნახევარსა! მოდი და ნუ გაოცდებით. გაგონილა! ბაქოს ნავთი ბევრი აქვს, ამოღება თითქმის ერთისამად, ხან ერთ თორმეტად ნაკლებ უჯდება, გზაც ახლო აქვს, და ამერიკის ნავთის ცილება კი ვერ აუტანია, როცა ევროპაში გააქვთ.

ნავთი იმოდენაა დღეს ბაქოში და ყოველდღე იმოდენა ამოდის, რომ ლამის წარღვნას მთელი ბაქო, უშველებელი ტბებია ნავთის ჭეების გარეშემო, ადგილიც არა აქვთ სად შეინახონ. გამოხდას და გადაწმენდასაც ვეღარ ასწრობენ და ბაზარი კი ვერ გაუხსნია, ბაზარი კი ვერ შეუქმნია. ამას ვინა სჩივის? ნავთის ადგილების პატრონებს ეს სიმდიდრე თავში საცემად გახდომიათ, რადგანაც არ იციან, რა უყონ, როგორ მოუარონ, სად შეინახონ და როგორ უპატრონონ! ცალკე კაცია აქ ამ უბედურობის მიზეზი, გარემოება კაცთაგანვე შექმნილი, თუ გუნება, — ეგ თქვენ გამოიცანით. ქვეყანასაც კი სასაცილოდაც არ ეყოფა, რომ ღმერთსაც მოუცია ასეთი ძვირფასი სიმდიდრე და ჩვენ კი ჭირად გადაგვქცევია. მახლას!..

II

ტფილისი, 19 იანვარი

ჩვენ წინა წერილში ნავთზედ ჩამოვაგდეთ ლაპარაკი და ეხლაც ამაზედ გვსურს განვაგრძოთ საუბარი. რა თქმა უნდა, რომ ჩვენ ამ საგანზედ არაფერს ახალს ვერ ვიტყვით, და სრულებითაც გუნებაში არ გაგვიტარებია, ეს საქმე მთელის თავის სიგრძე-სიგანით გამოვიკვლიოთ. ჩვენ ამისათვის არც საჭირო ცოდნა გვაქვს და არც საჭირო ღონე. ჩვენ გვსურს მხოლოდ

ზოგიერთს ცნობას ამ საქმის თაობაზედ თავი ერთად მოვუყაროთ და ამ ერთად თავმოყრილ ცნობათაგან ცოტაოდენი ნათელი მოვფინოთ ნავთის საქმესა, რომელზედაც ბევრს უცაბედად ჰლაპარაკობენ.

ყველაზედ წინ შესანიშნავი ბაქოს ნავთის გამო ის არის, რომ თუ ჭა დღეში 1.000 ფუთზედ ნაკლებ ნავთს იძლევა, მექარხნეები ამისთანა ჭას თავს ანებებენ, რადგანაც ხარჯსაც არ აყენებს. გამოან-გარიშებულია, რომ სხვადასხვა ხარჯი ნავთის ამოღებისა, სულ რომ ცოტა ვთქვათ, ფუთზედ $^3/_4$ კაპეიკი მოდის. ესეც იმ შემთხვევაში, თუ 1.000 ფუთს მაინც იძლევა დღეში თითო ჭა. თუ ამაზედ ნაკლები ნავთი ამოდის, ხარჯი კიდევ ის უნდება, რაც ათას ფუთსა, და თუ ამაზედ ნაკლები ნავთი ამოვა, აშკარა ზარალია. ამერიკაში ახლად გათხრილი ჭა იძლევა დღეში 80—200 ფუთამდე ნავთსა და იქ მაინც იმისთანა ჭეებს ამოქმედებენ ისეთის ოსტატობით, რომ არამც თუ ჰზარალობენ, გამორჩომასაც მოელიან. ჩვენში კი ამისთანა ჭეები უნავთო ჭეებად ითვლება და ამისთანა ჭაზედ თავის დღეში არავინ არ მოსცდება. ამ სახით ჭა, რომელიც ამერიკაში სიმდიდრის წყაროდ ითვლება, ჩვენში სიღარიბის მიზეზად შერიცხულია.

რა არის ამის მიზეზი? ყველაზედ უწინარეს ისა, რომ სატეხნიკო ცოდნა არა აქვთ აქაურს მენავთეებს. ამ უცოდინარობის ბრალია, რომ ჭიდამ ამოღებულ შავ ნავთს ჰხდიან და გადაწმინდავენ ხოლმე მარტო სანთებლად ხმარებისათვის, და რაც ამ გამოხდას და გაწმენდას გადარჩება, იმის გამოყენება არ იციან ჩვენმა მექარხნეებმა. თვითონ ამ გამოხდაშიაც ათში მარტო სამს ფუთს სანთებელს ნავთს ძლივს აყენებენ, დანარჩენი შვიდი ფუთი კი გადასაყრელად უხდებათ. სახელგანთქმული ქიმიკოსი მენდელეევი კი ამბობს, რომ თუ მექარხნეებს კარგი ცოდნა ექნებათ, ათს ფუთ შავ ნავთიდამ არამცთუ მარტო სამი ფუთი სანათებელი გამოვა, არამედ რვაო. თუნდაც ამოდენა წმინდა ნავთის გამოხდა არ იყოს შესაძლებელი, მაინც

კიდევ ნავთის გამონახადი, რომელიც უცოდინარობით ტყუილუბრალოდ ჰფუჭდება და გადიყრება ხოლმე, მრავალგვარად გამოსაყენია და გამოსარჩომი, თუ კაცს ცოდნა და ხერხი ექმნება. საქმე იმაშია, რომ შავი ნავთი მარტო იმითი კი არ არის სახეირო და გამოსარჩომი, რომ სანათებელ ნავთად გადიწმინდება ხოლმე, არამედ იმიტომაც, რომ დანარჩენ გამონახადიდამ შეიძლება კიდევ ბევრი სხვა რამ საბაზრო ნივთიც გამოიხადოს, მეტად კაი ფასად გასასაღებელი. მაგალითებრ, წასასმელი ზეთი (смазочныя масла), ბენზინი, ვაზელინი, ერთგვარი სუნნელოვანი ზეთი, რომელსაც "ароматический углеводород"- ჰქვიან და სხვანი. თითეულს ამას კაი გასავალი აქვს ევროპის ბაზარში და კაი ფასიცა. ყოველივე ეს ბაქოში მეტად ცოტა კეთდება დღეს, ჯერ, რასაკვირველია, იმიტომ, რომ მექარხნეებმა ამისი ხელი ან სულ არ იციან, ან ძალიან ცოტა იციან, და მეორე იმიტომ, რომ აქაც გადასატანს ღონეს მოკლებულნი არიან.

ეხლა აშკარაა ჩვენის მკითხველისათვის, რად არის ისე, რომ ჭა დღეში 80–200 ფუთამდე ნავთის მომცემი ამერიკაში სიმდიდრედ ითვლება და ჩვენში კი კაცი ახლოს არ უდგება. ამერიკაში ყოვლის ოსტატობით და ცოდნით ეკიდებიან ამ საქმეს. გარდა იმისა, რომ ერთისა და იმავე ზომის ნავთისაგან უფრო ბევრი სანათებელი გადაწმენდილი ნავთი გამოყავთ, იმ დანარჩენ გამონახადსაც ბევრს რასმეს ჰრჩებიან, ასე, რომ თითქმის თვითვეული ნაწილი გამონახადისა სხვა რაიმე საფასურს და სასარგებლო ნივთს იძლევა. იქ არა იკარგება რა, ჩვენში ათში შვიდი ფუთი ტყუილუბრალოდ გადასაყრელია; იქ ათს ფუთში რვას მაინც ასე თუ ისე ფასს ამოაღებინებს კაცი და აქ ჩვენში ათში მარტო სამს ფუთსა. მოდი და ამისთანა გარემოებას წინ დაუდექით!..

ბაქომ თუნდაც იმ მრავალგვარობით გამოიყენოს ნავთის გამონახადი, როგორც ამერიკა სჩადის, — სად გაასაღოს და ან როგორ გაიტანოს საქვეყნო ბაზარში? ჯერ მარტო ეს ვიქონიოთ სახეში, რომ ნავთის გამონახადიდამ გაკეთებულ სხვადასხვა ნივთიერებასა თვითონ რუსეთშიაც ვერ გაუხსნია ბაზარი. დღესაც რუსეთში ამერიკიდამ მოტანილს უფრო ჰყიდულობენ, ვიდრე ბაქოდამ. აქამომდე საქმე ისე ვერ მოუწყვიათ, რომ რუსეთმა თვითონვე მოიხმაროს თავისი საკუთარი სიმდიდრე.

III

ტფილისი, 20 იანვარი.

ამ წინაზე ჩვენა ვსთქვით, რომ უთვალავი და აუარებელი ნავთი ამიერკავკასიისა ვერ მოგვიხმარია და ლამის ეგ, ჯერ-ხანად დაუშრობელი წყარო სიმდიდ-რისა, თავში საცემლად გაგვიხდესო. უმთავრესი მიზეზი ამ მოუხმარებლობისა ის არის, რომ ნავთის ბაზარში გასატანი სახსარი არა აქვთ. მართალია, ამიერკავკასიის რკინის გზა, რომელიც დღეს მუშაობს ბაქოსა და ბათომს შუა, ეზიდება დღემუდამ ნავთსა, მაგრამ იმოდენა ნავთის გადატანის ძალ-ღონე არა აქვს, რამოდენაც საჭიროა ნავთის სიმრავლის მიხედვითა. ბევრსა ჰლაპარაკობდნენ ვაგონების მომატებაზედ, მაგრამ რაც მომატება შესაძლო იყო, მოუმატეს, და ეხლა თუნდა კიდევაც მოუმატონ, ვერას გახდებიან, იმიტომ რომ მატარებლები საათში ერთხელ დაიარებიან და ამაზედ ხშირად სიარული შეუძლებელია. როცა ამაზედ გული დააჯერეს რკინის გზა გამგებელთა და ნავთის მწარმოებელთა, მაშინ დააპირეს მეორე ლიანდაგის დაგება, რომ ნავთის საზიდავმა ვაგონებმა ორის გზით იარონ. უფრო მდიდართ ნავთის მწარმოებელთ აზრი მოუვიდათ, რკინის გზას თავი

დაანებონ და მილები დააწყონ ბაქოდამ ბათომამდე და მილით ატარონ ნავთი. მეორე ლიანდაგის დაგებაზედ ლაპარაკი ამ ბოლოს დროს სრულიად შესწყდა, მილებით ნავთის გაყვანაზედ კი დღესაც ბევრი ლაპარაკია.

ფიქრადა აქვთ, მითამ შავი ნავთი გაიყვანონ მილითა იმ ზომით, რომ წელიწადში 50 მილლიონი ფუთი გავიდეს ბაქოდამ ბათუმში. ამ ბოლოს ხანებში ისიც ისმის, რომ ეგ მილები სამტრედიის სადგურთან უნდა გაორტოტდეს, ერთი ტოტი წავიდეს ფოთზედ და მეორე ბათომზედ, პროფესსორ მენდელეევის ანგარიშით ერთი ფუთი შავი ნავთი მილით გაყვანილი ბაქოდამ ბათომში დაჯდება არა უმეტეს 10–11 კაპეიკისა. ერთი უცნობი ავტორი "Биржевыя Ведомости"-ში ამტკიცებს, რომ ფუთის ნავთის გადატანა ბაქოდამ ბათომში ცხრა კაპეიკზე მეტი არ დაჯდებაო. ამ სახით გამოდის, რომ ფუთი ნავთი თავის საფასურით და ხარჯით 12–15 კაპეიკამდე დაჯდება ბათომში. რადგანაც იგივე ნავთი ამერიკას 20 კაპეიკად უჯდება და ამასთანავე ბათომში ჩატანილი ნავთი ევროპის ბაზარზედ უფრო ახლოა, ვიდრე ამერიკისა, ამიტომ, ბ-ნ მენდელეევის აზრით, ბაქოს ნავთს შეუძლიან ცილობა გაუწიოს ამერიკის ნავთსა და ამით ასწიოს და განაძლიეროს ჩვენი ცოცხალ-მკვდარი მრეწველობა ნავთისა. რასაკვირ-ველია, ამ აზრის ასასრულებლად საჭიროა ბათომში გაიმართოს შავის ნავთის სახდელი და გასაწმენდელი ქარხნები, თორემ შავის ნავთის მუშტრის შოვნა ძნელია. ამასვე ჰფიქრობენ მილით ნავთის გატანის მომხრენი. ჩვენ ამაზედ ცალკე გვექნება საუბარი. ეხლა კი ამას ვიტყვით, რომ მილით ნავთის გატანის საქმე ხაზინამ თავის ხელიდამ არ უნდა გაუშვასო, — ამბობენ მილის მომხრენი, — თვითონ მილებიც ხაზინამ თავისის ხარჯით უნდა დააწყოსო, თორემ თუ ცალკე კაცს მიეცა ამის ნება, უსათუოდ მონოპოლიას გამოიწვევს

და ეს მონოპოლია ბევრს ნავთის მექარხნეებს ბოლოს მოუღებსო.

გამოანგარიშებულია, რომ ნავთის გასაყვანად მილების დაწყობა და ერთობ ამისი ხარჯი 25 მილლიონს მანათს ფულს დაიჭერსო. ძნელად გასაბედია ხაზინისათვის ეხლანდელს გაჭირვებულს დროში ამოდენა ფული ამ საქმეს მოახმაროს და აქ დააბანდოს. გარდა ამის, ერთი რამეც არის საფიქრებელი: მართალია ბაქოში ძლიერ ბევრი ნავთია და ჯერ არამცთუ დაშრობის, მომატების ნიშნებია, მაგრამ ადვილად საფიქრებელია, რომ ადრე იქნება, თუ გვიან, იქ, საცა ეხლა ნავთი ამოდის, ოდესმე ბოლო უნდა მოეღოს ნავთსა. ამის შიშსა და ფიქრსა მისცემია იმისთანა სპეციალისტი, როგორიც ცნობილი ინჟინერი სოკოლოვსკია. თუ მართლა აუცილებელია, რომ ოდესმე ბაქოს ნავთი კლებაში შევა, ამ მხრით გამოკვლევა საქმისა მეტად საჭიროა წინათვე, ვიდრე მილების დაწყობას შეუდგებიან. თუ ნავთის კლების დროს რკინის გზასთან მილებიც იქმნება, მაშინ ან ერთმა უნდა დაიშალოს ნავთის ზიდვა და მაშასადამე, შემოსავალზედ ხელი აიღოს, ან მეორემ. ორსავე შემთხვევაში ხაზინა იზარალებს.

"Биржевыя Ведомости"-ს ამ წლის №8-ში ზემოხსენებული უცნობი ავტორი ამტკიცებს, რომ მილით ნავთის გაყვანა არავითარს სარგებელს არ მოასწავებსო. იგი ამბობს, რომ, მართალია, ეხლა გადატანა გაწმენდილის ნავთისა ფუთი 16 კაპეიკადა ჰღირსო, მაგრამ შეიძლება ეს ფასი $8^1/_2$ კაპეიკზედ ჩამოახდინოს კაცმა და მაინც კიდევ რკინის გზა მოგებაში იქმნებაო. მილით გაყვანილი ნავთი კი და მერე ბათომში გადაწმენდილი 18 კაპეიკად დაჯდება ფუთიო. ამის დასამტკიცებლად აი რა ანგარიში მოჰყავს: შავი ნავთის გადატანა ბათომში მილითა დაჯდება ფუთი 9 კაპეიკად. ორის ფუთის შავის ნავთიდამ გამოიხდება წმინდა ნავთი და სხვა სახმარი

და სასარგებლო ზეთები სულ ერთად მარტო ერთი ფუთიო; მაშასადამე ფუთი გადაწმენდილი ნავთი თავის ზეთებით 18 კაპეიკი მოდისო. ესეც მაშინ დაგვიჯდება, როდესაც მილით გავიყვანთ შავს ნავთს ყოველწლივ 50 მილიონ ფუთზედ არანაკლებ. თუ რაიმე მიზეზით ამ რიცხვმა იკლო, მაშინ ის ორი ფუთი შავი ნავთი, რომელიც მარტო ერთს ფუთს წმინდა ნავთს აყენებს თავისის ზეთებით, 18 კაპეიკზედ უფრო ძვირად დაჯდებაო, იმიტომ რომ ხარჯი ერთი და იგივეა ერთს მილიონ ფუთს გამოიყვან მილებში, თუ ორმოცდაათს მილიონსაო. რკინის გზას კი ბევრი ექმნება გადასატანი, თუ ცოტა, შეუძლია რვა კაპეიკნახევრად ჰზიდოს ბაქოდან ბათომამდე ნავთი და არა იზარალოს რაო.

ამ სახით, საუბარი და ბაასი დიდია, და ამასობაში არც რკინის გზა ჰფიქრობს ნავთის გადასატანი ფასი $8^1/_2$ კაპეიკზედ ჩამოახდინოს და არც მილის დაწყობას შესდგომია ვინმე. მინამ ან ერთისაგან გამოვა წყალობა, ან მეორისაგან, ნავთის მწარმოებელთ სული ეხუთებათ და სიმდიდრის ტბებში მცურავთა ლამის შიმშილისაგან სული ამოუვიდეთ. მოდით და ნუ გაოცდებით!..

«საშემოსავლო გადასახადის შემოღება»

ტფილისი, 21 იანვარი

რუსეთის გაზეთებმა მოგვიტანეს ამბავი, ვითომც პეტერბურგში გახშირებული ლაპარაკია საფინანსო სფერაში მასზედ, რომ ამ ახლო ხანებში კანონად დაიდგინება გადასახადი შემოსავალზე. ამბობენ, რომ იმ აუარებელ არაპირდაპირ გადასახადების მაგიერ, რომელიც ამ მოკლე ხანებში დაწესდა და რომელიც მრეწველობას და წარმოებას უფრო ჰხუთავს, ვიდრე ჰრგებს რასმე სახელმწიფო ხაზინასა, დაწესდება გადასახადი შემოსავალზეო /подоходный налогъ/. ამნაირივე გადასახადი დიდი ხანია შემოღებულია ევროპაში და ეხლა რუსეთშიაც შემოაქვთ, როგორცა სჩანს. თავდაპირველად ამ გადასახადის შემოღება უნდა მიეწეროს ყოფილს ფინანსთა მინისტრს ბ-ნს ბუნგეს, რომელმაც დააწესა ასზედ ხუთი მანათი გადასახადი იმ შემოსავლიდამ, რასაც თავნი ფული აძლევს ფულის პატრონსა. ეხლა განუზრახავთ ეგ გადასახადი დაედვას ყველა შემოსავალს, რასაც კი უძრავი და მოძრავი საკუთრება აძლევს კაცსა და ამას გარდა საკუთარი შრომაცა. რასაკვირველია, ამასთან განსაზღვრული იქნება რის ნაკლებ არ უნდა იყოს შემოსავალი, რომ გადასახადი იხადოს. შემოსავლის გადასახადს უნდა ექვემდებარონ ყველა ქვეშევრდომნი რუსეთისანი და გარდა ამისა ის უცხო ქვეყნის კაცნიც, რომელთაც ან

მოდმივი ცხოვრება აქვთ, ან ერთს წელიწადზედ მეტსა რჩებიან ხოლმე რუსეთის იმპერიაში, და ყველანი, ვისაც უძრავი რამ საკუთრება აქვთ, შემოსავლის მომცემი. განსაზღვრული გარდასახადი გამოერთმევა ორგვარად: მთლად და უკლებლივ იმას, ვისაც გარჯა და შრომა შეუძლიან და ამისათვის წლოვანებაა დადებული 18-დამ 55-მდე და იმათ კი ვისაც თვითონ გარჯა და შრომა არ შეუძლიათ და თავის საკუთარ საქმეს ვერ გაუძღვებიან, ის შეღავათი ეძლევათ, რომ გადასახადი დაკლებული გამოერთმევათ. ამ სახით განსაზღვრული შემოსავლის გადასახადი დაკლებულის ზომით გამოერთმევათ: 1/ მათ, ვინც სამხედრო ბეგარას იხდის მთელის იმ ხანის განმავალობაში, მინამ ჯარშია; 2/ იმათ, ვინც ჯარში სამსახურის დროს დაჭრილან, ან დაშავებულან და ჩარიცხულნი არიან პირველ სამს ხარისხში დაჭრილებთა შორის; 3/ იმათ, ვინც სწავლაში არიან სასწავლებლებში, ვიდრე 26 წლისად არ შესრულდებიან; 4/ უვადოდ და ვადით დათხოვნილ ჯარისკაცებმა და ყაზახებმა, მინამ დათხოვნილნი არიან, მთლად უნდა იხადონ გადასახადი და როცა მიწვეულ იქმნებიან ჯარში სამსახურისათვის, მაშინ კი ნაკლებად გამოერთმევათ. მთელი წლის გადასახადი ორად განიყოფება, ერთი ნახევარი 1-ს ივლისამდე უნდა იქმნას ხაზინაში შეტანილი და მეორე 1-ს დეკემბერსა. ამ ვადებს ვინც გადააცილებს, დიდი ჯარიმა უნდა გადიხადონ.

აი, უმთავრესნი საფუძველნი, რომელზედაც განუზრახავთ ახალის კანონ-პროექტის აშენება და აგება. ეს პროექტი მომზადდება თუ არა, წარედგინება ჯერ უმაღლესს საფინანსო კამისიას და მერე შეტანილ იქმნება სახელმწიფო რჯულდებულების წესის გზითაო. ამავე დროს მზადდება თურმე პროექტი შესახებ ზოგიერთის წვრილმანის გადასახადის ამოკვეთისა იმ აზრით, რომ წარმატების გზა გაუხსნან და გაუფართოვონ მრეწველობას და წარმოებას რუსეთისას.

«საფრანგეთსა და გერმანიას შორის ურთიერთობის გამწვავება»

ტფილისი, 22 იანვარი

ამ უკანასკნელი დღეების გაზეთებს რომ ყური უგდოს კაცმა, ევროპაში ომის სუნი ჰტრიალებს და ზოგნი იქამდინაც კი მიდიან, რომ გადაწყვეტილად და გადაჭრით ამბობენ, ამ გაზაფხულზე ევროპა თავის ბედს არ გადურჩება უომრადაო. მართლადაც, საიდაც გინდა მიიხედოთ, ყველგან გაძლიერებული მზადებაა. პატარა სახელმწიფონიც კი, რომელთაც უღონობის გამო სიხარბე არა აქვთ ვისმე რა წაართვან, ვისმე პირიდამ ლუკმა გამოჰგლიჯონ, ისინიც იჭირებენ საქმეს და თოფ-იარაღქვეშ სდგებიან. შვეიცარია, ბელგია, დანია, შვეცია-ნორვეგია და სხვა ამისთანანი დღედაღამ იმის მეცადინეობაში არიან, რომ წინადნაგრძნობმა განსაცდელმა მოუმზადებლად არ მოასწროს და ამოდენა ხნის მშვიდობიანი და კეთილი ცხოვრება – სულ ერთმა წუთმა არ ამოაშხამოს. ამ შემთხვევაში ზრუნვა და ცდა ამ წვრილთა სახელმწიფოთა მარტო იმაზეა მიქცეული, რომ ძლიერთა შორის თვითონ როგორმე არ გაიჭყლიტონ. მაშასადამე, აქედან შიში და განსაცდელი მოსალოდნელი არ არის, რადგანაც ეს წვრილნი სახელმწიფონი ფარს იმზადებენ მოსაგერებლად და არა ხმალს სატევრად.

საფრანგეთი და გერმანია ორად ორი სახელმწიფონი არიან, რომელთ შორისაც მეტად გამწვავებულია საქმე და, თუ გარემოება ხელს შეუწყობს, არც ერთი არ მოერიდება ერთმანეთთან გამკლავებას. თავმომწონე საფრანგეთი არ ივიწყებს თავის დამარცხებას გერმანიისაგან და ჩამორთმეულის ქვეყნების უკან დაბრუნების იმედს არ იშორებს გულიდამ და გერმანია მეტად თავგამომეტებით უფრთხის, რომ გამარჯვებისაგან მოპოებული და დიდი მსხვერპლით შეძენილი ერთობა გერმანიისა და უპირატესობა ევროპაში ხელიდამ არ გამოეცალოს. ეს ორი სახელმწიფო კარგა ხანია ერთმანეთს მტრულის თვალით უყურებს და თვითვეული მათგანი მარტო თვისდა სახეირო გარემოებას ელის, რომ ეცეს და თან გაიტანოს მეორე.

ეს მეშვიდმეტე წელიწადია მას აქედ, რაც საფრანგეთი დაამარცხა გერმანიამ და იმ დღიდან მოყოლებული აქამომდე არც საფრანგეთს, არც გერმანიას ხელი არ დაუყენებია, რომ ხელახლად დაჯახებისათვის არ მზადებულიყვნენ. ლაშქართ შინაგანი წყობა და დარაზმვა გინდათ, თუ თოფ-იარაღი, ტყვიაწამალი, ზარბაზანი და სხვა მრავალი კაცთა მმუსრავი მანქანა, — ყოველს ამაზედ აუარებელი შრომა და ფულია დახარჯული ორისავე მხრით. დღე მიდის და ყოველივე ეს ურთიერთის მიხედვით ჰმატულობს და ჰმატულობს ასე, რომ ჰარაქათი და ილაჯი გაუწყდათ, ნამეტნავად გერმანიის ერსა, რომელიც გაცილებით ღარიბია საფრანგეთის ერზედ. აი, დღესაც გერმანიის მთავრობამ შვიდის წლით მოსთხოვა გერმანიის საიმპერიო პარლამენტს ფული 41.000 ჯარისკაცის მომატებისათვის და საბუთად ის წარუდგინა, რომ გერმანიის ძლიერებას ჯერ კიდევ ბევრი განსაცდელი მოელის დასავლეთიდამ და აღმოსავლეთიდამაო, და მზად უნდა ვიყვნეთო. პარლამენტმა არ შეიმწყნარა ეს საბუთი და თუმცა დაჰყვა 41.000 ჯარისკაცის მომატებაზე, მაგრამ დაუმატა, რომ ამის ნებას სამის

წლის ვადით მოგცემთო. თამამმა და ყოველთვის კადნიერმა ბისმარკმა აიღო და პარლამენტი დაშალა და ახალი არჩევანი დანიშნა. დღეს გაცხარებული ბრძოლაა ატეხილი ამ არჩევანის გამო გერმანიაში მთავრობისა და პარლამენტის მომხრეთა შორის. არვინ იცის, ვინ გაიმარჯვებს ამ ახალ არჩევანში, ამას კი ყველანი გულდაჯერებით ამტკიცებენ, რომ თუ ვინიცობაა პარალამენტის მომხრენი გაიმარჯვებენ, ბისმარკი არც ამას შეუდრკება და ასე თუ ისე უპარლამენტოდაც თავისას გაიყვანსო.

ამ გარემოებას კაცი რომ კარგად დაუკვირდეს, ჰნახავს, რომ აქ სხვა ამბავია. აქ მარტო იმაზედ კი არ არის ლაპარაკი, რომ ფული და სამატი ჯარი მიეცეს შვიდისა თუ სამის წლით ბისმარკსა. აქ უფრო მწვავი საგანია დაყენებული გერმანიის ერის წინაშე: პარლამენტი გერმანიისა დიდი ხანია ებრძვის ბისმარკის თვითნებობასა. ბისმარკი დიდი ხანია ჰცდილობს პარლამენტს გადამწყვეტი ხმა შეუხუთოს და შეურჩინოს მარტო ხმა რჩევისა. ამას პარლამენტი ჰთაკილობს და იბრძვის თვითარსებობისათვის. ეს ამბავი მარტო დღევანდელი ამბავი არ არის. დიდი ხანია საიმპერიო პარლამენტი ჰგრძნობს, რომ იგი ბისმარკს უნდა მრჩეველად იყოლიოს მხოლოდ და არა საქმეთა გადამწყვეტელად და გამგებელად. დღეს აქამომდე ეგრედწოდებული პასუხისმგებლობა სამინისტროსი გერმანიაში არ არის, თუმცა პარლამენტი კი დიდი ხანია. ამიტომაც ერთი მაგალითი არა ყოფილა, რომ პარლამენტის მიერ დაწუნებულმა მოქმედებამ მინისტრისა იძულებულ ჰყოს, მინისტრი სამსახურიდამ გადასდგეს, როგორც ეს ხშირია ხოლმე საფრანგეთსა, ინგლისში და სხვაგანაც ბევრგან, საცა პარლამენტი თვის კუთვნილს ძალაშია.

დღეს ბრძოლა დასთა შორის გერმანიაში სწორედ ამ საგანზედ ჰტრიალებს. ჯარის მომატების კანონი მარტო მიზეზია. პარლამენტის მომხრეთა დასმა ამ მიზეზს ჩაავლო ხელი და ჰსურს, რომ პარლამენტს

თავისი კუთვნილი ძალა და ხმა მოუპოვოს. აი დღეს სწორედ ეს ბურთია გაგდებული არჩევანის მოედანზედ გერმანიაში და ვინ გაიტანს ამ ბურთს, დრო გამოაჩენს.

12-ს იანვარს ბისმარკმა პირდაპირ უსაყვედურა საიმპერიო პარლამენტს, როცა პრუსიის სეიმში თავი იმართლა საიმპერიო პარლამენტის დაშლისა გამო და ამ საყვედურში ისმოდა, რომ პარლამენტი ხელს მიშლის გერმანიის ერთობა, სახელი და უპირატესობა ევროპაში მტკიცე საფუველზედ დავაყენოვო. აი, სადა სცემს ბისმარკი, — და მისნი მოპირდაპირენი ჭკვაგადალაყებულნი ხომ არ არიან, რომ ვერ გაიგონ რა მოასწავებს რასა! ამგვარად შინ აშლილი საქმე გერმანიისათვის სახუმარო არ არის. მართალია, ბევრი მაგალითები გვინახავს, რომ ამგვარებს ბისმარკი ყოველთვის გულდაგულ დახვედრია და მაინც თავისი გაუყვანია. 1864 წელს, როცა შლეზვიგ-გოლშტეინის გამო პრუსია დანიას ეომებოდა, იმავე დასს დანიის მხარე ეჭირა; 1866 წ. იგივე დასი ეწინააღმდეგა ავსტრიასთან ომსა, ამ ომის შემდეგ ჩრდილო გერმანიის პარლამენტის წინააღმდეგი იყო და 1869 წელსა, როცა პრუსიას ხვითქით ოფლი სდიოდა და საფრანგეთთან ომის ასატეხად ემზადებოდა, იგივე დასი ჰთხოულობდა თოფ-იარაღის აყრასა და ჯარების შეცოტავებასა, - მაგრამ ბისმარკმა ყურიც არ შეიბერტყა. დანიასაც ლაზათიანად ჩამოართვა შლეზვიგ-გოლშტეინი, ავსტრიაც კარგად მიამტვრია, საფრანგეთიც მიჰბერტყა და დღეს ისევ ის ბისმარკია, მხოლოდ უფრო სახელოვანი, უფრო დიდებული. მაგრამ ნათქვამია, კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანს, ერთხელაც იქნება, გატყდებაო.

ამბობენ, დღეს ამისი შიში შეჰპარვია ბისმარკსა და ვითომც ამიტომ იძულებულია, ხელახლად დაეჯახოს საფრანგეთსა, რომ ეს შინაური ტკივილი დაავიწყებინოს გერმანიის ერსა და რაკი გარედ გაიმარჯვებს, მაშინ ხომ შინაც გამარჯვებული იქნება და გამარჯვებული. ხმას ვიღა ამოიღებს!... გამარჯვებამ

ძალიან თავბრუს დასხმა იცის და პირში ბურთის ჩადება...

ასეა თუ ისე, დღეს ეს კი აშკარაა, რომ გერმანიის გაზეთები კადნიერად და რაღაც შეტევით ჰლაპარაკობენ საფრანგეთზედ. საფრანგეთის გაზეთები კი მშვიდობიანის ხმით ურჩევენ საფრანგეთსა და მის ერსა: ნუ აჩქარდებით, წყნარად და მშვიდობიანად იყავითო. ამასობაში გერმანია, როგორც დასავლეთის სამზღვრებს, ისე აღმოსავლეთისას ამაგრებს და ჯარებით აძლიერებს. საფრანგეთის უფრო დიდს ცდასა და ზრუნვაშია და არასფერს არა ჰზოგავს მზად ყოფისათვის. საფრანგეთი და გერმანია დღეს ხომ ესე შეტოტებულნი არიან ერთმანეთზედ, მაგრამ ვინ იცის, მერმისი და ბედი ვის საითკენ მიახედებს.

«ევროპის ᲬᲕრილ სახელმწიფოთა საომარი მზადება»

ტფილისი, 23 იანვარი

ბოლგარიის საქმემ დღეს თავისი პირველ-ხარისხოვნება დაკარგა ევროპიის პოლიტიკის სარ-ბიელზედ. მის მაგიერ ფეხზედ წამოდგა საზარო ლანდსა და აჩრდილსავით საფრანგეთისა და გერმანიის ერთმანეთთან გამკლავების მოლოდინი. დღეს მთელი ჟურნალ-გაზეთობა ამაზეა მოცლილი, დიდი და პატარა სულ ამაზედ ჰლაპარაკობს და ჰთრთის ხვალინდელი დღისათვის. გერმანიის გაზეთებს რომ დაუჯეროს კაცმა, თავიდათავი მიზეზი საშინელის ამ ამრეზილობისა, რომელიცა ჰსუფევს საფრანგეთისა და გერმანიის შუა, საფრანგეთის სამხედრო მინისტრი გენერალი ბულანჟეა და ამისი დაუცხრომელი გარჯა და შრომა საფრანგეთის ჯარის განკარგებისა და რიგიან ფეხზედ დაყენებისათვის. ზოგიერთი გაზეთი ამ გარემოებას ისე აზვიადებს, რომ ამბობს: საფრანგეთმა ან ბულანჟე უნდა დაითხოვოს სამსახურიდამ ან ომი გამოუცხადოს გერმანიასო, სხვა არა სახსარი არ არის, რომ ევროპა დასცხრეს და დაწყნარდესო. ჩვენ დღეს ამაზედ ლაპარაკს თავს დავანებებთ და ყურადღებას მკითხველისას მივაქცევთ სულ სხვა გარემოებაზედ, რომელიც მრავალმნიშვნელოვანია და ძალიანაც ანგარიშში მისაღები.

ჩვენ გუშინაცა ვსთქვით, რომ დიდთა მაყურებელნი წვრილნი სახელმწიფონიცა დიდს მზადებაში არიან. უფრო შენიშნულია, რომ ბელგია, დანია და შვეცია-ნორვეგია, რაც ძალი და ღონე შესწევთ, ჰცდილობენ თავისი ჯარები გააწყონ და გააძლიერონ. განზრახვა ბელგიისა თუმცა ზედმიწევნით არავინ იცის, მაგრამ თვალად ეს მაინცა სჩანს, რომ თუ ვინიცობაა ორს მათს მეზობელს, საფრანგეთს და გერმანიას ომი აუტყდათ, ბელგიას არ უნდა გადელახვინოს. სიტყვით ამას ამბობს ბელგიის მთავრობა და გულში რა აქვს, ძნელი გამოსაცნობია. პატარა დანია თავის გულის ნადებს არა ჰმალავს და პირდაპირ გულახდილად ჰლაპარაკობს. მისმა სამხედრო მინისტრმა გენერალმა ბანსონმა არც გახია, არც გაფხრიწა და მოურიდებლად სთქვა: ჩვენის ქვეყნის ერთი ნაწილი, ერთი ნაწილი ჩვენის სისხლისა და ხორცის ერისა პრუსიის უღელქვეშ ჰკვნესისო. აშკარაა, დანიის მზადება რას მოასწავებს და საკვირველი ეს არის, რომ უღონო, პაწია დანია არ ჰშიშობს ამის თქმასა და არ უფრთხის წყრომას ძლიერის პრუსიისას. გერმანიის გაზეთები ამ ხმებზედ სწორედ ყალხზედ შესდგნენ: როგორ თუ დანია გერმანიას მტრობას უბედავსო. რა თქმა უნდა, დანია მარტოკა შინიდამ ფეხსაც არ გამოსდგამს ყოვლად ძლიერი გერმანიის წინააღმდეგ. სჩანს, დანიას იმისი იმედი აქვს, რომ ვინიცობაა საფრანგეთი გერმანიას საქმეს გაუჭირებს, მაშინ დანიაც ეცდება ჯავრი იყაროს გერმანიაზედ და წართმეული გერ-მანიისაგან შლეზვიგ-გოლშტეინი როგორმე ისევ ხელთ იგდოს და დაიბრუნოს. რაც უნდა იყოს, თუმცა დანია ცალკედ საშიშარი არ არის გერმანიისათვის, მაგრამ თუ გერმანია და საფრანგეთი ერთმანეთს დაეჯახნენ, გერმანიამ ერთი 40000 კაცი მაინც უნდა მოაცდინოს დანიის გასაძღოლად. ეს გერმანიისათვის დიდს ანგარიშს შეადგენს დიდის ომის დროს. ერთი სიტყვით, დანიასაც მიზეზი აქვს მზადებისა და თოფ-იარაღის ასხმისა. ამოცანად მარტო შვეცია — ნორვეგიაა. ეს დი-

დის ხნიდამ მშვიდობიანად მყოფი ქვეყანა რამ აამღვრია და რამ აიძულა საომრად მზადებისათვის? ჯერ შარშანვე, ვიდრე ბოლგარიის საქმე გამწვავდებოდა, შვეცია მზადებას შეუდგა და დღესაც იმავე საქმეზეა გადაგებული. ეს ამბავი, რასაკვირველია, შეუტყობრად არ დარჩა ევროპასა. ხოლო ქვეყანასს უკვირს, რომ შვეციის მეფემ ოსკარმა ეხლახან პარლამენტში თავისი სეფე-სიტყვა წარმოსთქვა და სრულებით ხმა არ ამოიღო არც იმაზედ თუ - რას მოასწავებს ეგ დაუცხრომელი მზადება, არც იმაზედ თუ, – რა გულით, რა გუნებით არის შვეცია-ნორვეგია საგარეო პოლიტიკისა გამო. ამ ხმაამოუღებლობამ, ამ გაჩუმებამ უფრო ძლიერ ააცქვეტინა ყურები დიპლომატიასა. რადა და რისთვისაო? ჰკითხულობს ცნობისმოყვარე გულსწრაფობა ადამიანისა. მათა და მისთვისაო, იძახის მეტიჩრობა გულთმისნობისა... ეს ამისთანა პასუხი, თუ გნებავთ არც არაფერსა ჰნიშნავს და, თუ გნებავთ, ბევრს რასმესაცა.

«ჭაჭის არყის გამოხდაზედ შელავათიანი საბაჟო წესების შემოღების შესახებ»

ტფილისი, 24 იანვარი.

რუსეთის ჟურნალ-გაზეთობამაც, როგორც იქმნა, მიაქცია ყურადღება იმ საბაჟო წესებს, რომელმაც პირქვე დაამხო ჩვენში ჭაჭისაგან არაყის ხდა 1876 წლიდან რომელმაც წვრილმან პატრონებს ვენახებისას დიდი ზარალი მისცა. "არავითარი ეჭვი არ არისო, ამბობს ერთი გაზეთი: რომ ვენახისა და ღვინის კეთება, არაყის ხდასთან ერთად უმთავრესი შტოა სასოფლო მეურნეობისა კავკასიაში; რომ ამ შტოს წარმატებაზედ დამოკიდებულია იქაურთა მკვიდრთა კეთილ მდგომარეობა და აღყვავება თვითონ მხრისა. დრო იყო და არა შორი დროც, როცა თითქმის მთელი გლეხკაცობა კავკასიისა და ერთობ სოფლის მკვიდრნი დიდის გამორჩობით ვენახისა და ღვინის კეთებაზედ იყვნენ მიქცეულნი და ამასთან ჭაჭისაგან არაყსა ხდიდნენ და ამისათვის ბევრს გლეხთა, ვენახის პატრონთა, თავისი საკუთარი სახდელი ქვაბები ჰქონდათ. ხდა არაყისა უფრო საშინაო მრეწველობა იყო და საკმაოდ მხარს აძლევდა სასოფლო მეურ-ნეობას, რადგანაც ჭაჭა-თხლესაც თავისი სარგებლობა მოჰქონდა და ამას გარდა, როცა ყურძენი რაიმე მიზეზით ჰფუჭდებოდა, ან სეტყვისაგან გაილახებოდა და დასაწურად აღარ ვარგოდა, იმისაგანაც არაყსა

ჰხდიდნენ და ამით გლეხკაცობა ხელს ინაცვლებდა. ამ ბედნიერს დროს კავკასიელნი იხსენებენ ეხლა, როგორც "ოქროს დროსა". ამ "ოქროს დრომ" მოაღწია 1876 წლამდე და მას შემდეგ კი საქმეთა მდგომარეობამ სასწრაფოდ ფერი იცვალა და დღეს წარმოადგენს სურათს მთლად დამხობისასა.

მთავრობას, როგორც ეტყობა, ყურადღება მოუქცევია ამ მართლადა საზარალოს წესებისათვის და დღეს, ერთის გაზეთის სიტყვით, სახელმწიფო საბჭოში ფინანსთა სამინისტროს პროექტი წარუდგენია, რომ ჭაჭისა და თხლისაგან არაყის ხდას შვება და შეღავათი მიეცეს და ამით ხელი მოემართოთ ვენახის სხვილთა და წვრილთა პატრონენთა. ჩვენდა სამწუხაროდ, გაზეთს, რომლისაგანაც ეს ცნობანი მოგვყავს, დაწვრილებით და თვალნათლად არ მოჰყავს, რა შვება და შეღავათი განუზრახავს, მიანიჭოს ვენახის პატრონებსა ფინანსთა სამინისტრომ თხლე-ჭაჭისაგან არაყის ხდის გამო. იგი გაზეთი ამას ამბობს, რომ:

"მთავრობის სფეროში საბოლოოდ გადაწყვეტილია, რომ ამ ახალ წლის 1-ს ივლისიდამ ამიერ-კავკასიაშიც შეტანილ იქმნას ზოგადნი წესნი იმპერიისა არაყის ხდისათვის დადგენილნი და მომქმედნი. ამავე დროიდან შემდეგის ზომის ბაჟია დაწესებული თხლე-ჭაჭისაგან გამოხდილ არაყზედ. იმ არაყზედ, რომელიც გამოხდილი იქნება შინაურის ქვაბითა თხლე-ჭაჭისაგან ვენახების პატრონთაგან ამიერ-კავკასიაში, ჩერნოგორიაში, ყუბანისა და თერგის მხარეს, სტავროპოლის გუბერნიაში, თუ ვინიცობაა არაყი გასაყიდად გაიტანება, გადახდება ორ კაპეიკნახევარი გრადუსზედ ტრალერის "სპირტომეტრით" შემოწმებულზედ. ორ წელიწადში ერთხელ გრადუსზედ თითო კაპეიკი ბაჟი მოემატება იმ დრომდე, ვიდრე იქამდე მივა, რომ ჭაჭის არყის ბაჟი მარტო ოთხის კაპეიკით იყოს ნაკლები პურის არაყის ბაჟზედა. დასამჟავებელი ჭურჭელი არაყის სახდელ ქარხნისა /საცა კი ქარხანაა და არა შინაური სახდელი ქვაბი/ უნდა იტევდეს არა ნაკლებ 360 ვედრასა."

როგორც ეტყობა, შვება და შეღავათი ამ შემთხვევაში ორგვარია: ერთი თვითონ ზომა ბაჟისა, რომელიც გრადუსზედ $2^1/_2$ კაპეიკამდე ჩამოახდინა ახლად განზრახულმა კანონმა და მეორე ისა, რომ 360 ვედრიანი ჭურჭელი დაუწესებიათ მექარხნეთათვის გამოსახდელ მასალის დასამჟავებლად. ჩვენა გვგონია, ეს ამოდენა ჭურჭელი იმიტომ დაუვალებიათ მექარხნეთათვის, რომ წვრილმა ქარხანებმა შინაურს ქვაბებს ცილობა არ გაუწიონ გლეხკაცობას, რომელსაც მარტო შინაურ სახდედლის ქვაბის შოვნის ღონე ძლივა აქვს, ხელიდამ არ გამოაცალონ ის გამორჩომა და სარფა, რასაც შინ გამოხდა ჭაჭა-თხლისა მოუტანს. ღმერთმა ჰქმნას, ეს ახლად განზრახული კანონი კარგად მოუხდეს ჩვენს ქვეყანასა და იგი სიმდიდრე, რომელიც აქამდე ჩვენი გლეხ-კაცობა იძულებულიყო თითქმის გადაეყარა აწ მომქმედ საბაჟო წესის წყალობითა, უკანვე დაუბრუნდეს და უწინდელებრ ხელის გასამართავ წყაროდ შეექმნეს.



«პარლამენტი თუ სამინისტრო»

ტფილისი, 26 იანვარი.

ჩვენ რამდენისამე დღის წინად მოვიხსენიეთ, რომ გერმანიაში ატეხილი მშვიდობიანი ბრძოლა პარლამენტისა ერთის მხრით და გერმანიის კანცლერის ბისმარკისა მეორეს მხრით არ მოასწავებს სამხედრო კანონ-პროექტის გამო ბრძოლას. ჩვენა ვსთქვით, რომ ეგ კანონ-პროექტი მარტო მიზეზად შეიქმნა, თორემ აქ სულ სხვა ტკივილმა გაიღვიძაო. ბისმარკმაც კარგად იცის ესა, რადგანაც პრუსიის სეიმში ეხლახანს წარმოთქვა, რომ პარლამენტისაგან უარყოფა ჩვენის სამხედრო კანონ-პროექტისა დედააზრის საქმეა და არა იმ ცალკე შემთხვევისა, რომელმაც თვითონ კანონ-პროექტი გამოიწვიაო. რომ ცოტა რამ თვალნათლად დავინახოთ ამ ბუნდმოდებულ საქმეში, მეტი არ იქნება მოკლე ისტორია წარმოვუდგინოთ მკითხველს მისი თუ, - როდინდელი ამბავია ეს ახლად დღეს წარმომდგარი ამბავი და რაში მდგომარეობს იგი დედააზრი, რომელსაც ბისმარკმა კანონ-პროექტის უარყოფა დააბრალა. აშკარაა, რომ დღეს გერმანიაში ორი დედააზრი დაეჯახა ერთმანეთს და თვითვეული მათგანი ჰლამობს გამარჯვებასა. ერთის დედააზრის მიმდევარია ბისმარკი და მეორისა პარლამენტის მომხრენი. მინამ ეგ დედააზრნი ეგრე მედგრად გაემკლავებოდნენ ერთმანეთს ცხოვრებაში ადგილის დასაჭერად, ჯერ, რასაკვირ-

ველია, მეცნიერებაში იყვნენ დაჯახებულნი და სახელგანთქმულ მეცნიერთა შორის დღეს ერთის მომხრენიც მოიპოვებიან და მეორისანიც, ნამეტნავად გერმანიაში. ამ სახით ამ საგანზედ, რომლის გამოც დღეს იბრძვიან გერმანიაში, ორგვარი მდინარეობაა აზრისა, ერთი მეორის წინააღმდეგია და ერთსაც და მეორესაც მეცნიერი მომხრენი ჰყავს. ამიტომაც მეტისმეტი უმართებულობა იქმნება, დღევანდელი მოქმედება ბისმარკისა მარტო მის თვითნებობას და ჯიუტობას შევწამოთ. შესაძლოა იგი რწმენითაც მოქმედობდეს, რწმენით, რომელიც ჩვენის აზრით შეუწყნარებელია, მაგრამ დამყარებული კია სახელგანთქმულ მეცნიერთა მოძღვრებაზედ. მართალია, რწმენა ყოველთვის ჭეშმარიტებად მისაღები არ არის, მაგრამ პატივსაცემი კი ყოველთვის არის.

გამოჩენილს მეცნიერს ლორენც შტეინს, რომელიც მეორე გამოჩენილ მეცნიერ გნეისტთან ერთად ავტორიტეტად არის ცნობილი გერმანიაში საპოლიტიკო საქმეთა ცოდნასა და ახსნაში და რომელიც — ჩვენში კი ითქვას — ცოტა თვალდახუჭული უყურებს ეგრეთწოდებულს "პარლამენტარობას", მოჰყავს ორგვარი მაგალითი პარლამენტარობისა: ერთი, საცა აღმასრულებელი ძალი სახელმწიფოსი, ესე იგი სამინისტრო, სრულად ემორჩილება რჯულთმდებელს პარლამენტსა, როგორც მაგალითებრ, ინგლისია, და მეორე, საცა სამინისტრო თითქმის დამოკიდებული არ არის პარლამენტზედა, როგორც დღეს გერმანიაშია. თქმა არ უნდა, რომ შტეინს უფრო გერმანიის წესი მოსწონს და სწუნობს ინგლისის წესსა. შტეინის სიტყვით, ინგლისის სამინისტრო სახელმწიფოს მოსამსახურე არ არის; იგი არის ყურმოჭრილი ყმა იმ დასისა, რომელიც სხვადასხვა შემთხვევისა გამო ჰმეტობს პარლამენტში და რომელიც ცვალებადია. იგიო, ამბობს შტეინი, წარმომადგენელია პარლამენტში გაუფლებულის დასისა და ამიტომაც ზოგადი ხასიათი მთავრობისა ინგლისში იგია, რომ თავისით მთავრობას

არა ხასიათი არა აქვსო. იქ პასუხისგება სამინისტოსი ფუჭი სიტყვააო, იმიტომ, რომ მინისტრების დამოუკიდებლობასთან ერთად მათი პასუხისგებაც გაჰქრაო, რადგანაც რაკი დასი განაგებს და მართველობს, ეგ პასუხისგება უმიზეზოაო. შტეინის აზრით, - რაკი მინისტრები გაუფლებულის დასის წარმომადგენელნი და წინამძღოლელნი არიან და უნდა იყვნენ კიდეც, თუ არა და, უნდა დაეთხოვონ თავიანთ თანამდებობას, მაშ არავითარი შემთხვევა არ იქნება შესაძლებელი, რომ სამინისტრო პარლამენტის სურვილის აღმსრულებელი არ იყოს ყოველთვის. რაკი ესეა, მიზეზიც პასუხისგებისა თავის დღეში არ აღმოჩნდება. თუ მიზეზი პასუხისგებისა სათავეში მოწყვეტილია, პასუხისგება რიღას მაქნისია. ამაზედ ამყარებს შტეინი თავის აზრს იმის შესახებ, რომ ინგლისში პასუხისგება მინისტრებისა უქმი სიტყვაა და სწუნობს იქაურს რიგსა და წესსა.

მეორეს მხრით, შტეინი თითქმის მთლად იწონებს იმ რიგსა და წესსა, რომლის ძალითაც მინისტრები ისე დამოუკიდებელნი არ არიან, რომ ზოგჯერ მეტად "უცერემონიოდ" ეკიდებიან პარლამენტის სურვილსა. იგი გვარწმუნებს, ვითომც გერმანიის სამინისტრონი ემსახურებიან გაუფლებულს დასს კი არა, არამედ "უმაღლეს იდეას, დედააზრს" და ამიტომაც გერმანიაო "უკეთესი მაგალითია ჭეშმარიტის მიმოქცევისა ერთმანეთში ერთის მხრით სამინისტროსი და მეორეს მხრით, პარლამენტისაო". "დიდად შესამჩნევიაო, ამბობს შემდეგ შტეინი: რომ გერმანიის სახელმწიფონი თავის დღეში არ გადასდგომიან ჭეშმარიტს ბუნებას სამინისტროსასაო, თუმცა წესნი მართველობისანი ჯერ შემთავრებული და დასრულებული არა აქვსო. ამ საუკუნის დასაწყისში გერმანიას ყველგან არა ჰყოლია მინისტრები, გარნა საცა კი ჰყოლია, ნამდვილი მინისტრები იყვნენო".

ჩვენ არ გამოვუდგებით შტეინის აზრის გარჩევას. ჩვენთვის ამჟამად საჭირო არ არის ვიცოდეთ, რაშია

შტეინი მართალი და რაში მტყუანი. ეს სულ სხვა საგანია და ამისათვის ჩვენ არც დრო მიგვიძღვის და არც ადგილია. ჩვენ თუ ამაზედ ჩამოვაგდეთ ლაპარაკი, მარტო იმისთვის, რომ დღევანდელს მოქმედებას ბისმარკისას ერთის მხრით, და გერმანიის პარლამენტისას მეორეს მხრით სათავე ვუპოვოთ. კაცი რომ დაუკვირდეს შტეინის აზრსა და ამ აზრს ქვეშ დაუყენოს ბისმარკის დღევანდელი მოქმედება, თვალნათლად დაინახავს, რა წყაროს დასწაფებია ბისმარკი და რა დედააზრი გაუხდია საგნად თვისის მოქმედებისა. ამ ოცის წლის წინად, ბისმარკმა პირდაპირ გამოუცხადა პრუსიის პალატას, როცა დღევანდელებრ ერთმანეთს დაეტაკნენ, რომ "ჩვენ თქვენი მინისტრები კი არა ვართ, ჩვენა ვართ მინისტრები მისის დიდებულების კოროლისაო". მერე საიმპერიო სეიმში 1879 წ. იგივე აზრი წარმოსთქვა: "სამინისტროს შეუძლია დაუთმოს რომელსამე დასს, რომ ზედმოქმედება იქონიოს ზოგიერთა საქმეთა მსვლელობაზედ იმ მომხრეობის სამაგიეროდ, რომელსაც დასი სამინისტროს აღმოუჩენს. ხოლო თუ იგი დასი მოიწადინებს, რომ თვითონ განაგებდეს სამინისტროსა, ამით იგი იძულებულჰყოფს მთავრობასა წინ გადუდგესო. მე თავის დღეში, მას აქედ, რაც მინისტრადა ვარ, არც ერთს დასსა არ ვკუთნებულვარ და არც მინდოდა ვკუთნებოდი. რაც დასები არიან, თვითვეულად ყველასა ვძულდი, იქნება ზოგიერთს კი ვუყვარდი. მე არ შემიძლიან, მთავრობას არ შეუძლიან კუდად გამოებას რომელსამე ცალკე დასსა და იმის უკან ირბინოს. მთავრობა უნდა ვიდოდეს იმ გზით, რომელიც თვითონ მას სწორე გზად მიაჩნია და პარლამენტის გადაწყვეტილება უნდა მარტო ამოწმებდეს სისწორეს გზისას. სამინისტროსათვის საჭიროა მომხრეობა დასებისა, მაგრამ იგი თავის დღეში არ დაემორჩილება ბატონობას არც ერთის დასისას".

აბა ყოველივე ეს შეუწონეთ შტეინის თქმულსა და ჰნახავთ, რომ ბისმარკი ამ საქმეში მიმდევარია ხსენებულ მეცნიერისა და წარმომადგენელია და განმახორციელებელი შტეინის დედააზრისა. ამ დედააზრის გამო, რომელსაც ასე უფრთხილდება ბისმარკი და რომლისთვისაც იგი დღეს ებრძვის გერმანიის პარლამენტსა, გერმანიაში ეგრეთწოდებულს "სამინისტრო კრიზისს" სულ სხვა ფერი ადევს. იქ სამინისტრო კრიზისის მიზეზად გახდება ხოლმე მარტო უთანხმოება რომელისამე ცალკე მინისტრისა და საიმპერო კანცლერის შორის. "ვიღაც ფალკები და ფრიდენტალები, — ამბობს ერთი მწერალი: იძულებულ არიან დაეთხოვონ სამსახურსა, თუ გაბედავენ და არ ეთანხმებიან ბისმარკსაო". ესეთია დიდის ხნის სურვილი ბისმარკისა და რაკი დღეს საქმეთა მსვლელობამ გერმანიის პარლამენტი გადულობა წინ ამ სურვილსა, ადვილი მისახვედრია რა გამწარებული უნდა იყოს ბისმარკი.

ახლა ვიკითხოთ, რას თხოულობენ პარლამენტის მომხრენი? ამ საკითხავზედ პასუხი მცირეოდენად ზემოთქმულშიაც მოიპოვება და გარდა ამისა, ჩვენ ამას წინადაც გაკვრით მოვიხსენიეთ ჩვენს გაზეთში. ხოლო თვითონ მომხრეთა რომ ვათქმევინოთ ამისი პასუხი, უფრო მართალი და დასაჯერებელი იქნება. დღეს, როგორც მოგეხსენებათ, გერმანიის პარლამენტი დათხოვილია და ახალი არჩევანია დანიშნული, რომ გერმანიის ერმა თვისი აზრი გამოსთქას — ახლად არჩეულ დეპუტატთა პირითა. რომ გერმანიის ერი არ მოტყუვდეს და საკითხავ საგნად პარლამენტის მიერ დაწუნებული კანონ-პროექტი არ მიიღოს, პარლამენტის მომხრეებმა ამისთანა საარჩევნო მანიფესტით მიჰმართეს ამომრჩევლებს:

თანამოაზრენო და თანამემამულენო! საიმპერიო მთავრობამ გადააყენა რეიხსტაგი და თქვენ მოგმართათ საკითხავად. ამ სახით, თქვენ წინ წამომდგარია ერთი

საგანი გადასაწყვეტად: ჰსურს ქვეყანას, იქონიოს ცხადი და არსებითი საკონსტიტუციო უფლება, თუ სთმობს და ხელს იღებს ამაზედ?

მომეტებული ნაწილი რეიხსტაგისა დასთანხმდა, რომ კარგა ბლომად მოემატოს ჯარსა. ამ მხრით, ვერაფერი ვერ დავათმობინეთ. მაინც ამ მომეტებულს ნაწილს რეიხსტაგისას სწამობენ, რომ ვნება მიაყენა სახელმწიფოს მხედრობის ძლიერებასაო. ჩვენ დავუთმეთ სახელმწიფოს ყველაფერი, რაზედაც კი ჩვენი სინდისი ნებას გვაძლევდა. ჩვენ მხოლოდ არ გვინდოდა გათამამებულს ბრძანებას დავმორჩილებულიყავით; ჩვენ არ მოვინდომეთ გაგვეწირა ჩვენი უფლება ზედამხედაობისა.

მღვიძარედ იყავით; თავი გამოიდეთ ყველგან, საცა კი შეგიძლიანთ და ეპირისპირეთ მართალის შებღალვას და ტყუილს ბრალდებას. ნუ დაივიწყებთ, რომ თუ რეიხსტაგი ამ საქმეში თავს მოიხრის, ღონე აღარ ექმნება წინააღუდგეს სითამამეს სამინისტროსას არაფერში...

დღევანდელი დღე ისეთია, რომ ან "ჰო" და ან "არა". ოღონდ ყველამ თავისი მოვალეობა აღასრულოს, მართალი შეიმოსება ძლევით და გერმანიის იმპერია გადურჩება იმ საშინელს განსაცდელსა, რომლის მსგავსიც ჯერ არ უნახავს მის აქედ, რაც ხელახლად აღორძინდა.

აი, ჭეშმარიტი მნიშვნელობა დღევანდელის ჭაპანწყვეტისა გერმანიაში. ამ საქმის ძარღვი ისეთია, რომ მისი ხელის ხლება და დიდის ტკივილების აშლა გერმანიისათვის ერთია. ამიტომაც საკვირველი არ არის, რომ მთელი ქვეყანა მოუთმენლად მოელის, - რას იხერხებს ყოვლის მომხერხებელი ბისმარკი? თუ არჩევანმა მომხრეები გამოუგზავნა ბისმარკს რეიხსტაგში, მაშინ პასუხი ცხადია და საქმის გაძღოლა ძნელი არ არის. გაჭირება მაშინ იქნება, თუ არჩევანმა უმტყუნა ბისმარკს. აბა სწორედ ამას

ჰკითხულობენ, მაშინ რასა იქმს ბისმარკიო? ვისაც ბისმარკის ვაჟკაცობა და სითამამე შეტყობილი აქვს, ის ამასაც პასუხს მოუპოვებს. ხოლო რასა იქმს გერმანიის ერი, თუ ბისმარკი თავის თვისებებისამებრ ლომსავით მოიქცა? აი საკითხავი, რომელზედაც პასუხი "არ ეგების".

«სალუსბერის სამინისტროს გასაჭირი»

ტფილისი, 27 იანვარი.

ინგლისის სამინისტრომ ხმა პატარა დაიმდაბლა და ისეთის რიხით აღარ ჰლაპარაკობს საგარეო პოლიტიკის საქმეთა მიმდინარეობაზედ. მარკიმი სალუსბერი, რომლის დაუძინებელს მოქმედებას ზოგერთნი აბრალებენ, რომ ბოლგარია აქამდე ურჩობს, თავისთავს ვერა ჰგრძნობს კარგს გუნებაზედ. მისი სითამამე კარგა საკმაოდ დასცხრა, როცა ლორდი ჩერჩილი დაეთხოვა სამინისტროსა, გადგა და ეგრედ წოდებულს "ნეო- კონსერვატორებს" მოთავედ გაუხდა. ამის გამოსვლამ სამინისტროდამ სხვა ღრუბელიც მიაყენა სალუსბერის სამინისტროს. გლადსტონის დასმა და რადიკალთ-დისიდენტების მოთავემ ჩამბერლენმა ერთმანეთს მოლაპარაკება დაუწყეს შერიგებაზედ და ბევრნიც იმედოვნებენ, რომ ეს ნაწილი ლიბერალებისა კვლავ მიემხრობა გლადსტონსაო, ლიბერალთა დასი გლადსტონის მოძღვრებისა კვლავ გაძლიერდება და, ვინ იცის, იქნება დაამხოს კიდეცა სალუსბერის სამინისტროო. თვითონ ინგლისის ერმაც, რომელმაც უკანასკნელ არჩევანში გლადსტონის მოძღვრება და პოლიტიკა დაიწუნა, ეხლა, როგორცა სჩანს, სხვაფრივ აახილა თვალი და გლადსტონის პოლიტიკა დღედადღე მომხრეებსა ჰშოულობს. ჩვენს მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, რომ, როცა ლორდ ჩერჩილი, რომელიც

ფინანსთა მინისტრად იყო სალუსბერის სამინისტროსი, გამოვიდა სამინისტროდამ, სალუსბერიმ ბევრის აქედ-იქით მეცადინეობის შემდეგ ძლივს იპოვა ახალი მინისტრი ლორდ ჩერჩილის სამაგიეროდ. ახალი მინისტრი გოშენი გლადსტონისაგან გადამდგარ ლიბე-რალთა დასის კაცია. ინგლისის წესით ყოველი მი-ნისტრი უსათუოდ დეპუტატად უნდა იყოს ამორჩეული პარლამენტში. უამისოდ მინისტრად ყოფნა შეუძ-ლებელია. რადგანაც ახლად დანიშნული მინისტრი გოშენი დეპუტატად არ ირიცხებოდა, ამის გამო საჭიროებამ, ანუ უკედ ვსთქვათ, საკონსტიტუციო წესმა მოითხოვა, რომ გოშენს კენჭი ეყარა და სადმე ამორჩეულიყო. სწორედ ამ დროს ქალაქს ლივერპულს დეპუტატი აკლდა პარლამენტში. გოშენმა აიღო და თავისი კანდიდატობა დეპუტატობისა აქ წამოაყენა და აქ გაიხადა საარჩევნოდ თავი. აქ გოშენმა და სალუსბერიმ მით უფრო დიდის იმედით გაჰბედეს არჩევანი, რომ ლივერპულმა ამ ბოლოს საზოგადო არჩევანის დროს კონსერვატორთა დასის კაცი ამოირჩივა თავის წარმომადგენლად პარლამენტში და ეგონათ რომ ეხლაც ესე მოხდებაო. გლადსტონის მომხრეებმა თავისი კაცი დაუპირისპირეს გოშენსა და გოშენი დამარცხდა: გლადსტონის მომხრემ შვიდის კენჭით აჯობა. შეხტა და შემოტრიალდა სალუსბერი და მისნი მომხრენი. ბევრი სიმრუდე და ურიგობა შესწამეს ამ არჩევანსა, უნდოდათ როგორმე გაეუქ-მებინათ და ახალი არჩევანი მოეხდინათ. ბევრი იოსტატეს, მაგრამ საქმე რომ გასინჯეს, ვერაფერი უწესოება ვერ დამტკიცდა და გლადსტონის მომხრე კანონიერად ამორჩეულ დეპუტატად აღიარეს.

ეს ამბავი თუმცა თვალად მცირე რამ არის, მაგრამ თითქმის ყველამ იმის საბუთად მიიღეს, რომ ინგლისის ერმა აზრი იცვალაო და გუნება და გული ისევ გლადსტონისაკენ მოიბრუნაო. ეხლა გოშენი ამ სამინისტოს უნდა დაეთხოვოს, ან ისეთს საარჩევნო ოლქს წარუდგინოს თვისი კანდიდატობა, რომელიც

ცნობილია, ვითარცა ერთგული მომხრე კონსერვატორებისა. დღეს საქმე სალუსბერის სამინისტროსი ამაზეა შემდგარი და თუ აქაც თავისი სურვილი კვლავ არ აუხდა, ფეხთა ქვეშ მიწა მოულხვება. თუნდ ეგეც არ იყოს, მაინცდამაინც უქადიან სალუსბერის სამინისტროს, რომ დღე აღსასრულისა მოახლოებულია; დღესა თუ ხვალე, საქმე იქამდე მიაღწევს, რომ ან დღევანდელი პარლამენტი დაითხოვოს და ხელახლად დაეკითხოს ერსაო, ან სალუსბერი თავისი მომხრეებით უნდა გადადგეს და ბურთი და მოედანი გლადსტონს გადაულოცოსო. ამბობენ, რომ თუნდაც პარლამენტი დაითხოვონ და ახალი არჩევანი დანიშნონ, მაშინაც იმედი არ არის, რომ სალუსბერის სამინისტრომ გაიმარჯვოს და თავი დაიჭიროს, იმედი აქვთ, რომ ეხლა ინგლისის ერი გლადსტონის მომხრეებს ამოირჩევს საპარლამენტოდაო.

«ბულგარეთის საქმის მშვიდობიანად დამთავრების ცდა»

ტფილისი, 28 იანვარი.

ბოლგარიის საქმე იქამდე ინახეს გაუთავებლად, ვიდრე დიპლომატების ქსელი მრავალგვარად არ გაიბა ევროპაში დიდთა სახელმწიფოთა შორის. დღეს ევროპა ამ ქსელისაგან ისეა გაბლანდული, რომ თავი და ბოლო არ უჩანს. ის ოსტატი, რომელიც ხელში ათამაშებს მართულებს პოლიტიკისას, ხერხიანად ათამაშებს, როგორც ეტყობა. დღეს აქამომდე არევ-დარევის ერთადერთ მიზეზად ბალკანის ნახევარკუნძული ეპყრა ხელში და როცა ამ მიზეზმა სახელმწიფონი ერთმანეთში აშალა და ამ აშლის კორიანტელი ადგა, მაშინ სულ სხვა საგანზედ მიჰმართა თვალი და ყური ევროპისა. ამ სახით ბოლგარიის საქმემ თავისი სიცხარე დაჰკარგა და განელდა. დღეს ეს საქმე, რუსეთის ოფიციალური გაზეთის სიტყვით, სამშვიდობოშია გასული და შესაძლოა მარტო მოლაპარაკებითაც გათავდესო.

ამ იმედს იძლევა იგი გარემოება, რომ დრაგანი ცანკოვი, ეხლანდელის რეგენტების ოპოზიციის მოთავე, დიდმა ვეზირმა ოსმალეთისამ რუსეთის ელჩის ნელიდოვის დაკითხვითა მიიწვია სტამბოლში მოსალაპარაკებლადაო. იქავ უნდა მივიდნენ დეპუტატნიც ეხლანდელის ბოლგარიის მთავრობისა, რომელნიც ამას წინად ევროპაში გაგზავნილ იყვნენ და რომელნიც, გაზეთის სიტყვით, ვერაფერის ნუგეშით ვერ დაუბრუნდნენ ბოლგარიასაო. ოსმალეთმა ამ სახით იკისრა ცდა, რომ ბოლგარიის საქმე როგორმე დააბოლოვოს საყოველთავო სასიამოვნოდ. ამის გულისათვის სულთანის მთავრობამ მიჰმართა თვითვეულს დიდს სახელმწიფოს თხოვნითა, რომ თქვენს ელჩებს სტამბოლში უბრძანეთ, ამ მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღონო და მხარი მოგვცენო ბოლგარიის საქმის მშვოდობიანად გათავებისათვისაო. ეს თხოვნა მომეტებულმა ნაწილმა დიდთა სახელმწიფოთაგან არ იუცხოვა და თანაგრძნობით მიიღო. მარტო ერთი ინგლისი პირველ ხანებში ჰტოკავდა და თითქმის უარზედ იდგა. ეხლა ამბობენ, რომ რუსეთმა, ავსტრი-ვენგრიამ, იტალიამ, გერმანიამ და საფრანგეთმა თვითვეულმა თავ-თავის ელჩს დაავალა მონაწილეობა მიიღონ მოლაპარაკებაში და საქმის კეთილად წარმართვაში. ინგლისმაც უარი აღარა სთქვა მით უფრო, მისი ელჩი უაიტი ეხლა სხვარიგად გაეწყო ოსმალეთის მთავრობასთანა.

ზოგიერთი დიპლომატები ძალიან სცდილობდნენ, რომ ამ ელჩთა მოლაპარაკებას კონფერენციის სახელი არ ერქვას. ეს იმასა ჰნიშნავს, რომ ამ ელჩთა კრების განაჩენი, თუ რომელსამე დიდს სახელმწიფოს არ მოეწონა, შესაძლოა იმ სახელმწიფოს მიერ სავალდებულოდ არ იქნას მიღებული. მაშ რის მომასწავებელია ეს ამისთანა მოლაპარაკება, ეს ამისთანა კრება, თუ რასაც იტყვიან და რასაც დაადგენენ, ყველასათვის სავალდებულო არ იქნება? ორში ერთი: ამის დამწყობთ ან იმედი აქვთ, რომ იგი კრება ყველას სასიამოვნოდ და სახეიროდ გაათავებს საქმეს.....

«იტალიის მიერ მასსოვას დაპყრობის მცდელობა»

ტფილისი, 29 იანვარი

ამ რამდენიმე წლის წინად ყველა სახემწიფოს ევროპაში, დიდსა თუ პატარას, ერთი ციებ-ცხელება შეუდგათ საკოლონიო პოლიტიკისა, თითქო შინ საკუთარი და თავში საცემი საქმე გამოელიათო. საფრანგეთმა ტონკინისაკენ გაიწოდა ხელი და კარგა ბლომად ხარჯი ფულით თუ კაცით ზედ შეალია. ინგლისმა ბირმანიის იმპერიას ჩაჰკიდა ხელი და ამას გარდა აქედ-იქიდაც თვალი მოატრიალა, ხომ არ არის იმისთანა რამე, რომ ხელთ ვიგდოო. ისპანიას და გერმანიას ხომ რაღაც კოროლინის კუნძულებზედ კინაღამ ომიც არ აუტყდათ, თუ რომ პაპის შუაკაცობას არ ეშველა. ამ ციებ-ცხელებას არც იტალია გადურჩა. ამანაც გაიწია და აფრიკაში მეწამულის ზღვის პირას, აბისინიის ახლოს, მასსოვა დაიჭირა. ამბობენ, რომ იტალია აქ ინგლისმა წაიტყუა. ინგლისს მაშინ სუდანის დაჭერა უნდოდა, სადაც სახელოვანი და აწ განსვენებული მაჰდი, ახალი წინასწარმეტყველი მაჰმადიანთა, წინ აღუდგა მთელის ერითა. ამ მაჰდიმ ისე გაუჭირა საქმე ინგლისსა, რომ ინგლისმა აღარ იცოდა, რა ექმნა და მშველელს ეძებდა მეზობელთა შორის. ამ სუდანის საქმეში მარტო სამს სახელმწიფოს შეეძლო გარეულიყო, მარტო იმისთანა სახელმწიფოს, რომელსაც დიდი ინტერესი აქვს ხმელთაშუა ზღვაში, რადგანაც აფრიკას ამ ზღვაზედ მოუდევს თავი ჩრდილოეთით. ამისთანა სახელმწიფონი არიან ოსმალეთი, საფრანგეთი და იტალია. ოსმალეთი და საფრანგეთი ვერ მიეხმარებოდნენ ინგლისს, რადგანაც ორივ ესენი ამრეზილნი იყვნენ და დღესაც არიან ინგლისზედ ეგვიპტისა და სუეზის არხის გამო. დარჩა მარტო იტალია. ინგლისმა ოქროს მთები დაუქადა იტალიას, ზემოხსენებული მასსოვა და ამ გზით გააბა საქმეში. ინგლისს იმის იმედი ჰქონდა, რომ იტალია სამხრეთ-აღმოსავლეთით მოაწვება სუდანსა, მეც ზევიდამ წამოვალ და შიგ მოვიმწყვდევთ სუდანელებსაო. მართალია, იტალიამ მასსოვა დაიჭირა, მაგრამ ინგლისს სურვილი ვერ აუსრულდა. მასსოვაში ფეხის შედგმამ იტალიის მხრით აბისინიის ნიგუში /მეფე/ იოანე დიდი საგონებელში ჩააგდო. იოანეს არ ეჭაშნიკა იტალიის მეზობლობა და იტალიელებს დახვდა წინ ჯარითა.

ამ იანვარში იტალიაში მასსოვიდამ სულ ცუდი ამბები მოდიოდა. იმის გარდა, რომ იტალიის ჯარები წყდებოდა იმ ცხელ ქვეყანაში აუტანელის ჰავისა გამო, ხმები ისმოდა, რომ აბისინიის ჯარი მოდის იტალიელებზეო. ამ ხმებმა იძულებელჰყვეს იტალიის პარლამენტის დეპუტატნი ეკითხათ მთავრობისათვის, - რა ამბავია მასსოვაშიო. 12-ს იანვარს ამ კითხვაზედ იტალიის მინისტრმა რობილანმა პასუხი მისცა, რომ თუმცა, მართალია, აბისინიის ჯარი ჩვენს ჯარზედ მოდისო, მაგრამ ჩვენი გენერალი ჯენე, რომელსაც ჩვენი ჯარი აბარია მასსოვაში, იწერება, შიში არაფრისაა, რადგანაც საკმაო ღონე მაქვს უკუვაქციო აბისინელებიო. ამას თავისით რობინალმა ისიც დაუმატა, რომ ამ შიშის ხმებსა დიდი მნიშვნელობა არ უნდა მიეცესო. გენერალი ჯენე მარტო იმას ჰთხოულობდა, რომ 600 კაცი მომაშველეთ და მე გავუძღვები აბისინელებსა, მით უფრო, რომ არა მგონია ნიგუშმა იოანემ მტრობა შემოგვბედოსო.

13-ს იანვარს ამბავი მოვიდა იტალიაში, რომ აბისინიის სარდალი რასს-ალუდა დასცემია იტალიელებს მასსოვაში და 200 კაცით დაზარალებულა მაშინ, როდესაც იტალიელებს ხუთი კაცი მოჰკვდომიათ. ამ ამბავს სუაკიმიდამ ის ამბავიც მოჰყვა, რომ მასსოვაში არეულობა მოხდა და ომი იტალიელებსა და აბისინელთა შორის საცაა ასტყდებაო. 14-ს იანვარს რობილანი მაინც კიდევ არწმუნებდა პარლამენტს, რომ შიში არაფრისააო და რაც იქ ჯარი გვყავს, საკმაოა "ბარბაროზნი" უკუაქციოს დამარცხებულიო. 21-ს იანვარს ამბავი მოვიდა, რომ მასსოვის ახლოს საატისში აბისინელები თავს დასხმიან იტალიელებს და რაც აფიცრები ყოფილან იტალიის ჯარში, სულ გაუჟლეტიათ. სჩანს, ძალიან დამარცხებულა იტალიის ჯარი, თუკი ერთი აფიცერიც ვერ გადარჩენილა. ამ ამბის მიღებისვე უმალ იტალიის მთავრობა შესდგომია 600 კაცის მაგიერ, რომელთაც ჰთხოულობდა აწ დამარცხებული გენერალი ჯენე, ათიათასი კაცი ჩასხას ხომალდებში და მიაშველოს. ამისათვის ბრძანებაც გაიცა, რომ იტალიის გემხომალდებს თავი მოეყარათ ნეაპოლში ჯარების წასაყვანად. თუმცა იტალიის სენატმა, მოისმინა რა ეს სამწუხარო ამბავი, დადგინა, გამოეცხადოს სამინისტროს სრული ნდობა, მაგრამ მაშინვე ხმა დავარდა, რომ რობილანის სამინსტრო თავს ვეღარ დაიჭერსო. გუშინდელმა დეპეშამ გვაცნობა, რომ ეს ხმა გამართლდა და რობილანის სამინისტრო გადადგა. ეს ამბავი მით უფრო საყურადღებოა, რომ თავის ზედმოქმედებას იქონიებს ევროპის ეხლანდელს პოლიტიკაზედ, რადგანაც რობილანი ცნობილია, ვითარცა ერთგული მომხრე ავსტრიისა და, საცა გინდათ და არ გინდათ, ავსტრიას მხარს აძლევდა და სარჩლს უწევდა.

«"ზემსკი ნაჩალნიკის" შემოღების აუცილებლობა»

ტფილისი, 30 იანვარი

კარგა ხანია რაც შინაგანთა საქმეთა სამინისტროში შემდგარია ეგრეთწოდებული განსაკუთრებული კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს ხელახლად განხილვა კანონებისა, რომელთა კრებას ჰქვიან: "положение о уездныхъ учреждениахъ". ამ კომისიაში მიწვეულ არიან გუბერნატორები და თავად-აზნაურთა მარშლები. ამ კომისიას საჭიროდ დაუნახავს, ახალი თანამდებობა "ზემსკის ნაჩალნიკისს" და ამ საგანზედ დაწვრილებითი წესდება უკვე შეუდგენიათ, გვაუწყებენ მოსკოვის გაზეთები. შედგენილის პროექტის მიხედვით, "ზემსკის ნაჩალნიკებს" მიენდობათ გამგეობა ყოველის ადმინისტრატებურის და მაზრის პატრონობის საქმენი. უმთავრესი მოვალეობანი ამ ახალის თანამდებობისა არიან შემდეგნი: 1) "ზემსკის ნაჩალნიკები", უნდა იყვნენ მიუცილებელნი წევრნი სამაზრო და საგუბერნიო ერობათა კრებისა და მათზე იქნება დამოკიდებული წარმართვა საქმეთა, რომელნიც შეეხებიან ეკონომიურს ყოფა-ცხოვრებას თვითვეულის მხარისას. 2)"ზემსკის ნაჩალნიკებს" მიენიჭებათ ყოველივე ადმინისტრატებური ძალი და უფლება მომრიგებელ შუაკაცებისა /мировых посредниковъ/ და ამასთანაც უფლება გადახედვინებისა, თუ ვინიცობაა ვინმემ დაარღვია დადგენილი წესი. 3) გარდა ადმინისტრატებურის უფლებისა "ზემსკის ნა-

ჩალნიკებს” მიეცემათ განსამართლების უფლებაცა წვრილმან ბრალისა და დანაშაულობისათვის და მათვე ექვემდებარება სამოქალაქო საქმენიცა, თუ სადავო ს-აგანი ოცდაათს თუმანს არ აღემატება. 4) განზრახულია მომრიგებელ- მოსამართლენი გაუქმებულ იქმნან მაზრებში და მათი საქმენი უნდა სულ გადაეცეს “ზემსკის ნაჩალნიკებს”. 5) აპელაციის განსახილველად დადგენილია საერთო კრება “ზემსკის ნაჩალნიკებისა”, რომელნიც უნდა შეიყარნონ ხოლმე ყოველს თთვეს იმდენჯერ, რამდენჯერაც წინადვე იქმნება დაწესებული. 6) ამ “ზემსკის ნაჩალნიკებსვე” ვალად დაედებათ ზედამხედველობა იქონიონ, რომ აღსრულებულ იქმნან საერო კრებათა განაჩენები, რომელნიც შეეხებიან საზოგადო ჯანმრთლიანობას, გზების კეთებას და მშვიდობიანობის დაცვასა და პატრონობას.

განწესება “ზემსკის ნაჩალნიკებისა” ორგვარად უნდა მოხდეს: ა/ იმ გუბერნიებში, საცა თავადაზნაურთა არჩევანებია, “ზემსკის ნაჩალნიკები” უნდა ამორჩეულ იქმნენ ადგილობრივ თავად-აზნაურთაგან თავისის წრიდამ და ამ სახით ამორჩეულსა გუბერნატორი დაამტკიცებს და ბ/ იმ გუბერნიებში კი, საცა თავად-აზნაურთა წარმომადგენლობას საარჩევნო უფლება არა აქვთ მინიჭებული, “ზემსკის ნაჩალნიკები” დაინიშნებიან ადგილობრივ გუბერნატორთაგან და დამტკიცებული იქმნებიან შინაგანთა მინისტრისაგან, რაც შეეხება ჩინების მიღებას და ჯამაგირებსა, “ზემსკის ნაჩალნიკები” მომრიგებელ შუაკაცთა წესზედ იქნებიან იმ განსხვავებით, რომ ჯამაგირები რამდენადმე მეტი ექმნებათ ეხლანდელ ცხოვრების და მაზრისა და გუბერნიის მეტნაკლებობის მიხედვითა. “ზემსკის ნაჩალნიკები”პირდაპირ ექვემდებარებიან ადგილობრივს გუბერნატორს.

ეს ახალი თანამდებობა დაწესებულია მარტო იმ 36 გუბერნიისათვის, საცა საერო დაწესებულებანი უკვე მოქმედობენ. ეს თანამდებობა არ იქნება შემოღებული ამიერ-კავკასიაში, ვილენისა, კოვენისა, გროდნისა, მინსკისა და ვისლის მიდამო გუბერნიებში.

«აბისინიის სახელმწიფოს რაობა»

ტფილისი, 31 იანვარი.

ევროპის დიპლომატიამ, დაღალულმა და მოქანცულმა ბოლგარიის ტყუილუბრალოდ გაჭიანურებულ საქმისაგან და ელდაცემულმა საფრანგეთის და გერმანიის ერთმანეთზედ ამრეზილობისაგან, დღეს პირი იბრუნა იტალიისაკენ. აბისინელთა გამარჯვება იტალიელებზე მასსოვაში ახალ საცოხნელ საგნად შეექმნათ. თუმცა ეს ამბავი თვალად უმნიშვნელოა, მაგრამ დიპლომატია რაღაც კავშირსა ჰხედავს ამ ამბავისა და სახელმწიფოთა ერთმანეთში ხელახლად გაწყობის შორის. დეპრეტისის სამინისტროში საგარეო საქმეთა მინისტრობა ეჭირა რობინალს, კაცსა მეტად დაახლოებულს ავსტრიის დიდკაცობასთან და სხვაფრივადაც დიდს მომხრეს ავსტრიისას. ამ რობილანს აბრალებენ, რომ ბოლო თრიასავით აეთრია ამ ბოლოს ჟამს თავის ძველს მტერს ავსტრიასა, ავსტრიისა და ინგლისის პოლიტიკას კუდად გამოება და დააშორა საფრანგეთსა. რადიკალთა დასი იტალიისა მეტად სწუნობდა ამ პოლიტიკასა და როცა კი შემთხვევა ეძლევოდა, არა ჰზოგავდა სამინისტროს დეპრეტისისას გასაკიცხავად. ეხლა, როცა მასსოვიდამ მოსულმა ამბავმა მოინდო დეპრეტისის სამინისტრო და დეპრეტისი თავისი რობილანით გადადგა სამსახურიდამ, დიპლომატიას საბუთი მიეცა იმედი იქონიოს, რომ პოლიტიკა იტალიისა ევროპის საქმეებში ფერს

იცვლის და ამ ცვლილებას სხვა ახალი განწყობილება მოჰყვება დიდთა სახელმწიფოთა შორის, ესე იგი, ეხლა სახელმწიფონი სხვარიგად დაეწყობიან ერთმანეთშიო. ამ საბუთს, რასაკვირველია, თავისი სიმართლე აქვს, რადგანაც დეპრეტისისაგან დაცლილს მოედანს სამინისტროისას დაიჭერს რადიკალთა დასი, რომელსაც გული უფრო საფრანგეთისაკენ მიუწევს, ვიდრე სხვა ვისმესაკენ, და ავსტრიასა და ინგლისსა, იტალიაზედ დაიმედებულთ, ფრთა აეკვეცებათ.

თუმცა შორეული ამბავია, მაგრამ მეტი არა გვგონია, ჩვენს მკითხველებს მოკლედ მაინც ვაუწყოთ რა არის მასსოვა, რად დაიჭირა იგი იტალიამ, რად გამოიდვა თავი აბისინიამ იტალიელების საპირისპიროდ და თვით აბისინია რა ქვეყანაა.

აბესინია, აბისინია, ანუ ჰაბეში ძველს დროში ცნობილია ეფიოპიად. იგი მდებარეობს აფრიკის აღმოსავლეთის მხარეს, მეწამულის ზღვის პირას. უჭირავს 16.000 ოთხკუთხი მილლი და ხუთი მილლიონი მკვიდრი ჰყავს. იგინი ქრისტიანები არიან მართლმადიდებელნი, ებრაელთა და მაჰმადიანთა რჯულისანიც არიან ზოგან. სატახტო ქალაქს აბისინიისას გონდარი ჰქვიან. მეთვრამეტე საუკუნემდე აბისინია ერთს დიდს სახელმწიფოს შეადგენდა ერთის მეფის* ბრძანების ქვეშ. მას მერმედ მთლიანობა სახელმწიფოსი დაიბზარა და დაიყო ცალ-ცალკე სამეფოებად და სამთავროებად. ამათ შორის სხვებზედ უფრო ძლიერი იყო ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ სამეფო ტიგრე, ამგარა, რომელსაც გონდარი ეჭირა, ტაკაცეს მდინარედგან დასავლეთისაკენ და სამხრეთით შოა. ამ უკანასკნელ დროთა განმავლობაში გონდარის ბრძანებელმა, სახელად ყაზიმ, დაიპყრო მომეტებული ნაწილი აბისინიისა, 1855 წელს დაამარცხა მეფე ტიგრესი და აბისინიის ტახტზედ ავიდა მეფედ და სახელად თეოდორე დაირქვა. ამ თეოდორეს

* მეფეს იმათებურად ნეგუსი ჰქვიან.

ძლევამოსილებას გადაურჩა მხოლოდ სამეფო შოა, რომელიც დღესაც დამოუკიდებელი სამეფოა და რომელმაც ყურადღება მიაქცია ამ ბოლოს ხანებში, როცა იტალიელებსა და აბისინელებს შუღლი ჩამოუვარდათ. ამ შოაში მეფედ მენელიკია. მენელიკი დაიბადა 1818 წ. გამეფდა 1841 წელსა. მენელიკს თავისი შთამომავლობა გამოჰყავს მეფე სოლომონისა და დედოფალ სავასაგან. ეს კი ნამდვილად ცნობილია, რომ როცა წმინდა ფრუმენტიმ შეიტანა ქრისტიანობა აბისინიაში, წინაპარნი მენელიკისა უკვე მეფობდნენ შოას. როცა მერე მეთექვსმეტე საუკუნეში აბისინიაში გამეფებულმა გვარეულობამ მიიღი კათოლიკეთა სარწმუნოება, მაშინ შოას მეფე იაკობი კათოლიკედ მოინათლა. მას შემდეგ იეზუიტებსა და აბისინიის მეფეს ჩხუბი მოუვიდათ და აბისინიის მეფემ უარყო კათოლიკეთა სარწმუნოება. ამის მაგალითსვე მიჰყვა შოას სამეფო გვარეულობაცა. თვითონ მენელიკი კი, ეხლანდელი მეფე შოასი, ძალიან თანამგრძნობელი და შემწეა კათოლიკეთა სარწმუნოების მისიონერებისა და ამის გამო ეხლანდელმა პაპმა 1879 წელს გაუგზავნა ოქროს გვირგვინი. იტალიის ხელმწიფემ ნიშანი მისცა. 1868 წელს, როცა ინგლისელები დაეცნენ მალაგას, მაშინ მენელიკმა არ მიაშველა ჯარი ნეგუსს თეოდორეს და ამით იგი შემოიმწყრალა. თუმცა მენელიკი დამოუკიდებელი მეფეა, მაგრამ აბისინიის მეფის წინაშე ერთი ვალდებულება აქვს: ომის დროს ჯარით უნდა მიეშველოს ხოლმე. აი რა მხრით არის მეფე შოასი მენელიკი საფერებელი და ხელში დასაჭერი იტალიელებისათვის, როცა აბისინელთა და იტალიელთ შორის ჩხუბია. რა თქმა უნდა, რომ ამ სახით შოას სამეფოს დიდი მნიშვნელობა აქვს დღეს, როცა იტალია და აბისინია ერთმანეთს ჰლამიან დატაკებას. იტალიელები ყოველს ღონისძიებას, ყოველს ოსტატობას იხმარებენ, რომ მენელიკი მოიმხრონ და ამ გზით ციხე აბისინიისა შიგნიდამვე გასტეხონ.

რასაკვირველია, ყოველს ამას თავისთავად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ევროპიის პოლიტიკისათვის, მაგრამ რადგანაც იტალია ძალაუნებურად გაებმის აფრიკის საქმეში, ჯარი ამაზედ უნდა მოაცდინოს, დიდი ხარჯი გასწიოს, ვეღარ მოიცლის ევროპიის საქმეთათვის და ისე ხელგახსნილად ვეღარ იმოქმედებს, როგორც აქამდისა. ყოველ ამას ის უნდა მოჰყვეს, რომ ევროპიის დიპლომატთა სათვალავში იტალია იმოდენა ადგილს ვეღარ დაიჭერს, რომ ბევრად მისაღები იყოს ანგარიშში. ჩვენც ამ მხრით მივაქციეთ ამ ამბავს ყურადღება და შემდეგს წერილში ვეცდებით დანარჩენი გარემოებანიც ამ საქმისა ავხსნათ.

«იტალიისა და აბისინიას შორის ურთიერთობის გამწვავება მასსოვას გამო»

ტფილისი, 3 თებერვალი

ქალაქს მასსოვას უჭირავს ერთი პატარა კუნძული მეწამულის ზღვაზედ აფრიკაში. ეგ ადგილი, მდებარე აბისინიისა და მეწამულის ზღვის შუა, ერთადერთი კარია შესასვლელი აბისინიაში ზღვიდამ და მაგისთანა კარგი და მარჯვე ნავთსადგური მის ახლო-მახლო სხვა არ არის მეწამულის ზღვაზედა აბისინიისათვის. რაც კი ვაჭრობა და აღებ-მიცემობაა აბისინიასთან, სულ ამ ქალაქით მიდის და მოდის. ვაჭრობას გამოაქვს აბისინიიდამ ტყავი, ყავა, წმინდა სანთელი, სპილოს ძვალი, თაფლი, ერბო, რქოსანი საქონელი, ჯორ-ცხენი, ოქრო, თამბაქო და სირაქლემას ფრთა, რომელიც კაი ფასად იყიდება ევროპაში, - და შეაქვს აბისინიაში უფრო თოფ-იარაღი, აბრეშუმისა და ბამბის საქონელი. 1881 წლის ცნობიდამა სჩანს, რომ თითქმის სამის მილლიონის მანათის ვაჭრობა ჰქონია ევროპას აბისინიასთან.

მასსოვა სუაკიმთან ერთად ზღვისნაპირა ადგილია და ძველადგანვე ეკუთვნოდა აბისინიას, მეთექვსმეტე საუკუნეში ეს ადგილები დაიპყრო ოსმალეთმა და 1865 წ. დაუთმო ეგვიპტესა. შარშან 8-ს თებერვალს

იტალიამ არც აიღო, არც დაიღო, მივიდა და დაიჭირა მასსოვა იმ განზრახვით, რომ მასსოვას მდებარეობის შემწეობით ხელთ იგდოს უკეთესი ნავთსადგური მეწამულის ზღვაზედ და აქედამ გზა გაიხსნას ვაჭრობისათვის აბისინიასთან. ჯერ მაშინვე ამბობდნენ, რომ ეს ძალმომრეობა გამოიწვევს ჩხუბსა აბისინიასთან, რადგანაც ეს მასსოვა ერთადერთი კარია, რომ აბისინიამ რიგიანი აღებ-მიცემობა იქონიოს ევროპასთან. იტალია ბევრს ეცადა, რომ როგორმე მოეგო გული აბისინიის ეხლანდელის მეფისა იოანნესი, მაგრამ მეფე იოანნე ვერასგზით ვერ მოინადირეს. იტალიის ხელმწიფემ ჰუმბერტმა მოციქულიც გაუგზავნა გენერალი პოლოცინი დიდის საჩუქრებითა და ძღვენითა. მაგრამ იოანნემ უარი შემოუთვალა და არ მიიღო მოციქული. იმ დღიდან აქამომდე ყოველდღე მოელოდნენ, რომ აბისინია და იტალია ერთმანეთს დაეძგერებიანო და მართლადაც დაეძგერნენ.

იტალიელებმა, მართალია, კარგად გაამაგრეს მასსოვა და გარეშამო დიდსა და პატარა მანძილზედ, საცა საჭირო იყო, ციხე-სიმაგრენი ამართეს, მაგრამ ჯარი კი მეტად ცოტა ჰყვანდათ. გენერალი ჯენე, რომელიც წინამძღვრობს იქაურს ჯარსა, მეტად ეკადნიერებოდა აბისინიელებს, თითქმის არარად აგდებდა და მარტო 4.500 კაცით იმედოვნებდა უკუქცევას აბისინიელებისას, უკეთუ იერიშს მოიტანდნენ. 15-ს იანვარს ტიგრესის ვიცე-კოროლი რას-ალული დასცემია იტალიელებს მასსოვასთან, აუღია წინა ციხე-სიმაგრენი, იტალიის ახალ-მოშენენი გაუჟლეტია ასე, რომ 480 კაცოდამ 50-ღა გადარჩენილა. ამ ამბავმა მოაღწია თუ არა რომამდე, დიდი ალიაქოთი ასტეხა რომში. შეიყვანა მაშინვე პარლამენტი და პარლამენტს იმოდენა გაბოროტებული ხალხი დაედო, რომ მთავრობა იძულებულ შეიქმნა ჯარი შემოერტყა პარლამენტისათვის რიგისა და წესის დასაცავად. ხალხი თურმე ჰყვიროდა, "განაძეთ დეპრეტისი, მასსოვის დამნაშავეო". დეპრეტისი მთავარი მინისტრია იტალიისა

და, როგორც დეპეშიდამ ვიცით, დღეს ამის გამო უნდა გადამდგარიყო მინისტრობიდამ, ეს ამბავი რომ ავსტრიაში მივიდა, მეტად შეწუხდნენ, ადვილად მისახვედრიც არის რადაც. დეპრეტისი და საგარეო საქმეთა მინისტრი რობილანი დიდნი მომხრენი და ამყოლნი იყვნენ ავსტრიისა და გერმანიისა. ამათი გადადგომა და ამ სამთა სახელმწიფოთა შორის კავშირის ცოტად თუ ბევრად შერყევა ერთია.

თუმცა ზოგნი გავლენიანნი კაცნი დიდი ხანია იძახოდნენ, დავანებოთ თავი მასსოვას, რა ხელი გვაქვს იქა და ან რა სარგებლობას უნდა მოველოდნეთო, მაგრამ ეხლა, როცა ასეთი მარცხი მოუვიდათ და აბრუს გატეხა აფრიკაში ემძიმებათ, ამიტომაც თითქმის ერთხმად გადაწყვიტეს, რომ ჯარი მიაშველონ გენერალ ჯენეს ათი ათას კაცამდე მაინც. დღეს იტალია ამ ჯარების გადაყვანის თადარიგშია მით უფრო, რომ ანბავი მოსულა, თვითონ აბისინიის მეფე იოანნე მოდის იტალიელებზედ დიდის ლაშქრითაო. დღეს აქამომდე იტალიელებს ეს მოუხერხებიათ, რომ შოას მეფე მენელიკი მოუბირებიათ და მომხრეთა ჰყავთ. ამბობენ, მენელიკს დაჰპირებიან, აბისინიის მეფეს იოანნეს ტახტს წავართმევთ და შენ აგიყვანთ აბისინიის მეფის ტახტზედაო. რა თქმა უნდა, რომ მენელიკი ამის იმედით ყოველს ღონისძიებას იხმარებს იტალიელების შეწევნისათვის. ამ სახით, უეჭველია, რომ აბისინიას და იტალიას ერთმანეთში ომი აუტყდებათ და რით გათავდება, ვინ იცის. იტალიისათვის ეს ომი მეტად უხერხულს დროს მოდის. ევროპაში საქმეები ისე დახვლანჯილია, რომ იტალია ორისავე თვალით აქედიქით უნდა იყურებოდეს, იმისთანა არა მოხდეს რა, რომ იტალია ცარიელზედ დასვან და რაიმე განსაცდელი შეამთხვიონ. რაკი იგი აბისინიასთან ომში გაებმის, ევროპიის საქმეთათვის იგი ისე ხელგახსნილი არ იქმნება, როგორც აქამდის იყო. გარდა ამისა, თუ დეპრეტისის მაგიერ რადიკალთა დასის კაცთ ჩაიგდეს სამინისტრო, მთელი პოლიტიკა იტალიისა, რომელიც

დღეს აქამომდე გერმანიისა და ავსტრიის კუდად იყო, სულ სხვა სახეს და მიმართულებას მიიღებს. აი, ამიტომა ვსთქვით წინა წერილში, რომ ეს მასსოვის ამბავი თავის ზედმოქმედებას იქონიებსო სახელმწიფოთა შორის გაბმულ და დახლართულ სადიპლომატიო ქსელზედაო.

«დაძაბული პოლიტიკური ვითარება ევროპაში»

ტფილისი, 4 თებერვალი.

ის გაჭირებული მდგომარეობა, რომელმაც ამ რამდენისამე ხნის წინად შეაფიქრა მშვიდობისმოყვარენი ევროპაში, ზოგირეთის სიტყვით, ეხლა საკმაოდ განელდა და მშვიდობიანობისაკენ მიდრიკაო. ზოგნი კიდევ მაინც იძახიან, რომ განსაცდელის ღრუბელი ჯერ არ გადუყრია საპოლიტიკო ცასაო და განსაცდელი მაინცდამაინც მოსალოდნელიაო. მშვიდობიანობის მსურველნი და მოყვარენი იძახიან, რომ სულ ტყუილი ფართი-ფურთი იყოვო, რასაც აქამდე ან ერთი ან მეორე მხარე ქადულობდა. ბისმარკს შინ საქმე გაუჭირდაო და იძულებულ შეიქმნა შიშის ზარით ემოქმედნა თავისის სიტყვის და სურვილის გასაყვანად გერმანიაში, რომელიც მის მიერ მოწვეულია ახალის რეიხსტაგის დეპუტატთა არჩევანისათვისაო და თუ ამ შიშმა ეს სამსახური გაუწია ბისმარკსა, მერე ყოველისფერი დალაგდება და დაწყნარდებაო.

ომიო, იძახიან სხვანი, მარტო მაშინ ასტყდებაო, თუ ბისმარკი მოიწადინებსო და ამასთანაც უმატებენ, რომ ბისმარკი საქვეყნოდ ამბობსო, ომი სულაც არ უნდა გერმანიას და გერმანია პირველი არ ამოიღებს ხმალს ქარქაშიდამ, თუ ზედ არ მოესევა ვინმე და მაშინ მეტი რა გზაა, მტრის მოსაგერებლად მზად უნდა ვიყვნეთო. ამ სახით სჩანს, ვითომ გერმანიის მხრით

მოსალოდნელი არ არის რაიმე უეცარი განსაცდელი. იქით საფრანგეთი თავის ბედის გამგებელთა კაცთა პირით დღე მუდამ არწმუნებს ქვეყანასა, რომ მშვიდობიანობის მსურველია და არავითარი შიში არ მოელის ამ მშვიდობიანობასაო. ეხლახან საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ფლურანსს გამოუცხადებია, რომ ჩვენის ელჩებისაგან მიღებულმა ამბებმა სრულიად გადაგვიყარეს ყოველივე შიში მშვიდობიანობის დარღვევისაო. ბოლგარიის საქმეა და ამაზედაც ამბობენ, რომ იმედია აქაც ევროპა სამშვიდობო გზაზედა სდგასო, იმედია, არც ეს საქმე ჩააგდებს ევროპას განსაცდელშიო და ყველაფერი ყოველთა სასურველად გათავდებაო. ავსტრიამაც, თუმცა დელეგატებიც მოიწვია, რომ ჯარისათვის 25 მილლიონი გამოსთხოვოს და გარდა ამისა მომეტებულის დახარჯვის ნებაცა, თუ ვინიცობაა საქმეთა ვითარება და საჭიროება მოითხოვს, მაგრამ იგი ავსტრიაც კი ანუგეშებს ქვეყანას, რომ შიში არაფრისაო და თუ ჩვენ ვემზადებით, მარტო იმისათვის, რომ ყოველ შემთხვევისათვის მზად ვიყვნეთო. ერთის სიტყვით, საიდაც კი მიიხედავთ, ყველანი იმას იძახიან, რომ მშვიდობის წყურვილია ჩვენი წყურვილი და სახელმწიფოს გამგებელნი კაცნი რაც ძალი და ღონე აქვთ იძახიან, საშიშარს ხმებს არავითარი საბუთი არა აქვს და სულ ყველაფერი მოგონილი ამბავია მარტო იმისათვის, რომ ბირჟას ელდა სცენ და ხარბმა კაცებმა ბირჟაზედ მოთამაშეებმა, ამ არევდარევაში ხელი მოითბონ.

რასაკვირველია, ეს შიშის ხმები ჟურნალ-გაზეთობამ მოჰფინა ქვეყანაზედ და არც ის არის საკვირველი, რომ მთელი ოფიციალური ევროპა ეგრე გულმოდგინედ უარჰყოფს იმ ხმებსა და ქვეყანას ამშვიდებს, არაფრის შიშიაო. აქ ერთი მოსწრებული სიტყვა ბისმარკისა გვაგონდება. ჟურნალ-გაზეთობის მიერ მოფენილს ხმას ნუ დაიჯერებთ იმ დრომდე, ვიდრე ოფიციალურად უარყოფილ არ იქმნესო, სთქვა ერთხელ ჭკვამახვილმა ბისმარკმა.

«ბისმარკის ავტორიტეტის შესუსტება გერმანიაში»

ტფილისი, 5 თებერვალი.

თ. ბისმარკი, ეტყობა, ეხლა ისე ყოვლად ძლიერად არა ჰგრძნობს თავის თავსა გერმანიაში, როგორც აქამდე ყველას სამართლიანად ეგონა. რაკი კაცს საქმე ისე გაუხდება, რომ სხვას უნდა შეეხვეწოს, მომეხმარეო, ის მაგრად არ უნდა იდგეს ფეხზედ და იმედი თავისით გამარჯვებისა და ძლევისა ცოტად თუ ბევრად შერყეული უნდა ჰქონდეს. თავადმა ბისმარკმა აწ დათხოვნილ რეიხსტაგში მუქარა გაუწია შუაგულის დასის კაცთა, რომელთაც ვიდჰორსტი ჰწინამძღვრობს და რომელნიც ვით კათოლიკენი პაპის ყურმოჭრილნი მონანი არიან, რომ თუ ვინიცობაა "შვიდწლეულს" სამხედრო კანონს არ დაამტკიცებთ, პაპის სამდურავს დაიმსახურებთო. ეს მუქარა გაუწია რეიხსტაგს იმ კაცმა, რომელიც რამდენისამე წლის წინად თამამად იძახდა, რომ პაპს არავითარი ნება და საბუთი არა აქვს გერმანიის შინაურ საქმეებში რაიმე ხმა და გავლენა იქონიოსო. ეხლა თვითვე იწვევს პაპს მასზედ, რაზედაც წინად თავგამოდებით უარს ეუბნებოდა და არას გზით არ იწყნარებდა.

რა თქმა უნდა, ამ მუქარამ, ფრიად სასიამოვნომ ვატიკანის თავმოწონებისათვის, პაპის ყურამდე მიაღწია და ხერხიანი, გამჭრიახი პოლიტიკა კათოლიკეთა უმაღლესის სამღვდელოებისა გააცოცხლა მოქმე-

დებისათვის. საკვირველიც არ არის, რაკი ბისმარკისავით ძლიერი კაცი თავისის სახელითა, უეჭველია პაპს, ბევრს მწარე დღის მნახველს, ეს გარემოება ნებას მისცემდა ეთქვა, სჩანს მეც კიდევ ერთი რამ ვყოფილვარ ქვეყანაშიო, და ამ გარემოებას მოქმედებაც უნდა მოჰყოლოდა, რომ პაპის სახელი და მნიშვნელობა ძირს არ დაშვებულიყო, ეგრეც მოხდა. პაპის კანცელარიიდამ, ბისმარკისავე თხოვნით და მეცადინეობით, ეპისტოლე მიუვიდათ გერმანიის რეიხსტაგის შუაგულის დასის მოთავეთა და წინამძღვართა. ამ ეპისტოლეში პაპი ურჩევდა შუაგულს დასსა, მიეღოთ "შვიდწლეული" სამხედრო კანონი. ამ სახით სურვილი ბისმარკისა აღსრულებულ იქმნა. ხოლო საკვირველი ის არის, რომ ამ ბოლოს ხანამდე ეს ეპისტოლე არსად იყო დაბეჭდილი და მხოლოდ ამ უკანასკნელ დღეებში საჭიროდ დაინახეს დაებეჭდათ. ყველას უკვირს ეს ამბავი და ვერავინ ვერ მიმხვდარა, რად არ დაიბეჭდა მიღებისვე უმალ. ზოგი ამას ამბობს, რომ თვითონ ეპისტოლეში იყო ზედმიწერილი, რომ უნდა დაიბეჭდოს, რადგანაც ბისმარკისათვის ისიც საკმაოა, რომ პაპმა წერილით გამოაცხადა იგი, რაც ბისმარკს სწადდაო. ზოგი იმას აბრალებს, თვით შუაგულის დასის წინამძღვართა საჭიროდ არ დაინახეს იმისთანა წერილის დაბეჭდვა, რომელიც ასე თუ ისე იმოქმედებდა ეხლანდელს არჩევანებზეო.

ბისმარკი, როგორც მოგეხსენებათ, იმისთანა კაცია, რაკი ერთხელ გაიწევს, ბოლომდე გაიწევს და შუა გზაზედ არ გაჩერდება. ამ მხრით მისი მხნეობა და ჟინი უკან დაუხეველია. იმდენი იმეცადინა ბისმარკმა, რომ საწადელი აისრულა: არამცთუ პირველი ეპისტოლე დააბეჭდინა, რომ ქვეყანამ წაიკითხოს, არამედ მეორეც კი დააწერინა პაპის კანცელარიასა და მაშინვე დააბეჭდინა. ეგ მეორე ეპისტოლე კარდინალის იაკობინის სახელით არის დაწერილი პაპის წარმომადგენელთან მიუნხენში. ეს უკანასკნელი ეპისტოლე ორ ნაწილად განიყოფება: ერთში მოხსენებულია, რომ

წმინდა პაპი საჭიროდ ჰხედავს რეიხსტაგში უსათუოდ არსებობდეს შუაგულის დასი და ამ დასს იგი აძლევს სრულს თავისუფლებას როგორც ჰსურდეს, ისე იმოქმედოს საპოლიტიკო საქმეების გამო. მეორეში კარდინალი იაკობინი იხსენიებს "შვიდწლეულს" სამხედრო კანონსა და ამის თაობზედ ამბობს:

"თუ წმინდა მამამ საჭიროდ სცნა გამოეცხადებინა თავისი აზრი და სურვილი ამ "შვიდწლეულის" კანონის შესახებ, ამისი მიზეზი ის არის, რომ მაგ კანონზედ დამოკიდებულნი არიან საქმენი სარელიგიო და საზნეო მნიშვნელობისანი".

ეს სიტყვები ასე ითარგმნება მდაბიო სიკვდილის შვილთა ენაზედ: მაისის კანონები, რომელიც ბისმარკმა ძალმომრეობით შემოიტანა გერმანიაში კათოლიკეთა სამღვდელოების შესახუთავად და აბრუს გასატეხად, ჩვენ ხეირს არ გვაყრისო. ამიტომაც "წმინდა ტახტს პაპისას ჰსურს აამოს იმპერატორსა და ბისმარკსაო".

შუაგულის დასის მოთავეებმა ყურიც არ შეიბრტყეს არც პირველ ეპისტოლეზედ, არც მეორეზედ. იმათ პირდაპირ გამოაცხადეს, რომ ჩვენ ვემორჩილებით წმინდა პაპს მარტო სასულიერო საქმეში და საერო საქმეებში კი იმას ჩვენთან ხელი არა აქვსო; აქ მარტო ერის მონდობილობა წინ მიგვიძღვის და ჩვენი საკუთარი სინდისიო, სხვა ვერარა ძალი ვერ შეარყევს ჩვენს ნებასაო. მეორე ეპისტოლე კარდინალის იაკობინისა ხომ ისე ოსტატურად გამოიყენეს ბისმარკის წინააღმდეგ, რომ მეტი აღარ იქნება. ჯერ პირველში, როცა დაიბეჭდა ეს ეპისტოლე, ყველას ეგონა, რომ რაკი ასეთია სურვილი პაპის, დათხოვნილის რეიხსტაგის უმრავლესობას მთელი შუაგული დასი ჩამოეცლება და გამარჯვება არჩევნებში ბისმარკს დაჰრჩებაო. მაგრამ ვინდჰორსტმა, შუაგულის დასის წინამძღოლმა, ძალიან უხერხა და არა გვგონია ეს

ხერხი ძალიან ეჭაშნიკოთ ბისმარკის მომხრეებსა. ამას წინად კელნში კრებაზე შეიყარა ხუთი ათასი კაცი. ვინდჰორსტს აქ სიტყვა უნდა წარმოეთქვა და ყველანი მოუთმენლად ელოდნენ, რას იტყვისო იაკობინის მიერ გამოცხადებულ პაპის სურვილის გამოვო. ვინდჰორსტმა მეტად მახვილგონივრად და მოსწრებულად აუხსნა კრებას ეპისტოლეში მოწერილი საქმე: პაპი ხომ სრულს თავისუფლებას გვაძლევს საპოლიტიკო საქ-მეებში, ჩვენც ამაზედ მეტი არა გვინდა რაო. ეპისტოლე იაკობინისა მარტო იმისათვის არის დაწერილი, რომ "აამოს და ასიამოვნოს იმპერატორსა და ბისმარკსაო". ამას თვითონ იაკობინივე ბრძანებს და ამტკიცებსო: ეს ამოვნება ამოვნებად დარჩეს და ჩვენ ჩვენი ვიმეცადინოთ, ამას ჩვენ პაპი არ გვიშლისო. აი, ესე ოსტატურად გამოიყენა ვინდჰორსტმა ის ფანდი, რომელიც მისის დასის საძლევად იყო განზრახული.

თუნცა დღეს საქმე ამ ყოფაშია, მაგრამ მაინც წინად ვერ ითქმის, ბურთი და მოედანი არჩევნებში ვის დარჩება: ბისმარკს, თუ პარლამენტარსა? უფრო ბევრი ნიშნები კია, რომ ბისმარკი ერთხელ კიდევა სძლევს. ჩვენ ეს ამბავი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ სხვაფრივ არის საგულისხმიერო, სახელდობრ, იმ მხრივ, რომ ბისმარკს ძალიან გაჭირებია შინ საქმე, რადგანაც პაპის უღონო კალთასაც კი მოჰკიდებია. ეს გაჭირება ბისმარკისა მით უფრო ძლიერია, რომ მოხუცებული იმპერატორი ვილჰელმი დღეს ისე თანაზიარი არ არის ბისმარკისა, როგორც აქამდის იყო. იმპერატორს არა ჰსურს თურმე დანარჩენი დღეები ჩაიმწაროს ან იმით, რომ სამტროდ გამოეკიდოს რომელსამე სახელმწიფოს გერმანია, ან იმით, რომ შინ თავის ერთან რაიმე განხეთქილება რამ ჩაუვარდეს პარლამენტის გამო. ამბობენ, ამ ხანებში უბძანებია, რომ არავითარს საქციელს სამინისტროსას არ შეიწყნარებს, თუ რამ საკონსტიტუციო წეს-წყობილების წინააღმდეგი იქნებაო. ამ სიტყვებს იმპერატორისას ჰხდიან მიზეზად, რომ ბისმარკმა ამ ბოლოს ხანებში თითქმის არც ერთი

შემთხვევა არ დაჰკარგა, რომ არ ეთქვა, მე ფიქრადაც არ გამიტარებია საკონსტიტუციო წეს-წყობილებისას გადავცდე მაშინაც კი, როცა გაჭირება თავის უმწვერვალესს წერტილამდე მივაო. ასეა თუ ისე, დღეს გერმანიაში დიდმა ტკივილმა იჩინა თავი და რა წამალს დასდებს თავის თავს გერმანიის ერი, ეხლანდელი არჩევანები გამოაჩენენ. ეს აშკარად შესამჩნევია, რომ დღეს ბისმარკს სიტყვა ისე აღარ უჭრის გერმანიაში, როგორც უწინ და მის აქამდე ძლევამოსილს მსვლელობას ისე უეკლოდ სავალი აღარა აქვს.



«ერმოლოვი და ჩრდილო-კავკასიის ღვინოები»

ტფილისი, 6 თებერვალი.

ბ-ნი ა. ს. ერმოლოვი, თუ არა ვცდებით, შარშან თუ შარშანწინ გამოგზავნილი იყო სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსაგან კავკასიაში აქაურის ღვინის კეთების საქმის შესასწავლად და საცოდნელად. ბ-ნი ერმოლოვი კარგა ხანს ყოფილა იმიერკავკასიის მხარეს, ყიზლარში და სხვაგან ჩრდილო კავკასიაში, საცა ვაზი ჰხეირობს და ღვინო მოდის, ამიერკავკასიასაც სწვევია, მაგრამ ცოტა ხნით, როგორც გვახსოვს, ეგრეც უნდა ყოფილიყო, თუ თქვენც იტყვით: ამიერკავკასიაში ვენახებიც ბევრია, ღვინოც ბევრი და კარგიც მოდის, და ვისაც ღვინის კეთების ნახვა და გასინჯვა უნდა, აქ კი არ უნდა მომცდარიყო დიდის ხნით დაყოვნებით, აქ კი, საცა ბოღაზია ღვინისა, არ უნდა დაჰკვირვებოდა გასასინჯად და საცოდნელად ღვინის კეთების საქმესა, არამედ იქ, საცა ჭყაპურტა ღვინო მოდის, "ჩიხირად ცნობილი, და საცა ყურძნის წვენის ღვინოდ ქცევისათვის ბევრი სხვა მასალაა კიდევ შესარევი და სამატი. მაგრამ კაცია და გუნებაო, ნათქვამია, ბ-ნ ერმოლოვს ასე უნებებია და ამიტომაც მისი ნაკვლევი, ნახული და ნაცადი, უფრო ჩრდილო კავკასიის ღვინის კეთებას შეეხება, ვიდრე სამხრეთისას.

28-ს ამ იანვრისას ერთს საზოგადოების კრებაში* ბ-ნს ერმოლოვს ამ იმიერკავკასიის ღვინის კეთების საქმეზედ ულაპარაკნია. ჯერ ყველაზედ უწინარესად ბ-ნს ერმოლოვს შეუდარებია სიკეთე იმიერკავკასიის ღვინოებისა ამიერის ღვინოების სიკეთესთან და უთქვამს, რომ პირველსახედ ამიერკავკასიის ღვინოებისად ცნობილია კახური ღვინო, მაგრამ ეს ტყუილი ბრძანებაო, რადგანაც ამიერკავკასიის ღვინოები მრავალგვარნი არიან და ამათში კახური უფრო გავრცელებულიაო, ხოლო ეხლა სხვაგვარ ღვინოებსაც ბაზარი ეხსნებაო. უმთავრესი თვისება ჩრდილო კავკასიის ღვინოებისა ის არის, რომ არავითარი განსხვავებული, განსაკუთრებელი თვისება არა აქვთო, და ამიტომაც შესაძლოა მათი მსგავსი ღვინო განგებაც გაკეთდესო (подделка), რა გემოსაც გინდათ, რა ფერსაც, ყველაფერს ითვისებს და იშვნევსო. ეს ართვისებობის თვისება, ბ-ნ ერმოლოვის სიტყვით, იმითია კარგი, რომ ჩრდილო კავკასიის ღვინოები უფრო ადვილად შესაკეთებელია; თუ ცოდნით და კარგად შეკეთდებაო, იმისთანა ღირსებას მიიღებს, რომ სასიამოვნო იქნება იმათთვის, ვინც უცხო ქვეყნების ღვინოებს შესჩვევიაო. იმიერკავკასიის ღვინო ბევრით უკეთესია ამიერისაზედ, ამიერკავკასიის ღვინო, ღვინო კი არ არის, მარტო ღვინის მასალაა, რომლისაგანაც შესაძლოა კაი ღვინის დაყენებაცაო და სხვანი და სხვანი ამგვარნი. როცა ამაებსა და ამის მსგავს ჰკითხულობთ, ჰკვირობთ და გაოცებით ჰკითხავთ თქვენს თავს: ნუთუ ამგვარების ცოდნისათვის საჭირო იყო კავკასიაში წამოსვლა პეტერბურგიდამ? რად გარჯილა? განა ეს ცნობანი თვითონ პეტერბურგში კი ვერ მოიკრიფებოდა? მაგრამ ვინ იცის? იქნება ბ-მა ერმოლოვმა ბევრი იმისთანაც აღმოაჩინა ან ამიერ ან იმიერ კავკასიაში, რომელიც მარტო ადგილ-

* 2-ое отделение Императорского Волъно-екологического Общества.

ზევეა შესაძლო აღმოსაჩენად. თუ ასეა, ბრალი ჩვენის სამდურავისა იმ გაზეთს უნდა დაედვას, რომელმაც ჩვენ მარტო ამისთანა ცნობანი გადმოგვცა ბ-ნ ერმოლოვის ნათქვამისაგან.

ეს კია, რომ ბ-ნ ერმოლოვს ყურადღება მიუქცევია იმისათვის თუ, რა არის საჭირო ღვინის კეთების წარმატებისათვის კავკასიაში, ოცი საგანი დაუსახელებია, რომლის ძალითაც შესაძლოა განკარგება და წარმატება ვენახისა და ღვინის კეთებისა ღვინის აღებმიცემობისა კავკასიაში და ერთობ რუსეთშიაც. ამ ოც საგანთა შორის მოხსენებულია: სკოლების გამართვა, მაგალითებრ, ყიზლარში! საცა უწინაც ყოფილა; ხაზინის ხარჯით, ანუ ხაზინის შემწეობით, გამართვა საწნეხელებისა, აგრეთვე სარდაფებისა, საცა უნდა მოგროვილ იქმნას ტკბილი ღვინის დასაყენებელად და საკეთებლად; გამარღვა საწყობისა, საცა უკეთესი იარაღი ღვინის კეთებისა უნდა იყიდებოდეს, ყიზლარამდე (კიდევ ყიზლარამდე? აბა, ღვინის ბოღაზი უპოვია ბ-ნს ერმოლოვს!) როსტოვ-ვლადიკავკასიის რკინის გზის გაყვანა და ღვინის გადატანის ფასის დაკლება, ყიზლარიდამ ასტრახანამდე ფოსტის გზის გახსნა, ნავთასვლა თერგსა და კუმაზედ, რისთვისაც საჭიროა ჩაღრმავება და ჩასწორება ამა მდინარეების სავალისა და სხვანი და სხვანი. ყოველივე ეს დიდის მოწონებით მიუღია პატივცემულს კრებას, კრებაში გამოჩენილან იმისთანა კაცნიც, რომელთაც ერთი მართლა ფრიად საჭირო და ადვილად აღსასრულებელი ღონეც დაუმატებიათ ბ-ნ ერმოლოვის მიერ წარმოთქმულ ზომათათვის ღვინის კეთების წარსამატებლად. უთქვამთ, რომ საჭიროა ღვინის მკეთებელთ ხელი მოეწყოთ ფულის მიშველებითაო და ამისათვის უნდა მიეცეთ კრედიტი როგორც კერძო, ისეც სახელმწიფო ბანკისაგანაო და ამას გარდა ვენახები შეიკრას (страхование), ფილოქსერისაგანაო. საეკონომიო საზოგადოების კრებას მიუღია ყველა ეს

წინადადებანი და დაუდგენია ითანამშრომლოს მთავრობის წინაშე ყოველ ამისათვის.

ჩვენ, რასაკვირველია, არა გვშურს ყიზლარის ღვინის მკეთებელთათვის ყოველივე ეს სიკეთე, ღმერთმა ერთიათად მეტიც მისცეთ, მაგრამ რაკი სიტყვა ღვინოზეა ჩამოგდებული, ნუთუ ამირკავკასია, რომელიც ყოველისფრით დედაა ღვინისა, დავიწყებული, გამოკლებული და სახსენებელი არ უნდა იყოს? ყურს ესმის და გონებას არა სჯერა ეს საარაკო ამბავი...

«ევროპის პოლიტიკის ცვალებადობა»

ტფილისი, 10 თებერვალი.

ევროპის პოლიტიკამ კიდევ ხელახლად იცვალა საგანი და გზა. ამ სამისა თუ ოთხის კვირის წინად ევროპა, ჯერ შეშინებული ბისმარკის სიტყვებისაგან და მერე უფრო ელდაცემული გერმანულ გაზეთების მუქარისაგან, მარტო საფრანგეთსა და გერმანიასღა შეჰყურებდა და ჟამთა ვითარების სვე-ბედსა ამ დიდთა სახელმწიფოთა შუღლისა და მტრობისაგან გამოელოდდა. ბალკანიის ნახევარკუნძულის საქმე თავისის გაუთავებელ ბოლგარიის საქმითურთ ამ მიზეზით ჩრდილში მიყენებულ იქმნა, თითქო ამ წყლულს არავითარი შიში არ მოსდევსო; ყველამ დაივიწყა ბოლგარია და თუ იტყოდნენ რასმეს ხოლმე კანტი-კუნტად, ისიც იმიტომ, რომ გული მოიფხანონ. მთელის ევროპის თვალი კი საფრანგეთსა და გერმანიაზედ იყო მიქცეული და შიშით გაჩერებული. ეხლა, როგორც ეტყობა, ეს შუღლი და მტრობა ამ ორის დიდის სახელმწიფოსი ცოტა არ იყოს დასცხრა, განელდა. იგი საშინელი განსაცდელი, რომელიც ჰლამოდა შეერყია მთელი ევროპა და დიდი და პატარა ერთმანეთისათვის დაეჯახებინა, ეხლა თითქო განქარდა, განიფანტა თუ სამუდამოდ არა, დროებით მაინცა. ამ სახით დღეს ევროპამ, დასავლეთზედ თითქმის გულდამშვიდებულმა, ისევ აღმოსავლეთისაკენ იბრუნა პირი და ბოლგარიის საქმეს დაუწყო ცქერა

წინანდელებრ გულაშფოთებით. რა იყო და რა არის მიზეზი ამ თითქმის უეცარის ცვალებადობისა?

სხვამ რაც უნდა სთქვას და ჩვენ კი გავბედავთ და ვიტყვით, რომ ნასკვი ამ გამოცანისა ერთი პატარა სახელმწიფოა და იმ პატარა სახელმწიფოს ბელგია ჰქვიან. ამ სახელმწიფოზე ერთის მხრიდამ გერმანიაა ზედ მოდგომილი და მეორე მხრიდამ საფრანგეთი. არც ერთს და არც მეორეს, როგორც მოგეხსენებათ, მადა არ აკლიათ, რომ ამ ბედნიერთ პაწია სახელმწიფოთი პირი ჩაიგემრიელონ, მით უფრო, რომ მადის გარდა ერთსაც და მეორასაც ისეთი ღონიერი კუჭები აქვთ, რომ ადვილად მოინელებენ იმ მგელთა შუა კრავად დაბადებულს ქვეყანას, რომელსაც ბელგია ჰქვიან. დღეს. ეს კრავი ხომ არ არის გამზადებული შესაწირავად? თუმცა ეს თამამი ფიქრია, მაგრამ აქ შეუძლებელი არა არის რა. განა დიდი საქმეა, თ. ბისმარკმა ყურში ჩაუწვეთოს საფრანგეთს: კაცო, რას ჩამციებიხარ? აგერ ბელგია, ერთის მხრივ შენსკენ არის გამოწოლილი, ჩაიჭერ და "სუ"!... ჯერხანად ეგეც კაი მოსანელებელი ლუკმაა; ჯერ ეგ იკმარე და სხვა დროსა და ჟამთა ვითარებას მიანებე და მე კი ხელ-ფეხი გამიხსენ, მე სხვა საქმე მაქვს და "სხვაგან ჰქრის ჩემი გონებაო". აქ საარაკო და დაუჯერებელი ბევრი არა არის რა.

ესეა თუ არა, ეს დასავლეთის ციდამ ღრუბლების გადაყრა, ცის მოწმენდა, დაცხრომა და განელება რომ სახეში ვიქონიოთ და დღევანდელი ყოფა ბელგიისა ამ ამბავს შევუწონოთ, დიდს საგონებელში ჩავარდება კაცი. ინგლისსა აქვს ნაკისრი ბელგიის დამოუკიდებლობის მფარველობა. ჯერ წარსულ ომში, როცა საფრანგეთი და პრუსია ერთმანეთს დაეტაკნენ, მაშინ ინგლისმა თამამად გამოიდო თავი ბელგიისათვის და საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ თუ ან ერთის ლაშქარმა, ან მეორისამ გადალახა ბელგიის მიწა-წყალი, მეც მტრად მიგულოსო. ყველას ეგონა, რომ დღესაც ინგლისი ამ თავის დაქადებულს სიტყვას არ გასტეხს და დღესაც

თავს გამოიდებს ბელგიისათვის, თუ ვინიცობაა საფრანგეთი და გერმანია ერთმანეთს ხელახლად შეეტაკნენ და ერთმან ან მეორემ ფეხი დაადგა ბელგიის მიწასაო. აი, ეხლა ინგლისის სამინისტროს გაზეთი "Standard"-ი ამბობს: ბელგია თავისთავის ანაბარად უნდა დარჩესო; ინგლისი თითსაც არ გაანძრევა მის დასახსნელად და დასაფარავადაო. რას ჰნიშნავს ეს ნათქვამი სამინისტროს გაზეთისა? ნუთუ მას, რომ ინგლისმა საჭიროდ დაინახა ბელგია, რომლისათვის უწინ საომრად თავს იმეტებდა იგივ ინგლისი, უფრო სხვა დიდს ინტერესს შესწიროს!

თვითონ ბელგიაც კი ჰგრძნობს, რომ თავის საკუთარს ბედზეა თავმინებებული. იგი დიდის თავგანწირვით ემზადება თავისთავის დასახსნელად და გადასარჩენად. იგი ჰცდილობს 130.000 კაცამდე აიყვანოს თვისი საომრად გასასვლელი მხედრობა და მრავალის ციხე-სიმაგრეებით შემოიზღუდოს გარშემო. რასაკვირველია, შესაძლოა კაცმა ყოველივე ეს მეტისმეტს სიფრთხილესაც მიაწეროს ბელგიის მხრით: როცა ორი დიდი მეზობელი აქედ-იქიდამ ერთმანეთს ქეჩოში წასწვდება, მაშინ შუაში მდგომი მესამეც ფეხზედ უნდა იდგეს მზად ყოველის შემთხვევისათვის, თორემ ან ერთი გაჰქელავს, ან მეორე. მაგრამ როცა იმისთანა პაწია სახელმწიფო, როგორც ბელგიაა, 130.000 კაცს საომრად ამზადებს და არა ხარჯს არ ერიდება, რომ სიმაგრეების სალტე გარს შემოირტყას – ეგ წელებზედ ფეხის დადგმაა, რომელიც მარტო საშინელმა განწირულებამ იცის და საშინელის განსაცდელის მოლოდინმა. ამიტომაც ვგონებთ, რომ ჩვენი ეჭვიც უსაბუთო არ არის, თუ ნამეტნავად იმასაც გავიხსენებთ, რომ ამ ბოლოს დროს შესანიშნავად მოურბილდა და მოუტკბილდა საფრანგეთსა ევროპის იუპიტერი თავადი ბისმარკი და საფრანგეთმა ხომ თავდაპირველიდგანვე ყური მოუყრუა ყოველს მუქარას და ქადილსა.

«ადგილობრივ შავ ნავთზე და უცხოეთიდან შემოტანილ ნავთზე ბაჟის დადების საკითხის გამო»

ტფილისი, 11 თებერვალი

ამ უკანასკნელ დღეებში დეპეშამ გვაცნობა, რომ ნავთისა და ნავთის ნაკვეთარზედ ბაჟის დადების საქმე გადუდვიათ ორისა თუ სამის წლით. თუმცა ეს ამბავი გაზეთების მიერ მოიფინა, მაგრამ ირწმუნებიან, რომ მართალი არისო და ნამდვილად შეტყობილიო. ჩვენ ამის გარჩევას არ შევუდგებით, თუმცა საკვირველი კია. საკვირველია იმიტომ, რომ კაცმა არ იცის, რა უნდა ჰქმნას ნავთის მრეწველობამ ამ ბაჟის დადების ლოდინში? როგორ გაიანგარიშოს თავისი დღევანდელი მოქმედება? რას შეუწონოს და რას დაუყენოს ქვეშ? ამის მოლოდინში ყოველთვის ფრთხილი ფული ხომ ადამიანის ჯიბიდამაც ვერ ამოჰყოფს თავსა, ვერ ჩაერევა იმ მრეწველობაში, რომელმაც არ იცის, ორისა თუ სამის წლის შემდეგ რის გადამხდელი შეიქმნება, რა ტვირთის მზიდველი? ამ ორისა თუ სამის წლის მაყურებელი ფულის პატრონი მარტო ორის წლით თუ გაჰბედავს ფული დააბანდოს ნავთის საქმეში და ის ხანგრძლივი დაბანდება ფულისა კი, რომელიც ასე საჭიროა მკვიდრად საქმის დაჭერისათვის და თვითონ მრეწველობის წარმატებისათვის, ამ ორ წელიწადში მარტო უქმ ნატვრად უნდა დარჩეს, ვიდრე ბაჟის საქმე

ასე თუ ისე გადაწყდება. ჩვენ ეს უცნაური გარემოება ისე გაკვრით მოვიხსენიეთ.

ჩვენ ზემოდხსენებულმა დეპეშამ მოგვაგონა ნავთის ბაჟის საქმე და ამ საქმემ ისეთი უცნაური ამბავიცა, რომელიც პირველი შეხედვით დაუჯერებელია და წინა თქმულს უცნაურზედ უფრო უცნაურია! როგორა გგონიათ? სართი დასწრებისა ვის უნდა ერგოს ნავთზედ ბაჟის დადების საქმის ატეხაზედ? სანაძლეო, წაუგებელი სანაძლეო შეიძლება კაცმა დასდოს, თუ ვინმე შორიდამ მაინც მიხვდება, გუმანს მაინც მიიტანს იმაზედ, რომ ვინც ეს ბაჟი მოიწადინა. წარმოიდგინეთ, გამოდის რომ ნავთზედ ბაჟის დადება მოიწადინა თვით ნავთის მრეწველმავე!... განა ისიც ერთმა და ორმა,— მთელმა კრებულმა. ამ კრებულმა სთხოვა მთავრობას დიდის თხოვნითა, რომ წყალობა გვიყავით და ჩვენს შავს ნავთს, ესე იგი ჯერ გადუწმენდელს და გამოუხდელს, ბაჟი დაადეთ, თორემ ამ დიდის სიმდიდრის მომასწავებელს მრეწველობას ნავთისას ჭლამის სული შეეხუთოს და თავის საკუთარს სიმდიდრეშივე ჩაირჩოსო. როცა შავ ნავთს ბაჟი დაედება და დაძვირდება, მაშინ ქარხანის პატრონი ეცდება ერთსა და იმავე ნავთისაგან რაც შეიძლება მეტი საბაზრო საგანი აკეთოს, — და ეხლა, როცა ათისაგან მარტო სამის გამორჩენა აქვთო და შვიდს კი ცუდუბრალოდ ჰყრიანო. აუარებელი სიმდიდრე მტვრად მიდის და იკარგებაო. გარდა ამისა ხაზინასაც შემოსავალი მოემატება, რადგანაც ნავთის ბაჟი კარგა ბლომა ფულს შეადგენსო. ეს უთხოვნიათ თვით ნავთის მრეწველთა და ამ საბუთებით მოურთავთ თავისი საოცარი თხოვნა, რომელიც ჯერხანად მთავრობას — ღვთის მადლით — არ შეუწყნარებია, დეპეშის სიტყვითა.

ჩვენ ვეცდებით შემდეგს ნომერში ამ უცნაურს თხოვნას შიგნეული გამოვუწლათ და მაშინ აშკარად დავინახავთ ამ ჯერ არშეწყნარებულთ მთხოვნელთ რის მუცლის ტკივილიცა აქვთ.

ჩვენ წინა წერილში ვსთქვით, რომ ნავთზედ ბაჟის დადება ითხოვა თვითონ ნავთის მრეწველმავე და მერე ერთმა და ორმა კი არა, — მთელმა კრებულმაო. ამას ცოტა გასწორება უნდა, ან უკედ ვსთქვათ, უფრო ნათლად გამოთქმა, გამომზეება.

ხომ მოგეხსენებათ, რომ ნავთის მრეწველობას მიაწყდა ბლომა ხალხი. ამ ბლომა ხალხში იმისთანანიც არიან, რომელნიც უღონობისა და შეუძლებლობის გამო ცოტა ფულს ატრიალებენ და იმისთანანიც, რომელთაც მილლიონები ჩააყარეს ამ ნავთის საქმესა. აი, ამ დიდის ფულის პატრონები არიან ისინი, ვისაც ბედნიერი ფიქრი მოსვლიათ, მთავრობას სთხოვონ ბაჟი დაადონ შავს ნავთსა და მით მითამ ხაზინა გაამდიდრონ. ყველამ იცის, რომ ფული რამოდენაც ბევრია, იმოდენად ხარბია და გაუმაძღარი და ამიტომაც პირველ შეხედვით კაცს უკვირს, ამ დიდფულებიანებს საიდან აღძვრიათ გულისტკივილი სხვის გა-დიდრებისათვის. ყველა ბრალი შეიძლება კაცმა დიდფულიანს შესწამოს და ამისთანა ცილი კი, რომ სხვის გამდიდრებისათვის გულმტკინვეულობდეს, მეტისმეტი უსამართლობა იქნება. თუმცა რუსები ამბობენ, რომ "Голъ на выдумка хитра", მაგრამ არც კი მდიდარი კაცი ყოფილა ამისთანებში ბეჩავი და მოუხერხებელი. აი საქმე თურმე რაშია:

ნავთის საქმეს ბევრი წვრილი ხალხი დაეხვია. თვითვეული მათგანი ცალკე, რასაკვირველია, ერთ დღესაც ვერ გაუძლებდა დიდფულიანს და გაბათილებულ იქმნებოდა, როგორც უქმი თამასუქი; დიდფულიანი, როცა კი მოისურვებს, თვითვეულს ცალკე იმისავე ნავთში ჩაარჩობდა და ბურთსა და მოედანს ნავთის წარმოებისას თვითონ დაისაკუთრებდა. მაგრამ ჭირი ის არის, რომ ეს წვრილნი მოსაქმენი ნავთისა რიცხვით საკმაოდ ბლომად არიან და დიდფულიანს მწარმოებელთ საქმე ისე გაუჭირეს, რომ

ჰლამის გააკუტრონ. დიდფულიანები თუ გამოხდილ და გაწმენდილ ნავთს ფუთს, მაგალითებრ, ოთხ აბაზად გაუშვებენ ბაზარში, ეს წვრილნი სამს აბაზსა სჯერდებიან და ნავთის ფასს ძირს ჩამოახდენენ ხოლმე; დიდფულიანები თუ სამს აბაზზედ ჩამოვლენ ამათის მიხედვით, ისინი მაშინვე ფუთს ათ შაურად გახდიან და ამ უბედურებისათვის დიდფულიანებს ვერავითარი წამალი ვერ დაუდვიათ. ამისთანა ცილებას და ჯიბრს ვერ უძლებენ მდიდარნი მრეწველნი და ხალხს კი, ესე იგი, ვინც ნავთსა ჰყიდულობს და ჰხმარობს, ამ ცილებისა და ჯიბრის წყალობით ნავთი იეფად უჯდება. ამ ცილებას და ჯიბრს ეს სიკეთე მოაქვს საყოველთავოდ, და ღარიბს ხალხს სანათებელი ნავთი თავის ჯიბის შეძლებისადაგვარად უჯდება და უხერხდება. რომ ეს ასე აღარ იყოს და წვრილთა მწარმოებელთა ილაჯი და სახსარი ამგვარის ცილობისა სულ გაუქარწყლონ, მდიდრებმა ეს ღონე მოიგონეს, რომ შავ ნავთს ბაჟი დაედოს. აი, რა ანგარიში მიუძღვის წინ მდიდრებსა: რაკი შავ ნავთს ბაჟი დაედება, მაშინ ნავთის წარმოებისაგან მარტო ის იხეირებს და გამორჩომას ნახავს, ვინც დიდსა და ძვირფასს ქარხანას იწონიებს, და რადგანაც წვრილს მწარმოებელს ნავთისას მაგისი ღონე და შეძლება არა აქვს, უნდა თუ არა, ფარ-ხმალი ძირს უნდა დაჰყაროს და გულზედ ხელები დაიკრიფოს. ეხლა ფუთი შავი ნავთი ექვს გროშამდე ღირს ხოლმე ადგილზე. ვსთქვათ ფოთს ორი შაური ბაჟი დაადეს და ამ გზით ფუტი შავი ნავთი 13 კაპეიკად გახდა. თუ ქარხანა ყოველს მხრით ისე მოწყობილი და გამართული არ არის, როგორც ეხლანდელი ტექნიკა და მეცნიერება ითხოვს, ათის ფუთის შავის ნავთისაგან ბევრი-ბევრი სამი ფუტი საბაზრო ნაკეთარი* რამ დააყენოს, სხვა შვიდი ფუთი კი გადასაყრელია და არაფერში გამოსაყენი. ამ სახით, რაკი ბაჟი ათის

* продукт.

ფუთისა იქმნება გადახდილი და ამ ათ ფუთიდამ მარტო სამი ფუთიღა დაუდგება გამოსაყენი და დანარჩენი გადასაყრელი, რა თქმა უნდა, მთელის ათის ფუთის ბაჟი ამ სამმა ფუთმა უნდა უზღოს მწარმოებელსა. ათის ფუთის ბაჟი შეადგენს, ზემოხსენებულ ანგარიშით, ერთს მანათს, მაშასადამე, ეს ერთი მანათი სამმა ფუთმა უნდა ჰზღოს, ან თვითო ფუთმა 33 $^1/_2$ კაპეიკი. კარგა მოწყობილი და გამართული ქარხანა კი ათის ფუთიდამ რვა ფუთს სხვადასხვაგვარს ნაკეთარს ნავთისას დააყენებს, როგორც მეცნიერთაგან გამოკვლეულია. მაშასადამე, ის ერთი მანათი ბაჟი, ათს ფუთზედ გადახდილი, ამ შემთხვევაში რვა ფუთმა უნდა ჰზღოს. აქ ფუთს შეხვდება 12 $^1/_2$ კაპ. აბა სად 12 $^1/_2$ კაპ. გადასახადი და სად თითქმის შვიდი შაური, როგორც წვრილს მწარმოებელთ მოუვათ. რაკი ფასებში ასე დიდი განსხვავება იქნება, როგორღა გაუწევს წვრილი მწარმოებელი ცილობას საქვეყნო ბაზარში? იმან თითქმის ხუთი შაურით მეტად უნდა ჰყიდოს ნავთის ნაკეთარი, რომ დიდი ქარხნის პატრონის ოდენობა გასწიოს, ან არადა ხელი უნდა აიღოს წარმოებაზედ. რა თქმა უნდა, ძალაუნებურად ეს უკანასკნელი ღონეღა დარჩება საცოდავს.

განა ეს იკმარეს ამ ქვეყნის მოკეთეებმა. ვსთქვათ, ამ ბაჟის დადებით წვრილნი მწარმოებელნი გააბა-თილონ და პირქვე დასცენ. მაინც კიდევ ერთი ძლიერი მეტოქე დარჩებათ. ეგ მეტოქე ამერიკაა. რომლის ნავთი გზას არ აძლევს ბაქოს ნავთსა საქვეყნო ბაზარში. ამის გაცლაცა ჰსურთ რუსეთის ბაზრიდამ მაინც, და ამიტომაც ჰსთხოვენ მთავრობას, რომ რუსეთში შემოტანა გაუძნელდეთ ამერიკელებსაო. რასაკვირველია, ჯერ მთავრობამ არც ერთი ამათი თხოვნა არ შეიწყნარა, მაგრამ თხოვნას ამითი თავი სუნნელოვანება არ დაჰკლებია და ეხლა ყველამ ვიცით, სადა სცემს იმ დიდთა მწარმოებელთა გულშემატკივრობა.

რაკი მდიდრები იმ გზით შემოიცლიან წვრილებს, რომელნიც დღეს კრიჭაში უდგანან, რაკი ამერიკელებსაც ბაჟით გზას გადუღობენ, მაშინ ბურთიც იმათ დარჩებათ უცილოდ და მოედანიც და მაშინ მშვიდობით იეფობავ ნავთისავ. მდაბიო ხალხი, რომელსაც იეფობა ნავთისა შეძლებას აძლევდა სახლი გაენათებინა, სახლში სანათური ჰქონოდა, მაშინ უნდა გამოესალმოს ამ ნეტარებას იმიტომ, რომ გულშემატკივარნი დიდფულიანი მწარმოებელნი ნავთისანი ეცდებიან ისეთი ფასები დასდონ ნავთსა, რომ ხელმოკლე კაცი ვერ შესწვდება. აი, რა მუცლის გვრემა შეჰყრიათ დიდფულიან მწარმოებელთ ნავთისას, რომ უთხოვნიათ შავ ნავთს ბაჟი დაადეთო. სწორედ ამისთანა საქმე დაჰმართა თხლე-ჭაჭისაგან არყის ხდას აწ განსვენებულმა ფისსუნმა, რომელმაც ასეთი ბაჟი და წესები შემოიღო, რომ თუ არ ძვირფასი ქარხანა, სხვა არავითარი ღონე არ იყო ამ ბაჟებსა და წესებს გასძღოლოდა.

«ჩვენი სოფლური მეურნეობის შესაძლებლობანი და ბიუროკრატიზმი»

ტფილისი, 16 თებერვალი.

ამ ბოლო ხანებში ჩვენმა ქვეყანამ და უფრო მისმა ბუნებურმა სიმდიდრემ მოიზიდა ყურადღება, როგორც თვითონ რუსეთისა, ისეც სამზღვარგარეთისა. საითაც კი მიიხედავთ, ყოვლის მხრიდამ მარტო ის ისმის, რომ აი ეს და ეს ფულიანი ან კაცი ან საზოგადოება მოდის და ამა და ამ საქმეს ჰკიდებს ხელსაო. ან აქამდე რატომ არ იყო ეს ამბავი, გვიკვირს. ამიერკავკასია ჰავისა და მიწის სიკეთითა შემძლებელი თითქმის ყოვლისფერისა, რაც კი რამ იზრდება, მოდის და ხეირობს დედამიწის ზურგზედ. ქინაქინის ხე და ჩაის ბუჩქიც კი გამოზარდა ჩვენმა ქვეყანამ იმოდენად კარგად, რომ ეხლა თვითონ მთავრობაც კი ჰცდილობს მეურნეობა ერთისა და მეორისაც ააყვავოს აქ და გაავრცელოს. რა თქმა უნდა, რომ ამგვარებისათვის მეცადინეობა და ხარჯი უქმად არ ჩაივლის და დიდს სარფას მისცემს როგორც ჩვენს ქვეყანას, ისეც მთელს სახელმწიფოს, თუ ქინაქინის ხე და ჩაის ბუჩქი მარტო თეთრს ქაღალდზედ არ დაირგა და შავის მელნით არ მოირწყა. ამისთანა საქმეში არმცოდნე კაცი, თუნდა გულმოდგინეცა, ვერაფერს გააწყობს მიწერ-მოწერის მეტს და ამ მიწერ-მოწერაში ისე აურევ-დაურევს დავთრებს, რომ ქინაქინის ხე და ჩაის ბუჩქი ყველას დაავიწყდებათ და დარჩება სახსოვრად მარტო

უშველებელი ზვინი ქაღალდებისა, რომელიც მარტო იმას გვიმოწმებს თუ, რა გზით ვინ გაუხმო ძირი ქინაქინის ხეს და ჩაის ბუჩქსაც. ასე მოუვიდა აბრეშუმის საქმეს ნუხში, ასე მოუვიდა ვენახისა და ღვინის საქმეს კახეთში. ნუხშიაც და კახეთშიაც მთავრობამ არაფერი დაჰზოგა, რომ აბრეშუმის საქმე და ღვინისაც კარგად მოემართა და ფეხზედ დაეყენებინა, მაგრამ მოხელეობამ, რომელსაც ჩააბარეს ეს საქმენი, ვერც ერთგან ვერ გაამართლა იმედი მთავრობისა. ამისთანა საქმეს, როგორც ახალი სიმდიდრის გზის გახსნაა, საქმიანი, მოხერხებული, გამრჯელი, საქმეში დაოსტატებული კაცი უნდა. ამისათვის საკმარისი არ არის მარტო დიპლომი, რომელიც ყოველთვის არა ჰმოწმობს, რომ მის პატრონს ჯეროვანი ცოდნა აქვს, და თუნდაც ჰმოწმობდეს, საქმე მარტო ცოდნა კი არ არის, გამოცდილებაა. ჩვენ აქ სიტყვას "გამოცდილებას" მთელის თავისის მნიშვნელობით ვხმარობთ. ჯერ ხომ კაცს თავისი ცოდნა უნდა თვითონ საქმეში ეცადნოს და მერე ზედმიწევნით ნახული და ნაცადი ჰქონდეს, რა ბუნებასთან აქვს საქმე და რა ხალხთანა. ადგილობრივის ბუნებისა და ხალხისა თუ არა იცის რა, იგი ამისთანა საქმეში, როგორც ახალის რისამე გასაჩენად შემოღებაა, ერთს ნაბიჯსაც უმარცხოდ ვერ გადასდგამს. არა ერთი და ორი მაგალითი ყოფილა ჩვენში, რომელსაც თვალად დაუნახვებია ჩვენთვის, რომ უიმისოდ, რაცა ვსთქვით, ხელიდამ არაფერი გამოსვლია კაცს და საქმისათვის ის ვნებაც მიუყენებია, რომ სხვისთვისაც გული აუყრევინებია და აუცრუებია კარგსა და სარფიანს საქმეზედა.

«ღვინო – ჩვენი ქვეყნის სიმდიდრის წყარო»

ტფილისი, 17 თებერვალი.

გუშინ სიტყვა ჩამოვაგდეთ მასზედ, რომ ჩვენს ქვეყანაში ქინაქინის ხისა და ჩაის ბუჩქის გაჩენას გვპირდებიან. ეს, რასაკვირველია, სამერმისო საქმეა და ღმერთმა ხელი მოუმართოთ, ვისაც ფიქრად მოსვლია, ამ ახალის შემოღებით ჩვენი ქვეყანა ცოტად თუ ბევრად გაამდიდროს. ყველა ახალი, თუკი მით მოგვემატება რამ, კარგია და სანატრელი. მაგრამ ეს ქინაქინის ხე და ჩაის ბუჩქი ხვალინდელი ქათამია, და ის დღევანდელი კვერცხი კი, რომელიც ხელთ გვიპყრია, დაუდევრობით ლამის გაგვილაყდეს. სამერმისო მერმისს მივანდოთ, სადღეისოდ კი უკეთესი და უფრო ჭკუას ახლოს იქნებოდა გვეფიქრა მასზედ, რაც დღეს ხელთა გვაქვს, რაც ჰლამის სიმდიდრის კარგა მოზრდილ წყაროდ გადაექცეს ჩვენს ქვეყანასა, თუ კი ხელშემწყობი ეყოლება...

ეგ წყარო ღვინოა. ამიტომაც ამ საგნის ვითარების გამოძიება და გამოკვლევა და ყოველ ამის დაწვრილებით ცოდნა მეტი არ იქნება ჩვენთვის. მინამ ვიტყოდეთ რასმე, რა აბრკოლებს და რა ჰშველის ღვინის საქმეს ჩვენში, საჭიროა ვიცოდეთ, რამოდენა ღვინო მოდის ჩვენში და რამოდენის ბაზარის იმედი უნდა გვქონდეს ღვინისათვის. ჩვენდა სამწუხაროდ,

ცნობები ღვინის რაოდენობისა მარტო ერთის წლისა გვაქვს, სახელდობრ, 1870-ისა. ერთის წლის ცნობებზედ ძლიერ ძნელია რაიმე დასკვნის გამოყვანა, მით უფრო, რომ არც კი ვიცით, სანდონი არიან ის ცნობანი თუ არა, რადგანაც იმ წიგნში*, საიდამაც ჩვენ ამის ქვემოდ ამოვკრებთ ამ ცნობებს, არ არის ნაჩვენები, რაზედ არის დაფუძნებული. რადგანაც ჯერ ხელთ უკეთესი სხვა არა გვაქვს რა, მეტი რა გზაა, იგი უნდა გავიმძღვაროთ წინ და მას დავეფუძნოთ.

ამიერკავკასია ღვინის მოსავლის კვალობაზედ ხუთ ნაწილად არის გაყოფილი ხსენებულ წიგნში და თვითო ნაწილის მოსავალი ცალკეა მოხსენებული: ესეც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ცნობანი 1870 წელს ეკუთვნიან და "ვედრით"** არიან არიცხულნი:

	მოსავალი	შინ მოუხმარიათ	გაუყიდნიათ
შავი ზღვისა და რიონის ნაპირები	3.753.500	2.276.750	975.750
კახეთი	2.915.080	728.770	2.186.310
მტკვრის ნაპირები	1.425.910	875.546	570.364
არახსის ნაპირები	952.200	575.520	383.680
შამახა-გეოკჩაი	95.737	23.934	71.003
სულ ამიერკავკასიაში	8.648.427 —	4.460.520 —	4.187.907

ამ სახით გამოდის, რომ ნახევარზედ მეტი ღვინო შინ ისმევა და მარტო ნახევარზედ ცოტა ნაკლები გადის ბაზარში გასასყიდად. რომ გავიანგარიშოთ, გამოვა, რომ ასზედ

	შინ ისმევა	იყიდება
იმერეთში	70	30
კახეთში	25	75
ქართლ—სომხითში	60	40

* Историко-Статистический обзор промишленности Росии Т. I.

** ვედრა სამი თუნგია ანუ 16 ბოთლი.

მაშასადამე, ამიერკავკასიას თითქმის $4^1/_4$ მილლიონი ვედრა ღვინო აქვს ბაზარში გასატანი და გასასყიდი; ვედრა რომ ერთიერთმანეთზედ მანეთ-ნახევრად ვიანგარიშოთ, გამოვა, რომ ღვინისაგან ამიერკავკასიას უნდა შემოუვიდეს ექვსი მილლიონი და 375.000მანეთი; აქედამ იმერეთს თითქმის მილლიონ-ნახევარი, კახეთს სამი მილლიონი და თითქმის 279.000 მანეთი, ქართლსა და სომხითს თითქმის 855.000 მანეთი და სხვანი.

იმიერკავკასიასა, დაღესტანსა და ყუბანის მხარესა, სულ მოდის 2.212.800 ვედრა ღვინო. აქედამ შინ სასმელად რჩება 588.245 და 1.624.735 გასაყიდად გადის. ბესსარაბიაში, ყირიმსა, დონზედ და ასტრახნის გუბერნიაში მოდის სულ 4.042 950 ვედრა; აქედამ შინ სასმელად ჰრჩება 539.296 და გასასყიდად გადის 3.503.654.

ამ სახით გამოდის, რომ ამიერ და იმიერკავკასიაში და დანარჩენს ადგილებში რუსეთს სულ 15 მილლიონამდე ვედრა ღვინო მოსდის წელიწადში; აქედამ 5.588.061 შინ სასმელად ჰრჩება ღვინის პატრონებს და დანარჩენი 9.316.296 გადის გასასყიდად. ეხლა იკითხავს მკითხველი, რა ბაზარი უნდა გაუძღვეს ამოდენა ღვინოსაო? მით უფრო ჭკვაში მოსასვლელი საკითხავია ეს, რომ სამზღვარგარედ სულ 0.02% ღვინო არ გააქვთ რუსეთის სამზღვრებიდამ და თვითონ რუსეთის ხალხიც ყურძნის წვენის ღვინოს შეჩვეულნი არ არიან და არა ჰხმარობენ. ხომ ასეა, მაგრამ ორი და სამი მაგოდენა ღვინოც რომ იყოს, მარტო რუსეთის ბაზარს ვერ აუვა, თუკი ჩვენი ღვინოები გზას გაიხსნიან და რუსეთს მოაწონებენ თავსა. ამის დასამტკიცებლად მოვიყვანთ შემდეგს ციფრებს რუსეთიდამ სამზღვარგარედ გატანილის ღვინისას და არაყისას და იქიდამ შემოტანილისას ფულად:

ორთა შუა რიცხვით

წლიდამ	წლამდე	გატანილი	შემოტანილი
1853	1855	11.120 მან	5.888.405 მან.
1856	1860	39.200 “	6.322.905 “
1861	1865	72.425 “	6.989.923 “
1866	1870	30.600 “	7..586.604 “
1871	1875	24.600 “	13.802.819 “
1876	1880	99.950 “	12.095.665 “

1880 წელს რუსეთში შემოუტანიათ ღვინო თითქმის $18^1/_2$ მილლიონ მანათისა. აქედამ გამოდის, რომ რუსეთი შიგნითვე ასაღებს არამც თუ იმ 10 მილლიონს ვედრას, რომელიც რუსეთს თვითონ აქვს ყოველწლივ გასასყიდლად, არამედ თვრამეტ მილლიონ მანეთისას კიდევ სხვაგან ყიდულობს და შემოაქვს. მაშასადამე, ამიერკავკასიის ხუთი მილლიონი ვედრა ღვინო ერთიოთხად და ხუთადაც რომ იქცეს, მაშინაც ძლივს გაუძღვება მარტო რუსეთის ბაზარსა. აქ მარტო გზების გახსნა უნდა და ბაზრის დაჭერა ღვინის სიკეთითა და იეფობითა. ჩვენს ღვინოს ძლიერი მეტოქე და მოცილე ჰყავს რუსეთის ბაზარში: ეგ მეტოქე ევროპაა, რომლის ღვინოსაც რუსეთი დიდი ხანია სვამს და დიდი ხანია შეჩვეულია. ამ მეტოქის განდევნა რუსეთის ბაზრიდამ და მისის ადგილის დაჭერა მეტად რთული და ძნელი საქმეა. ამ მხრით ოდესმე მოველაპარაკებით ჩვენს მკითხველებს, და მინამ ქინაქინის ხეს და ჩაის ბუჩქსა ჩვენში ვახეირებდეთ, რომ ამას, რაც დღეს ხელში გვაქვს, ხელი შეუწყონ და გზა მისცენ, არ იქმნება ურიგო.



«ეგვიპტე – ევროპის სახელმწიფოთა ერთმანეთში მოურიგებლობის მიზეზი»

ტფილისი, 18 თებერვალი.

ევროპის ერთმანეთში მორიგებას და გარიგებას ძალიან აბრკოლებს და უშლის ეგვიპტის საქმე. ამ ეგვიპტის გამო სამი სახელმწიფოა გულნატკენი და ნატკენობისაგან, ცოტა არ იყოს მტრობაც არის ფეხადგმული. ეს მტრობა და აშლილობა განხეთქილების მიზეზად ჰხდება ამ სამ სახელმწიფოს შორის მაშინ, როდესაც ეგ ეგვიპტეს საქმე რომ არ იყოს, სხვა ბევრი იმისთანა ინტერესებია ევროპაში, რომ ეს დღეს ერთმანეთთან მოკამათე სახელმწიფონი შესაძლოა ერთად გასწევდნენ დღევანდელის დღის უღელსა და თუ ერთად არა, ერთმანეთს მაინც არ დაუშლიდნენ. ეს სამი სახელმწიფო ოსმალეთია, ინგლისი და საფრანგეთი. ჩვენმა მკითხველებმა უკვე უნდა იცოდნენ, ამ სამში ვის რა ეწვის ეგვიპტის საქმეთა გამო.

ეგვიპტე ოსმალოს სულთანის საბატონოა და ამის გამო დამოკიდებულია ოსმალეთზედ, რომელსაც ეგვიპტე ამის ნიშნად ხარკსაც აძლევს. ეგვიპტე და სუეზის არხი საფრანგეთისათვის თითქმის ერთადერთი აუცილებელი საჭირო გზაა საფრანგეთის კალონიებში მისვლა-მოსვლისათვის და ინგლისისათვის თითქმის კარია ზღვით ინდოეთში შესასვლელად. ამ გარე-

მოებისაგან კაცი ადვილად შეადგენს აზრს მასზედ თუ, - ვის რა ემძიმება ეგვიპტეში.

ინგლისმა სხვადასხვა გარემოების გამო, რომელთაც პოლიტიკაში წესიერების დადგენას ეძახიან და ჩვენებურად, მდაბიურად კი მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო ჰქვიან, ეგვიპტე ხელთ იგდო თითქმის, თავისი ჯარები ჩააყენა და თითქმის და სამართველოდაც თავისი კაცები მიუჩინა, დრუმონდ ვოლფი და ბერინგი, რომელნიც დღეს ეგვიპტეს განაგებენ ინგლისის სურვილისამებრ; სწორედ ინგლისის მინისტრები არიან ეგვიპტეში განწესებულნი. ერთი საშინაო საქმეთა მმართველია და მეორე საგარეოთა სწორედ ისე, როგორც მინისტრები არიან ინგლისში. რა თქმა უნდა, ასეთი ყოფა ეგვიპტისა ჭკვაში არ მოსდის ოსმალეთს, არც საფრანგეთსა და ერთიც და მეორეც ითხოვენ, რომ ეგვიპტე დაცალოს ინგლისმა და თავის ბედზედ ამყოფოს. ინგლისი დიდხანს ურჩობდა და ამის გამო საფრანგეთსა და ოსმალოს ერთის მხრით და ინგლისის მეორეს მხრით ერთი-ერთმანეთზედ გული აეშალათ. ეს აშლილობა ნებას არ აძლევდა არც ერთს მხარეს, რომ ევროპის სხვა საქმეებში მხარი-მხარს ევლოთ. ეხლა, როგორც ისმის, ინგლისი უწინდელებ აღარ არის აკვიატებული და მზად არის ეგვიპტის გამო ცოტად თუ ბევრად ორსავე სახელმწიფოს გული მოუგოს.

გაზეთების სიტყვით, ინგლისს თავისი მოციქულის დრუმონდ ვოლფის პირით გამოუცხადებია ოსმალოსთვის, რომ ეგვიპტე სანეიტრალო ქვეყნად აღიარებულ იქმნას, მხოლოდ იმ პირობით კი არა, როგორც ბელგიაა, რომლის ნეიტრალობა კისრად უდვია ინგლისსა, რაც შეეხება ეგვიპტის დამოკიდებლობას და მისთა სამზღვართა დაურღვევლობას, ამისათვის წინად არაფერი იყოს დადგენილი. მხოლოდ დიდსა სახელმწიფოთა ხელშეკრულობა დასდვან, რომ ჰედივის, ეგვიპტის მართველის, ადგილ-მამული ხელშეუხებლად დარჩეს. ინგლისი თანახმაა სუეზის არხით ჯარები თავისუფლად გადიყვან-გადმოიყვანონ

სახელმწიფოებმა, ეგვიპტის ფინანსებზედ საერთო ზედამხედველობა იქონიონ, ოღონდ კი ინგლისის აფიცრები დანიშნულ იყვნენ ეგვიპტის ჯარებში. ინგლისის ჯარები გამოყვანილი იქმნება ეგვიპტიდამ; მშვიდობიანობის და წესიერების დაცვა ჰედივსა და სულთანს დაევალება; სულთანს ნება ეძლევა თავისი ჯარები გაჰგზავნოს ყაირში. მხოლოდ მაშინ კი, როცა საზოგადო მშვიდობიანობა დარღვეულ იქმნება, ინგლისი ამ შემთხვევისათვის იტოვებს ნებას თვისი ჯარები ჩააყენოს ეგვიპტეში; ყოველს სხვა შემთხვევაში კი ინგლისი ისე იმოქმედებს, როგორც წევრი ერთაშორისის კომისიისა. რომ ამ პირობებზედ დაიყოლიოს ოსმალეთი, ინგლისი ჰპირდება, რაც ეგვიპტისაგან ხარკი გეკუთვნის, რამდენისამე წლისა წინადვე ჩემგან მიიღეო.

ამ სახით ინგლისი მზად არის სანეიტრალოდ გაჰხადოს არამცთუ მარტო სუეზის არხი, არამედ თვით ეგვიპტეცა და მის საკუთრად დაჩემებაზედ ხელი აიღოს. ამბობენ, ინგლისს ეს აქნევინა საფრანგეთის მუქარამა და რუსეთმა, რომელსაც ამ საქმეში საფრანგეთის მხარე უჭირავს. თუ საფრანგეთმა და ოსმალომ ყოველივე ეს იკმარა, მათ და ინგლისის შორის სამდურავის მიზეზი მოისპობა და მაშინ შესაძლოა, სახელმწიფოთა ერთმანეთში განწყობამ სხვა გზა აირჩიოს და სხვა მიმართულება მიიღოს.

«ღვინის ქართულად დაყენება»

ტფილისი, 19 თებერვალი.

ჩვენს ეკონომიურს ყოფა-ცხოვრებას რომ კაცი რიგიანად და გონიერად დააკვირდეს, ბევრს საგულისხმოს იპოვის. ერთი უდიდესი და უპირველესი სახსარი ჩვენის ეკონომიურის ცხოვრებისა მიწათ-მოქმედობაა და სხვაგვარი სახსარი ჯერ ჩვენში თითქმის არც კი დაძრულა, ხელნახლებიც არ არის, მერმისს ელის. მიწათმოქმედებას ორი საგანი მოაქვს ჩვენის ქვეყნის გასაძღოლად, ღვინო და ყოველგვარი ეგრედწოდებული საპურე მარცვალი. ამ ორგვარს წარმოებას დიდი ხანია ვადგივართ და დიდი ხანია მის გზაზედ ვშრომობთ და თავს ავად თუ კარგად ვიკვებავთ. ჩვენ ამას არაფრად ვაგდებთ, თითქო ამ ხანგრძლივს წარმოებას ჩვენთვის არა უსწავლებია რა, არავითარი გამოცდილება არ მოუცია, თითქოს ყოველს მას, რასაც დღეს წარმოებაში ვხედავთ, არავითარი საბუთი და მიზეზი არა ჰქონია, თითქო ყოველივე ალალბედობით, უცაბედობით მოგვსვლია. აი ეს, ჩვენის ფიქრით, რით აიხსნება:

ჩვენმა ძველმა ისტორიამ არ მოგვაცალა, რომ ცოდნა-სწავლის გზა გვეკაფნა და ჩვენის სულისა და გულის ძალით მეცნიერების ახო გამოგვეღო უმეცრების ბარდებით და ჯაგით მოცულს არემარეზედ. ამ მხრით, ძალიან ჩამოვრჩით დანარჩენს კაცობრიობას, რომელიც

დღეყოველ ცოდნისა და სწავლის წარმატებასა და წინსვლაში იყო. სახელოვანმა და საოცარმა ნა-მოქმედარმა კაცობრიობის ცოდნისამ და სწავლისამ ისე მოგვასწრო ჩვენ, როგორც საბნელეთიდამ უეცრად მზეზე გამოსულსა! მეტის სინათლისა და შუქისაგან თვალთ დაგვიბნელდა. ძალოვანმა მეცნიერებამ, რომლის ნაღვაწი ჩვენს უვიცობას ხშირად სასწაულად მიაჩნდა და მიაჩნია, ისე დაბრიყვა ჩვენი ჭკუა და გონება, ისე თავბრუ დაასხა, რომ ერთიც და მეორეც ყურმოჭრილ ყმად გაიხადა და როგორც ტყვე, გაჰბაწრა. აბა, საცა უცხენოდ და უკამბეჩოდ უზარმაზარის სახლების ტა-რება მოიგონეს, საცა ტელეგრაფმა და ტელეფონმა სივრცე გააბათილა და ელექტრონმა ლამის ძველებურს თილისმობას გადააჭარბოს, იქ ჩვენი ბეჩავი უმეცრება და უვიცობა ხმას როგორღა ამოიღებდა. როგორ არ უნდა გვეგრძნო ჩვენი არარაობა? როგორ არ უნდა გვეთქვა: ჩვენ რანი ვართ? რაც ყოფილან, ისინი ყოფილანო! რაკი კაცობრიობის ცოდნა-სწავლის საოცარმა ძლევამოსილებამ ასე აშკარად დაგვანახვა სხვა ქვეყნების უპირატესობა და წარჩინებულობა, ჩვენ ერთიც და მეორეც კისრად უნდა გვედო და დავდუმებულიყავით, როგორც ძლიერის წინაშე უძლური, მეცნიერების წინაშე უმეცარი. სწორედ ეგრეც დაგვემართა: ჩვენც დავდუმდით და იმოდენად დავდუმდით, რომ რაკი კაცი უცხო ქვეყნიდამ მოვიდოდა ჩვენში, სწავლულია თუ უსწავლელი, ჭკვიანი თუ სულელი,– ამას აღარ დავდევდით და პირღია შევყურებდით, ჭკუის მასწავლებელი აბა ეს არისო. გარდა ამისა, საკმაო იყო კაცს ეთქვა, სამზღვარგარედ ესე არისო, რომ ჩვენც მიგვეღო განუსჯელად, აუწონლად, დაუფიქრებლად. იქაურმა ხალხმა ეს ჩვენი პირღიაობის ამბავი კარგად იცოდა და ამიტომაც ყველა ისინი, ვისაც თავის ქვეყანაში ვერა გაეკეთებინა რა, ჩვენკენ გამორბოდა, თან ორიოდე მზად გაკეთებული და მოგონებული რეცეპტიც მოჰქონდა და მტვერს აგვიყენებდა ხოლმე თვალწინ

ჩვენ უმეცრებს და უცოდინარებს ცოდნისა და მეცნიერების სახელითა. სამზღვარგარედ ესეაო, თქვენც ესე უნდა მოიქცეთო და ჩვენც სხვა გზა არა გვქონდა, უნდა დაგვეჯერებინა და ვიჯერებდით კიდეც. ამას კიდევ არ გვაკმარებდნენ ხოლმე: რაც კი რამ ჩვენს სამშობლოში იყო, ყველას გვიფოლავდნენ, თქვენ რა იცით, ბრიყვები ხართო, აბა კარგი რა გექნებათო. ჩვენც ვიძახოდით: მართალი ბრძანებაო.

რაკი სხვაგან ჩვენზედ გაცილებით დიდი ოსტატობა გამოიჩინა ბევრმა ბევრში, ჩვენც დავიჯერეთ, რომ, ბევრი ბევრში კი არა, ყველანი ყველაფერში ჩვენზედ უკეთესნი ოსტატები არიან. დავიჯერეთ და მერე როგორ? ჩვენი აღარაფერი ვიწამეთ, აღარაფერი ვიგულვეთ. ის კი გონებიდამ გამოგვეპარა, რომ ჩვენც გვიცხოვრია, გვიმოქმედნია თავის საკვებად, ჩვენშიაც ყოფილა ხელობა და ოსტატობა მიწათმოქმედობისა, და თუ ჩვენი ნაცხოვარი, ნაკეთარი და ნამოქმედარი მეცნიერებამდე არ აგვიყვანია, ანგარიშში ჩასაგდები გამოსაძიებელი და გამოსაკვლევი ხომ არის, როგორც ნაცადი დიდი ხნისა, როგორც მრავალის წლის მოღვაწეობით შემოწმებული საქმე და საქმიანობა. ეს ჩვენი ნაცადი, ეს ჩვენი გამოცდილობა გაგვიბათილა, გაგვიქარწყლა სახელმა და აბრუმ უცხო ქვეყნისამ, რომელმაც ყველაფერში ბრმად ჩაგვითრია, რადგანაც ბევრში სამართალი და საბუთი მიუძღვოდათ, როგორც გაცილებით ჩვენზედ წინ მავალთა და წარმატებულთა. ამ გარემოებას ერთი არავინ ჩაუფიქრდა და არა სთქვა: კაცო, იქნება ჩვენშიაც იყოს ერთი რამ კარგი, სხვისის სიტყვით ყველაფერს რატომ ესე ხელაღებით ვიწუნებთ!..

ეგ ჩვენის უმეცრების, უცოდინარობის ბრალია. თვით მსჯელობა შეგვიშინა უცხო ქვეყნების აბრუმა, გამბედაობა გამოაცალა. ამის გამო ჩვენი ვეღარა ვიკვლიეთ რა, ვეღარა გამოვიძიეთ რა. ან რაღას ვიკვლევდით, რომ ჩვენი აღარა გვჯეროდა რა. ყოველს მხარეს ჩვენის ცხოვრებისას ამ გაუბედაობამ გონებისამ

თავისი დამღა დაასვა და დღეს ჩვენში უცხო ქვეყნელი სულელიც ჭკვიან კაცად გადის და იქაური ტყუილი მართლადა, მერე როგორი ტყუილი? იქავ ტყუილად ცნობილი და აღიარებული. ამ ტყუილმა ისე არსად არ იჩინა თავი, როგორც ჩვენებურ ღვინის კეთების საქმეში. აქ არამცთუ უცხო ქვეყნელები გზა-კვალს გვირევენ, თვითონ ჩვენებიც კი, მათის სახელით და სიტყვით ბრმად გატაცებულნი და ფეხის ხმის ამყოლნი, იმათზედ უარესად გვხვევენ მჩვარში. ჩვენნი შინაურნი ოსტატები ბრძანებენ, რომ ჩვენებური ღვინის კეთება გროშად არა ჰღირსო; ჩვენ არ ვიცით ვერც ერთნაირის და გამძლე ღვინის კეთება, ვერც შამპანურისა, ვერც კონიაკისა და სხვა ამგვარ დიდფასიან სასმელებისაო. სამზღვარგარედ კი, მეცნიერების შემწეობით, ერთნაირს გამძლეს ღვინოს აკეთბენ, შაპანურს, კონიაკს და სხვა ამისთანა სასმელებს ხომ რაღა თქმა უნდაო. აქედამ, ამ აზრებიდამ წამოსულნი ჩვენი შინაური ოსტატები ჰცდილობენ როგორმე მოგვარჯულონ ღვინის კეთება შეგვაცვლევინონ ევროპიელთა მიხედვითა და ამ ცდას მორჯულებისას დიდ სამსახურად გვითვლიან. რასაკვირველია, ეს ჩვენი თავისიანები თავისით არრას ამბობენ. ესენი შეგირდები არიან უცხო ქვეყნელ ოსტატებისა, და რაც მათგან გაუგიათ, განუსჯელად გაუზეპირებიათ, და ფიქრადაც არ მოსვლიათ, რომ მათი ოსტატები შესაძლოა სტყუოდნენ, შესაძლოა მათმა ოსტატებმა ბევრი არა იცოდნენ რა. ეს კი გონების თვალისაგან მოჰსხლეტიათ, რომ ღვინის კეთებას ჩვენში მთელი ათასის წლების ისტორია აქვს და, მაშასადამე, არის რამ მიზეზი, რომლის ძალითაც ჩვენი ერი თავისებურ ღვინის კეთებას ჰრჩეობს და ევროპიულს უფრთხის და ერიდება დღესაც. ვინ იცის, იქნება ეს მიზეზი პატივსაღებია, ჭკვად მისაღებია? ამას გამოძიება, გამოკვლევა უნდა და უამისოდ ჩვენებურ ღვინოზედ წუნის დადება, ღვინის ჩვენებურად კეთების აბუჩად აგდება, მოშლილის წისქვილის რახუნია და

ტყუილის ოსტატობის თავგაზვიადებული სიბრიყვე და კადნიერებაა. ნურავინ ნუ იფიქრებს, ვითომც ჩვენ ამით იმის თქმა გვინდა, რომ ჩვენს კეთებას და დაყენებას ღვინისას არა აკლია რა. ჩვენ ამას ვერ ვიტყვით. ბევრი რამ აკლია, ამას თქმა არ უნდა. მხოლოდ იგი ნაკლი ჩვენის ღვინისა, რომელსაც ჩვენებურს ღვინოს წუნად უთვლიან ჩვენში შინაურნი თუ გარეულნი ოსტატები, სწორედ იგი ნაკლი ღირსებაა ჩვენის ღვინისა, და თუ ჩვენი ღვინო ოდესმე გზას გაიხსნის საქვეყნო ბაზრისას, სწორედ ამ ღირსების წყალობით გაიხსნის, თუ ძალადამაცხოვნე შინაურ ოსტატების ზედმოსევას და ქადაგებას ღვთისა და თქვენის წყალობით გადვურჩით.

ჩვენ ვეცდებით შემდეგს წერილებში ეს ჩვენი აზრი საგულისხმო საბუთებით შევამოწმოთ.

ტფილისი, 20 თებერვალი.

ჩვენ მინამ მოვიყვანდეთ ჩვენ მიერ წინა წერილში დაპირებულ საბუთებს ჩვენებურად ღვინის კეთების შესახებ და აქედამ ჩვენის ღვინის ავკარგიანობაზედ გამოვიკვლევდეთ რასმე, საჭიროა ავღნუსხოთ, — რა წუნსა სდებენ ჩვენს ღვინოს და რა წამალს გვირჩევენ; მაშინ დავინახავთ, სადამდე მიდის მართალი და ტყუილი. საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ ყველაფერში ჩამორჩენილი ვართ სხვებზედ, და რაკი ყველაფერში უკანა ვართ, ღვინის საქმეშიაც უკან უნდა ვიყვნეთ, მაშასადამე, ჩვენი, რაც კია, არ უნდა ვარგოდეს. ამ საბუთით შეიარაღებულნი საკმარისად ჰხედვენ მარტო ზოგადის ფრაზებით წუნის დადებას და ამით იოლად წასვლასა. ერთს ამისთანა მაგალითს წარმოგვიდგენს ერთი პატარა წიგნაკი, რომელიც შარშან დაიბეჭდა მოსკოვში რუსულად ამ სახელით: О главнейших нуждах и потребностях Кахетии. პატივცემულს ავტორს, რაკი ჩვენზედ ჰლაპარაკობს, ჰგონებია, რომ რაც კი უნდა სთქვას ჩვენებურის ღვინისა და ვენახების კეთების თაობაზედ, სულ მართალი იქნება, ოღონდ ქება და მოწონება რისამე არ იყოს და ამიტომაც ბრძანებს:

“Кахетинские виноградники доходны, что главным образом обусловливается неудачных выбором места для виноградников и патриархалъным способом обработки виноградной почвы”.

გამოდის, რომ ბ-ნ ავტორის აზრით, ჩვენ არც ადგილის შერჩევა გვცოდნია სავენახედ და ვენახის კეთებაც ადამისჟმური გვქონია. აქ არც ერთის დასამკიცებელი საბუთი არ არის მოყვანილი. ან რა საჭირო იყო! განა საკმარისი არ არის, რომ ქართველებმა არ იციან რა და, მაშასადამე, არც ეს ეცოდინებათ. ერთი ეს ფიქრად მაინც როგორ არ მოუვიდა ბ-ნს ავტორს, რომ რამდენიმე საუკუნეა, რაც საქართველოში ვენახობას მისდევენ, და რა ღმერთი

გაგვიწყრებოდა, ადგილის ამორჩევაც ვერ გვესწავლა. ჩვენ კი გვგონია, რომ ადგილის ამორჩევაზედ ჩვენ აბუჩად ვერავინ ვერ აგვიგდებს. ჩვენს ვენახებს უკეთესი ადგილები უჭირავთ. ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ საცა დღეს ვენახებია, იმ ადგილებიდამ კარგი ღვინო გამოდის და ვენახების დიდი ხნის წარსულიც გვემოწმება ამას. თუნდ ეგეც არ იყოს, ბ-ნმა ავტორმა აიღოს რომელიმე სოფელი და მიგვითითოს იმისთანა ადგილზედ, რომელიც იმ ადგილებზედ უკეთესია, საცა დღეს ვენახებია. მაგას ვერ იზამს, ათასში ერთსაც ვერ გვაჩვენებს. ეს მაგალითი ნუთუ იმის მომასწავებელი არ არის, რომ ადგილის ამორჩევა ვენახებისათვის ვიცით და არც შესაძლოა არ გვცოდნოდა, იმიტომ, რომ ვენახის კეთება ჩვენში გუშინდელი საქმე არ არის და კარგის არჩევანისათვის რამდენისამე საუკუნის გამოცდილება ხელთა გვაქვს. ვინც ცოტაოდნად მცოდნეა ჩვენის ვენახის პატრონებისა, ის გვიმოწმებს, რომ თითქმის არც ერთი ვენახის პატრონი გლეხი არ არის ჩვენში, რომ ამ საგანზედ ჭკვად მისაღები დარიგება და რჩევა არ მოგცეთ. ამ მხრით ჩვენებური გლეხი ევროპიელ მეცნიერსაც კი აჯობებს, იმიტომ რომ მიწათ-მოქმედობაში საერთოდ და ვენახობის საქმეში ცალკე გამოცდილება დიდი რამ არის, და ჩვენებური გლეხი ევროპიელს მეცნიერზედ გამოცდილებით მეტისმეტად წინ იქნება იმიტომ, რომ ადგილის კაცია. ტყუილად კი არ არის ნათქვამი, ადგილის კურდღელს ადგილის მწევარი დაიჭერსო. შეცდომა მოსვლია პატივცემულს ავტორს, ამ გზით არ გამოუძიებია საქმე და მარტო იმას დასჯერებია, რომ აბა ამათ საიდამ რა ეცოდინებათ, ყველაფერში ჩამორჩენილნი არიან და ამაშიც ჩამორჩენილნი იქნებიანო. ამ სახითვე მოჰქცევია ბ-ნი ავტორი ვენახების ჩვენებურად კეთების საქმესა. რას გვიწუნებს ბ-ნი ავტორი? გარკვევით და ჩამოთვლით არას გვეუბნება. მარტო ამას ამბობს, რომ ვენახის მიწას ადამისჟმურ წესით აკეთებენო. თვითონ ვაზის

მოვლის წესს კი სრულებითაც არ იხსენიებს. ჩვენც ამ ვაზის მოვლის საქმეს თავი დავანებოთ და მიწის კეთების საქმეს შევუდგეთ.

რაში მდგომარეობს ეს ადამისჟმური წესი, არც ამას გვეუბნება, უსათუოდ იმავ მოსაზრების ძალით, რომ ძველი ხალხია, უკან ჩამორჩომილი, და რა დიდი ლარი და ხაზიღა უნდა, რომ ადამისჟმური წესი ექმნებათო. მიწის კეთება ვენახისათვის — ბარვა და თოხვნაა და ამაზედ დამოკიდებული გაწმენდა ვენახისა, დაწვენა და დამუხლვა ვაზისა; სხვა რა არის, გვიბძანონ. ავტორი რომ ვენახის მიწის კეთებას გვიწუნებს, ნუთუ ამით იმისი თქმა უნდა, რომ ბარვა და თოხვნა და მათზე დამოკიდებული მუშაობა ვენახის მიწისა ჩვენში ჯერ საჭიროდ ცნობილი არ არის? ან თუ ცნობილია, ნუთუ ჰგონებია, ბარვა და თოხვნა არ ვიცით, როგორც რიგია? ყველაფერში შეუძლიან მჩვარში გაგვახვიოს კაცმა, მაგრამ სთქვას კი, რომ ქართველმა კაცმა ბარვა, თოხვნა, გაწმენდა ვენახისა, ვაზის დამუხლვა და დაწვენა არ იცოდეს, — ეს მთქმელის მტკნარი უმეცრობა იქმნება და არა ჩვენის ხალხისა. მართალია, ჩვენში ეგრედწოდებულ "პლან-ტაჟით" მომზადება მიწისა ვენახისათვის არ არის ჯერ შემოღებული, და თუ არის, კანტიკუნტად, და არც ლარზედ ჩაყრა ვაზისაა ჩვენში გახშირებული, მაგრამ სხვაფრივ ვენახის მიწის კეთება და მოვლა, რომელიც არსებითს საჭიროებას შეადგენს ვენახის კარგად კეთებისას, ჩვენში საკმაოდ კარგად იციან, იმოდენად კარგად, რომ რომელს ევროპიელსაც ეს ჩვენებური ცოდნა წინ არ წაუმძღვარებია და თავის ჭკუით უკეთებია ჩვენში ვენახი, გაშენებულიც კი ამოვარდნია. ამისი მაგალითი დღესაც თვალწინ გვიდგა ზოგს ალაგას და მხოლოდ დასახელება არა გვსურს.

ჩვენ ამითი იმის თქმა არ გვინდა, რომ ვითომც ჩვენებურად ვენახისათვის მიწის კეთებას სანატრელი აღარა ჰქონდეს რა. ეგ ტყუილი ბაქიაობა იქმნება. ჩვენ მარტო ის გვინდოდა გვეთქვა, რომ ჩვენებურს კეთებას

მიწისას ვენახებისათვის ბევრი თავისი საკუთარი მიზეზი საბუთი აქვს, გამოცდილებით შემოწმებული და მეცნიერთაგანაც ჭკვად მისაღები. ეგ წესი მიწის კეთებისა ჩვენშიაც იგივეა, რაც სხვაგან, და ზოგჯერ სხვაგან ის არ არის, რაც ჩვენშია. მაგალითებრ, ვაზის გადაწვენასა და ჩამუხლვაში ჩვენ ბევრი არავინა გვჯობია და ბევრს შეუძლიან ჩვენგან ისწავლოს რამეც. ამის გამო გადაჭარბებული თავმოწონება არ იქნება ვსთქვათ, რომ თუ ზოგი რამ აკლია ჩვენს ხალხს ვენახისათვის მიწის კეთების საქმეში, ზოგიც იმისთანა რამ იცის, რომ სხვასაც ასწავლის. ურიგო არ იქნება მსურველმა ისწავლოს ეგ ზოგი რამ და ტყუილის აბრუთი გაზვიადებული არ იძახოდეს: ადამისჟმური წესიაო. არა, ბატონებო, თავიდათავი ტკივილი ჩვენის ღვინის საქმისა იქ არ არის, საცა ესე ადვილად ჰპოულობენ ჩვენი სხვისით მოლაპარაკე მეცნიერნი.

III

ტფილისი, 21 თებერვალი.

ერთი ჯურის ოსტატები ხომ ვენახის მიწის კეთებას გვიწუნებენ, ჩვენს ცოდნას და გამოცდილებას ამის შესახებ ჩალადაც არ აგდებენ, მეორე ჯურისანი თვითონ ღვინის დაყენებას და კეთებას ჩვენსას აბუჩად იგდებენ. არც ამ ჯურის კაცსა აქვს ზედმიწევნით გამოკვლეული, რისთვის რას ამბობს! ყოველის კეთების ავკარგიანობა ნაკეთარმა უნდა გამოაჩინოს. რამოდენადაც ნაკეთარია კარგი ან ცუდი, იმდონად კეთებაც კარგი, ან ცუდი იყოს. ეს აშკარაა ერთმა რომ კარგი ურემი გააკეთოს, მეორე ვერ ეტყვის, გამკეთებელს ურმის კეთება არა სცოდნიაო. ჩვენის ღვინის ოსტატობის დამწუნებელს რომ ჩვენი ღვინო ესინჯა და მის ავკარგიანობისაგან გამოეყვანა წუნი, მაშინ, რა თქმა უნდა, სიტყვას ვერ შევუბრუნებდით, მაგრამ ესე

არ იქცევა. მას უნახავს, ან გაუგონია, რომ ევროპაში სხვადასხვა ოსტატობაა ღვინის კეთებისა და დაყენებისა, და რადგანაც მაგავე ოსტატობას აქ ვერა ჰხედავენ, მარტო ამით სწუნობენ ჩვენებურს ღვინის კეთებას. მაგალითებრ, საფრანგეთის მინისტრმა ქიმიკოსმა შაპტალმა აღმოაჩინა, რომ შესაძლოა მჟავე ღვინოს სიმჟავე დაუკარგოს კაცმა თუ ფხვნილი მარმარილო ჩააყარა, სიმჟავეს მარმარილო შეისვამს და მერე ძირს დაილექებაო. მერე მარმარილოს მაგიერად ამისათვისვე თაბაშირს (Гипс.) დაუწყეს ხმარება და ამ თაბაშირით ნაკეთობას საფრანგეთში Platrage-ს ეძახიან და თვითონ სისტემას კი "შაპტალიზაციას". დოქტორმა ლუდვიგ გალმა თავის მხრით, სხვა რამ მოიგონა. ამისის აზრით, ღვინის სიკეთე იმაზეა დამოკიდებული, თუ რამოდენა სიტკბო აქვს ყურძნის წვენსა, ესე იგი, რამოდენა შაქარი, და თუ ყურძნის წვენს ეს აკლია, უნდა განგებ ჩაემატოსო. ამას "გალლიზაციას" ეძახიან. გარდა ამისა ღვინოს ფერის მისაცემად სანდალს უშვრებიან, ჭიაფერსა, ლილა, ალუბლის წვენს, ანწლს და სხვა ათასგვარ წამალსა, მაგალითებრ, შაბსა, რკინის არჯასპსა, სპირტსა და ერთგვარს შენარევს ტყვიისას, რომელსაც პროტოქსიდს (Cerbonate) ტყვიისას ეძახიან. ერთგვარს ნივთიერებასაც ხმარობენ ღვინის საფერავად და ამ ნივთიერებას ფუქსინი ჰქვიან და ზოგჯერ ზედ დარიშხანასაც უმატებენ, ამას "ფუქსინიზაციას" ეძახიან. მართალი კი უნდა სთქვას კაცმა, რომ ყოველს ამას ევროპაში დიდის მეცნიერობით, ოსტატობით და ხერხით ახერხებენ, მაგრამ განა კარგია ყოველივე ეს? ნუთუ ეს საკითხავი და გამოსაძიებელი არ არის!

რაკი ყოველივე ეს ევროპაშია და რაკი ამისთანა აბრუიანი სახელებიცა აქვს, როგოც "შაპტალიზაცია", "გალლიზაცია", "ფუქსინიზაცია", ჩვენს ოსტატებს ღვინისას თავბრუ უნდა დასხმოდათ. აბა ჩვენმა კაცმა როგორღა შეჰბედოს გამოძიება, სიტყვის შებრუნება,

მერე ვისა? ევროპას და ევროპის მეცნიერებას! სჩანს ყოველივე ეს კარგია, რადგანაც ევროპაშია მიღებული, და რადგანაც ჩვენში, — ჯერ ღვთის მადლით, — შემოღებულ არ არის, არც ღვინის კეთება გვცოდნია და არც რიგიანი ღვინო გვქონია. აი, რაზეა აშენებული აზრი ჩვენის მწურთვნელისა შინაურისა თუ გარეულისა. რატომ აღარ იკითხავენ, რომ ამ ოსტატობით და მეცნიერებით კეთება ღვინისა ღვინის სუნსღა არჩენს ყურძნის წვენსა? რატომ არ იკითხვენ, ეგრედ ნაკეთები ღვინო ღვინოდ ჩაითვლებაღა, ესე იგი იმ მარგებელ სასმელად, რომლისვთვისაც ბუნებური, მართალი ღვინოა დანიშნული?

ყოველს სასმელს, თუ საჭმელს, ყოველთ უწინარესს ის უპირველესი ღირსება უნდა ჰქონდეს, რომ აგებულებისათვის მარგებელი იყოს და მაინცდამაინც მაწყინარი არა. ყურძნის წვენის სხვადასხვა ოსტატობით მეცნიერთაგან აღმოჩენილ წამლებით გადასხვავება ნუთუ ისე ბრმად მოსაწონია, რომ იმის მიხედვით დაიწუნოს კაცმა ჩვენებური ღვინის კეთება, რომელიც მარტო იმაზეა მიქცეული, რომ ყურძნის წვენს არა რა შეერიოს და ღვინოს თავისი ბუნებური, შეურეველი თვისება ჰქონდეს! ეგ რაღაც "Platrage"—ია და "ფუქსინიზაცია", ძალიან გავრცელებულია თურმე სამხრეთ საფრანგეთსა, ისპანიასა და იტალიაში. ნუთუ ეს საკმაოა, რომ ჩვენც იმათ ავყვეთ და მარგებელი სასმელი მაწყინარად და ადამიანის მოსაწამლავად გადავაქციოთ. აი, ამ ფუქსინით შეზავებულ ღვინოზედ რას ამბობს ერთი მეცნიერი ჰუსსონი: "ერთი ჭიქა დავლიე თუ არა, მაშინვე ყელი გამიშრა და შემეკუმშა, ტუჩებზედ და ტუჩის კუთხეებში რაღაც უგემურობა ვიგრძენი ასე, რომ იძულებულ გავხდი ენით მესველებინა წამდაუწუმ. გემო შაბით ნაკეთებს ღვინოს უგვანდა. ენა და ტუჩები ცოტაოდნად შემეღება, გულის ზიდილი ვიგრძენ უფრო იმისაგან, რომ მაგისთანა ღვინო უნდა დამელია".

ეს ფუქსინით ნაკეთები ღვინო ისეთი მაწყინარია, რომ, — უკაცრაოდ არ ვიყოთ — შარდსა წითლადა ჰღებავს და ადამიანს ტანში ჰხსნის; მოდით და ამას იქით გვითხარით, რატომ ფუქსინით ღვინოს არ აკეთებთ!.. რატომ "ფუქსინიზაცია" — ეს მაღალხმოვანი სისტემა, მიღებული არა გაქვთ-თქო!.. იქნება ბევრში ცუდად ვექცეოდეთ ღვინოსა ჩვენში, მაგრამ ამას კი ვიტყვით, რომ ცუდად ნაკეთები ღვინო მარგებელი და უმჯობესია, ვიდრე კარგად ნაკეთები და მაწყინარი. ამაზედ დაწვრილებით შემდეგში ვეცდებით მოვილაპარაკოთ და იქნება ცოტად თუ ბევრად დავაჯეროთ ვინმე, რომ ჩვენებური ღვინის კეთება ისე აბუჩად ასაგდები, ისე მჩვარში გასახვევი არ არის, როგორც ზოგიერთსა ჰგონიათ, ევროპის მიხედვით თავბრუდასხმულთა.

IV

ტფილისი, 24 თებერვალი.

ჯერ მინამ შევუდგებოდეთ იმის გარჩევას, თუ რომელი კეთება ღვინისა უმჯობესია, ჩვენებური თუ სხვაებური, და ერთისა და მეორის ავკარგიანობას ერთმანეთს პირში წაუყენებდეთ უტყუარის განაჩენის დასადგენად, საჭიროა ვიცოდეთ, რაშია ჭეშმარიტი ღირსება ღვინისა. რა თქმა უნდა, ღვინო, როგორც სასმელი, რომელსაც მარტო ადამიანი ჰხმარობს, უნდა გაისინჯოს იმისდა მიხედვით თუ, — რაგვარ უხდება, რაგვარს შემწეობას უწევს ადამიანის აგებულებას, ანუ, უკედ ვსთქვათ, რა უნდა მოეთხოვებოდეს ღვინოსა.

ამ საგანზედ აი რა აზრია გამოთქმული მეცნიერთაგან. ღვინო საკვებავი არ არის ადამიანის აგებულებისათვის; იგი აგებულებას საზრდოს არ აძლევსო; იგი მარტო სანელებელია და ყველაზედ უკეთესი სანელებელიც, რომელიც ძალიან კარგად

მოქმედებს ადამიანის ძარღვებსა, გუნებასა და გონებაზედა. ამისთანა თვისებამ ღვინისამ ისეთს აღტაცებაში მოიყვანა ძველს დროში ასკლეპიადი, ჰიპოკრატის* მიმდევარი, რომ მან თავის თხზულებაში სთქვა: "ღმერთთა ძლიერებამა არა მგონია იმოდენა ჰქმნას, რაც ღვინის სიკეთემ და სარგებლობამაო". ეს ასკლეპიადი პირველი იყო, რომ სხვადასხვაგვარს სნეულებას უფრო ღვინით სწამლობდა. მის მაგალითს აჰყვნენ ბოლოს მკურნალნი სიდენჰამი, სვიტენი, ჰუფელანდი, გრანტი, ჰუქსამი და დასასრულ, ბროუნიცა, რომელმაც მთელი სკოლა მკურნალობისა შეადგინა ინგლისში და მისი ღვინით წამლობა დღესაც ცნობილია მისისავე სახელით "ბროუნიზმი". მკურნალი სტოკესი დუბლინში სახადს და საოფლეს ღვინით არჩენს, ფოდერე წითელას მარტო ღვინითა სწამლობს, ლებენსტეინ-ლებელი თითქმის ყველა სენსა მარტო ღვინითა ჰკურნავს.

ეს ღვინის მარგებლობა დამტკიცებულია მეცნიერთა გამოცდილებითა. მაგალითებრ, ზღვაში ღელვის დროს ორი გემი მომწყდეული ყოფილა, ერთი ინგლისელებისა და მეორე ფრანგებისა, ორსავე გემში გაჩენილიყო ერთგვარი ავადმყოფობა, რომელსაც ჩვენში პირის ტკივილს, და უფრო გაძლიერებულს, ვგონებთ, ელქანს ეძახიან, და მკურნალობაში "სკორბუტი" ჰქვიან. ფრანგის მეხომალდეთა, რომელთაც ღვინოს ასმევდნენ თურმე, ამ საშინელმა სნეულებამ არა დააკლო რა, ინგლისელები კი არაყს ასმევდნენ და კინაღამ არ გაწყდნენ. როდესაც პარიჟს გარს ერტყა გერმანიის ჯარი და გასვლა-გამოსვლა აღარავის შეეძლო, ზემოხსენებული სენი საშინელის სიმძლავრით გაჩნდა. მაშინ მკურნალმა ბრუადელმა ღვინო იხმარა წამლად და ამით არჩინა სნეულნი. ამასაც ამბობენ, ვითომც ციებ-ცხელებაში ცხროებას ანელებს ღვინო და

* სახელოვანი მკურნალი ძველის საბერძნეთისა სცხ"ოვრებდა ქრისტეს წინად მეხუთე საუკუნეში და მკურნალთა მამამთავრად დღესაც ცნობილია.

საზოგადოდ აგრილებს ადამიანის აგებულებასა. ერთი საფრანგეთის მწერალი თურმე ამტკიცებს, რომ იმ ქვეყნის ერი, საცა ღვინო მოდის, უფრო გონებით სწრაფია, მოსწრებულია, მახვილგონიერია, ვიდრე იმ ქვეყნისა, საცა სასმელად ლუდსა (პივას) ჰხმარობენო. ეს იქნება გერმანელთა მტრობით მოსდის ფრანგსა, იქნება ყოველს ამაში ცოტად თუ ბევრად გადაჭარბებაც იყოს, მაგრამ ის კი უეჭველია, რომ ზომიერად მიღებული ღვინო ძალიანა ჰრგებს ადამიანსა; ამღერებს და აღონიერებს ძარღვებს მოქმედებისათვის, ადამიანის აგებულებას, კუჭსა ჰშველის კარგად მოხარშვას და მონელებას საჭმლისას და ყოველ ამით აძლიერებს ძალსა საცხოვრისას. ამ სახით, — ამბობს ერთი მწერალი, — ღვინო მარგებელი სანელებელია, ყველა სანელებლებზედ გაცილებით უმჯობესი და უპატიოსნესი, იმიტომ რომ ყველაზედ უკეთ აღამაღლებს ხოლმე ადამიანის ჭკუასა და გულსა. ერთი ყლაპი კარგის ღვინისა გამოახალასებს მოხუცსა და გამოაცოცხლებს სნეულსა, იგი ღონეს მოუკრებს ხოლმე დაუძლურებულს და დასუსტებულსა.

რა ჰხდის ღვინოს ესოდენ მარგებელად, ესოდენ სასარგებლოდ! მარტო ერთი ყოვლადშემძლებელი, შეუცდომელი, გაბრძნობილი ოსტატი, რომელსაც ბუნება ჰქვიან. მარტო ბუნებურს ღვინოსა სჭირს ესოდენი სიკეთე, ესოდენი მადლი.

V

ტფილისი, 28 თებერვალი.

ჩვენ ღვინის კეთების ავკარგიანობის გამო წინა წერილში* ვსთქვით, რომ ღვინოს მარგებელ და

* იხ. "ივერია" № 41

სასარგებლო სასმელადა ჰხდის მარტო ერთი ბუნება და ვერავინ ვერ გვეტყვის, რომ აქ, ღვინის კეთებაში ბუნებას კაცმა აჯობოს. ბუსსენგო, რომლის ღვინის ანალიზები უკანასკნელი სიტყვაა მეცნიერებისა და რომელიც ამ საქმეში ავტორიტეტად ითვლება, თავის მოხსენებაში ამბობს, რომ თუმცა მეცნიერებამ ამ უკანასკნელს დროში ბევრი რამ ახალი აღმოაჩინა, მაგრამ ძნელად ითქმის, რომ შესაძლოა იყოს ბუნებურ ღვინის მსგავსი რამ განგებ გააკეთოს ადამიანის ოსტატობამ და ხელმაო. ეგ იმიტომაო, რომ ბუნებურის ღვინის გემო, სუნი (ბუკეტი) და ჯანის შესახები კეთილ-მოქმედება, დამოკიდებულია იმისთანა ნივთიერებაზედ, რომელიც ჯერ ჩვენგან გამოცნობილი და მიგნებული არ არისო. გერმანიის რჯულდება პირდაპირ და ცხადად ამბობს, რომ ღვინო მარტო იმასა ჰქვიან, რაც მარტო ყურძნის წვენისაგან კეთდება და სხვა არა რა განგებ ჩარეული და ჩამატებული არა აქვს რაო. მართალია, სხვადასხვაგვარი ოსტატობა ღვინის კეთებისა, მაგალითებრ, შაპტალიზაცია, გალლიზაცია, პეტიონიზაცია და სხვა აკრძალული არ არის, მაგრამ ამ ოსტატობით ნაკეთები სასმელი არ შეიძლება კაცმა ჰყიდოს, თუ ჭურჭელზედ ზედ წარწერილი არ იქნება, რა გზით არის ნაკეთებიო. საფრანგეთის კანონები წყალის ჩამატებასაც კი ღვინოში ფალსიფიკაციას ეძახიან, ესე იგი ყალბი ღვინის კეთებასა*.

ჩვენში ამ საგანზედ თავის დღეში არავითარი რჯულდება არა ყოფილა, და თუ ყოფილა, ჩვენ არსად შეგვხვედრია. მაგრამ ეს კი ვიცით, რომ ჩვენებური ხალხი ძალიან ჰთაკილობს ღვინოში ყურძნის წვენის მეტი სხვა რაიმე ჩაურიოს, და ვისაც ეგ კანტიკუნტად

* "Journal des Debats" 10 თებერვალს 1884 წელსა ამბობს, – რომ არა კანონი არ უშლის კაცს ღვინოში რამდენიც უნდა წყალი ჩაურიოს, ოღონდ კი, თუ ჰყიდის ამისთანა ღვინოს, მუშტარი არ მოატყუოს და ღვინის მაგიერ წყალღვინო არ მიაჩეროსო.
ერთი სიტყვით, გამსყიდველმა უნდა გამოაცხადოს ხოლმე, ღვინოში ამდენი წყალია განგებ დასხმული და ამდენი ღვინოვო.

სადმე გაუბედნია, ყოველივე ღონისძიება უხმარია, არავინ შემიტყოსო, ესოდენ სირცხვილად და ცოდვად მიაჩნდა ჩვენში ყველას წმინდა წვენი ბუნებისაგან მოცემულის ყურძნისა წაეწყმიდა და შეებღალა რითიმე თავისგნით ჩამატებულით და ჩარევითა. ამ სიფრთხილეს ზნეობითის თვისებისას, სხვა სიფრთხილე და შიშიც მოსდევდა, იმიტომ რომ არც ერთი ვაჭარი, არც ერთი სირაჯი იმისთანა კაცის მარანს არც კი მიეკარებოდა, ახლოც არ გაუვლიდა, და როცა ამქრობას თავისი ძალა ჰქონდა, შეჰკრავდა კიდეც მარანს, რომ არავის გაეჭაჭანა. ესეთი პატივი ჰქონდა ჩვენში ბუნებურს ღვინოს, და თუმცა ესეთი პატივი არა აქვს დღეს ევროპაში, მაგრამ იქაც კი მაინც ძნელად მოიპოვება კაცი, რომ წმინდა შეურეველ, ხელთუქმნელს ღვინოს ყოველთვის წინ არ აყენებდეს ხელთქმნილზედ. მაშასადამე, ჭეშმარიტი საგანი ღვინის კეთებისა, ამისი თავი და ბოლო, ბუნებურის ღვინის შექმნაა, ესე იგი ყურძნის წვენის დაღვინებაა იმ გზით, რა გზითაც თვითონ ბუნება ყურძნის წვენს საღვინოედ ამოქმედებს და ბუსსენგო ამბობს, რომ არავითარი ადამიანის მიერ მოგონილი ღონე ამას ვერ შესძლებსო, თუმცა მეცნიერებამ ბევრი ახალი იარაღიც მისცა ხელშიო. მეცნიერებამ ბევრი რამ აღმოაჩინა ქვეყანაზედ: მაგალითებრ, ღვინის დაფერვა თუ გინდა, რკინის შაბიამანი ჩაურიე ღვინოშიო; ან როცა ღვინოში წყალს ასხამ, რომ ეს არ შეემჩნიოს, გოგირდის მჟავე (серная кислота) ჩაასხიო; და განა იგივე მეცნიერება არ იძახის, ერთიც, მეორეც და მესამეც მაწყინარიაო! კაცს წყალის გასაღება უნდა ღვინის სახელითა და სიყალბეს გოგირდის მჟავით ჰმალავს, კაცს წამლებით შეუღებავს ღვინო და ამით მუშტარის მოტყუება ჰსურს, – ეს ღვინის კეთებაა?!

არა, შორს ჩვენგან ამისთანა ღვინის კეთება! ყოველს იმას, რასაც კაცი თავისგნით ყურძნის წვენში უმატებს, წყალია, შაქარია, თუ გადაწმენდილი არაყი და ან სხვა რამ, ჩვენ ღვინის წახდენად ჩავთვლით და

ამას ცოტად თუ ბევრად დავინახავთ, როცა იმის გარჩევაში შევალთ, რას ითხოვს ბუნება, რომ ბუნებური ღვინო შეიქმნას, და რას მოასწავებენ ის სისტემები ღვინის კეთებისა, რომელნიც ჩამატებასა და შერევნაზედ არიან დაფუძნებულნი და შეელიზაციად, შაპტალიზაციად, გალლიზაციად და პეტიონიზაციად სახელგანთქმულნი.

VI

ტფილისი, 3 მარტი

ორი ჯურია ღვინის მუშტრისა და თვითვეული მათგანი ღვინისაგან იმასა ჰთხოულობს, რაც საკუთრად მისთვის სარფაა და სახეირო. ამ სხვადასხვაობას მუშტრისას დიდი მნიშვნელობა აქვს, იმიტომ რომ ამ სხვადასხვაობის მიხედვით სისტემაც ღვინის კეთებისა ორნაირია. ერთგვარი მუშტარი ღვინისა ღვინის პირდაპირი მხმარებელია, ესე იგი კაცი, რომელიც ჰყიდულობს ღვინოს იმისათვის, რომ თვითონ სვას, თვითონ გამოიყენოს და მოიხმაროს; მეორე ღვინის ვაჭარია, ესე იგი კაცი, რომელიც ჰყიდულობს ღვინოს მარტო იმისათვის, რომ ჰყიდოს. პირველს ღვინის სახელით იმისთანა სასმელი უნდა, რომ არამც და არამც მაწყინარი არ იყოს, და ამისთანა სასმელი, როგორც შემდეგში ვნახავთ, მარტო ბუნებური, შეურევნელი, წმინდა ყურძნის წვენის ღვინოა. მეორე კი, ესე იგი ღვინის ვაჭარი, მარტო იმას დაეძებს, რომ სასმელი ერთნაირის ფერისა, ერთნაირის გემოსი, ერთნაირად გამძლე იყოს ყოველს შემთხვევაში და იმოდენად ჰგვანდეს ღვინოსა, რომ პირდაპირს მხმარებელზედ გაასაღოს ხოლმე ღვინის სახელითა. ყოველივე ეს შეუძლებელია ბუნებურ ღვინისათვის, თუ წამლებით შეკეთებული და შერევნილი არ არის. ამას მერე ვნახავთ და ეხლა კი ვიტყვით, რომ ამ

უკანასკნელ შემთხვევაში სასმელის უწყინარობა უკან არის დაყენებული, როგორც იმისთანა ბარგი, ურომლისოდაც შეიძლება იოლად წასვლა, მაშინ როდესაც პირველს შემთხვევაში ამ უწყინარობას პირველი და უკანასკნელი ადგილი უჭირავს. ჩვენებურად ღვინის კეთებას ღვინის პირდაპირი მხმარებელი ჰყავს სახეში და ევროპიულად კეთებას — უფრო ღვინის ვაჭარი. ამ ორში რომელი კეთებაა ღვინისა უფრო მართალი, უფრო კარგი, უფრო სამჯობინარი და მოსაწყენი თავისის აზრითა და განზრახვითა — ეგ ადვილად გამოსაცნობია.

ჩვენ ჯერ შევუდგებით იმის აღწერას თუ იგი სისტემა, რომელსაც სახეში ჰყავს პიდაპირი მხმარებელი ღვინისა, რაში მდგომარეობს და როგორ უძღვება თავის დანიშნულებას. ეგ სისტემა იმაში მდგომარეობს, რომ კაცმა მოაშოროს ყოველივე ის, რაც თვითონ ბუნებას უშლის ყურძნის წვენის ბუნებურ ღვინოდ სრულად და სავსებით შექმნასა და იმ ყურძნის წვენშივე არსებულთა და მოქმედთა ძალთა ბუნებისასა ხელი შეუწყოს, ხელი მოუმართოს. მაგრამ მინამ საქმე ამაზედ მიდგება, ღვინის დამყენებელმა უნდა იცოდეს, რა ადგილმა რაგვარი ღვინო იცის, და რაგვარი ღვინოც ჰსურს, იმგვარს შეურჩიოს სავენახე ადგილიცა* ბუნებური ღვინო სხვადასხვა არის და ეგ სხვადასხვაობა დამოკიდებულია მიწის სხვადა-სხვაობაზედ. მძიმე, ესე იგი ღრმად სახნავს თიხიანს მიწას მოჰყავს ღვინო მოჭირებულის ფერისა, ძლიერის სუნითა, გემრიელი და გამძლე. ქვიშიანს ადგილზედ ღვინო ისე მაგარი არ არის, სუნიც ნაკლები აქვს და უფრო ნაკლებად გამძლეა. კირრეულ მიწაში ღვინო უფრო ტკბილია და სუნით არ არის ძალიან გამოჩინებული. მშრალის ქვიანის ადგილის ღვინო

* ჩვენ აქ ამაზედ იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ ჯერ ჩვენში — ღვთის მადლით — ღვინის მკეთებელი და ვენახისა ერთი და ივივე მომქმედია, ამიტომაც რაც ვენახის პატრონის ავკარგიანობას უჭირს, ის ღვინის მკეთებელსაც და რაც ღვინის მკეთებელს, ის ვენახის პატრონსაცა.

ტკბილია, მაგარი, დიდ ხანს გამძლე და ძლიერი სუნი კი არა აქვს. ჰავასაც, რაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს ღვინის სიკეთისათვის. ჰუმბოლტის სიტყვით, ორთა შუა ტემპერატურა უნდა იყოს $9,5^0$ რეომურისა. ამასთან ზამთრის ორთა შუა ტემპერატურა არ უნდა იყოს $0,5^0$-ზე უფრო ცივი და ზაფხულისა – 18^0-ზე არა ნაკლები თბილი. ყურძნის წვენის სიტკბოზედ დიდი კეთილმოქმედება აქვს მზიანსა და თბილს დარსა ღვინობისთთვეში. რა თქმა უნდა, რაც ჰავას, დარს, სიცხე-სიცივეს წლისას შეეხება, აქ ადამიანი ყოვლად უღონოა შველა რამ გაუწიოს ბუნებასა, მინამ ყურძენი დაუკრეფავია, მაგრამ მიწის ამორჩევა და განოყიერება-გაღონიერება კი მის ხელთ არის. ღვინის ავკარგიანობაზედ ზედმოქმედება აქვს თვითონ სასუქსაც. ძროხის პატივი ვენახის სასუქად ყველაზედ უკეთესად ცნობილია. ძალიან კარგად მოქმედებს ძვლების ფხვნილიცა, მჟავე ფოსფორი, მჟავე კირიცა (Суперфосфат), რომელსაც ძვლებისაგანვე აკეთებენ და ფოსფორ-მჟავე აქვს. ჩვენში სასუქს იშვიათად სადმე ჰხმარობენ. კახეთში თითქმის სულ არ იციან, ზოგან კი, მაგალითებრ, ქართლში და სომხითში არ ერიდებიან. ჩვენში ამ საგანზედ ერთობ ის აზრი აქვთ, რომ სასუქი ღვინოს გემოს აძლევს და ახდენსო. მართალიც არის: ზოგიერთი სასუქი, რაშიაც ერთნაირი ნივთიერება "ამმონიაკი" მეტისმეტად ჭარბად ურევია, ან სხვა რამ ძლიერად საგრძნობელი ყნოსისათვის, ჰვნებს ღვინოსა. რაკი ესეა, ჩვენებური კაცი, კარგის ღვინის დამყენებელი, ერიდება სასუქის შეტანას საერთოდ, რა გვარის სასუქიც უნდა იყოს. აქაც, თუ გნებავთ, იგივ თანასაგრძნობელი აზრი მოქმედობს, რომ კაცმა თავისით არა გაურიოს რა, არა ჩაუმატოს რა ღვინოსა და ეს უვიცობად არავინ არ უნდა ჩამოართვას, იმიტომ რომ თუ ჩვენებურმა კაცმა სუპერფოსფატების გაკეთება არ იცის, ძროხის პატივით გაპატივება ხომ იცის საყანეებისა, და რა დაუშლიდა ამავე ღონის ხმარებას ვენახების გაპატი-

ვებისათვისაც, თუ არ ის აზრი, რომ ეგ ღვინოს ავნებსო.

რასაკვირველია, ადამიანის ხელითვე არის, თვითონვე ყურძნის დაკრეფასაც დრო შეურჩიოს, და ამასაც ღვინის სიკეთისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენში და ყველგან სხვაგანაც ღვინობისთთვის ნახევრამდე დაიწყობა ხოლმე ყურძნის კრეფა, ზოგჯერ ცოტა გვიანაც, რადგანაც, თუ კაი დარია, ყურძენი უფრო კეთდება, და ამას ევროპაში ცნობულობენ სხვადასხა იარაღითა და ღონისძიებითა, და ჩვენში კი გაჭყლეტენ მარცვალს თითებშუა, და თუ თითები წვენის გამო ერთმანეთს ეწებება და ეს დაწებება დღედადღე უფრო მატულობს, ამბობენ, ყურძენს ჯერ კიდევ "წებო" ემატებაო და დაცლა, დახანება უნდაო იმიტომ, რომ ამ წებოს მეტნაკლებობაზედ დამოკიდებულია ღვინის სიკეთე. ამ ორ ღონისძიებათა გამო მარტო ის ითქმის, რომ ევროპიული უფრო ხერხიანია და მეორე უფრო სადა და უბრალო, ყურძნის კარგად დამწიფების და შემოსვლის საცოდნელად კი ორივე გამოსადეგია. რა თქმა უნდა, რომ ჩვენებურმა კაცმა ის ევროპიული იარაღი შემოიღოს, უკეთესი იქნება. ხოლო ეგ იმას არა ჰნიშნავს, რომ ჩვენებურად ღვინის კეთებაში დავიწყებული იყოს, ან არ ვიცოდეთ იგი წესი, იგი მოთხოვნილება, რომელიც გვეუბნება, რომ ყურძნის დაკრეფას დრო უნდა შეერჩიოსო.

ყურძნის დაკრეფის დღიდგან თავდება მოვალეობა ვენახის მკეთებელისა და იწყება საქმე და მოვალეობა ღვინის მკეთებელისა. ჩვენ ვენახის კეთებაზედ ბევრი არა ვსთქვით რა. იმიტომ, რომ აქ ჩვენ ბევრს ვერავინ რას დაგვიწუნებს, ვისაც კი ცოდნით და წინადაუღებელის აზრით ეს საქმე ჩვენში უსწავლია. კიდევაც გავკადნიერდებით და ვიტყვით, რომ ვენახის და ნამეტნავად ვაზის მოვლაში ჩვენებური კაცი სხვას არამც თუ ჩამოუვარდება, ზოგში სხვას ასწავლის კიდეც. ჩვენ აბუჩად აგდებულნი ვართ მარტო ღვინის კეთების საქმეში. დღეს გაზეთში უადგილობის გამო

ჩვენ შევდგებით იმ მიჯნაზედ, საცა თავდება ვენახის მკეთებლობა და იწყება მკეთებლობა ღვინისა.

VII

ტფილისი, 4 მარტი

შევუდგებით რა ღვინის კეთების საქმის აღწერასა, საჭიროდა ვრაცხთ გავიხსენოთ, რომ მეცნიერებამ თუმცა ბევრი ღონისძიება აღმოუჩინა კაცს ყალბის ღვინის კეთებისათვის, მაგრამ იმავ მეცნიერებამ ბევრი სხვა ღონეც მისცა ადამიანს, რომ ბუნებური ღვინო ჯეროვანად კეთდებოდეს. ჩვენ მარტო ჯერ ამ უკანასკნელ ღონეთა ჩამოთვლით და მასთან ერთად ვეცდებით დავანახოთ მკითხველს, რამოდენად ახლოა თუ შორსაა ჩვენებური ღვინის მკეთებელი იმაზედ, რასაც ამ მხრით მეცნიერება გვირჩევს.

რაკი ყურძენი დაიკრიფა იმ დარისა და დროის შერჩევითა, რაც წინა წერილში ვსთქვით, კაცი უნდა ეცადოს, შეძლებისამებრ, მარცვალი ყურძნისა მოაშოროს კლერტსა და გადაარჩიოს. კლერტს რომ ჩვენში არ აცლიან ყურძენსა, ამაზედ იმას ამბობენ, რომ კლერტით მარცვალი უფრო კარგად და ჩქარაც ისრისება ფეხქვეშ და წურვას ამ გზით ჰშველის და უხდებაო. გარდა ამისა კლერტის შერჩენა იმისათვისაც საჭიროაო, რომ დაწმინდავების დროს, როცა ღვინოს ქუდს გაუტეხენ და დაურევენ, კლერტი ძირს ჩადის და ლექი ღვინისაც ძირს ჩააქვსო, ამის გამო ღვინო მალე დაწმინდდავდება ხოლმეო. ეს არ ვიცით, რამოდენად მართალია და ამას მარტო გამოძიება გამოაჩენს. ხოლო ეს კი ცნობილია მეცნიერთაგან, რომ კლერტზედ დადუღებული ღვინო პირსა ჰბლანდავს, თუმცა ესეც კი მართალია, რომ კლერტზედ დადუღებული ღვინო, ესე იგი ჩვენებური ღვინო, უფრო ადრე და მალე დაწმინდდავდება ხოლმე, ვიდრე უკლერტო. ღვინის

საბაზრო საგნად გახდომისათვის ერთი უპირველესი საჭიროება მისი დაწმენდილობაა. რომ ჩვენებური კაცი ჰზრუნავდეს, ღვინო მალე აქციოს საბაზრო, სავაჭრო საგნად, ეგ ადვილად მისახვედრია და შესაწყნარებელიცა. ჩვენს ფულით ხელმოკლე კაცს მალე უნდა ნაკეთარის ფულად ქცევა, რომ შემდეგის სამუშავოსათვის და ცხოვრებისათვის სახსარი და ღონე იქონიოს. იმას თანხა არა აქვს, რომ ხელი მოინაცვლოს. თუმცა ესე ხელდახელ შემზადებული ღვინო დიდხანს არა სძლებს, მაგრამ ჩვენებური ბაზარი ამას არ უფრთხის, რადგანაც იქ, საცა ღვინო იშვიათი სანუგბარი არ არის და ღვინის სმა თითქმის საჭიროებად არის გადაქცეული, როგორც ჩვენში, ღვინო მალე საღდება და დიდხანს შესანახად აღარ უხდება საქმე სირაჯსა. სულ სხვაა ევროპასა და რუსეთში. ერთგან და მეორეთგანაც ღვინოს მარტო მდიდარი ხალხი სვამს და მდიდარი ხალხი ყველგან ცოტაა. საამათოდ გამძლე ღვინოები უნდა, რომ გზა აიტანოს და მუშტარს ელოდოს და უცადოს. ხოლო იქ, საცა, მაგალითებრ საფრანგეთში, ღვინოს უფრო ბევრი შინაური მსმელი ჰყავს, მაშასადამე, მუშტრად თვითონ თავისივე ხალხი ეგულება, როგორც ჩვენში, იქაც ჰცდილობენ ახალი ღვინო მალე მომზადდეს და გამძლეობისას ამისთანა ღვინოებისათვის ბევრს არაფერს დაგიდევენ. იქ ამისათვის ბევრს გვარს ოსტატობას ჰხმარობენ და ამის გამო, მაგალითებრ პარიჟში, საყოველდღეო ხალხისათვის სასმელ ღვინოში იმოდენა მართალი ყურძნის წვენია ხოლმე, რამოდენადაც წამლებით შეკეთებულ კვრინჩხის წვენში. ეს ოსტატობა იქ ძალიან კარგად იციან და, ჩვენდა საბედნიეროდ, ჯერ ჩვენ არ ვიცით. მაინცდამაინც, ჩვენის ფიქრით, გემოსათვის უკლერტოდ ღვინის დაყენება სჯობია, თუმცა ჩვენებურს ხალხს ძალიან უყვარს ის პირის ბლანდველი თვისება ჩვენებურის ღვინისა და უმაგისოდ ღვინოს განგებ ნაკეთებს ეძახის. კაცია და გუნებაო, ნათქვამია, და ჩვენებურს კაცს რომ თავისი საკუთარი გუნება ჰქონდეს ამ შემთხვევაში, ვინ

რად უნდა სძრახოს. თუ დასძრახავს, იგი დაარღვევს
იმ ევროპიულს ანდაზას, რომელიც გვიქადაგებს: De
gustibus non est disputandum, ესე იგი, გემოს თაობაზედ
კაცს სიტყვა არ შეებრუნებაო.

ყოველ ამით იმისი თქმა არ გვინდა, ვითომც ჩვენში
კლერტის გამოცდა არ იცოდნენ. იციან, მაგრამ საკ-
ვირველი ის არის, რომ მარტო იმ ადგილებში იციან,
საცა ღვინო მაჭრობაშივე იყიდება თითქმის დაუწ-
მენდავი, მაგალითებრ, კახეთის სოფლებში — შაქ-
რიანსა, ფაშაანსსა, ტურისციხესა და ზეგაანში, საცა
ღვინო მაჭრობაშივე იყიდება. რა წამსაც დასწურავენ
ხოლმე, მაშინვე ჭაჭიდამ გადაარჩევენ კლერტსა და
უკლერტო ჭაჭაზედ დაადულებენ ღვინოსა. ამ ად-
გილების მაჭარი გათქმულია და ვაჭარიც დაწურვისვე
უმალ ეტანება. განსხვავება აქ მარტო ის არის, რომ
კლერტს ჩვენში დაწურვის შემდეგ აცლიან და სადუ-
ღარად ან სულ არ აძლევენ, ან ძალიან ცოტას. რა
თქმა უნდა, რომ ამას სჩადის მარტო შეძლებული კაცი,
იმიტომ რომ კლერტის გადარჩევას დრო დ ხარჯი
უნდა. ურიგო არ იქნება, ჩვენმა მეცნიერებმა თავის
ტყუილს აბრუს ცოტა ხანს თავი დაანებონ და გა-
მოიძიონ: ჩვენებური ხალხი, როცა ყურძნის წვენი საღ-
ვინედ უნდა, რატომ არ აცლის კლერტსა და როცა კი
სამაჭრედ — მაშინ კი რად აცლის? ეს მით უფრო სა-
გულიხმოა, რომ ჩვენებურმა კაცმა კლერტის გაცლა
ზოგ შემთხვევაში იცის და ზოგში არა და; რაკი ესეა,
უმიზეზო არ იქნება, საღვინე წვენს ყურძნისას კლერ-
ტზედ ადუღებენ ჩვენში ყველგან გამოუკებლივ, როცა
კი მართლად ჩვენებურად აყენებენ ღვინოსა. ვინ იცის,
იქნებ კლერტზედ ნადუღარი ღვინო უფრო გამძლეც
იყოს. ამას გვანიშნებს ის ამბავი, რომ საღვინე წვენს
ყურძნისას უკლერტოდ არ ადუღებენ და სამაჭრეს კი
ადუღებენ; სჩანს აქ საქმე ღვინის გამძლეობაზეა
მიმდგარი და იქნება კლერტი ამ გამძლეობას რასმე
ჰშველოდეს. რა თქმა უნდა, ამისი გადაჭრით თქმა

გამოუძიებლივ ძნელია და მეტი არ იქნება, რომ
გამოძიებულ იქნას კლერტის თვისება ამ მხრით.

VIII

ტფილისი, 5 მარტი

ევროპაში არამცთუ ყურადღებას აქცევენ, რომ
ყურძნის მარცვალს კლერტი მოაშორონ და ისე
სწურონ და დაადუღონ ღვინო, არამედ ზოგიერთს
სახელოვანს ვენახში დაკრეფის დროს ზედ მტე-
ვანზედვე მაკრატლით ამოსჭრიან ხოლმე გაფუჭებულს
და დაგოლვილს ყურძნის მარცვლებსა წინადვე, მინამ
დაჰკრეფენ დასაწურავად. ჩვენში ბალღიც არ
მოიპოვება ისეთი, რომ არ იცოდეს, რა კარგია
ღვინისათვის გადარჩევა ყურძნისა. და თუ ყურძნის
გადურჩევლობას ვინმე ცოდვად გვითვლის, ეს ჩვენს
უვიცობას, არცოდნას არ უნდა მიეწეროს. აქ სხვა
მიზეზია და დიდად პატივსადებიცა. ეგრედ გადარჩევა
კარგა დროს, ჯაფასა და ხარჯსა ჰთხოულობს და
ჩვენის ღვინის ფასი კი დღევანდელს ბაზარში ისეთი
დაბალია, რომ უამისოდაც ძლივს აყენებს საზოგადო
ხარჯსა, რაც მაგის გარდა ღვინის კეთებას უნდა.
რასაკვირველია, მაგისთანა ჯაფას და ხარჯსა არ
მოერიდება, მაგალითებრ, შატოდიკების პატრონი
მარკიზი ლურ სალუსი, რომელსაც ბოთლი ღვინო
თითქმის ოთხ-ხუთ მანათად უსაღდება. ამისთანა ფასი
რას არ შეაძლებინებს კაცსა! აკი ესეც არის. ამ
მარკიზის ვენახში უფრო შორსაც მიდიან, მაგალითებრ
თვითვეულ მტევნისაგან მარტო დამწიფებულ და
კარგად შემოსულს მარცვლებს ჩამოაცლიან ხოლმე და
შემოუსვლელს ზედ ვაზზედვე დანარჩენის მტევნით
სტოვებენ დასამწიფებლად.. მოდით და ამის მნახველმა
უსაყვედურეთ ჩვენებურს ღვინის მკეთებელს, რატომ
შენც ასე არ იქცევი-თქო. აბა ოთხისა და ხუთის

მანათის მაგიერ ბოთლში ერთი მანათი მაინც აღუთქვით ჩვენებურს მკეთებელს ღვინისას, თუ ამანაც თავისი ცოდნა ყურძნის გადარჩევის თაობაზედ საჭიროდ არ დაინახოს და საქმეში არ გამოიყენოს. საქმეში არხმარებული ცოდნა უცოდინარობას არ ჰნიშნავს. ვინ არ იცის ჩვენში, რომ გადარჩევა ყურძნისა კარგია, და უფრო უკეთესია მარცვლეულად დარჩევა თუნდ მარკიზ სალუსისამებრ! მერე სარფაა, ხეირია ჩვენში ეგეთი მძიმე და ძვირი ჯაფა და გარჯა, თუ ამ ცოდნის საქმეში გამოყენება ზარალის მეტს არას მისცემს კაცსა, რადგანაც ამ შემთხვევაში ღვინოს სიძვირით არავინ მიეკარება... ჩვენში ვინ ოხერი იქნება თავისი ქონება ზედ გადააყოლოს ღვინის კეთებასა, რომლის საეკონომიო მნიშვნელობა მარტო სარფა და გამორჩომაა და სხვა არა რა.

ყურძენი რაკი მოიკრიფა და გადირჩა, შეძლებისაებრ, დასაწურავად მიდის. ამისათვის ჩვენში ან ხის ნავია, ან ქვიტკირის საწნახელებია, კარგად გალესილი. ევროპაში სხვაგვარი საწნახელებია. იქ ფიცრისაგან შეკრულია ერთი უშველებელი ოთხკუთხიანი უჯრა, რომელსაც ოთხკუთხივ გვერდები ამაღლებული აქვს. როგორც ჩვენში, ისე ევროპაში ამგვარ საწნახელებში ფეხითა სწურავენ*. იქნება ფეხით წურვა, რომელიც ჩვენში ყველგან ხმარებულია, სასაცილოდ აიგდონ! მართალია, ევროპაში ყურძნის დასაწურავად ეხლა საქაჯავსაც (Пресс) ჰხმარობენ, მაგრამ ეს კიდევ საბუთს არ აძლევს ჩვენებურს მეცნიერს, ცხვირი ზევით აიწიოს. ჯერ ხომ თვითონ ევროპიელნიც ბევრგან ფეხითა სწურავენ და მაშასადამე, იქაც ისე ყოფილა. ამას ჩვენი მეცნიერები ევროპიელებს ვერ გაუბედავენ, მეტად თვალსაჩინო ტყუილი იქნება. მეორე ისა, რომ თვითონ მართლად მეცნიერნი ევროპიელნი

* მოიწვევენ ხოლმე მემუსიკეთა, რომელნიც საცეკვავს უკრავენ და მუშები საწნახელში, შიშველა ფეხით ჩამდგარნი, ჰცეკვაობენ და ამ სახით შეექცევიან კიდეც და საქმეც კეთდება.

ამტკიცებენ, — ფეხით წურვა ყურძნისა ბევრით სჯობნის საქაჯავით წურვასაო. იმათის სიტყვით, ფეხით წურვისაგან უფრო თანაბარად ისრისება ყურძნის მარცვალი და წიპწა მარცვლისა, ესე იგი კურკა ყურძნისა, არ იჭყლიტებაო. საქაჯავს უამისოდ ვერას გზით ვერ გადაურჩება წიპწაო და გაჭყლეტილი წიპწა კი ღვინოს წკლარტავსო და ამწარებსო. ეს ფეხით წურვა ზოგიერთს ღვინით გამოჩენილს ადგილებში ისე პატივცემულია ევროპიელთაგან, რომ პირველ მტევნებს ვენახის პატრონს — ქალს მიართმევენ ხოლმე და იგი მოურიდებლად ხალხის წინაშე გაიხდის ფეხსაცმელსა და საკუთარის ფეხით სწურავს მორთმეულს ყურძენსა. თუმცა ესეა, მაგრამ ამ უკანასკნელ დროში ყველა შემძლებელი კაცი ჰყიდულობს საქაჯავსა მარტო იმის გამო, რომ საქაჯავით უფრო მალე, უფრო უხარჯოდ იწურვება ყურძენი. საქაჯავები ჩვენში დიდი ხანია შემოღებულია, მაგრამ ხალხი არა ჰხმარობს პირველ გადაწურვისათვის; მხოლოდ ფეხით ნაწურ ჭაჭას გაატარებს ხოლმე საქაჯავში დანარჩენის წვენის გამოსაწურავად. მართალია, ჩვენებური საქაჯავი ისეთი ოსტატური არ არის, როგორც ევროპიული, მაგრამ არც ისე ძვირია, როგორც იქაური. აშკარაა, ჩვენშიაც სცოდნიათ, რომ შეიძლება წურვა საქაჯავითაც, და ერთი ვიკითხოთ, რატომ საქაჯავით წურვა არ დაუწყვიათ?! ვსთქვათ ევროპიულს საქაჯავს იმიტომ არა ჰხმარობენ ჩვენში, რომ ძვირია, ან მოხმარება არ იცის ჩვენებურმა კაცმა, რატომ შინაური საქაჯავი მაინც არ უხმარიათ, — ეს ხომ არც ძვირია და არც ძნელი მოსახმარებელი? სჩანს ამას სხვა მიზეზი აქვს და იმ მიზეზთა შორის უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს მას, რაც ფეხით წურვის სიკეთეზედ ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ. აქ ხარჯი, სისწრაფე მუშაობისა კიდევ იმისათვის შეუწირავს ჩვენებურს კაცსა, რომ ღვინოში წიპწის იოტიც არ გაერიოს, ესე იგი სხვა გარეშე რამ. ამას ძალიან ერიდება ჩვენებური ღვინის

კეთება, როგორც წინადაც ვსთქვით, და ეს შიში და სიფრხთილე თანასაგრძნობელია.

IX

ტფილისი, 7 მარტი

რაკი ყურძენი დაიწურება ხოლმე ასე თუ ისე, ტკბილს მიუშვებენ ხოლმე ბოჭკაში. თითქმის ყველა ევროპიელნი ღვინის ჭურჭლად ამ შემთხვევაში და საზოგადოდაც, ბოჭკასა ჰხმარობენ. რასაკვირველია, შესანახავად სხვა სახის ბოჭკაა და სადუღარად სხვა სახის, და ამ უკანასკნელთ რუსულად ჰქვიან "ჩანი". ჩვენში კი უფრო ბევრგან პირდაპირ საწნახელისა თუ ნავის მილიდან ქვევრში მიუშვებენ ხოლმე. ხოლო ამ ბოლოს ხანებში ზოგან "ჩანებსაცა" ჰხმარობენ და შიგ "ჩანებშიცა" სწურავენ კიდეც, განსაკუთვრებით წითელს ღვინოსა. არსად არ შეგვხვედრია ამოგვეკითხა, რომ ევროპაში ტკბილი რამდენსამე წვერად გაჰყონ და ისე ცალ-ცალკე ჭურჭელში ადუღონ. ჩვენში კი იციან: ვისაც დიდი მოსავალი მოსდის, საწნახელიდამვე გამოსულს ტკბილს სამ წვერად დაჰყობს და ცალკე-ცალკე ქვევრში მიუშვებს. ერთი წვერო იგია, რაც მუშების პირველ გავლაზე წვენი წამოვა საწნახელიდამ. ამას ცალკე მიუშვებენ და ამბობენ, ამისი დაბალი ღვინო დადგებაო, რადგანაც რაც ჭუჭყი, მტვერი ჩაჰყოლია ყურძენს და რაც მეტი წყალი აქვს, ამ პირველ ნაწურ წვენს გაჰყვებაო. ამ წვენის ფერი თითქმის მღვრიე წყლის ფერია. წვენი ამის შემდეგ მალე იცვლის ხოლმე ფერსა, ასე რომ კაცი თვალით ადვილად შეამჩნევს. რაკი ეს მოხდება, ახლა წვენს სხვა ქვევრში მიუშვებენ; ნაბოლოვარად წვენი ერთხელ კიდევ იცვლის ფერსა, უფრო მოჭირებულის ფერისა შეიქმნება, უფრო სქელი და წებოიანი, და მაშინ მესამე ქვევრში მიუშვებენ. რა თქმა უნდა, ამას მარტო დიდის

მოსავლის პატრონი იქმს. საქმე ის არის, რომ ამ სამ წვერად დაყოფას ტკბილისას თვისი ცხადი აზრი და საბუთი აქვს. ამგვარად განცალკევებას სხვადასხვა სიწმინდისა, ფერისა და სისქის ტკბილისას, ცოტა თუ ბევრი ზედმოქმედება უნდა ჰქონდეს ღვინის სიკეთეზედაც.

ამას მარტო ერთი ნაკლი აქვს, თუმცა ადვილად მოსაშორებელი, მაგრამ საკმაოდ ყურს არ ათხოვებენ ჩვენში. ამ შემთხვევაში თვითვეულ წვერ ტკბილისათვის ქვევრი იმოდენა უნდა იყოს, რომ ერთს დღის ნაწურმა ტკბილმა სადუღარად მოჰყაროს ქვევრი. თუ ქვევრი იმოდენად დიდია, რომ რამდენისამე დღის საწური სადუღარად ძლივს მოჰყრის, მაშინ ტკბილის მეორე და მესამე დღეს ჩამატება დუღილს ახანებს, აგვიანებს: დუღილის მალე გათავებისათვის საჭიროა ერთისა და იმავე დროის ნაწურით ერთსა და იმავე დღეს ქვევრი, თუ რამ სხვა ჭურჭელი, იმოდენად აივსოს, რამოდენადაც ქვევრს თუ ჭურჭელს დუღილისათვის ავსებენ ხოლმე.

რაკი ტკბილს, ესე იგი წვენს ყურძნისას, ქვევრში თუ რაიმე სხვა ჭურჭელში ჩააყენებენ, მას მერმედ დაიწყება ის ბუნებური მოქმედება, რომელსაც ჩვენში დუღილს ეძახიან. ყველაზედ მეტად, თუ არ მთლად, ამ ბუნებურ მოქმედებაზეა დამოკიდებული ღვინის სიავკარგე, იმიტომ რომ ყოველისფრით ერთისა და იმავე ყურძნის წვენისაგან შესაძლოა სხვადასხვა ღვინოც დადგეს, თუ დუღილი სხვადასხვა გარემოებაში მოსვლია, სხვადასხვა გვარისა და ხარისხისა ჰქონია.

საჭიროა ჭაჭა და კლერტი ჩააყოლონ ტკბილსა, თუ არა? ჩვენ დუღილს ბუნებური მოქმედება ვუწოდეთ, იმიტომ რომ დუღილი აქ კაცის ხელით მიცემულის წამლით, თუ ნივთიერებით არ აღიძვრის ხოლმე; ნივთიერებას თუ წამალს თვითონ ბუნება აძლევს ყურძენსა. გამოჩენილმა პასტერმა დაამტკიცა, რომ იგი ნაწევრი, რომლის გამოც ტკბილი ადუღდება ხოლმე, ზედ ყურძნის მარცვლის კანზედვე არის მტვერსავით,

ანუ უკეთ ვსთქვათ, ჰაოსავით. პასტერმა განგებ საცდელად დიდი სიფრთხილით წვენი ისე გამოწურა ყურძნის მარცვალსა, რომ ჰაო არ ჩააყოლა; ნაწური მინის ჭურჭელში ჩაასხა და ჰაერი არ მიაკარა, იმიტომ რომ ჰაერშიაც ყოველთვის არის ის სამიკროსკოპო სხეული, რომელსაც ამადუღებელი თვისება აქვს. ყურძნის წვენი მინაში არ ადუღდა და როცა ის მტვერი, თუ ჰაო, ყურძნის მარცვლის კანისა ჩაუშვა, მარტო მას შემდეგ დაიწყო წვენმა დუღილი. აქედან რა გამოდის? რას გვასწავლის, რას გვეუბნება ეს მაგალითი? ამის პასუხს შემდეგ ნომერში მოგახსენებთ და ამ პასუხისაგან აიხსნება, რის მაქნისიც არის ჭაჭა და რა საჭიროებას შეადგენს ღვინის კეთების საქმეში.

X

ტფილისი, 9 მარტი

წინა წერილში მოვიყვანეთ გამოჩენილის პასტერის ნაცადი, რომ ყურძნის მარცვლის კანზედ არის ერთგვარი მტვერი, თუ ჰაო, რომელიც ადუღებს ყურძნის წვენსა და ურომლისოდაც წვენი სრულებით არა ჰდუღს. აქედამ რა გამოდის? ის გამოდის, რომ ვინც ჭაჭას არ ჩააყოლებს ტკბილს, იგი იმას აკლებს, რაც დუღილსა ჰშველის და ხელს უმართავს, იმიტომ რომ, თუმცა ნაწურს ტკბილს ნამეტნავად ფეხით ნაწურს, იგი ამადუღებელი ჰაო გაჰყვება, მაგრამ უფრო მეტი კი ზედ ჭაჭას შერჩება და ამიტომაც უჭაჭობა უნდა აუძლურებდეს დუღილს და მით აგვიანებდეს და ახანებდეს. იქნება კიდეც ეს იყოს მიზეზი იმ ყველასაგან ცნობილ ამბავისა, რომ უჭაჭოდ ნადუღი ტკბილი გვიან დაწმინდდავდება, გვიან დაღვინოვდება ხოლმე, რადგანაც ადრე დაწმინდავება ღვინისა ადრე დადუღებაზეა დამოკიდებული. რა თქმა უნდა, რომ ჭაჭის მიცემა ტკბილის კარგად და მალე ადუღებისა

და დადუღებისათვის ეგრე მეცნიერულად არ არის მიგნებული ჩვენში, როგორც პასტერს მიუგნია, მაგრამ გამოცდილებით კი უცვნია ჩვენებურს კაცს, რომ ღვინის კარგად ადუღებისათვის ჭაჭა საჭიროა.

გარდა ამისა ჭაჭა თეთრი ყურძნისა, თუ შავისა, — სხვა სამსახურსაც უწევს ღვინოსა: იგი ფერს აძლევს, ჰღებავს ღვინოს. თვითონ ევროპიელნი წითელის ღვინის დასაყენებლად შავის ყურძნის ჭაჭას აძლევენ დუღილის დროს, ისე როგორც ჩვენში ვიცით, იმიტომ რომ საფერავი თუ საღერავი ყურძნის მარცვლის კანშია*. ეს საფერავი, როგორც შავს ყურძენსა აქვს, ისეც თეთრსა თავთავისდაგვარად. ამ საფერავებით თეთრით თეთრს და შავით შავს ღვინოსა ვფერავთ ხოლმე, როცა ჭაჭაზედ ვადუღებთ ტკბილსა, იმიტომ რომ დუღილის დროს მარცვლის კანსა ტკბილი გამოსწოვს ხოლმე საფერავსა და იღებება, თუ ნამეტნავად კანი კარგად გასრესილია. ეს ვიცით და ჭაჭას სხვათა შორის ამისთვისაც ჩავაყოლებთ ხოლმე ტკბილსა. ხოლო ეს კი ზოგჯერ გვავიწყდება, რომ რაკი ღვინოს დავურევთ და ჭაჭა ძირს წავა და დაილექება, მას შემდეგ ჭაჭა აღარც შემდეგის ჩუმის დუღილისათვის არის საჭირო, აღარც საფერავად, და თუ არ ახდენს, აღარა ჰშველის. ახლა გვეტყვიან: რად გინდათ რომ თეთრს ღვინოსაც ჰღებავთო? ჩვენ კიდევ ამას ვეტყვით: კაცია და გუნება. თუ ჭაჭის გამო წითელი ღვინო არა ჰხდება, რადგანაც თვითონ ევროპიელნი წითელის ღვინისათვის ტკბილს უსათუოდ ჭაჭაზედ ადუღებენ, თეთრის ღვინის ჭაჭაზედ დაყენება რად უნდა გვეყვედრებოდეს და არცოდნაში გვეთ-ვლებოდეს! თეთრი მოჭირებული ფერი ღვინისა მოსწონს ჩვენს ხალხსა და დღევანდელს ბაზარს, ისე როგორც შავი მოჭირებული ფერი წითელის ღვინისა.

* იქნება ჩვენში არ იცოდეს ზოგმა, რომ შავის ყურძნის წვენი, ისე ფრთხილად გამოწურული, რომ ტყავი მარცვლისა არ გაისრისოს, თეთრია, ანუ, უკედ ვსთქვათ, წყლის ფერია.

ესეთი მოწონება იქამდე გაძლიერებულია ჩვენში, ამ ბოლოს ხანებში სირაჯები სიყალბესაც კი აღარ ერიდებიან და სხვადასხვაგვარ წამლებით თეთრს, მაგრამ მცქრალ ღვინოს, განგებ მოჭირებულ ფერს აძლევენ.

კლერტს რომ არ აცლიან და ტკბილს თან ჩააყოლებენ ჩვენში, ამასაც თავისი საბუთი ჰქონია და აქვს იმის გარდა, რაც წინად ვსთქვით. კლერტი ღვინოს კეთილ სუნნოვანობას ჰმატებს და გამძლეობის ღონეს აძლევს თურმე. კლერტში ერთგვარი ნაწევარია (Дубильное вещесто), რომელიც ამ სამსახურს უწევს ღვინოსა. უამისოდ კეთილსუნნოვანება და გამძლეობა იმოდენად არ გამოჰყვება თურმე ღვინოს. ამას თვითონ მეცნიერი ღვინისმკეთებელი ტარდანი ამტკიცებს და თუ ამას დავუჯერებთ, ღვინის გემოსაც კი უფრო სასიამოვნოდა ჰხდის ის სიმჟავე, რომელიც ენასა ჰკბენს და კლრტისაგან წარმოსდგებაო. გამოდის, რომ იმ სიკეთის გარდა, რაც კლერტზედ წინათა ვსთქვით, — ეს სიკეთენიც კლერტის წყალობით ჰქონია ღვინოსა. არ ვიცით, ეს რამდენად მართალია და თუ მართალია, მართალნი ყოფილან ჩვენებური ღვინის დამყენებელნიცა, რომელნიც უკლერტოდ ღვინოს არ ადუღებენ. თქმა არ უნდა, რომ ყველგან საჭიროა ზომიერება. ზომას გადამეტებული პურის ჭამაც კი მაწყინარია. ჩვენში კარგმა ღვინის მკეთებელმა და დამყენებელმა კარგად იცის, რამდენი ჭაჭა და კლერტი მისცეს და ზომას თავის დღეში არ გადააცილებს. ჩვენში კარგად იციან, რომ გადაჭარბებული ჭაჭა და კლერტი ღვინოს ავნებს. ამაზედ იტყვიან ხოლმე, "დასწვავსო" ღვინოს. მაშასადამე, თუ ესეა, რომ კლერტი ღვინის გემოს არამცთუ აფუჭებს, აკეთებს კიდეც, და ამას გარდა სხვა სიკეთეც მოაქვს — რაღა საბუთი აქვთ წუნი დასდონ ჩვენს ღვინის კეთებას ამ მხრითა! თუ ეს კლერტის ჩაყოლება შეცდომაა და თუ ამისთანებში იმისთანა მეცნიერი ჰცდება, როგორც

ტარდანი, ჩვენ ეს შეცდომა რად უნდა გვეკიჟინოს აბრუგაზვიადებულ გაბედვით და კადნიერებითა!

XI

ტფილისი, 11 მარტი

საწნახელიდამ ყურძნის წვენის გამოშვების შემდეგ იწყება სხვა ახალი ხანა ღვინის კეთებისა და ამ ხანას ყველაზედ მეტი მნიშვნელობა აქვს ღვინის სიკეთისათვის. ეგ ხანა იგი დროა, როდესაც ტკბილი დულილში შედის. ევროპაში დულილისათვის ქვის ჭურჭელიც არის და ხისაც, როგორც მაგალითებრ, "ჩანი" და "ბოჭკა", და ყველა ის ჭურწელი ჰაერზედ დგას სარდაფში, ან მარანში. ჩვენში თითქმის ყველგან ქვევრი იციან, მიწაში ცოტად თუ ბევრად ღრმად ჩაფლული. ამ ქვევრსაც გვიწუნებენ. შემდეგ ნახავთ, ზოგიერთ მცირეოდენ უხერხობასთან, რამდენი სახერხო და სამჯობინარი სიკეთე სჭირს ჩვენებურს ქვევრსა და რამოდენად ეგგვარი ჭურჭელი შეფერებულია მასთან, რასაც დულილი ითხოვს და შენახვა.

კარგის დულილისათვის, გარდა იმისა, რომ კარგად დამწიფებულის ყურძნის წვენი უნდა იყოს, საჭიროა სითბო არა ნაკლებ 10^0-ისა და არა უმეტეს 15^0-ისა რეომურის ტერმომეტრით. ევროპაში, მარანში, ანუ სარდაფში, საცა ტკბილი ჰდულს, თუ 10^0-ზედ ნაკლები სითბოა, ან "ჩანს"ნამჯას შემოახვევენ გარშემო, ან ცეცხლს აანთებენ განგებ ამისათვის გაკეთებულ ბუხარში და ოთახსავით ათბობენ რამდენიც საჭიროა, — და თუ 15^0-ზედ მეტია, განგებ აგრილებენ. მაშასადამე, სარდაფი ან მარანი განგებ ამ ორ შემთხვევისათვის აშენებული უნდა იყოს. ასეთი მარანი, თუ სარდაფი, ძვირად დაუჯდება კაცს; ამაზედ რომ კაცი ზედ გადაეგოს ჩვენში ხეირია და გამორჩომის იმედიც იმოდენა უნდა ჰქონდეს, რომ ღვინომ, თავის

საკუთარის ხარჯის გარდა, სარდაფზედ, ან მარანზედ დახარჯულის ფულის თავნი და სარგებელი თავის დროზედ ცოტცოტაობით დაუბრუნოს პატრონსა. ზოგან არის კიდეც ჩვენში ამისთანა ძვირფასი მარნები, მაგრამ უფრო სახელისათვის, ვიდრე სახრავისათვის და გამორჩომისათვის; წინადაცა ვსთქვით, — ღვინო ჩვენში ჯერ ძლივს ააყენებს ხოლმე თავის ხარჯის ფასსა და იმ მცირეოდენს გამორჩომას, რასაც ყოველი კაცი ყოველის მრეწველობისაგან სამართლიანად მოელის. მაინცდამაინც ამისთანა მარანს მარტო შეძლებული კაცი თუ შეწვდება და ამისთანა კაცები ჩვენში მარტო ორიოდეა, უმრავლესობა კი უღონოა ამისათვის. ამიტომაც ჩვენში უფრო ბევრგან ფარღალალა მარნებია, ხშირად მარტო წალმით დახურული, ბევრგან უკედლებოცა. მაშასადამე, პირველ შეხედვით კაცი იფიქრებს, რომ ჩვენში არა სცოდნიათ ჰაერის სითბო-სიგრილის მნიშვნელობა დუღილისათვის. აბა ფარღალალა მარანში, რა თქმა უნდა, თავისუფლად იმუშავებს ცივი თუ თბილი ჰაერი და ამიტომ არც მეტს სითბოს ეშველება და არც მეტს სიგრილესა. შესცდებიან, ვინც ასე იფიქრებს: დააკვირდით, ჭურჭელი, რაშიაც ჩვენში ტკბილს ადუღებენ, რა ადგილას არის. იგი ღრმად ჩასმულია და გარედ ჰაერზედ არა სდგას. რატომ? სხვათა შორის იმიტომ, რომ ვერც გარეთი სიცხე ჩაატანს მიწას ისე მალე და ხელაღებით, ვერც სიცივე. მიწა ინახავს ქვევრს ერთსა და იმავე სითბო-სიგრილეში და გარეთი ჰაერის ცვლილება მაგოდენად არა სწვდება ქვევრსა და აქედამ ტკბილსა, რომელიცა ქვევრში ჰდუღს. იტყვიან, რომ რადგანაც ქვევრი აწოწვილია, ესე იგი, მაღალი, ამის გამო სხვადასხვა წელს ტკბილისას სხვადასხვა სითბო-სიგრილე ექმნებაო: თავში, მიწის ზედაპირზე ახლოს ტკბილი ერთს სითბო-სიგრილეში მოჰყვება, ქვედა პირში სხვაშიო. ეს ცოტად თუ ბევრად მართალია, მაგრამ ეგ იმოდენა თაბაუთს არა იქმს, რომ ხელჩასაკიდებელ მიზეზად გახდეს ქვევრის დაწუნებისათვის. გადა-

მეტებულ სიცხეს ძნელად თუ შეხვდება კაცი, რადგანაც კაი ვენახის პატრონს მოუხდება ღვინის დადუღება ან ენკენისთთვის ბოლოს ან ღვინობისთთვის დასაწყისს, როცა მაგრერიგად არა ცხელა და ჩვენში ამ ხანებში იშვიათია ისეთი სიცივეც, რომ მიწა 10^0-ზედ ნაკლებ სითბოზედ ჩამოახდინოს. საქმე ის არის, რომ ამ 10^0 და 15^0-ს შუათანაბარი სითბო-სიგრილე ჰქონდეს ჭურჭელს გარშემო, — და ქვევრს, მიწაში ჩვენებურად ჩაფლულს, უსათუოდ ეს თანაბარობა ექმნება, რადგანაც, აკი ვამბობთ, ცვლილება გარეთის ჰაერისა მიწას მაგრერიგად ვერ ჩაატანს ხოლმე და მის სითბო-სიგრილეს ეგრე ადვილად ვერ შესცვლის. თუ კაცმა ტერმომეტრით ასინჯა მიწის სითბო-სიგრილე ქვევრის მიწის თავიდამ ბოლომდე სხვადასხვა სიღრმეზედ, არა გვგონია რომ ენკენისთთვის დასასრულს და ღვინობისთთვის დასაწყისს ტერმომეტრმა 11^0—12^0-ზედ ნაკლები აჩვენოს და 15^0-ზედ მეტი, თუ ძალიან იშვიათს წელიწადს არ შეეხვდებით. ჩვენში გადამეტებულის სითბოსი უფრო ჰშინებიათ, როგორც ეტყობა, იმიტომ რომ კარგი დამყენებელი ღვინისა თრთვილს ელის და მერე ჰკრეფავს ვენახსა. თრთვილი დასაწყისია სიცივისა, აქედამ სჩანს გადამეტებულის სიცხის შიში უფრო ჰქონიათ. მართალია, ეს იმითაც აიხსნება, რომ თრთვილი ყურძნის მარცვალს ჰკუმშავს, ცოტად აჭკნობს და, ამბობენ, მეტს წყალს აცლისო, მაგრამ ამ პატარა სიკეთეს არ ანაცვლებდნენ იმ დიდს სიკეთესა, რაც ღვინოსათვის დუღილია, თუ თან იმისი იმედი არა ჰქონოდათ, რომ ენკენისთთვის ბოლოს და ღვინობისთთვის დასაწყისს დუღილისათვის მეტი სიცხე უფრო საფიქრებელია, ვიდრე მეტი სიცივე. ხშირად ასეც არის, ნამეტნავად კახეთში.

გარდა ამისა, ერთს რასმეს კიდევ ვიტყვით. ვინ არ იცის ენკენისთთვის დამლევს და ღვინობისთთვის დასაწყისს ღღის სითბო-სიგრილე რამოდენად იცვლება ღამღამობით ჩვენში. ეს ცვლილება ომდენად დიდია,

რომ ყველა ჭურჭელს შეატანს, ჰაერზედ მდგომარეს, ასე რომ ჭურჭელს დღისით რომ 12^0-ს სითბოს სცემდეს, ღამღამობით 9^0–და 10^0– სითბო დაჰკრავს, თუ არ კიდევ ნაკლები. ესოდენი ცვლილება განა არ იმოქმედებს ამგვარს ჭურჭელში ღვინის დულილზედ? მერე შეკრულს სარდაფსა და მარანში ხომ წმინდა ჰაერისათვის სამუშავოდ სადმე ან ფანჯარა, ან კარი ღია ჰქონდეს, რომ ნახშირჟანგის ბუღმა კაცი არ დაარჩოს. აშკარაა, ამ მეტნაკლებობას სითბო-სიგრილისას ამ შემთხვევაში ძნელად რამ ეშველება და ჭურჭელი, რაშიაცა ჰდუღს ტკბილი, დღისით მომეტებულ სითბოში იქნება და ღამით ნაკლებში. ქვევრს კი ამით ან სულ არა დაუშავდება რა, ან ძალიან ცოტა რამ, იმიტომ რომ მიწაშია, და გარეთის ჰაერის ცვლილება ისე ადვილად ვერ ჩაატანს და, მაშასადამე, ვერ შესცვლის მიწის სითბო-სიგრილესა.

ჩვენის მარნების ფარღალალობას ერთი სხვა სიკეთე სჭირს: ამისთანა მარანი უშიშია ადამიანისათვის და ამას არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს. დახურულს, ყოველის მხრით შეკრულს მარანს, თუ სარდაფს, დულილის დროს სიფრთხილე უნდა, თორემ შეიძლება კაციც შეიწიროს. როცა ტკბილი დიდს დულილშია და ბუყბუყებს, მაშინ ზემოთ ბურცებს ანუ ქაფს მოიგდებს. აქედამ ერთნაირი ბუღი გამოდის, რომელსაც ნახშირმჟავეს ეძახიან მეცნიერნი. ეს ბუღი რომ ჩაისუნთქოს კაცმა ძალიან ადვილად დაირჩობა. რომ დახურულს და შეკრულს მარანში, თუ სარდაფში, კაცს ეს არ დაემართოს დულილის დროს, ხშირად უნდა ამისთანა სარდაფსა, თუ მარანში წმინდა ჰაერი ამუშავოს და ატრიალოს, რომ ის ბუღი გავიდეს და წმინდა ჰაერი შევიდეს. ევროპაში ამის ასაცდენელად კარგად დამწვარს კირსაც ჰხმარობენ: სარდაფსა თუ მარანში, მოჰფენენ ხოლმე კირსა, და რადგანაც ნახშირმჟავეს ძალიან იზიდავს კირი, ამიტომაც, რამოდენადაც ამოდის დულილის გამო, იმოდენად კირი სჭამს, თუ ესე ითქმის.

ჩვენებურს კაცს გამოცდილებით უცვნია ეს ვითარება დულილისა და რომ მეტი ჯაფა და სიფრთხილე არ აეკვიატებინა, სამჯობინარად დაუნახავს ღია მარანი, საცა ყოველთვის ნახშირმჟავესაც გამოსავალი აქვს და წმინდა ჰაერსაც შესავალი; ასადულებლად საჭირო სითბო-სიგრილის თანაბარობისათვის ქვევრი ცოტად თუ ბევრად ღრმად ჩაუსვამს მიწაში და ამასთანავე აუცილებელი საჭიროება ღვინის კეთებისა თავის ჯიბის მეტნაკლებობისათვის შეუფერებია. აქ, როგორც ვნახეთ, მაგრერიგად არც მწვადი იწვის და არც შამფური.

XII

ტფილისი, 13 მარტი.

რა ყურძენიც გინდათ აიღოთ, მისი წვენი, მეცნიერთა გამოკვლევით, ერთისა და იმავე ნაწევრებისაგან არის შემდგარი, განსხვავება მარტო ნაწევრების მეტნაკლებობაშია. ეს ნაწევრები არიან 1) შაქარი, რომელსაც ზოგჯერ ასში ოცდაათი წილი უჭირავს, ესე იგი, 30% და 14%-ზე ნაკლები კი არ ვარგა რომ იყოს; 2) აზოტი, რომელიც დულილს ჰშველის, 0,2% – 0,8%; 3) პექტინი და სხვა წებოს მომცემი ნაწევრები; 4) სხვა ნაწევარები, რომელნიც ჯერ გამოცნობილნი არ არიან და რომელნიც ღვინოს გემოსა და სუნს აძლევენ; 5) ორგანიური სიმჟავენი და მარილები – ტარტარისა და 6) უორგანიური: ფოსფორის სიმჟავე, ხლორი კალციით, პატასი, მაგნეზია რკინითა და შავი ქვითა.

წვენი ყურძნისა, თბილ დღეში დაკრეფილისა, დაწურვილისა, თითქმის მაშინვე მოჰყვება დულილსა და ერთის დღისა თუ დღენახევრის განმავლობაში ჰმატულობს იმისდაგვარად, რამოდენა სითბოა მარანში. თვითონ დულილი ათბობს წვენს ზოგჯერ რეუმურის ტერმომეტრის 28^0-დან, მაგრამ დულილმა რომ თავის

რიგზედ იმუშავოს, საჭიროა წვენის სითბო 22^0 – 23^0-მდე მაინც ავიდეს. თუ 29^0-ს გადასცილდა სითბო, მაშინ შაქრის ალკოგოლად გადაქცევას ხელი ეშლება და თვით ალკოგოლიც ცხარე დულილში ნახშირმჟავეს გასდევს. შაქრის ალკოგოლად გადაქცევაშია უმთავრესი და უპირველესი მნიშვნელობა დულილისა.

დულილის ხანგრძლიობა იმაზეა დამოკიდებული, თუ რაოდენი შაქარი აქვს წვენს და რამოდენად თბილა, ამის გამო ზოგან დიდხანს ჰდულს ღვინოები. ზოგან არა, ასე რომ სულ ნაკლები ოთხი დღეა, და მეტი ორ კვირას ძნელად გადასცილდება. ხანი დულილისა ორთა შუად მიღებულია რვა დღიდგან ხუთმეტ დღემდე. კაცი ადვილად შეატყობს, როცა დულილი გათავდება ხოლმე. დულილის გათავების თავის დროზედ შეტყობას თავის მნიშვნელობა აქვს და ეს მნიშვნელობა ჩვენებურმა კაცმაც იცის, ისე როგორც ევროპიელმა. ჯერ თვალითაც შეეტყობა დულილის გათავება. რაკი ბუყბუყი აღარ ისმის და ბურცს, რომელშიაც ნახშირმჟავეა, აღარ იკეთებს წვენი, დიდი დულილი გათავებულია. ყური კი რომ დაადოთ ქვევრის პირს, ანუ "ჩანს", რომელშიაც ევროპიელები ტკბილს ადურებენ, შიგნიდამ მაინც შიშინი მოგესმის. ეს პატარა დულილია. თანდათან ეს შიშინიც უფრო ნაკლებ და ნაკლებ ისმის და ბოლოს სრულად მისწყდება. ამის შემდეგ, ჭაჭა ზევით წამოვა და თავზედ ისე მაგრად შეიკვრის, რომ კეტით გასარღვევი გახდება ხოლმე. ამას როგორც ჩვენში, ისეც საფრანგეთში, ქუდს ეძახიან. როგორც ჩვენში, ისეც საფრანგეთში ამ ქუდსა სტეხენ და დაურევენ. დულილი ხელახლად თავს იჩენს. ამ დულილში ზემოდ მოქცეული ჭაჭა და თხლე თანდათან ძირს ჩადის და ღვინო იწმინდება. ამასობაში ღვინოს სითბო თანდათან აკლდება ასე, რომ შიგ ღვინოში ოთხი-ხუთი გრადუსი სითბოლაა მეტი გარეთის ჰაერის სითბოზე. ყველაზედ უტყუარი მაჩვენებელი მისი, რომ დულილი გათავდა ერთი ნიშანია: რამდენადაც შაქარი ალკოგოლად იქცევა, იმდენად სისქე (плотность) ღვინისა ჰკლებულობს და თხელდება. ეს კლება სისქისა დულილის კლების მაჩვენებელია; ამისათვის ერთნაირი იარაღი აქვთ ევროპიელებს, რომელსაც "არეომეტრს" ეძახიან, – ამას ჩაუშვებენ ღვინოში და თუ 12-ის საათის განმავლობაში ცვლილება არა აჩვენა რა, უტყუარი საბუთია დულილის გათავებისა. მართალია, ჩვენ ამ იარაღს არა ვხმარობთ და სასურველია, რომ ხმარებაში შემოვიდეს, – მაგდონადაც ძვირი არ არის და ადვილი მოსახმარებელია, – ხოლო აქედამ ის არ გამოდის, რომ რაკი მაგას არა ვხმარობთ, არც ის ვიცით, რომ დულილის გათავებას თავის დროზედ შეტყობა უნდა და შეტყობისათვის ცოტად თუ ბევრად გზაც არ ვიცოდეთ.

ამ ქუდის გატეხის და დარევის შემდეგ ღვინო დასაწმენდად მიიქცევა ხოლმე. ჩვენებური კაცი თვითონ ღვინის ბუნებას მიენდობა ხოლმე ამ შემთხვევაშიაც და დაწმენდისათვის არაფერს წამალს არა ჰხმარობს. რაკი ჭაჭა-თხლე ძირს წავა და თან ჩაიტანს ღვინოში გაუხსნელ ნაწევარებსაც, შემდეგ ამისა ღვინოს სიმჟავე აკლდება, ეძლევა სუნი, და მაშინ იტყვიან, ღვინო დადგა, მაჭარი დაღვინოვდაო. რაკი ღვინო ამ დონემდე მივიდა მაშინვე უნდა გადაიღონ, ნამეტნავად თუ ჭაჭა და კლერტი მიცემული აქვს, იმიტომ რომ ჭაჭა და კლერტი ამის შემდეგ სწყენს ღვინოსა და აღარაფერსა ჰშველის.

ჩვენში ამას ყურს არ ათხოვებენ ხოლმე, იმიტომ კი არა, ვითომც არ იცოდნენ, რომ ჭაჭა და თხლე დაწმენდის მერმედ სწყინს ღვინოსა, თუ ხანი დასცალდა, არამედ იმიტომ, რომ ჩვენში ახლად დაწმენდილს ღვინოს მუშტარი უჩნდება თითქმის მაშინვე და ამის ლოდინში ჩვენებური გაჭირვებული კაცი არა ჰჩქარობს ღვინის გადაღებას, მით უფრო, რომ ჭაჭა-თხლეზედ ღვინო უფრო გემოიანი, სუნნელოვანი და წმინდაა ხოლმე და მუშტარს ადვილად მოაწონებს თავსა. ამიტომაც იმის მაგიერ, რომ გიორგობისთვეში გადაიღოს ღვინო და ხელახლად უცადოს იმის დაწ-

მენდას მუშტრისათვის, იგი დიდხანს თხლე-ჭაჭაზედ ინახავს ღვინოს, და თუ მოუცდა ლოდინი, მაინც თებერვალს და მარტს აღარ გადააცილებს და გადაიღებს ხოლმე. მეტს ძნელად თუ ვინმე აყოვნებს, იმიტომ რომ, თუ გადაღებაში სითბომ მოასწრო, შესაძლოა ღვინომ ხელახლად დულილი დაიწყოს და ამ გვიანს დულილს ღვინის წახდენა მოსდევს. ეს ჩვენშიაც ისე კარგად იციან, როგორც ევროპაში, და ამიტომაც, მინამ სიცივეები გავა, ღვინოს უსათუოდ გადაიღებენ ხოლმე. რაკი ღვინო გადაღებისათვის მზად შეიქმნება, ამ დღიდამ ღვინის დაყენება თავდება და იწყება თადარიგი ღვინის შენახვისა.

XIII

ტფილისი, 17 მარტი

ღვინის შენახვისათვის ყველაზედ უწინარეს საჭიროა, რომ თვითონ ყურძნის წვენსა ჰქონდეს უნარი გამძლეობისა ბუნებით დაყოლილი. ჩვენშიაც და ევროპაშიაც ეს ძალიან კარგად იციან. აქაც და იქაც ისიც ძალიან კარგად იციან, რომ გამძლეობა ბუნებური ღვინისა სხვასხვა წამლებზედ კი არ არის დამოკიდებული, არამედ იმაზედ, თუ რა ჯურის ყურძნის წვენია ღვინოდ გარდაქმნილი და რა მიწაზეა გაჩენილი თვითონ ყურძენი. ჩვენში, მაგალითებრ, მიღებულია, რომ რქაწითელი, მწვანე, რომელთაც ხშირად ფერისათვის მცვივანას ურევენ, ან მცვივანის ყურძნის ჭაჭაზედ ადუღებენ, თეთრს გამძლე ღვინოს იძლევა, აგრედვე წითელს გამძლე ღვინოს – წმინდა, შეურეველი საფერავი. ეს კიდევ საკმაო არ არის, რომ ღვინის გამძლეობის იმედი იქონიოს კაცმა. დიდი საქმეა ისიც, თუ რომელს და რა თვისების მიწაზეა მოყვანილი ყურძენი. თუ რქაწითელი, მწვანე ან საფერავი მძიმე, ღრმად მოსახნავ თიხიან მიწაზეა, — ამათი წვენი

უფრო გამძლე ღვინოს იძლევა, ვიდრე იგივე ყურძენი ქვიშიანს მიწაზედ მოსული, ეს ჩვენშიაც ისე კარგად იციან, როგორც ევროპაში. ამიტომაც ტყუილი ცდაა, — ყოველ ჯურის და მიწის ყურძნის ღვინოს გამძლეობა მიანიჭონ, თუ არ სხვადასხვა წამლებით, და მაშინ ბუნებურ ღვინოზედ ხომ ხელი უნდა აიღონ.

ჩვენ ღვინოებს სწამობენ, რომ გამძლეობა არა აქვსო, მალე ჰფუჭდებაო. ეს ბევრში მართალია, მაგრამ ეს უცოდინარობის ბრალი კი არ არის, არამედ იმისი, რომ უფრო ბევრი ღვინო ჩვენში იმ მიწის ვენახებისაა და იმ ჯურის ყურძნისა, რომელნიც ბუნებითად გამძლე ღვინოს არ იძლევიან, თუ რაიმე წამლებით არ შეაზავე და ამ გზით ადრე და მალე არ გააფუჭე, ესე იგი, ბუნებური ღვინო წამლებით ნაკეთებ ღვინოდ არ გარდაჰქმენ. ჩვენ რომ ვსთქვით, გაუძლეობა ჩვენის ღვინისა ბევრში მართალიაო, იმიტომა ვსთქვით, რომ ზოგში მართალი არ არის. ჩვენშიაც არის გამძლე თვისების ღვინო, საცა ჯურა ყურძნისა და თვისება მიწისა ამას ხელს უმართავს და შესწევს. არა ერთი და ორი ვენახის პატრონია ჩვენში, რომელსაც უცდია, რვა, ათი და მეტი წელიწადიც შეუნახავს ღვინო, და უნახავს, რომ მის ღვინოს გაუძლია დიდხანს და ამ გაძლებაში უფრო გაკეთებულა ყველაფრით. ამისი მაგალითი არა ერთი და ორი ყოფილა და არის ჩვენში დღესაც. რატომ ყველა ღვინო არ არის ამისთანაო, — ამის თქმა, და იმისი, რატომ ყველა კაცი ბისმარკი არ არისო — ერთი და იგივეა. უფრო ჭკუას ახლოა კაცმა ეს იკითხოს: თუ ეგრეა, რატომ დიდი ხნით შესანახავად ღვინოს სულაც არ აყენებენო საბაზროდ? იმიტომ რომ სარფა არ არის, რადგანაც, რაც დღეისამდე ბაზარია ჩვენში, სიძვირეს ამგვარის ღვინისას ვერ აიტანს და არც მუშტარი ჰყავს.

აბა აიღეთ, მაგალითად, შემდეგი ანგარიში. შევინახე და გამოვაყენე, ვსთქვათ, ათის წლის ღვინო რიცხვით ოთხასი თუნგი, ესე იგი ერთი კახური ურემი; იმისთანა ღვინო, რომელიც შესანახავად გამოდგება, ცოტად თუ

ბევრად კარგი თავი ღვინო უნდა იყოს; ამისთანა ღვინოს, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, ორმოც თუმნად გაჰყიდით ადგილობრივ, ახლობაშივე, ესე იგი, ბოთლს ერთს აბაზად. ვინახე ეს ღვინო ათი წელიწადი, ჯერ მარტივი სარგებელი, თუნდ ექვსი რომ ვიანგარიშოთ, ათს წელიწადში ორმოც თუმანზედ ოცდაოთხს თუმან შეადგენს; აღარას ვიტყვით რთულს სარგებელზედ, რომელიც თავნს თითქმის უსწორდება რვა წელიწადში, ესე იგი ათს წელიწადზედ ადრე. ჯერ ამ გზით ათს წელიწადს უკან იგი ერთი ურემი ღვინო სამოცდაოთხ თუმნად უნდა დამიჯდეს. ახლა ამისი მოვლა ამ ათს წელიწადში, ღვინის დაკლება გადაწმენდ-გადმოწ-მენდაში, ხარჯი, ჭურჭელის დახაფრება, ჭურჭელის რეცხვა და სხვა ამისთანა, ერთს ამოდენას თუ არ მეტს ესეც შეადგენს და ამ სახით ათს წელიწადს შემ-დეგ ჩემი ორმოცთუმნიანი ღვინო ასს თუმნად მიზის და თუ ბოთლი ადგილობრივვე ათს შაურად მაინც არ გავყიდე, მე ვერც ჩემს გასამჯელოსღა ავიღებ, რომელსაც ამ შემთხვევაში მთელს ათს წელიწადში სულ თორმეტ თუმანს ვანგარიშობ, ვერც სარგებელს და თავნზედაც ძლივძლივობით გამოვალ. აბა ერთი იკითხეთ: რომელი სულელი იქნება, დღევანდელი ორმოცთუმნიანი ღვინო ათი წელიწადი ინახოს, რომ ასს თუმნად დაუჯდეს და, მაშასადამე ასს თუმნადაც რომ გაჰყიდოს, თითქმის არა მოიგოს რა. თუნდ ამისთანა სულელი იყოს ვინმე, ახლა ამას აღარ იკითხავთ: სად არის ამისთანა ღვინის მსყიდველი? მაშინ, როდესაც ჩვენებური ბაზარი ამავ ღვინოს ახლობაშივე ბოთლს ერთ აბაზად ჰყიდულობს ალაგობრივ და თუ თვითონ ათს შაურზედ ნაკლებ გაჰ-ყიდა, ჰზარალობს კიდეც, — იმედია განა თვითონ ეს ბაზარი ათს შაურად ბოთლს იყიდდა ალაგობრივ? ათ შაურად ალაგობრივ ნაყიდი ბოთლი ხომ მანათნახევრად უნდა გაჰყიდოს, ან სულ ცოტა — მანათად მაინც, რომ გამორჩომა ჰნახოს რამე. ვინ არის ჩვენში ამ ძვირის ღვინის მსმელი? ერთი ორიოდე კაცი, ისიც საგანგებოდ

და არა საყოველდღეოდ. სულელობა და უგუნურობაა ორიოდე კაცზედ გაანგარიშებული, დაიმედებული, საერო მრეწველობა რამე, მაგალითებრ ამისთანა, როგორც ჩვენში ღვინის მრეწველობა არის. ან რა ჭკუაა, — კაცმა ათის წლის ღვინო სვას მამასისხლად სასყიდი და ახლობაშივე სასიამოვნო და გაცილებით იეფს ღვინოს კი თავი დაანებოს! ეს უეჭველი შორმხედველობა აქვს ჩვენებურს ღვინის მკეთებელსა, მარტო ჩვენებურს ბაზარზედ დღევანდლამდე დამო-კიდებულს და ღვინოს ისე აკეთებს, რომ მალე იყოს სასიამოვნოდ სასმელი, რადგანაც აქ ჩვენში ღვინოს თითქმის მთელი ერი სვამს და ამის გამო დიდ ხანს დგომას არ ჰსაჭიროებს, მალე, თითქმის მეორე მოსავ-ლამდევე ჰსაღდება. მთელი ჩვენი ღვინის ვაჭრობა ამ წინად დანახულს აზრზეა აგებული და ამიტომაც არც ერთს სირაჯს, არც ერთს ვაჭარს ღვინისას იმისი სამზადისი არა აქვს, რომ ღვინო მის სარდაფში ორი, სამი და ოთხი წელიწადი ინახებოდეს. რაკი ამდენს ხანს ღვინო გაუსყიდავი არ დაურჩება — რა ხელ-საყრელია ამისთანა სამზადისი?

ამ ბოლოს ხანებში ჩვენებურმა ღვინომ ფეხი შედგა რუსეთის ბაზარში. ეს გარემოება, რასაკვირველია, ღვინის გამძლეობის თავდარიგს გააძლიერებს ჩვენში, რადგანაც იმ სიშორეზედ გადატანას ღვინისას ეხ-ლანდელზედ მომეტებული გამძლეობა უნდა ჰქონდეს და ვაჭრობა ღვინისაც იქ, საცა, როგორც რუსეთში, ღვინოს მარტო შეძლებული კაცი სვამს, უნდა იმედოვნებდეს, რომ დახანებული ღვინო იმის სარდაფში არ გაფუჭდება გაუძლეობის გამო. ნურვინ იფიქრებს, რომ ამ თავდარიგს ვერ შეუდგება ჩვენებური კაცი უვიცობის, უცოდინარობის გამო. ღვინის ხელი ამ შემთხვევისათვისაც ძალიან კარგად იცის ჩვენებურმა კაცმა და თუ ჩამოუვარდება ევროპიელს რაშიმე, მარტო იმაში, რომ მარგებელის ღვინის წამლობით საწამლავად გარდაქმნა გამძლეობისათვის არ იცის და მადლი ღმერთსაც, რომ ეგრეა.

ამ სახით გაბედვით დავარწმუნებთ ყველას, რომ თუ ჩვენებურს კაცს ბუნებურის ღვინის შენახვა ჰსურს დიდ ხანს, ძალიან კარგად იცის, რომ ჯერ თვითონ ღვინო უნდა აირჩიოს შესაფერის ჯურის ყურძნისა და იმ ვენახისა, რომლის მიწა ამ უნარს აძლევს ყურძნის წვენს ბუნებითად. ამას გარდა ისიც იცის, ამ შემთხვევაში რა გზით არის საჭირო ხელის შეწყობა, და ისიც იცის, ბუნებურ ძალთა ღვინისას რა გაუბრუნდებს ხოლმე გზასა და რა უშლის მათს თავისუფალ მოქმედებასა ღვინის გასამძლეოდ, ამ ცოდნას გამოიყენებს კიდეც, თუ დაინახავს სარფას, — ამ ერთადერთს საეკონომიო სანატრელს ყოველის მრეწველობისას.

XIV

ტფილისი, 18 მარტი

ჩვენ ის დაგვავიწყდა გვეთქვა, რომ ჩვენში, როგორც ევროპაშიაც, ორნაირი დუღილი იციან ღვინისა, და რადგანაც ეს თავის ადგილას არ მოვიხსენიეთ, ბოდიშს ვიხდით, რომ ხელახლად ამ საგანზედ ჩამოვაგდებთ საუბარსა. ერთნაირი დუღილი დახურულია და მეორე — ახდილი. ჩვენში დახურულს დუღილს მისდევენ უფრო ალაზნის მარჯვენა მხარეს, ნამეტნავად სიღნაღის მაზრის სოფლებში, და ახდილს კი — უფრო გაღმა მხარეში, ალაზნის მარცხენა მხარის ადგილებში. საცა დახურული დუღილია, იქ რაკი თავის ზომის ჭაჭას მისცემენ "ტკბილსა", ქვევრის ყელში ჯვარედინად ჯოხებს გასჭედენ საკმაოდ ხშირად, რომ, თუ ვინიცობაა ჭაჭამ დუღილის გამო ქუდის გასაკეთებლად ძალიან ამოიწიოს, ქვევრს სარქველი არ ახადოს და არ ამოვიდეს. აგრე გაწყობილს ქვევრს დახურვენ სარქველს და მიწას მიაყრიან. დუღილისაგან ამომხდარს ბულსა, მაგალითებრ ნახშირმჟავისას, ამ გზით გამოსავალი აქვს იმოდენად საკმაო, რომ შიგ არ ჰგუბდება და

გარეთის ჰაერის მიკარებას კი ამ გზით ცოტა არ იყოს დაბრკოლება ეძლევა, რადგანაც დახურულის დუღილის ერთი მიზეზი ეს არის, სხვათა შორის. ახდილის დუღილისათვის კი სარქველს ხშირად არა ჰხურავენ, და თუ ჰხურავენ, მიწას აღარ აყრიან, ასე რომ ტკბილი ზეზე ჰდუღს და ზოგჯერ მდუღარი ტკბილი ქვევრის ნაპირებზედაც გადმოვა ხოლმე. როცა ტკბილი დიდის დუღილის შემდეგ უკან ჩაიწევს, ჯოხებს ქვევრის ყელში მაშინ უკეთებენ, მას შემდეგ დაჰხურვენ და მიწას მიაყრიან. რვა-ცხრა დღის შემდეგ ჭაჭა ზევით ამოვა, მიებჯინება ჯოხებს და ქუდს იკეთებს. ამ ქუდს, მინამ გასტეხენ და დაურევენ, ჯერ ზემო პირს მოსწმენდენ დიდის გულმოდგინებით იქამდე, ვიდრე მშრალს ჭაჭას მთლად არ ამოიღებენ და სველზედ არ დავლენ, და ამის შემდეგ დაურევენ. ამას ამიტომ შვრებიან, რომ სიმშრალისაგან დამჟავებული და ძმარშეპარული ჭაჭა, ჭაჭისა და ღვინის ჭუჭყი არ ჩააყოლონ. ღვინო, რასაკვირველია, დარევის შემდეგ კიდევ ცოტა წამოჰდუღდება, ჭაჭა თანდათან ძირს წავა და თხლესთან ერთად დაიძირება. ამა ხანი უნდა და ამ ხანის გავლის შემდეგ კი ახდიან ქვევრსა, და თუ ქვევრს წიპწა რამ, ანუ პრკე, ანუ რაიმე ქაფი ზედ მოუგდია, ამას ყოველს ბეჯითად ამოსწმენდენ, და თუ აბურცული ყურძნის მარცვლის კანია, ამას კი ხელახლად დასრესენ ხელით და ტკბილს მისცემენ. მერე გადავსების თავდარიგს შეუდგებიან, გადავსებაში დიდს სიფრთხილეს ჰხმარობენ, რომ ერთიერთმანეთის ფერის, სიმაგრის და გემოს ღვინო მიუყენონ. ხშირად სრულად გავსებას ქვევრისას დრომდე აქაც ერიდებიან, რადგანაც იციან, რომ ღვინო ჩუმს დუღილს დიდხანს არ მოიშლის და ეშინიათ ან ღვინომ არ ამოიწიოს და არ გადმოვიდეს ქვევრიდამა, ან ქვევრი არ გახეთქოს დაუტევრობისაგან, თუ სხვა გზა არა აქვს. ევროპაში დახურულს დუღილს, — მხოლოდ იმოდენად კი დახურულს, რომ დუღილის ბულს გამოსავალი ჰქონდეს, — ამჯობინებენ. თუ ჩვენში ზოგან ახდილი დუღილია, ეს

უვიცობას არ უნდა მიაწერონ, რადგანაც ჩვენც ვიცით დახურული დუღილი, და თუ ზოგან არ მივსდევთ ამნაირს დუღილსა და ზოგან მივდევთ, რაიმე პატივ-სადები მიზეზი უნდა იყოს, ან ადგილზედ, ან ჰავაზედ, ან სხვა რაზედმე დამოკიდებული. ჩვენებურნი მეცნიერნი, იმის მაგიერ, რომ ხელაღებით მჩვარში გვხვევენ, ისა ჯობია ამ მიზეზის გამოძიებას შესდგომოდნენ. იქნება ამით საცოდნელი ღირსი რამ ამოეჩინად და იმათთვისაც კარგი იქნებოდა და ჩვენთვისაც.

ეხლა გადავიდეთ, ღვინის გამძლეობისათვის რა ღონეა ჩვენში მიღებული. წინადაც ვსთქვით, — ჩვენშიაც, როგორც სხვაგან, ყველამ კარგად იცის, რომ გამძლეობის უნარი, თუ თვითონ ღვინოს არა აქვს ბუნებისაგან თანდაყოლილი, უწამლოდ ამისი აჩენა შეუძლებელია. ესეცა ვსთქვით, რომ არის ჩვენში იმისთანა ჯური ყურძნისა და იმისთანა ადგილის ღვინო, რომელსაც ეს უნარი ბუნებითად თანდაყოლილი აქვს. რომელიც ღვინის მოწამვლას ერიდება და მარტო ბუნებურ ღვინოზეა მიქცეული, როგორც ჩვენში, იმან ძალიან კარგად იცის რომელი ყურძნის წვენი გამძლე ღვინოს იძლევა და რომელი ადგილი, და რაგვარად კაცმა ხელი უნდა შეუწყოს, რომ ეს გამძლეობის უნარი ღვინისა არ დაიხშოს. ჩვენებურმა კაცმა ძალიან კარგად იცის, რომ ამისათვის მარტო ერთადერთი ღონეა — იმდენჯერ წმინდად გადაღება ღვინისა, ვიდრე ღვინო ლექის კეთებას არ მოიშლის. ამის შესატყობრად აი რა არის საჭირო: როცა ქვევრში, თუ ბოჭკაში, თხლე-ჭაჭიდამ გადაიღებენ დაწმენდილს ღვინოს, მაშინ ერთი ბოთლი ღვინო უნდა ამოიღოს კაცმა, კარგად დაუცვას და ამავ ქვევრის თუ ბოჭკის ადგილას დასდგას. დროგამოშვებით ინახულოს ეს ბოთლი, და როცა ჰნახავს, რომ ღვინოს ლექი გაუკეთებია ბოთლში, უსათუოდ ქვევრსა და ბოჭკაშიაც ლექს გაიკეთებდა. ქვევრისათვის ეს ისეთი ზედმიწევნილი ნიშანი არ არის, როგორც ბოჭკისათვის, იმიტომ რომ ქვევრი, რადგანაც მიწაშია, და ბოთლი

ზეზე ჰაერზედ, გარემოება ერთისა და მეორისა სხვადასხვა არის სითბო-სიცივის და სინათლის სხვადასხვაობის გამო. ამიტომაც შესაძლოა, რომ ქვევრმა უფრო გვიან გაიკეთოს ლექი, ვიდრე ბოთლმა. აქ მარტო დროს მეტნაკლებობა ითამაშებს და ამას გამოცდილება აუცილებლად დაასწავლის კაცს, რომელი იკეთებს ადრე თუ გვიან ლექსა. ამ სახით, რაკი ბოთლში ღვინომ ლექი გაიკეთა, მაშინვე უნდა გადაიღონ, და ესე მოიქცნენ, ვიდრე უკანასკნელად გადაღებული ღვინო ბოთლში ლექს აღარ გაიკეთებს. ლექი აღარ ექმნებაო რომ ვსთქვით, ეგ მეტისმეტი მოგვივიდა, იმიტომ რომ, ამ გზით ძალიან კარგად გამოყენებული ღვინოც კი, თუ ძალიან დიდხანს შეინახა ბოთლში, მაინც ლექს გაიკეთებს თავის დროზედ, მაგრამ კარგად გამოყენებულის ღვინის ლექი ერთს ლარზედ ანუ ხაზზედ კეთდება და გარშემო კედლებს ბოთლისას არ გაეკვრის ხოლმე, როგორ ეს გამოყენებულმა ღვინომ იცის. ღვინოს ზემოხსენებულის გზით გამოყენებას ხუთი და ექვსი წელიწადი უნდება, და ამ ხანში ლექის გაკეთების უმალვე გადაღება და გადაწმენდა უსათუოდ საჭიროა, თუ გსურთ, რომ ღვინო გამძლე იყოს.

რაკი ესე მოუარეთ ხუთისა თუ ექვსის წლის განმავლობაში ღვინოსა, მერე კი ბოჭკებიდამ თუ ქვევრებიდამ ღვინო ბოთლებში უნდა ჩაისხას და განგებ არჩეულის პრობკით დაიცვას მაგრად. ბოთლების დაწვენით შენახვას უფრო ჰრჩეობენ ევროპიელნი, რადგანაც ამ გზით პრობკა ყოველთვის სველია, და თუ გაშრა კი, როგორც აყენებულს ბოთლს მოსდის, ღვინის სუნი ადვილად გზას იპოვის გამოსასვლელად. თუ ამრიგად დაწვენილმა ბოთლმა გარშემო კედლებზედაც ლექი მოიკიდა, ეს იმისი ნიშანია, რომ აჩქარებულან და კარგად გამოყენებული ღვინო არ ჩაუსხამთ. უცოდინარნი კი სწორედ ამ კედლებზედ გაკრულ ლექით სტყუვდებიან და უვიცობის გამო იძახიან: აბა, კარგად გამომდგარი ღვინო ეს არისო.

სულ სხვაა თუ ბოთლმა ლექი გაიკეთა მარტო იმ მხრივ, რომელზედაც დაწვენილია და მარტო ამ მხრის ერთის ხაზის გაყოლებაზე; მაშინ ითქმის, რომ ღვინო კარგად გამოყენებული ჩაუსხამთ ბოთლში. მართალია, ამ გზით ღვინოს გამძლეობა ეძლევა და რაც ხანი გადის, უფრო და უფრო კეთდება, ხოლო ხანს ღვინისას, მის გამძლეობას, თავისი საზღვარი აქვს, და თუ ღვინო ამ საზღვარს გადასცილდა, ეკარგება თავისი გემო, ღირსება და ფასი.

ჩვენ ჩვენს მეცადინეობას ბოთლებში გადაღებამდე არა ვჭიმავთ, იმიტომ რომ სახეში არა გვყავს, ვისთვის და რისთვის ავიკვიატოთ ამოდენა დავიდარაბა და ვაი-ვაგლახი. ჩვენ ღვინის ქვევრში შენახვის იქით აღარ მივდივართ, რადგანაც ჩვენის ეხლანდელის ბაზრის მიხედვით — ეგ მეტი ციებ-ცხელებაა. აბა უტკივარს თავს განგებ ვინ აიტკიებს მარტო ცარიელ სახელისათვის, ნამეტნავად იმისთანა საქმეში, საცა სახელთან ერთად გამორჩომის იმედიც ამოქმედებს კაცსა, როგორც მაგალითებრ ყოველს საეკონომიო მოღვაწეობაში საერთოდ და ღვინისაში საკუთრივ.

XV

ტფილისი, 19 მარტი

ჩვენ წინა წერილში ვსთქვით, რომ ჩვენი თავ-დარაგი ღვინის გამძლეობის თაობაზედ ქვევრში ღვინის შენახვის იქით აღარ მიდის. რადგანაც ჩვენი ქვევრი მეტად ათვალწუნებულია ჩვენთა მეცნიერთაგან, ამი-ტომაც მეტი არ იქნება ქვევრის ავკარგიანობა ამ მხრი-თაც შეძლებისამებრ გამოვიძიოთ. ჯერ ყველაზედ უწინარეს ქვევრის სიკეთისათვის საჭიროა კარგი თიხისა იყოს და კარგად გამომწვარი. ამიტომაც ჩვენე-ბური კაცი ვიდრე ქვევრს იყიდდეს, ჯერ გამოიკითხავს, რა ადგილის თიხისაა და სად არის გამომწვარი. ყვე-

ლამ იცის, სად და რა ადგილის ქვევრია კარგი. ამას დიდის გულმოდგინებით ეძიებენ და ამისათვის ფასსაც კი არა ჰზოგავენ. ქვევრს თუ არ ჩაჰკირვენ, ისე არ ჩასდგმენ მიწაში, ვისაც კი წელი მისდევს. ეხლა კი ზოგან შეუძლებლობის გამო ამ ხარჯს აღარ ეწევიან და ეს შეუძლებელნიც სურვილს იმოდენად არ სჭიმვენ, რომ ღვინის სიკეთით თავი ვიჩინოთო. კარგს ქვევრს, კარგად ჩაკირულს და მიწაში ჩადგმულს, რაც უნდა კარგი იყოს, ერთი დიდი წუნი მაინც აქვს და აქვს. ეს დიდი წუნი ჩვენის ქვევრისა ის არის, რომ არც გამოსაშვები მილი მოუხერდება, არც ისეა მიწაში ჩადგმული, რომ სიფონით ღბინის გადაღება შეიძლე-ბოდეს ერთი ქვევრიდამ მეორეში, რადგანაც სიფონით გადაღებისას ერთი ქვევრი მაღლა უნდა იდგეს და მეორე დაბლა. სადამდინაც დაბლა მდგომი მაღლა მდგომსა სწვდება, სწორედ იმ ხაზამდე გადმოვა სი-ფონით ღვინო მაღალიდამ დაბლა და მეტი ერთი ცვა-რიც არ გადმოჰყვება. ამიტომაც საჭიროა, რომ ერთის ქვევრის ძირი მეორე ქვევრის პირთან ერთს ლარზედ მოვიდეს, რომ სიფონით შესაძლო იყოს მთლად გადაღება ღვინისა ქვევრიდამ ქვევრში. რადგანაც ჩვენი ქვევრები ერთს მწკრივზეა ხოლმე ჩასმული მიწაში, და რადგანაც მიწაშია, ვერც მოსაშვები მილი გაუკეთ-დება, — და ამავე დროს ჯერ სხვა ღვინის ამოსაღები მანქანა* შემოღებულ არ არის,— ამიტომ ჩვენებური კაცი იძულებულია ხელით და ჩაფით გადიღოს ღვინო. ერთიც და მეორეც მალე ამღვრევს ღვინოსა, დიდ-ხანსაც უნდება კაცი. გარდა ამისა, რომ ამნაირს გადა-ღებას უფრო მეტი ხარჯი და დრო უნდა, ამნაირი გა-დაღება ძალიანა ჰლახავს ღვინოს, ის ეფირები და ნა-წევარები, რომელიც სასიამოვნო და ღირებულს სუნს აძლევს, ეცლება და ეკარგება, ნამეტნავად თუ ჩაფით

* ეხლა ამისთანა მანქანა არის თურმე მოგონილი. ჩვენ არ გვინახავს, და ამბობენ კი, ძალიან კარგი არისო, თხლემდე ისე ამოაქვს ღვინო, რომ სრულებით არ ამღვრევსო. ერთს დაუბარებია ეს მანქანა ევროპიდამ და ოცდათოთხმეტი თუმანი დასჯდომია.

ამოღებულს ღვინოს ღარებში ასხმენ და ისე მიუშვებენ ქვევრში. ჰაერიდამაც ღვინო მავნებელს ნაწევარებს და მტვერს ჩაიყოლებს ხოლმე: ღვინო მეტად აზიზი რამ არის და ყოველ ამას მის სიკეთეზედ მოქმედება აქვს.

იქნება ბევრმა არ იცოდეს და ჩვენში ქვევრის ამ ნაკლზედ არა ერთი და ორი დაფიქრებულა: ცდაც კი იყო ამ ნაკლის მოსაშორებლად. ჩვენში იყო ერთი თ. გურგენიძე, რომელიც ჰცდილობდა ეს ნაკლი ქვევრისა როგორმე აეცილებინა, და ამას აქ იმიტომ ვიხსენიებთ, რომ მის აზრს ამ საგანზედ თავისი საბუთი აქვს და ადვილადაც შესასრულებელია. განსვენებული თ. გურგენიძე იმ აზრს დაადგა, რომ ჩვენებური მარანი სხვარიგად უნდა აიგოს. იგი ამბობდა, მარანი სამ კიბედ მაინც უნდა ჩაითხაროსო, ანუ უკედ ვსთქვათ, მარანს სამი დიდი ბაქანი (ტერასსა) უნდა გაუკეთდესო იმოდენად ერთიმეორეზედ მაღალი, რამოდენიც ქვევრს სიმაღლე აქვს, ასე რომ შუა ბაქანის ქვევრის პირი ზემო ბაქანის ქვევრის ძირთან მოდიოდეს და ქვემო ბაქანისა შუა ბაქანის ქვევრის ძირთან. ორთა შუა სიმაღლე ქვევრისა რომ ვიქონიოთ სახეში, კლავმაღლა გაჭიმულად აწვდილ კაცის სიმაღლეზედ მეტი არ გამოვა, ანუ, უკედ ვსთქვათ, ორი გაზანდრის ადლი. მაშასადამე, თვითო ბაქნის სიმაღლეს მოუნდება ორი ადლი და სამს ექვსი ადლი. თვითეულს ბაქანს, რასაკვირველია, იმოდენა დიდი მოედანი უნდა ჰქონდეს, რომ ქვევრი თავისუფლად ჩაიდგას და ჩათხრილ გვერდიდამ იმოდენა სიგანის მიწა შეჰრჩეს, რამოდენადაც ცვლილებას გარეთის ჰაერისას გაუძლებს და არ შეიყოლიებს. ეს ჩათხრილი გვერდია მარტო აქ საშიში, ვაი თუ ამან ვერ გაუძლოს გარეთის ჰაერის ცვლილებას, შესაფერი ურჩობა ვერ გაუწიოს, ცვლილება ჰაერისა ქვევრსაც მისწვდეს და ერთის გვერდიდამ ქვევრს ერთის ზომის სითბო-სიცივემ შეატანოს და სხვა გვერდებიდამ სხვა ზომისამ. მაშინ ქვევრს თავისი უმთავრესი მნიშვნელობა დაეკარგება, სახელდობრ, ისა, რომ ისე პირდაპირ მიწაში ჩადგმულს თანაბარი სითბო-

სიცივე არტყია გარსა, — ზაფხულში ღვინისათვის საკმაოდ გრილი, ზამთარში საკმაოდ თბილი, გარეთს ჰაერს თუ შეადარებთ, — და ეს ღვინის გამძლეობისათვის დიდი რამ არის. ამ მხრით, გვგონია, მოევლებოდეს რამ თ. გურგენიძის აზრსა, და თუ მოევლება, თ. გურგენიძის აზრი მეტისმეტად საყურადღებოა და მჩვარში გასახვევი არ არის. ამნაირად აგებულს მარანში სიფონი ძალიან კარგად იმუშავებს ღვინის გადასაღებად და დიდს შეღავათს და ხეირსაც აჩვენებს ამისთანა მარნის პატრონს. მით უფრო, რომ სიფონი მეტისმეტად იეფია და ადვილად სახმარი.

ჩვენებურს ქვევრს ერთს სხვა წუნსაც სდებენ ჩვენი მეცნიერნი: მიწიდამ წყალსა და ნესტს სწოვსო და ღვინოში შეაქვსო. ეს მართალია, თუ ქვევრი კარგად ჩაკირული არ არის და ამასთან კარგის თიხისა და კარგად გამომწვარი. ეს არის მიზეზი, რომ როცა ზოგიერთს ქვევრს ცოტად მოაკლებ, ისევ რამდენისამე ხნის შემდეგ აივსება ხოლმე, თუ ნამეტნავად მარანსა ჰრწყვენ. ეს მატება ზოგს ქვევრის სიკეთედ მიაჩნია, მადლიანი, დალოცვილი ქვევრია და თვითონ ჰმატულობსო, და იმას კი არა ჰფიქრობენ, რომ ეს უტყუარი ნიშანია ქვევრის უვარგისობისა: ან ცუდის თიხისაა, ან ცუდად გამომწვარია, ან ცუდად ჩაკირული.

XVI

ტფილისი, 20 მარტი.

გარდა იმისა, რაც წინა წერილში მოვიხსენიეთ, სხვა რა წუნი აქვს ჩვენებურს ქვევრსა? არაფერი, თუ კარგად არჩეულია, კარგად მოვლილი და ნაპატრონები. ჯერ ერთი ისა, რომ თითქმის ქვად ქცეულია და ბოჭკასავით ღვინოს იმ ერთგვარს ნაწევარს არა ჰმატებს, რაც მუხის ფიცარსა აქვს და ღვინოს ზოგჯერ მეტად მწკლარტს გემოს აძლევს. ეს კიდევ

არაფერი, რადგანაც ხშირად არ მოხდება ხოლმე, ნამეტნავად თუ ღვინო ძალიან დიდხანს არა ჰრჩება ბოჭკაში და თავის დროზეა გადაღებული ბოთლებში; თუ არა და ბოჭკაში ძალიან დიდხანს ნადგომს ღვინოს რაღაც კუპრის მსგავსი (дегтярной вкус) გემო ეძლევა.

ღვინო რომ კარგად შეინახებოდეს ჭურჭელში, მინამ ბოთლში გადასაღები გახდება ამისათვის საჭიროა არც მეტისმეტს ნესტიანს ადგილას იდგეს, არც მეტისმეტს მშრალს ადგილას. ბოჭკა რადგანაც ზეზეა, ვერც ნესტისაგან შეინახავს თავს, ვერც სიმშრალისაგან, როცა ან სველობაა, ან გოლვა. ნესტისაგან ბოჭკას ობი ეკიდება, წელ-სარტყმელი წნელი ულპება, ჰწყდება და ხშირად ისე მოულოდნელადაც და ანაზდეულად, რომ ღვინოს დაღვრისაგან ვერც კი გადაარჩენენ ხოლმე. ეს ხშირად მოხდება ხოლმე გაზაფხულსა და შემოდგომაზე, როცა დღე და ღამე ერთმანეთს უსწორდება. როცა გოლვაა და მშრალობა, მაშინ ბოჭკა ძალიან იშრობს ღვინოსა, ასე, რომ ასორმოცდაათს თუნგზედ შვიდ-რვა ბოთლს იკლებს თთვეში, მაშინ როდესაც ზომიერდ ნესტიანობაში კი მარტო ორსა, და თუ გასჭირდა სამს ბოთლსა. ამის გამო, თუ მშრალობაა, ბოჭკას თთვეში ოთხჯერ და ხუთჯერაც გადავსება უნდა, და თუ ზომიერი ნესტიანობაა — ორჯელ მაინცდამაინც.

ღვინო ითხოვს, რომ მისი ჭურჭელი, რაშიაც სდგას, დიდს სიცხესაც მოცილებული იყოს და დიდს სიცივესაც, და მაინცდამაინც ისეთს გარემოებაში იყოს, სწრაფად ცვლა გარეთის ჰაერის სითბო-სიცივისა ვერ მისწვდეს.

მზის სხივის სინათლე არ უნდა სწვდებოდეს ჭურჭელსა, იმიტომ რომ მზის სხივი ათბობს და ღვინოს აფუჭებს. ყოველს ამას ისეთი ჭურჭელი, რომელიც ბოჭკასავით ზეზე უნდა იდგეს, ვერასგზით ვერ აიცილებს.

ღვინომ რომ თავი დაიჭიროს, საჭიროა 10^0-ზედ ნაკლები და 12^0-ზედ მეტი სითბო არ ერჩოდეს. ზეზე

მდგომელს ჭურჭელს, რომელსაც ჰაერი ახვევია ყოველის მხრით, აუცილებლად ხან მეტი სითბო ექნება და ხან ნაკლები იმისდა მიხედვით, რა სითბო-სიცივეა გარეთს ჰაერში. მაინცდამაინც თანაბრეობა, სითბო-სიცივის ზომის იგივეობა აუცილებელს საჭიროებას შეადგენს ღვინის კარგად შენახვისათვის.

რასაკვირველია, თუმცა ბოჭკას ამოდენა განსაცდელი სდევს, მაგრამ წამალიცა აქვს. რადგანაც ბოჭკა იმისთანა ჭურჭელია, რომ არც ერთს ზემოხსენებულს განსაცდელს თვითონ ვერ უძლებს და ევროპაში ესგვარი ჭურჭელი თითქმის ყველგან ხმარებულია, ამიტომაც იქ, რაც ჭურჭელს აკლია, იმას თვითონ მარანს, ანუ სარდაფს მოსთხოვენ ხოლმე. ჩვენ არ გამოვუდგებით იმის აღწერას, თუ როგორს მარანს, ან სარდაფს აშენებენ. ჩვენთვის ამჟამად საკმაოა მარტო ისა ვსთქვათ, რომ სარდაფს, ანუ მარანს, იმ წინდახედულობით აკეთებენ, რომ საჭირო სითბო-სიცივის ზომაც, სინათლისა, თუ ნესტ-მშრალობისა, — როცა უნდათ, — იმ დონეზედ დააყენონ ხოლმე, რა დონესაც დრო და ჰაერის ცვლილება მოითხოვს. ამ სახით იქ მარანს, ანუ სარდაფს, აკეთებენ იმ წინდახედულობით, რომ ღვინის ჭურჭელი ხსენებულს განსაცდელებს მოაშორონ, და ჩვენ კი თვითონ ჭურჭელს ღვინისას ვაყენებთ იმ მდგომარეობაში, რომელზედაც იმ განსაცდელებს ხელი არ მიუწვდებათ.

ჩვენი კარგი ქვევრი, იმით, რომ თითქმის ქვადქცეულ თიხისაა და მიწაში ჰზის სწორედ, — იმ სამსახურს გვიწევს, რასაც კარგი სარდაფი, ანუ მარანი ევროპიელს. აბა ყოველი ზემოხსენებული განსაცდელი ჩამოსთვალეთ და ჩვენებურ ქვევრით შენახვას ღვინისას ზედ მიაყენეთ, თუ ყოველს ამაში ჩვენმა ქვევრმა თავი არ დაიჭიროს, არ იმართლოს და ბოჭკაზედ მეტი სიკეთეც სართად არ დაამატოს, ჯერ იმით, რომ ქვევრით გაწყობილი მარანი გაცილებით იეფია, ვიდრე ევროპიული მარანი, რომელიც იმდენად უფრო ძვირია, რამოდენადაც ბევრი განსაცდელია წინ

დასანახავი ბოჭკის გამო. მეორე ისა, რომ ჩვენი ქვევრი არ იშრობს ღვინოსა და ბოჭკა კი, რაც უნდა კარგად გაკეთებული და ძვირფასი მარანი იყოს, უსათუოდ შეიშრობს და თთვეში უკანასკნელად ორჯელ მაინც გადავსებას ჰსაჭიროებს. მესამე ისა, რომ ქვევრი მთელს საუკუნოებსა სძლებს და ბოჭკა კი არა. ესეც დიდი ანგარიშია საეკონომიო საქმეში. ერთი ეს არის, რომ ქვევრიდამ ღვინის ამოღება უფრო ხარჯიანია, უფრო ცოტად თუ ბევრად საზარალოა, როგორც ზემოთ ვსთქვით, ხოლო იგივე ქვევრი, როგორც ღვინის სადუღარი და შესანახი ჭურჭელი, ჩვენის ფიქრით, თუ არა სჯობია ბოჭკას, არაფერში არა ჩამოუვარდება.

როგორ ინახავს თანაბრად სითბო-სიცივეს ჩვენი ქვევრი — ეს ხომ წინადაც ვსთქვით, როცა დუღილზედ ვლაპარაკობდით. ისიც ვსთქვით, რომ მიწით მჭიდროდ გარშემორტყმული და საკმაოდ ღრმად მიწაში ჩამჯდარი ქვევრი ზამთარში იმოდენა სითბოშია, რაც საჭიროა, და ზაფხულშიაც საკმაო სიგრილეშია, რადგანაც მიწა ზამთარში გარეთს ჰაერზედ ბევრად თბილია და ზაფხულში ბევრად გრილი, და ძნელად ერთსაც და მეორე შემთხვევაშიაც სითბო 10^0-ზედ ნაკლები და 12^0-ზედ მეტი ექნება, ნამეტნავად ჩვენში. სინესტეც გადამეტებული არა აქვს ჩვენში მიწას. აქ ჩვენში მეტისმეტი სიმშრალე უფრო საფიქრებელია, ვიდრე სინესტე, და როცა ეს არის, მარანსა ჰრწყვენ ხოლმე. მზის სხივი ხომ ვერას გზით ვერ მიეკარება მიწაში ჩადგმულს ქვევრსა, და ჩვენა გვგონია, ეს სიბნელე, რაშიაც ქვევრი იმყოფება, იქნება სწყინდეს კიდეც ღვინოს და ერთი წუნიც ქვევრისა შესაძლოა ეს გარემოებაც იყოს.

ამ სახით ერთი და იგივე საჭიროება ღვინის შენახვისათვის ჩვენგანაც იმოდენად ცნობილია, რამოდენადაც ევროპაში, და იმოდენადვე დაკმაყოფილებულია, ხოლო სხვადასხვა გზით კი. იქ მარანს აკეთებენ იმისთანას, რომ ღვინის ჭურჭელი განსაცდელს მოარიდონ, ჩვენ კი თვითონ ჭურჭელს იმისთანას ვაკეთებთ და ისე ვინახავთ, რომ უმარნოდაც არა განსაცდელი არ ერჩოდეს.

XVII

ტფილისი, 23 მარტი

რაც დღევანდლამდე წერილები იყო დაბეჭდილი, იმითი ვათავებთ ბუნებურ ღვინის კეთებაზედ საუბარს. რასაკვირველია, ჩვენ აქ ყველაფერი ვერ ჩამოვთვალეთ, რაც ჩვენში ბუნებურ ღვინის კეთების რთულს საქმეს შეადგენს. ამ რთულის საქმის ყოველის ცოდნა თვითონ ხალხში უნდა მოიძებნოს, და დავარწმუნებთ, რომ ჩვენში ბევრს იმისთანა კაცს იპოვიან, რომელნიც ამის შესახებ ბევრს რასმე ასწავლიან ჩვენს მეცნიერებს, ბევრს იმისთანას, რაც გაგონებითაც არ გაუგონიათ და ფრიად გამოსაყენი კი არის. ეს დაწვრილებით და უკეთესის ცოდნით აღწერა ჩვენებურად ღვინის კეთებისა ჩვენზედ უფრო მცოდნე კაცს უნდა დაეთმოს, და ჩვენ კი ამჟამად საკმაოდ დავინახეთ გვეჩვენებინა მკითხველისათვის მარტო ის უმთავრესი მოქმედებანი ღვინის კეთებისა, მოვლისა და შენახვისა, რომელიც აშკარა მაგალითი და საბუთია იმისა, რომ, რაც ბუნებურ ღვინისათვის საჭიროა, ჩვენც იმოდენად ვიცით, რამოდენაც ევროპიელთა. განსხვავება თუ რამეშია, მარტო იმაშია, რომ იქნება ისინი უფრო სასწრაფოს და ხერხიანს ღონესა ჰხმარობენ, და ჩვენ უფრო გვიანსა და უხერხულს ერთსა და იმავე საჭიროებისათვის, ხოლო ორსავე ღონეს ერთსა და იმავე საგნამდე მიჰყავს. რკინის გზით მომავალი ქალაქს და ურმით, ორნივ ქალაქში ჩამოვლენ. ერთი მალე და გაუჭირვებლად, მეორე გვიან და გაჭირვებით, მაგრამ პირველი ამის გამო ვერ უკიჟინებს, შენ არ იცი სად მოხვიდოდიო. ესეც არ უნდა დავივიწყოთ, რომ რკინის გზა ხომ კაი გზაა, მაგრამ ტფილისიდამ, ვსთქვათ, ლილომდე არავინ გაიყვანს, იმიტომ რომ ხარჯი მეტი

იქნება მოგებაზედ და არავინ დაგვძრახავს: "დახე, რა უცოდინარნი არიან! მაშინ, როდესაც ევროპაში რკინის გზები იციან, აქ კი ამისი გაგებაც არა აქვთ, აუღიათ და ტფილისიდამ ლილომდე ურმით დადიანო". ყველას თავისი მიზეზი აქვს, ღვინის კეთების საქმეს თავისი, და დიდად პატივსადებიცა, იმიტომ, რომ ღვინის საქმის მიზეზნი საეკონომიო მიზეზნი არიან და, მაშასადამე, ისეთნივე გარდუვალნი, როგორც თვითონ ბუნების მოთხოვნილებანი. ჩვენ იქნება ბევრს რაშიმე ვცდებოდეთ, რადგანაც ჩვენი ცოდნა ჩვენებურად ღვინის კეთებისა ძალიან ფეხმოკლეა იმ ცოდნასთან, რაც თვითონ ჩვენმა ხალხმა იცის. ამაში ჩვენ არავის ავუხირდებით. ხოლო მთელი ეს ჩვენი გძელი საუბარი მარტო იმაზეა მიქცეული, რომ ზოგიერთს უმთავრესს მოქმედებას ჩვენში ღვინის კეთებისას, ჩვენის შეძლებისამებრ, მიზეზი ავუხსენით და საბუთი ვუპოვეთ და ვეცადენით დაგვემტკიცებინა, რომ არც ერთი და არც მეორე უვიცობისაგან არ არის წარმომდგარი. პირიქით, რაც საჭიროა ბუნებურის ღვინისათვის, ჩვენ იგი ყოველი გვცოდნია, რადგანაც ჩვენებურს თვითვეულს მოქმედებას იქ მივყევართ, საცა მიდიან ევროპიელნი, როცა ბუნებურის ღვინის დაყენება ჰსურთ. და თუ ამ სვლაში რაიმე მეტნაკლებობაა ჩვენსა და მათ შორის, ეგ იმ რთულ გარემოებათა ბრალია, რომელთა კრებულიც ხშირად ცოდნას უკან აყენებს და გამორჩომისათვის ათმობინებს ადგილსა. ესეთი ძალა აქვს საეკონომიო ძალასა.

დავამტკიცეთ ჩვენ ყოველივე ეს თუ არა, ეგ მკითხველის საქმეა, და ჩვენ კი მხოლოდ ამას ვიკმარებთ, თუ ჩვენგან ახსნილი მიზეზნი და საბუთნი იმდენად ყურადღების ღირსნი აღმოჩნდებიან, რომ კაცმა ზურგი არ შეუქციოს და ანგარიში გაუწიოს, როცა ჩვენებურად ღვინის კეთების ავკარგიანობაზედ ჰლაპარაკობენ. ჩვენი დრტვინვა და ჩივილი მარტო ის არის, რომ მიზეზთა და საბუთთა გაჩხრეკასა და გამორკვევაზედ არ არის დამყარებული ჩვენთა წუნმდებელთა წუნი. ეს მეტისმეტი კადნიერებაა მთელის ერის წინაშე, ნამეტნავად, როცა ერისაგან შეთვისებულს და წარმოებულს საქმეს მთელის ათასის წლის ისტორია აქვს და, მაშასადამე, მთელის საუკუნოების გამოცდილება წინ უდევს. ჩვენ არ ვიტყვით, რომ ამისთანა შემთხვევაში ხანგრძლიობა ყოველთვის სიმართლეს მოასწავებდეს, მაგრამ იმოდენად პატივსადები კია ცნობიერის კაცისაგან, რომ განურჩევლად, გამოუძიებლად უარყოფას იუცხოვებს და უკადრისობად ჩასთვლის.

XVIII

ტფილისი, 24 მარტი.

რაც შეეხება ადამიანის ოსტატობითა და ხელით ბუნებურ ღვინის გარდაქმნასა, ანუ ყალბის ღვინის შექმნას, რომელსა ჩვენი მეცნიერნი მაინც კეთებას ეძახიან, ამაში კი, უნდა გამოვსტყდეთ, ევროპიელნი უანგარიშო მანძილზედ ჩვენზედ წინ არიან. რაც დღევანდლამდე მეცნიერებას ამ საგნის გამო აღმოუჩენია, სულ ყოველი ხელთა აქვთ ევროპიელთ ოსტატებსა. თუმცა ამ თითქმის ყოვლად შემძლებელმა მეცნიერებამ დიდი ძალ-ღონე მიჰმადლა ყალბის ღვინის ოსტატებს, მაგრამ ამავ პირუთვნელმა მეცნიერებამ გამოაქვეყნა საყოველთავოდ ყოველივე ეშმაკობა, რაც კი ბუნებურს ღვინოს, — ამ მარგებელს და სასიამოვნოს სასმელს ადამიანისას, — ჰრყვნის, აფუჭებს და ხშირად სნეულების მიზეზად და ზოგჯერ საწამლავადაცა ჰხდის.

ვიდრე ამის განხილვას შევუდგებოდეთ, საჭიროა ყველაზედ უწინარეს ერთს აზრს, არაერთხელ გამოთქმულს ჩვენში, პასუხი გავცეთ. მით უფრო ანგარიშში მოსატანია ეს აზრი, რომ იგი შიგნით ტყუილია და თვალად კი მართალსა ჰგავს. ამ აზრს ძალიან ეჭიდებიან ოსტატურის ღვინის კეთების

მომხრენი. იგინი ამბობენ: მარტო უმეცარი თუ იტყვის, რომ ქვეყანაზედ ბუნებური ღვინოაო, განა ბუნება ღვინოსა ჰქმნისო? აქ რაც არის, კაცია და იმისი ოსტატობა და ხელიო! კაცი რომ არ იყოს, განა ბუნება ღვინოს შეჰქმნისო? აბა მაგალითი გვიჩვენონო, სად აკეთებს ბუნება ღვინოსაო?

ამ ხუთმეტ წელიწადის წინ ვენაში ღვინის კეთების თაობაზედ გამოვიდა გერმანულს ენაზედ ერთი პატარა წიგნი ბ-ნ ბერშისა. იგი სწორედ ამასვე ამბობს, თითქო ჩვენებურ მეცნიერთათვის ყური მოუკრავს, ამათგან უსესხნია იგი ზემოდმოყვანილი აზრი, და თუთიყუშსავით იმეორებსო, — ისე საოცრადა ჰგავს იმის ნათქვამი ჩვენის მეცნიერების ნათქვამსა. ბ-ნი ბერში ამბობს:

"ყველაზედ ძლიერი და თვალად გამჭრე ხმალი, რომელიც ხელში უჭირავთ ღვინის ოსტატურად კეთების მოპირდაპირეთა, ერთი ყველასაგან ცნობილი ფრაზაა: " ყოველივე, რასაც კი ბუნებურ ღვინოში ჩაუმატებ, სიყალბეა, და სასმელი ამ სახით შერევნილი, ღვინო კი აღარ არის, ნაკეთი სასმელია, ჯანმრთელობისათვის მავნებელიო", ხოლო ესეთი აზრი უღონოა იმ საბუთის წინაშე, რომ ეგრედწოდებული "ბუნებური ღვინო" სულაც არ არსებობს; რომ როგორც გამომცხვარი პური, ისეც ღვინო ბუნების ნამოქმედარი არ არის".

ცოტა ამას ქვემოდ ასე განაგრძობს:

"ყურძენი, თავის ანაბარობაზედ მიგდებული, თავის დღეში არ გარდაქმნილა ღვინოდ, სწორედ ისე, როგორც ხორბალი თავისთავად არ ქცეულა თავის დღეში ფქვილად და პურად".

ყოველივე ეს მეტისმეტი მართალია, მაგრამ ტყუილია მარტო აქედამ გამონასკული აზრი. აქაო და ხორბალი თავისთავად ფქვილად არა ქცეულა, განა აქედამ ის გამოდის, რომ ფქვილში კირის გარევა ძალიან კარგია, ან ღვინოში ანწლისა? რა არის ფქვილი? იგივ ბუნების ნამოქმედარი ხორბალია, ფხვნილად ქცეული ადამიანისაგან. რა არი ღვინო? იგივ ბუნების ნამოქმედარი წვენია ყურძნისა, სხვა სახედ ქცეული მისისავე თანდაყოლილის ბუნების ძალთაგან, რომელსაც კაცმა მარტო თავის ნებისა და

სურვილისამებრ მიმართულება მისცა და რომელთაც მარტო ხელი შეუწყო. როცა კაცი იტყვის: ეს ფქვილი ბუნებურია, ამით იმისი თქმა უნდა, რომ აქ ფქვილის ხორბლის მეტი არა არის რა. როცა კაცი ამბობს: ეს ღვინო ბუნებურია, ეს იმას ნიშნავს, რომ აქ ყურძნის წვენის მეტი სხვა არა არის რა. ესე რომ არ იყოს და ბ-ნ ბერშის აზრს ავყვეთ, მაშინ გაფცქვნილი და დაჭრილი ვაშლიც ბუნების ნამოქმედარი არ იქნება, რადგანაც ვაშლი, თავის ანაბარობაზედ დატოვებული, თავის დღეში არ გაიფცქვნება და არ დაიჭრება იმ სახით მაინც, როგორც ამას კაცი იზამს ხოლმე.

თუმცა ბ-ნი ბერში ასეთი თავგამოდებული მომხრეა ღვინის ოსტატურად კეთებისა, მაგრამ ისიც კი თავს იჭერს და მარტო სამს ნივთიერებას ჰხადის შესაწყნარებლად და მარტო ამ სამს ნივთიერებაზედ ამბობს, რომ მხოლოდ ესენი შეიძლება ჩაემატოს ღვინის გაბევრებისა და სიკეთისათვისო, — სახელდობრ: წყალი, შაქარი და შეურევნელი, გადაწმენდილი ჭაჭისა თუ ღვინის არაყიო (სპირტი). ამის ჩამატებას იგი იმით ამართლებს, რომ ეს ნივთიერებანი თვით ბუნებითა აქვს მინიჭებული ყურძნის წვენსა, თუ ღვინოსა, და ამიტომაც მათი ჩამატება ბუნების გარყვნა არ არისო.

"განა სულ ერთი არ არისო, — ამბობს იგი, - ყურძნის წვენის შაქარი თვითონ ყურძენმა გაიკეთა, თუ შაქრის ლერწამმა და ჭარხალმა, რადგანაც წვენის დუღილში ერთიც და მეორეც ერთსა და იმავე საგანს იძლევაო. ამ სახითვე განა სულ ერთი არ არის, ალკოგოლი ღვინისა იმ შაქრიდამ წარმოსდგა, რომელიც ყურძენსა აქვს, თუ კარტოფილის შაქრიდამაო. მთელის ქვეყნის ქიმიკოსები ვერ გამოიცნობენ, ალკოგოლი ყურძნის შაქრისაგან არის წარმომდგარი, თუ განგებ ჩამატებულის შაქრისაგანა. ამას ვერ გამოიცნობენ, იმიტომ რომ არავითარი განსხვავება არ არისო".

ჯერ თვითონ ამ სიტყვებიდამ სჩანს, რომ ბ-ნი ბერში კი ჰთაკილობს, ძნელად ჰბედავს, ჩვენებურ ღვინის შერევნასა, და რადგანაც გული მაინც ღვინის შერევნისაკენ მიუწევს და იგივ გული ამავე დროს

როგორღაც ეთანაღრება, თავს იმით მართლულობს, რომ წყალი, შაქარი, ალკოგოლი, თვითონ ბუნებით დაყოლილი თვისებაა ყურძნის წვენისა თუ ღვინისა და ამითი ჩამატება ბუნების წინააღმდეგი არ უნდა იყოსო; როცა, მაგალითებრ, ამინდმა ხელი არ შეუწყო, ყურძენი არ მოაწია და წვენი მჟანეა, მაშინ სჩანსო, ამბობს იგი, რომ ბუნებამ ვერ მოასწრო შესაფერის სიტკბოს მიცემა, და რაც ბუნებამ დააკლო, ის ჩვენ რომ ჩავუმატოთ — ეგ ბუნების გარყვნა კი არ იქნება, ნაკლის შევსება იქნებაო. წყალს, რასაკვირველია, მარტო ღვინის გაბევრებისათვის ჰხმარობენ, შაქარსაც ამისათვისაც და ალკოგოლის შექმნისათვის, და გადაწმენდილს არაყს სიმაგრისათვის და უფრო ხშირად გამძლეობისათვის.

აი ის თავგამოდებულნი მომხრენიც იმ ოსტატობისა, რომელნიც მარტო ამაებს ურევენ ყურძნის წვენში, რაზედაც აფუძნებენ თავიანთს აზრსა და რით მართლულობენ თავსა. შემდეგ წერილებში ჯერ ამ თვითვეულს შესარევს ცალ-ცალკე გავარჩევთ და მერე იმას, რასაც სხვა ოსტატები ჰხმარობენ მეტის ყალბობისათვის.

XIX

ტფილისი, 27 მარტი

ხელთნაქმარის, ანუ ოსტატობით ნამოქმედარის ღვინისათვის რამდენსამე ღონეს ხმარობენ ევროპიელნი. ერთი იმ ღონეთაგან იმაზეა მიქცეული, რომ ცოტა ღვინო გააებევრონ, ესე იგი ერთსა და იმავე ყურძნისაგან რაც შეიძლება ბევრი წვენი დააყენონ და ღვინოდ აქციონ. სხვა ღონეებს კი სახეში მარტო ისაა აქვთ, რომ ღვინის ნაკლი განგებ შეავსონ და მით განაკარგონ.

ღვინის გაბევრებისათვის დღეს აქამომდე ევროპაში ცნობილია ერთადერთი ღონე, ერთადერთი სისტემა

რომელსაც პეტიოტიზაცია ეძახიან. ეს სისტემა, ანუ ღონე, მოიგონა და პირველად იხმარა ბურგუნდიაში 1854 წელს ერთმა ფრანგმა, სახელად პეტიომ (Petiot). ეს საკვირველი აღმონაჩენი, რომლის გამო ბ-ნმა პეტიომ საქვეყნოდ სახელი გაითქვა, მით უფრო საკვირველი, რომ ათადამ-ბაბადამვე თურმე აღმოჩენილი ყოფილა და არის. მერე სადა და ვისგან? თურმე თუ იტყვით, საქართველოში და ქართველთაგან, მაგრამ რადგანაც ამას "ღონიაშვილიზაცია", ანუ "ქანდარაშვილიზაცია" არა ჰქვიან, ამიტომაც ყური არავის უთხოვებია. პეტიომ კი აღმოჩენილის აღმოჩენითა ქვეყანაში სახელი მოიპოვა. ჩვენ ამითი იმისი თქმა არ გვინდა, რომ პეტიომ ჩვენი რამ მიითვისა და თავისის სახელით გამოამჟღავნა. ჩვენა გვწამს, რომ იგი თავისთავად მიხვდა, მან თავისთავად მიაგნო იმას, რაც ჩვენში დიდი ხანია მიგნებული იყო და არის დღესაც, და იქნება ჩვენი მიგნებული რამდენისამე საუკუნის ხნისაც იყოს და ევროპამ კი მარტო 1854 წელს მიაგნო.

რაზედ არის დაფუძნებული პეტიოს აღმონაჩენი? იმაზედ რომ ჭაჭაში იმოდენა ღვინის ნაწევრები რჩება კიდევ, რომ შესაძლოა ღვინისათვის წვენი კიდევ გამოიწუროს წურვით კი არა, წყლის დასხმითა და თუ წყალს შაქრითაც შეაზავებთ და ცარიელის წყლის მაგიერ შაქარწყალს დაასხამთ, უფრო კარგი იქნება. რასაკვირველია, ყველა ეს ზომითი და საწყაოთი უნდა. წყლის დასხმა ჭაჭაზედ ჩვენც ძალიან კარგად ვიცით. ზომაც ვიცით რამდენიც უნდა. ისიც ვიცით, რომ წყალდასხმული ჭაჭა დუღილსაც დაიწყებს, თუმცა ძალიან სუსტად. ბალღს ვერ იპოვი ჩვენში, რომ ამ გზით ღვინის გაბევრება არ იცოდეს და ამისთანა ღვინის სახელი არ გითხრას. ამას ჩვენში "შამანს" ეძახიან და მდაბიო ხალხი, მუშა სვამს.

პეტიო მარტო ცარიელს წყალსა არა სჯერდება. იგი შაქარსაც უმატებს და იმდენად ატკბილებს წყალსა, რამოდენადაც ტკბილია მართალი წვენი

ყურძნისა. ამ გზით ერთსა და იმავე ჭაჭისაგან სამჯერ-ოთხჯერ გამოხდის ხოლმე იმ წვენს, რომელსაც საფრანგეთში "პიკეტს" ეძახიან და ჩვენში კი "შამანსა". პეტიომ ხელახლად აღმოჩენა, რომ არ დაგვასწროს უკვე ჩვენში აღმოჩენილისა, აქ საჭიროა ვსთქვათ, რომ იგი მარტო შავის ყურძნის ჭაჭისაგან ჰხდის თავის "პიკეტს". სჯობია ჩვენ დავასწროთ და გამოვაცხადოთ, რომ ჩვენში თეთრის ყურძნის ჭაჭისაგანაც შამანს აკეთებენ და ამას იქით თუ აღმოჩენა უნდა ჩვენს მეცნიერებს, ესეც აღმოაჩინონ.

ახლა ვიკითხოთ რა განსხვავებაა ჩვენსა და პეტიოს შორის? ისა, რომ პეტიო წყალს შაქარსაც უშვრება და ჩვენ კი არა. სათავე, საფუძველი კი ორსავე მოქმედებას ერთი და იგივე აქვს. ორგანვე ერთი და იგივე დედააზრია, სახელდობრ იგი, რომ ჭაჭისაგან წყლის დასხმით კიდევ შესაძლოა ღვინის მსგავსი რამ სასმელი დადგეს. რატომ არა ვხმარობთ ამისათვის ჩვენ შაქარსა, როგორც პეტიო, და მარტო წყალსა ვჯერდებით? ნუთუ იმისათვის ვითომ, ჩვენებურმა კაცმა არ იცოდეს გატკბილებული წყალი უფრო კარგად აადუღებს და კარგს შამანს დააყენებს? ამის უცოდინარობაში ბალღსაც ვერ დაიჭერთ ჩვენში. ძალიან კარგად ვიცით, მაგ დღემდე მაინცა, ვინ გიჟი იქნებოდა შამანზედ ეხმარა ის; რაც ხილად და წამლადაც კი სანატრელი ჰქონდა. ეს ერთი, მეორე: ვისთვის უნდა გაეწია ეს დიდი ხარჯი შაქრისა? განა ჩვენში დღესაც კი ან ერთი ვაჭარი ღვინისა ფეხს შეადგამს იმ მარანში, საცა შაქარწყლით ღვინოს აკეთებენ? ან ვისაც გინდათ უჩვენეთ პეტიოს შამანი, აუხსენით რა გზით არის ნაკეთები, და თუმცა ყველანი ამტკიცებენ, რომ შაქარწყლით ნაკეთები შამანი მშვენიერის გემოსი, სუნისა და მაგარიც არისო, მაგრამ არა გვგონია, სასყიდლად ახლო გაუაროს ვინმემ.

გამოჩენილი ქიმიკოსი საფრანგეთისა ჟირარი, რომელიც პარიჟის ქალაქის ლაბორატორიის უფროსია, ამბობს, რომ თუმცა პეტიოს სასმელს სიმაგრეცა აქვს,

სუნიც და გამძლეც არისო, და თუმცა ღვინოსაცა ჰგავსო, მაგრამ ღვინო კი არ არისო. საფრანგეთში აკრძალულია, რომ ეგ პეტიოს შამანი ვაჭრებმა ღვინოს სახელით ჰყიდონ, თორემ ყალბობად და მუშტარის მოტყუებად ჩამოერთმევათ.

მეცნიერნი პეტენკოფერი, ფორსტერი და ჰილგერი ამტკიცებენ, რომ პეტიოს შამანში ბევრი შაქარი ჰრჩება გაუხსნელი, ალკოგოლად არგადაქცეული. შაქარი იმისთანა თვისებისაა თურმე, რომ მთლად შეეწოვება ადამიანის აგებულებას სხვადასხვა, დუღილით არაგადაქმნილ ნაწევრებთან ერთად, გროვდება მათთან ერთადვე და აგებულებიდამ არც შარდსა და არც გამონავალს არ გამოსდევს. რაკი ზომას გადადის, გამოსვლას ჰლამის, გზას ეძებს, და სახსრებს ხელისას, მუხლისას, ფეხისას მიადგება, და რადგანაც აქ გზა არა აქვს, სიმსივნესა და ტკივილს აჩენს. ამიტომაც ჰფიქრობენ, რომ ეგრეთწოდებული რუსულად "პოდაგრა"* ამ მიზეზით მოსდის კაცსა ამგვარად ნაკეთებ ღვინოებისაგანაო. ჭკუასთან ახლოა ეს ამბავი "პოდაგრა" შეუნიშნავთ ევროპიულ ღვინის მსმელ-თათვის, არა მარტო იმათთვის, ვინც უზომადა ჰსმენ, არამედ იმათთვისაც, ვისაც ზომიერად ყოველდღე, მაგრამ ხანგრძლივად კი, ევროპიული განგებ შაქრით ნაკეთები ღვინოები უსვამს.

რა თქმა უნდა, რომ ჩვენ ეს "პოდაგრის" ამბავი ისე გარკვევით და ზედმიწევნით ვერ ავხსენით, როგორც ამას მკურნალი იქმოდა. ხოლო ეს კი უეჭველად ცნობილია, რომ განგებ მიცემული შაქარი ზოგი წილი ისევ შაქრადა ჰრჩება ღვინოში, გაუხსნელი, გარდუქმნელი, და ამასთან სხვა გაუხსნელ და გარ-დუქმნელ ნაწევრებთან ერთად აბრალებენ ეგრეთ-წოდებულ "პოდაგრასა". ჩვენში კი, საცა თითქმის

* ერთგვარი სიმსივნეა ხელის, მუხლისა, თუ ფეხის სახსრებისა და ამის მიხედვით სხვადასხვა სახელებიცა აქვს.

ყველანი ღვინოსა ჰსმენ და ხშირად ბევრსაცა, ეს გვარი სნეულება შემჩნეული არ არის.

ამ სახით, პეტიოტიზაციით ღვინის გაბევრება ჩვენშიაც სცოდნიათ, მაგრამ ჩვენ უფრო უწყინარი სასმელი გვიკეთებია მაგ გზით, ვიდრე გამოჩენილს პეტიოსა, იმიტომ რომ ჩვენს შამანს განგებ გარედამ მიცემული შაქარი არ ურევია. თუ სწორედ გვკითხავთ კი, ჩვენებური შამანიც და პეტიოს "პიკეტიც" ორივ ღმერთმა შეინახოს, ორივე ყალბობად მიგვაჩნია თუმცა ჩვენ ის სიმართლე მიგვიძღვის, რომ შამანი ღვინის სახელით გარედ არ გამოგვაქვს გასასყიდად და არავის ვატყუებთ.

XX

ტფილისი, 28 მარტი

წყალსა და შაქარს ჰხმარობენ ევროპაში სხვა-გვარადაც ღვინის გაბევრებისათვის. ეს რიგი გა-ბევრებისა მოიგონა ლუდვიგ გალლმა და ამიტომაც ამ რიგს, ანუ სისტემას ეძახიან გალლიზაციას. პეტიოს სისტემა მარტო იმაზეა მიქცეული, რომ ერთისა და იმავე ზომის ყურძნისაგან რაც შეიძლება ბლომად წვენი გამოხადოს ღვინის მსგავს სასმელის დასა-ყენებლად და ამისათვის შაქრის წყალს ჭაჭაზედ ასხამს. გალლის სისტემას კი სხვა საგანიცა აქვს სახეში: ამით გაბევრებასთან თვითონ ღვინის განკარგებაცა ჰსურს და იმავ წამალსა ჰხმარობს. ხოლო განსხვავება ეს არის, რომ გალლი შაქარწყალს უშვრება თვითონ ყურძნის წვენსა და არა ჭაჭასა. იგი არაფრად აგდებს არც სუნს ღვინისას, არც სხვას მის თვისებასა, და მარტო იმაზედა ჰდგას, რომ ყურძნის წვენს მარტო ერთი რამ უნდა მოეთხოვებოდესო, ესე იგი ის, რომ ბევრი სიმჟავე არა ჰქონდეს და საკმაო შაქარი კი უსათუოდაო. როცა ან ერთი მეტია, ან

მეორე ნაკლები, მაშინ ცუდი ღვინო დადგებაო და ამიტომაც საჭიროა შაქარწყალი ჩაემატოს ყურძნის წვენსა; ამ გზით ღვინო ბევრდება კიდეცა და უკეთესიც დგებაო.

გალლის სისტემა აი რაგვარია. ვსთქვათ, რომ კარგის ღვინის დასაყენებლად საჭიროა ყურძნის წვენს ასში ოცი წილი შაქარი ჰქონდეს* და $^1/_2$ წილი თავისუფალი სიმჟავე. ვსთქვათ, რომ ცუდი წელიწადი შეხვდა, ყურძენი ვერ მოიწია საკმაოდ და ყურძნის წვენში აღმოჩნდა, რომ ასს წილში მარტო ათი წილი შაქარია და მთელი ერთი წილი სიმჟავე. ავიღოთ მაგალითად ერთი თუნგი ამისთანა ყურძნის წვენი. რა უნდა ჰქნას ღვინის დამყენებელმა? გალლი ამბობს, რომ ერთი თუნგივე შაქარწყალი გააკეთეთ, ისე კი, რომ 70 წილი წყალი იყოს და 30 შაქარი; იმ ერთს თუნგს ყურძნის წვენს დაასხით და ერთმანეთში გადურიეთ; მაშინ ერთის თუნგის მაგიერ, რომელსაც მარტო 10 წილი შაქარი ჰქონდა და ერთი წილი სიმჟავე, ეხლა ორი თუნგი წვენი გექნებათ და ამ წვენს 40 წილი შაქარი ექმნება და ერთი წილი სიმჟავე. ამგვარად თითო თუნგში ასს წილზედ მოუვა 20 წილი შაქარი და $^1/_2$ წილი სიმჟავე, ესე იგი იმდენი, რაც მაგალითისათვის საჭიროდ ვიგულისხმეთ. ამ სახით ღვინოც ერთიორად მეტი დაგიდგებათ და არც ისეთი მჟავე იქნება, როგორც უამისოდ.

ჩვენა გვგონია, რომ ამ გზით კვრინჩხის წვენიც შესაძლოა ღვინოდ გარდიქცეს, თუკი ახირდებიან და ღვინოს დაარქმევენ. აკი ესეცა ჰშვრებიან ევროპაში: ყოველგვარ ხილისაგან, რომელსაც კი შაქარი ცოტად მაინცა აქვს, ღვინოს აკეთებენ; მაგალითებრ, აპელსინისა, კრიჟოვნიკი და სმაროდინის წვენისაგან ასეთს ღვინოებს აყენებენ, რომ ჩვენებური მეცნიერნი

* შაქრის რაოდენობის შესატყობლად ერთი იარაღია მოგონილი ევროპაში, რომელსაც საწყაოს შაქრისას ეძახიან; ამისთანა იარაღი ბევრგვარია და უფრო ცნობილია ბაბოსი და ჰეკსლეისა.

უსათუოდ აღტაცებაში მოვლენ, თუ ჯერ არ მოდიან. ბ-ნი ბერში და მისის მოძღვრების მიმდევარნი დაგვიჟინებენ და იტყვიან: რადგანაც ყურძნის წვენისაგან თავისთავად ღვინო არა კეთდება ბუნებაში კაცის შეუწევნელად, ყურძნის წვენი რომ არ იყოს და კრიჟოვნიკისა იყოს, რა უშავსო!

დავანებოთ ამ სასაცილო საბუთს თავი და ისევ გალლის სისტემით ღვინის გაბევრებასა და განკარგებაზედ ვილაპარაკოთ. ჯერ თვითონ ამ სისტემის სახელოვანი მომგონი ბ-ნი გალლი თითქმის არავითარს მნიშვნელობას არ აძლევს იმ ჯერ მეცნიერების მიერ გამოუცნობელს ექსტრაქტულს ნაწევრებს, ურომლისოდაც, თვითონ ბ-ნ ბერშის სიტყვითაც კი, არა ღვინო არ გაკეთდება, არ შეიქმნება. ბ-ნს გალლს ღვინოში თითქოს სხვა არა დაუნახავს რა, გარდა წყლისა, შაქრისა და სიმჟავისა. იგი ამბობს, რომ კარგის ღვინის დასაყენებლად საჭიროა ყურძნის წვენს ას წილში 24 წილი შაქარი ჰქონდეს $^1/_2$ წილი სიმჟავე და 75 $^1/_2$ წყალიო. სხვა ნაწევრები? მაგალითებრ, ნაწევარი ცილასი, ღვინის მარილი, ღვინისა და ვაშლის სიმჟავე, სუნის მიმცემი ეფირები და ის ექსტრაქტული ნაწევარები, ურომლისოდაც ღვინო ღვინო არ არის და რაღაც ყალბი ხელთნაქმარი სასმელია? ვსთქვათ, გალლი ამ ნაწევრებსაც გულისხმობს, — და ამ შერევნით რა ემართება იმ ნაწევრებს, რომელნიც ძვირფასს ღირსებას აძლევენ ღვინოსა, ამას ბ-ნი გალლი არ დაგიდევთ. მის სისტემით ერთი ორად ქცეულ ღვინოში, საცა მარტო შაქარწყალია ჩამატებული, ხომ ეს ნაწევრები ერთი ორად ნაკლები იქნება, იმიტომ, რომ რაც ერთს თუნგს ყურძნის წვენსა ჰქონდა, ეხლა ორს თუნგზე გაიყოფა, და, მაშასადამე, ერთი ორად ნაკლები საბუთი გვექნება, მის ღვინოს ღვინო დავარქვათ.

რაკი ვამბობთ, ამას ბ-ნი გალლი არ დაგიდევთ და მასთან ერთად არ დაგიდევენ ისინიც, რომელნიც მართალის ღვინის მაგიერ ნახევარ შაქარწყალს და

ნახევარ ყურძნის წვენს ასაღებენ; ამას ამბობენ, რომ ეს მუშტრის მოტყუება არ არის, ეს სიყალბე არ არისო.

მაშ, აბა ერთი მუშტარს, ვინც უნდა იყოს, ეს უთხარით: წელს მეტად მჟავე ყურძენი იყო, ღვინო ცუდი დადგებოდა. ჩვენ ავიღეთ და რაც ყურძნის წვენი იყო, იმდენი შაქარწყალი გავურიეთ, ასე გავატკბილეთ და აი, მშვენიერი ღვინოა, იყიდეთ; თუ ასში ერთი მოგეკარებათ, დიდი საქმე იქნება.

ამ ბ-ნის გალლის მომხრენი თუმცა ამბობენ, რომ გალლიზაციით გაკეთებული ღვინო გემრიელია და კარგიო, მაგრამ მაინც იძულებულ არიან სთქვან, რომ ყველა შაქარი უწყინარ ღვინოს აკეთებსო. უსათუოდ ყურძნის შაქარი უნდა, თორემ სხვა, მაგალითებრ კარტოფილისა, დუღილში მეტად მაწყინარს ალკოგოლს იძლევა და დიდად ჰვნებს ადამიანის აგებულებასაო; თვითონ შაქრის ლერწმის შაქრის თაობაზედაც კი გადაჭრით ვერ ითქმის, რომ უვნებელია, როცა ღვინოშია ჩარეული.

XXI

ტფილისი, 31 მარტი

ღვინის სიმაგრისა და გამძლეობისათვის ევროპაში უმატებენ ალკოგოლსა, ესე იგი გადაწმენდილს არაყსა. ამას ეძახიან ალკოგოლიზაციას. ამ ალკოგოლს უფრო მაშინ ჩაურევენ ხოლმე მაჭარში, როცა პირველი დიდი დუღილი გათავდება. გამოჩენილი და ღვინის ანალიზებში ავტორიტეტად ცნობილი ქიმიკოსი ბუსსენგო ამბობს, რომ თუ ღვინოს 18% ალკოგოლი აქვს, ანუ მეტი, იგი ბუნებურ ღვინოდ აღარ ჩაითვლებაო, იმიტომ რომ ამოდენა ალკოგოლიანი წვენი ყურძნისა დუღილის უნარს ჰკარგავს და წვენში ნამყოფი შაქარი ალკოგოლად აღარ გადადისო. იგი

პირდაპირ ამბობს, რომ ამ სიმაგრის ღვინო ბუნებური არ არისო.

ამისდა მიუხედავად, მაინც ევროპაში ღვინოს გადაწმენდილს არაყს ასხამენ. ამისათვის, რა თქმა უნდა, ყოვლად წმინდა არაყსა ჰხმარობენ, იმისთანას, რომელშიაც ალკოგოლისა და წყლის მეტი სხვა არა არის რა; ბაზარში რომ გადაწმენდილი არაყი (სპირტი) იყიდება, ამისათვის ბევრად გამოსადეგი არ არის, რადგანაც იმოდენად გადაწმენდილი არ არის, რამოდენადაც ნაზი ბუნება ღვინოსი ითხოვს. ყველაზედ უკეთესი, ჭაჭისა ანუ თვითონ ღვინისაგან გამოხდილი და განგებ გადაწმენდილი არაყია. ძალიან იშვიათი საშოვარია ამისთანა არაყი ბაზარში, თუ განგებ ამისათვის გადაწმენდილი არ არის. მაგრამ რაც უნდა ძალიან კარგი არაყი იშოვოთ ამისათვის, მაინც განგებ ჩამატებული არაყი ღვინოს უფრო ახდენს, ვიდრე აკეთებს.

ამის დასამტკიცებლად აი რა მოგვყავს. მეცნიერთაგან გამოკვლეულია, თუ არაყი (სპირტი) ჭარბად მიეცით ღვინოს, მაგალითებრ 5%–6%, ღვინო მაშინვე აირევა, აიმღვრევა, რაც უნდა წმინდა ანკარა ღვინო იყოს, ღვინო, რომელიც მინამდე ანკარასავით წმინდა იყო, ძირში ლექს გაიკეთებს და ამასთანავე ფერსაც იცვლის. ქიმიურად რომ კარგად გამოიძიოთ ეს ლექი, ჰნახავთ რომ ის ექსტრაქტული ნაწევარები, ურომლისოდაც ღვინო ღვინო არ არის, ღვინოდამ გამოსულა, გამორიდებულა და ლექში გამოზიდულა.

ცოტა არაყი (სპირტი) რომ ჩაუმატოთ ღვინოს, მაგალითებრ 2%–3%, მაშინაც ეგევე ამბავი მოხდება, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პირველ ხანშივე არა. პირველ ხანში ღვინოს ამ შემთხვევაში არა დაეტყობა რა, არც აიმღვრევა, არც ფერი ეცვლება. მაგრამ რამდენისამე თვის შემდეგ, ანუ ერთის წლის მერმედ, თუ ქიმიური ანალიზი მოახდინეთ, იმავ ამბავს ჰნახავთ, რაც წინად თქმულს შემთხვევაში. გამოჩენილმა და სახელოვანმა ქიმიკოსმა შარლ ჟირარმა ბევრგვარად

სცადა ზემოქმედება არაყისა ღვინოზედ. ამისათვის აიღო ბურგუნდიის ღვინო და 20 ივლისს 1883 წელს ანალიზი გაუკეთა. ანალიზით აღმოჩნდა, რომ ამ ღვინოს აქვს 19,24% ის ექსტრაქტული ნაწევარი, ურომლისოდაც, ვიმეორებთ, ღვინო ღვინოდ არ ითვლება თვით ბუნებურ ღვინის უარმყოფელთაგანაც. ეს ღვინო აიღო და ჩაასხა ხუთს ბოთლში. პირველს ბოთლს მარტო 1% წმინდა არაყი (სპირტი) ჩაუმატა, მეორეს–2%, მესამეს–3%, მეოთხეს–4% და მეხუთეს–5%. სამს თთვეს შემდეგ ქიმიური ანალიზი გაუკეთა სამს ბოთლს რომელთშიაც 1%, 3% და 5% არაყი იყო ჩამატებული. ღვინოში, რომელსაც არაყის ჩამატებამდე 19,24% ექსტრაქტული ნაწევარი ჰქონდა, ეს ნაწევარი ამ ზომისაღა აღმოჩნდა:

1% ბოთლში – 16,40% ექსტ. ნაწევარი;
3% ბოთლში – 15,84% “ “ ,
5% ბოთლში – 15,80% “ “ ,

ამ სახით გამოვიდა, რომ პირველმა თითქმის სამი წილი ექსტრაქტული ნაწევარი დაიკლო 19,24 წილიდამ, მეორემ და მესამემ, ცოტა მეტნაკლებობით, ოთხ წილამდე.

დანარჩენს ორს ბოთლს ანალიზი გაუკეთა ერთის წლის შემდეგ, და რომელს ბოთლსაც 2% არაყი ჰქონდა ჩამატებული, იქ მარტო 15,30% ექსტრაქტული ნაწევარიღა აღმოჩნდა, და რომელს ბოთლსაც 4% არაყი ჰქონდა – 14,30%. ჟირარმა იფიქრა, იქნება თვითონ ღვინოც უარაყოდაც თავისთავად ასე იცვლება და აქ არაყი არაფერს შუაშიაო. ამისათვის 20-ს ივლისს 1884 წელს წმინდა, შეურეველ ღვინოს ანალიზი გაუკეთა და ისევ იმ ზომის ექსტრაქტული ნაწევარი აღმოჩნდა, ესე იგი ასს ნაწილში 19,24. ეს არ იკმარა ფრთხილმა მეცნიერმა. ოცის თვის შემდეგ კიდევ გაუკეთა ანალიზი შენახულს ბოთლს, რომელსაც 2% არაყი ჰქონდა ჩამატებული და აღმოჩნდა, რომ ექსტრაქტულის ნაწევარის ზომა ბუნებურის ღვინისა ჩამოხდა 19,24-დამ 12,76-მდე. მაშინ კი სარწმუნო

საბუთი მიეცა ამ ამბებიდამ ჯეროვანი დასკვნა გამოეყვანა, და მისდა მიხედვით ჩვენ სარწმუნო საბუთი გვაქვს ვსთქვათ, რომ რაც უნდა წმინდა არაყი ჩაუმატოთ ღვინოს, თუნდ ასს წილში ერთი, ან ორი წილი, ღვინო ამით კი არა კეთდება, არამედ, რაც დრო გადის, უფრო ფუჭდება და ფუჭდება.

საფრანგეთის მეცნიერი დიუმა ამბობს, რომ ჭარბად მიცემული არაყი პირველშივე აფუჭებს ღვინოსა; ზომიერად და ნაკლებად მიცემული კი — ნელ-ნელა, თანდათან, დროთა მიმავლობაშიო; რაც უნდა ცოტა არაყი მიემატოს, ღვინოს თავის დღეში არა ჰრგებსო და ადრე იქნება თუ გვიან, ძლიერ მავნებელს ცვლილებას მოახდენსო.

არმან გოტიეც ამავე აზრისაა. იგი ამბობს, — როდესაც ღვინოს უმატებენ განგებ არაყსა, წყალსა ანუ სხვას რასმე, ღვინო ხელმეორედ ადუღდება ხოლმე და ამ უდროო დულილის გამო ღვინოში იმისთანა სხვადასხვაგვარი წვენი (жидкость) ჩნდება, რომელიც დიდად მაწყინარია ადამიანის ჯანმრთელობისათვისაო.

პარიჟის საექიმო აკადემიაში დაარსებულია სენატის კომისია სახელოვან მეცნიერთაგან და ამ კომისიას დავალებული აქვს გამოიკვლიოს, რარიგად მოქმედობს ადამიანის კარგამყოფობაზედ სხვადასხვაგვარად შეზავებული ღვინო. ამ კომისიამ დიდი ხნის ცდისა და გამოძიების შემდეგ სთქვა, რომ ევროპიის ღვინოები, რომელშიაც კი ურევენ გადაწმენდილს არაყსა (სპირტსა), იმოდენადვე მაწყინარია, იმ სნეულებასვე უჩენს* კაცსა, რასაც ცუდი, დაბალი, გაუწმენდავი არაყი, იმიტომ რომ გადაწმენდილი არაყი აფუჭებს ღვინოში იმას, რაც ძლიერ სასარგებლო არის კაცის აგებულებისათვისაო. მთელის საფრანგეთის, იტალიის, ვენგრიის და ისპანიის ღვინოები სულ გაფუჭებულია ღვინის მკეთებელთაგან და ამიტომ მაწყინარიაო. ეს არის მიზეზი, რომ ის კაციც, რომელიც ცუდს, გაუწმენდავს არაყსა სვამს, და ისიც, რომელიც ამ

ევროპიის ღვინოებსა ჰხმარობს სასმელად, ერთისა და იმავე სენით სნეულდებიანო.

XXII

ტფილისი, 1 აპრილი

ჩვენ გავსინჯეთ სამი ევროპიული სისტემა ღვინის კეთებისა ანუ უკედ ვსთქვათ, ღვინის შეზავებისა განგებ ჩამატებულის წყლით, შაქრით და ალკოგოლითა. ეს სამი სისტემა მით არის შესანიშნავი, რომ ამის მომხრენი უარჰყოფენ ამ შეზავებით ღვინის ბუნების გარდაქმნასა იმ საბუთით, რომ წყალი, შაქარი და ალკოგოლი ბუნებური კუთვნილებაა ღვინისა, და მაშასადამე, ამაების ჩამატება ღვინისათვის უცხო რამის ჩამატება არ არისო. ჩვენა ვნახეთ, ყოველივე ეს რამოდენად ჰვნებს თვითონ ღვინოსა და ამ ცოტად თუ ბევრად მარგებელს სასმელს ეს "ბუნებურნი კუთვნილებანი ღვინისა" რამოდენად სცვლიან სავნებლად ადამიანის ჯანმრთელობისათვის. ამ წყალსა, შაქარსა და ალკოგოლის გარდა კიდევ რამდენი სხვა საგანი და ნივთიერებაა, რომელთაც ევროპიელნი ჰხმარობენ ღვინოში სხვადასხვა აზრით. თუ ისინიც კი, რომელნიც "ბუნებურ კუთვნილებად" არიან ცნობილნი, ახდენენ ღვინოსა, — რაღა უნდა ითქვას იმ საგანზედ, რომელნიც ამ ბუნებურობასაც მოკლებულნი არიან?

ჩვენა ვსთქვით, რომ გალლიზაცია შაქარწყალს უმატებს ღვინოში, თუ ყურძნის წვენს ცოტა სიტკბო აქვს და ბევრი სიმჟავე. ამ შაქარწყლით ღვინოს სიტკბო ემატება და სიმჟავე თუმცა იმოდენადვე ჰრჩება ყურძნის წვენში, მაგრამ სიტკბოს მომატებით სიმჟავე თავის ძალას აღარ იჩენს. ხოლო არის მეორე სისტემაც, რომელსაც სახეში აქვს თვითონ სიმჟავე პირდაპირ დააკლოს, გამოჰზიდოს ყურძნის წვენისაგან. ამ სისტემას შაპტალიზაციას ეძახიან, რადგანაც იგი მოიგონა ყოფილმა საფრანგეთის მინისტრმა შაპტალმა.

ამ სისტემაზედ გაკვრით ერთს წინა წერილშიაც მოვიხსენიეთ, ხოლო აქ პატარა ვრცლად ვიტყვით.

აი რაში მდგომარეობს ეს სისტემა: რა წამსაც სადუღარად მოჰყრიან ყურძნის წვენს, შიგ ჩააყრიან ან ფხვნილს თაბაშირს (გიპსი) ან ფხვნილს მარმარილოს. თაბაშირს ის თვისება აქვს, რომ წვენის დუღილის დროს გაიხსნება, ამადუღებელს ნაწევარს გააუქმებს და ამის გამო ღვინო მალე დაიწმინდება ხოლმე. ეს სისტემა ძალიან გავრცელებულია სამხრეთს საფრანგეთსა, ისპანიასა, იტალიაში და სხვაგანაც. ამ თაბაშირის ჩამატებაზედ დაფუძნებულია შაპტალიზაციაც. ფხვნილი მარმარილო, თუ თაბაშირი, იზიდავს, ისვამს სიმჟავესა, ძირს მიდის და ილექება. ხოლო იმისათვის, რომ დულილი არ დადგეს, შაპტალი შაქარსაც უმატებს; შაქარი აძლიერებს დულილს და ჰმატებს ღვინოს ალკოგოლსა. ამ გზით თაბაშირსა, თუ მარმარილოს, ეკარგება ის თვისება, რომლის ძალითაც დულილს შეაკავებს ხოლმე და სიმჟავის გამოკლების თვისებაღა ჰრჩება. აი რა წუნი სდევს ამ სისტემასა. რაც უნდა თაბაშირმა, ანუ მარმარილომ, მიიზიდოს და შეისვას სიმჟავე და მას მერმედ ძირს დაილექოს, ღვინოში მაინც ჰრჩება მისგან სხვადასხვა კირეული ნაწევარები, მარილები, ან გახსნილი ღვინოში, ან მეხანურად შეერთებული, და ეს მარილები მაწყინარნი არიან, ცუდს გემოს აძლევენ ღვინოს და ყოველივე ეს ძალიან ძნელი გამოსაცლელია ღვინისაგან**. ამიტომაც საფრანგეთში იქაურ სამხედრო სამინისტროსაგან აკრძალულია შაპტალიზაციით ნაკეთები* ღვინო იხმარონ სამკურნალოებში; თუ ერთს ლიტრს*** ღვინო-

* ვისაცა ჰსურს დაწვრილებით შეიტყოს, რა დიდად მავნებელია ადამიანისათვის არაყი საზოგადოდ და დაბალის ხარისხისა საკუთრად. ვურჩევთ წაიკითხოს ლექცია ამ საგანზედ ბუნგესი, რომელიც ფიზიოლოგიურ ქიმიის პროფესორია ბაზელში. ეს ლექცია ამ უკანასკნელ ხანებში დაიბეჭდა და რუსულადაც არის თარგმნილი.

** ტარდანი, 178 გვერდი.

*** ლიტრი — ფრანგული საწყაოა, ჩვენებურად თითქმის ორ ბოთლ ნახევარი.

ში ეს თაბაშირი ორს გრამმზედ**** მეტი აღმოჩნდა, ამისთანა ღვინოს არც ერთს სამკურნალოში არა ხმარობენ. შაქრის ჩამატების ამბავი ხომ ვიცით. ყოველივე ეს რომ სახეში ვიქონიოთ, აშკარად დავინახავთ, რა სიკეთესა სძენს ეს შაპტალიზაცია ღვინოს.

XXIII

ტფილისი, 13 აპრილი

მოვაწყინეთ თავი ჩვენს მკითხველებს ასე გრძლად ლაპარაკით ღვინის თაობაზედ. მაგრამ რაკი ამისთანა საყურადღებო საქმეში შევტოპეთ, უნდა ბოლოც გავატანოთ და რაც სათქმელი გვაქვს, ყოველივე ვსთქვათ.

ღვინოში არის ერთნაირი ნაწევარი, რომელსაც გცილერინი ჰქვიან. ეს გლიცერინი ისე ცოტაა ღვინოში, რომ ერთს ბოთლზე ერთი მისხალი ძლივს მოდის ხოლმე. რადგანაც ამ გლიცერინს, სხვათა შორის, ის თვისებაცა აქვს, რომ ღვინოს გამძლეობას აძლევს, ამიტომაც ხშირად უმატებენ ხოლმე. გლიცერინი იმ ზომით, რა ზომითაც ბუნებურს ღვინოშია, სრულებით მაწყინარი არ არის, მაგრამ ბოთლს ღვინოში რომ ერთის მისხალის მაგიერ ხუთი იყოს, მაშინ ადანიანს სწყინს და შარდს აკლებს, და თუ ათსა და თერთმეტს მისხალს გადასცილდა, მაშინ იქამდე ვნებს ადამიანს, რომ სისხლის შარდზედაც გაიყვანს. მაგრამ რადგანაც გლიცერინი თურმე გამძლეობას ჰმატებს ღვინოსა, ამიტომაც ერთმა კაცთმოყვარე მეაფთექემ, შეამჩნია რა ეს თვისება გლიცერინისა, დაიწყო გლიცერინით ღვინის შეზავება და კეთება. ამ ვაჟბატონს შეელი ერქვა და ამიტომაც მის სისტემას შეელიზაცია დაერქვა, რათა კა-

**** გრამმ = $^1/_3$ მისხალსა.

ცობრიობას არ დავიწყებოდა ძვირფასი სახელი მისი, ვინც ღვინის გამძლეობის სიყვარულითა ადამიანის მოწამლვასაც არ მოერიდა. ამბობენ, თუ გლიცერინთან ერთად ალკოგოლიც ჩამატებულია, მაშინ გლიცერინი ისე არა სწყენსო და ამიტომაც მარტო გლიცერინის მიცემა ღვინოში სასტიკად ასაკრძალველიაო*.

გარდა ამისა, არის კიდევ ერთგვარი მჟავე, რომელსაც სალიცინის მჟავეს ეძახიან. ამ მჟავეს ხმარობენ ღვინის გამოსაკეთებლად და გასამძლეოდ. ყოფილმა მინისტრმა საფრანგეთისამ ტირარდმა აკრძალა ამისი ხმარება, რადგანაც მეტად მაწყინარად იცნა ადამიანის აგებულებისათვის, და ეს ბძანება გამოვიდა თუ არა ბორდოში, იმოდენა ღვინო აღმოჩნდა სალიცილის მჟავით ნაკეთები, რომ მინისტრი იძულებული გახდა პაემანი დაედვა იმ ღვინოების გასასაღებლად, თუმცა მაწყინარად ცნობილნი იყვნენ. ასეთი ძლიერი იყო დრტვინვა და ღაღადი ღვინის ვაჭრებისა, რომ მათმა ჯიბის ინტერესმა სძლია დანარჩენის ერის ჯანმრთელობის ინტერესსა. ამ შეუნდობელმა სისუსტემ მინისტრისამ ღონე მოაკლო მისვე კანონს და სალიცილის მჟავით ღვინის მკეთებელს სასტიკად დევნა ვეღარ დაუწყეს. ზოგიერთი სასამართლოები ამართლებდნენ კიდეც ამაში დამნაშავესა. ხოლო საჰიგიენო კომიტეტმა საფრანგეთში სცნა სილიცილის მჟავის ხმარება უებარ საწამლავად ადამიანის აგებულებისათვის და პარიჟის პრეფექტმა 23 თებერვალს 1881 წ. გამოსცა მთელის პარიჟისათვის სავალდებულო ბძანება, რომ სილიცილის მჟავე არ იქმნას ხმარებული არც სასმელში რაშიმე, არც ხორაგეულობაში.

რაკი ალკოგოლის ჩამატებით ღვინოს სიმაგრეს ჰმატებენ და ამ სიმაგრეს ჰმატებენ იმისათვის, რომ ღვინომ წყალის დასხმა აიტანოს, და ამ გზით ერთი ორად იქცეს, თქმა არ უნდა, რომ ღვინო ფერს

* "ენციკლოპედი საჭმელ-სასმლისა", ტომი I.

დაჰკარგავს. ამ ბოროტებას და სიყალბეს ზედ მოსდევს სხვა სიყალბე და ბოროტება, რომელიც იმაზეა მიქცეული, რომ დაკარგული ფერი დაუბრუნონ ღვინოსა და სიყალბე თვალად შესამჩნევი არ იყოს. ამის გამო ღვინოს განგებ ფერავენ. ღვინის დასაფერავად ბევრგვარი წამლებია ევროპაში ცნობილი. ყველაზედ გავრცელებულია ეგრეთ წოდებული ფუქსინიაა. ფუქსინიაზედ ლაპარაკი ჩვენ წინა წერილებშიაცა გვქონდა და აქ მეტი იქნება განმეორება მისი, თუ რამოდენად მავნებელია ეგ ფუქსინია და რამოდენად შესაწყნარებელი თვით სისტემა, რომელიც გათქმულია ფუქსინიზაციის სახელითა.

ჩვენ აღარ გამოვუდგებით სხვა მრავალგვარს მოწამვლას ღვინისას. თითქმის უთვალავია სხვადასხვა ხერხი, სხვადასხვა წამალი, რომლის წყალობითაც ევროპაში ღვინოებს სწამლავენ მუშტარის მოსატყუებლად და მოსაწამლავად და გამორჩომას ანაცვალებენ ერის ჯანმრთელობას. ჩვენ აქ მოვიყვანთ პარიჟის სამუნიციპალო ლაბორატორიის გამოკვლევას ამ საგანზედ და იქიდამ დავინახავთ, რამოდენად გავრცელებულია საფრანგეთში, ამ ღვინის ბოღაზში, არაბუნებური ღვინის კეთება. ამ ლაბორატორიაში გასინჯული იყო 133 ჭაშნიკი სხვადასხვა ღვინოსი* და აღმოჩნდა, რომ 130 ჭაშნიკი ავის თვისებისა იყო და მარტო 3 კარგისა. ჟურნალ "Yoltaire"-ში 1883 წლის 15 ნოემბერს გამოცხადებულია ამავე ლაბორატორიის ანალიზები და აი, რა აღმოჩენილა: გაუსინჯავთ 650 ჭაშნიკი სხვადასხვა ღვინოებისა, რომელნიც წარდგენილი ყოფილა ლაბორატორიაში და მარტო 60 აღმოჩენილა უწყინარი. ამ ანალიზებიდამ აღმოჩნდა, რომ 871 სხვადასხვა ხერხი უხმარიათ ყალბობისათვის და 281 შემთხვევაში ორჯერ გადაუყალბებიათ ერთი და იგივე. ეს ღვინოები ოქტომბერში უსინჯავთ,

* "Petit dictionnare des falsifications", L. Doufur.

დეკემბერშიაც ამავე ლაბორატორიაში წარმოუდგენიათ 821 ჭაშნიკი სხვადასხვა ღვინოსი და ამათში გაუყალბებელი ღვინო აღმოჩენილა მარტო 143 და ყალბობის სხვადასხვა ხერხი 968 დაუთვლიათ! აბა რა ქმნას მუშტარმა, როცა ასს სხვადასხვა ღვინოში მარტო ათი ურევია მართალი ღვინო? ზოგი იქნება ისეც მოკვდეს, რომ თავის სიცოცხლეში ამ ათს შემთხვევაში ერთი შემთხვევაც არ ერგოს მართალის ღვინის სყიდვისა და იძულებულია ძალაუნებურად სვას ყალბი და მაწყინარი ღვინო და იწამლოს ნელ-ნელა თავი.

ჩვენ ამით ვათავებთ ღვინის კეთების თაობაზედ ლაპარაკს და მარტო ისღა დაგვრჩა, რომ განვუზიაროთ მკითხველს ჩვენი აზრი, რის გამოც საჭიროდ დავინახეთ ასე გძლად ლაპარაკი ღვინოზედ.

XXIV

ტფილისი, 15 აპრილი

რაც რამა ვსთქვით ღვინის კეთების თაობაზედ, თუ ყოველს იმას გავიხსენებთ და გონების თვალწინ წარმოვიდგენთ, დავინახავთ, რომ ღვინის კეთება ორგვარია: ერთი ყალბის ღვინის კეთება და მეორე ბუნებურისა. ბუნებურის ღვინის კეთება, იგი ხელი თუ ოსტატობაა, რომელსაც საგნადა აქვს მარტო წმინდა, შეურევნელი ყურძნის წვენი აქციოს ღვინოდ და ეს ქცევა დაამყაროს მარტო ყურძნის წვენის ბუნებურ თვისებაზედ. ამგვარს ღვინის მკეთებელს მარტო პირდაპირი მსმელი ღვინისა ჰყავს მუშტრად სახეში და პირდაპირი მსმელი ყოველთვის წმინდა ყურძნის წვენის ღვინოს ირჩევს, ვიდრე განგებ წამლებით შეზავაბულს და გაკეთებულს, რაც უნდა ეს უკანასკნელი თვალისა და გემოსათვის უფრო სამაცდურო იყოს პირველზედ. არა გვგონია ქვეყანაზედ მოიპოვებოდეს იმისთანა

მსმელი ღვინისა, რომელმაც, რაკი დარწმუნებული იქნება, რომ ეს ღვინო წმინდა ყურძნის წვენისაა, და მეორე განგებ წამლებით შეზავებული, მართალს ღვინოს არ დაავლოს ხელი, რაც უნდა ყალბს ღვინოზედ დაბალი იყოს.

ჩვენა ვნახეთ, რომ მართალის ღვინის კეთებისათვის ჩვენშიაც იგივე ცოდნაა, რაც ევროპაში, და თუ ამაში ცოტა რამ მეტნაკლებობაა, იმოდენად ღირსშესანიშნავი არა არის რა, რომ კაცმა მისდა მიხედვით ან ერთი აქოს, ან მეორე დაიწუნოს. თქმა არ უნდა, რომ დიდი ბაზარი ევროპისა, საცა მართალს ევროპულს ღვინოებს დიდი ფასი აქვთ, — დიდს ღონეს და შეძლებას აძლევს იქაურს მკეთებელს მართალის ღვინისას უფრო მომეტებული შრომა და ხარჯი გასწიოს, ღვინის კეთებას უფრო მეტი ფული მოიხმაროს, უფრო უკეთესი იარაღი და ჭურჭელი ახმაროს, გარემოება უფრო სახერხული მოუწყოს, რომ მართალს ღვინოს მთელი თავისი ბუნებური თვისება და ღირსება შეარჩინოს როგორც სიკეთისა, ისეც გამძლეობისათვის.

თუ ამ მხრით ევროპიელნი ჩვენზედ წინ არიან, ესე იგი, თუ ამ მხრით ევროპიელნი ჩვენზედ უკეთეს ღონესა, ხერხსა და იარაღსა ჰხმარობენ — ეგ მარტო საეკონომიო მიზეზით აიხსნება: იქ დიდს ხარჯს კეთებისას დიდი ფასი ჰფარავს და მოგებასაც აძლევს; ჩვენში კი ჩვენებური ღვინო, მარტო ჩვენს შინაურს ვიწროდ შემოფარგლულს ბაზარში მომწყვდეული, დიდს ხარჯს კეთებისას ვერ აიტანს და ზარალის მეტი არა გამოვა რა. ამას უნდა მიეწეროს ზოგიერთი ჩვენი უხერხულობა ღვინის კეთებაში და არა იმას, ვითომ არ ვიცოდეთ, რა გზით შესაძლოა ღვინის კარგად დაყენება და კეთება. ეს ერთი, მეორე მიზეზი, ისევ საეკონომიო თვისებისა ის არის, რომ ჩვენში ღვინო საყოველთავო სახმარი სასმელია: დიდი და პატარა, ღარიბი და მდიდარი, ჩვეულია ღვინის სმასა. ამის გამო აქ, ჩვენში ღვინის კეთების საეკონომიო ანგარიში უფრო მრავალთათვის უნდა იყოს დაჭერილი, ვიდრე ევროპაში,

საცა ღვინოს, ნამეტნავად მართალს, მარტო მდიდარი კაცი თუ სვამს და ეღირსება. რაკი მუშტარი ღვინისა ერის სიმრავლეა, მაშასადამე არა მდიდარი ხალხი, — ღვინო, თუ იეფი არ არის, უნდა ჰშიშობდეს, რომ გაუსყიდველი დარჩება. რაც უნდა დიდი ვაჭარი იყოს ღვინისა, ძნელად იქმნება, რომ ათს ურემს იეფის ფასის ღვინოსთან ერთი ურემი ძვირფასი თავი ღვინო გაასაღოს. ჩვენს ბაზარში ძვირფას თავს ღვინოს მდიდარი კაციც ძლივა ჰყავს მუშტრადა და ამისთანა მდიდარი ბევრი არ არის, და ისიც, რაც არის, ძვირფას ღვინოს იშვიათად თუ ჰხმარობს იშვიათს შემთხვევაში, როცა დიდი და გამოსაჩენი წვეულება აქვს. ამის გამო ჩვენებურმა ღვინის კეთებამ მარტო იმისთანა ღონეს ჩაჰკიდა ხელი მართალის ღვინის შექმნისათვის, რომელიც თუმცა ხანდისხან უხერხულია, მაგრამ იეფია და ძვირად არ უჯდება ღვინის მკეთებელსა. ეგ იეფობა ხარჯისა ნებას აძლევს ღვინის მკეთებელს იეფად ჰყიდოს ღვინო იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში მარტო მუშტრის სიმრავლეა თავდები, რომ ღვინო გაუსყიდველი არ დარჩება. მთელს ევროპაში ვერც ერთს ადგილს ვერ გვიჩვენებთ, რომ წმინდა ყურძნის წვენის ღვინო, შეურევნელი და სხვადასხვა წამლებით არ შედგენილი, ისე იეფი იყოს, როგორც ჩვენში.

ეხლა ჩვენს ღვინოს სხვა ბაზარიც ეხსნება. ეგ ბაზარი რუსეთია. ჩვენი გულითადი რწმენა ეს არის, რომ ჩვენი ღვინოები ამ დიდს ბაზარში ფეხს მოიკიდებენ თუ ჩვენი ძველებური პატიოსანი საგანი ღვინის კეთებისა არ შევცვალეთ. ამ ბაზარმა გული უნდა დააჯეროს, რომ ჩვენებური ღვინო მართალი ღვინოა; რომ ჩვენს ღვინოში არა არის რა, გარდა ყურძნის წვენისა. ჩვენებურს ღვინის კეთებას დღევანდლამდე ამის მეტი სხვა საგანი არა ჰქონია. თუ ჰსურთ, რომ რუსეთის ბაზარში ჩვენმა ღვინომ ადგილი დაიჭიროს და ევროპულს ყალბს ღვინოებს აჯობოს და გზა დააცლევინოს, ეს მარტო იმით შესაძლოა მოხდეს, რომ გასამკლავებლად ევროპულს ყალბს ღვინოს ჩვენი მართალი

ღვინო პირში წავუყენოთ. აქ ჩვენი გამარჯვება უეჭველია იმიტომ, რომ არ არი ქვეყანაზედ კაცი, რომელმაც მართალი ყალბს არ ამჯობინოს, რაც უნდა ეს ყალბი სამაცდურო იყოს. ჩვენს ღვინოებს სხვა იმედი არ უნდა ჰქონდეს გაუძლოს ევროპულ ღვინოების ცილობასა: ყალბის ღვინის კეთებაში ჩვენ ევროპას ვერ დავეწევით, გასწრობას ვიღა იტყვის. მაშასადამე, ერთიღა დაგვრჩენია: მართლის ღვინის კეთებას ნუ ვუღალატებთ; ეს რაღაც შაპტალიზაციები, გალლიზაციები და სხვა "ციები" შორს ჩვენგან და ჩვენის ქვეყნის გარედ, როგორც შიგნითაც, მარტო მართალი ღვინოები გავიტანოთ ბაზარში. ევროპამ რომ ღვინის კეთებაში სიყალბე აღარ იხმაროს და მარტო მართალი ღვინო აკეთოს, ეს მისი მართალი ღვინო მეათე ნაწილსაც ვერ გასწვდება, მაშასადამე, ჩვენს მართალს ღვინოებს მაზანდა დიდი ექმნება და მოცილეც მეტად უღონო ეყოლება მართალის ღვინის უქონლობის გამო.

რადგანაც დღეს სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ფიქრადა აქვს, ჩვენებურის ღვინის კეთებას უკეთესი და უფრო სახეირო გზა მისცეს და წარმატებაში შეიყვანოს, — ამას შორს წასვლა არ უნდა. ამისათვის, ჩვენის ფიქრით, მარტო ორი რამ არის საჭირო: 1) აზრი და საგანი ჩვენებურის ღვინის კეთებისა არასგზით არ შეიცვალოს, ესე იგი ბუნებურის ღვინის კეთებას არავითარი სიყალბე არ შეეპაროს, და რადგანაც ამ აზრისა და საგნის განსახორციელებლად ბევრი კარგი სხვადასხვა ღონე და სახსარია ჩვენში თუ გარედ, ამ ღონისა და სახსრის ცოდნისა და დახმარებისათვის სამი სკოლა მაინც გაიმართოს: ერთი კახეთში, მეორე ქართლში და მესამე იმერეთში; 2) კანონად დაიდვას, რომ თუ ღვინოში გარდა ყურძნის წვენისა რაიმეა გარეული, ან გასაბევრებლად, ან დასაწმენდად, ან გასამაგრებლად, ან საფერავად, ან გასამძლეოდ, ღვინის გამსყიდავი მედუქნე მოვალე იყოს ღვინის ჭურჭელზედ, — ბოთლი იქნება, თუ ბოჭკა, — დააწეროს, რომ ეს ღვინო ამა და

ამ ნაწევარით შეზავებულიაო. ეს კანონი გერმანიაში მოქმედობს და რუსეთშიაც მიღებული რომ იყოს, დიდს შემწეობას მისცემს ჩვენებურს ღვინოსა.

ჩვენ აქ, რასაკვირველია, მარტო ხელსამძღვანი აზრი აღვნიშნეთ, იგი აზრი, რომელიც, ჩვენის ფიქრით, საფუძვლად უნდა დაედოს კანონს ღვინის თაობაზედ, თუ ჰსურთ, რომ შინაურმა ღვინომ გზა გაიკაფოს რუსეთის ბაზრისაკენ და იგი აუარებელი ფული შინ, რუსეთშივე დაჰრჩეს, რომელიც ევროპულს ყალბს და მაწყინარს ღვინოებზედ ეხარჯება დღესა, და ამასთან უწყინარი ღვინოც სვას ხალხმა. ამ ხელსამძღვანო აზრს ბევრი სხვა საჭიროებაც მოსდევს, რომ სურვილი კანონისა უქმად არ დარჩეს. ამ კანონების ვრცლად შემუშავება ჩვენ აზრად არა გვქონია და ამიტომაც ამით ვათავებთ ჩვენს გრძელს ლაპარაკსა ღვინის თაობაზედ.

[თებერვალი — აპრილი]

«ბისმარკის მუქარა»

ტფილისი, 23 თებერვალი.

როცა ბისმარკმა შეიტანა რეიხსტაგში თავისი სამხედრო კანონპროექტი და შვიდის წლით ითხოვა იმ კანონის მიღება, მაშინ უმთავეს საბუთად ის წარადგინა, რომ თუ შვიდის წლით დაადგენთ ამ კანონს, ხომ მშვიდობიანობა ევროპისა არ დაირღვევაო და თუ სამის წლით — ომის ატეხა აუცილებელიაო. როგორც თვითვეულმა კაცმა ცალკე, ისეც რეიხსტაგმა საერთოდ ძალიან კარგად იცის, რომ სიტყვა ყოველთვის იმას არ ამბობს, რაც კაცს გულში აქვს და ამიტომაც რეიხსტაგი ბისმარკის მუქარას არ შეუშინდა და კანონი მიიღო მარტო სამის წლის ვადითა. ბისმარკმაც არც აცივა, არც აცხელა, აიღო და პარლამენტი დაითხოვა და ახალი არჩევანი დანიშნა, ესე იგი, გერმანიის ერი მოიწვია — გამოსთქვი არჩევანით ამ საგანზედ, შენ რა აზრისა ხარო.

ამის შემდეგ, რასაკვირველია, მთელი ევროპა თითქმის გულისცემით უცდიდა ამ არჩევანების გათავებას გერმანიაში. მართალი იყო თ. ბისმარკის მუქარა, თუ ტყუილი, ყველა კი ჰგრძნობდა, რომ განსაცდელი ან სამის წლით კანონის მიღებაში იმალავს თავს, ან შვიდის წლისაში. ამაზედ ევროპაში არ იჭვნეულობდა, უმიზეზოდ ეს საქმე ესე არ გამწვავდებოდაო, ყველა ამას იძახოდა. აი დღეს არჩევანი თითქმის გათავებულია. 396 დეპუტატი,

რომელიც საიმპერიო პარლამენტს გერმანიისას შეადგენს, უკვე ამორჩეულია; ზოგან თუმცა ხელახლად არჩევანი უნდა მოხდეს, მაგრამ უამარჩევანებოდაც ცხადია, რომ თ. ბისმარკმა გაიმარჯვა და გერმანიის ერმა თავის პარლამენტს ერთხელ კიდევ უთხრა, შენ "სუ", როცა ბისმარკი ხმას იღებსო.

დღეს ოფიციალურად გამოცხადებულია სად რა კაცები ამოურჩევია გერმანიის ერსა: კორსერვატივები – 75; საიმპერიო დასისა – 34; ნაციონალ-ლიბერალები – 84; შუაგულ დასისა – 90; თავისუფალ-მსჯელნი – 24; სოციალისტი – 6; ელმასები – 15; პოლაკი – 13; ველფი – 2; დანელი – 1; იმისთანანი, რომელთ მიმართულება ჯერ არ იციან – 2 და ხელახლად ასარჩევი 60 კაცია კიდევ.

ამათში კონსერვატივები, ნაციონალ-ლიბერალები, საიმპერიო დასის კაცნი ერთგულნი ყურმოჭრილნი ყმანი ყოფილან ბისმარკისა, არიან და იქნებიან, დანარჩენები სულ ერთნაირად ეწინააღმდეგებიან ბისმარკსა, რაც ძალი და ღონე აქვთ. ამ სახით გამოდის, რომ სამხედრო კანონის თაობაზედ ბისმარკს ახალს პარლამენტში ეყოლება ერთგულ მომხეთ 193 კაცი და მოპირდაპირედ –143. დანარჩენი 60 კაცი ხელახლად ამოსარჩევი რომ სულ მოპირდაპირეთა დასის კაცნი გამოდგნენ, მაშინ, რა თქმა უნდა, პარლამენტში ათის კაცით ესენი აჯობებენ ბისმარკელებს, მაგრამ ამის იმედი არავისა აქვს. ბევრი-ბევრიო, ამბობენ მცოდნე კაცნი, ეს სამოცი კაცი შუა გაიყოსო და ოცდაათი კაცი ერთს ერგოსო და ოცდაათი მეორესაო. თუ ესე მოხდა, მაშინ 223 კაცი ბისმარკს ეყოლება და 173 მის მოპირდაპირეთა.

ამ სახით ბისმარკის გამარჯვება აუცილებელია, ეჭვი აღარაფრისაა, რომ გერმანიის პარლამენტი მიიღებს ბისმარკის სამხედრო კანონს შვიდის წლითა და ამ გზით იმპერატორს ვილჰელმს, ბისმარკს და მოლტკეს თავიანთი ძალიან მოწადინებული სურვილი აუსრულდებათ. რა იქმნება ამის შემდეგაო,

ჰკითხულობს დიდი და პატარა და ვერავის გულდასაჯერი პასუხი ვერ მოუპოვებია. ევროპიის ჟურნალ-გაზეთობამ ამ ამოცანის ახსნისათვის ბევრს კალამს მოსტეხა წვერი, ბევრი მელანი ამოაშრო, ბევრგვარად დღესაც რამლსა ჰყრის, გულთმისნობს, მაგრამ ჯერ ბეჯითად ვერა გაუგია რა. ყოველს ამაში მეტისმეტი საკვირველი ერთი რამ არის. დღევანდელს ევროპას სამი გასაჭირებელი საქმე აქვს, სამივ მიზეზიანი და განსაცდელიანი: ერთი გერმანიის და საფრანგეთის შულლი და მტრობა, მეორე ეგვიპტის საქმე და მესამე – ბოლგარიისა. აბა შენიშნეთ, თუ რაღაც ჯადოსნობა და თილისმა ხან ერთს იმოდენად არ გააშწვავებდეს, რომ კაცს შიშით გული უთრთის, ხან მეორეს, ხან მესამეს და საოცარი ეს არის, რომ, როცა ერთი გამწვავდება, სხვა ორი მიყუჩდება, მისცხრება, თითქო არც ყოფილა და არც არისო. ვისთვის რა ხელსაყრელია, რომ პოლიტიკის მავთულები კუკებსავით ხან საფრანგეთს ამოახტუნებენ ხოლმე, ხან ეგვიპტეს, ხან ბედკრულს ბოლგარიას? სჩანს წყურვილი და სურვილი ვისიმე ამაებში ჯერხანად თავს იმალავს და სინჯავს, – ვნახოთ ვინ რომელის კუკის სანახავად მოვა და რა თვალით დააცქერდებაო. ჩვენის ფიქრით, ევროპა ამის ცდაშია და რადგანაც ჯერ ეს ცდა გათავებული არ არის და ჯერ კიდევ საქმეშია, ამიტომაც ჯერხანად ვერავის ვერარა გაუგია რა გამოვა რისაგან.



«ღირსეულის დაფასება»

ტფილისი, 25 თებერვალი.

23-ს თებერვალს თ. იასე ადამის ძეს ანდრონიკაშვილს გადაუხადეს ორმოცდაათის წლის სამსახურის დღეობა. საზოგადოებამ თავისი პატივისცემა და მადლობა საჯაროდ გამოუცხადა კაცს, რომელსაც არც სახელოვანი ომი მოუგია, არც ქვეყანა დაუპყრია, არც იმისთანა რამ მოუხდენია, რაც თავისთავად ჰყვირის, ჰხმაურობს და ბუკსა და ნაღარას სცემს.

მაშ რამ გამოიწვია ეს საჯარო პატივისცემა და მადლობა? ნუთუ მან, რომ კაცმა ორმოცდაათის წლის სამსახურს გაუძლო, ესოდენ ხანგრძლივად ჰზიდა ტვირთი სახელმწიფო თანამდებობისა? არა. ჩვენდა სასიამოვნოდ ის უნდა ვაღიაროთ, რომ აქ, ამ ამბავში სხვა უმაღლესი ზნეობითი აზრია. მართალი მოახსენეს თ. ანდრონიკაშვილს: "ხანგრძლივობა რა არის? ეგ ჯანის სიმრთელის საქმეა. ჯანის სიმრთელე კიდევ ერთი უმაღლესი მადლია, რომელსაც კი ღმერთი მიანიჭებს ხოლმე თვის რჩეულსა, მაგრამ მაინც მადლია და არა ღვაწლიო"! სასიქადულო და სასახელო თვით თ. ანდრონიკაშვილისათვის იგი ზნეობითი აზრია, რომელიც სათავედ უდევს მის დღეობის ამბავსა. აქ საზოგადოებამ ხანგრძლიობა მოღვაწეობისა კი არ დააფასა, არამედ ის, რომ ნახევარ საუკუნის განმავლობაში კაცმა არც ერთხელ არ უმტყუნა თავის

მოვალეობასა, თავის თანამდებობასა და არც ერთხელ ცილისწამებასაც კი არ შეაბღალვინა თავისი წმინდა და პატიოსანი სახელი, მერე იცით, რა მიზეზიანია იგი თანამდებობა მოსამართლისა, მსაჯულისა, რომელიც მთელი ორმოცი წელიწადი წილად ხვდა თ. ანდრონიკაშვილსა! ვინც ეს იცის, მან ისიც უნდა იცოდეს, რა დიდბუნებოვანობაა კაცის მხრით, რომ ცილსაც კი ვერა გააბედვინოს რა, ცილსაც კი ენა მოსჭრას, ხმა არ ამოაღებინოს.

ყოველს ადგილას, ყოველს საქმეში — რაც უნდა ჩუმი იყოს, რაც უნდა მცირე — ადამიანს შეუძლია აღმოაჩინოს სიდიადე ღვაწლისა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი ერთის მეცნიერისაგან: "ვინც ორი მარცვალი მოიყვანა იქ, საცა მანამდე მარტო ერთი მარცვალი მოდიოდა, იგი ერთს უდიდესს სამსახურს უწევს კაცობრიობასაო".

ამ წუთისსოფელში ადამიანს ბევრი და მრავალსახის საქმე აქვს საკეთებელი, როგორც კერძოდ თავის თავისათვის, ისეც საზოგადოდ ყველასათვის. სათითაოდ ყველას ერთნაირი დანიშნულება არა აქვს, სათითაოდ ყველას რაიმე დანიშნულება კი უსათუოდ აქვს. მაღალ ზნეობის თვალის წინაშე სიდიდე ადამიანისა დანიშნულების სიდიდეზედ არ არის დამოკიდებული. მრავალგვარია ნიჭიერება, ღონე და მიდრეკილება ადამიანისა. სიდიდე და ღირსება ის არის, ვინ როგორ აურჩია საქმე თავის ნიჭსა, ღონესა, მიდრეკილებასა და ვინ როგორ უძღვება. თვითონ საქმის მეტნაკლებობა აქ არაფერს შუაშია, დიდი და პატარა სულ ერთია, ოღონდ კაცმა იმას მიჰმართოს, იმას ჩაჰჭიდოს ხელი, რაზედაც გული მიუწევს და ნიჭი და უნარი მიუწვდება. უამისოდ ყოველი მისი საქმე მცირეა და ამისით კი ყოველი პატარაც კი დიდია.

მოსამართლობა, მსაჯულობა, ჩუმია, წყნარი, უხმაურო, უბუკნაღარო. ღვაწლი მოსამართლისა, მსაჯულისა ისეთი ერთიანი არ არის, როგორც, მაგალითებრ, ციხის აღება, ქვეყნის დაპყრობა, ომის

მოგება და სხვა რამ ამგვარი დიდი. თვალსაჩინო და ერთბამად დასანახავი საქმე, რომელიც ერთბამადვე აცვიფრებს ადამიანს. იგი განუწყვეტელი ძეწკვია ყოველდღიურის ღვაწლისა; იგი ერთი-ერთმანეთზედ ზედასხმული მარცვალებია ადამიანის საყოველდღეო მოქმედებისა. რაოდენად სინათლე და სიკეთე უნდა ჩააყოლოს კაცმა ამ უჩინარს მარცვალებს თავის განუწყვეტელის მოღვაწეობისას, რომ მათი კრებული იმად გამოჩნდეს, რასაც მოქალაქობრივს ქველობას ეძახიან და რაც სამართლიანად გამოიწვევს ხოლმე ქებას, დიდებას, პატივისცემას და მადლობის გადახდასა. ერთის დიდის საქმით ამის დამსახურება იმოდენად ძნელი არ არის, ჩვენის ფიქრით, რაც ან ხაგრძლივის დაუღალავის ღვაწლით, დღემუდამ ერთი-ერთმანეთზედ ზედმიყოლილის სიკეთით მოპოებული. იმიტომ რომ დიდი საქმე ზოგჯერ ბედისაგან წილად ხდომილია და ადამიანი მარტო ფარ-ხმალია ბედისაგან არჩეული. აქ კი გამუდმებული თავდადება უნდა, დიდი გულმოდგინება, დიდი ღონე ზნეობისა, დაუცხრომელი სიყვარული, დაუღალავი ბეჯითობა და გაუტეხლობა გულპატიოსანის მუშაკისა და გამრჯელისა. ყოველივე ეს უნდა, რომ მარცვლეულობით ნაღვაწი ბოლოს იმოდენა ხვავად აქციოს კაცმა საზოგადოების თვალში, რომ საჯაროდ პატივისცემა და მადლობა გამოიწვიოს. აქ ადამიანი თაოსნობს, იხარჯება და არა ბედი.

აი, რას ვხედავთ და რას ვპოულობთ ჩვენ თ. ანდრონიკაშვილის დღეობაში მისდა ჭეშმარიტ სასიქადულოდ და სასახელოდ. თვით იგი საზოგადოებაც კი პატივით და სახელით მოსახსენებელია, რომელსაც თვალი უჭრის ამგვარის ღვაწლის დასანახავად. ეს უტყუარი ნიშანია მის გონების აღმატებისა, იმიტომ რომ უბუკნაღაროს საქმეს, ჩუმსა და უჩინარს სასარგებლო ღვაწლს ხორცის ძვალი ძნელად მისწვდება. აქ გონების ჭრელი თვალი უნდა, რომ თვალად მცირენი, მაგრამ კეთილნი საქმენი, რომელიც გამუდმებულ შრომით ერთმანერთზედ განუწყვეტლად აკინძულია,

ზედნაკეცია, იცნას დიდის ზნეობის საქმედ და პატივისცემის ღირსად გაჰხადოს. დიდის დანახვა ადვილია, საქმე ის არის, იმათ ჩუმთა მუშაკთა უჩინარი ღვაწლი დაინახოს კაცმა, რომელთა ნაღვაწიც აცხოვრებს ქვეყანასა და დედაბოძად უდგა თვით საზოგადოებას.

«გერმანიის შეშფოთების მიზეზი»

ტფილისი, 27 თებერვალი.

გერმანიის აწინდელი ყოფა და ქცევა ყველას აოცებს. დიდი და პატარა იმას შესცქერის და ჰკითხულობს, ესე რა გასჭირებია, რომ ჯარების მომატების სურვილი დღედაღამ მოსვენებას არ აძლევსო. იქ პაპს მივარდა და შემწეობას შეევედრაო, პაპს, რომელსაც თვითონ თ. ბისმარკი ერთ დროს ისე აურზაურად მოეკიდა და მის სამღვდელოებას გერმანიაში ხელ-ფეხი შეუხუთა, იეზუიტებიც კი გამოდევნა გერმანიის სამზღვრებიდამ და ამით მეტად აწყინა და გაარისხა პაპი. ეხლახანს, როცა იტალიაში სამინისტრო დეპრეტისისა და რობილანისა დაეთხოვა სამსახურსა, თ-მა ბისმარკმა მთელი თავისი ოსტატობა და სახელი მოიხმარა, რომ ისევ დეპრეტისისა და რობილანის სამინისტრო შემდგარიყო და არა კაროლისა ან კრისპისა; ვსთქვათ, რომ დეპრეტისი და რობილანი დიდი მომხრეა გერმანიისა და ავსტრიისა, მაგრამ რად უჭირს გერმანიას ამათი მომხრეობა? ვინ ემუქრება? ვისი და რისი შიში აქვს? აქედ იხედებით, იქიდ იხედებით და რა კი ჰხედავთ, რომ განსაცდელი გერმანიისათვის მოსალოდნელი არსაიდამ არ არის, ჰკვირობთ საიდამ რა ლანდი უჩნდება გერმანიას, რომ ყველგან ჰფაცურობს და ყველაფერში მშველელს ეძიებს? არჩევანების გათავებაც კი აღარ მოიცადა თ—მა

ბისმარკმა და ახლად ამორჩეული რეიხსტაგი მოიწვია. რასა სჩქარობს? რა ისეთი დიდი საგანი მისდის და ეცლება ხელიდამ, რომ ხანსაც აღარ აყოვნებს, თითქოს რაისამე შიშისაგან ელდაცემულიაო და სცდილობსო რომ შიშს რაც შეიძლება ადრე და მალე წინ უსწროსო?

მითამ საფრანგეთის თავდასხმა აფიქრებს თ. ბისმარკსა? არა გვგონია, იმიტომ, რომ საფრანგეთსა, თუმცა ევროპაში დღეს ერთი ძლიერი თანამგრძნობელი ჰყავს, მაგრამ პირდაპირი მომხრეობა კი ჯერ არსად უჩანს. უმომხრეოდ საფრანგეთი არასგზით გერმანიას ომს ვერ გაუბედავს. მაშასადამე, სხვა რა ტკივილი აქვს გერმანიასა?

გერმანიას იგი ტკივილი აქვს, რომ ორსავ მხრით, დასავლეთით და აღმოსავლეთით მეზობლები მეტის-მეტად გაუძლიერდნენ და გაუღონიერდნენ. თუმცა არც ერთისაგან თავდასხმას გერმანია არ მოელოდინება და ჯერ ხანად არც საფიქრებელია, მაგრამ თ. ბისმარკი მეტად აშკარად ჰხედავს, რომ დღეს რუსეთი ცალის მხრით და საფრანგეთი, მეორის მხრით იმოდენად გაძლიერდნენ, რომ ამოდენის ღვაწლით, სისხლით და ხარჯით გერმანიის მიერ მოპოებული პირველობა ევროპაში ლამის ხელიდამ გამოეცალოს; ლამის გეგემონია ევროპაში ჩამოერთოს გერმანიასა. ეგ პირველობა, უპირატესობა გერმანიისა ევროპაში თ. ბისმარკის კარგა ხნის ღვაწლია. მთელი მისი სახელი, მისი დიდკაცობა, მისი აბრუ გენიოსობისა ამ მიზნად შექმნილს გერმანიის უპირატესობაშია და აი, დღეს თ. ბისმარკი ჰგრძნობს, რომ ამის ნაღვაწს ძლიერნი მოცილენი გამოუჩნდნენ ევროპაში და ლამის იმოდენის მსხვერპლით აშენებული დიდება გერმანიისა და ამ დიდებით მოპოვებული სახელი თვითონ იმპერატორის ვილჰელმისა და თ. ბისმარკისა ფუჭად წახდეს და დადნეს შარშანდელის თოვლივითა. აი, საგანი, რომელიც გერმანიის ტკივილს შეადგენს დღესა და რომლის დასაცველადაც დღეს თ. ბისმარკი და მასთან მთელი

გერმანიაც იღვწის და მეცადინეობს დღედაღამ საოცარის გამალებითა და სისწრაფითა, ამიტომაც საკვირველი არ არის, რომ თ. ბისმარკი არა ღონისძიებას არა ჰთაკილობს, ყოველს გვარს ხერხსა და ოსტატობას ხელსა ჰკიდებს, რომ დიდმა ღვაწლმა ამაოდ არ ჩაუაროს არც იმპერატორს ვილჰელმს, არც თვითონ ბისმარკს, არც გერმანიის ერსა და გერმანიას კვლავაც იგივ უპირატესობა შეარჩინოს.

«მამულების გამიჯვნის უკეთ მოწყობისათვის»

ტფილისი, 6 მარტი

ჩვენს გაზეთში იყო თქმული, რომ მთავრობას საჭიროდ დაუნახავს, ააჩქაროს ჩვენს ქვეყანაში აქამდე ტაატით მოარული გამიჯნავება მამულებისა. ეს ამბავი დიდად სასიხარულოა ყველა იმისათვის, ვინც კი იცის, რა დიდი დაბრკოლებაა განუსაზღვრელობა კუთვნილებისა მეურნეობისათვის, ერისათვის და თვით საზელმწიფოსათვისაც, რომელსაც ამის გამო აუარებელი საქმეები უჩნდება, როგორც სასისხლო სამართლით გასარჩევი, რადგანაც ხშირად მამულის გამო ჩხუბს დანაშაულებიც მოსდევს ხოლმე, ისე სამოქალაქო სამართლითაც, რადგანაც დავიდარაბა ყოველთვის გასარჩევად და გადასაწყვეტად სასამართლოებამდე ადის და უამათოდ არა თავდება.

რადგანაც გასამიჯნავად დადგენილის წესისა და რიგისამებრ ყველას ნება ეძლევა — არც შეიძლება არ მიეცეს, — რაც თავის დღეში არ უდავნია, იმასაც ხელი წაატანოს და სადავოდ გაჰხადოს, ამიტომაც რაკი მოხელე მამულის გასამიჯნავად მივა სადმე, ყველანი ჰსწრაფობენ, დავა გამოაცხადონ, ისინიც კი, რომელთაც მანამდე ფიქრადაც არა ჰქონიათ წაედავნონ ვისმე რამე. ამის გამო საცა ორი და სამი საბუთიანი დავაა მემამულეთა შორის, იქ ათი და ოცი უსაბუთო,

“იქნებაზედ” დამოკიდებული დავა თავს წამოჰყოფს ხოლმე. ეს გარემოება ამრავლებს საქმეებს და რასაკვირველია, ძლიერ აბრკოლებს გამიჯვნის სვლასა ჩვენში. ამ უსაბუთოდ დავის ატეხას კერძო კაცისაგან, არა ეშველება რა, რაც უნდა დიდი ჯარიმა გაუჩინოთ ბოლოს გადასახდელად ტყუილის დავისათვის. რაც მერე, ბოლოს იქნება ის ისე არ აშინებს კაცსა, როგორც დღეს აქეზებს “იქნებაზედ” დამოკიდებული იმედი. უსაბუთოდ მოდავეს კი წინადვე ვერ აუკრძალავს კანონი, ნუ იდავებო. ეგ სამოქალაქო უფლების ჩამორთმევა იქნება და ამას კანონი თავის დღეში არ მოინდომებს.

ჩვენში ჰდავობენ მამულებს არამცთუ მარტო კერძო მემამულეთა და ხაზინისა ერთმანეთში. იმ ჩვენს გაზეთში მოხსენებულ ამბავიდამა სჩანს, რომ მთავრობას განუზრახავს აქ ჩვენში საკუთარი ვექილები იყოლიოს სახაზინო კუთვნილების დასაცავად, თუ ვინიცობაა მამულების გამიჯვნის დროს კერძო კაცთაგან რაიმე დავა ასტყდაო. რასაკვირველია, ეს კარგი საქმეა სახაზინო საქმეთათვის, თუ კერძო კაცმა ხაზინას დავა აუტეხა. აკი ვსთქვით, აქ კერძო კაცსა უსაბუთო დავისათვისაც კი გზა ვერ გადაეღობება, თუმცა სანატრელია, თუ რომ ეს შესაძლებელი იყოს როგორმე, ხოლო ჩვენ ეს უნდა ვთქვათ, რომ მრავალი საქმეა თვითონ ხაზინისაგან დაწყებული; მრავალი საქმეა, საცა თვითონ ხაზინა ედავება კერძო კაცსა და არა კერძო კაცი ხაზინასა. თქმა არ უნდა, რომ ვერც ხაზინას დაეშლება თავისი კუთვნილება ეძიოს კერძო კაცის ხელისაგან. მაგრამ ხაზინასა და კერძოს კაცს შორის დიდი განსხვავებაა. ხაზინა, სახელმწიფო, როგორც უმაღლესი მფარველი მართლისა, არ იკადრებს თუ არ საბუთზეც, სხვა რასმეზედ დაემყაროს დავის ასატეხად, ან სხვა რომელსამე გულის თქმას აჰყვეს, კერძო კაცს კი, ჩვენდა სამწუხაროდ, ხშირად სიხარბე წააცდენს და აიყოლიებს ხოლმე. რაკი ესეა,

ნუთუ ამ მხრით მაინც შეცოტავებას დავიდარაბისას არა ეშველება რა?

ჩვენის ფიქრით, ამ მხრივ შესაძლოა დიდძალი რიცხვი საქმეებისა მოშორდეს სასამართლოებსაცა და ქვეყანასაც და ამით გაადვილდეს გამიჯვნის საქმის სვლა. რომ ეს ასე მოხდეს, აი, ჩვენის აზრით, რა არი საჭირო: სახელმწიფო ქონებათა გამგეობამ არ უნდა მიანდოს, როგორც აქამდე წინასწარ, განურჩევლად დავის გამოცხადება “ლესნიჩის” ან ცალკე მოხელისა, რომელმაც ხშირად არც კი იცის საგანი დავისა და რა საბუთი მიუძღვის ხაზინას დავის გამოსაცხადებლად. გამიჯვნის სასამართლო ყოველ წლივ რამდენისამე თთვით წინ ატყობინებს ხალხს, რა დროს და რა ადგილას შეუდგება მოქმედებას მამულების გასა-მიჯნავად. სახელმწიფო ქონებათა გამგეობას რომ კოლეჯია ჰყვანდეს სამის მცოდნე მოხელესაგან შემდგარი და ვიდრე დავას ასტეხდა სადმე, ამ კოლე-ჯიამ თავისად გამოიძიოს: გასამიჯნავად დანიშნულ მამულებში, სად ვის რა ედავოს, რა მიჯნებში და კუთვნილების საბუთი აქვს რაიმე შესაწყნარებელი და ხელის მოსაკიდებელი, თუ არა. ამ გამოძიების შემდეგ დაადგინეს: ღირს და საბუთია თუ არა, დავა დაიწყოს და თუ ღირს და საბუთია, მხოლოდ მაშინ გამგეობამ ვისაც ჰსურს, იმას მიანდოს დავის გამოცხადება. ამის შემდეგ, ვინ არის მართალი და ვინ არა, ხომ სამართალი გაარჩევს, ამ გზით ბევრი უსაბუთო საქმე თავსაც არ გამოიჩენს. ყველა მოდავე რომ ეგრე ჯერ თვითონ სამართლიანად და მიუდგომლად ჩაუკვირდეს საქმეს და მერე, თუ სინიდისი ეტყვის, დაიწყოს დავა, მაშინ ხომ ნახევარზედ მეტი საქმე თავშივე მოსწყდება, — და ზნეობიანი კაცი ყოველთვის ეგრედ იქცევა კიდეც. ხოლო ძნელი ეს არის, რომ ყოველს ცალკე კაცს ეგ ვერ მოეთხოვება და სახელმწიფოსათვის კი ყოვლად შელაძლებელია და ადვილად შესასრულებელი იმიტომ, რომ სახელმწიფოს ამისთანაებრში წინ მარტო მართალი და საბუთი მიუძღვის და სხვა არა რა,

უსაბუთო დავას სახელმწიფო არავის არ უწონებს და თვით რად იკადრებს მაგისთანა დავასა.

ჩვენ ეს გზა ვაჩვენეთ, მაგრამ შესაძლოა ამ აზრის მისაღწევად სხვამ უფრო კარგი გზა აჩვენოს; ჩვენ იმაზედ ვდგევართ, რომ დიდ შეღავათს მისცემს ხალხსაც და სასამართლოებსაც, თუ სახელმწიფო ქონებათა გამგეობა წინასწარ თვითონ დარწმუნდებოდეს ხოლმე, რომ დავა საბუთიანია და ისე დაიწყებდეს საქმესა.

«საფრანგეთსა და გერმანიას შორის დაძაბულობის შენელების ცდები»

ტფილისი, 10 მარტი

გერმანიისა და საფრანგეთს შორის ჯერ შარშანვე ასტყდა აყალ-მაყალი. ჩვენ, ესე იგი, ჩვენი გაზეთი მაშინვე იძახოდა* რომ ამ მხრით ძნელი მოსალოდნელია დიდი შიში, რომელიც შარშანვე შეეპარა ევროპასა. ჩვენ სულ ამას ვამბობდით, რომ თ, ბისმარკს ისე გაუჭირდება საქმე, რომ ან ყველა სახელმწიფოს მოიბირებს და გაიმარტოვებს საფრანგეთსა, ან საფრანგეთს მოიმხრობს და ამისათვის ბელგიაში რასმეს მოუჭრის და თუ მეტისმეტად გაუჭირდა, ელზას-ლოტარინგიასაც კი გამოიმეტებს. ჩვენ ამ აზრის განსასურათებლად მოვიყვანეთ სიტყვაც კი გამბეტასი, რომელმაც ერთხელ სთქვა; "დრო მოვა და ელზას-ლოტარინგია უსისხლოდ დაგვიბრუნდებაო."

იქნება ეს ჩვენი აზრი მაშინაც ეხამუშა ვისმე, როგორც დაუჯერებელი და ალალბედობაზედ ნათქვამი; შესაძლოა დღესაც ასე მიაჩნდეს ვისმე და სასაცილოდ აგვიგდოს, ეს "ივერია" რაებსა ჰბოდავსო. მართალიც არის: ამოდენა ხარჯი გასწია გერმანიამ კაცით თუ ფულით, ამოდენა სისხლი დაღვარა ძლივს შემოიერთა

* იხილეთ შარშანდელი ივერია №№ 194, 201, 219, 231 და სხვანი, რომელნიც ეხლა ხელად არ გვახსოვს და წლევანდელი № 10, 17, და 31.

ელზას-ლოტარინგია და ამით საფრანგეთიდამ შემოსა-
სევს მტერს კარი თითქმის დაუკეტა და ეხლა როგორ
უნდა დასთმოს!... გაჭირება მიჩვენე და გაქცევას
გიჩვენებო, ნათქვამია. გაჭირებას ბევრი რამე შეუძლიან.
ამოდენად რა უჭირს დღეს გერმანიას? ის უჭირს, რომ,
როგორც ამას წინადაც ვსთქვით, ბატონობა ევროპაში
ხელიდამ მისდის გერმანიასა და ამის გამო თვითონ
პრუსიას გერმანიაში გეგემონია უქარწყლდება. პრუსიის
გეგემონის მომდურავი ბევრია გერმანიაში და ევროპაში
გერმანიის აბრუს გატეხას პრუსიის აბრუს გატეხა
მოსდევს და ყოველივე ეს ისეთი რამ არის თ. ბისმარ-
კისათვის, რომ ამასთან ელზას-ლოტარინგიაზედ ხელის
აღება ჩალად არა ჰღირს.

ასეა თუ ისე, დღეს ჩვენ ამაზედ არა გვსურდა
ჩამოგვეგდო სიტყვა, ჩვენ მხოლოდ ის გვინდოდა
გვეთქვა, რომ ლამის ჩვენი ნათქვამი ელზას-
ლოტარინგიაზედ გამართლდეს, "Московския Ведомости"
-ში ეხლახან დაბეჭდილია კორრესპონდენცია
პარიჟიდამ და ამ საგნის შესახებ მეტად საინტერესო
ამბავია მოთხრობილი. კორრესპონდენტი ამბობს:

"თ. ბისმარკი ამ წამს ყოველ ღონესა
ჰხმარობს დააჯეროს საფრანგეთი, რომ
ჩემგან ნურაფრის შიში ნუ გაქვთო, ეგ
კიდევ არაფერი. თ. ბისმარკი ხელის გულ-
ზედ უგორდება საფრანგეთსა და სამაცდურო
პირობას უდებს, თუ გულწრფელად შემი-
რიგდები და აღმითქვამ, ხელს არ გამოიღებ,
თუ ვინიცობაა სადმე საომრად გავებაო.
სხვათა შორის პირობას აძლევს ელზას -
ლოტარინგიას ლუქსემბურგს შემოვუერთებო
და სანეიტრალო ქვეყნად შევქმნი გერმანიისა
და საფრანგეთის შორისაო: არც ჩვენი იყოს
და არც თქვენიო. ამის სამაგიეროდ მე ჰო-
ლანდიას ჩავკიდებ ხელსაო. ისე გადაკვრით
კი უფრო მოსაზიდავს პირობას უთვლის:

ელზას-ლოტარინგიას შენ დაგიბრუნებ და მე
ბელგიას და ჰოლანდიას დავიჭერო".

გამოდის, რომ ჩვენი წინად თქმული სიტყვა ისე
ალალბედად ნათქვამი და დაუჯერებელი არ არის,
როგორც შესაძლო იყო მიეჩნია ვისმე. მაინცდამაინც
შესანიშნავი ამბავია სახელგანთქმულის ლესეპსის
გაგზავნა გერმანიაში. საფრანგეთმა ეს სახელოვანი
კაცი გაისტუმრა გერმანიაში ვითომ იმისათვის, რომ
საფრანგეთის ელჩს ჰერბერტს "საპატიო ლეგიონის"
ნიშანი მიუტანოს. ძნელად საფიქრებელია, რომ
ამისთანა გამოჩენილი კაცი, როგორც ლესეპსია, ამ
უბრალო საქმისათვის შეეწუხებინათ და მოეცდინათ.
ყველამ კარგად იცის, ლესეპსი იმისთანა სახელის
კაცია, რომ ყველგან დიდის პატივით იქნება გერმანიაში
მიღებული, იმპერატორ ვილჰელმიდამ დაწყებული
უკანასკნელ გერმანიელამდე. სწორედ ამ მიზეზით მის
მისვლა-მოსვლას იმპერატორ ვილჰელმთან, ბისმარკთან
და სხვა დიდკაცებთან საპოლიტიკო მნიშვნელობას
ისეთის გაბედვით ვერავინ შესწამებს და მაშასადამე,
აყალ-მაყალის ატეხას დიპლომატიაში ცოტად თუ
ბევრად გზა შეეკვრის. სხვა კაცი რომ გაეგზავნა
საფრანგეთს ნიშანის წასაღებად და იმპერატორ
ვილჰელმს, ბისმარკს ან სხვა დიდკაცს ვისმე ენახა,
მაშინვე ატყდებოდნენ დიპლომატები ცალკე და
ჟურნალ-გაზეთები ცალკე, რად ინახულა ვილჰელმა,
ბისმარკმა, ან სხვა, თუ აქ საპოლიტიკო საქმე რამ არ
იყოსო. ლესეპზედ კი ამას არ იტყვიან, იმიტომ, რომ
ამას თავისის გამოჩენილის სახელითაც ყველგან კარი
ღია დაჰხვდება, რომელს ქვეყანაშიაც უნდა მივიდეს.
მართლადაც, ყველგან გერმანიაში ლესეპსი დიდის
პატივით მიღებულ იქმნა. ახლა ჩვენ რომ ჩავუფიქრდეთ
ამ ამბავსა, დავიჯეროთღა, რომ ამ ლესეპს არაფერი
არა აქვს რა დავალებული საფრანგეთის მთავრობი-
საგან!... დავიჯეროთ, რომ ზემოთ მოყვანილ კორესპონ-
დენტის ნაამბობი აქ არაფერს შუაშია!

ეს კი აშკარაა, რომ ლესეპსის გერმანიაში მისვლის შემდეგ ძალიან დაუწყნარდნენ ერთმანეთს გერმანია და საფრანგეთი და ისე აპილპილებულნი აღარ არიან, როგორც აქამომდე იყვნენ. თუ ეს მართალი გამოდგება, გვიხარიან, რომ ამ მხრით შიშის მოლოდინი აღარ ექმნება ქვეყანასა, უამისოდაც ლოდინით დაღალულსა და შეწუხებულსა.

«ავსტრიის ორჭოფული პოლიტიკა»

ტფილისი, 12 მარტი

არაერთხელ გვითქვამს ჩვენ, რომ ავსტრია ისტორიის ვითარებათა გამო ორწყალშუაა ჩამდგარი. გამოდევნილი 1886 წელს გერმანიიდამ, საცა ამ წლამდე იგი თითქმის მარტო უპირატესობდა, მან, მეტი გზა არ იყო, ხელი დაიბანა გერმანიაში ბატონობაზე, გამოეცალა პრუსიის უძველეს მეტოქობას და პირი აღმოსავლეთისაკენ იბრუნა. გულში კი, რასაკვირველია, ეს თავისი მარცხი ხვანჯად ღრმად შეინახა. მოშორდა დასავლეთს, მაგრამ არც აღმოსავლეთი დახვდა უმეტოქოდ. აქ პირისპირ შეხვდა მას რუსეთი, რომლის მეტოქობაც ავსტრიისათვის თითქმის იმოდენადვე უძლეველია, რამოდენადაც ეხლანდელი გერმანია, თუ უფრო მეტი არა, იმიტომ, რომ რუსეთი აღმოსავლეთზედ თავის დღეში ხელს არ აიღებს თავგამოუმეტებლად. რუსეთს ეს თავის ისტორიულ დანიშნულებად მიაჩნია. ამგვარმა დროთა ვითარებისაგან წარმომდგარმა მდგომარეობამ ავსტრია ძალაუნებურად დამოკიდებული გახადა ერთის მხრით, გერმანიაზედ და მეორეს მხრით, რუსეთზედ. ასე რომ, ვერც აღმოსავლეთისაკენ გაიწევს, თუ გერმანიამ ხელი არ შეუწყო, ვერც დასავლეთისაკენ, თუ რუსეთმა მხარი არ მისცა. ამიტომაც 1886 წლიდამ დღემდე ავსტრია ამ ორთა ძლიერთა სახელმწიფოთა შორის ჰტოკავს და

თავისი საკუთარის, სხვაზედ დამოუკიდებელის პოლიტიკისათვის ხელი ვერ ჩაუკიდნია. ამ ძალაუნებურს მდგომარეობას ავსტრიისას ის მოჰყვა, რომ ხან გარემოება ევროპის პოლიტიკისა დაყუჩებულს და ჯერ არ გამთელებულს ძველს ტკივილებს დასავლეთისას მოჰგვრის ხოლმე ავსტრიასა, ხან აღმოსავლეთის ახლად აჩენილს სანატრელზედ საღერღელს აუშლის. ეგ იმაზეა ხოლმე დამოკიდებული თუ, რა დროს, ვის, როგორ უცინის პოლიტიკის ბედი.

მინამ გერმანია მყარ კლდესავით შეურყეველი ეგონათ ყველას, ავსტრიას თავისი პოლიტიკა ნალოსავით გამობმული ჰქონდა გერმანიის პოლიტიკაზედ და ის გულში შენახული ხვანჯი ძველის მარცხისა შიშით სულგანაბული იყო. თვითონ ბავარიის კოროლის უეცარმა სიკვდილმაც კი, რომელსაც არ შეეძლო არ აეშალა ძველი ტკივილი ავსტრიისათვის, ვერ გააბედვინა ავსტრიას ხმა ამოეღო, თუმცა მეტისმეტი მიზეზიანი საქმე იყო ძველის ანგარიშების გასაწმენდავად გერმანიაში. ესეთი ხმაამოუღებლობა სიფრთხილეს ავსტრიისას უნდა მიეწეროს და არა იმას, რომ ავსტრიას სამუდამოდ გულიდამ ამოღებული აქვს წყურვილი გერმანიაში უწინდელებრ ფეხის შედგმისა. ჰაბსბურგების იმპერატორები არასდროს არ დაივიწყებენ, რომ ერთს დროს გერმანიის იმპერატორები იყვნენ და იმავ დროს ავსტრიას პირველი ხმა ჰქონდა გერმანიაში.

ეხლა დრო შეიცვალა. ამ უკანასკნელ დროში აღმოჩნდა, რომ გერმანიას დღეს მარტო არა აქვს დარჩენილი ევროპიის პოლიტიკის ბურთი და მოედანი. ყველა ჰხედავს, რომ დღეს გერმანიას ცალის მხრით, საფრანგეთის ძლიერება ასუსტებს და, მეორეს მხრით, რუსეთისა და ამით გერმანიის ბატონობასა და უძლეველობას ევროპაში ძირი ერყევა. ამას კარგადა ჰხედავს ავსტრიაცა, რომელმაც თავისი მუქარის ხმა რუსეთის მიმართ ეხლა უფრო ტკბილს გალობაზედ შესცვალა. თუ გაზეთებს დავუჯერებთ, ავსტრია თითქო მოწადინებულია დაჰყვეს რუსეთს ბოლგარიის საქმეში და რუსეთის სურვილის აღსრულებას მხარი მისცეს. რის იმედით? იმ იმედით, რომ გერმანიას, როგორც ეტყობა, დღედადღე საქმე უფრო და უფრო უჭირდება და იქნება ავსტრიის ბედმა ისე იმუშავოს, რომ რასაც ბოლგარიაში დათმობით ავსტრია დაჰკარგავს, ის ერთი ორად გაინაღდოს გერმანიაში. ერთი საფრანგეთის გაზეთი "Matin"–ი აი ამ საგანზედ რას ამბობს თავისის კორრესპონდენტის პირით ვენიდამ:

> "დარწმუნებული იყავით, რომ ავსტრიას ჯერ კიდევ კარგად ახსოვს 1886 წელი. არც გერმანია, არც ბისმარკი აქ არ უყვართ და დღევანდლამდე ავსტრიას იმედი არ გადაუწყვეტია სადოვის* სამაგიეროს გადახდისა. კარგა ხანია ოსტატობა გასდიოდა ბისმარკს, რომ ავსტრიას აღმოსავლეთის პოლიტიკის რაღაც ლანდებით აცდუნებდა, მაგრამ მისმა სიტყვამ რეიხსტაგში ყველას თვალები აუხილა: დღეს ყველა კარგად ჰხედავს, რას მოასწავებს ავსტრიისათვის გერმანიასთან დაზავება. ერთი ეს ვიკითხოთ: იმის მაგიერ, რომ თავი გაიბას აღმოსავლეთის განსაცდელიანს საქმეში, ის არა სჯობია ავსტრიამ უფრო ახლო, თავის გარეშემო მიმოიხედოს და თვალი მოატრიალოს? განა შესაძლებელი არ არის, ოდესმე ავსტრია მიემხროს რუსეთსა და საფრანგეთსა და გაარღვიოს შუა ევროპის სახელმწიფოთა კავშირი? დამიჯერეთ, აქ შეუძლებელი არა არის რა. ამაზედ დღეს ყველგან ლაპარაკობენ და ძალიან ბევრსაც. ერთის სიტყვით, ყველას რაღაც წინად-

* სადოვაზედ დაამარცხა პრუსიამ ავსტრია 1886 წელს.

გრძნობა ეუბნება, რომ დღეს იქნება, თუ ხვალე დიდი ცვლილება უნდა მოჰხდეს და ეგრეთწოდებული სასწორი ევროპისა სხვა ხაზზედ უნდა დაჰდგეს. რა თქმა უნდა, ჯერ ყოველივე ეს სადიპლომატო სფერაში არ არის შესული, მაგრამ მაინცდამაინც ამ ამბების მოვლენის ნიშნები — წინამორბედი — კი ასანუსხავია. გავიხ-სენოთ, რომ კალნოკი წინააღმდეგი არ არს რუსეთთან დაახლოვებისა და რუსეთის ელჩს ვენაში თავ. ლობანოვს, ამ აზრის დიდ თანამ-რგძობელს, ხშირი მისვლა-მოსვლა აქვს ხელმწიფე იმპერატორთან და ბ—ნ გირსთან".

რამდენად მართლადა სჭრის შორმხედველობა ამის მომწერის კორრესპონდენტისა, ამის თქმა ეხლა მეტად ძნელია, იმიტომ, რომ ავსტრია, როგორც სახელმწიფო, ორ წვერად ყელში წაჭირებული, სულ ტოკვაში უნდა იყოს, ვიდრე ერთი რომელიმე მხარე უეჭველს ძლიერებას და ღონეს არ გამოიჩენს. მაშინ, რასაკ-ვირველია, ძლიერს და ღონიერს მიუდგება და, ამის მიხედვით მოჰმართავს რა თავის პოლიტიკასა, ან აღმოსავლეთისაკენ გაიწვდენს ხელს, ან დასავლე-თისაკენ, რადგანაც იქაც და აქაც ორგანვე გულის მოსაფხანი საგანი აქვს და სანატრელი ინტერესი. ესეთი ყოფა ავსტრიისა კარგიც არის და ავიც და როგორ გამოიყენებს ავსტრია, ამას დრო გამოაჩენს.

«პოლემიკური წერილები "ცხოვრება და კანონის გამო"»

წერილი მეორე

ტფილისი, 14 მარტი

ბ-ნმა ხუდადოვმა ჩვენის ერთის მეთაურის გამო მოგვიძღვნა წერილი. იგი წერილი უკვე დაბეჭდილია "ივერიის" № 51-ში. ბ-ნმა ხუდადოვმა დაგვიწუნა, რომ ლიბერალთა დასის კაცნი და იმავ დასის ჟურნალი "Вестник Европы" ვიმოწმეთ ერთს შემთხვევაში. სახელდობრ, იმ შემთხვევაში, რომ სხვადასხვა წოდებათა გამოუკლებლად და განურჩევლად აგება სოფლის საზოგადოებისა თუ თემისა — ლიბერალთა დასის მოძღვრებაა სხვათა შორის. რასაკვირველია, ეს აზრი თავისთავადაც ანიშნებს კაცს, რა ბანაკისაც არის. დღეს ბალღმაც კი იცის, რომ უსწორმასწორობა, უჯრაუჯრობა, გუნდგუნდობა კაცთა საზოგადოების აგებულებაში, — პატარაა იგი საზოგადოება თუ დიდი, — ყველა წარჩინებულ კაცთაგან ცნობილია წარმატების დამაბრკოლებელ მიზეზად. რუსეთშიაც სცნეს ესა, და ამ ბოლოს დროს ჰსცილობენ ერთი განურჩეველი სათემო შეჰქმნან, ეხლანდელ მარტო საგლეხო სათემოს მაგიერ. ყველა განათლებულ ქვეყნებში ეგ პატარა ადმინისტრატიული წრეც სხვასთან ერთად ამ

დედააზრზეა აგებული. ამის ცოდნას დიდი ლარი და ხაზი არ უნდა, — თუ გნებავთ, — მეტიც იყო ჩვენის მხრით, რომ სხვები ვიმოწმეთ. მაგრამ სიტყვამ მოიტანა და ჩვენც იგი მოწმები დავასახელეთ იმისათვის კი არა, რომ ჩვენის აზრის საბუთიანობა იმათს მოწმობაზედ დაგვემყარებინა, არამედ იმისთვის, რომ ამ აზრს ერთ დროს რეტროგრადობა უკიჟინეს, და ამ კიჟინის უკუსაქცევად უკეთესი რა იქნებოდა, თუ არ მოწმობა თვითონ ლიბერალებისა, რომ ეგ ჩვენი აზრი და მოძღვრება არისო. ზოგისათვის ამისთანა ბეჭედდაკრული მოწმობაა საჭირო, რადგანაც თვით ბუნება აზრისა მათთვის მიუწდომელია. ბ-ნს ხუდადოვს კი ჰგონია, რომ ჩვენ თვითონ საბუთიანობა აზრისა ამ მოწმობით გვინდოდა დაგვემტკიცებინა. გონიაობა, თუ სადავე მიუშვით, უფრო შორსაც წავა ხოლმე.

ეგ არაფერი. ჩვენ არც ერთგან არც ერთი სიტყვა არ წაგვცდენია, რომ კაცმა დაგვიწამოს, ვითომ "რიხიანის მუქარით" გვეთქვას, "როგორ გაბედეთ" და ჩვენის მოწმების წინააღმდეგ სთქვით რამეო. მართალია, კაცია და გუნებაო, მაგრამ კაცსაც და გუნაბასაც თავისი სამზღვარი აქვს. გავკადნიერდებით და მოვახსენებთ ბ-ნს ხუდადოვს, რომ იგი ამ სამზღვარს გადაცილებულა, რადგანაც უნებებია და სწორედ ამასა გვწამებს, რომ ჩვენს მეთაურს წერილში ვითომ — "სულ რიხიანი მუქარაა, თუ როგორ გაბედეთ და წინაარმდეგ გრადოვსკისა, არსენიებისა და სპაჩოვიჩისა ხმა ამოიღეთო".

ბ-ნ ხუდადოვის ადგილას ჩვენ ამისთანა სულელობას არავის შევწამებდით. აქ "კაცია და გუნება" — ვერაფერი მეშვეულია. იმას, რაც ბ-ნმა ხუდადოვმა შეგვწამა, არც ვიტყვით თავის დღეში და არც გვითქვამს, და ვინც ესა სთქვა, იმასვე შეეკამათოს ამისი დამწამებელი, თუ საკმაო მოცალეობა აქვს. ბ-ნის ხუდადოვის წერილი სხვა მხრით არის შესანიშნავი. იქ ერთი აზრია გამოთქმული. რომელსაც ერთს დროს დიდი ფხა და ავალა ჰქონდა რუსეთში და რომელმაც

მარტო მით, რომ ცნობიერად გაგებული არ იყო, არა ერთსა და ორს ყმაწვილკაცს გზა-კვალი დაუბნივა იქაც და ჩვენშიაც. ამ აზრს ბ-ნ ხუდადოვისაგან ბუნდად, ყრუდ და გაკვირვით გამოთქმულს, განმარტება უნდა, და თუ დღეს ბ-ნ ხუდადოვის წერილის გამო ჩამოვაგდეთ ლაპარაკი ჩვენი თავდაპირველი სურვილი მაგ აზრის განმარტებაა.

ავტორიტეტების მოწმად მოწვევის გამო ბ-ნ ხუდადოვი ერთს, ცოტა არ იყოს ჟამთა ვითარებით გახუნებულს ზოგადს აზრს გვიქადაგებს ამ სახით:

"ეჰ, დარბაისელო, დიდიხანია კერპთმსახურება გადავარდა და სხვადასხვა ბობოლების თაყვანისცემა უგუნურობად მიგვაჩნია."

ჩვენ რომ ბ-ნ ხუდადოვსავით, კაცია და გუნება — ამ ანდაზას დავადგენთ, ვიტყოდით, რომ ეს მეტისმეტი მოსვლია ამის მთქმელს და ამაოდ თავმოწონებას უფრო მოასწავებს, ვიდრე დამჯდარ გონების გამონაკვლევს. მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით, რომ ბ-ნ ხუდადოვი გონებაგახსნილი კაცია, ნასწავლია, მცოდნეა და ამოტომ ვამბობთ, რომ ამ სიტყვებში ის არ უნდა ვიგულისხმოთ, რასაც სიტყვები პირდაპირ გვეუბნებიან. თუ არა ვცდებით, — ბ-ნს ხუდადოვს ამით იმისი თქმა უნდა, რომ ავტორიტეტები, ესე იგი, ყველასგან ცნობილნი, სახელმოპოებულნი მეცნიერნი ყოველთვის არიან და იქნებიან, და იმათი თაყვანისცემა არ დაილევა ქვეყნიერობაზედ, ვიდრე ადამიანის ჭეშმარიტს ღვაწლს, ზედისმიწევნილ ცოდნას, მეცნიერებას, სიბრძნეს და ამათით მოპოვებულს სახელს კაცის თვალში პატივი, ფასი და დიდება ექნებათ. ხოლო ბრმად დაჯერება ყოველ იმისა, რასაც ავტორიტეტი ამბობს, რის შემოწმებასაც ყურისმგდებელი ჭკუა, გონება მისწვდება და რასაც ეს შემოწმება უარჰყობს, — მართლა დიდი ხანია უგუნურობად არის მიჩნეული. თვით იკვლიე, თუ შეძლება და გარემოება შეგწევს, მოსჩრხრიკე, შეამოწმე, და თუ ავტორიტეტის აზრი გამართლდა, დაიჯერე მხოლოდ მაშინ, და ამ სახით

შენს საკუთარ რწმენად გარდაჰქმენ სხვისაგან აღმოჩენილი და ნაკვლები, ხოლო საცა გონება და ჭკუა, რომელისამე მიზეზით, ვერ მიგიწვდეს და არჩევანში ხარ, შენს არგამორკვეულს აზრს, არ-ცოდნას, სხვისი, სახელგანთქმულის მეცნიერის, გარ-კვეული აზრი და ცოდნა მოაშველეო, — აი, ეს არის ეხლანდელი მოძღვრება ავტორიტეტების გამო, და ბრმად დანდობა კი და აყოლა სხვისა იქ, საცა შენი საკუთარი გონება საბუთიანად სხვაგვარად გაჭრის, — ეგ უწინდებური ცოდვაა, უგუნურობად მიჩნეული და სამართლიანად განდევნილი, უარყოფილი. აქაო და არისტოტელმა სთქვაო, და რაც უნდა აშკარად დასარღვევი საბუთი გქონდათ, არისტოტელეს სიტყვას ვერ შეუბრუნდით, ცოდვად ჩაგვითვლიდნენ, დიდი ხანია, ესე ბრმად აყოლა, ესე დაძაბუნება ჭკუისა და გონებისა ჩვენდა საბედნიეროდ ჩაილულის წყალს გაჰყვა.

მაგრამ აქედამ სრულებით ის არ გამოდის, რომ ავტორიტეტობა ეხლა შემუსვრილია და თაყვანისცემა მისი უგუნურობად ცნობილი. აი სწორედ ეგრედ უმეცრად გაგებულმა გამოლაშქრებამ ავტორიტეტებზედ დოინჯი შემოაყრევინა მტკნარს უვიცობას და აძახებინა: შექსპირი, სპენსერი, ჰეკსლი, ჰეკკელი ვინა გდიაო; ავტორიტეტები რას მიქვიან, და სხვანი და სხვანი. ასეთმა თავგასულობამ უვიცობისა ბევრს აურია გზა და კვალი. იმიტომ, რომ ამისთანად თავგასული კაცი ხომ თვითონ არა არის რა, სხვასაც არავის კაცად არ აგდებს. ნუთუ ეს გონიერება და ჰეკსლის და ჰეკკელის დიდ მეცნიერებად, დიდ ავტორიტეტად ცნობა და თაყვანისცემა კი უგუნურობაა.

ჩვენ არა გვგონია, რომ ამის თქმა სდომებოდეს ბ-ნს ხუდადოვს, და თუ მართლა იმის თქმა ჰსურვებია, რასაც მისი ზემოდ მოყვანილი სიტყვები პირდაპირ გვეუბნებიან, მაშინ სხვაა და ამაზედ შემდეგს ნომერში მოვილაპარაკებთ.

კაცმა რომ სთქვას ავტორიტეტობა, ავტორიტეტი დიდი ხანია გადავარდა და თაყვანისცემა ერთისა და მეორისაც უგუნურობა არისო, — ან არ უნდა ესმოდეს, რას ჰნიშნავს ავტორიტეტობა და ავტორიტეტი, ან ამისი თქმა არ ჰსურვებია. ეს ცხადად გამოჩნდება, თუ ამ სიტყვების ჭეშმარიტს მნიშვნელობას გონების თვალწინ წარმოვიდგენთ.

მართლადა რა არის ავტორიტეტობა, ავტორიტეტი, ესე იგი ის, რასაც ბ-ნი ხუდადოვი "ბობოლაობის" და "ბობოლას" სახელით წინდაუხედავად სასაცილოდ იგდებს? ავტორიტეტობა იმ შემთხვევაში, რა შემ-თხვევაშიაც ბ-ნ ხუდადოვს უნებებია მისი დევნა და განდევნა, იმ გავლენიან სახელოვანებისა ჰქვიან, რო-მელსაც ადამიანი მოიპოვებს ხოლმე დიდის სიბრძნით, დიდის გამოცდილებით, დიდის მეცნიერობით*. ავტო-რიტეტი მეცნიერებაში იგი კაცია, რომელსაც მის მიერ შეთვისებულს მეცნიერებაში გაუთქვამს სახელი და მოუპოვებია ნდობა იმოდენად შეურყეველად და უცილობელად, რომ ერთიც და მეორეც საკმაო თავმდებია მისის აზრის შეუცდომელობისა. ამისთანა კაცები, კაცთა საბედნიეროდ და ბ-ნ ხუდადოვის გულის საწყრომად და სასაცილოდ, ცოტანი არ არიან ქვეყ-ნიერობაზედ და მათ შორის ჩვენც თუნდა იმათ დავასა-ხელებთ, ვინც თვითონ ბ-ს ხუდადოვს ჩამოუთვლია თავის წერილში, სახელდობრ: სპენსერი, ჰეკსლი და ჰეკკელი. ეხლა ვიკითხოთ: როდის გადავარდა თუნდ ამათი ავტორიტეტობა? ნეტა როდის შეჰმუსრა ამათი სახელი და ნდობა ან ბ-ნმა ხუდადოვიმა და ან სხვამა? და თუ შეჰმუსრა, აქედამ სხვა არა გამოვიდა რა, რომ შემუსრვილის მაგიერ შემმუსრველი ჩადგებოდა;

* არის კიდევ ერთგვარი ავტორიტეტობა, ავტორიტეტობა უფლებისა, რომლის მნიშვნელობა უფლების მნიშვნელობაზეა დამოკიდებული. ამ გვარს ავტორიტეტობას აქ არ ვიხსენიებთ, რადგანაც ჩვენს საბაასო საგანთან არავითარი კავშირი არა აქვს.

მაშასადამე, ავტორიტეტობა მაინც ავტორიტეტობად დარჩებოდა, თუმცა ეხლა სხვა კაცის სახელს დაირქმევდა.

რა არის ბ-ნ ხუდადოვის მიერ ამ შემთხვევაში ხსენებული "თაყვანისცემა", თუ არ ისა, რომ კაცი გავლენიან სახელოვანობას სპენსერისას, ჰეკსლისას, ჰეკკელისას და მათთა მიმართ ნდობას აღიარებს მით, რომ იგინი უფრო შეუცდომელნი ჰგონია, ვიდრე, მაგალითად, რედაქტორი "ივერიისა", ან თუნდა თვითონ ბ-ნი ხუდადოვი? ნუთუ ამას უგუნურობად ჩასთვლის ვინმე! იქნება ეგეც მოხდეს, მაგრამ ეს სასაცილო ჩათვლა მოსალოდნელია ამ შემთხვევაში მარტო ორი კაცისაგან: "ივერიის" რედაქტორისა და ბ-ნ ხუდადოვისაგან, ისიც უსათუოდ მაშინ, თუ ერთსაც და მეორესაც აბრუ გასიებული ექნებათ იმ ერთნაირ ავადმყოფობისაგან, რომელსაც ამაო თავმოყვარეობას, ტყუილს აბრუს ეძახიან და რომელაც წამალი არა აქვს. მაშ რად მიაჩნია თაყვანისცემა სპენსერისა, ჰეკსლისა და ჰეკკელისა უგუნურობად ბ-ნ ხუდადოვსა? ამისი თქმა და იმისი, რომ სპენსერს, ჰეკსლს და ჰეკკელს ნურას დაუჯერებთო — ხომ ერთი და იგივეა. ნეტა რომელი კაცი იტყვის ქვეყანაზედ, რომ ნურას დაუჯერებთო ამ ჭკუით, ცოდნით, სიბრძნით, მეცნიერებით გამოჩენილს და მთელის ქვეყნისაგან ამ სახით ცნობილს კაცებს, და თუ დაუჯერებთ, უგუნურობა იქნებაო. მაშ, ყველაფერი დავიჯეროთ ამათიო? — იკითხავთ თქვენ. დიახ. სწორედ ყველაფერი, ვიდრე წინააღმდეგის უეჭველი საბუთი ხელთ არა გაქვთ.

დღეს რომ კრიტიკას თავისუფალი გზა და მსვლელობა აქვს და რა ავტორიტეტიც გინდა იყოს, კაცი არ ერიდება კრიტიკის ქარცეცხლში გამოატაროს, ნუთუ ბ-ნი ხუდადოვი ამაში ჰხედავს ავტორიტეტების მიმართ თაყვანისცემის უგუნურობასა! კრიტიკით და მთელის დღევანდელის მეცნიერობის ძალით რომ იერიში მიიტანონ, ვსთქვათ, ჰეკლსა და ჰეკკელზედ, ნუთუ ჰგონიათ, რომ ამით მათი ავტორიტეტობა

დადნება, შეიმუსრება და არა უფრო შემოწმდება, გამართლდება და მით უფრო თაყვანისცემა არ მოემატება ერთსაცა და მეორესაც! განა სასაცილო არ იქნება, რომ კაცს თაყვანისცემა მაშინ მოაკლო, მისი სახელი მაშინ შეჰმუსრო, როცა უტყუარად და კარგად შემოწმებულის საბუთით დამტკიცდება, რომ მისი ნათქვამი გამართლდა. აქ, პირიქით, ავტორიტეტობამ უფრო უნდა იმატოს, თაყვანისცემა და პატივი უფრო უნდა გაძლიერდეს. სწორედ ესეც არის ამ წუთისსოფელში, და არ ვიცით, — ეს ამბავი რად უნდა მიაჩნდეს ვისმე უგუნურობად, — და თუ მიაჩნია, ეგ ახალი კი არ არის, ძალიან ძველისძველი ამბავია, და სახელადაც დონკიხოტობა ჰქვიან. ვიდრე კრიტიკას არ გაუმტყუნებია ავტორიტეტად ცნობილი კაცი, მის ავტორიტეტობას ვერავინ შეჰმუსრავს მარტო იმით, რომ დილიდამ საღამომდი და საღამოდამ დილამდე იძახოს ბ-ნ ხუდადოვისავით: მე უგუნურობად მიმაჩნია ავტორიტეტს თაყვანი ვცეო.

სწორედ კრიტიკით შემოწმებულთა და გამართლებულთა მეცნიერთა მოიპოვეს იგი სახელი და თაყვანისცემა, რომელიც ბ-ნ ხუდადოვს უგუნურობად ჰგონია. კაცობრიობა არ შეუშინდა ბ-ნ ხუდადოვის მკაცრს განაჩენსა და მისგან უგუნურობის დარქმევა იკისრა, და ის კი ვერ უარჰყო, რომ ქვეყანაზედ სანდო მეცნიერნი არიან და მერე ღირსნიც თაყვანისცემისა.

დავანებოთ ამას ყველაფერს თავი. ერთი ეს ვიკითხოთ: ვითომ უგუნურობად უნდა მივიჩნიოთ, რომ თვითონ დიდნი ბრძენნი, უდიდესნი მეცნიერნი და ავტორიტეტები ხშირად სხვა ავტორიტეტებს იმოწმებენ ხოლმე? რომელიც გნებავთ წიგნი აიღეთ დიდის მეცნიერისა, ძნელად შევხვდებით იმისთანას, რომ ერთი მეორეს არ იმოწმებდეს. — ნუთუ ამისი მომქმედნი ყველანი უგუნურები არიან, რომ ასე თაყვანსცემენ ავტორიტეტსა! აი თუნდა ჯონ სტუარტ მილლი, სახელოვანი მეცნიერი, რომლის წიგნი ამჟამად ხელში შეგვხვდა, — ერთს ადგილას რას ამბობს თავის აზრის

დასამტკიცებლად: მომყავსო “ მოწმობა სიმონდისა, რომელსა სხვა მწერლებზედ მეტი უპირატესობა იმითი ეკუთვნის, რომ ყველაზედ ზედმიწევნით და დაახ-ლოებით იცის საქმეო”.

ბ-ნ ხუდადოვის სიტყვით, ჯონ სტუარტ მილლი დიდი უგუნური კაცი ყოფილა, რომ ამისთანა თაყვანი უცია ავტორიტეტად ცნობილისათვის. რა მილლი? განა სხვა სახელგათქმულნი მეცნიერნი კი ცოტანი არიან, რომ სხვის საავტორიტეტო სიტყვით აძლიერებენ, ამტკიცებენ თავიანთ აზრსა, და ზოგჯერ უამისობას ვერსად ვერ წასვლიან! მაშ ეს სულ უგუნურობად უნდა მივიჩნიოთ! მაშ ჩვენზედ უფრო მეტს მცოდნეს, ჩვენზედ უფრო მეტის ზედმიწევნით მკვლევარს აზრისას, მერე იმისთანას, რომელიც ქვეყანიერობისაგან უკეთეს მცოდნედ და უკეთეს მკვლევარად ცნობილია და გათქმული, — ფასი აღარ ადევს, და ვინც ფასსა სდებს, იგი უგუნურია! ამის მთქმელი და იმისა, რომ ჩემზედ ჭკვიანი, ჩემზედ უფრო მცოდნე ქვეყანაზედ არავინ არისო, — განა ერთმანეთზედ ძალიან შორს იქნებიან!

თუმცა ბრმად მინდობა და აყოლა სხვისა ძალიან ცუდია, მაგრამ არც კი ბრმად დაჟინებაა კარგი იმისა, რომ დიდსახელოვანის სახელგანთქმულის მეცნიერის პატივი და თაყვანისცემა უგუნურობა იყოს. არა, ბატონო, სწორედ ამისთანა კაცს უნდა პატივი და თაყვანისცემა, თუნდა იმით, რომ იმისი სიტყვა, თუნდ შეუმოწმებლადაც კი, სხვისაზედ წინ დააყენო, თუ გამტყუნებული არ არის უეჭველის საბუთითა. სხვამ რაც უნდა გიკიჟინოთ, და თუ ერთსა და იმავე საგანზედ ჰეკსლი ერთს ამბობს და, თუნდ მაგალითად, ბ-ნი ხუდადოვი სხვას, იცოდეთ, რომ უგუნურობაში არავინ არ ჩამოგართმევთ, თუ ჰეკსლს უფრო დაუჯერებთ, ვიდრე ბ-ნს ხუდადოვს. თუ თქვენის აზრის გასამართლებლად ჰეკკელს იმოწმებთ ბ-ნ ხუდადოვის წინააღმდეგ, ან თვითონ ბ-ნ ხუდა-დოვისაგან დაწუნებულ სპასოვიჩსა — სასისხლო რჯუ-

ლიერობის მეცნიერებაში, არც ეს იქნება ახირებული სულელობა. შესაძლოა გვითხრან: განა ბ-ნ ხუდადოვს არ ძალუძს ჰეკსლს, ჰეკკელს აჯობოსო. შესაძლოა, რადგანაც მსჯობს მჯობი არ დაელევა, მაგრან მინამ ბ-ნი ხუდადოვი ამას იქმოდეს, იმ დრომდე — ნურას უკაცრაოდ, რომ ჰეკსლი, ჰეკკელი ავტორიტეტად ვიცნოთ და თაყვანი ვცეთ მარტო იმით, რომ მათი სიტყვა უფრო ვიჯეროთ, თუ აშკარა საბუთი არ გვექნება დასარღვევად.

ეს ამისთანა ლაზტის ქნევა ავტორიტეტების შესამუსრავად ცხონებულ პისარევის შემდეგ მოვიდა რუსეთში; ცოტა ხანს იფარფაშა და მერე აპრიალებულ ჩალასავით ჩაჰქრა, და დღეს ამის გამო მარტო ჩვენ და ბ-ნი ხუდადოვიღა ვლაპარაკობთ მთელს ქვეყ-ნიერობაზედ. სხვისათვის კი აქ საკამათო აღარ არის რა. დღეს ბალღმაც კი იცის, რომ თქვენი აზრი, დიდის რომელიმესამე მეცნიერის სიტყვით შემოწმებული, უფრო სანდოა, უფრო დასაჯერი, და ამ მოწმობას ქვეყანაზედ არავინა ჰკითხულობს იმის შიშით, რომ ბ-ნი ხუდადოვი უგუნურობას დამწამებსო.

ხოლო პისარევის სახელის ამ მხრით შეუბღა-ლველობისათვის ისიც უნდა ვსთქვათ, რომ იგი სრულად იმას არა ჰქადაგობდა, რასაც დღეს ბ-ნი ხუდადოვი გვეუბნება ავტორიტეტის შესახებ. მარტო უვიცობამ წაართვა სადავე კაცსა და პისარევის მოძღვრება ამ საგნის თაობაზედ ჰერკულესის სვეტე-ბამდე მიიყვანა. აქ პისარევის არავითარი ბრალი არა აქვს.

ავტორიტეტობა ყოველთვის იქნება მეცნიერობაშიაც და ცხოვრებაშიაც. სნეული რომ მკურნალს მიჰმართავს ხოლმე, — როგორც ჰგონია ბ-ნს ხუდადოვს, — რა მოქმედობს აქ, თუ არ რწმენა, რომ მკურნალი მკურნალობის უკეთესი მცოდნეა, და ეს რწმენა რა არის, თუ არ იგივ ავტორიტეტობა კაცისა, რომელსაც მკურნალობაში იმოდენა უკეთესობის სახელი და ნდობა ყველასათვის საკმაო თავმდებია მისის ამ საქმეში

უპირატესობისა? მოდით და ამას იქით სულელი დაუძახეთ მას, ვინც ამ შემთხვევაში მკურნალს ენდობა და უჯერებს. თუ გვკითხავთ, იგი "კერპთმსახურება" და იგი "თაყვანისცემა", რომელიც ბ-ნ ხუდადოვს უგუნურობად მიაჩნია, აქ უფრო საგულისხმოა, რადგანაც ამ შემთხვევაში ბრმად დანდობას, ბრმად დაჯერებას უფრო მეტი ადგილი უჭირავს, ვიდრე სხვა რაშიმე და თითქმის აუცილებელიც არის. მაშასადამე, იგი ნდობა და დაჯერება რომელიც კაცს მკურნალისკენ იზიდავს, ბ-ნ ხუდადოვის სიტყვით, "კერპთმსახურებაა", რომელიც დიდი ხანია გარდავარდნილა, "ბობოლაების თაყვანისცემა", რომელიც ბ-ნს ხუდადოვს უგუნურობად მიაჩნია. სხვა მეცნიერთ ვიღა სჩივის, ვაი მკურნალთა, თუ ეს მართლა ასეა, ქვეყნის საუბედუროდ.

«ტრაგედია რკინიგზაზე»

ტფილისი, 26 მარტი

ჩვენის გაზეთის მკითხველებმა უკვე იციან — რა უბედურება მოხდა რკინიგზის გზაზედ წიფასა და ფონას სადგურებს შუა. ზვავი მიწისა მორღვეულა, დასცემია საყარაულოსა, მიუნგრევ-მოუნგრევია საყარაულო, საცა სძინებია თორმეტ მუშა-კაცსა, ქვეშ გაუტანია ყველა ესენი და გამოუსალმებია წუთისსოფლისათვის თავისიანთა და მახლობელთა დაუტირებლად.

საცოდავნი!... შიმშილისა და წყურვილისაგან საიდამ სად წასულან სამუშაოდ, უწყალო ბედმა სად გაუთხარა სამარე? კორრესპონდენტები იწერებიან, საცოდავებს ცოლები და წვრილშვილნი დარჩენიათ. სწორედ ამ ცოლ—შვილის, გაჭირების მაყურებელთა ვეღარ აიტანეს ნაკლებულობა და მწუხარება, ცოლ-შვილს გამოეთხოვნენ იმ აზრით, რომ წავალთ, გავირჯებით, ორიოდ გროშს ვიპოვით და აღდგომა დღეს მაინც მაძღრობისას და სიხარულისას გაგითენებთო, მაგრამ მათმა შავ-ბედმა ისე იმუშავა, რომ იგინი შეაკლა ამ იმედს. ჩვენი კორრესპონდენტი იწერება.

ასე უეცრად გამოესალმნენ ეს საცოდავნი ამ წუთისოფელს და ნათესავთა და ცოლ-შვილთა ცრემლი

არ ეღირსათ. ათას გაჭირებას გაუძლეს იმ იმედით, რომ სააღდგომოდ მაინც ვნახავთ ჩვენს ცოლ-შვილს და გავახარებთ ჩვენის ნამუშევარითაო. მაგრამ ისე თქვენმა მტერმა გაიხაროს, როგორც მათი ცოლ-შვილი გაიხარებს ამ ამბის გაგონებაზედ!...

იმედმა ორიოდე დღის გამძღრობისამ ისე უმტყუნა, რომ სამუდამო წყარო საზდოებისაც სრულად დაუშრო მათს დამშეულს ცოლ-შვილსა, სიხარული აღდგომისა საუკუნოდ მიძინების გლოვად გადაუქცია. აღდგომის ცისკრის ზარი მათთვის გლოვის ზარი იქნება, სიხარული აღდგომისა მათთვის ტირილი და თავში ცემა იქნება. ყველანი იტყვიან ყოველთა ქრისტიანთა სასიხარულო სიტყვას: ქრისტე აღსდგაო და იმათ კი თავში ცემით, პირთა ხოკვით, ვიშით და ვაით უნა სთქვან: პატრონი მოგვიკვდაო. მათთვის საფლავი გაირღვა მკვდარის აღდგომისათვის კი არა, ცოცხალის დამარხვისათვის!...

მათ მარტო საყვარელი ქმარი, მამა, ძმა კი არ მოუკვდათ, მოუკვდათ ლუკმის მომაწვდენელი კაცი, მოუკვდათ ის, ვისზედაც დამოკიდებულია ხუთისა, ექვსისა და იქნება მეტისაც გამოზდა, გამოკვება, ჯანმრთელობა, სიცოცხლე.

საყვარელის ქმარის, მამის ანუ ძმის გლოვა სულის მწუხარებაა. აქ ჩვენ ვერც ამის სიმწვავეს გავუნელებთ ჭირისუფალთა და ვერც ტკივილს დანაკარგისას დავაყუჩებთ. ეგ სულის ვაებაა და აქ მოყვასი მოყვასს ხელს მაგრერიგად ვერ მიაწვდენს: ვერც სიტყვა ნუგეშისა სჭრის საკმაოდ, ვერც ცრემლი გულშემატკივარობისა. თუ აქ ვერას ვუშველით ჭირისუფალთა, ეს ხომ ჩვენს ხელთ არის, რომ მათი ცოლ-შვილნი, მათი უსუსურნი წვრილშვილნი, მათი დაობლებული ოჯახი მათს შემდეგ ორიოდე დღე მაინც შევინახოთ უშიმშილოდ, უმწყურვალოდ. თუ სამუდამოდ არა, სააღდგომოდ მაინც მივაწოდოთ თითო ლუკმა, რომ მათმა ბალღებმა ამ საუფლისწულო დღეს

მაინც არავის შეჰნატრონ, არავის შესტორონ: გვშიან, პური მოგვიტეხეთო. ამას ითხოვს კაცთმოყვარეობა, ამას ითხოვს იგი ღმერთი, რომელიც ღარიბთა და გაჭირებულთათვის ჯვარს ეცვა და რომლის სადიდებლადაც აღდგომა დღეს მთელი ქრისტიანობა სიხარულით იგალობებს: ქრისტე აღზდგაო.

ქრისტეს აღზდეგის სახელით მივმართავთ ყველას, რომ თავისი წვლილი შესწირონ ეგრე უბედურად გარდაცვალებულების ოჯახებსა და წვრილშვილსა. ჩვენის გაზეთის რედაქცია ყოველთვის ღია იქნება შემწირველთათვის. ყოველივე შემოწირულობა თავთავის დროზედ გამოცხადებული იქნება გაზეთშივე.

«სიწყნარე ევროპის პოლიტიკურ სარბიელზე»

ტფილისი, 30 მარტი

რა ამბავია ქვეყნიერობაზედ, ანუ უკედ ვსთქვათ, ევროპაში, იმიტომ, რომ დღეს ქვეყნიერობა ევროპაა! გაიმარჯვა ბისმარკმა რეიხსტაგში თუ არა, მისწყდა ხმებიც საფრანგეთისა და გერმანიის შორის შუღლისა და ომის ატეხისა. თვალისათვის იქამდე მიყუჩდა ამ მხრიდამ ქვეყნის ტკივილი, რომ ბისმარკი თითქო მოუტკბილდა კიდეც საფრანგეთსა და მკვახე სიტყვების მაგიერ თითქმის ლაქუციც დაუწყო. დასავლეთიდამ ევროპის სასწორმა გაათავა ტოკვა თუ არა, ახლა აღმოსავლეთიდამ შეიძრა უღელი სასწორისა ხელახ-ლად: ასტყდა ბოლგარიაში რეგენტების წინააღმდეგ აშლილობა. როგორც იყო ამ აშლილობასაც ბოლო მოეღო, თუმცა კანტი-კუნტად ხმა მაინც ისმის, რომ აქა-იქ კიდევ რეგენტების მოპირდაპირენი თავისას არ იშლიანო. შეფუცხუნდა ორპირა ოსმალეთი, გაგზავნა ბოლგარიაში თავის მოციქულად რიზა-ბეი, ვითომ იმისათვის, რომ მოპირდაპირენი ერთმანეთს მოარიგოს და მშვიდობა ჩამოაგდოს.

რა თქმა უნდა, ვერას გახდა რიზა-ბეი და ყველას უკვირს, თუკი ოსმალეთი აწინდელს რეგენტობას უკანონობას სწამებს და მართალ მთავრობად არა სცნობს, ამ ტყუილს მთავრობის წინაშე მოციქული

რადა ჰყავსო? ზოგს სწყინს ეს ამბავი და ჰცდილობს სულთანის წინაშე, რომ რიზა-ბეი უკანვე დააბრუნოს და მოციქული არ იყოლიოს იმ მთავრობის წინაშე, რომელმაც, ოსმალეთის აზრითვე, ძალად და უკანონდ ჩაიგდო ხელში მმართველობა ბოლგარიისა. ზოგს კი უხარიან, რომ ოსმალეთი ასე მოიქცა და თუ სიტყვით არა, საქმით მაინც სულთანმა ისა ჰქმნა, რაც ამ მოხარულთ უნდოდათ, სახელდობრ, ისა, რომ ამ გზით ოსმალეთმაც იცნო ბოლგარიის ეხლანდელი რეგენტები კანონიერ მმართველებად.

მაინცდამაინც ბოლგარიის საქმემ, ესე იგი, იქ მომხდარმა არეულობამ და დასთა ბრძოლამ, ის განსაცდელი არ გამოიწვია, რაც პირველ შეხედვით მოსალოდნელი იყო. როცა ევროპამ ამ მხრითაც გული დაიმშვიდა, თუ სამუდამოდ არა, დროებით მაინც, ახლა გატყვრა უეცარი ამბავი ავღანისტანიდამ. გავარდა ხმა, რომ რჯულის სახელით მფლობელი ავღანისტანისა ომის გამოცხადებას ჰლამისო და ამისათვის მზადებასაც შესდგომიაო. ეს ხმა ვერ გამართლდა, თუმცა ინგლისის გაზეთებმა კი ამ ხმებზედ ფრთები შეისხეს. ძნელი დასაჯერებელიც არის იმიტომ, რომ რჯულის სახელით ომის გამოცხადება მარტო ხალიფას შეუძლიან და ხალიფად მარტო ოსმალეთის ხონთქარი სწამთ მაჰმადიანებს და ხონთქარსვე აბარია მწვანე ბაირაღი მაჰომედისა, რომლის გამოტანა და გაშლა რჯულის ომს მოასწავებს.

ხმა კი მაინც დაგდებული იყო და დღევანდლამდე კიდევ ისმის. გამართლდება ეს ხმა, თუ გამტყუნდება — ეს დღეს ბევრს არას ჰნიშნავს, საქმე ამისთანა ხმის დაგდებაა და ამიტომაც საკითხავი ეს არის: ვის რად უნდა ამისთანა თავგამოდება ავღანის ემირისა? თუ ვისმე ჰსურს წეწვა-გლეჯა მოახდინოს, განა თვითონ კი ევროპაში ნაკლები მიზეზია კბილჩასაკიდებელი? აქ ერთი რამ არის საფიქრებელი: სახელდობრ ისა, რომ სულთანს აშინებენ, რითა? იმით, რომ, ჰა, თუ ჩვენ არ მოგვემხრობი, ავღანის ემირს ავსტეხთ, რჯულის

სახელით ომს გამოვაცხადებინებთ და ამით ხალიფობის გზას ავღანის ემირს გავუხსნით და შენ მაგ ძვირფასს უფლებას ხელიდამ გამოგაცლითო...

ამიტომაც საგულისხმოა, რომ ვინც ავღანის ემირის მიერ მზადების ხმა დააგდო რჯულის სახელით ომისათვის, ბევრს არ ინაღვლებდა გამართლდება, თუ არა ეს ხმა. იმისათვის საკმაოა, რომ სულთანმა ეს შესაძლისი საქმეც სახეში იქონიოს, როცა ჰფიქრობს, საით მიჰმართოს თავისი პოლიტიკა ამ გაჭირებულ დროს, როცა ყოველი სახელმწიფო ევროპისა მეშველს და მომხრეებს ყოველგან და ყოველის ღონით დაეძებს.

ერთი სხვა რამეც არის აქ საფიქრებელი. ხომ არა ჰსურთ, რომ აზიაშიც საქმე აშალონ? იქ ერთის აშლა, ნამეტნავად ავღანისა, აშლის სპარსეთსაც, იქნება ჩინეთიც აალაპარაკოს. შესაძლოა, საქმე იქამდე მივიდეს, რომ თვით ევროპიის სახელმწიფონიც, რომელთაც დიდი ინტერესები აქვთ აზიაში, იძულებულ გახდნენ ხელი გამოიღონ. ამ სახით შესაძლოა ეს სახელმწიფონი ასე შორს გააბან, ასე შორს დაა-ხაფრებინონ ჯარები და ამ სახით ამისთანა ქსლების გამბმელებმა ბურთი და მოედანი ევროპაში მტრებისა და მოპირდაპირეთაგან დააცარიელონ და თვით დაინარჩუნონ.

რასაკვირველია, ყოველივე ეს მარტო ფიქრად მოსასვლელია. ამ საგანზე ბევრი "ჰოც" ითქმის და ბევრი "არაც". მაგრამ თუ ზემოხსენებულს ხმის დაყრის მიზეზს დაუწყებს კაცი ძებნას, არშესაძლოა, რომ ჩვენ მიერ თქმულმაც კაცს თავში არ გაუელვოს. ხოლო საკვირველი ის არის: ამბობენ გერმანიამ, ავსტრიამ, იტალიამ კუდი ერთმანეთს უკვე გადააბესო და ჭირისა და ლხინის გაზიარებას ერთმანეთს შეჰპირდნენო. ინგლისიც თუმცა ამათში არ ჩარეულა, მაგრამ უფრო ამათკენ არის, ვიდრე სხვისაკენ. ნუთუ ამათ კიდევ გაძლიერება სწადიანთ და კიდევ მომხრეებს ეძებენ?

რო ეძებენ, ეს აშკარაა და რამდენსაც კიდევ მეტს შეიძენენ, იმოდენად შეუძლებელად გახდიან ომის ატეხას და მაშინ იმას გაიყვანენ ევროპაში უსისხლოდ, უომრად, რაც მარტო სისხლით და ომითღა იყო შესაძლებელი. ეხლანდელს ყოფას ევროპისას რომ კაცი დაუკვირდეს, არ შეიძლება ამისთანა ქსელს ეხლან-დელის პოლიტიკისას არ წააწყდეს. თუ ეს მოხერხდა, მაშინ უომრად საქმის გათავებას წინ აღარა დაუდგება რა და რადგანაც, ჩვენის ფიქრით, ევროპა დღეს ამის ცდაშია და ამის ლოდინში, ამიტომაც ომის ატეხის თაობაზედ ხმები მიწყდა და მიყუჩდა ამ ბოლო ხანებში.

ქრისტე აღზდგა! აღზდგა მაცხოვარი კაცობრიობისა! მთელის ქვეყნის ქრისტიანობა ჰგალობს დიდებულს საგალობელს ქრისტეს აღზდეგისას. დიდი და პატარა სიხარულით ჰღაღადებს: "ქრისტე აღზდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მომნიჭებელი". ქრისტიანობამ იცის — რისთვის აქებს და ადიდებს ამ დღეს: მკვდრეთით აღზდგა ქრისტე და აღადგინა თვისი კაცთა მხსნელი მოძღვრება, თვისი ახალი ცხოვრების მომნიჭებელი აღთქმა.

რით მოგვანიჭა ცხოვრება მკვდრეთით აღდგომილმა ღმერთმა, ქვეყანაზედ მოვლინებულმა, ვითარცა ჭეშმარიტი ძე კაცისა? ძველის მოძღვრებისაგან განდიდებულს, გაპატიებულს ხორცს, რომელსაც მარტო "კბილი კბილისა წილ ჰშიოდა და თვალი თვალისა წილ", მოკვდინებული ჰყვანდა სული, რომელიც მარტო ყოვლად მხსნელის სიყვარულის სხივითა ჰნათობს, ჰთბება, ჰყვავის, სცოცხლობს და სულდგმულობს. აი ეს მკვდარი სული აღზდგა მკვდრეთით ქრისტეს აღდგომითა. რა საცხოვარი ძალი იყო ესოდენ ძლიერი, რომ მკვდარი სული მკვდრეთით აღადგინა? ეს იყო და არის მარტო ერთი მცნება, რომელიც ფესვად გაედგა, საძირკვლად დაედვა მთელს მშვენიერს, დიდებულს, მართლადა ცხოვრების მომნიჭებელს მოძღვრებას ქრისტესას: "გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი".

აი, მხსნელი კაცობრიობისა! აი, მაცხოვარი!.. ამას გარედ ადამიანს შველა არა აქვს, თუ უნდა, რომ კაცად, ღვთის სახედ და მსგავსებად დარჩეს. ამ ყოვლად მაცხოვარს, ყოვლად მხსნელს ფესვზედ ამოვიდა, გაიშალა, გადაჰფინა შტოები, აყვავდა მთელი იგი დიადი ხე ახალის ცხოვრებისა, რომელსაც ახალი აღთქმა, ქრისტიანობა ჰქვიან და რომელსაც ეს მცნება, როგორც მზე, ანათებს და ათბობს. ამ მცნებამ გააპო

კაცობრიობის ცხოვრება ორ დიდ ნაწილად და შუა გაუტარა დიდი კვალი სამზღვრადა. კვალს იქით დარჩა მოძღვრება შურისძიებისა, სამაგიეროს გადახდისა, ჯავრისა და მრისხანებისა, და კვალს აქედ — მოძღვრება ურთიერთობისა, ურთიერთის სიყვარულისა, შენდობისა, მიტევებისა, მშვიდობისა შეწყნარებისა. იქ რისხვა და მსჯავრია, აქ მშვიდობის ყოფა და მიტევება!

"არა კაც კლა, არა იმრუშო, არა იპარო, და არა ცილი სწამო, არა გული გითქმიდეს არარაზედ, რაიც იყოს მოყვასისა შენისა",—ამბობდა ძველი მოძღვრება ძველის ცხოვრებისა. რა არის ეს — ნუ მოჰკლავ, ნუ მოიპარავ, ნუ იმრუშებ, ნუ ცილს სწამებ, ნუ შეიშურვებ? ეს ის არის, რომ ნუ იქმ ბოროტსაო. მოვიდა ახალი აღთქმა, ახალი მოძღვრება ახალის ცხოვრებისა და გვეუბნევა: არამც თუ ნუ იქმ ბოროტსა, ჰქმენ კეთილიო. ნუ იქმ ბოროტსა მცნებაა ძველისა, ჰქმენ კეთილი, მცნებაა ახალისა და ამით განირჩევა ძველი აღთქმა ახალისაგან. დიდი მანძილია ბოროტის არაქმნისა და კეთილის ქმნის შორის. ერთმანეთს არასფერში არა ჰგვანან. ბოროტის არაქმნა იგია, რომ არ მიაყენო ვნება მოყვასსა, კეთილის ქმნა იგია, რომ სიკეთე მიანიჭო, სიკეთე უყო. საკმაო არ არის, რომ კაცი არ მოჰკლა, უნდა აცოცხლო კიდეც; საკმაო არ არის არა გამოსწირო რა, უნდა შესძინო კიდეც; საკმაო არ არის არა ცილი სწამო, უნდა მართალს მიუწყავდე კიდეც; საკმაო არ არის არა გული გითქმიდეს მოძმის კეთილისათვის, უნდა გიხაროდეს, მხიარულობდე კიდეც, უნდა შველოდე, ხელს უწყობდე; საკმაო არ არის არა გძულდეს მოძმე, უნდა გიყვარდეს კიდეც, საკმაო არ არის არყოფა ბოროტისა, უნდა კეთილის ყოფა; საკმაო არ არის ბოროტისათვის ხელ-ფეხი შეიკრა, უნდა სიკეთისათვის ხელი, ფეხი გაშალო, ამოქმედო.

ძველი აღთქმა ხორცის უვნებლობისათვის ფარი იყო, ახალი აღთქმა სულის აღდგომისათვის საცხოვარი ღონეა. ამიტომაც იქ კბილი კბილის წილ არის და

თვალი თვალის წილ, ესე იგი ხორცი ხორცის წილ, აქ კი სიყვარული, შენდობა და მიტევება. ესე იგი, სულის დადება მოყვასისათვის. დიდმა მოძღვრებამ ყოვლად მაცხოვარ სიყვარულისამ გაჰფანტა ბნელი, გაადნო ყინული ძველის უწყალობისა და მოავლინა იგი ნათელი და სითბო წყალობისა, ურომლისოდაც ქვეყნიერობაზედ არაფერი არა ჰხეირობს, არაფერი არ მოდის, არ იზრდება, არა ჰყვავის, არა სცხოვრობს. გაიყარა ძველი და ახალი, ბნელი და ნათელი, სიკვდილი და სიცოცხლე და მოგვენიჭა ცხოვრება, იმიტომ — რომ მკვდარ იყო სული ჩვენი და ქრისტემ აღადგინა მკვდრეთით.

აბა დაუკვირდით თვითონ ჟამს ქრისტეს აღზდეგის დღესასწაულისას, და საოცრად განსურათებულია ეს ძველისა და ახლის, სიკვდილისა და სიცოცხლის, ბნელისა და ნათელის ერთმანეთისაგან გაყრა. თითქო იგავია, თითქო განგებ არის ასე მომზდარი, რომ თვალითაც დავინახოთ ის, რასაც გულითა ვგრძნობთ, გონებითა ვხედავთ. როდის მოდის დღესასწაული ქრისტეს აღზდეგისა? თითქმის პირველ ხანს გაზაფხულისას, ესე იგი, მაშინ, როცა ზამთრისაგან გაყინული, სუდარა-მოსილი, განძრცვნილი, უმწვანო, უყვავილო, უსიხარულო, უსიცოცხლო ბუნება სიცოცხლისათვის თვალს ახელს, იღვიძებს ხელახლად ამწვანებისათვის, აყვავებისათვის, ახალის ცხოვრებისათვის. თუ ზამთრისაგან კვდება ბუნება, გაზაფხულისაგან მკვდრეთით აღზდგება ხოლმე. იქ მიძინებული სიკვდილია ძველისა, აქ მკვდრეთით აღდგომილი, ახლად გამოღვიძებული სიცოცხლეა. თუ ზამთარი სიბერეა, მიძინებისა, სიკვდილისა, გაზაფხული სახეა ახლობისა, აღდგომისა, სიცოცხლისა.

არამც თუ დრო წლისა, არამედ საათიც კი დღისა, როცა პირველად აღმოვიტყვით ხოლმე "ქრისტე აღზდგაო". — ეს საათიც კი გვაშინებს, რის მომასწავებელია აღდგომა ქრისტესი: აღზდგა ქრისტე და ბნელი უნდა განშორდეს ნათელსა, ნათელმა უნდა

იმეფოს, იხელმწიფოს. ეს ის საათია, როცა ღამე უკუიქცევა თვისის სიბნელითა და მის მაგიერ ცხოველმყოფელი დღე მოდის თვისის სინათლითა. ამოდის თუ არა ცაზედ ალიონი — ეს წინამორბედი განთიადისა და მტრედისფრად გარიჟრაჟდება გუმბათი ცისა, ზარი დღესასწაულისა გვიწვებს სადიდებლად და საგალობელად ქრისტეს აღზდეგისათვის, თითქო გვეუბნებოდეს: აღზდეგით ძილისაგან, მიდის ბნელი და მოვალს ნათელი. იხილეთ და გაიხარეთ! ეს ის საათია, როცა ღამის სიბნელე უთმობს ადგილს დღის სინათლესა, როგორც ძველის ცხოვრების ბნელმა დაუთმო ადგილი ახალის ნათელსა.

ცხოვრების მომნიჭებელ ქრისტეს აღზდეგის დღესასწაულს უკეთესი დრო ვერ შეერჩეოდა, თუ არა განთიადი გაზაფხულისა, ესე იგი, ის ხანი და საათი, როცა ცხოველმყოფელი სითბო სცვლის სიცივეს, ნათელი ბნელსა და მთელს ბუნებას აღიმილებს საცხოვარი ძალი ახლად აღორძინებისა, ახლად გაშლისა, ახლად აყვავებისა, ახლად ცხოვრებისა... მოძღვრება ქრისტესი იგივე განთიადი იყო, იგივე გაზაფხული კაცობრიობის ცხოვრებისათვის!

«ევროპის საომარი მზადება»

ტფილისი, 14 აპრილი

ევროპა მაინც თავისას არ იშლის და დიდს საომარს მზადებაშია. ზარბაზნის ქარხანა კრუპისა გაცხარებულს შრომაშია და რაც შეკვეთილი აქვს სხვადასხვა სახელმწიფოთაგან ძლივსძლივობითღა ასწრობს. სამხედრო სამინისტრონი, საიდაც კი მიიხედავთ, ყველგან დიდს თადარიგში არიან: იქ ციხეებს აშენებენ, აქ უკვე აშენებულს უფრო ამაგრებენ, გზები გაჰყავთ და გამოჰყავთ, ჯარებს უმატებენ, სახარჯოდ აუარებელ მილლიონებს ჰთხოულობენ, პარლამენტებიც უარს არ ეუბნებიან და არიან დავიდარაბასა და ვაი-ვაგლახში. ამასობაში ყოველის მხრიდამ მარტო ისღა ისმის, რომ ყოველივე ეს მშვიდობიანობის სურვილით მოგვდისო და საპოლიტიკო ცა ასე გადაწმენდილი განსაცდელიან ღრუბლებისაგან დიდი ხანია არა ყოფილაო. ჩვენც ყურს ვუგდებთ და ვიძახით: თქვენს პირს შაქარიო.

თითქო ამ სამშვიდობო ხმებს საბუთიცა აქვს. ევროპაში დღეს მიზეზიანი საქმე მარტო ბოლგარიის საქმეა. ამ საქმის გამო ლაპარაკი როგორღაც მისწყდა ამ ბოლოს დროს; ერთი მხარე იძახის, დეე, რაც უნდა ჰქმნანო, ჩვენ ბოლგარიის შინაურს საქმეში არ გავერევითო; მეორე იძახის, მე მინამდე ჩუმად ვიქმნები, ვიდრე თვითონ ბოლგარელნი ხვეწნას არ დამიწყებენ,

ან ვიდრე ეხლანდელნი რეგენტები არ გადადგებიან და სხვა კანონიერს მართველობას არ დაუთმობენ ადგილსაო. ერთი მხარეც ღონიერია და მეორეცა და ბოლგარელთ წლულნი ორისავე მხრიდგანვე სტკივათ და არ იციან, რა ჰქმნან. ამ არცოდნასა და ტოკვაში ბოლგარიის საქმემ თავისი სიმწვავე, ჯერხანად მაინც, დაჰკარგა და დღე იგი მხოლოდ დამცხრალს ტკივილს წარმოადგენს. საკვირველი კი ეს არის: ჩაცხრება თუ არა ალიაქოთი ბოლგარიის გამო, მაშინვე არ შეიძლება სხვაგან სადმე ცეცხლმოსაკიდები მუგუზალი ვინმემ არ გააჩანჩხაროს და საშიში ნაპერწკლები არ გააყრევინოს. ეს დაემართა ამას წინად ევროპას, როცა ბისმარკმა თავისი სამხედრო კანონი შეიტანა რეიხსტაგში და მთელი ევროპა საფრანგეთზედ მიახედა, თითქო ცეცხლის გაჩენას აქედამ ჰლამობდაო. აქედამ რომ ვერა გამოდნა რა, ხელახლად აიშალა საქმე ბოლგარიაში. ჯარების არეულობამ წამოჰყო თავი. ესეც ხომ დამშვიდდა და აქედამაც არა გამოვიდა რა. არც ამის გამო დაეტაკნენ ერთმანეთს სახელმწიფონი და წინდახედულმა სიფრთხილემ თავი არავის გამოადებინა საომრად. ახლა ავღანისტანის კერას წაეკიდა ცეცხლი, იქნება აქედამ მაინც გამოდნეს რამეო.

ვინ არის ყოველ ამის მომქმედნი? ვის უჭირავს ხელში მანქანის მართულები, რომ ქვეყანას ეგრე თავის ნებაზედ ათამაშებს? მარკიზი სალუსბერი მთავარ–მინისტრი ინგლისისა ამისთანაებში მეტად გათქმული და გაოსტატებულია, მაგრამ არა გვგონია იგი ამ საქმეში გაერიოს, ვიდრე ირლანდიის გამო კანონები არ გაუტარებია პარლამენტში და პარლამენტის მომხრეობით ზურგი არ გაუმაგრებია. თუმცა ეგ კანონები ორჯელ უკვე წაუკითხავთ პარლამენტში და ორჯელვე შეუწყნარებიათ, მაგრამ საქმე მესამე ჯერია. თუ მესამეჯერაც მაგ კანონმა პარლამენტში მშვიდობით გაიარა, მაშინ, რა თქმა უნდა, პარლამენტით ზურგგამაგრებული სალუსბერი მთელს თავის ოსტატობას იხმარებს, რომ ევროპა არივ-დარივოს. ამისთანაებში

იგი თვითონ ბისმარკსაც არ ჩამოუვარდება. მინამდე კი ძნელად საფიქრებელია, რომ გაბედოს და დასახვანჭავი ქსელი რამ გააბას ევროპაში – თუ თ. ბისმარკს ვიგულისხმებთ, რადგანაც დღევანდელის პოლიტიკის საბლის ორივე წვერი ხელთ უჭირავს, ეგეც ძნელი დასაჯერებელია მას აქეთ, რაც იტალიის სამინისტროში ადგილი დაიჭირა ბ-ნმა კრისპიმ, თითქმის აშკარა მომხრემ საფრანგეთისამ.

დღეს ამ იტალიის სამინისტროს ცვლილების გამო ავსტრიისა, გერმანიისა და იტალიის კავშირი როგორღაც საიმედო აღარ არის. იტალია როგორღაც განზედ უდგება ავსტრიასა და გერმანიას და თუმცა სხვას არავისთან კავშირს არ აპირობს, მაგრამ არც ამ ორ სახელმწიფოსთან უნდა ერთად ყოფნა. ესეც საკმარისია, რომ თ. ბისმარკის სითამამეს და კადნიერებას კარგა ბლომად ფრთა შეეკვეცოს. თუ იტალია და ინგლისი კავშირის გარედ დარჩებიან, მაშინ ევროპა, ერთი მხრით წარმოადგენს ავსტრიას და გერმანიას, მეორეს მხრით, რუსეთსა და საფრანგეთს, რომელთაც თუმცა ერთმანეთში არავითარი პირობა არა აქვთ ჯერ დადებული, მაგრამ შესაძლოა გარემოებამ ეს ორნი ერთმანეთს შეჰყაროს. ამისი შიში დიდი ხანია გულს უხეთქს ბისმარკსა. რაკი ერთის მხრით ავსტრია და გერმანია იქმნება და მეორეს მხრით რუსეთი და საფრანგეთი, მაშინ ორისავე მხრის ძლიერება გათანასწორებული იქნება და მაშასადამე, გამარჯვებაც სათუო და საეჭვო გახდება. თ. ბისმარკს კი ჯერ არც ერთი ომი არ დაუწყვია ისე, რომ ყოველივე გარემოება გამარჯვებისა სათუოდ გაუხადა, არა გვგონია თ. ბისმარკმა მიზეზიღა ეძებოს არევ-დარევისა. უფრო საფიქრებელია, რომ მოპირდაპირე მხარემ ესეთი გათანასწორება ძლიერებისა თავისად იცნას და გაჰბედოს რამ დღეს, როცა სახელმწიფოთა განწყობილება ერთმანეთში ამ ხაზზედ დადგა.

«ზნეობრივი სიწმინდის მნიშვნელობა ერის მერმისისათვის»

ტფილისი, 16 აპრილი

საფრანგეთის მეცნიერი, სახელგანთქმული რენანი, ჰლაპარაკობს რა ქრისტეს აქედ, პირველის საუკუნის ნახევარზედ და გვიხატავს რა მთელის ქვეყნიერობის ცხოვრების სურათს ამ ხანში, ამბობს, რომ თუმცა რომის იმპერია მოწამლული იყო მრავალგვარის მწიკვლითა და გარყვნილობითა, მაგრამ მაინც ეს დრო იმისთანა არ იყო, რომ კაცს ამ მხრით სასოება წარეკვეთნა და ქვეყნის ზნეობითად დამხობის მოლოდინს მისცემოდაო. "მართალიც არისო, განაგრძობს რენანი: ძველი სული რომისა კიდევ ჰსცოცხლობდა და ჰტრიალებდა. პატიოსნება კაცურის ხასიათისა ჯერ შორს იყო საუკუნოდ წაწყმედისაგან და არ გამქრალიყო. დიდნი ანდერძნი თავმოწონებულის რიდისა და სათნოებისა შეიკედლა თავის საფარველს ქვეშ ზოგიერთმა ოჯახმა, რომელმაც იმპერატორის ნერონის დროს ხელისუფლებამდე მიაღწიეს და ბრწყინვალე შარავანდედი მოჰფინეს ანტონინების საუკუნესა, მჭერმეტყველებით ტაციტის მიერ აღწერილსა. იგი დრო, რომელმაც გამოზარდა, გამოაყენა, ახეირა ისეთი ღრმად პატიოსანის ჭკუის კაცნი, როგორც კვინტილიანი, პლინი უმცროსი, ტაციტი, იმისთანა არ იყო, რომ შესაძლო ყოფილიყო ადამიანი სასოწარ-

კვეთილებას მისცემოდა, უმართებულობა ზედაპირისა თავის დღეში არ დასვწვდენია იმ დიდს საძირკველს პატიოსანებისა და ჭკვათამყოფლობისას, რომელსაც რომის კარგი საზოგადოება შეადგინა. ზოგიერთი ოჯახები ჯერ კიდევ თავდადებულნი იყვნენ კეთილ-ზნეობისათვის, მოვალეობის ერთგულებისათვის, თანხმობისა და სათნოებისათვის. კეთილშობილ სახლეულობაში კაცი შეხვდებოდა დიდად პატიოსანს მეუღლეს, მშვენიერს და დიდად პატიოსან დასა. განა ყოფილა ვისიმე ბედი გულშესატკივებელად სამაგალითო, როგორც ახალგაზრდა და უბიწოებით სავსე ოკტავიასი, კლავდიის ასულისა და ნერონის ცოლისა, რომელსაც სიწმინდე თვისი არ შეუბღალვია არც ერთის მოქმედებითა, თუმცა ბილწი, მწიკვლი გარს ეხვია! იგი ოცდაორის წლისა მოაკვდინეს, ესე იგი, მაშინ როცა ჯერ არც ერთი სიხარულიც არ ეგემნა ქვეყნიერობაზედ. ცოლები ქმრებს მისდევდნენ ექსორიაში, სხვანი ქმრებთან ერთად ჰრჩეობდნენ სახელოვანს სიკვდილსა. ძველი, სადა ცხოვრება რომისა არ იყო გამქრალი, შვილებს დიდის ზრუნვით და თავდადებით ჰზრდიდნენ. ქალები დიდის ოჯახებისა და გვარეულებისა არა ჰთაკილობდნენ მატყლის კეთებასა და რთვასა; მორთვისა და პრანჭიაობის ზრუნვა კარგს ოჯახებში თითქმის არც კი იცოდნენ, რა არის".

გარდა ამისა რა საოცარი მაგალითებია მაშინდელი კაცების დიდბუნებოვანობისა, ნუთუ მართლა გამოკეთების ძალნი თვითვე არ აქვს იმ საზოგადოებას, რომელიც ჰბადავს, ჰზდის და გამოაყენებს ხოლმე მტკიცე ხასიათების კაცებს, გმირებს? განა ამ შემთხვევაში სამართლიანად ხელზედ დასახვევი და ჭკუად მისაღები საბუთი არ არის, მაგალითებრ, ჰელვიდი პრისკუსის გმირობა, რომელსაც თვით რენანი მოგვითხრობს? ეს ჰელვიდი ვესპასიანის დროსა სცხოვრობდა და რადგანაც ამხილებდა იმ დროების ბოროტსა, სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს და როცა ვესპასიანმა ეს გამოუცხადა, — ჰელვიდმა მშვიდობიანად და თავმოწონებით უთხრა: "შენი საქმეა კვლა და ჩემი საქმე კი კაცურად სიკვდილიო". ანუ მაგალითებრ დემეტრე ცინიკის ამბავი, როცა განრისხებულს და გამწყრალს ნერონს უპასუხა: "თქვენ მე მემუქრებით სიკვდილს და ბუნება თქვენ გემუქრებათ მაგასვეო".

ამისთანა კაცების აღმზრდელი და სულისჩამდგმელი ძალი დიდი ძალია და ამ ძალის მექონს საზოგადოებას ვერ ეთქმის, რომ ფესვი ცხოვრებისა შეჰსუსტებია.

ამაებზედ აფუძნებს რენანი იმ აზრს, რომ, საცა მის მიერ ჩამოთვლილნი სათნოებანნი ჯერ კიდევ არსებობენ, ბინას ჰპოულობენ და თავს ირჩენენ, იქ საზოგადოება ჯერ შორს არის აღმოფხვრისაგანა და გამძლეობის ძალნი თვითვე აქვსო. კაცობრიობა კი არა, რომი დაეცა, ვითარცა თვითმპყრობელი მაშინდელის ქვეყნისა და მის გასამძლეო ნაშთზედ აშენდა ახალი ქვეყანა, წარმოდგნენ სხვა, ახალნი თუ ძველნი ერნი, რომელთაც დღეს სვე-ბედი ქვეყნიერობისა ხელთ უჭირავთ და კაცობრიობას წინ უძღვებიან.

ჩვენ ამ აზრის გარჩევაში არ შევალთ. ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ ძალიან დასაფიქრებელი აზრია, გულში მეტად მოსახვედრია და დასაჭდევი. მართალია იგი, თუ არ არის მართალი რომის ისტორიის ახსნისათვის, მაინც ძნელია კაცმა მაგ აზრს ანგარიში არ გაუწიოს, როცა რომელისამე ერის ყოფა — ცხოვრებაში ღრმად ჩაიხედავს. ეს ერთი კი, ჩვენის ფიქრით, უეჭველია: თუ რენანის მიერ ჩამოთვლილნი სათნოებანი დედაკაცობისა, თუ მამაკაცობისა, აქა-იქ საზოგადოებაში დარჩენილნი, არ არიან თავმდებნი ბევრ წილად მიხწნილის ერის გამოკეთებისა, გამობრუნებისა, ამ სათნოებათა არქონა კი უსათუო ნიშანია, რომ ერი ქვეყნის ზურგიდამ ასაგველად გადადებულია. თუ ამ სათნოებათა კანტიკუნტად ქონა ვერ შესძლებს ერი წინ წააყენოს გამოკეთების გზაზედ, არქონა კი უსათუოდ უკან დამწევი მიზეზია. ამიტომაც ერს, რომელსაც დღეგრძელობა და მერმისი ჰსურს, ერთი ფიქრი უნდა ჰქონდეს: სათნოება დარგოს და ახაროს თავის გულში, თავის

ოჯახში. ამისათვის საჭიროა ზნეობის ამაღლება და გაწმენდა. ამაზედ უნდა მიიქცეს მთელი ღონე ერის გულშემატკივარის კაცისა. იგი დედა, თუ მამა, რომელიც თავისი შვილისათვის მზრუნველობას იმაზედ არ მიაქცევს, რომ კაცური კაცი გამოუვიდეს, იგი ჭიაა, რომელიც თავის ერს მერმისის ძირს უთხრის და უღრღნის დღე მუდამ და იქნება არც კი ჰგრძნობდეს, რა ცოდვაში ჰდგება: იგი ნელ-ნელა ჰლესავს დანას, რომელსაც ადრე იქნება თუ გვიან ყელი უნდა გამოსჭრას მისვე შთამომავალსა, მისვე ერსა.

«შნებელეს საქმე»

ტფილისი, 21 აპრილი

საფრანგეთის გაზეთი "Nation"-ი, რომელიც სხვაზედ უფრო მშვიდობისმოყვარეობით ცნობილია, ამბობს:

"ის ამბავი, რაც პანიეში მოხდა, თუ რაიმე შეცდომის შედეგი არ არის, პირდაპირ ომში გამოწვევის ამბად უნდა ჩაითვალოს. გერმანია საომრად გვიწვევს და ჰსურს ომი ჩვენ დაგვაწყებინოს. ჩვენ ვერ წაგვიტყუებენ. ჩვენი პირველი ვალი ის არის, რომ თავი დავიჭიროთ და არ ავჩქარდეთ. თავის დაჭერა და გულმაგრობაა ყველაზედ უწინარეს საჭირო ჩვენთვისა! გაუფრთხილებელს სიტყვას ანუ მოქმედებას შეუძლიან საქმე ომამდე მიიყვანოს და საფრანგეთი იმ მახეში გაიბას, რასაც გერმანია უგებს. ევროპა თავის მხრითა ჰხედავს, რომ საფრანგეთს ომი არ ჰსურს. საფრანგეთსა ჰსურს თავისის ღირსების საკადრისი მშვიდობიანობა და არასგზით არა აიტანს, რომ სირცხვილი აჭამოს ვინმემ. საფრანგეთი ჰცდილობს ომს მოერიდოს, მაგრამ უკანასკნელს გროშს, უკანასკნელს ჯარისკაცს გამოიმეტებს, თუ მის პატიოსნებას, თავმოწონებას და დამოუკიდებლობას შეეხნენ".

ამავე ამბავზედ ინგლისის გაზეთი "Times"-ი ამბობს:

“ჯერ იმედი ვიქონიოთ, რომ ეს ამბავი მალე სრულიად აიხსნება და რაც ეხლა გაუგებარია, მას შუქი მოეფინება, მაინცდამაინც კი ეხლა ძნელია, კაცმა თავი დაიჭიროს, ამ ამბის განმარტებას ხელი არ წაატანოს. თუ მართლა ყოველივე ეს მართალია, რასაც საფრანგეთში ჭლაპარაკობენ, აქ ხალხთა შორის მართებულობის დარღვევა ისეთი დიდია, რომ დაუყოვნებლივ განთავისუფლება შნებელესი აუცილებელია და ამასთანავე გერმანიის მთავრობამ ბ-ნ გაუჩის მოქმედება უკანონო მოქმედებად უნდა აღიაროს, უამისოდ აუცილებელია, რომ სადიპლომატო უსიამოვნობამ თავი არ იჩინოს”.

რა არის პანიეში მომხდარი ამბავი? ვინ არის შნებელი, გაუჩი და რა მოხდა ისეთი, რომ ასე მკვახედ აალაპარაკა გაზეთები და შიშის ზარი იგრძნო ყველამა? შნებელი გახლავთ საფრანგეთის პოლიციელი კამისარი ზედ საფრანგეთის სამზღვარზედ და ეხლა 60 წლის კაცია. იგი თავდადებული, ერთგული მამულიშვილია საფრანგეთისა და ამის გამო მეტად პატივცემული და ცნობილი საფრანგეთში. იგი საპატიო ლეგიონის ნიშანის მქონებელია, სარწმუნოებით პროტესტანტია. ბისმარკმა არაერთხელ შეაძლია დიდი თანამდებობა, ოღონდ გერმანიაში გადმოდი სამსახურშიო, მაგრამ შნებელემ დაბალი თანამდებობა ირჩია საფრანგეთში, ვიდრე გერმანიაში მაღალი. შნებელეს დიდი ხმა, გავლენა და კავშირი ჰქონდა ელზას-ლოტარენის მამულიშვილებთან და საფრანგეთშიაც ძალიან თანაუგრძნობდა და ჰშველოდა ეგრედწოდებულ “სამამულიშვილო ლიგასა”, რომელსაც ამ უკანასკნელ დღეებამდე მოთავედ ჰყვანდა სახელგანთქმული დერულედი და ეხლა ელზასელი სანბეფი ჰყავს, კაცი თავგამოდებული, გულმაგარი და გამბედავი, როგორც დერულედი გვარწმუნებს. ამ შნებელეს გერმანიელნი ავის თვალით უყურებდნენ, რადგანაც სწამებდნენ, ვითომ იგი აქეზებს ელზას-ლოტარენის მკვიდრთაგან

გამოყვანილ ჯარისკაცთ, რომ გერმანიის ჯარებს მოჰშორდნენ და საფრანგეთში გამოიქცნენ. ამასთან ისიც მიზეზად დახვეული ჰქონდათ გერმანელებს, რომ ელზას-ლოტარენიდამ საფრანგეთის მომხრეობის გამო განდევნილს რეიხსტაგის დეპუტატს ანტუანს მასპინძლობა გაუწია და კარგად დაუხვდა.

გაუჩი გერმანიის პოლიციელი კამისარია, მზვერაობით “შპიონობით” ცნობილი. პანიე საბაჟო სადგურია, თითქმის ზედ სამზღვარზედ საფრანგეთისა და გერმანიის შუა, მეცთან ახლოს, სულ სამს გადანაცვლობის მანძილზედ. ამ საზღვარზედ, რასაკვირველია, მიჯნის სანიშნავი ბოძებია დამწკრივებული. ერთი ამ ბოძთაგანი, გერმანიის მხრით გადაქცეულ იყო. რადგანაც წესისამებრ გადაქცეულის ბოძის ხელახლად აღდგენა მოსამზღვრეთა კამისარების თანადასწრებით უნდა მოხდეს, ამიტომაც გერმანიის კამისარს გაუჩს ბარათი მიუწერია შნებელესათვის და უთხოვნია, დაესწროს. შნებელე მისულა, მაგრამ გაუჩი არ დაჰხვედრია, რადგანაც ეცნობებინა ეხლა არა მცალიანო. ამის შემდეგ მეორედ მიუწერია და შნებელე ხელახლად მისულა. გაუჩი არ დახვედროდა და ამის ლოდინში შნებელე ბოლთის ცემას მოსდგომია და რამდენისამე ადლის მანძილზედ გადმოსცდენია სამზღვარს. მაშინ იქავ ახლო ვენახიდამ გამოცვივნულა ორი ჩასაფრებული კაცი და წაუტანებიათ ხელი დასაჭერად. შნებელე თურმე ძალიან ხელღონიერი კაცია და ორივე დაუცია დედამიწაზე; თითონ კი მოუკურცხლავს და საფრანგეთის კუთვნილს ადგილზედ გადასულა. ეს ორი კაცი წამომდგარა, გამოსდგომია, მოსწევნია და დაუჭერიათ შნებელე. რადგანაც აქაც გასძალებია, გაუყრიათ ხელ-ფეხში ბორკილი და ისე ზეზეულად წამოუღიათ. გერმანიელთ, რასაკვირველია, არც აცივეს და არც აცხელეს, აიღეს და პატივცემული შნებელე მეცის ციხეში ჩააბძანეს.

ეხლა ამბობენ, რომ სულ ყოველივე ესე წინ დაწყებული ოინბაზობაა გაუჩისაო: გამოიტყუვა

შნებელე სამზღვარზედ და ხაფანგში მოამწყვდიაო. ამასაც ამბობენ, რომ თვითონ გაუჩი იმავე ვენახში ყოფილა ჩასაფრებული, საიდამაც ის ორი კაცი გადმომხტარა შნებელეს დასაჭერადა. ეს კი აშკარად დამტკიცებულია, რომ ის ორი კაცი სწორედ პრუსიის პოლიციელნი ყოფილან, მეხრეს ტანისამოსით განგებ ჩაცმულნი.

აი, ის პანიეს და შნებელეს ამბავი, რომელმაც ასე ააყაყანა ეხლა მთელი ჟურნალ-გაზეთობა ევროპისა და ფეხზედ დააყენა საფრანგეთისა და გერმანიის დიპლომატია. ეხლა საფრანგეთის მხრითაც და გერმანიის მხრითაც დიდი გამოძიებაა ამ საგანზედ დანიშნული. ამ ამბავს ძალიან აუმღვრევია გული მთელის საფრანგეთისათვის და ბირჟაზედაც კი ბირჟის ქაღალდების ფასი ძირს დაუწევია. თვითონ ზემომოყვანილის "Nation"-ის და "Times" – ის სიტყვებისაგან სჩანს ამ თვალად პაწია საქმეს რა მნიშვნელობა აქვს დრევანდელ უამისოდაც გულამღვრეულ და შემრეზილ დღისათვის. თქმა არ უნდა, რომ გერმანიას დასჭირდება ბოდიშის მოხდა და თუ ამ გზით როგორმე გული არ მოუგო საფრანგეთსა და მის სამართლიანს თავმოწონებას ნუგეში არა მისცა რა, შესაძლოა საქმე ხმალზედ მივარდეს. ამისთანა უკადრისობას ვერ აიტანს ვერა თავისთავის პატივმცემელი ერი და ნამეტნავად იმისთანა თავმომწონე, როგორიც საფრანგეთის ერია.

«გამოფენის მოწყობის უპერსპექტივობა»

ტფილისი, 22 აპრილი

ვისაც კი ცოტად მაინც თვალ-ყური უდევნებია მისთვის თუ, რა მდგომარეობაშია ეხლანდელი სამრეწველო და სამეურნეო წარმოება სრულიად რუსეთისა, ეცოდინება, რომ ამჟამად ბევრმა რუსეთის ეკონომისტებმა ყველამ ყურადღება მიიქცია, თავიანთი კარაბადინები გადაშალეს და წამლისა და მალამოს რჩევა დაიწყეს. თვითვეული ამას ამბობდა და ამბობს: თუ ჩემ მიერ ნარჩევს გზას დაადგებიან, საეკონომიო წალკოტი სრულიად რუსეთისა მთლად გადიშლება და აყვავდებაო.

სხვათა და სხვათა კარაბადინებში ნაპოვნ მალამოთა შორის, რომლითაც ან ერთს, ან მეორეს ჰსურს წყლული სამრეწველო და სამეურნეო წარმოებისა გაამთელოს, გამოფენების გამართვაა. მართლადა, წლევანდელს წელიწადს ყველა ამ გამოფენამ გაიტაცა და თითქო შესაყარი და გადამდები რამ სენიო, დიდსა და პატარას ენაზედ სულ ეგ აკერია. ჯერ ეს წელიწადი იმითი დაიწყო, რომ მოსკოვში მეთევზეობა და თევზეულობის გამოფენა გაიმართა; აპირობენ გამართვას "სრულიად რუსეთის სამეურნეო გამოფენისას" ხარკოვში, "ურალის სამრეწველო გამოფენას", ეკატერინებურგში; განზრახვა იყო გაემართნათ პეტერბურგში "თევზის მოშენებისა და თევზის ჭერის გამოფენა სრულიად რუსეთისა", მაგრამ ჯერხანად

სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ შეაყენა და სამერმისოდ გადასდვეს. არც ჩვენი მხარე გადურჩა ამ გამოფენის წყურვილსა.

ჩვენც, ჩვენის მხრით, კავკასიის სამეურნეო გამოფენა გავმართოთო, ბრძანა ბ-ნმა დინ გელშტეტმა და არამცთუ ბრძანა, მთელი მოხსენება წაიკითხა ამ საგანზედ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში და ჰსურდა ამავე 1887 წელს გამართულიყო ტფილისში სრულიად კავკასიის გამოფენა.

რით და რის გამოა სანატრელი გამოფენა? ამბობენ, რომ გამოფენა მწარმოებელს იმით ახალისებს, აქეზებს თავისი ნაწარმოები გამოიტანოს გამოფენაზეო, რომ თუ მოსაწონია, ჯილდოს მიიღებს. ამ ჯილდოს იმედით ყველა ეცდება, ნაწარმოები, რაც შესაძლოა, განაკარგოს და ამ გზით განკარგდება თვით წარმოებაცაო. რაკი ყველა, თუ უმეტესი ნაწილი გამოიტანს გამოფენაზე თავის ნაწარმოებს, ჩვენი ინტელიგენციაც დაინახავს სრულს სურათს იმ მდგომარეობისას, რაშიაც იმყოფება სასოფლო და სამრეწველო წარმოებაო. სამზღვარგარეთიდამაც გვეწვევიანო, ჰნახვენ ჩვენს ავლა-დიდებას, ჩვენს მშვენიერს ნაწარმოებს და აღებმიცემობას გაგვიმართვენო. თვითონ მწარმოებელიც ერთმანეთს დაინახვენ, თავის მეზობელ და მომძეს გაიცნობენ ერთმანეთის ავსა და კარგს გაიგებენო და სხვანი და სხვანი.

ეს ყველაფერი ძალიან კარგია, თუ მართლა ეგრეა. ეგრე კია? ეგრე მართალი მარტო მაშინ იქნება, თუ კაცს დაანახვებთ ერთს მშვენიერ რომელსამე სასახლეს ტფილისში და ამით აფიქრებინებთ, რომ მთელი საქართველოს ერი ამისთანა სასახლეებში ქეიფობს. მართალია, შვენიერად მორთულად უჯრებში მინის სახურავქვეშ გამოწყობილი იქმნება მშვენიერი, თეთრი და საოცარი მატყლი, საოცარი და მშვენიერი ხორბალი, ბამბა, აბრეშუმი, ღვინო, ჩითი, ნაქსოვი და სხვა საუცხოვოდ და საგანგებოდ გაკეთებული, ან მოყვანილი ნივთი რამ. ნუთუ ეს მართალი სურათი

იქნება მისი, რაც მართლა და ნამდვილად არის? ის საოცარი ნივთები, რაც გამოფენაზედ გამოაქვთ, რომ სანთლით ეძებოთ გამოფენის სადგურის გარედ ხომ ვეღარსად ჰნახავთ! იგინი ხომ სულ ნიმუშებია და სანიმუშედ განგებ გაკეთებული თუ მოყვანილი; ხომ ამ ნიმუშის საქონელს ვერსად იპოვით საყიდლად იმიტომ, რომ ჩვენებური უთავბოლო ბაზარი სხვადასხვა მიზეზის გამო მაგ ქებათა ქების ღირს საქონელს მამინაცვლად ეკიდება და თვითონ საზოგადოებამაც და ერმაც კარგად იცის, რომ ყველა ეგ სახელისათვის არის და არა სახრავისათვის, ყველა ეგ ნამდვილი შვილი კი არ არის ჩვენის მეურნეობისა, არამედ გერია, აზიზად და სათუთად გაზრდილი მოკმაზ-მოპრანჭული მამინაცვლისაგან თავმოწონებისათვის.

ჩვენის ფიქრით, არამსოფლიო გამოფენის აზრი უმთავრესად და ყოველთ უწინარეს ის უნდა იყოს, რომ ვნახოთ იგი, რაც სახელწოდებულ ერის საეკონომიო საგზალს შეადგენს, რითაც ერი საყოველ-დღეოდ ჰრჩება, იკვებება, აღებმიცემობს და ჭირს და სიხარულს ამა ქვეყნისას ასე თუ ისე უძღვება. აქ იმისთანა ნიმუშია საჭირო, რომელიც ტიპად მისაღებია ამა და ამ ერის წარმოებისა, რომელიც გვანიშნებს სიკეთეს ზოგადის ნაწარმოებისა და არა მარტო განსაკუთრებულისას და საგანგებოდ ნამოქმედარისას. ერის საეკონომიო მდგომარეობის ცოდნისათვის მარტო ესეთი გამოფენაა საჭირო, თუნდ ამ გამოფენაზედ ერთიც არ იყოს ნიმუში საგანგებოდ გაკეთებულისა თუ მოყვანილისა. მხოლოდ მაშინ წარმოუდგება კაცს გამოფენაზე ერი თავის ორთა შუა ძალ-ღონით, თავის ეკონომიურ ყოფის მეტნაკლებობით, რადგანაც ამისი მაჩვენებელი მარტო შუა სახეა ნაწარმოებისა და არა ცალკე საგანგებო რამ.

შესაძლოა და საჭიროც, რასაკვირველია, საგანგებოდ ნამოქმედარის ნახვაცა, რომ კაცს თვალწინ ჰქონდეს მაგალითი იმისი თუ, სადამდე მისაღწევია ამა და ამ დროს და ამა და ამ ადგილს განკარგება რომე-

ლისამე ნივთისა, ან საქონლისა, თუ კაცი ცოდნით, გამჭრიახობით და ბეჯითად შეუდგება საქმეს. ხოლო ეგ ერის საეკონომიო ძალ-ღონის მაჩვენებელი კი არ არის, არამედ თვითვეულის ცალკე ოსტატისა, — და ამისთანა ოსტატების ჩამოთვლას ჩვენში ადამიანის ათი თითიც ეყოფა. ჩვენთის, რომელთაც არა ვიცით რა ჩვენის ქვეყნისა, უფრო საჭიროა იმისთანა ნაწარმოების გამოფენა, რომელიც გვანიშნებს რაც ჩვენში საყოველდღეოა და არა იშვიათი და საგანგებო; რაც ჩვენში ათასში ცხრაასი მაინც არის და არა ათასში ერთია მარტო გამოსარჩევი და თითით საჩვენებელი.

ჯერ ერთი, ეს ვსთქვათ, რომ იმისთანა გამოფენაში რომელსაც მართვენ ხოლმე ვითომდა მწარმოებელის სახელითა და მის საცოდნელად და გამოსაკეთებლად, მწარმოებელი თითქმის წრეს გარეშე ჰრჩება და ამ გამოფენისაგან არც ეცივება და არც ეცხუნება. წამდაუწუმ კი მწარმოებელს ახსენებენ, მწარმოებელის საბედნიეროდ ჰნაღვლობენ და მართვენ გამოფენას. საინტერესოა შევიტყოთ, — რა ნუგბარი ერგებათ ხოლმე თვით მწარმოებლებს? თქმა არ უნდა, კაი საქმეა უკეთესმა მწარმოებელმა ჯილდო მიიღოს, კაი საქმეა თუ თავისი არა, სხვისი კარგად ნაკეთები ჰნახოს და ისწავლოს, მაგრამ ერთი ეს ვიკითხოთ: რომელს გამოფენაში მიუღია მონაწილეობა თვით მწარმოებელს? ან როგორ მიიღოს, თუ გამოფენა მარტო საგანგებოდ ნაკეთებს ეგებება სიხარულით და საყოველდღეოზედ კი ცხვირს მაღლა იწევს? ამ შემთხვევაში გამოფენა იშვიათს ჰთხოულობს და მწარმოებელი კი საზოგადოდ იშვიათის მკეთებელი არ არის. იშვიათის გამომტანნი კი ცალკე კაცნი არიან და არა კრებული ზოგად მწარმოებელთა. ამიტომ მოხდება ხოლმე ის სასაცილო ამბავი, რომ გამოფენის ჯილდო ხშირად იმას შეხვდება ხოლმე, ვისაც დაჯილ-დოებულის საგნის შესაქმნელად ხელიც კი არ გაუნძრევია. ვინ არ იცის, რომ "სრულიად რუსეთის გამოფენაზედ" პეტრუს მაკაროვმა მიიღო ჯილდო

კარგის კახურის ღვინისათვის და ვგონებთ არაერთხელ და ორჯელაც, მაგრამ ამასთან ვინ არ იცის, რომ პეტრუს მაკაროვს კარგის კახურის ღვინის ბრალი იმოდენად დაედება, რამოდენადაც ჩინეთის ბოღდიხანსა. რა ნუგეშია თვითონ ღვინის მწარმოებელისათვის, რომ სირაჯმა მისგან ნაყიდს ღვინოში ჯილდო გაიკრას! აბა, რა შუაშია აქ მწარმოებელი? სად არის იმისი სახელი?

ჩვენის ფიქრით, რაკი გამოფენა იმ აზრზედ იქნება მარტო აგებული, რომ საგანგებო ნაწარმოების კოლ-ლექციით ისახელოს თავი, მწარმოებელი, რომელიც საზოგადოდ ორთაშუა სიკეთის მქონებელს საქონელს ამზადებს, მორიდებული იქმნება და მარტო მექარ-ხნეები, ვაჭრები და ჩარჩები თუ გამოიყენებენ გამოფენას იმ მხრით, რომ სახელი გაითქვან, დუქანზედ დააწერონ "დაჯილდოებულია ამა და ამ გამოფენაზედ" და მუშტარი მოიპოვონ. აბა ამისთანა ჯილდომიღებულს ვაჭარს, მექარხნეს, თუ ჩარჩსა უთხარით: იმ ნიმუშის საქონელი მინდა ვიყიდო, რაც შენ გამოფენაზედ გქონდა და მამყიდეო, თუ სასაცილოდ არ აგიგდოთ, როგორც უგუნური მტრედი.

«კვლავ შნებელესა და გაუჩის შესახებ»

ტფილისი, 23 აპრილი

შნებელეს საქმეა და მთელი ჟურნალ-გაზეთობა, რაში მდგომარეოს ეს საქმე, უკვე მოვახსენეთ ჩვენს მკითხველებს. ეხლა მეტი არ იქნება მოვუჩხრიკოთ სათავე და წვერი ვუპოვოთ გამოსახსნელი იმ მრავალფერობაში, რომელშიაც ეს საქმე ჟურნალ-გაზეთების სიტყვით, დღეს ჩაყენებულია. შნებელეს დაჭერას თითქმის ყველა გაზეთები გერმანულთა გარდა და ზოგიერთი გერმანულიც, ბისმარკს აბრალებენ, რადგანაც თითქმის ყველანი ამას ამტკიცებენ და ბისმარკსაც ამისთანაები არ დაეფიცება. ეხლა საკითხავი ეს არის: რისთვის მოჰსურვებია ბისმარკს ამისთანა ნაპერწკალის გადაგდება იქით, საცა უამისოდაც ასაფეთქებლად გადადებულია მშვიდობიანობა, თოფის წამლით გარშემორტყმული?

აქ ჟურნალ-გაზეთობის აზრი ორნაირია: ერთნი ამბობენ, რომ ბისმარკი ეხლაც ისე მოიქცა, როგორც შვიდწლეულის სამხედრო კანონის გასინჯვის დროსა პარლამენტშიო. მაშინ ბისმარკმა თავისი გაზეთები გაალაშქრა საფრანგეთზედ იმ აზრით, რომ გაბოროტოს საფრანგეთი, მეტი რამ ათქმევინოს, ან აქმნევინოს და გერმანელთ ანიშნოს, რომ აი, ომის შიში საიდამ არის და ამის დასახვედრად შვიდწლეული სამხედრო კანონია უებარ ღონედ ცნობილიო. ამ მოხერხებულმა შიშმა თავისი ჰქმნა და რეიხსტაგში გერმანელთ იმისთნა კაცები ამოარჩევინა, რომ იგი სამ-

ხედრო კანონი ისე მიიღეს, როგორც ბისმარკსა ჰსურდა. ეხლაც ამისთანა გაჭირება დაადგა ბისმარკსა, რადგანაც 50 მილლიონი მოსთხოვა რეიხსტაგს მარტო ჯარების გაძლიერებისათვის, ვაითუ, ამაზედაც უარი მითხრანო და ეს შნებელეს ამბავი განგებ გამოატყვრინა, რომ ქვეყანა და ნამეტნავად საფრანგეთი მკვახედ აალაპარაკოს თუ აამოქმედოს და ამის გამო ომის ატეხაზედ მითითებით ხელახლად შეაშინოს გულუბრყვილო გერმანელნი. ჟურნალ-გაზეთები, ამ აზრის მომხრენი, უმატებენ, რომ რაკი შნებელეს ამბის შემდეგ რეიხსტაგმა ეგ 50 მილლიონი კვლავ დაუმტკიცა ბისმარკს, ეხლა, რასაკვირველია, ხერხიანი ბისმარკი ამ განსაცდელიან ამბავს ჩააფუჩეჩებს და, თუ გაჭირდა, ბოდიშსაც მოუხდის საფრანგეთს და საქმე ამით გათავდებაო.

სხვა გაზეთები სხვას ამბობენ ამ შნებელეს ამბის გამო: ბისმარკს ამათი სიტყვით დღეს ომის ატეხა ემარჯვებაო. ღარიბი გერმანია დიდხანს ვერ გაუძლებს ამოდენა აუარებელს ხარჯს მხედრობისას, რასაც დღეს ეწევაო. ამიტომ ბისმარკს გული უცემს, რომ რაც შეიძლება მალე გამოიყვანოს გერმანია ამ გაჭირებისაგან და საქმე და ბედი ხმლის ტრიალზედ მიაგდოსო. ბისმარკმა ამასთან ძალიან კარგად იცის, რომ სისხლისღვრას მთელი ევროპა ერიდება, როგორც უსამართლო და უღვთო საქმეს და ბისმარკს არა ჰსურს, — ამ უღვთო საქმის ბრალი ბრალი თვითონ დაიდვას, ან გერმანიას დასდვას, რადგანაც ეს ბრალი ბისმარკსა და გერმანიაზედ გულს ააყრევინებს ევროპასა. ამის გამო ყოველს ღონესა ჰხმარობს, რომ საფრანგეთი გაბოროტოს და პირველად იმას ამოაღებინოს ხმალი და ბრალი სისხლის ღვრისა საფრანგეთს მოახვიოს კისერზედ ევროპის წინაშე. აი, ხსენებულ გაზეთების სიტყვით, სათავე შნებელეს საქმისა სად უნდა მოიძებნოს. მართალიც არის: თუ კაცს რომელისაშე ერის გამწარება უნდა, ძნელად საფიქრებელია იმაზედ უმწვავესად გულში წყენის

შუბის დაძგერებია, როგორც შნებელეს ამბავია. აი რა საბუთით.

შვიდის დღის წინად, ვიდრე ეგ ამბავი მოხდებოდა, ბძანება მისვლია გერმანელ პოლიციის კამისარს გაუჩს, შნებელე დაიჭირეო. როგორ დაეჭირა? შნებელე საგრანგეთის მოხელე კაცია, საფრანგეთის მიწა-წყალზედ ბინა აქვს. გაუჩს, ამბობენ, განგებ გადუქცევინებია სამზღვრის ნიშანი ბოძი და დაუბარებია შნებელე — მოდი, ბოძი აღვადგინოთო. ამით გამოუტყუებია შნებელე, კაცები ჩასაფრებული ჰყოლია, თვითონაც იქავ ყოფილა დამალული და მოსულა თუ არა შნებელე, დაუჭერიათ. გერმანელნი ამტკიცებენ, რომ გერმანიის მიწა-წყალზედ დავიჭირეთო და საფრანგეთი — კი ამბობს, ჩემს მიწა-წყალზეა დაჭერილიო. საცა უნდა იყოს დაჭერილი შნებელე, ყველა ამას აღიარებს, რომ ეს ამბავი მეტისმეტი უმართებულოა და იგი სამართლიანი წყენა, რომელსაც საფრანგეთი უნდა ჰგრძნობდეს, შემ-ძლებელია საფრანგეთს თავი გამოადებინოს იმოდენად, რომ თვითონ სამინისტრომაც თავი ვეღარ დაუჭიროს გამწარებულს და გულამღვრეულს ერსაო.

თუ მართლა ეს შნებელეს ამბავი საპარლამენტო ხერხი იყო, ბისმარკი ისეთი ოსტატია, რომ ჩააფუჩეჩებს ამ საქმეს და საფრანგეთის ერის თავმოწონებას ყოველგვარ კმაყოფილებას მისცემს, და თუ არა, მაშინ კი თუ ატყდა რამე, არა გვგონია ამით თვალები აუხვიოს ვისმე და მიზეზი უწყალო ომისა თვითონ არ შეიქმნას ევროპის წინაშე. შნებელე დღეს განთავისუფლებულია, მაგრამ მარტო ეს არა კმარა, რომ საფრანგეთის ერმა ეს უმაგალითო კადნიერება ბისმარკისა ადვილად დაივიწყოს და სირცხვილი უკადრისობისა აიტანოს: სულ ცოტა რომ ვსთქვათ, საფრანგეთმა ბოდიშიც უნდა მოახდევინოს ბისმარკსა. ინებებს ამას ბისმარკი თუ არა? თუ ამაზედ დაჰყვა საფრანგეთსა, აშკარაა ომის ატეხის სურვილი გულში არა სდებია, როცა გერმანიამ საფრანგეთს შნებელეს საქმე მახედ დაუგო.

«პოლიტიკის ფერისცვალება ბალკანეთის ნახევარკუნძულზე»

ტფილისი, 24 აპრილი

გაზეთებიდამ ამოკითხულ დეპეშებს თუ დავუკვირდით და ნამეტნავად თუ დავუჯერეთ, გამოჩნდება, რომ ბალკანის ნახევარკუნძულზედ პოლიტიკამ თუ ფერი არ იცვალა, აპირობს ფერის ცვალობას. სერბიაში სამინისტრო გარაშანინისა გადადგაო და მეფე მილანმა მისი სამსახურიდამ გასვლა შეიწყნარა და ხორვატოვიჩი მოიწოდა, რომ ჩაებარებინა მთავარ-მინისტრობაო.

გარაშანინი დიდი მომხრე იყო, ავსტრიისა და სერბიის პოლიტიკა სულ იმაზედ ჰქონდა მიქცეული, რომ ავსტრიასთან ერთობა ჰქონოდა სერბიასა და რაკი ავსტრიასთან, მაშასადამე, გერმანიასთანაც. ამბობენ, გარაშანინის გადადგომა იმ განხეთქილებამ მოახდინა, რამაც ამ ბოლოს ხანებში თვითონ სერბიის სამეფო სასახლეში თავი იჩინა.

მეფე მილანის მეუღლე დედოფალი ნატალია დიდი ხანია ცნობილია, ვითარცა მომხრე რუსეთისა და გარაშანინის პოლიტიკის მოპირდაპირეთა მოთავედ დიდი ხანია დედოფალი ითვლებოდა სამეფო სასახლეში. დღეს სჩანს, დედოფალს გაუმარჯვნია და გარაშანინს თავი ვეღარ დაუჭერია. გარაშანინის სამსახურიდამ გამოსვლა იმას მოასწავებს, რომ სერბიის პოლიტიკა

ცოტად თუ ბევრად დაჰშორდება ავსტრიის პოლიტიკასა და დაუახლოვდა რუსეთისას.

სერბიის გაზეთი "ოდიეკი" ამბობს, რომ სერბიის ერმა უნდა მოსთხოვოს მთავრობას, ხელი აიღოს ავსტრიის მომხრეობაზედ და მიეკედლოს რუსთ-ფრანგთა კავშირსა, რომელიც დღეს იქნება თუ ხვალე მოსალოდნელიაო. ბერლინელი გაზეთი "Post"-ი იძახის, რომ ეს "ოდიეკის" თქმული წინამორბედი ნიშანია სამინისტროს შეცვლისა და მაშასადამე, სერბიის პოლიტიკისაცა.

თუ მართალია, რომ მეფე მილანმა ხორვატოვიჩი მოიწვია მთავარ მინისტრად, სჩანს რომ პოლიტიკა სერბიისა, თუ სრულიად არა, ცოტად მაინც გამზადებულია რუსეთისაკენ გადახრისათვის. ხორვატოვიჩი ისეთი ცხარე მოპირდაპირე არ არის რუსეთის მომხრეობისა, როგორც გარაშანინი. ეს წინადაც დაამტკიცა ხორვატოვიჩმა, როცა სერბიის მთავრობას წინადადება მისცა, რომ სერბიის აფიცრები რუსეთის სამხედრო აკადემიაშიაც უნდა იგზავნებოდნენ სასწავლებლადაო. ეხლაც ამისი უტყუარი საბუთი ხელთ მოგვცა: მეფე მილანს გამოუცხადებია თუ არა, რომ შენ მინდა დაგავალო მთავარ-მინისტრობაო, ხორვატოვიჩს ის პირობა დაუდვია, რომ რისტიჩი საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნოსო. რისტიჩი რუსეთის გულმოდგინე მომხრეა და წინააღმდეგი ავსტრიისა, მეფე მილანს არ უყაბულნია რისტიჩის მინისტრობა და ხორვატოვიჩსაც უარი მოუხსენებია.

ეს ამბავი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ აქედამ ცხადადა სჩანს ფერისცვალება სერბიის პოლიტიკისა ცუდად თუ ბევრად.

ბოლგარიაშიც ამ ფერისცვალების ნიშნებია. გაზეთებში მოყვანილი დეპეშები ამტკიცებენ, რომ მაიორი პაპოვი, სოფიის მეციხოვნეთა უფროსი და საგარეო საქმეთა მინისტრი ნაჩევიჩი არამცთუ სამსახურს თავს

ანებებენო, არამედ ბოლგარიიდამ სამზღვარგარედ გასვლასაც აპირობენო. პაპოვი და ნაჩევიჩი ცნობილნი არიან, ვითარცა მოპირდაპირენი რუსეთისა. ამათ სამსახურიდამ გამოსვლის ხმას ძალიან უმოქმედნია ბოლგარიის მხედრობაზედ, ასე, რომ რამდენსამე აფიცერს და მათთა შორის განსაკუთრებით დანიშნულს კამისარს სარეგენტოსას პეტროვს არზა მიუციათ სამსახურიდამ დათხოვნისა. თუმცა მათი თხოვნა ჯერ შეწყნარებული არ არის, მაგრამ თვითონ ეს ამბავი და ნამეტნავად მიზეზი, რომელსაც აუძულებია პაპოვი და ნაჩევიჩი სამსახურიდამ გამოსულიყვნენ, მეტად საყურადღებოა.

ამ ბოლოს ხანებში პაპოვს არაერთხელ საჯაროდ ულაპარაკნია, რომ ევროპამ ხელი აიღო ბოლგარიაზედ, ბატტენბერგის დაბრუნება შეუძლებელი გახდა და საჭიროა არამცთუ დაუყოვნებლივ მოწვევა საერო კრებისა, არამედ რუსეთთან შერიგებაცაო. ამ სიტყვებს რუსეთი მოპირდაპირე კაცისას ძლიერ უმოქმედნია ბოლგარიაში.

ყოველს ამას ისიც დაუმატეთ, რომ ოსმალოს შეუთვლია ბოლგარიის სარეგენტოსათვის: სარეგენტო გადადგეს, ჩემი კამისარი რიზა-ბეი ეხლანდელ სამინისტროსთან ერთად ჩაიბარებს ბოლგარიის საქმეთა წინამძღოლობას და მერე მოწვეულ იქმნება საერო კრება მთავრის ამოსარჩევადო. აი, გაზეთის სიტყვით, დღევანდელთა საქმეთა მდგომარეობა ორს უმთავრეს სახელმწიფოში ბალკანის ნახევარკუნძულზედ.

ჩვენის ფიქრით, ყოველს ზემოთქმულს კავშირი აქვს შნებელეს საქმესთან, რომელმაც ევროპის ყურადღება სრულად მიიპყრა და თვალი ევროპისა მოაშორა სხვა საქმეებსა. რაკი ეგ საქმე დასავლეთის ევროპისა დასცხრება და განელდება ყოვლად შემძლებელის ბისმარკის ხერხიანობითა და მშვიდობიანობას ამ მხრით, აღარა ეფიქრება რა. შესაძლოა ყოველივე იცვალოს აღმოსავლეთ ევროპაშიაც. ასე სტოკავს უღელი პოლიტიკის სასწორისა ევროპაში ბისმარკის მანქანებითა და მინამ ბისმარკი თავის წადილს ასე თუ

ისე არ აისრულებს, ეს უღელი თავის ლარსა და
დონეზედ არ დადგება.

«ავლაბრელების საქმე»

I

ტფილისი, 25 აპრილი

პარასკევს საღამოს, 24-ს აპრილსა, ქალაქის საბჭოში გაირჩა ერთი ფრიად საყურადღებო საქმე. საქმე ესე მდგომარეობს შემდეგში: მეფე ერეკლე მეორე რომ დაბრუნებულა შამქორის ომიდამ, თან გადმოუყვანია რამდენიმე კომლი სომეხი, აოტებულნი ყიზილბაშებისაგან, და დაუსახლებია ავლაბარში. აქ უბოძებია მათთვის, სხვათა ავლაბრელებთა ერთად ავლაბრის გარეშემო მამული სახნავ-სათესად და საძოვრად. ეს გადმოსახლებულნი ჯერ პირველად სამეფო გლეხებად ჩაურიცხავთ და მერე სახასოდ. თვითონ ავლაბრის მამული კი დედოფლის დარიას წილადხდომილი მამული ყოფილა და ამ ავლაბრის გლეხთა საზოგადოებას უძლევია ღალა, ერთი მეათედი მოსავლისა. შემდეგ დარია დედოფლისა ხაზინა დაჰპატრონებია ამ მამულს და ღალა ხაზინას უღია. ამ საუკუნის პირველ მეოთხედში ვიღაცა შარუბათოვს წაუტანებია ხელი ამ მამულებისათვის და საკუთარებად დაჩემებისათვის დავა გაუმართავს. ავლაბრელებს, რა თქმა უნდა, თავი გამოუდვიათ და ბოლოს საქმე სენატამდინაც მისულა. სენატს 1837 წ. დაუდგენია განაჩენი და მამული დაუგდია ავლაბრელთა ხელში. ავლაბრელებს ეს დავა კარგა ფული დასჯდომიათ, და

რაკი მაინც თავისად ჰგულებიათ, სხვა ხარჯიც არ დაუზოგავთ ამ მამულების განკარგებისათვის: გამოუყვანიათ თავიანთის ხარჯით წყალი მილებით, ქვითკირის აუზები აუშენებიათ, დაუმართავთ გომები და ფარეხები და ყოველ ამისათვის კარგა ხარჯი გაუწევიათ.

1869 წ. ეს ავლაბრის მამული გადუციათ ქალაქისათვის საძოვრად და სანახირედ. რა გზით, რა პირობოთ გადასულა ეს მამული ქალაქის ხელში — ამისი ცნობა არ არის თურმე ქალაქის საქმეებში. მას აქედ იგი მამულები მაინც ავლაბრელებს სჭერიათ, მხოლოდ იმ განსხვავებით რომ იჯარა ქალაქისათვის უძლევიათ. ბოლოს, 16 მარტს 1887 წ., ქალაქის გამგეობას აუღია, ავლაბრელები გამოუწირავს და ეგ მამული იჯარით მიუცია ახნაზაროვისა და ქიშმიშოვისათვის წელიწადში ორას თუმნად. 1869 წლიდამ ამ 1887 წლამდე ქალაქის გამგეობას დიდი მიწერ-მოწერა ჰქონია ამ საგანზედ. ამ მიწერ-მოწერიდამა სჩანს, რომ ავლაბრელებს გულიდამ არ ამოულიათ ის მართლა და სამართლიანი იმედი, რომ ეგ მამული, თუ იჯარით გასაცემია, მათთვის უფრო უპრიანია, რადგანაც იმათა სჭერიათ, იმათ უდავნიათ, იმათ შეუნახავთ, იმათ განუკარგებიათ, და ამისათვის არა ერთი ათასი თუმანი დაუხარჯავთ იმ ხანის განმავლობაში, რაც ხელში სჭერიათ. გარდა ამისა, ამ მამულზედ ყოფილა დამოკიდებული ცხოვრების სახსარი ავლაბრელების საზოგადოებისა, რომელშიაც არა ერთი და ორი ათეული კომლი კაცი ითვლება.

რაკი შეუმჩნევიათ, რომ ქალაქის გამგეობა მიხრილა იმაზედ, რომ ეგ მამული ძველის წესით აღარ ამყოფოს და იჯარით გაცემული უნდა იქნას, ავლაბრელებს არაერთხელ ამ ათის-თხუთმეტის წლის განმავლობაში უთხოვნიათ გამგეობისათვის, ჩვენ ნუ გამოგვწირავთ და იჯარით ჩვენ მოგვეცით ჩვენივე ნაჭერი მიწები და ცალკე კაცს ნუ შემოგვისევთო. პირველ ხანებში ქალაქის გამგეობას გულმტკივნეულობით შეუწყნარებია ავლაბრელების თხოვნა. ამის საბუთს წარმოადგენს

ოქმი გამგეობისა 22 მაისისა 1876 წ., და ნამეტნავად ოქმი თვითონ ქალაქის საბჭოსი 12 ნოემბრისა 1879 წ. ამ უკანასკნელ ოქმში სწერია, რომ ეგ მამული უსათუოდ იჯარით გაიცეს და საჭირო ვაჭრობა მოხდეს, და თუ ავლაბრელები აიღებენ იჯარით, მათი ურთიერთი თავდებობა მიიღონ ფულის მაგიერ იჯარის ფულის შემოტანის საიმედოდ, და თუ ცალკე კაცი, იმას კი წინდაწინ წინდად ან ფული შემოატანინონ, ან ბანკის ბილეთები.

მერე და მერე ეს გულმტკივნეულობა ქალაქის გამგეობისა ცოტა არ იყოს განელებულა და ბოლოს ისე მომხდარა საქმე, რომ ეგ მამულები საჯარო ვაჭრობით ცალკე კაცებს დარჩენიათ საიჯაროდ ორას თუმნად. საქმის სისრულისათვის ესეც უნდა ითქვას, რარიგად მომხდარა იგი საჯარო ვაჭრობა. ვაჭრობაში მოსულან ახნაზაროვი და ქიშმიშოვი და ათიოდე ავლაბრელი, რომ ერთობილად ივაჭრონ და ასი თუმანი წინდად შეუტანიათ. მეორე მხარე არა ყოფილა. ამასთანა დასახსომია, რომ ახნაზაროვს და ქიშმიშოვს ეს პირობა შეუტანიათ, რომ თუ ვინიცობაა იმ ათიოდ ავლაბრელმა თავისი წილადხდომილი ამ ასის თუმნისაგან არ შემოიტანოს, იჯარა მარტო ახნაზაროვსა და ქიშმიშოვზედ დამტკიცდეს. თქმა არ უნდა, რომ არ შემოიტანეს და დაუმტკიცეს ახნაზაროვსა და ქიშმიშოვსა

ხმოსანს თ. მიხეილ მაჩაბელს დაუნახავს, რომ ქალაქის გამგეობა და საბჭო ამ საქმეში უსამართლოდ მოჰქცევიან ავლაბრელებს და რამდენიმე ათეული კომლი კაცი გაუწირავთ უმიზეზოდ; წინადადება შეუტანიათ, გააუქმონ იჯარა ახნაზაროვისა და ქიშმიშოვისა, ისევ ავლაბრელებს მისცენ იჯარით მათი ნაჭერი მამულები ურთიერთობის თავდებობითა.

პარასკევს, 24 აპრილს თ. მიხეილ მაჩაბელმა ამ საგანზედ დიდი მოხსენება წაიკითხა საბჭოს წინაშე, რომელსაც 47 ხმოსანი დაესწრო. მოხსენება კარგად შედგენილია, ყოველივე გარემოება საქმისა ნათლად

ახსნილია. სჩანს, რომ თ. მაჩაბელს ზედმიწევნით შეუსწავლია თვითვეული ცალკე გარემოება ამ საქმისა და ყოველივე გადასაწყვეტად საჭირო ცნობა გულმოდგინეთ უძებნია და გამოუკვლევია.

თუმცა საბჭომ უარჰყო ოცდაექვსის ხმით წინააღმდეგ ოცდაერთისა წინადადება თ. მაჩაბლისა, მაგრამ ამით გზა არ შეეკვრის კაცს — ეძიოს, მართალი რომელს მხარეს არის. ამის გამოძიებას შემდეგ შევუდგებით.

II

ტფილისი, 27 აპრილი

მეტისმეტად საინტერესოა ცნობანი მასზედ, თუ რა სახის საზოგადოება ჰქონიათ ავლაბრელებს იმ მიწების ხმარების გამო, რომელთაც იგინი ითხოვდნენ საიჯაროდ ქალაქის გამგეობისაგან. ეს მხარე საქმისა საკმაოდ ვრცლად გამოკვლეულია ხმოსანის თ. მიხეილ მაჩაბელის მოხსენებაში.

ამ მოხსენებისაგან სჩანს, რომ მაგ საზოგადოებას შეადგენს სულ 56 კომლი, რომელშიაც 332 სული ითვლება ორისავე სქესისა. ამ საზოგადოების საქმეს განაგებენ თურმე საზოგადოებისაგან ამორჩეულნი კაცნი: ნაცვალი, გზირი და საზოგადოების კრება. ყოველის რიგისა, წესისა, ხარჯისა და სხვა რამ გარდასახადისა აღმნიშვნელი და დამადგინებელი საზოგადო კრებაა. ნაცვალი და გზირი მარტო აღმსრულებელნი მოხელენი არიან. საზოგადოების წინაშე ყოველისფერში პასუხისმგებელი არის უფროსი კაცი კომლისა და არა ყველა მოზდილი ოჯახისშვილი. თუმცა თავიდათავი ამ საზოგადოებაში გლეხობა არის, მაგრამ დღეს საზოგადოებაში ითვლება თურმე სხვა წოდების კაცნი, მაგალითებრ, ვაჭარნი, ჩინოვნიკები და საპატიო მოქალაქენი და სხვანი, რომელნიც გლეხობის შთამომავალნი არიან და რომელთ წინაპარნი ავლაბრის

გლეხთა საზოგადოებას ეკუთვნოდნენ. ამათ შერჩენიათ იგი უფლება და მოვალეობა, რაც მათ წინაპართა ჰქონიათ ავლაბრის საზოგადოებაში. ამ საზოგადოების შინაგანს ბუნებას და აგებულებას კაცი რომ დაუკვირდეს, დღეს იმას შეჰნიშნავს, რომ ამ საზოგადოებას შერჩენია მარტო თვისება და ხასიათი სამეურნეო გამგეობისა და სხვა აღარაფერი.

ამის მიხედვით, თვითვეული ცალკე კომლი ლიტრა-ჩარექობის კვალობაზედ არის მონაწილე ამ სამეურნო საზოგადოებაში. ამ ლიტრა-ჩარექობაზედ განწირულია მიწების ხმარება, ანუ უკედ ვსთქვათ, მიწებისაგან გამორჩომა, და ამავე ლიტრა-ჩარექობაზედვე არის გაწერილი ხარჯი. რადგანაც უმცირესი წილი ჩარექია და უდიდესი ლიტრა, და რადგანაც ლიტრაში ოთხი ჩარექია, ამიტომაც ლიტრიანი კაცი ერთი-ოთხად მეტს იხდის ყოველგვარს ხარჯს და ერთი-ოთხადაც მეტი გამორჩომა აქვს საზოგადო მიწებისაგან. ამ საზოგადოებაში ჩარექიანზედ ნაკლები და ლიტრიაზედ მეტი მეკომური არ არის შეწყნარებული; ასე რომ მეკომურს ერთის ლიტრიანის წილის მეტი არ შეეძლო სჭეროდა. მეტად საყურადღებო წესი ამ საზოგადოებისა ის არის, რომ ღარიბთა, შეუძლებელთა, ობოლ-ქვრივთა, რომელთაც ღონე არა აქვთ ხარჯის წევისა და თავის ხვედრის ხარჯის გაღებისა, მიწებისაგან გამორჩომაში წილი ედვათ თავთავისდაგვარად და ხარჯს კი საზოგადოება მათ მაგიერ თვითონ იხდიდა.

ამ საზოგადოებას ჰყავს თურმე: 758 სხვილი საქონელი მუშა და მოცადი, 82 ცხენი, 42 სახედარი, 80 ღორი და 7126 ცხვარი. მარტო 16 კომლია იმისთანა, რომ არა ჰყავს საქონელი. გამგეობის მიერ დაწესებულია თურმე, რომ სხილს საქონელზედ წელიწადში 1 მანათზედ მეტი არ უნდა აიღონ საბალახე და წვრილზედ 25 კაპ. მეტი. ამ ანგარიშით ავლაბრის საზოგადოება იხდის თურმე 2420 მანათსა წელიწადში.

აი, იგი საზოგადოება, რომელიც ავლაბრელების სახელით სთხოვდა ქალაქის გამგეობას, ჩვენი ნაჭერი მამული ჩვენვე მოგვეცით იჯარით, რადგანაც მაგ მამულზეა დამოკიდებული 332 სულის სახსარი ცხოვრებისაო. მას აქედ, რაც ეგ მამულები ქალაქს მიაკუთვნეს, ესე იგი, 1869 წლიდამ, ბედს ამ საზოგადოებისას, რომელსაც კაცი ძნელად თუ არ თანაუგრძნობს, ძირი შეერყა, და ქალაქის გამგეობა იმ დღიდამ თავის მეცადინეობას არ აკლებდა, რომ ეს საზოგადოება სრულად გაენადგურებინა. ჯერ, როგორცა ვსთქვით, პირველ ხანებში, როგორც ქალაქის გამგეობა, ისეც მთავრობა, ქალაქის გამგეობის მეოხებით, გულმტკივნეულად მოექცა ამ საზოგადოებას, მაგრამ ბოლოსდაბოლოს გამგეობამ დაივიწყა ეგ გულმტკივნეულობა და თანდათან ძირი მოუთხარა და დღეს ხომ სულ პირქვე დაამხო. ჩვენს შემდეგს ნომერში კვალდაკვალ ავყვებით და წარმოვუდგენთ მკითხველს იმის ისტორიას, თუ რარიგად ჰნელდებოდა თანდათან ეს გულმტკივნეულობა. არ გვინდოდა ასე გაგრძელება ამ წერილებისა, მაგრამ ვხედავთ, რომ თუ ამა საქმის გარემოება ვრცლად არ გამოესახა კაცს გონების თვალწინ, ძნელია უტყუარი სჯა იქონიოს.

III

ტფილისი, 28 აპრილი

როგორც წინად მოგახსენეთ, ავლაბრელების ნაჭერი მიწები, რომელთ გამოც ეხლა ჩვენ ლაპარაკი გვაქვს, მიუზომეს ქალაქს საძოვარად და სანახიროდ 1869 წელსა. ქალაქის გამგეობამ პირველ ხანშივე მიაქცია ყურადღება ამ მიწებს, როგორც ახალს წყაროს გამორჩომისას საქალაქოდ. თუმცა მაშინდელმა საზოგადო კრებამ ქალაქისამ ეს გამორჩომის აზრი წინ წაიმძღვარა, მაგრამ მისდა სასახელოდ ესეც უნდა ვსთქვათ, რომ ავლაბრელების საზოგადოების

გაჭირებაც თვალწინ დაიყენა და ამიტომაც თავისი მეცადინეობა არ მოაკლო, რომ ავლაბრელებსვე თავიანთ წესისამებრ სჭეროდათ იგი მამული. 27 მარტს 1872 წელს ამ საზოგადო კრებამ ქალაქისამ დაადგინა განაჩენი, რომ ეგ მამული იჯარით გაიცეს სამის წლის ვადით 1-ს აგვისტოდამ 1871 წლისა 1-ს აგვისტომდე 1874 წლისა, და თუ ავლაბრის საზოგადოება ისურვებს, მას მიეცეს, თუ არადა გარეშე კაცთა, მხოლოდ საჯარო ვაჭრობით კი.

ავლაბრის საზოგადოებამ შეიტყო ეს თუ არა, მაშინვე თავისის ვექილების პირით ითხოვა მაშინდელ ქალაქის მართველობისაგან, საჯარო ვაჭრობის მოუხდენელად მისცენ საზოგადოებას იგი მამული იჯარით წელიწადში 1300 მანეთად სამის წლის ვადით, ხოლო დასაწყისი ვადისა იყოს 1-ი აგვისტო 1871 წლისა კი არა, არამედ 1-ი აგვისტო 1872 წლისა. ქალაქის მართველობამ შეიწყნარა ეს თხოვნა და იშუამდგომლა ტფილისის გუბერნატორის წინაშე, რომ იგი მამული უვაჭრელად მიეცეს ავლაბრის საზოგადოებას და ვადაც იჯარისა შეიცვალოს ავლაბრელების თხოვნისამებრ. ამ შუამდგომლობამ მიაღწია აქაურს უმაღლეს მთავრობამდე და მის მიერ შეწყნარებულ იქმნა. თუმცა ზოგიერთი ფორმალურის მიზეზისა გამო იჯარის ხელშეკრულობა მაშინ არ დაიწერა, მაგრამ ავლაბრის საზოგადოება ჰხმარობდა ზემოხსენებულ პირობით მამულებსა და იჯარის ფული 1300 მანეთი წელიწადში შეჰქონდა ქალაქის ხაზინაში. აშკარადა სჩანს აქედამ, მაშინდელი მმართველობა ქალაქისა რა გულმტკივნეულად მოჰკიდებია საქმეს და ცდილა ქალაქისათვის გამორჩომა რამ ყოფილიყო და ავლაბრელებიც არ გამოეწირა.

როცა ამ პირველის იჯარის ვადა 1875 წელს გავიდა. ქალაქის გამგეობა უფრო გაიყოლია გამორჩომის სურვილმა და ავლაბრელების ინტერესი ცოტა არ იყოს ჩრდილში მიაყენა. ეს ცხადადა სჩანს იმ განაჩენისაგან, რომელიც ქალაქის გამგეობამ

დაადგინა 19-ს სექტემბერს 1875 წ. ამ განაჩენში სწერია: მიღებულ იქმნა რა სახეში, რომ მთავრობის მიერ ნებადართულს იჯარას ვადა შეუსრულდა 1-ს აგვისტოს 1875 წელსა, საჭირო რომ იგი საიჯარო მამული ქალაქის საძოვრად და სანახიროდ დაიდვას იმ პირობით, რომ სხვილს საქონელზედ ერთი მანეთი იღოს ქალაქმა და წვრილზედ სამი შაური თთვეში; ამ გზით ქალაქი მეტს გამორჩომას ჰნახავს... და ამიტომ ტფილისის საქალაქო გამგეობამ დაადგინა: "ვსთხოვოთ ქალაქის საბჭოს, იგი მამულები აღარ გაიცეს იჯარითა და საძოვრად და სანახიროდ დარჩეს ქალაქსა და ზემოხსენებულის ზომით გამოერთვას საბალახო საქონლის პატრონებს საქონლის ძოვებისათვის".

ეს განაჩენი გაირჩა ქალაქის საბჭოში 9-სა და 13-ს ოქტომბერს 1875 წელსა. ქალაქის საბჭო დაადგინა: დარჩეს ეგ მამული საძოვრად და სანახიროდ ქალაქის მცხოვრებთა და დროებით ჩამოსულთა სოფლელთათვის უსასყიდლო ხმარებისათვის საქონლის საძოებლად; გამგეობას დაევალოს შეადგინოს პროექტი პირობებისა, რომლის ძალითაც უნდა ეგ მამული გაეცეს იჯარითა და შედგენილი პროექტი წარმოადგინოს განსახილ-ველად საბჭოში. ამ განაჩენის ძალით შემდგარ იქმნა ცალკე კომისია და მოხსენება ამ კომისიისა 22 მაისს 1876 წ. შიგ ჩართულია თვითონ გამგეობის განაჩენში. ამ გამგეობის განაჩენში აი რასა სწერს გამგეობა: "რადგანაც ამ მამულის იჯარით აღებაში უპირატესობა უნდა მიეცეს ქალაქის მკვიდრთა, რომელნიც სასოფლო მეურნეობით სცხოვრებენ, უამისოდ იგინი ძალიან დიდს გაჭირვებაში ჩასცვივიან და ცალკე კაცებს ჩაუვარ-დებიან ხელში გამოსარჩომად, — გამგეობამ მოიწვია წარმომადგენელნი კუკიისა, ავლაბრისა და ნათლუხის საზოგადოებისანი მოსალაპარაკებლად. ამ წარმომად-გენელთა გამოაცხადეს სურვილი, აიღონ ქალაქის მამულები იჯარით, ხოლო სთქვეს, რომ იჯარა უამისოდაც დიდია და ეძნელებათ მაგოდენა იჯარის გაღება და ამიტომ მომატება იჯარისა შეუძლებელია

და ამაზედ სიტყვაც არ უნდა იყოს ჩამოგდებულიო. რამდენჯერმე კიდევ იქმნენ მოწვეულნი ეს წარმომადგენელნი და გამგეობამ თანახმა გაიხადა ესენი იჯარისათვის მოემატებინათ, ხოლო პირველ წლისათვის ითხოვეს იჯარა წინანდელის ზომით დარჩენილიყო".

გამგეობა ამ განაჩენში, სხვათა შორის, აი, რა სამართლიან აზრს ამბობს: იქნება შესაძლოც იყოს მეტის იჯარის აღება, მაგრამ ამ შემთხვევაში უარყოფილ უნდა იქმნას ინტერესები ღარიბის ხალხისა, რომელიც ძველადგანვე სოფლის მეურნეობას მისდევს ქალაქის მიწებზედ და რომელსაც ამ ბოლოს დრომდე თავისად ეგულებოდა ეგ მიწები. მომატება იჯარისა მეტისმეტად თვითონ ქალაქისათვისაც არ არის სასარგებლო, იმიტომ რომ ეგ მომატება მძიმე ტვირთად დაადგება ქალაქის მკვიდრთა ღარიბს ნაწილსა. ქალაქის მმართველობის წარმომადგენელთა არ უნდა მოიწონონ ეს ამბავი, რადგანაც მათდა თავდაპირველი ვალი ის არის, რომ იზრუნონ ქალაქის კეთილდღეობისათვის იმ მხრით, რომ უდიდესმა ნაწილმა ქალაქის მკვიდრთა სიკეთე, განკარგება და შესუბუქება რამ იგრძნოს.

ყოველ ამის გამო გამგეობამ დაადგინა: გამოირჩეს იმ მამულებიდამ ქალაქის სანახიროდ დასადებლად შესაფერისი ნაწილი და დანარჩენი მიეცეს იჯარით ხსენებულ საზოგადოებათ სამის წლის ვადით იმ ფასად, რაც მანამდე იყო. ეს განაჩენი გამგეობისა დამტკიცებულ იქმნა საბჭოსაგან 24 მაისს 1876 წელსა. ამ გზით იარა ამ საქმემ და ბოლოს იმაზედ შედგა, რომ ავლაბრელების საზოგადოებას დარჩა მისი ნაჭერი მამულები იჯარით წელიწადში ორას თუმნად სამის წლის ვადით 1880 წლამდე.

12 ნოემბერს 1879 წელს, იმის გამო, რომ ავლაბრელების იჯარის ვადა თავდებოდა, 1-ს იანვარს 1880 წელსა, ქალაქის გამგეობამ შეიტანა თავისი განაჩენი საბჭოში და ითხოვა ნებართვა, რომ ახალი

საჯარო ვაჭრობა დაინიშნოს იმ მამულის იჯარით გასაცემად. საბჭოს ოქმში მოხსენებულია, რომ ზოგიერთმა ხმოსანმა ითხოვა თურმე, რომ უეჭველად ისევ ავლაბრელებს მიეცით იჯარით იგი მამული, მაგრამ საბჭომ გადასწყვიტა, უსათუოდ საჯარო ვაჭრობა მოხდეს და პირობად დაიდვას შემდეგი: თუ ვინიცობაა ავლაბრის მკვიდრნი აიღებენ იჯარას, მათ ურთიერთობის თავდებობა ჩამოერთოთ იჯარის ფულის საიმედოდ, და თუ ცალკე კაცნი დაირჩენენ ვაჭრობის დროს იჯარას, იმათ კი წინდად გამოერთვათ ფული.

ამ ისტორიიდამა სჩანს, რომ რამოდენადაც დრო გადიოდა, იმოდენად თავდაპირველი სამართლიანი მზრუნველობა ავლაბრელთა საზოგადოების მიმართ კლებულობდა და გამორჩომის სურვილი საქალაქოდ ჰმატულობდა. ბოლოსდაბოლოს გამორჩომის სურვილმა სულ გააბათილა წინანდელი აზრი ქალაქის მართველობისა, რომელიც ამბობდა: ქალაქისათვის გამორჩომის სურვილმა უნდა აქ ადგილი დაუთმოს ღარიბის ხალხის გაჭირებას და ინტერესებსაო. შემდეგ ჩვენა ვნახავთ, რომ ქალაქის გამგეობამ და საბჭომ ამ საქმით და მამულებით ვერც ვერაფერი მოუმატა ქალაქის ხაზინასა და ავლაბრელებსაც მამულზედ ხელი დააბანინა და მთელი 332 სული გასწირა. ფრიად საყურადღებოა, რა გზით მოხდა ეს საოცარი ამბავი, რომ ვერც ქალაქი გამორჩა მეტსა, და ავლაბრელების საზოგადოებასაც მთხოვარის გუდა-ნაბადი აჰკიდეს და იმათი სვე-ბედი, წყარო ცხოვრებისა, ორს-სამს კაცს ჩაუგდეს ხელში.

IV

ტფილისი, 29 აპრილი

ჩვენ წინა წერილში მოვიხსენიეთ, რომ ქალაქის გამგეობამ ავლაბრელების საქმის გამო ყოველისფერი ფეხქვეშ გაუშალა საქალაქოდ გამორჩომის სურვილსა:

ნამდვილი სიმართლეც, ღარიბების სვე-ბედიც, მთელის კარგა მოზდილის მკვიდრთა ნაწილის ინტერესებიცა. ხოლო საოცარი ბოლო ჰქონდა ამ თავისთავადაც უჯერო სურვილსა. სურვილი ხომ სურვილი იყო და გამგეობამ საქმე ისე მიიყვანა, რომ რასაც ავლაბრელები იძლეოდნენ, იმავ ფასად და იმავ პირობით მათი ნაჭერი მამული სამს კაცს ჩაუგდო ხელში და ამ სახით არც გამორჩომა გამორჩომად გამოდგა და ავლაბრელებიც 332 სული ცარიელზედ დასვა. ჩვენ უკვე ვსთქვით, რომ 1880 წლამდე იგი მამული მაინც ავლაბრელებს ჰქონდათ იჯარითა.

1880 წელსა ხელახლად მოხდა საჯარო ვაჭრობა იმ მემამულეების იჯარით გასაცემად. ამ წელს ყოფილმა გამგეობამ თავისი ყოვლად შემძლებელი იერიში მიიტანა იმ მცირეოდენ უპირატესობაზედაც, რომელიც ქალაქის საბჭომ არგუნა ავლაბრელებს 1879 წლის განაჩენითა. ეს მცირედი აჩრდილიც მაშინდელის საბჭოს მზრუნველობისა თითქო თვალში ეკლად ჰქონებია გამგეობას და თავის ნებითა და ძალით გაუუქმებია. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ 1879 წელს საბჭოს მიერ დადგენილი იყო, თუ ავლაბრელები აიღებდნენ იჯარით ხსენებულს მამულს, მათ ფული არ უნდა გამოერთოს იჯარის ფული საღად შემოტანის საიმედოდ, არამედ უნდა ჩამოერთვას მარტო ურთიერთობის თავდებობა. ეს განაჩენი საბჭოში დღევანდლამდე ხელშეუხებელია და ამიტომაც ძალა უნდა ჰქონოდა გამგეობისათვის, რადგანაც გამგეობა ყოველსფერში ხელქვევითია საბჭოსი. მაგრამ გამგეობამ გააუქმა თავისის ნებით ეს განაჩენი, და როცა 1880 წლის საჯარო ვაჭრობაში იგი მამული კვლავ ავლაბრელებს დარჩათ იჯარითა წელიწადში ორას თუმნად, თავდებობის მაგიერ გამგეობამ ორმოცდაათი თუმანი შემოატანინა წინდრად. ეს ზოგიერთთაგანი იერიშია, რომელიც გამგეობამ მიიტანა ავლაბრელების საზოგადოების დასარღვევად და ამასთანავე ცხადი მაგალითია იმისი, რომ ხელქვევითმა გამგეობამ თავის

მბრძანებელის საბჭოს განაჩენი უარჰყო, გააუქმა და არაფრად ჩააგდო. აქ გამგეობის თვითნებობის მეტს სხვას არაფერს უმოქმედნია.

ამ სახით 1880 წლიდამ 1883 წლამდე ხსენებული მამული კიდევ ავლაბრის საზოგადოებას ეჭირა იჯარითა. 1883 წელს, რაკი ვადა გავიდა, კიდევ მოხდა საჯარო ვაჭრობა. ავლაბრელები, რიცხვით 30 კაცი, მოსულა სავაჭროდ და გამგეობისათვის გამოუცხადებიათ, რომ ავეტიქა იშხანოვი, დავით ფორაქოვი და შაქარა თათულოვი მათის საზოგადოების ვექილები არიან და პირობა დაუდვიათ, რომ კანონიერს რწმუნების წერილს წარმოადგენენ. ბოლოს წარმოადგინეს კიდეც და იჯარით ამხანადაც დარჩათ მამული ავლაბრელებს და იჯარის ქაღალდი მოაწერინეს მათს ვექილებსა. ხოლო საყურადღებოა თვითონ განაჩენი გამგეობისა, რომელშიაც გამგეობა აღიარებს, რომ იშხანოვი და თათულოვი საზოგადოების ვექილები კი არ არიან, არამედ იმისთანავე წურბელები, როგორც სხვანი. ამ სიტყვებისაგან სჩანს, რომ გამგეობას ამ საქმეში ცოდვად მიუჩნევია და უარუყვია. ეს ხომ ესეა 1883 წელს, მაგრამ 1886 წელს კი იმავ გამგეობას ყოველივე ღონისძიება უხმარია, რომ სწორედ მაგ ერთხელ დაწუნებულს მის მიერ მყვლეფავობას დიდი და ფართო გზა გახსნოდა.

ამ ახალს იჯარას, როცა მამული კიდევ ავლაბრელებს სჭერიათ წელიწადში ორას თუმნად, ვადა გასვლია 1-ს იანვარს 1886 წელსა. ამიტომაც 30 ნოემბერს 1885 წ. დაუნიშნავს ახალი საჯარო ვაჭრობა გამგეობას და თუმცა ავლაბრელებს კიდევ ჰქონდათ იჯარის ვადა 1886 წლის 1-ს იანვრამდე, მაგრამ მაშინვე ჩამოურთმევია მამულებიცა იმ მიზეზით, რომ იჯარის ფულის შემოტანა დაუგვიანებიათ. საოცარი ამბავი, ამბავი ვერას გზით ვერ აღსახსნელი, ამ ვაჭრობაზედ მოხდა. ამ ხნის სავაჭრო ოქმში[1] ([1] იხილეთ ოქმი 1885 წლის 30 ნოემბერი.) სწერია: ”სავაჭროდ მოვიდნენ მეორე გილდიის ვაჭარნი ყაზარ

ახნაზაროვი, ავეტიქა ახნაზაროვი და იაკობ ქიშმიშოვი და ცამეტი კაცი ავლაბრელნი, ცალ-ცალკე დასახელებულნი და გამოაცხადეს, რომ ყოველ ამათ უნდათ ვაჭრობა”, “წარმოადგინეს წინდრად ასი თუმანი”.

აქ კიდევ საკვირველი არა არის რა: თექვსმეტმა კაცმა ერთად ისურვა მამული იჯარით აიღონ და ასი თუმანი წინდრად წარმოადგინეს. სასწაული მეორე მოქმედებაშია, და რამოდენად საბარაქალოა ეს სასწაული, მკითხველი დაინახავს შემდეგიდამ. რადგანაც მოცილე არა ჰყოლიათ, რა თქმა უნდა, თექვსმეტს კაცს გამოუცხადებიათ თავისი ფასი ორასი თუმანი წელიწადში და ეს ლოღიკისა და კანონის წინააღმდეგი ვაჭრობა ვაჭრობად შეურაცხავს გამგეობას. იმის შესახებ თუ, — რა არის ლოღიკით და კანონით საჯარო ვაჭრობა, მერე მოვილაპარაკებთ, და ეხლა კი აი, რა საოცარს ამბავს გავუწყებთ. დარჩენიათ რა იჯარა ხსენებულ 16 კაცს, იმათგან სამს კაცს, ყაზარა და ავეტიქა ახნაზაროვებს და იაკობ ქიშმიშოვს, ამ “მეორე გილდიის კუპწებს” ეს პირობა დაუდვიათ (საჯარო ვაჭრობაში ?!): “თუ ვინიცობაა დანარჩენნი მათი ამხანაგნი არ შეავსებენ უკვე წინდრად შემოტანილს ასს თუმანს, იჯარა მარტო სამს კაცს დაუმტკიცდეს და იჯარის ქაღალდიც მარტო იმათს სახელზედ დაიწეროს”. გაიგეთ!... ყველანი საერთოდ, საამხანაგოდ ჰვაჭრობენ, საამხანაგოდვე შემოაქვთ საწინდრავი ფული, და მათში სამი კაცი რარიგად ატრიალებს საქმესა და გამგეობაც, ამაზედ ყურს იყრუებს! საჯარო ვაჭრობის წესი კი ის არის, რომ ყოველი პირობა წინად გამოცხადებული უნდა იყოს საყოველთავოდ რომელისამე ოქმითა. აქ სულ უეცარი პირობა იყო შეწყნარებული, მერე ვისი? გამგეობისა? საბჭოსი? არა: ახნაზაროვებისა და ქიშმიშოვისა. ამ სახით გამოდის, რომ საქალაქო საჯარო ვაჭრობის პირობების მდებელი საბჭო და

გამგეობა კი არა ყოფილა, არამედ ახნაზაროვები და ქიშმიშოვი.

რა თქმა უნდა, დანარჩენთა ამხანაგთა ამ ქიშმიშოვისა და ახნაზაროვთაგან დადგენილი პირობა არ შეასრულეს, იქნება იმიტომაც, რომ არც კი იცოდნენ ეს რა პირობაა, და ივჯარა დარჩათ ხსენებულს სამს კაცსა იმავე ფასად, რასაც თვითომ ავლაბრელთა საზოგადოება იძლევოდა, და იმავე პირობებითა. ამ სახით გამოვიდა, რომ გამგეობამ იგი კაცნი, რომელნიც მთელის ავლაბრის საზოგადოების ვექილნი იყვნენ, ცალკე მყვლეფარ კაცებად ჩასთვალა, და მართლა ცალკე კაცნი – ახნაზაროვები და ქიშმიშოვი – კი საზოგადო ინტერესების წარმომადგენელად!...

ეს კიდევ არაფერი: სასწაულმოქმედება გამგეობისა ამაზედ არ შეჩერდა. წინანდელის ივჯარისა 370 მანათი ავლაბრელებზედ იყო დარჩენილი. როცა უკანასკნელი ივჯარა ახნაზაროვებს და ქიშმიშოვს დაუმტკიცეს, ეგ დარჩენილი ავლაბრელებზედ ფული ამათ აკისრეს და შეიტანეს საქალაქო ხაზინაში. რადაო? ძნელი პასუხისსაგებელია ეს საკითხავი, მაგრამ გამგეობამ აქაც თავი იჩინა. ავლაბრელებს ჯარიმად ორმოცდაათი თუმანი სწერებია, თუ რომელსამე მუხლს ივჯარის ხელშეკრულობისას დაარღვევენ. გამგეობას აუღია და ახალ ივჯარადარ ქიშმიშოვისათვის რწმუნების წერილით მიუნდვია, ეს ორმოცდაათი თუმანი გადაახდევინოს ავლაბრელებს, აქედამ 129 მან. და 75 კაპეიკი წარმოუდგინოს, და დანარჩენი თავის სასამართლოს ხარჯითა და ბორჯითა ქიშმიშოვმა მიიღოს გასამსჯელოდ და იმ 370 მანათში, რომელიც ივჯარადრებმა შეიტანეს წინად ავლაბრელების მაგიერ. როგორ მოგწონთ განკარგულება! საქალაქო მმართველობას, რომელსაც წლიურის ჯამაგირით თავისი საკუთარი ვექილი ჰყავს, აუღია და თავისი სადავო საქმე გადაუცია გარეშე კაცისათვის, მერე ვისთვის? ივჯარადარისათვის, რომელიც უამისოდაც

მეხისა და სეტყვასავით თავზე უნდა დასცემოდა ავლაბრელებს, რადგანაც მათი უპრიანი მამული და ერთადერთი სახსარი ცხოვრებისა იმავ კაცის ხელში ჩააგდო გამგეობამ. დიაღ, გულმტკივნეულმა გამგეობამ, ტფილელთა მკვიდრთა კეთილდღეობის მონაღვლემა და მზრუნველმა, ერთი მიზეზი 332 სულის დაწიოკებისა კიდევ ხელთ მისცა გარეშე კაცსა!.. მოდით და ამას იქით სთქვით, რომ ტფილისის ქალაქის გამგეობა არა ჰზრუნავს და არა ჰნაღვლობს მკვიდრთა სიკეთისათვის!...

V

ტფილისი. 30 აპრილი

16 მარტს ამ 1887 წლისას ქალაქის საბჭომ გაარჩია საჩივარი ავლაბრის საზოგადოების ვექილებისა ავეტიქა იშხანოვისა და შაქარა თათულოვისა. უჩივოდნენ ქალაქის გამგეობას მასზედ, რომ ცალკე კაცებს მისცეს საზოგადოების მიერ ნაჭერი მამულები ივჯარით და მით ხელიდამ გამოაცალეს მიწები, რომელთაც იგი საზოგადოება ჰხმარობდა საქართველოს მეფეების დროთგან. გამგეობამ მოახსენა საბჭოს სიტყვიერად, რომ იშხანოვისა და თათულოვის საჩივარი უსაბუთოა, რადგანაც საქალაქო წესდების შემოღების შემდეგ ავლაბრის მამული ქალაქის საკუთარებად დაიდვა და ეხლა ხმაც არ ამოეღებათ ავლაბრელებს იმ მამულების კუთვნილობაზედ. გარდა ამისა, აცხადებს გამგეობა, ჩვენ არავითარი ავლაბრის საზოგადოება არ ვიცით, რადგანაც მაგისთანა იურიდიული პირი არ არსებობსო და თვით იშხანოვი და თათულოვი არიან "წურბელები" (кулаки), რომელთაც არავითარი უპირატესობა არ მიუძღვით წინაშე ახნაზაროვებისა და ქიშმიშოვისაო. ამ მიზეზებით და იმის გამოც, რომ უკანასკნელად ამათ

თავის დროზედ იჯარის ფული არ შემოიტანეს და ახალთ იჯარადართ კი შემოიტანეს ისიც, რაც ძველებზე დარჩენილი იყო, ამიტომაც გამგეობა ითხოვდა საბჭოსაგან ავლაბრელების საჩივარი უყურადღებოდ დაეტოვებინა და არ შეეწყნარებინა. საბჭომაც დაუჯერა გამგეობას და 16 მარტს 1887 წლისას ავლაბრელებს საჩივარზედ უარი უთხრა.

როგორც უკვე უწყებულ არიან ჩვენნი მკითხველნი, ხმოსანმა მიხეილ მაჩაბელმა ითხოვა ხელახლად გადასინჯვა 16 მარტის განაჩენისა და მასთან ერთად ითხოვეს ესევე 15 სხვა ხმოსანმა. საბჭო იძულებულ იყო კანონით ხელახლად გაერჩია ეს საქმე. მოისმინა საბჭომ საბუთები ხმოსანი მაჩაბელისა ამ 26 აპრილს. გამგეობამ თავისის წევრის ბ-ნ პაპოვის პირით წარმოსთქვა თავისი აზრი ბ-ნ მაჩაბლის მიერ წარმოდგენილ საბუთების გამო. ბ-მა პაპოვმა დაიწყო მით, რომ ხმოსანის მაჩაბლის მოხსენება ზოგან მეტია, ზოგან ნაკლებია, ზოგან არევ-დარეულია და დაჰპირდა საბჭოს, რომ ყოველს ამას დაამტკიცებს. საბჭო სმენად გადაიქცა. მისი ნათქვამი უკლებლივ დაბეჭდილია "Новое Обозрение"-ში და ვისაც ჰსურს ჩვენი ამის ქვემორე ნათქვამი აზრი შეამოწმოს, იმას ამისი ღონისძიება აქვს. ამიტომაც ჩვენ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ ბ-ნ პაპოვის ნათქვამის აღმოწერითა. ხოლო ეს კი უნდა ითქვას, რომ ბ-ნმა პაპოვმა თავისი დაპირება არ აუსრულა საბჭოს და არც ერთი თვალსაჩინო საბუთი არ დაურღვია ბ-ნს მაჩაბელს: არც ის დაამტკიცა, რა არის მეტი ბ-ნ მაჩაბლის მოხსენებაში, რა არის არევ-დარეული და რა არის დაკლებული.

უკაცრაოდ, დაკლებული კი მართლა აღმოჩნდა, ბ-ნ პაპოვის უნებურად. ბ-ნმა პაპოვმა სთქვა, რომ გამგეობამ ავლაბრელებს ხელი ააღებინა იჯარაზედ, რადგანაც საღნი არ იყვნენ იჯარის ფულის შემოტანაშიო. ამაზედ ბ-ნმა მაჩაბელმა მიუგო, რომ მაგისი მიზეზი თვითონ გამგეობა იყოვო და აი საბუთიცაო:

ახნაზაროვს, ეხლანდელს იჯარადარს, როგორც დიდის საქონლის პატრონს, ავლაბრელების საიჯარო მამულში საქონელი უძოვებია და ამის გამო ავლაბრელების სამოცი თუმანი, თუ ცოტა მეტ-ნაკლები, საბალახე დასდებია. გამგეობას ახნაზაროვის საჩივრის გამო განკარგულება მოუხდენია, რომ ავლაბრელებმა არამც და არამც ეგ ფული არ გამოართვან ახნაზაროვსა. თუ გამგეობა ასე უშლიდა ავლაბრელებს თავის კუთვნილის მიღებას, აშკარაა თვითონ ავლაბრელებიც პირნათლად ვერ გამოვიდოდნენ გამგეობის წინაშე, რადგანაც აქ აღებაზეა დამოკიდებული მიცემაცაო. აი იგი ნაკლი, საყოველთაო საოცრად შეავსებინა ბ-ნმა პაპოვმა მომხსენებელს.

ბ-ნ პაპოვის სიტყვა რომ გამოვწუროთ, მარტო იმას დავინახავთ, რომ აქილეოსის ტერფი გამგეობის საბუთებისა, რომლის ძალითაც ავლაბრელები ცარიელზედ დარჩნენ, ისა ყოფილა, ვითომ ავლაბრელები ვერა ყოფილან საღი იჯარის ფულის შემოტანაში, და გარდა ამისა ბ-ნი პაპოვი იმასაც არწმუნებდა საბჭოს, რომ გამგეობა ყოველთვის გულმტკივნეულად ჰზრუნავდა ავლაბრელებისათვის და ცდილობდა იგინი არ გამოეწირა, და რამდენჯერაც ამ გულმტკივნეულობით თვისი აზრი წარუდგინა საბჭოს, იმდეჯერ საბჭომ უარი ჰყო.

ხმოსანმა ნ. დ. ზუბალოვმა უპასუხა, რომ მე აქ გულმტკივნეულობას ვერა ვხედავ; პირიქით ცხადია, რომ საქმე შინაურულად უკეთებია გამგეობასა თავის კაბინეთში და არა საჯაროდ. მაშ რა არის, თუ არ შინაურულად კეთება საქმისა ის ამბავი, რომ ახნაზაროვებს და ქიშმიშოვს დარჩათ იჯარა ორას თუმნად და ამას გარდა კიდევ 370 მანეთი შემოატაინეს ძველს იჯარადრებზედ დარჩენილიო. ახნაზაროვები და ქიშმიშოვი რა შუაში იყვნენ, რომ სხვის ვალს იხდიდნენ, თუ აქ კაბინეთში მოლაპარაკებული საქმე არ არისო. ამ სიტყვით რამდენჯერმე მიჰმართა ხმოსანთ ბ-ნმა ზუბალოვმა და პასუხად ხმაგაკმენდილი

დუმილი დახვდა. არ ვიცით, ეს დუმილი გაოცებისა იყო, თუ წყენისა.

ხმოსანმა მიქელაძემ იკითხა: რამდენი მხარე იყო 30 ნოემბრის საჯარო ვაჭრობაში, როცა მამული ახნაზაროვებმა და ქიშმიშოვმა დაინარჩუნეს? და როცა მიიღო პასუხად, რომ მარტო ერთი მხარე იყოვო, სთქვა: ეგ საჯარო ვაჭრობა არ არის და გამგეობას, საზოგადო კანონის ძალით, რომელიც უსათუოდ საჯარო ვაჭრობაში ორს მხარეს ჰთხოულობს, ეგ ვაჭრობა ვაჭრობად არ უნდა ჩაეთვალაო. ამაზედ უპასუხეს, რომ საზოგადო კანონი ქალაქის გამ-გეობისათვის სავალდებულო არ არისო და რაღაც მუხლიც წაუკითხეს. ჩვენ ყური ვერ მოვკარით, ეს უცნაური მუხლი რომელი მუხლი იყო. ჩვენ გვეოცა ეს ამბავი და მთელი ქალაქის წესდება გადავსინჯეთ და ასეთი მუხლი ვერსად ვერ ვიპოვეთ. ამაზედ სიტყვა მერეც გვექნება.

ბ-ნმა იზმაილოვმა, მეორე წევრმა გამგეობისამ, სთქვა, რომ ავლაბრის საზოგადოება სამეურნეო საზოგადოება არ არისო, რადგანაც იქ, ბ-ნ მაჩაბლის სიტყვისამებრ, ზოგი დალაქია, ზოგი ვაჭარი, ზოგი მოხელე (ჩინოვნიკი) და ზოგი საპატიო მოქალაქეო. ეგ მარტო კრებულია მოქალაქეთა. იქნება ოდესღაც, როცა ავლაბარი სოფელი ყოფილა, მაშინ სამეურნეო საზოგადოების ფერი სდებია, ეხლა კი სულ სხვა არისო. მეო, სთქვა მან სხვათა შორის, ისტორიული უფლება არა მჯერაო. ხოლო აქილეოსის ტერფი ბ-ნ იზმაილოვის საბუთისა ის იყო, რომ ქალაქში 130 ათასი მკვიდრია და ამათს ინტერესებს ვერ ვანაცვალებთ ავლაბრელების ინტერესებსაო. ეგ ადგილები საძოვრად უნდა ჰქონდეს ქალაქსა, და თუ მანდ ხვნასაც მოჰყვნენ ავლაბრელნი, საძოვარი საკმაო აღარ იქნებაო. ამაზედ ხმოსანმა ბებუთოვმა უპასუხა: იმ ხანსაც არა სჯეროდა და არა სწამდა ისტორიული უფლება, რომელმაც დააწიოკა, აიკლო სომხები მათთა ისტორიულ ბინაზედ და ამის გამო იგი სომხები

უბედურმა, მაგრამ დიდმა ერეკლე მეფემ გადმოიყვანა და ავლაბარში დაასახლაო. განა ამით ისტორიულს უფლებას თავისი მნიშვნელობა დაეკარგაო? როგორც ხმოსანმა ბებუთოვმა, ისეც სხვებმა უპასუხეს ბ-ნ იზმაილოვს, რომ აქ არაფერი მოსაყვანია 130 ათასი მკვიდრი ქალაქისა და თუ ეს 130 ათასი მკვიდრი ბედნიერი იქმნება, როცა ავლაბრის მამულები სამს კაცს მიეცემა გამოსარჩომად, — რატომღა იქნება უბედური მაშინ, როცა იმავ პირობით 332 სული დაიჭერს იმ მამულებს გამოსარჩომად? აქ ციფირების არევა ტყუილი წადილია შავი თეთრად გამოიყვანოს კაცმაო. აქ საქმე იმაშია, რომელი უფრო საყუ-რადღებოა: ინტერესები მთელის საზოგადოებისა, საცა 332 სულია, თუ ინტერესები ახნაზაროვებისა და ქიშმიშოვისაო.

დიდი თანაგრძნობა გამოიწვია ხმოსანის მ. ი. თამამშოვის სიტყვამ. მან სთქვა: ჩვენ უნდა კვლავ აღვადგინოთ ავლაბრის საზოგადოება. ქალაქის კეთილდღეობა უკან იწევს და უნდა ხელი შველისა მივაწვდინოთ ავლაბრის საზოგადოებას, რომლის კეთილდღეობა იმატებს, რაკი მიწები მას დაეთმობა. საჭიროა რაც შეიძლება ბევრს მკვიდრს მივცეთ სახსარი ცხოვრებისა, ამისათვის უნდა გამოვიყენოთ ყოველი მარცვალი და თუ ამისთანა მარცვალი ავლაბარში არის, ხელი უნდა მოვკიდოთ და ვახეიროთ. ამ საქმეში მე ბრალსა ვსდებ გამგეობას კი არა, იმ კანცელარულს რიგსა და წესსა, რომელიც გამგეობაში ჰსუფევს.

ბევრმა სხვამ ილაპარაკა და საკვირველი ის არის, ვინც კი ილაპარაკა ხმოსანთაგან, სულ ყველანი ხმოსანის მაჩაბლის აზრს მიემხრნენ. არც ერთს ხმოსანს ამის წინააღმდეგი არა უთქვამს რა. კენჭისყრამ კი დაგვანახვა, რომ იმ კრებულმა, საცა "არას" მთქმელი ერთი კაციც არ აღმოჩნდა, იმ კრებულმა 26 ხმით 21-ს წინააღმდეგ ხმოსანის მაჩაბლისა უარჰყო. ჩვენა გვგონია, რომ ამისთანა

ამბავს სხვა მეორე მაგალითი არ მოეპოვება მთელს ისტორიაში. არ ვიცით, გაუგონია ვისმე, რომ კრებული სწყვეტდეს რომელსამე საქმეს, არც ერთს კაცს კრებულისას წინადადების წინააღმდეგობა არ გამოეცხადებინოს, პირიქით, ვისაც კი ელაპარაკნოს, სულ წინადადების სასარგებლოდ და წინადადება კი გაუქმებულიყოს და უარყოფილიყოს!

VI

ტფილისი, 1 მაისი

წინა წერილებში მოყვანილი ცნობანი, ჩართულნი ხმოსანის მაჩაბლის მოხსენებაში, მით უფრო საბუთად მოსახმარნი არიან, რომ ჯერ, პირველი, სიგლეხზეა დამყარებული, და მეორე, – არც ერთის გამგეობის წევრისაგან, არც ერთის ხმოსანისაგან არ არის დარღვეულნი. თავი რომ დავანებოთ ისტორიულს წარმომდინარეობას ავლაბრელების საზოგადოებისას, თავი რომ დავანებოთ მასაც, რომ ავლაბრელებს ზოგიერთი საბუთი მიუძღოდათ ავლაბრის მამულების მფლობელობისათვის, – ყოველს ამას რომ თავი დავანებოთ, თვალწინ ცხადად და უტყუარად დაგვიდგება შემდეგი:

1) ავლაბრელებს ჰქონიათ საზოგადოება საერთო მეურნეობისა. თუ ამ სამეურნეო საზოგადოებაში სხვათა შორის დალაქიც არის მონაწილე, ანუ ბაზაზი, მით სამეურნეო საზოგადოების თვისება არ გარდიქმნება, არ იცვლება; ოღონდ თვითონ მეურნეობა არ გარდიქმნას, არ გარდიცვალოს, და ამას დალაქი მისდევს, თუ ყასაბი, სულ ერთია.

2) ავლაბრის საზოგადოებაში, როგორც ამ ბოლოს დროს შევიტყვეთ, 332 სულზედ უფრო მეტი კაცი და დედაკაცი მონაწილენი არიან. ცხადია, ვისზედ უნდა გულმტკივნეულად მიმარულიყო მზრუნველობა ქალაქის გამგეობისა და საბჭოსი, რომელსაც ერთადერთი საგანი

და მიზეზი არსებობისა ქალაქის მკვიდრთა კეთილდღეობაა. ეს გულმტკივნეული მზრუნველობა მით უფრო აშკარად უნდა გამოჩენილიყო იმ შემთხვევაში, რაკი ცალმხრით ავლაბრელთა საზოგადოებამ და მეორეს მხრით, ორმა ახნაზაროვებმა და ქიშმიშოვმა ერთი და იგივე პირობა კისრად იდეს და ერთი და იგივე ფასი შეაძლიეს. რაკი ავლაბრელები იმავ პირობით და იმავე ფასად ჰთხოულობდნენ მამულს ივჯარით, აქ გამგეობისაგან 130 ათასის ქალაქის მკვიდრის სახელით გამოსარჩლება ახნაზაროვების და ქიშმიშოვის სასარგებლოდ მეტისმეტი გამბედაობაა.

3) ავლაბრელებს სჭერიათ ეგ მამული ძველადგანვე, მათ უდავნიათ, მათ წყალი გამოუყვანიათ, მით კარგა ფული დასჯდომიათ, კარგა ხარჯი გაუწევიათ მამულის განკარგებისათვის, მათვე ის პირობები და ის ფული უძლევიათ, რაც სამს ცალკე კაცს, და მაინც იგინივე გამოსწირა გამგეობამ და მერე საბჭომ.

ყოველ აქედამა სჩანს, რომ მთელი სინიდისიერი სიმართლე ავლაბრელების მხრივ იყო. თუ ამ სინიდისიერი სიმართლის განხორციელებას რაიმე კანონიერი წესი და რიგი არ იწყნარებს, მაშინ, რა თქმა უნდა, გამგეობა და საბჭო გასამტყუნარნი არ არიან, რომ ავლაბრელების თხოვნა ჯერ 16 მარტს და მერე 26 აპრილს არ შეიწყნარეს და მათი უპრიანი მამული ივჯარით სამს ცალკე კაცსა დაუმტკიცეს. ჩვენდა სამწუხაროდ უნდა ვსთქვათ, თუ ამ შემთხვევაში კანონიერი წესი და რიგი დარღვეულია, ეს დარღვევა სინიდისიერის სიმართლის საოხად კი არ მოხდა, არამედ ახნაზაროვებისა და ქიშმიშოვის სასარგებლოდ. ამ სახით გამოდის, რომ თუმცა ერთს მხარეზედ სინიდისიერი, თუ არ იურიდიკული, სიმართლე იდგა, და კანონიერი წესი და რიგი კი დასარღვევად იმ მხარისაკენ მიიდრიკა, საცა მაგ სიმართლის ჩამიჩუმიც არ იყო. აი, ამის საბუთები:

1. როცა ახნაზაროვებს და ქიშმიშოვს დარჩათ საჯარო ვაჭრობით მამულები, მაშინ ვაჭრობაში მარტო

ერთი მხარე იყო: ორი ახნაზაროვები, ქიშმიშოვი და მათთან ერთად საერთოდ მოვაჭრენი 13 ავლაბრელი. იმპერატორის ალექსანდრე II წესდებას განსა-მართლებისას წაიკითხავთ, თუ X ტომის კანონებს, თუ ცალკე დაწესებულებათა წესდებას, მაგალითებრ, ბანკებისას, საქალაქო საკრედიტო საზოგადოებისას, ყველგან ცხადად გამოთქმულია, რომ, რაკი საჯარო ვაჭრობაა რისამე, უსათუოდ ორი ერთმანეთის მოცილე მხარე უნდა დაესწროს, უამისოდ, ესე იგი, თუ მარტო ერთი მხარეა და სხვა მოცილე არ არის, საჯარო ვაჭრობა არ შეიძლება მოხდეს.

გამგეობამ 26 აპრილს ბ-ნის იზმაილოვის პირით გამოაცხადა, რომ ეგ ზოგადი კანონები ქალაქის გამგეობისათვის არ არის დაწერილიო. ჩვენ გადავსინჯეთ ქალაქის მართველობის წესდება ამ საგანზედ მარტო 142 მუხლი წესდებისა ვიპოვეთ. ამ მუხლში სწერია, რომ ქალაქის საბჭოს ნება აქვს რომელიმე შემოსავლიანი საქმე გასცეს ან საჯარო ვაჭრობით, ან ცალკე კაცს მიანდოს, ან თვით ქალაქის გამგეობას დაავალოს იმ საქმის მოვლა და პატრონობა. თუ საბჭოს ერთ-ერთი ამ ღონეთაგანი არ დაუნიშნავს წინად, მაშინ გამგეობას ნება აქვს სახელმძღვანელოდ ერთ-ერთი ამ ღონეთაგანი ამოირჩიოს. რომ ამ სამში საჯარო ვაჭრობა იქმნება ამორჩეული, რა თქმა უნდა, იგი ვაჭრობა ზოგადის კანონების მიერ დადგენილს წესსა და რიგს უნდა ექვემდებარებოდეს. ამ 142 მუხლს წესდებისას შენიშვნა აქვს ზედ მიწერილი, რომ საცა საქალაქო მართველობის წესი შემოღებულია, იმ ქალაქისათვის სავალდებულო არ არის იგი, რაც ამ საგანზედ მოხსენებულია სახოგადო კანონების 1489, 1503, 1710 და 1805 მუხლთა შინა.

ნუთუ აქედამ ის უტყუარი აზრი არ გამოდის, რომ სხვა ყოველი კი ზოგადის კანონებისა, რაც ჩამოთვლილ მუხლებში არ არის მოხსენებული, სავალდებულოა ქალაქის გამგეობისა და საბჭოსათვის!.. მაშ ვნახოთ, ხსენებულის მუხლების ძალით, რით არის

გამორჩეული საქალაქო მართველობა სხვა დაწე-სებულებათაგან. სავალდებულო არ არისო, ამბობენ იგი მუხლნი, უმაღლესს მთავრობას ნების დართვა სთხოვონო: 1) როცა საჯარო ვაჭრობით ჰყიდიან მოძრავს ქონებას ქალაქისათვის არასაჭიროს (1489 მუხლი); 2) როცა საჯარო ვაჭრობით ჰყიდიან ქალაქისათვის არასაჭიროს უძრავს ქონებას (1503 მუხლი); 3) როცა საჯარო ვაჭრობით აძლევენ მიწებს და სხვა შემოსავალს ქალაქისას, ქალაქის სასწორისას და სხვა ამგვარსა (1710 მუხლი); 4) როცა შენობისა და გზის კეთების საქმეს გასცემენ საჯარო ვაჭრობითა.

აქ სად არის მოხსენებული, რომ საჯარო ვაჭრობა, ქალაქის გამგეობისაგან მომზდარი, მაშინაც შესაწყნა-რებელია, როცა, ორის მოცილეს მხარის მაგიერ, ერთი მხარეა მარტო სავაჭროდ მოსული. იმას ხომ თვით გამგეობაც უარს არა ჰყოფს, რომ ზოგადი, საყო-ველთავო და აუცილებელი წესი საჯარო ვაჭრობისა ის არის, რომ უსათუოდ ორი ერთმანეთის მოცილე მხარე დაესწროს ვაჭრობასა, თუ არა და ვაჭრობა ვაჭრობად არ არის ჩასათვლელი. დავანებოთ ამასაც თავი. ვსთქვათ, გამგეობისა და საბჭოსათვის ზოგადი კანონი არ არსებობს! ლოღიკით რომ ჩხრეკა დავუწყოთ საჯარო ვაჭრობასა, არასგზით არ შეიწყნარება იგი ვაჭრობა, რომელზედაც მარტო ერთი მხარეა მოსული. რა არის საჯარო ვაჭრობაში პირველი და უკანასკნელი საკითხავი, თუ არა ის, რომ: "რომელი იძლევით მეტს?" ანუ რუსულად "кто больше?" ეს საკითხავი შესაძლოა განა ლოღიკის დაურღვევლად კაცმა მარტო ერთს კაცს მიჰმართოს ანუ ერთს მხარეს? განა თვითონ ამ საკითხავში ცხადად არ იგულისხმევა — სულ უკანასკნელი — ორი მხარე მაინც. ჩვენის ფიქრით, შეუძლებელია, რომ კანონს ლოღიკა სავალდებულოდ არ გაეხადნა ქალაქის გამგეობისათვის. ამის გამო ვსთქვით წინა წერილში, რომ იგი ვაჭრობა, რომლის ძალითაც ახნაზაროვებმა და ქიშმიშოვმა უკანასკნელად დაინარჩუნეს ავლაბრის მამული

საიჯაროდ, და რომლის გაუქმებაც ავლაბრელებმა ითხოვეს 16 მარტს 1887 წლისას, შესაწყნარებელი არ არის, რადგანაც სავაჭროდ მარტო ერთი მხრე იყო და არა ორი მაინც; შესაწყნარებელი არ არის არც ზოგადის კანონით, რომელსაც გამგეობა თავის სავალდებულოდ არა ჰრაცხს და არც თვითონ საჯარო ვაჭრობის ლოღიკით, რომლის გამოც გამგეობა ამასვე ვერ იტყვის.

ჯერ მარტო ამ საბუთით უნდა საბჭოს გაეუქმებინა 26–ს აპრილის იჯარა ახნაზაროვებისა და ქიშმიშოვისა, როგორც უკანონო ვაჭრობით გარდაცემული, თუნდ იმისდა მიუხედველადაც, რომ აქ ავლაბრელების მხრით თვითონ სიმართლე ჰღალადებდა. ამ სახით ავლაბრელების სინიდისიერს სიმართლეს ზედ დაურთეთ ეს უკანონო ვაჭრობის შეწყნარება მათთა წინააღმდეგ და მაშინ აშკარად გამოჩნდება გულმტკივნეულობა, მზრუნველობა ქალაქის სამართველოსი ქალაქისავე მკვიდრთათვის, ნამეტნავად იმ შემთხვევაში, როცა 332 სულის კეთილდღეობა გაწირულია და მარტო სამის კაცისაღაა მოგებული.

VII

ტფილისი, 2 მაისი

თუნდ დავანებოთ იმას თავი, რომ საჯარო ვაჭრობა, რომლის ძალითაც ახნაზაროვებს და ქიშმიშოვებს დარჩათ იჯარა ავლაბრის მამულებისა, გასაუქმებელი იყო, რადგანაც მარტო ერთი მხარე ჰვაჭრობდა და მით ცხადად და აშკარად დარღვეულ იქმნა საჯარო ვაჭრობის წესი; საკმაოა მარტო ის გავსინჯოთ, რომ ახნაზაროვებმა და ქიშმიშოვმა ჯერ გამოაცხადეს საჯარო ვაჭრობაში ცამეტს ავლაბრელთან ერთად საამხანაგოდ ვვაჭრობთო, სავაჭრო კონდიციის ძალით ასი თუმანიც შეიტანეს ვაჭრობამდე, და მერე, როცა ვაჭრობა გათავდა, გამგეობამ ნება მისცა ამ სამს კაცს

ახალი პირობა დაედგინათ, იგი პირობა, რომელიც სავაჭრო ოქმში მოხსენებული არ არის და თვითონ პირობაც ისეთია, რომ ვერც იქმნებოდა მოხსენებული. იგი პირობა იმაში მდგომარეობდა, რომ ახნაზაროვებს და ქიშმიშოვს გამოეცხადებინათ ვაჭრობის მერმედ, რომ, თუ რაც ამ ასის თუმნიდამ თავ-თავის წილობაზედ შეხვდებათ — დანარჩენმა ცამეტმა ამხანაგმა არ შემოიტანა, იჯარა მარტო ახნაზაროვებს და ქიშმიშოვს დაუმტკიცდეს. გამგეობაც თანახმა გაუხდა. ამას ეძახიან საჯარო ვაჭრობას!... ამისთანა საჯარო ვაჭრობა კანონიერ ვაჭრობად ჩასთვალა ქალაქის საბჭომ ჯერ 16 მარტს, როცა ამაზედ ავლაბრელებმა იჩივლეს, და მერე 26-ს აპრილს, როცა ამ საოცარს ვაჭრობაზედ მოახედა საბჭო ხმოსანმა მაჩაბელმა.

არ გაგონილა ასე ხელაღებით უარყოფა ყოველის რიგისა და წესისა!... საქმე რაშია: ახნაზაროვები და ქიშმიშოვი ცამეტს ავლაბრელთან ერთად საამხანაგოდ შევიდნენ ვაჭრობაში, მაშასადამე, სავაჭრო კონდიციის ძალით შეტანილი მათ მიერ ასი თუმანიც გამგეობას უნდა მიეღო, როგორც საამხანაგო ფული. თუ ეს ფული მარტო ახნაზაროვებისა და ქიშმიშოვისა იყო, დანარჩენი ცამეტი კაცი რაღად მიუშვეს მათთან ერთად სავაჭროდ? ხომ კონდიციის ძალით ამ ფულშეუტანელად არავის ნება არა ჰქონდა ვაჭრობაში მონაწილეობა მიეღო? რად მიაღებინეს მონაწილეობა იმ ცამეტს კაცსა, თუ იგი წინად შეტანილი ასი თუმანი საერთო საამხანაგო ფულად არ უგულვებია გამგეობას ვაჭრობის დაწყებამდე. თუ ვაჭრობის დაწყებამდე ეგ ფული საამხანაგო ფულად ჩარიცხა გამგეობამ, ვაჭრობის გათავების შემდეგ როგორღა შეიწყნარა იმავ გამგეობამ, რომ იგი ფული საერთოდ ყველა ამხანაგთაგან წარმოდგენილი არ არის? ვსთქვათ გამგეობა აქ ჩვენის ანდაზისამებრ მოიქცა:

ასე, ჩემო მანასეო,
ხან ისე და ხან ასეო, —

საკვირველი ის არის, ქალაქის საბჭომ როგორ ყური არ ათხოვა ამისთანა უცნაურს ამბავს 26 აპრილს და არ გააუქმა ამნაირად გაჩენილი ივჯარა ახნაზაროვების და ქიშმიშოვისა, როგორც ამას ჰთხოულობდნენ ავლაბრელები 16 მარტს და ხმოსანი მაჩაბელი 26 აპრილს?!... ეს ისეთი ამოცანაა, რომლის აღსახსნელად ყოველივე კაცური ღონე უქმია და ვერ შემძლებელი.

ამ სახით გამოდის, რომ არსი საქმისა ავლაბრელების მხარეზედ იყო, სინიდისიერი სიმართლეც, თვითონ წესი-რიგიც მათკენ ჰლაპარაკობდა და მაინც საბჭომ 26 აპრილს არც ერთი არ შეიწყნარა, 332 სული გამოსწირა მამულს და იგი მამული მიუსამართლა სამს კაცსა. იგი მამული, რომელიც გამგეობის წევრის ბ-ნი პაპოვის სიტყვით სულ ცოტა არ იყოს 4.500 მანათის შემოსავალს იძლევა. მაშასადამე, ახნაზაროვებმა და ქიშმიშოვმა, რომელთაც ეს მამული ივჯარით დაუმტკიცდათ წელიწადში ორას თუმნად, ორას ორმოცდაათი თუმანი უნდა მოიგონ. ახლა ვიკითხოთ: ის არ ერჩივნა ქალაქს, რომ ეს მოგება 332 სულს შეჰხვედროდა და მარტო სამის კაცის კერძად არ გამხდარიყო!... სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო ის, 332 სულმა უფრო უპრიანია ხეირი ჰნახოს, ვიდრე მხოლოდ სამმა კაცმა, მარტო ეს გარემოება საკმაო იყო, რომ საბჭოს 26 აპრილს ავლაბრელების სასარგებლოდ გადაეწყვიტა საქმე.

დასასრულ, მარტო ეს ითქმის, რომ არსებითად, თუ სინიდისიერ სიმართლით, თუ ეკონომიურის მხრით, თუ მკვიდრთა რიცხვის მიხედვით, ქალაქის საბჭოს ეგ ახნაზაროვების და ქიშმიშოვის ივჯარა უნდა გაეუქმებინა 26 აპრილს, და პირიქით კი ყოველივე რიგი და წესი, ჩვენის ფიქრით, დარღვეულ იქმნა, რომ ეგ ივჯარა ახნაზაროვებს და ქიშმიშოვს შერჩენოდა. ფორმა, წესი და რიგი დაირღვას იმისათვის, რომ

არსებითად მართალმა საქმემ თავი არ გაიტანოს, ეგ იშვიათი ამბავია იმ სამმართველოსათვის, რომელიც საზოგადოების არჩევანით მოწოდებულია საზოგადო საქმეთა გასაძღოლად, ქალაქის მკვიდრთა საფარველად, მეოხედ და საკეთილდღეოდ.

«კრედიტის როლი ქვეყნის ეკონომიკაში»

ტფილისი, 4 მაისი

კრედიტი, ესე იგი, ნდობისა და ესტიბარის ძალით ხელის გამართვა გაჭირვებაში სწორედ ის არის ყოველგვარის საეკონომიო ნაწარმოებისათვის, რაც საზრდო, სასმელ-საჭმელი ადამიანის აგებულებისათვის. ადამიანის აგებულობა ყოველდღე იხარჯება და თუ ყოველდღევე ეს ხარჯი არ უბრუნდება ან უბრუნდება, მაგრამ გვიან, ძნელად და მძიმედ, ან სრულად არა, მაშინ აგებულება ადამიანისა, მისის მაცხოვარის სისხლის ტრიალი, მისის ხორც-ძვალის სიმტკიცე და ღონივრობა უკან და უკან იწევს, ჰკლებულობს, ჰსუსტდება და ბოლოს ხომ ანდერძსაც აიგებს ხოლმე. ადამიანის ხორციელი ცხოვრება, სიცოცხლე, ურომლისოდაც სააქიოს სულიერი სიცოცხლე და ცხოვრებაც მკვდარია, დღე ყოველი აღებმიცემობაშია და თუ სასწორი აღებმიცემობისა შეიშალა, თუ რაც გასაცემია ადამიანის აგებულებიდამ, არ გაიცა და რაც შესავსებია, არ შეივსო, ადამიანის აგებულება ამოირჩობა და დაგუბვის გამო, როცა მეტი არ გაიცა, ან დაკლების გამო, როცა ნაკლები არ შეივსო.

თითქმის ამისთანავე საქმე ემართება ყოველს საეკონომიო წარმოებასაც. ყოველივე წარმოება ჯერ იხარჯება, მერე იბრუნებს თავის ხარჯსა და მოგებასა. აქაც იგივე აღებმიცემობაა, აქაც იგივე გაცემულობაა მეტისა დანაკლისის აღებისათვის, დანაკლისის

შევსებისათვის. ხოლო საქმე იმაშია, რომ წარმოების აგებულებისათვის და ფეხის ადგმისათვის საჭიროა როგორც ვსთქვით, ყოველთ უწინარეს ხარჯი. ხოლო ეს ხარჯის გაღება შესაძლებელი იყოს, უნდა სახარჯო წინად მოგროვილი, შეკრებილი ჰქონდეს მოწარმოესა, ერთის სიტყვით, უნდა იყოს წყარო, რომ ხარჯი იმას ეწაფებოდეს და თავის წყურვილს იკლავდეს. ეს ერთი, მეორე ისა, რომ ეგ წყარო, რომელსაც საპოლიტიკო ეკონომიაში თავნს ეძახიან, იმოდენად დიდი უნდა იქმნას, რომ მოწარმოემ საჭიროებას, თავის ცხოვრების ხარჯსა თავნის დაბანდებას გაუძლოს, ვიდრე ნაწარ-მოები გაიცემა მოგებით მობრუნებისათვის, ესე იგი, ვიდრე გაიყიდება.

უამისოდ მოწარმე ყმაა, მონაა თავისვე ნაშრომ-ნადაგისა და არა ბატონი, არა თავისუფალი გამცემელი და ამღებელი. უამისოდ ნაწარმოები თავის საეკონომიო ვითარებას, საეკონომიო კანონებს კი არ ექვემდებარება, არამედ გაჭირვებას მწარმოებელისას, მის საეკონომიო ულონობას, მაშინ აღებმიცემობის (спрос и предложение) სასწორი კი არ მოქმედობს ნაწარმოების ფასის აწევ-დაწევაში, არამედ მოწარმოეს გაჭირვება, ესე იგი, იმისთანა გარემოება, რომელიც ამ სასწორს გარდა თავის აუცილებელს ძალას იჩენს მარტო ფასის დაწევისათვის.

ცხადია, რომ ამისთანა ყოფა ძალიან ხუთავს ყოველგვარს საეკონომიო წარმოებასა, იმიტომ რომ საეკონომიო წარმოება იგივე სესხი და ვალია. როცა სესხი არ უბრუნდება გამცემელს უკლებლად, დრო მოვა და გაცემის წყაროც დაშრება და წარმოებამაც ამისდა მიხედვით უნდა იკლოს, უნდა დაშრეს. მაშასადამე, წინად გადარჩენილი, წინად მოგროვილი თავნი უნდა იყოს, რომ გაჭივრებამ მოწარმოეს ჯერ არ შეაცოტავებინოს წარმოება და მერე იძულებულ არ ჰყოს ხარჯის ფასიც ვერ ამოაღებინოს ნაწარმოებსა. კარგია, თუ ამისთანა თავნი არის წარსულისაგან მოგროვილი და დარჩენილი. როცა არ არის,

მაგალითებრ, როგორც ჩვენში, მაშინ რა უნდა ჰქმნას მოწარმოემ თუ რკინის სალტე გაჭირვებისა გარს არტყია? სად და როგორ გამართოს ხელი?

ეკონომიურის ცხოვრების მრავალგვარობამ, მეტნაკლებობამ, ერთის მხრით, მოწარმოეს უღონობამ და მეორეს მხრით, თავნის მოყრამ იმისთანა ხელში, რომელიც თვით არა მოქმედებს რისამე საწარმოებლად, კაცობრიობა მიიყვანა იმისთანა ღონის შექმნამდე, რომ უქმის კაცის თავნი საქმიან კაცის უთავნობას მოახ-ვედროს და თავნის მიდენ-მოდენისათვის ხიდი გასდოს. ეგ ხიდი კრედიტია. კრედიტი იგივ თავნია წინანდელ დროთაგან მოგროვილი, მხოლოდ იმის ხელში კი, ვისაც წარმოების მოსახმარებლად არა სჭირია ან ნამეტანობის გამო, ან იმის გამო, რომ არა ჰსურს თვითონ აწარმოვოს. ამისთანა თავნი თუმცა უქმია, მაგრამ ბუნება თავნისა ისეთია, რომ უძრავად დებას არ იშვნევს: იგი ყოველთვის ეძებს ადგილს, რომ მიედინოს და თითონაც იმატოს და სხვასაც, ვინც უკედ გამოიყენებს, შეჰმატოს რამე. ამ თავნის ბუნებაზეა აგებული თვით კრედიტის ბუნებაცა: კრედიტს გადააქვს თავნი უქმის ხელიდან საქმიან ხელში და ამით თავნიც ჰმატულობს და წარმოებაც ჰყვავის და ჰსულ-დგმულობს.

მას აქედ, რაც ქვეყანაზედ ბანკები გაჩნდა, ეგ მეტი, წინანდელ დროთაგან შეგროვილი და დარჩენილი თავნი, ფულის სახით ბანკებში იყრის თავსა. ბანკები სხვა არა არიან რა, გარდა შუამავლისა თავნის პატრონისა და გაჭირვებულ მოწარმოეს შორის. რასაც პატრონი თავნისა ბანკს ანდობს, იმას ბანკი თავისის მხრით ანდობს ხოლმე გაჭირვებულ მოწარმოესა. ამ მხრით, ყოველს ბანკზედ ღონიერი ბანკი სახელმწიფო ბაკია იმიტომ, რომ თავნიც ბევრი აქვს და რადგანაც ღონიერია და საიმედო, უფრო ნაკლების სარგებლით ანდობენ თავნის პატრონები ფულსა და ამის გამო უფრო ნაკლების სარგებლით თვითონ ბანკიც ანდობს ხოლმე მოწარმოესა.

ამ ბოლო ხანებამდე, რუსეთში სახელმწიფო ბანკი ისე იყო მიმართული, რომ მარტო ვაჭრობას და სოვდაგრობას უმართავდა ხელსა, პირდაპირი მოწარმოე სულ დავიწყებული იყო და გამოკლებული. სულ ოთხი-ხუთი წელიწადი არ არის, რაც უმაღლესმა მთავრობამ უფრო საბუთიანად, უფრო სამართლიანად შეხედა საქმეს და იგრძნო, რომ ეკონომიურად გაძლიერება ქვეყნისა მარტო ვაჭრობის გაძლიერებით შეუძლებელია, რომ თავიდათავი წყარო ქვეყნის გაღონიერებისათვის პირდაპირ მოწარმოენი არიან იმიტომ, რომ მარტო ეგენი ჰქმნიან მას, რასაც საპოლიტიკო ეკონომია ქვეყნის სიმდიდრეს ეძახის. რადგანაც ყველაზე უდიდესი წარმოება რუსეთისა, როგორც ჩვენიც, მიწათმოქმედებაა და მთელი ღონე ქვეყნისა ამ წარმოების სიკეთეზეა დამყარებული, ამიტომაც ამ ბოლოს ხანებში სახელმწიფო ბანკის მიმართულებამაც სხვა გზა დაიჭირა: ჯერ თავადაზნაურობას გაუღეს სახელმწიფო კრედიტის კარი მხოლო — ვექსილების ჩამორთმევითა, მერე — პურის მომყვან მოწარმოეთა, მერე გლეხებსა საადგიმამული კრედიტი აუჩინეს და ბოლოს ხომ თავადაზნაურთაცა და ეხლა, როგორც მოსკოვის გაზეთები გვაუწყებენ, უმაღლეს მთავრობას განუზრახავს ღვინის მწარმოებელსა და პატრონსა გაუღოს კარი სახელმწიფო კრედიტისა, რაც შეიძლება იეფად. ამ განზრახვას მთავრობისას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენის მხარისათვის. გარდა მაგისა, კიდევ სხვა საჭიროებანიც ცნობილია მთავრობისაგან, რომ ღვინის საქმე კარგს ფეხზედ დადგეს რუსეთში და რა საჭიროებანი არის ცნობილი, ან რაგვარი კრედიტია განზრახული ღვინის მკეთებლის და პატრონის ხელის გასამართავად, ამაზედ შემდეგ მოვილაპარაკებთ.

«ღვინის წარმოების გასაუმჯობესებელი ღონისძიებანი»

ტფილისი, 5 მაისი

ეხლანდელმა სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა ბ-ნმა ასტროვსკიმ იცნა, რომ წინანდელი კრედიტი სახელმწიფო ბანკისა მეტად უბარაქოა, რაკი მარტო ვაჭრობის საქმეს ჰშველის და არა მიწათმოქმედობის წარმოებასაც, ესე იგი იმ წარმოებასა, რომლის წარმატებაზედაც დამოკიდებულია მთელი კეთილდღეობა რუსეთისა, როგორც იმისთანა სახელმწიფოსი, რომელსაც თავდაპირველი ძალ-ღონე ეკონომიური მიწათმოქმედებისაგან ეძლევა.

ამ ბოლოს დროს მთელმა რუსეთმა დაიწყო ლაპარაკი მასზედ, რომ ჩვენს სახელმწიფოში იმისთანა ქვეყნებია, რომელთაც ჰავა და მიწა ნებას აძლევს ვენახობისას და ღვინის კეთებისა და დაყენებისას. მიაქცია რა მინისტრმა ამ მხრით საქმესა, სცნა, რომ რუსეთი, რომელსაც უცხო ქვეყნებიდამ დიდიძალი ღვინო შემოაქვს, და მაშასადამე, დიდიძალი ფულიც, ვითარცა ღვინის სასყიდელი, რუსეთიდამ გარედ გადის. ამ ამბავმა მოახედა მთავრობა იმაზედ თუ, განა არ შეიძლება რუსეთმა თავისი საკუთარი ღვინო იქონიოს, და თუ ღვინისაგან გამორჩომაა რამე, ის არა სჯობია, ისევ რუსეთის ხალხი გამორჩეს, ვიდრე უცხო ხალხიო.

ვიდრე ეს უტყუარი და საბუთიანი აზრი განსახორციელებლად გზას გაიხსნიდა, სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში ცალკე კამისია შესდგა ბ-ნის არხიპოვის თავმჯდომარეობით და ამ კამისიას დაავალეს, აღმოაჩინოს იმისთანა ღონისძიებანი, რომ ღვინის საქმე რუსეთში განკარგდეს, გაძლიერდეს და წარმატებას მიეცეს. სახელმწიფო ქონებათა და საფინანსო სამინისტროებში მრავალი თხოვნა იყო უკვე შეტანილი ვენახებისა და ღვინის პატრონებისა და მკეთებლებისაგან მასზედ, რომ ძალიან უნუგეშოდ არიან დარჩენილნი, ვენახები უფუჭდებათ, ღვინოებს რიგიანად ვეღარ უვლიან, ვერა ჰყიდიან და ეს სასარგებლო სახელმწიფოსა და ერისათვის წარმოება უკან და უკან მიდის, და ამიტომაც ითხოვეს, რაიმე შველა და შემწეობა აღმოგვიჩინეთო.

კამისიას გაუსინჯავს ეს თხოვნანი, გამოუძიებია თვითონ საქმე, მათთა საჩივართა მიხედვით და დარწმუნებულა, რომ მართლა ღვინისა და ვენახის პატრონები მეტად ცუდს მდგომარეობაში არიან. კამისიას, გარდა საკუთარის გამომძიებით მოპოვებულის საბუთებისა, ხელთა ჰქონია იგი ცნობებიც, რაც წინად სამინისტროს შეეკრიბა ღვინის წარმოების მცოდნე კაცთაგან. ამ ცნობათაგან აღმოჩენილა, რომ რაც რუსეთის ბაზარზედ ღვინოები ჰსაღდება, რაც ღვინო მიდის და მოდის ამ ბაზარში, სულ ყალბი ღვინოებია, როგორც შინვე რუსეთში ნაკეთები, ისეც სამზღვარგარეთიდამ შემოტანილი: ამ ყალბს ღვინოსა ჰსვამს რუსეთი და ამის მიუხედავად ფასი კი მეტისმეტად ძვირია, მაშინ, როდესაც თვითონ ღვინის ადგილას მართალი ღვინო იეფ ფასადაც ძლივს იყიდება და ამ სახით ხშირად ნაწარმოების შემოსავალი თავისავე ხარჯს არა ჰფარავს.

უცვნია რა ეს ყოველი, კამისიას ღვინის წარმოების აღსადგენად და შესაფერს გზაზედ დასაყენებლად დაუდგენია, რომ საჭიროა ხელი მოემართოთ ცალკე ვენახების პატრონებს, ღვინის კეთების სკოლები და

შესაფერი მარნები დაჰმართონ თავთავიანთ მამულებში იქ, საცა ღვინოებს აყენებენ და ღვინოს ინახვნენ; გაიმართოს ცალკე სახელმწიფო მარანი და სარდაფი, ღვინის დასაყენებლი და შესანახი ყველასათვის სამაგალითოდ, რომ ვისაც ჰსურს, ისწავლოს, როგორ უნდა დაყენება ღვინისა და როგორი მოვლაა და პატრონობა საჭირო. გარდა ამისა, კამისიას ყურადღება მიუქცევია იმისათვისაც, რომ ყალბის ღვინის კეთებას და ბაზარში გამოტანას ყოველივე გზა შეეკრას და თუმცა ამისათვის სახსარიც აღმოუჩენია კამისიას, მაგრამ, სამწუხაროდ ჩვენდა, ჯერ არ ვიცით, რაგვარნი არიან იგი სახსარნი, რადგანაც გაზეთები, რომელთაგანაც ეს ცნობები მოგვყავს, ვრცლად ამ საგანზედ არაფერს გვაუწყებენ.

ჩვენის ფიქრით, ყველაზედ უდიდესი და მართლად ზედმიწევნილი წამალი ღვინის საქმის განსაკარგებლად და წარსამატებლად იგია, რომ კამისიას დაუნახავს აუცილებელ საჭიროებად ღვინის მწარმოებელთ იეფი სახელმწიფო კრედიტი მიაშველოს. ამისათვის გადუწყვეტიათ, რომ ღვინის მწარმოებელს გზა გაეხსნას — სახელმწიფო ბანკიდამ და მის ცალკე განყოფილებათაგან ფული ისესხოს ხოლმე, რაც შეიძლება იეფად, ვიდრე უკვე დაყენებულს ღვინოებს გაჰყიდიან და გაასაღებენ, და გასყიდვამდე ღვინოები ბანკს გირაოდ ექმნება.

არ შეიძლება კაცი სრულის თანაგრძნობით და სიხარულით არ მიეგებოს ამისთანა განაჩენსა, თუ ეს ფრიად სასარგებლო აზრი და განზრახვა კამისიასა უმაღლესის მთავრობისაგან შეწყნარებულ იქმნა, ჩვენი სრული მეცადინეობა იმაზედ უნდა მიიქცეს, რომ ჩვენი ქვეყანა და ჩვენის ქვეყნის ღვინის მწარმოებელნი ღობის გარედ არ დარჩნენ. ამიტომაც მეტი არ იქნება ჩვენ თავად-აზნაურთა მარშლები ეხლავ შეუდგნენ ამ მეცადინეობას, შეჰყარონ თუნდ საგანგებო კრება და კრების განაჩენით შუამდგომლობა გაგვიწიონ მთავრობასთან, რათა ეგ წყალობა სახელმწიფო კრედიტისა

ჩვენც მოგვეფინოს; თორემ ვინ იცის, ყიზლარმა კი თავი შეაფაროს ამ სულის ჩამდგმელს კრედიტსა და ჩვენ კი გამოკლებულ და დავიწყებულ ვიქმნათ.

ჩვენ ვწერთ ამას იმისათვის, რომ ყველამ, თავადია თუ აზნაური, უნდა მოსთხოვოს თავის მარშალს, ამ საგანს ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს, და ჩვენებურის ღვინის წარმოების უნუგეშოდ ყოფა, დავარდნილობა, ღვინის მწარმოებელის უქონლობა, უმაღლეს მთავრობას შესჩივლოს და ითხოვოს, რომ რაც სხვისათვის იქნება, იქიდამ ჩვენც არ გამოგვწირონ. მით უფრო შესაწყნარებელი იქმნება ჩვენი ესეთი თხოვნა და პატივსადები, რომ უმაღლესმა მთავრობამ და ნამეტნავად სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა ბ-ნმა ასტროვსკიმ ძალიან კარგად იციან, ღვინის წარმოებისათვის ამიერკავკასია წარმოადგენს ყველაზედ უკეთესს ნაწილს მთელს რუსეთში.

«ევროპის პოლიტიკური მდგომარეობა»

ტფილისი, 7 მაისი

მას აქედ, რაც შნებელეს საქმემ გამოჰყო თავი თ. ბისმარკის მანქანებითა, პოლიტიკაში დიდი არაფერი მომხდარა. თ. ბისმარკმა, რომელიც აქამდე ხმლით იმუქრებოდა, ეხლა საომარ მოედნად ჟურნალ-გაზეთობა გახადა და ხმლის ტრიალის მაგიერ მარტო მეგაზეთეთა კალმების წრიპინიღა გვესმის. დღეს დიდი ომია ატეხილი, ერთის მხრით, გერმანიისა და რუსეთის გაზეთებს შორის და, მეორეს მხრით — გერმანიისა და ავსტრიის გაზეთებისა.

საქმე იმაშია, რონ ერთმა თ. ბისმარკის ბრძანების უმორჩილესმა გაზეთმა გამოაცხადა, რომ გერმანიას არავითარი ბრალი არა აქვს, რომ ავსტრი-ვენგრიამ ბერლინის კონგრესზედ ბოსნია-ჰერცოგოვინა ჩაიგდოვო და ამის ბრალს რუსეთსა სდებდა. რუსეთიო, ამბობდა იგი, მინამ გამოუცხადებდა ოსმალოს ომსაო, ჯერ ავსტრიას დაეკითხა და დაჰპირდა, თუ შენ არ მიეშველები ოსმალოს და იმედს მომცემ, ომში არ ჩაერევიო, მე შენ ბოსნიასა და ჰერცოგოვინას დაგითმობო. ეს წინადვე ჰქონდათ ერთმანეთში გათავებული და როცა ომის შემდეგ ბერლინის კონგრესი შესდგაო, მაშინ ავსტრი-ვენგრიამ ამ ორის ქვეყნის დაპყრობაზედ ლაპარაკი ჩამოაგდო და რაკი რუსეთის დიპლომატებმა

წინააღმდეგი არ გაუწიეს, ბერლინის კონგრესმა აიღო და ბოსნია-ჰერცოგოვინა დააჭერინა ავსტრი-ვენგრიასაო.

ეს ამბავი ძალიან იწყინა მაშინდელმა მთავარ-მინისტრმა ავსტრი-ვენგრიისამ ანდრაშიმ, რომელიც რუსეთის მტრად ითვლებოდა. ახლა მან თავის გაზეთის პირით გამოაცხადა, რომ ავსტრი-ვენგრიამ ბოსნია-ჰერცოგოვინა დაიპყრო წინასწარ მორიგებით კი არა რუსეთთან, არამედ ჩემის ხერხით და ოსტატობითაო. გაიმართა ამათ შუა კამათობა და იქამდე მივიდა საქმე, რომ ორისავე მხრით დიპლომატებს წამოსცდათ გაცხარების გამო ის, რაც წამოსათქმელი არ იყო. გერმანიის გაზეთებმა გამოსთქვეს, რომ მაშინ გერმანიისათვის სულ ერთი იყოვო ავსტრი-ვენგრია დაიჭერდა ბოსნია-ჰერცოგოვინას თუ არაო და თუ დაიჭირა, მარტო რუსეთის მადლობელნი უნდა იყვნენო. ავსტრი-ვენგრიის გაზეთებმა ამაზედ უპასუხეს, რომ ჩვენ წყალობა არავისგან მიგვიღია, აქ მარტო ხერხი და ოსტატობა ჩვენის მაშინდელის მინისტრებისა მოქმედებდა, იგი ძლიერება ავსტრი-ვენგრიისა, რომელიც ავსტრი-ვენგრიის მტერთათვის ყოველთვის საფრთხე და მოსარიდებელიაო.

ამას ამბობენ ვენგრიის გაზეთები უფრო და ავსტრიისანი კი იმაზედ სწყრებიან, რომ გერმანია დღეს აქამომდე ჩვენდა გულითად მეგობრად გვაჩვენებდა თავსაო; აქედამ კი გამოდის, რომ ჩვენი სვებედი, ჩვენი ინტერესები ბალკანის ნახევარკუნძულზედ თ. ბისმარკის თვალში გროშადაც არა ჰღირებულაო; სჩანსო, რომ გერმანიას პირი ჩვენკენა ჰქონია და გული კი სხვისკენაო. ეს ძალიანა სწყინთ ავსტიელებსა და ეხლა იძახიან, რომ გერმანიის პოლიტიკა სანდო არ არისო.

რუსეთის გაზეთებმა ცხარედ შეუბრუნეს სიტყვა თ. ბისმარკსა. ამათის სიტყვით, აღმოჩნდა, რომ მინამ რუსეთი ამ უკანასკნელს ომს გამოუცხადებდა ოსმალოს, სიფრთხილე მოითხოვდა, ზურგიდამ შიში არა ჰქონოდა და რადგანაც ამ მხრით მარტო ავსტრი-

ვენგრია იყოს საფიქრებელი, რასაკვირველია, რუსეთმა ჯერ აქ მოსჩხრიკა საქმეო. თ. გარჩაკოვმა, მაშინდელმა კანცლერმა რუსეთისამ, საგანგებო მოციქული გრაფი სუმაროკოვი გაჰგზავნა ვენაში მოსალაპარაკებლადაო. ამ მოციქულის შედეგი ის იყოვო, ამბობენ რუსეთის გაზეთები, რომ თუ რუსეთი სტამბოლს დაიჭერდა და შიგ ჯარით ჩადგებოდა, მაშინ ბოსნია და ჰერცოგოვინა უნდა ჩამორთმეოდა ოსმალეთსა; ბოსნია დაეჭირა სერბიას და ჰერცოგოვინა ჩერნოგორიას და მარტო მცირეოდენი ნაწილი ბოსნიისა, ავსტრიის სამხრო, დაეჩემა ავსტრიასაო. თუმცა რუსეთმა გაიმარჯვა და სტამბოლის ზღუდეებთანაც მივიდა, მაგრამ სხვადასხვა საპოლიტიკო მიზეზთა გამო სტამბოლი ვეღარ დაიჭირა და ჯარით შიგ ვერ შევიდაო. რაკი ესე მოხდა საქმე, რუსეთი სრულად თავისუფალ იქნა და დადებული პირობა თავისთავად გაუქმდაო. ამიტომაც სან-სტეფანოს მორიგების ხელშეკრულობაში ბოსნია და ჰერცოგოვინა დამოუკიდებლ ქვეყნებად არიან აღიარებულნიო. ამ საფუძვლით რუსეთის გაზეთები ამბობენ, რომ ბერლინის კონგრესის დღის წინაშე ავსტრი-ვენგრიას და რუსეთს ერთმანეთთან არავითარი ხელშეკრულობა არა ჰქონიათ ბოსნია-ჰერცოგოვინას თაობაზედაო და რაც ბერლინის კონგრესში მოხდა, სულ თ. ბისმარკისა და ლორდ ბიკონსფილდის ბრალიაო.

რასაკვირველია, ამ ბაასსა და შეკამათებას არავითარი შედეგი არ ექმნება იმისთანა, რომ საფიქრებელი და სანაღვლელი იყოს და თუ ჩვენ მოვიყვანეთ ეს ამბავი, მარტო იმიტომ, რომ გვენიშ-ნებინა, — რაკი ამისთანა ამბავზეა მოცლილი ეხლანდე-ლი პოლიტიკა, სჩანს ამის გარედ ყველაფერი ან დაწყნარებულად უნდა გვეჩვენოს, ან ერთსა და იმავე ყოფაში მდგომარედ. ესეც არის თვალად.

გაზეთი "Times"—ი ამბობს, რომ არც ეგვიპტის, არც ბოლგარიის საქმემ ერთის ნაბიჯითაც წინ ფეხი ვერ წადგაო. ეგვიპტის საქმეზედ ბევრნაირი ხმები დადისო. ამბობენო, ვითომ საქმე იმაზე შედგაო, რომ ინგლისი

ეგვიპტიდამ ჯარების გამოყვანისათვის ვადას ხუთის წლისას ითხოვს და ოსმალეთი კი მარტო წელიწადს ნახევარს ჰყაბულობსო. ესეც დასაჯერებელი არ არისო, რადგანაც დღეს სულთანი ისე გართულია სხვა საქმეებში, რომ ჯერ ამისთვის არც კი მოუვლია და უიმისოდ ხომ ვერას გაათავებენო. საფრანგეთის გაზეთი "Memorial Diplomatique" ამბობს, რომ ყოველ ამაში მარტო ის არის დასაჯერებელი, რომ დღეს მარკიზი სალუსბერი უფრო მორბილებულია ამ ეგვიპტის საქმეში და დათმობისათვის აღარას ურჩობსო.

რაც შეეხება ბოლგარიის საქმეს, ეგ საქმე დღეს სალაპარაკო საგანია მარტო რუსეთის ელჩისა და ოსმალეთს შორის. ევროპამ თითქო ყური მოიყრუა. თვალად კი ესეა და საქმით ვინ იცის? დიპლომა-ტიასაც, როგორც ცალკე კაცს, გული შიგნითა აქვს.

ხოლო არ შეიძლება ჩვენს მკითხველებს სამი საგანი არ ვანიშნოთ, იმისთანა საგანი, რომელიც ახალია და ამასთანავე ცოტად თუ ბევრად მიზეზიანი: ერთი ისა, რომ კრიტის კუნძულზედ გულამღვრეულობა არ დაწყნარებულა, თუმცა წესი კი ხელახლად აღდგენილია. ხმა დადის, ვითომ ინგლისი ჰცდილობს ამ გულამღვრეულობას გამორჩეს რასმე და ამიტომაც ჩუმ-ჩუმად აქეზებს კრიტელებს, ითხოვონ, რომ ინგლისის მფარველობის ქვეშ ყოფნა გვინდაო.

ჩვენს მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, რომ ავღანის ემირის საქმე ჯანდრაკულად არის. ინგლისის მეცადინეობა, რომ როგორმე მოარიგოს ემირი თავის წინააღმდგომილ ქვეშევრდომებსა, უქმად ჰრჩება. ამის გამო საქმე იხლართება და ორი დიდი მოსაზღვრე სახელმწიფო, ცალ მხრივ რუსეთი და მეორეს მხრივ, ინგლისი, იძულებული იქმნებიან ასე თუ ისე საქმეში ჩაერიონ. აქამდე ხომ ისე იყო, რომ აქ ავღანისტანში ინგლისი მეტად თავგამოდებული იყო რუსეთის წინააღმდეგ, ეხლა კი ვენიდამ უცნობებიათ საფრან-გეთის გაზეთისათვის "Jurnal Des Debats", ვითომც ავსტრიის საპოლიტიკო წრეებში ამტკიცებენო, რომ

ინგლისის მთავრობას მოუწადინებია რუსეთთან მორიგება და ამისათვის ძალიან ჰცდილობს კიდეცაო.

აი, ეს ორი საქმე იმ სამთაგანი, რომელიც წინამორბედ ნიშნებად უნდა გვეჩვენონ, რომ შესაძლოა ევროპის პოლიტიკამ სხვა გზა აირჩიოს და სხვა მიმართულება მიიღოს, თუ გაზეთების სიტყვა გამართლდა. მაგრამ ყველაზედ მძიმედ დასაფიქრებელი საქმე მესამეა: დღეს მოსულმა დეპეშამ გვაცნობა, საფრანგეთის მთავარ-მინისტრი გობლე იძულებულ გამხდარა მთელის თავისი სამინისტროთი დასთხოვნოდა სამსახურსა. ამას კი მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ეხლანდელის პოლიტიკის ვითარებისათვის. რას ჰნიშნავს ეს ამბავი, რომელსაც გაზეთები წინადაც კი ჰგრძნობდნენ?

თუ დავუკვირდებით იმას, რომ თ. ბისმარკმა ორჯელ გაილაშქრა სიტყვით, რასაკვირველია, საფრანგეთზედ, რომ გაამწაროს, აწყენინოს და საომრად თავი გამოადებინოს, ამაში ხომ ბისმარკს მარცხი გამოუვიდა და გობლე სამინისტრო უშიშრად დახვდა ბისმარკსა, არც თავი დაამცირებინა საფრანგეთს და არც ბისმარკის მახეში გააბმევინა. თქმა არ უნდა, რომ ესეთი თავგამოდებული და გულდაგულ დასახვედრი პოლიტიკა საფრანგეთის სამინისტროსი არ მოეწონებოდა ბისმარკსა. აქ ხომ არ არის შინაგანი მიზეზი გობლეს სამსახურიდამ გამოსვლისა? თუ მიზეზი ეს არის, რა თქმა უნდა, საფრანგეთი თავგამოდებულს, უშიშარს სამინისტროს უიმისოდ არ დაუთმობს ბისმარკსა, თუ კარგი სართი არ დაადებინა.

ეს ამბავი ძალიან ჭკუას ახლოა: თ. ბისმარკი, რომელიც ამ ბოლოს ხანებში იმაზეა გადაგებული, რაც შეიძლება ბევრი მომხრე იშოვოს ევროპაში, დღეს თითქმის თვითონ ჰრჩება მარტო. ავსტრი-ვენგრიას გული აემრიზა ბისმარკსზედ, როგორც ზევით მოგახსენეთ, რადგანაც საბუთი მისცა ეთქვა, რომ თ. ბისმარკი პირად ერთი ყოფილა და გულით კი სხვა.

ინგლისი რუსეთს უახლოვდებაო, საფრანგეთიც ხომ ამოღებულ ხმალსავით წინ უდგა ბისმარკსა, და რასაკვირველია, რომ ამ გაჭირებამ მიახედოს ბისმარკი საფრანგეთისაკენ იმ განზრახვით, რომ საფრანგეთი მაინც დააჩუმოს და სასყიდლად ამ დაჩუმებისათვის შეაძლიოს რამ გულის მოსაფხანი. და რადგანაც ეხლანდელი სამინისტრო გობლესი ცოტად თუ ბევრად შორს უდგებოდა ბისმარკსა, არც ის არის დაუჯერებელი, რომ საფრანგეთმა იძულებულ გახადა გობლე ადგილი დასცალოს სხვა სამინისტროსათვის, რომელიც უფრო სასიამოვნო იქმნება ბისმარკისათვის, რომ საფრანგეთმა თავისი გაიტანოს უსისხლოდ. აქ დაუჯერებელი არა არის რა. ვინ იცის? იქნება აქ იყოს სათავე იმისი, რომ საფრანგეთის პალატამ პირველ შემთხვევასვე ჩაავლო ხელი და გობლეს მიზეზი მისცა სამსახურიდამ გასვლისა.

«გერმანიასა და საფრანგეთს შორის ახალი ხიდის გადების ცდა»

ტფილისი, 8 მაისი

მთავარ-მინისტრი საფრანგეთისა გობლე ამ რამდენისამე კვირის წინად წავიდა გავრში გამოფენაზედ დასასწრებად. აქ ბ-ნს მინისტრს მოუხდა საჯაროდ ლაპარაკი და ევროპაში მიღებულ წესისამებრ უნდა შეჰხებოდა ეხლანდელს საგარეო საქმეთა მდგომარეობასაც. ამ საგანზედ ბ-ნმა გობლემ სთქვა, რომ ამ ბოლოს ხანებში საფრანგეთმა ბევრი განსაცდელი ჰნახა, მაგრამ ყოველს ამ განსაცდელს მშვიდობიანად გადარჩა, მერე ისე, რომ საფრანგეთმა სრულად ხელუხლებლად შეირჩინა პატივი და დიდება დიდის სახელმწიფოსი და მის ღირსებას არაფერი შეჰბღალვიაო. მიაწერა რა ეს ამბავი თვით საფრანგეთის ერის პატიოსნურს თავმოწონებას, თავის დაჭერას, სიფრთხილეს და გონიერებას, დაუმატა ფრიად საყურადღებო სიტყვები: "დრო განსაცდელებისა საფრანგეთისათვის იქნება ჯერ სრულად არ გადასრულდაო და ჩვენ მზადა ვართ ყოველს განსაცდელს პირდაპირ, გულდაგულ დავუხვდეთო".

თ. ბისმარკს ძალიან ვერ ეჭაშნიკა თურმე ეს გაბედული სიტყვები თავმოწონებულის ერის მინისტრისა. ესეც უნდა ყოფილიყო. სამინისტრომ გობლე-ფლურანსისამ, როგორც გუშინაც მოგახსენეთ, სულ სხვარიგად

იჩინა თავი. პირველ ხანებში ამ სამინისტროსაგან არც საფრანგეთი, არც ევროპა ბევრს არას მოელოდა: ეგონათ, რომ მარტო მორიგს საქმეებში ჩაებმის და ზვლაზნით და უფხოდ გასწევს ჩვეულებრივს უღელსა, ვიდრე სხვა რიხიანი და გაბედული სამინისტრო გამოჩნდებაო. მოლოდინი ყველას გაუმტყუნდა: ამ სამინისტრომ ყოვლად შემძლებელს თ. ბისმარკს თვალი გაუსწორა და ისეთის უშიშარის გულით დახვდა ყოველს მის მანქანებსა, რომ ყველანი გააოცა და პატივი და თანაგრძნობა მოიპოვა. ბევრს იძახიან ეხლა თ. ბისმარკის მორჩილნი გაზეთები, რომ ბ-ნს გობლეს, თუ მართლა მშვიდობიანობა ჰსურს, არ უნდა ეთქვაო გავრს, რომ საფრანგეთისათვის განსაცდელების დრო ჯერ კიდევ არ გადასრულაო და ყოველ შემთხვევისათვის მზადა ვართო.

რომ ბ-ნს გობლეს მართალი უთქვამს, ამას ამტკიცებს პარიჟელი კორესპონდენტი ინგლისის გაზეთის "Times"-ისა. იგი იწერება, რომ გერმანიის მხრით კიდევ ერთი ახალი განსაცდელი მზადდებაო. ლეიპციგის უმაღლესი სამსჯავრო აპირობს შეუდგეს იმ საქმის გარჩევას, რომელშიაც შნებელე ურევიაო. ბრალმდებელი ოქმი თურმე 500 გვერდს თაბახისას იპყრობს და მარტო მის წაკითხვას მთელი ოთხი საათი მოუნდებაო.

რაც კი ამ რამდენისამე თვის განმავლობაში გერმანელთ ცნობანი შეუკრებიათ, სულ ამ ოქმშია თურმე მოხსენებული. ეს რომ მარტო შნებელეს თაობაზედ იყოს, კიდევ არა ეთქმის რა საფრანგეთსა. სიტყვა ის არი, რომ გერმანელთ ამ ოქმში შეუგროვებიათ ყოველისფერი, რაც კი ასე თუ ისე გამოსადეგია მისთვის, რომ ბრალი დასდონ საფრანგეთს, ვითომც ომის ატეხა უნდა და მარტო შემთხვევას ელისო. ამ ოქმშია მოხსენებული თურმე ისიც თუ, როგორ ამზადებდა საფრანგეთი ალაჩუხებს თავის სამზღვრებზედ მეომრის ჯარის თავშესაფარად, როგორ იქცევოდა საფრანგეთის მოხელეობა, როცა

ელზას-ლოტარენში არჩევანები იყო გერმანიის პარლამენტისათვის და აწერილია გამოჩენილის დერულედის* მოგზაურობის ამბავი. გარდა ამისა, მოგროვილია თურმე ყოველგვარი წერილები, რომლის ძალითაც ვითომც უნდა დამტკიცდეს, რომ საფრანგეთია მიზეზი ეხლანდელის შიშისა და ზარისა. თ. ბისმარკმა ძალიან კარგად იცის, რომ ახლად მოხერხებულს მანქანებაზედ საფრანგეთი ხმას ამოიღებს და არ გაუმჩუმდება ლეიპციგის სასჯავროსა. აქედამ თ. ბისმარკი წყლის ამღვრევას გამოელის და მღვრივე წყალში თევზის ჭერა ხომ კარგის მებადურის საქმეა.

გუშინდელმა დეპეშამ ხომ მოგვიტანა კიდეც ამბავი, რომ გობლე იძულებულ გამხდარა სამსახურიდამ გადადგომის თხოვნა წარედგინა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტისათვის. გუშინაცა ვსთქვით და ეხლაც ვიმეორებთ, რომ ეს ამბავი დიდი ამბავია. შორეული თავიდათავი მიზეზი ამ ამბავისა ჩვენ გუშინ, ჩვენის შეძლებისამებრ, მოვახსენეთ ჩვენს მკითხველებს. დღეს გვინდა მხოლოდ მახლობელი მიზეზი ვაცნობოთ.

ამ აპრილის უკანასკნელ რიცხვებში ხმა გავარდა, რომ გობლეს სამინისტროსა და ბუჯეტის კამისიას შორის განხეთქილება ჩამოვარდაო. ბუჯეტის კამისიას, როგორც თვითონ სახელწოდება გვაუწყებს, მინდობილი ჰქონდა მომავალისათვის სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ნუსხა სამინისტროსი გაეჩხრიკა. სამინისტრომ თავისი პროექტი წარუდგინა და ბუჯეტის კამისიამ შეჰნიშნა, რომ გასავალი დიდია და ამის შესავსებად სამინისტროს განუზრახავს გადასახადების მომატება ზოგიერთ საგანზედ. ბუჯეტის კამისიამ მოსთხოვა სამინისტროს, შეამოკლე გასავალი, თორემ ერი გადასახადის მომატებას ვერ გაუძლებსო. სამინისტრომ

* ეს დერულედი საკმაოდ გამოჩენილი პოეტია საფრანგეთისა და ამ ბოლოს დრომდე თავმჯდომარე იყო ეგრედწოდებულის "საპატრიოტო ლიგისა". შარშან ამ დერულედმა შემოიარა თითქმის მთელი ევროპა და ყველგან ჰცილობდა საფრანგეთისათვის თანაგრძნობა მოეპოვებინა წინააღმდეგ გერმანიისა.

შეიწყნარა ეს თხოვნა და 13.700.000 ფრანკამდე შეამოკლა გასავალი და გობლემ დასძინა ზედ, რომ თუ დრო და გარემოება ხელს შეგვიწყობს, მერეც დავაკლებთ კიდევაო. ბუჯეტის კამისიამ ეხლავ მოითხოვა დაკლება. გობლე თანახმა არ გაუხდა და საქმე პარლამენტზედ მივარდა. პარლამენტმა ხმის უმეტესობით ბუჯეტის კამისიის წინადადება მიიღო და გობლე ამის გამო მთელის თავისი სამინისტროთი იძულებულ გახდა სამსახურს დასთხოვნოდა, რადგანაც გამოაცხადა, რომ რაც დავაკელ, მასზედ ნაკლების კრედიტით მე და ჩემნი ამხანაგნი საქმეთა საჭიროებას ვეღარ გავუძღვებითო.

არ ვიცით ჯერ, რესპუბლიკის პრეზიდენტმა გრევიმ შეიწყნარა თუ არა გობლეს სამინისტროს თხოვნა სამსახურიდამ გადადგომის თაობაზედ. ხოლო ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ დღევანდელს დღეს ეს სამინისტრო კრიზისი საფრანგეთისათვის უდროვოდროდ არის. სწორედ ამ დღეს შეჰფეროდა, რომ საფრანგეთის საქმეთა საყევარში იმისთანა მინისტრები ჰბმოდნენ, რომელნიც არ უფრთხიან არავითარ მუქარას თ. ბისმარკისას. თუ პრეზიდენტმა გრევიმ შეიწყნარა გობლეს თხოვნა, უსათუოდ მთავარ მინისტრობაში ჩაგდება ფრეისინე, ან ფრეისინე და ფერი. ორივენი ნამეტნავად უკანასკნელი, უფრო სასიამოვნონი იქნებიან თ. ბისმარკისათვის, ვიდრე გობლე — ფლურანსი.

ფერიმ იმიტომ ვერ იდგომილა ამასწინად მთავარ-მინისტრად, რომ მეტად აშკარად შეემჩნივა თ. ბისმარკის უკან აყოლა. ფრეისინე თუმცა თ. ბისმარკს ალმაცერად უცქერის და მასთან ერთად სვლას არა ნდომულობს, მაგრამ ფრთხილი კაცია და თ. ბისმარკმა იცის, რომ მაგ მეტისმეტის სიფრთხილით ბევრს რასმეზედ დაიყოლიებს.

ერთის სიტყვით, ეს ამბავი, ჩვენის ფიქრით, იმის ნიშანია, რომ საფრანგეთსა და გერმანიას შორის რაღაც ახალი ქსელი გაიბა და რაღაც ახალი ხიდი გაიდვა.



«ბისმარკის დიპლომატიური სვლები»

ტფილისი, 11 მაისი

ვნახოთ, რას ამბობენ გაზეთები, ომი იქნება თუ არა, — იკითხავს ხოლმე მკითხველი, მოავლებს თუ არა დღეს გაზეთს ხელსა. ამაზე აი მოგახსენებთ. 1885 წელსა ყირიმის ომს დღედღეულად მოელოდნენ და ნამდვილი ამ საქმისა არავინ არაფერი იცოდა. ინგლისის მაშინდელს გამოჩენილს მინისტრს პალმერსტონს რომ ჰკითხეს: იქნება ომი თუ არაო? — მინისტრმა უპასუხა: "არ ვიცი, დღეს გაზეთები არ წამიკითხავსო". რასაკვირველია, პალმერსტონის ეს დაცინვა იყო. ინგლისის პირველს მინისტრს კარგად ესმოდა, რომ გაზეთები ომის საქმეში არაფერ შუაში არ არიან; რომ თუ რომელიმე სახელწიფო ომის გამართვას მოიწადინებს, გაზეთებს არა ჰკითხავს რჩევა-დარიგებასა, არც იმას იკითხავს, ჰნებავთ გაზეთებს ომი თუ არაო. ასეა დღესაც საქმე, გაზეთებმა რამდენიც უნდა ილაპარაკონ, რამდენიც უნდა შორსმჭვრეტელობა გამოიჩინონ, მაინც ვერ გვეტყვიან, როდის და ვის შორის ატყდება ომი. მეტადრე დღეს, როდესაც პოლიტიკის საქმეები ისე აიწეწა, აირივ-დაირივა, რომ თვით დიპლომატებსაც ვეღარა გაუგიათ რა და არ იციან, ვინ ვისი მტერია, ვინ ვისი მეგობარი. ერთი ეს კი იციან, რომ ბისმარკია საქმეების ამწეწი და ამრევი, რომ ბისმარკი

განგებ აბამს ქსელს, მაგრამ ვინა ჰყავს სახეში, ვინ უნდა გააბას ამ ქსელში, ამას ნამდვილად ვერავინ მიმხვდარა. ან კი როგორ უნდა მიჰხვდნენ, როდესაც ბისმარკი მარტის დღისავით ათასნაირად იცვლება, ხან გამოიმზევებს, ხან მოიღრუბლება, ხან აქეთკენ მოიბრუნებს ბოლოს, ხან იქითკენ, ვისაც დღეს უცინის, ხვალ იმასვე უწყრება და მუშტს უღერებს. როგორც ნამდვილი და ჭკვიანი პოლიტიკოსი, ბისმარკი მტკიცედ ადგა იმ აზრს, რომ გულახდილი ლაპარაკი, მართლის თქმა, გულწრფელობა, გულითადი მეგობრობა მეტი ბარგია პოლიტიკაში. ვინც გაჭირებაში გამოგადგება, მეგობრობა იმასთან უნდა დაიჭირო, მაგრამ გული კი მაინც ახლო მეგობარსაც არ უნდა გადუშალო, მეგობრობით მხოლოდ თვალი უნდა აუხვიო და თუ ხვალ მეგობარი საჭირო და გამოსადეგი აღარ არის, ეცადე მალე თავიდამ მოიშორო. ასეც ჩადის ბისმარკი, მაგალითად: ვინ არ იცის, რა სასტიკად ეპყრობოდა ბისმარკი რომის პაპსა, როგორ სდევნიდა კათოლიკეთ სამღვდელოებასა ამ რამდენისამე წლის წინადა. მაგრამ დრო გამოიცვალა და აი, დღეს ბისმარკი იმავე რომის პაპს ხელს უკოცნის. აი ან კიდევ ავსტრი-ვენგრია. როგორ კუდი-კუდს ჰქონიათ გადაბმული დღემდინ გერმანიასა და ავსტრიას, რა მეგობრული განწყობილება იყო ამ ორს სახელმწიფოს შორის, რა მტკიცედ იყვნენ ერთად შეკავშირებულნი, და აბა, ვინ მოიფიქრებდა, რომ ესენი ერთმანეთს გადუდგებოდნენ, რომ ამათ შორისაც უსიამოვნობა და უთანხმოება ჩამოვარდებოდა? ასე კი მოხდა და აი, რის გამო.

გამოტყვრა საიდგანღაც სრულიად მოულოდნელი შნებელის საქმე. ამ საქმემ მთელი ევროპა ააყაყანა. საფრანგეთს რომ არაფრად ეამებოდა ეს საქმე, ეს ბისმარკს თვითონაც კარგადაც ეცოდინებოდა. მაშასადამე, ბისმარკს, ვგონებთ, უფრო მეგობრობის გამოცდა უნდოდა, — ვნახოთ, რას იტყვიან და რამდენად სანდონი არიან ისინი, ვინც მეგობრობას მიცხადებენო; — მეგობარი გაჭირებაში უნდა გამოადგეს

კაცსაო. წარმოიდგინეთ ბისმარკის განცვრიფება, როდესაც ვენიდგან შემდეგი შეატყობინეს: თუ შნებელლეს საქმე იმიტომ აღიძრა, რომ ბისმარკს ჰსურს, საფრანგეთს ომი გამოუცხადოსო, ავსტრია ხელს დაიბანს, განს გადგება და ჯერ კიდევ მოიფიქრებს, როგორ მოიქცეს ამ საქმეშიო.

კარგიო, — სთქვა ბისმარკმა, რახან ეგრეა და მაშ, მეც ვაჩვენებ თავსაო. ადგა და გამოაშკარავა, რომ ბერლინის ყრილობაზე 1877 წელსა მე კი არ ვიყავ რუსეთის მტერი, არამედ ავსტრიის მაშინდელი მინისტრები ანდრაში და ტისსაო: როდესაც ამ ამბავმა საშინელი, გაცხარებული ბაასი ასტეხა გაზეთებში, ბისმარკმა უცბათ ტყავი იბრუნა და თავი ასე იმართლა: მე ეს იმიტომ კი არა ვსთქვი, რომ ავსტრიისათვის მეწყენინებინა, არამედ იმიტომ, რომ რუსეთის ჟურნალ-გაზეთებისათვის პირში ბურთი ჩამედო, რადგან ესენი ჩირქსა სცხებენ და სახელს უტეხენ გერმანიასაო. მოდი და აქ გაიგე რამე, მოდი და ჰკითხე გაზეთებს, როდის და ვის შორის იქნება ომიო. გაზეთებს მხოლოდ ის შეუძლიანთ სთქვან, რომ ბისმარკს ვიღაცა ჰყავს ნიშანში ამოღებული, ვიღასთანაც ომის გამართვა უნდა და განგებ საქმესა სწეწს, რომ ნამდვილზე ყველას თვალი აუხვიოს. გაზეთები ამაზედ მეტს ვერას იტყვიან.

«სიწყნარე ევროპის პოლიტიკაში»

ტფილისი, 12 მაისი

პოლიტიკაში პატარა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ევროპამ გადაივლო ბევრი სხვადასხვაგვარი განსაცდელი და სისხლისღვრამდე საქმემ არ მიაღწია. ამ ერთის წლის განმავლობაში ბევრჯელ კი გამწვავდა მდგომარეობა, ბევრჯელ კი ლამობდა გაწყვეტას მეტად დაჭიმული და დიპლომატებისაგან ნაქსოვი საპოლიტიკო ქსელი. ვინ მოსთვლის, რამდენჯერ შეითამაშა ამ ბოლო დროს პოლიტიკამ, რამდენჯერ გაჰბედა საშიში მალაყი და რამდენჯერ მიიყვანა იქამდე საქმე, რომ ყველა თვალებად და ყურებად გადაიქცა, ყველას გული ძლიერად სძგერდა ომის მოლოდინითა. მაგრამ ყოველივე ეს საფრთხეები დღეს ცოტად თუ ბევრად გაქრა, აჩქარებული გულის ცემა აღარავის ეტყობა, ომის მოლოდინი, ამ ცოტა ხანში მაინც, მოსვენებას არავის უკარგავს.

ბოლგარიის საქმემ მიიძინა და მიყუჩდა; მხოლოდ ათასში ერთხელ თუ გამოაჭყეტავს თვალებს და ისიც მცირე ხანს, რომ მოსვენებულს ქვეყანას არა გაუჭირდეს რა მეტისმეტად: ან ფული არ შემოაკლდეს და, თუ საჭირო იქნება, ისესხოს სადმე არა სამძიმო პირობითა, ან ერის მამულისშვილობამ და პატრიოტობამ არ იკლოს და არ დასცხრეს ზრუნვა იმაზე, რომ ბოლგარია ბოლგართათვის უნდა იყოსო, ან ში-

ნაგანმა და გარეგანმა მტერმა თავი არსად წამოჰყოს და უცბათ ჭირი არარა ამიტეხოს რაო და სხვა.

ოსმალეთიც მიწყნარდა და, თავის ჩვეულებისამებრ, მიეცა განსვენებასა და ქეიფს. აღარ ისმის, რომ იქ კვლავ რაიმე გაცხარებული მზადება იყოს საომრად, არც ჯარები გადაჰყავთ აქეთ-იქით და იმათის თოფ-იარაღის ჩხარუნით მშვიდობიანს ოსმალოს გული აღარ უთრთის. ცოტაოდნად თუ ფაციფუცობს ვინმე ოსმალეთში, ესენი არიან სხვადასხვა სადიპლომატო აგენტები, რომელნიც დაუბოლოვებელს მოლაპარაკებაში არიან ერთმანეთთან სხვადასხვა საპოლიტიკო საქმეებზედ, თუ ეგვიპტის გამო, თუ ბოლგარიის საქმის გადაწყვეტის თაობაზედ და სხვანი. უკანასკნელი დეპეშა, 11 მაისში გამოგზავნილი, გვაუწყებს კიდეცა, რომ ეგვიპტის საქმის გამო ინგლისმა და ოსმალეთმა ხელი მოაწერეს პირშეკრულობასაო. ამ პირშეკრულობის ძალით ინგლისი ვალდებულია თავისი ჯარები გამოიყვანოს ფარაონების ქვეყნიდამაო.

ავსტრი-ვენგრია რაღას აპირობს ვითომ? ჩვენ გვგონია, რომ არც ეს ჭრელი სახელმწიფო ფიქრობს ხმლის ტრიალს შეუდგეს და თოფ-იარაღის ჩახა-ჩუხი ასტეხოს. გმირული და თავგამოდებული, რიხიანობით სავსე პოლიტიკა წესად არა აქვს ამ სახელმწიფოს და ან კი რა ჭკუაა, რად გასწევს ხარჯსა და ბორჯს, რად დაჰღვრის სისხლს, როდესაც უამისოდაც თავის საქმეს კარგად მოაგვარებს ხოლმე. სლავიანები, რომელნიც უმრავლესობას შეადგენენ ამ სახელმწიფოში, არავითარ სადავიდარაბო საქმეს არა ფიქრობენ და ძალიან კმაყოფილნიც არიან: პოლონელები ამბობენ, რომ ჩვენ კარგადა ვართ ავსტრი-ვენგრიის ხელშიაო; მადიარები ხომ ბატონები არიან, ჩეხებიც არას იმდურებიან, მეტადრე რიგერის დასისანი, ეგრეთწოდებული სტარობჩეხები; დარჩა მხოლოდ სლოვანები და ხორვატელნი, რომელთაც ამადიარებს ვენგრია, მაგრამ ესენი სათვალავში არც კი არიან ჩასაგდებნი. ვითომ რა დააშავა ავსტრიამ, რომ წარსულს რუსთ-

ოსმალოს ომში ხელიც არ გაანძრია, იმიტომ ბოსნია და ჰერცოგოვინა ვერ ჩაიგდო ხელში თუ? და მერე ისიც ვადადაუდებლად. ბოსნია და ჰერცოგოვინის გამო რომ ისეთი მწვავე კამათობა ასტყდა ამას წინად, ტისამ გულდამშვიდებით გამოაცხადა დეპუტატთა პალატაში: ნეტა რას იმდურებითო. ავსტრიის პოლიტიკის შედეგი თვალწინ გიძევსთო: ავსტრიის მდგომარეობა ევროპაში და აღმოსავლეთის საქმეში საუკეთესოდ შეიცვალა და ფიქრი არაფრისა გვაქვსო. არც გერმანიისა და არც რუსეთს ჩვენთან დასამდურებელი არა აქვთ რაო.

ინგლისი რაღა ამბავშია? არა გვგონია, რომ ან ინგლისი აპირობდეს ამჟამად მაინც, მძიმე რამ საქმის ატეხას და თავსატეხს დავიდარაბაში გაბმას: ჯერ არის და შინაურობაშივე ძლიერ აწუხებს ირლანდიის საქმე და საგარეო მოღვაწეობისათვის ხელი ვერ გაუშლია, მერეა და პოლიტიკაში ინგლისი უფრო სიტყვითა ჯენტლმენობს და რიხიანობს ხოლმე, საქმით კი ძალიან ეძნელება და ზარობს ისეთის სადავიდარაბო საქმის დაწყებას, როგორიც არის ომი და მერე მოსალოდნელი ომი, რომელიც ძნელად თუ ერთს ალაგს დაიწყობა და გათავდება და უთუოდ ბევრს დიდს სახელმწიფოს მედგრად შეახლის ერთმანეთს. ირლანდიის დეპუტატებმა ხომ საქმე გაუჭირეს პარლამენტს: სულ იმასა სცდილობენ, რომ არაფრისთვის არ მოაცალონ მთავრობა. ის კანონ-პროექტი, რომელიც ამჟამად პარლამენტს აქვს განსახილველად და ირლანდიელთა საწინააღმდეგოა, სულ 148 სტრიქონია, მაგრამ ისე აფერხებენ კამათობას ირლანდიის დეპუტატები, რომ პარნელის მომხრეთა სამ კვირას მხოლოდ ოცი სტრიქონის გასინჯვას მოანდომებს პარლამენტი. ავღანისტანის საქმე თუ გააბედვინებს რასმე ამჟამად ინგლისს, რადგან ეს საქმე ამ ხანებში ლამის მეტად გამწვავდეს. აბდურახმან ხანს ცუდი საქმე მოსდის; ნახევარი ქვეყანა აჯანყებულია და ამარცხებს ემირის ჯარს, საცა პირისპირობა მოსდით. გამმიჯვნელთა კომისიაც, რომე-

ლიც პეტერბურგში იმყოფება, ბევრნაირად იმტვრევს თავს და ვერა გადაუწყვეტია რა კი. ამ საქმის გამო "Times"-სა სწერენ პეტერბურგიდამ, რომ უკანასკნელს კრებაზედ კომისიაში ძალიან გაცხარდა ლაპარაკი, მაინც შედეგი არ მოჰყვა რაო. ახლა თვით რუსეთისა და ინგლისის მთავრობამ უნდა გადასწყიტონ, რა მოაგვარონ ამ საქმის გამოვო. უფრო ინგლისმა უნდა ითავოს, რადგან რუსეთი სრულიად უარზეა, რომ დასთმოს რამე იქიდამ, რაც მოითხოვა და აქამდე ითხოვდა ამ საქმეშიო. ვინ იცის, იქნება ინგლისს მეტად გაუჭირდა საქმე და იმიტომ მოიშორა თავიდამ ეგვიპტეზე ზრუნვა, მოურიგდა ოსმალეთს და ხელი მოაწერინა იმ პირშეკრულობას, რომლის ძალითაც იტვირთა ჯარების გამოყვანა ეგვიპტიდამ! იქნება ინგლისი ფიქრობს, ამით გული მოუგოს ოსმალეთს და მასთან ერთად ავღანისტანის საქმეში მეტის გაბედულობით გაერიოს?!

ვიღა დაგვრჩა ევროპაში ამჟამად ისეთი, რომლის სურვილსა და დღევანდელს ფიქრს ჰქონდეს დიდი მნიშვნელობა. რასაკვირველია, ასეთია გერმანია და მისი პომერანიელი მაკიაველი ანუ ვარცინის სახელგანთქმული მკითხავი, თავადი ბისმარკი. დღეს ამ დიდს სახელმწიფოს და მის გენიოსს კანცლერს უჭირავს ყველა საბლის წვერი ევროპის პოლიტიკისა, მაგრამ ამ საბლის წვერები ისე აქვს დანასკული და დამარყუშებული, რომ მეტად ძნელად გამოსარკვევია.

რაიცა შეეხება საფრანგეთს, მან საკმაოდ ცხადად აჩვენა ქვეყანას, რომ მას ჯერ-ჯერობით ომი არა სწადიან და, თუმცა ბევრგვარი ხერხი იხმარა ბისმარკმა, მაგრამ კისრულზედ ვერც ერთხელ ვერ გადიტანა. შნებელეს საქმე მეტად არასაფალავნო ხერხი იყო და საფრანგეთმა დიდის მოხერხებით და თავდაჭერით აიცდინა თავიდამ, მაგრამ უკანასკნელი ხერხი კი, როგორც ფალავნური და პატიოსანი, იქნება უფრო გამოადგეს ბისმარკს. ჩვენ იმას ვამბობთ, რომ თუ გობლეს სამინისტრო გადადგა და ეს გადადგომა ბისმარკის მოხერხების მიზეზით მოხდა, შეიძლება უსისხლოდ

გასწორდნენ მაშინ საფრანგეთი და გერმანია. მაგრამ ამაზე ჯერ გაზეთებიდამ არა სჩანს რა.



«“ბოსნიის საქმის” ამოტივტივება»

ტფილისი, 13 მაისი

ბოსნიის საქმის გამო გაცხარებული და გამწარებული ბაასი გერმანიისა და ავსტრიის გაზეთებს შორის ჯერაც არ შეწყვეტილა. სხვა გაზეთებმაც, რასაკვირველია, ბანი მისცეს ამათ და დღეს ეს საქმე სალაპარაკოდ გაიხადეს. ბევრი თავს იტეხს და ვერ მიმხვდარა, — რა ჰქონდა გულში ბისმარკსა, ვინ ატანდა ძალასა, რომ ეს დავიწყებული, არხივების მტვრით ჩაფლული “ბოსნიის საქმე” გამოამზევა, ქვეყანას დაანახვა და ამის გამო ერთი ამბავი ასტეხა. ზოგი რას ფიქრობდა, ზოგი რასა. უმეტესობისთვის ეს ამბავი მაინც ისეთივე გამოცანა იყო, როგორც ბისმარკის ბევრი სხვა უცნაური და ძნელად მისახვედრი მოქმედება. ყურადღების ღირსია ერთი ინგლისურ გაზეთის “St, James Gazette”-ის აზრი, რომელიც ცოტა არ იყოს, ნათელსა ჰფენს ამ საქმესა.

ბისმარკი, როგორც ნამდვილი დიპლომატი, არავის ენდობა და თვით ახლო მეგობარსაც ეჭვის თვალით უცქერის. ასე უყურებდა ბისმარკი ავსტრიასაც, თუმცა მეგობრული განწყობილება და მტკიცე კავშირი ამ ორს სახელმწიფოს შორის არაერთხელ ყოფილა საქვეყნოდ შემოწმებული. ბისმარკს ამ ბოლო დროს ცოტა შიში შეჰპარვია გულში, ვაითუ, ავსტრიამ მიღალატოს და რუსეთთან ჩუმად საქმე დაიჭიროსო. ეს შიში

უსაბუთოდ არ ყოფილა. როგორც გვარწმუნებს იგივე ინგლისური გაზეთი, რუსეთსა და ავსტრიას შორის ჩუმად ვითომ კიდეც ყოფილიყოს რაღაც მოლაპარაკება.

თუ გერმანია წინააღმდეგი იქნება და ჩვენს საქმეში ჩამოერევა, საფრანგეთი ხომ მზადა გვყავს, საფრანგეთს ჩვენი მხარე უჭირავსო.

ბისმარკს ასეთი ამბავი, რასაკვირველია, არაფრად იამებოდა. ასეთი ამბავი მართლა რომ შესაძლო იყოს, ამაში ეჭვი არ არის, რადგან ავსტრიის პოლიტიკოსებს წარსულშიაც ჩაუდენიათ ასეთი საქმე და სწორედ გაჭირების დროს გადასდგომიან გერმანიასა. მაგალითად, 1877 წელსა, როდესაც რუსეთი ოსმალეთთან ომს აპირებდა, ბისმარკი ასეთს თანხებს უწყობდა თავად გორჩაკოვს: ხმას არავის ამოვაღებინებ, რუსეთმა რაც უნდა ჩაიდინოს აღმოსავლეთში, ოღონდ პირობა მომეცით და ხელს ნუ შემიშლით, რომ საფრანგეთს ხელმეორედ შევესიო და სრულიად მიწასთან გავასწოროვო. ავსტრიის მაშინდელმა პირველმა მინისტრმა ანდრაშიმ ეს რომ შეიტყო, მაშინვე მიჰხვდა რა განზრახვაცა ჰქონდა ბისმარკსა და ეცადა ეს საქმე როგორმე სხვანაირად დაეტრიალებინა. ანდრაშიმ თავის მხრივ აღუთქვა გორჩაკოვს, რომ თუ რუსეთი ომს გაუმართავს ოსმალეთს, ავსტრია განზე იდგება და ხმას არ ამოიღებსო. გორჩაკოვს ანდრაშის პირობა უფრო მოეწონა, რადგან არ უნდოდა გაეწირა საფრანგეთი და გერმანიის ხელში ჩაეგდო.

ამ სახით, ანდრაშის წყალობით, ბისმარკს ამ ათის წლის წინად პლანები შეეშალა და სურვილი ვერ აუსრულდა. ბისმარკმა ანდრაშის ღალატობა გულში ჩაიმარხა და, რასაკვირველია, ცდილობდა როდისმე მოეგონებინა და ჯავრი ეყარა. ბისმარკმა კარგად იცოდა, რომ ანდრაშის ასეთ საქციელს მადიარები არაფრად მოიწონებდნენ.

აი, რა ტკივილი აწუხებდა ბისმარკს, რომ საქვეყნოდ ააშკარავებდა ამ დავიწყებულ ბოსნიის საქმესა! ბისმარკს უნდოდა თვალები აეხილებინა

მადიარებისათვის და ეთქვა: აი, იცოდეთ ვინ არის ანდრაში, როგორ იცავს თქვენს ინტერესებს, უფრთხილდით, თუ, ვინიცობაა, ავსრტიის მეთაურობა კიდევ ამისთანა მინისტრებმა ჩაიგდეს ხელშიო!..

«პურეულის ყიდვა სამხედრო უწყების მიერ»

I

ტფილისი, 16 მაისი

ჩვენი ხალხი უმთავრეს ნაწილად მეურნეობას მისდევს. მეურნეობა შეადგენს ჩვენის ქვეყნის სიმდიდრეს, ეს არის ჯერ ერთადერთი წყარო შემოსავლისა და ამ შემოსავლით უნდა გაუძღვეს ჩვენი ხალხი ყოველგვარ საქვეყნო და შინაურ ხარჯსა. მრეწველობა და აღებმიცემობა ჯერჯერობით ძლივს ისახება, ასე რომ სათქმელი არც კია. ამიტომ თითქმის მთელი ჩვენი ქვეყანა და უფრო მეტად მივარდნილი, მიყრუებული ალაგები, მოშორებულნი დიდ ქალაქებზე, მოკლებულნი უგზოობის გამო ბაზრებს, ეკონომურად იმ მდგომარეობაში არიან, რომელიც საპოლიტიკო ეკონომიაში "ბუნებითს მეურნეობად" არის ცნობილი. (Натуралъное хозяйство). ამგვარ ეკონომიურის წეს-წყობილების უმთავრესი ხასიათი იმაში იხატება, რომ მწარმოებელს, მიწის მუშას, ნაწარმოები თუნდა მომეტებულიც ჰქონდეს, მაინც ფული ყოველთვის უჭირს. ამგვარ მწარმოებელს ფულის შოვნა უძნელდება, რადგან, ბაზრის უქონლობის გამო, თავის ნაწარმოებისათვის კარგი გასავალი ვერ უშოვნია, მიწის მოსავალი ფულად ვერ უქცევია. ამიტომ ცდილობს, ცხოვრების მოთხოვნილებას, საჭიროებას

თავის ნაწარმოებითვე გაუძღვეს; ყოველ წვრილმან შინაურ გარდასახადში, ივჯარაში, საცა კი შეიძლება, ფულის მაგიერ, თავის ნაწარმოებს აძლევს; ასე უსწორდება, მაგალითად, ჩვენი გლეხი მღვდელს, დალაქს, მეველეს, გზირს და სხვებსა. უწინ ამ საუკუნის დასაწყისამდე, თვით სახელმწიფო ხარჯსაც კი პურითა და ღვინით იხდიდა. მხოლოდ ამ საუკუნეში, როდესაც ჩვენი ეროვნული ცხოვრება ძირეულად შეიცვალა, შემოღებულ იქმნა ფულით გადახდა ხარჯისა. ცხოვრებამ კი ისეთი მიმდინარეობა მიიღო, რომ ჩვენს ხალხს, მეტადრე მოხარჯეს რაც უნდა ექმნა და ფული კი უნდა ეშოვა და ყოველი ხარჯი ასე გაესტუმრებინა. მაგარამ როგორ ეშოვა ფული, როგორ ექცია თავის ნაწარმოები ფულადა? ქალაქს წაეღო? ვინ იცის, ესეც სათუვოა: ხან ფასი ნაკლები არის, ხან სრულიად ბაზარი არა აქვს რომელსამე ნაწარმოებსა. ხშირად რამდენსამე დღეს უნდა მოსცდეს და ნახევარ ფასადაც ვერ გაჰყიდოს თავის ნაშრომ-ნადაგი. კიდევ კარგი, ვისაც ქალაქი ახლო აქვს და იქ წაღება შეუძლია თავის ნაწარმოებისა, ვინც შორს არის? ის, მეტი ღონე არ არის, იძულებულია ფულიან კაცს მიჰმართოს და თუნდ ჩალის ფასად მიჰყიდოს თავისი ნაწარმოებისა, ოღონდ გაჭირებაში ხელი გაიმართოს. აი აქ იჩენენ ხოლმე თავსა ყოველგვარი ჩარჩები. ამათ, რასაკვირველია, თავიანთ კერძო სარგებლობა, თავიანთ ინტერესები აქვთ სახეში და არა ხალხის კეთილდღეობა. ამიტომ დიდს სიკეთეს შესძენს, დიდს ღვაწლს გაუწევს ჩვენს ქვეყანას, ვინც ჩვენს ხალხს ამ ჩარჩების ხელიდგან დაიხსნის. ვისაც კი გული შესტკივა ქვეყნისთვის და ჰსურს ხალხის კეთილდღეობა, წარმატება, უნდა ეცადოს, რა გზითაც კი შეიძლება, შემწეობა მისცეს, ხელი მოუმართოს მწარმოებელსა, რომ მის ნაწარმოებს გასავალი ჰქონდეს; უნდა უჩვენოს გზა მეტადრე იმას, ვინც არც კი იცის, რას სადა აქვს გასავალი, რომელ ნაწარმოებს სადა აქვს ბაზარი. დღეს თვით მთავრობა

უჩვენებს ერთს წყაროს, რომელიც ღონისძიებას მისცემს მწარმოებელს თავის ნაწარმოები პიდაპირ მომხმარებელს მიჰყიდოს რიგიან ფასად და ჩარჩებს აღარ ჩაუგდოს ხელში. მხოლოდ აუცილებლად საჭიროა გზის მაჩვენებელი. რა წყაროა ეს და როგორ უნდა მიეცეს გზა ამ წყაროს, ამაზედ შემდეგ მოვილაპარაკებთ.

II

ტფილისი, 18 მაისი

როგორც წინა წერილში მოვიხსენეთ, უმთავრესი გაჭირება ჩვენი მეურნეობისა იმაში მდგომარეობს, რომ მიწის მწარმოებელს თავის ნაწარმოებისთვის კარგი ბაზარი ვერ უშოვნია და ამიტომ იძელებულია ჩარჩებს მიჰმართოს და თითქმის ნახევარ ფასად მიჰყიდოს თავის ნაშრომ-ნადაგი. ისიცა ვსთქვით, რომ დიდს სამსახურს გაუწევს ჩვენს ქვეყანას ყველა, კერძო კაცი იქნება თუ საზოგადოება, ვინც იკისრებს და მოახერხებს, რომ მწარმოებელმა პირდაპირ ჩარჩების უშუამავლოდ, გარდასცეს თავის ნაწარმოები მომხმარებელს. ასეთი დახმარება თავის მოვალეობად უნდა ჩასთვალოს, ჩვენის აზრით, სამეურნეო საზოგა-დოებამ და თუ ახალის წყაროს გამოძებნას ვერ იკისრებს, იმდენი თაოსნობა მაინც გასწიოს, რომ ხელი შეუწყოს იმას, რასაც თვით მთავრობა უჩვენებს. აი ის წყარო.

ამას წინად კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას შემდეგი მოწერილობა მოსვლია სამეურნეო მრეწველობის დეპარტამენტისაგან.

"მინსკის სამეურნეო საზოგადოებამ, — მოხსენებულია მოწერილობაში, — სთხოვა უმთავრესს საინტენდანტო გამგეობასა, რომ ხსენებულმა გამგეობამ სამხედრო მაღაზიებისათვის პური პირდაპირ მწარ-

მოებლისაგან იყიდოს და არა ივჯარადრებისა და ჩარჩებისაგანაო. მინსკის საზოგადოება ამასთანავე ჰპირდება გამგეობას, რომ ჩვენის მხრივ ყოველგვარ შემწეობას გაგიწევთო".

ამას აუწყებს დეპარტამენტი კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა და თანა სთხოვს: ყურადღება მიაქციეთ ამ წინადადებასა და გამოიყენეთ საქმეში სოფლის მწარმოებლების სასარგებლოდ, ესე იგი ეცადეთ, რომ მწარმოებელმა თავის ნაწარმოები პირდაპირ, უშუამავ-ლოდ, სამხედრო უწყებას მიჰყიდოსო.

სრულის ყურადღების და თანაგრძნობის ღირსია ეს წინადადება. თუ დეპარტამენტის აზრი სისრულეში იქმნა მოყვანილი, ორივე მხარე დიდს სარგებლობასა ჰნახავს: მწარმოებელი კარგ ფასად გაჰყიდის თავის ნაშრომსა და სამხედრო უწყებასაც უფრო იეფად დაუჯდება, ვიდრე აქამდინ უჯდებოდა. აქამდინ მთელი მოგება ივჯარადრებისა და ჩარჩების ჯიბეში ჰრჩებოდა და ამასთანავე მოივჯარადრები მწარმოებელსაც სცარცვავდნენ და სამხედრო უწყებასაც ატყუებდნენ; ხეირს არც ერთს აძლევდნენ, არც მეორესა. რასაკვირველია, ძლიერ სასურველი და სასიამოვნო იქნებოდა, რომ მწარმოებელისა და სამხედრო უწყების ისეთი შუამავალი ყოფილიყო, როგორც მაგალითად, სამეურნეო საზოგადოება, რომელიც ორსავე მხარეს ინტერესებს დაიცავდა და ერთსაც სარგებლობას მოუტანდა, მეორესაც. ამ საქმეს დახანება აღარ უნდოდა და საზოგადოებას, რაც შეიძლება, მალე უნდა განეხილა დეპარტამენტის წინადადება და ასე თუ ისე გარდაეწყვიტნა. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი სამეურნეო საზოგადოება როგორღაც აგვიანებს თურმე ამ საქმესა. საზოგადოებას დეპარტამენტის მიწერილობა გარდაუცია ერთის თავის წევრისათვის, რომლისათვისაც დაუვა-ლებია, გასინჯოს ეს წინადადება და საზოგადო კრებას წარუდგინოს თავის მოსაზრებანი ამ საგნის შესახებ. მაგრამ, როგორც ისმის, საზოგადო კრება შემოდგომამდე აღარ იქნებაო და ასეთი საჭირო და

საჩქარო საქმე კი მანამდისინ ძლიერ დაიგვიანებს. საჩქაროვო, ვამბობთ იმიტომ, რომ შემოდგომისთვის მწარმოებელს, მიწის მუშას, მოხარჯე ხალხს, ხარჯის დრო მოადგება და ამ ხარჯს ისევ თავის ნაწარმოებით უნდა გაუძღვეს. ეს ნაწარმოები უნდა ფულად აქციოს და მაშასადამე, ისევ ფულიან კაცებს, ჩარჩებს უნდა მიჰმართოს. ეს რომ არ მოხდეს, კარგს იზამდა სამეურნეო საზოგადოება, რომ ეხლავე გაემართა საგანგებო კრება განსაკუთრებით ამ საქმის განსა-ხილველად და საჩქაროდ გარდასაწყვეტად. ამით საზოგადოება თავის სასახელოდაც დიდს საქმეს ჩაიდენდა და ჩვენის ქვეყნის მეურნეობასაც დიდს სამსახურს გაუწევდა.

«გერმანიის მბრძანებლობას ევროპაში აღსასრული დაუდგა»

ტფილისი, 19 მაისი

მას შემდეგ, რაც პრუსიამ საფრანგეთი დაამარცხა და დაქსაქსული გერმანია ერთ საიმპერიო ქვეყნად გარდააქცია — ეს თითქმის თვრამეტი წელიწადია. საფრანგეთი, რომელიც მანამდე თითქმის მბრძანებელი იყო მთელის ევროპისა და მთელის ევროპის პოლიტიკის საბლის წვერი ხელთ ეჭირა, უკან უნდა მიმდგარიყო და ბურთი და მოედანი დაეთმო გერმანიისათვის. გერმანია მეტისმეტად გაძლიერდა საფრანგეთის უკან დახევის შემდეგ და თითქმის თვრამეტი წელიწადია, რაც ჰბატონობს ევროპაში. რადგანაც გათამამებული ბედისაგან გერმანია მას აქედ სულ ხმალზედ იყურებოდა, მთელი ევროპა მისის შიშითა და ზარითა შეთოფიარაღებულ სამხედრო ბანაკად გადაიქცა. ამ ყოფამ აუარებელი ზარალი მიაყენა მთელს ევროპასა: ამ თვრამეტს წელიწადში მარტო საომარსა და სამხედრო მოწყობილობაზედ ევროპას დაეხარჯა რამდენიმე ათეული მილლიარდი ტყუილ-უბრალოდ და გამოუყენებლად. იმას აღარ ვანგარიშობთ, რომ ევროპას ამ ხნის განმავლობაში რამდენიმე მილლიონი მხნე და ჯანიანი მუშა მოაკლდა, რადგანაც სამხედრო წყობილებამ, როგორც ღრუბელმა, შეიწურა ყოველივე ესე.

ამ თვრამეტის წლის განმავალობაში გერმანია პირველობდა ევროპაში. საცა რამ კი ასტყდებოდა ხოლმე, მაშინვე ყოვლის კაცის თვალი და ყური ბერლინს მიაჩერდებოდა — აცა, თ. ბისმარკი რას იტყვისო და რას ინებებსო. დიდი და პატარა სულ იმასა ჰვდილობდა, რომ თ. ბისმარკის გული მოეგო, მისის წყალობის ღირსი გამხდარიყო, მისი ძლიერი მომხრეობა ყოველის ღონისძიებით მოეპოვებინა. ამ ყოფამ მთელი ევროპის პოლიტიკა ერთ ნასკვად შეჰკრა და იგი ნასკვი ხელთ ეპყრა გერმანიის ყოვლად შემძლებელს კანცლერსა: არც ერთს სახელმწიფოს, დიდსა თუ პატარას, თავისი საკუთარი, დამოუკიდებელი პოლიტიკა აღარა ჰქონდა, სულ ყველანი თ. ბისმარკს შეჰყურებდნენ თვალებში და რასაც იქ ამოიკითხავდნენ, თავის პოლიტიკას იმისდა-გვარად მოჰმართავდნენ ხოლმე.

ერთი დრო არავის შერჩენიაო, ნათქვამია. ვერც თ. ბისმარკს შერჩა. ამ თვრამეტის წლის განმავალობაში ევროპამ ბევრი რამ იგრძნო, ბევრი რამ იცნო, რაც ხანი გადიოდა, იმოდენად გერმანიის ძლიერების ზარი და შიში თანდათან ჰკლებულობდა. ევროპამ ცხადად დაინახა თავისი შეცდომა, რომ პრუსიას ნება მისცეს გაელახა და დაემარცხებინა საფრანგეთი. მართალია, საფრანგეთს ბატონობაც მძიმე ტვირთად აწვა კისერზედ ევროპასა და ამის გამო მისის ფრთების შეკვეცა სანატრელი იყო ევროპისათვის, მაგრამ მაშინ ამ აზრით გატაცებულს ევროპას ფიქრადაც არ მოსვლია, რომ საფრანგეთის უკან დახევა ასე ძლიერ გააბატონებდა გერმანიასა, რომლის ბრძანებლობამ და კადნიერებამ ფიალა მოთმინებისა აუვსო ევროპასა. დღეს ევროპა ამასა ჰგრძნობს. შარშანდელს აქედ დაეძრა და შეერყა ძირი გერმანიის გაზვიადებულს ბატონობასა. ევროპამ დაინახა, რომ გერმანია ისე საშიშარი თვითეულ სახელმწიფოსათვის ცალკე, გაერთებულ ევროპისათვის საფიქრებელი არ არის და, მაშასადამე, შესაძლოა ცოტაოდნად კაცმა სიტყვაც

შეუბრუნოს, ზოგჯერ მაგარზედაც დადგეს და თავისი მოითხოვოს.

დღეს დიდნი სახელმწიფონი სწორედ ამ გზას ადგანან. ცალკე რუსეთი, ცალკე ავსტრია, ცალკე საფრანგეთი დღეს, ცოტა არ იყოს, განზედ გაუდგნენ გერმანიას. თუმცა ამათ შორის დღეს არავითარი კავშირი არ არის, არავითარი ერთობა, მაგრამ ეს კი აშკარაა, რომ ამ სამივეს გული ნატკენი აქვთ გერმანიისაგან და ამ ნატკენობაზედ შეიძლება აგებულ იქმნას მთელი ახალი პოლიტიკა ევროპისა. თ. ბისმარკი ჰგრძნობს ამასა. თ. ბისმარკი ჰხედავს, რომ ხელიდამ ეცლება იგი პირველობა, იგი უპირატესობა ევროპაში, რომელიც აქამომდე ხელთ ეპყრა და დღეს მთელი მისი მეცადინეობა იმაზეა მიქცეული, ეგ პირველობა, უპირატესობა შეირჩინოს. ჩვენ კი გვგონია, თ. ბისმარკს გაუცუდდება მეცადინეობა: დღეს თუ ხვალე გერმანია დაუმარცხდება ყოველთა გამკითხველს გარემოებას. რაკი ევროპა ამ მხრით დაიძრა, რაკი მან ის აზრი გამოისახა, რომ გერმანიის ტყვეობისაგან თავი უნდა გამოიხსნას, — ეს აზრი თავისასა იქმს და თავისას გაიტანს. გერმანია გეოგრაფიულის მდებარეობით ისე მოწყვდეულია დიდთა და ძლიერთა სახელმწიფოთა შორის, რომ ხელის განძრევა არ შეუძლიან, თუ ესენი ერთს პირზედ იდგებიან.

რომ ეს ერთს პირზედ დგომა ადვილად მოსაფიქრებელია, ეგ აშკარადა სჩანს. ძლიერი რუსეთი იძახის, რომ საფრანგეთს ისე ველარ გავაფუჭებინებ გერმანიას, როგორც აქამდისაო. არანაკლებ ძლიერი ავსტრიაც საქვეყნოდ ამბობს, რომ თუ გერმანია მიესია საფრანგეთსა, მე გულხელდაკრეფილი ვერ დავრჩებიო, ინგლისიც ორწყალსშუა დგას. ინგლისმა კარგად იცის, რომ თუ გერმანიას მარცხი რამ მოუვიდა, დროთა ვითარება ან რუსეთს, ან საფრანგეთს, ან ავსტრიას წამოაყენებს წინ და თუ პიველობას არა, დიდს აბრუს მაინც გაუკეთებს ერთ-ერთს მათგანს ევროპაში. ინგლისი ამასთან სიმძიმეს გერმანიის პირველობასაც

ეურჩება და ვერ იტანს. ამ სახით იგი იმ მხარეს მიუდგება არევ-დარევის დროს, რომლის გაძლიერებაც ან სულ არას ავნებს, ან ავნებს, ხოლო სხვაზედ უფრო ნაკლებ კი. დარჩა საფრანგეთი, რომელიც ამ თვრამეტის წლის განმავალობაში ისე გაძლიერდა, რომ მზად არის გულდაგულ დახვდეს გერმანიას, თუ ამან რამ შემოჰბედა. იგი თვითონაც არ მოერიდებოდა თავს დაესხას გერმანიას დღესაც, მაგრამ შიში და ფიქრი აქვს ავსტრიისა ცალკე და რუსეთისა ცალკე. ჯერ მინამ ავსტრია და რუსეთი ზოგიერთს საგნებზე არ მორიგებულან ერთმანეთში, ჯერ მინამ ერთიც და მეორეც უფრო შორს არ გაუდგებიან გარემოებათა ძალით გერმანიასა, ერთის სიტყვით, ჯერ მინამ ამ ორთა სახელმწიფოთა პოლიტიკა უფრო ნათლად და გარკვევით არ გამოცხადებულა, საფრანგეთი თვითონ თავისით ვერაფერს გაუბედავს გერმანიასა.

ამისთანა ყოფამ გერმანიას აბრუ გაუტეხა ევროპაში: ვინც გუშინ იმის შიშით ხმასაც ვერ იღებდა, დღეს მუქარასაც უბედავს. ამ სახით შესაძლოა ითქვას, რომ ბრძანებლობას გერმანიისას ევროპაში თავისი აღსასრული მოუვიდა: იმისი სიტყვა და მუქარა დღეს ისე აღარა სჭრის, როგორც აქამდისა. თუ გერმანიამ მეტისმეტი კადნიერება დაიწყო, სამთა დიდთა სახელმწიფოთა რუსეთსა, ავსტრიასა და საფრანგეთსა ადვილად შეუძლიანთ ერთმანეთს პირი მისცენ და თავისი წვრილნი ინტერესები ჯერხანად დაივიწყონ, რომ მძიმე უღელი გერმანიის უპირატესობისა ევროპაში ევროპას მოაშორონ. მეტისმეტად დიდი ხერხი და ოსტატობა უნდა იხმაროს თ. ბისმარკმა, რომ ეს აუცდენელი განსაცდელი აიცდინოს და გერმანიას დაუბრუნოს ის გავლენა და აბრუ, რომელიც ამ ბოლოს დროს ისე ძლიერ მოაკლდა.



«საფრანგეთის პოლიტიკა გერმანიისკენ გადაიხარა»

ტფილისი, 20 მაისი

უახლოესი მიზეზი გობლეს სამინისტროს სამსახურიდამ გადადგომისა ყველამ იცის: სარმა ეგრედწოდებულმა ბიუჯეტის კამისიამ გამოჰკრა რუვიეს თაოსნობით. რამდენისამე კვირის წინად ვიდრე ეს მოხდებოდა, არავის ფიქრადაც არ ჰქონია, რომ გობლე-ფლურანსის სამინისტრო ფეხს ბიუჯეტზედ წამოჰკრავდა. ყველას ახსოვს ის თავგამომეტებული მოქმედება საფრანგეთის პარლამენტისა, როცა თ. ბისმარკმა საქმე გაუჭირა საფრანგეთსა და თავისი შვიდწლეული სამხედრო კანონი რეიხსტაგში გაიყვანა და საბუთად ის აჩვენა გერმანიას, რომ საფრანგეთი გაძლიერდა და შიში იქიდამ მოსალოდნელიაო. ამ შვიდწლეული სამხედრო კანონის პასუხად საფრანგეთის სამინისტრომ მოსთხოვა თავის პარლამენტს ფული ჯარების გაძლიერებისათვის და მაშინ პარლამენტმა არამცთუ უარი უთხრა, თითქმის საყვედურიც კი გმოუცხადა სამხედრო მინისტრს ბულანჟეს, ეგრე ცოტა ფულს რადა ჰთხოულობო, როცა ჩვენი მტერი გერმანია ასე აძლიერებს თავის ძალ-ღონესაო.

გავიდა მას აქეთ რანდენიმე ხანი და იმავ პარლამენტმა იმავ სამინისტროს თითქმის მცირეოდენს

ფულზედ უარი უთხრა და ამის ძალით გობლე დაეთხოვა სამსახურსა. ეს ბოლოს ამბავი რომ წინას შევუწონოთ, აშკარად გამოჩნდება, რომ თუმცა გობლეს სამინისტროს დაცემის მიზეზი ბიუჯეტი გახდა, მაგრამ ეგ თვალად არის მარტო. აშკარაა შინაგანი მიზეზი სულ სხვაა, თორემ ამ უბრალო საქმეზედ პარლამენტი გობლეს ფეხს არ წამოაკვრევინებდა. დღეს დეპეშით ამბავი მოვიდა, რომ ახალი სამინისტრო რუვიეს მეთაურობით უკვე შემდგარა და მინისტრთა სიაში გენერალის ბულანჟეს მაგიერ სამხედრო მინისტრად ფერრონია ხსენებული. ჩვენის ფიქრით საფრანგეთის სამინისტროს კრიზისის შინაგანი მიზეზი ამ უკანასკნელ გარემოებაში უნდა მოინახებოდეს.

საფრანგეთის საგარეო პოლიტიკაში შნებელეს საქმის შემდეგ სხვა ახალმა მდინარეობამ ფეხი მოიკიდა. საფრანგეთი და გერმანია მოუტკბილდნენ ერთმანეთსა, იმოდენად მოუტკბილდნენ, რომ გერმანიის უსიამოვნო სამინისტროს გობლესას ადგილი უნდა დაეცალა სხვა უფრო სასიამოვნო სამინისტროსათვის. რაკი პოლიტიკა საფრანგეთისა გერმანიისაკენ გადიხარა, მაშინ ეგრედწოდებული დასი ოპორტუნისტებისა წინ წამოდგა. წინ წამოდგა მით, რომ სწორედ ეგ დასია იმისთანა დასი, რომელიც გერმანიასთან დაახლოვებას ამჯობინებს სხვასთან დაახლოვებასა. ესეც ხომ ვიცით, რომ მეტისმეტი წინააღმდეგი გერმანიისა გობლეს სამინისტროში სამხედრო მინისტრი ბულანჟე იყო. მაშასადამე, ამისი გამოსვლა სამინისტროდამ აუცილებელს საჭიროებას წარმოადგენდა, რაკი ახალი მიმართულება პოლიტიკისა ფეხს მოიმაგრებდა საფრანგეთში. დღეს რაკი ბულანჟეს მაგიერ სამხედრო მინისტრად დანიშნულია ფერრონი, — აქედამა სჩანს, რომ ახალ სამინისტროს საფრანგეთისას მოუწადინებია გერმანიასთან დაახლოვება და ერთი უდიდესი მიზეზი, ამ დაახლოვების დამაბრკოლებელი, თავიდამ მოუშორებია.

თუმცა ამ ახალის სამინისტროს სიიდამ სჩანს, რომ ოპორტუნისტებს მთლად არ ჩავარდნიათ ხელში საფრანგეთის პოლიტიკის სვე-ბედი; თუმცა სჩანს, რომ თვითონ ოპორტუნისტების მოთავე ფერრი ღობეს გარედ დარჩენილა, მაგრამ მაინც ამ ფერრის დასს საფრანგეთის პოლიტიკის წარმოებისათვის კარი ცოტად თუ ბევრად გაჰღებიათ. აშკარაა, რუვიეს სამინისტრო ამ ახალს გზას დაადგება და თუ ეს გზა საიმედოდ გამოჩნდება, მაშინ საფრანგეთი უფრო იმისთანა კაცებს მოჰნახავს სამინისტროსათვის, რომელთაც ამ საქმის შესრულება უფრო უკედ შეეძლებათ. ამიტომაც ჩვენა გვგონია, რუვიეს სამინისტრო დროებით სამინისტროა და მერე ან ფრეისინე ჩაიგდებს ხელში მთავარმინისტრობას, ან ფერრი, თუ ახალმა პოლიტიკამ თავი დაიჭირა.

ყურადღების ღირსია ერთი გარემოებაცა. ავსტრიას ძალიან სწყუროდა, რომ ბულანჟე სამხედრო მინისტრად არა ჰყოლოდა საფრანგეთსა და აი, რა მიზეზითა: ვიდრე ბულანჟეს ხელში იყო სამხედრო ძალა საფრანგეთისა, თ. ბისმარკი და მასთან გერმანია სულ საფრანგეთის მაცქერალნი უნდა ყოფილიყვნენ. ეს ამბავი ისე ჰხუთავდა გერმანიას, რომ თავისის მეგობრების შემწეობისათვის ვეღარ იცლიდა და ამის გამო ავსტრია, მარტო დარჩენილი იძულებულ უნდა გამხდარიყო როგორმე მოჰრიგებოდა რუსეთსა და მისთვის დაეთმო რამ ბალკანის ნახევარკუნძულზედა. ეხლა, რაკი ბულანჟე სამსახურიდამ გადამდგარა და ეს საფრთხე გერმანიას მოჰცილებია, ავსტრიას იმედი უნდა ჰქონდეს, რომ ბისმარკი, საფრანგეთის მხრით გულდამშვიდებული, ხელს მიაწვდის ავსტრიასა. ეს ადვილად მოსასვლელია და ამიტომაც ევროპა უნდა მოელოდდეს, რომ პოლიტიკის საქმეთა დაწყნარება დასავლეთის მხრივ ხელახლად გაამწვავებს საქმეს აღმოსავლეთ ევროპაში.

«ტოკვა ევროპის თანასწორობის სასწორისა»

ტფილისი, 21 მაისი

დღევამდელს ევროპას რომ კაცი დაუკვირდეს, ეგონება, რომ იგი საომარის გუდა-ნაბადით აკიდებულია და მარტო ბრძანებასღა ელის, რომ ბუკი და ნაღარა დაჰკრას და ბანაკიდამ საომარს მოედანზედ გავიდეს. ყველანი მზად არიან და თუ არიან ვინმე მოუმზადებელნი, ისინიც ჰჩქარობენ მალე მომზადდნენ და ამ მზადებისათვის არაფერს არა ჰზოგამენ. რა არის ამისთანა აუტანელის ამბავის მიზეზი? დიდი და პატარა რად იდგამს წელებზედ ფეხსა და თავის მონაგარს, თავის ნაწვავ-ნადაგს რაზედ აფუჭებს ჯარების გაძლიერებისათვის? რა ისეთი შიშია მოსალოდნელი?

ამაების საპასუხოდ დიდი გამოძიება არ დასჭირდება ადამიანსა. საქმე ის არის, რომ სასწორი ევროპის თანასწორობისა შეტოკებულია და ეს ტოკვაა იგი ლანდი ძლიერის განსაცდელისა, რომლის შიშითაც მთელი ევროპა დღეს ალურსულია. რომ ეს სასწორი დიდი ხანია დაიძრა, ამას ყველანი ჰგრძნობდნენ წინადაც. 1870 წელს აქედ ეს სასწორი გადიხარა გერმანიისაკენ და ამ სახელმწიფოს ძლიერების შიში და ზარი იმოდენა იყო ამ უკანასკნელ წლებამდე, რომ ხმა ვერავის ამოეღო, თუმცა თვითვეული ცალკე ჰგრძნობდა სიმძიმეს ახალის გარემოებისას, რომელმანც

გერმანია გააბატონა. მარტო ამ უკანასკნელ წლებში ამ სასწორმა ხელახლად ტოკვა დაიწყო და დაიწყო მას შემდეგ, როცა გერმანიისაგან დამარცხებულმა საფრანგეთმა ღონე ხელახლად მოიცა, გაძლიერდა და გათამამებულს გერმანიას თვალი გაუსწორა. რაკი სხვა სახელმწიფოებმა შეჰნიშნეს ესა, მათაც გული მოეცათ და იფიქრეს, — იქნება ისე არა ჰწვიმდეს გერმანია, როგორც ჰქუხსო და ამათაც ცოტად თუ ბევრად ხმა აიმაღლეს და აქამდე გაუბედავი შეჰბედეს გერმანიასა. მართალია, ამათი ამაღლებული ხმა ერთიანი მწყობრი ხმა არ იყო და არც არის დღეს და თუ ისმოდა სადმე, ცალ-ცალკედ ისმოდა, მაგრამ მაინც იმოდენად შესანიშნავი შეიქმნა, რომ გერმანიის დიპლომატები ჩააფიქრა.

შორსმხედველს ბისმარკს ვერაფრად ეჭაშნიკა ესეთი გათამამება მათი, რადგანაც ჩვეული იყო, რომ თვითვეული მათგანი მე უნდა მიყურებდეს წარბებშიო და ჩემი უნებური ვერაფერი ვერ უნდა გაბედოს რაო. თ. ბისმარკმა კარგად იცოდა, რომ პატარა თესლი დიდ უშველებელ ხედ გადიქცევა-ხოლმე და ეს ჯერ თითქო გაუბედავი სითამამე თვითვეულის სახელმწიფოსი შესაძლოა ერთ შეერთებულ ძალად გარდიქმნეს და გერმანიას ცოტად თუ ბევრად სადავე მაგრად აუკრიბოს. რომ ეს ასე არ მომხდარიყო, თ. ბისმარკმა ჯერ ეგრედწოდებული "სამთა იმპერიათა კავშირი" მოახერხა და ამ შეერთებულის ძალით მთელი ევროპა კიდევ ხელთ იგდო. შეუტყეს მანქანება. აშკარად დაინახეს მოზავეთა, რომ გერმანია ამ სამთა კავშირში მოკავშირეთა კარგა მყოფობას კი არ დაეძებს, არამედ თავის საკუთარს ინტერესსა, სახელდობრ, იმას, რომ თავის პირველობას და ბატონობას ევროპაში მაგარი ბურჯი შეუყენოს ქვეშ და თვით ამ სიმაგრით იხეიროს. შეირყა ამის გამო ეს სამთა ძლიერი კავშირი. ერთი მოკავშირეთაგანი ავსტრიაა. ამან პირველ ხანებში ჯერ ტოკვა ვერ გაჰბედა და მაინც ამ ბოლოს ხანებამდე ყურმოჭრილ მონასავით თანასდევდა გერმანიასა.

თ. ბისმარკმა ყურები აცქვიტა. დასავლეთით დაუძინებელი მტერი მყავსო და თუ აღმოსავლეთითაც რუსეთი ჩემზედ გულს აიყრისო, ადვილად მოსალოდნელია, დასავლეთიდამ საფრანგეთმა და აღმოსავლეთიდამ რუსეთმა ერთმანეთს ხელი მიაწვდინოს და მე შუაში მომამწყვდიოსო. ამისათვის თ. ბისმარკმა ყველაზედ უწინარესს ინგლისს გადახედა და მოიწვია, გერმანიამ, ავსტრიამ და ინგლისმა ერთმანეთს მხარი გადავაბათო. ინგლისმა შორს დაიჭირა, მეო ვერაფერს პირობას ვერ დაგიდებთო და მსურსო ყოველ შემთხვევისათვის თავისუფალი ვიყოვო, რადგანაც ეს თავისუფლება ნებას მომცემს, როცა დროა, ისე მოვიქცე, როგორც ჩემი საკუთარი სარგებლობა ჩამაგონებსო.

სხვა გზა არ იყო, თ. ბისმარკს სხვა მომხრე უნდა ეძებნა. ამისთანა მომხრე მარტო იტალია თუ შეიქნებოდა. იტალია დაჰყვა ბისმარკსა. მაგრამ იტალიის მინისტრმა რობილანმა სწორედ ამაზედ წამოჰკრა ფეხი და იძულებულ შეიქმნა სამსახურიდამ გადამდგარიყო. რაკი დღეს იტალიის სამინისტროში კრისპი არის და ეს კრისპი ცნობილია საფრანგეთის მომხრედ, ამიტომაც აქაც ამ ბოლოს ხანებში გერმანიას იმედები გაუცუდდა. რაღა დარჩა საცდელად გერმანიას? რაკი გერმანიამ მომხრე ველარ იშოვა, განიზრახა, თუ მოკეთე მე ჩემთვის ვერ ვიშოვე, ჩემს მტრებს მაინც მტრებს ავუჩენო და დაუწყო საფრანგეთს შარების მოდება, ათასნაირი აურზაური და ცილისწამება. დღეს რომ ევროპა ასე შეწუხებულია დიდის ომის მოლოდინითა, ამისი ბრალი საფრანგეთიაო, იძახოდნენ გერმანიის გაზეთები, თ. ბისმარკის მიერ რიგიანად შთაგონებულნი. ხომ ვერც ამან გასჭრა. მერე თ. ბისმარკმა ეს რაღაც შნებელეს ამბავი გამოატყვრინა, იქნება ამ ამბავმა თავმომწონე საფრანგეთი წააცდინოს და ომის მიზეზი შეიქმნეს და მაშინ ხომ მთელი ევროპა გულს აიმღვრევს საფრანგეთზედ და ამით გერმანია თავის საქმეს წინ წააყენებსო. მთელმა

ევროპამ საერთოდ და საფრანგეთმაც ცალკედ შეუტყო რა ხაფანგს უგებდა თ. ბისმარკი საფრანგეთსა, რომელმაც თავი დაიჭირა და ბისმარკი იძულებულ შეიქმნა შნებელეს საქმე ისე გაეთავებინა, რომ არ შეებღალა სამართლიანი თავმოწონება საფრანგეთის ერისა.

რაკი აქედ-იქით თ. ბისმარკი ვერას გახდა, ისევ ძველს ხერხს მოჰკიდა ხელი: მოუბრუნდა რუსეთს. რუსეთი, როგორც მოგეხსენებათ, გულნაკლული იყო თ. ბისმარკისა, რადგანაც ბერლინის კონგრესზედ მხარი არ მისცა რუსეთსა და მადლი ამ სახით გადაუხადა რუსეთს იმ შემწეობისათვის, რაც რუსეთმა შესძინა გერმანიას საფრანგეთთან ომის დროს. რამოდენადაც ხანი გადიოდა, ეს გულნაკლულობა რუსეთისა ჰმატულობდა და ბოლოს ბოლგარიის საქმეთა გამო იქამდე გაძლიერდა, რომ მთელი რუსეთი გამწვავებულად ამაზედ ჰლაპარაკობდა. თ. ბისმარკმა სცნა, რომ რუსეთის გულის მოგება საჭიროა, რაკი ვერსად ვერას გახდა-რა და ამიტომაც დაიწყო რუსეთის წინაშე თავის გამართლება. სამდურავი რუსეთისა იმისაგან უფრო იყო გამოწვეული, რომ ბერლინის კონგრესმა რუსეთის წინააღმდეგ ავსტრიას დააჭერინა ბოსნია და ჰერცოგოვინა. თ. ბისმარკმა, თავისის გაზეთების სიტყვით, გამოაცხადა, რომ მე ამაში არავითარი ბრალი არ მაქვსო, თვითონ რუსეთმა ინება ესა და მისმა დიპლომატიამ დაუთმო ეს ქვეყნები ავსტრიასაო.

ამ ამბავმა არამცთუ რუსეთის გული მოაგებინა ბისმარკსა, არამედ მის ერთგულს ავსტრიასაც გული ააყრევინა გერმანიაზედ. როგორ? მაშ, გერმანიას ჩემი სიკეთე, როგორც ერთგულის მეგობრისა, ყინულზედ დაუწერია და რაც მე შევიძინე ბერლინის კონგრესით, იმას გერმანია ჰთაკილობს და ხელს იბანსო, იძახდა ავსტრია თავის ჟურნალ-გაზეთების პირითა. თუ ეგრეა, მაშ ეხლა ჩვენ ვიცითო. განა ჩვენ კი ხელს არ დავიბანთ, თუ საფრანგეთმა ხელი წაატანა ელზას-ლოტარენსაო!

აი, რა ყოფაშია დღეს გერმანია: ვერსად მისმა ხერხმა ვერ იმუშავა. რაკი ეგრეაო, სთქვა ბისმარკმა: მაშ ისევ ჩემს მტერს საფრანგეთს დავუწყებ ლაპარაკსა და იქნება აქ გავხდე რასმეო. იქნება როგორმე მოვშველდეთ ერთმანეთსაო. დღეს გერმანიის პოლიტიკა ამაზეა მიმართული, როგორც სჩანს, არც საფრანგეთი უდგება განზედ გერმანიას. გობლეს და ბულანჟეს გადადგომა სამსახურიდამ იმისთანა ნიშნებია, რომელზედაც თ. ბისმარკს ცოტად თუ ბევრად საბუთი ეძლევა თვისი იმედები დაამყაროს. თქმა არ უნდა — მომხრეობას საფრანგეთისას ძნელად თუ შეიძენს გერმანია, ხოლო ადვილად დასაჯერებელია, რომ დროებით ნეიტრალობა საფრანგეთისა მოიპოვოს ასე თუ ისე და მით გერმანიამ ზურგი უშიშრად იქონიოს, თუ პირს აღმოსავლეთისაკენ აქმნევინებს გარემოება.

«ინგლისი ინდოეთის შენარჩუნების გზების ძიებაშია»

ტფილისი, 22 მაისი

ერთი უკეთესი და უმდიდრესი სამფლობელო ინგლისისა ინდოეთია. ინგლისმა ეს უშველებელი სივრცით და მკვიდრთა რიცხვით ქვეყანა ისე წამოაყენა ფეხზედ, რომ ყოველივე საჭიროება ინგლისისა, რასაც კი მარტო მიწათმოქმედება აკმაყოფილებს, თითქმის ამ ინდოეთიდამ ხელს იმართავს და ამას გარდა თვითონ ინდოეთი კარგს და დიდის ბაზარს წარმოადგენს ინგლისის საფაბრიკო და საქარხანო მრეწველობის საქონლის გასასაღებლად. ამიტომაც ინდოეთი მეტად ძვირფას სამფლობელოდ მიაჩნიათ ინგლისის სახელმწიფო კაცებს და არა ღონეს ჰზოგვენ ეს ქვეყანა შეირჩინონ.

ინგლისის მტრებმაც ძალიან კარგად იციან, რომ თუ ინგლისს ევნება რამე, ინდოეთიდამ ევნება. ამიტომაც როგორც მტრები და მეტოქენი ინგლისისა აგრეთვე თვითონ ინგლისიც ინდოეთს თვალს არ აშორებენ: პირველნი იმას ჰცდილობენ, რომ გზა გაიხსნან ინდოეთისაკენ და მეორენი იმას, რომ გზა არავის დაანებონ. ევროპის სახელმწიფოდ ორის გზით შეუძლიანთ კარი გაიღონ ინდოეთისაკენ: ერთი გზა ხმელთაშუა ზღვიდამ სუეზის არხით გზა მიდის ინდოეთისაკენ, მეორე შუაგულ აზიის მხრით. სუეზის

არხით გზა ეგვიპტეზედ მიდის და შუაგულ აზიითა ავღანისტანზედ. ამიტომაც ინგლისი ეგრე მაგრად ეკიდება ეგვიპტის საქმეს წინააღმდეგ რუსეთისა, რომელმაც შუაგულ აზიაში მკვიდრად მოიკიდა ფეხი. ასე, რომ რუსეთსა და ინდოეთ შუა მარტო ავღანისტანიღაა.

დღეს აქამომდე ინგლისის სახელმწიფო კაცნი იმის მეცადინეობაში არიან, რომ ავღანისტანი თავისუფალ ქვეყნად დარჩეს რუსეთსა და ინდოეთს შუა, რადგანაც ამ შემთხვევაში ავღანისტანის გადაულახავად ინდოეთს ვერ მისწვდებიან მსურველნი. დღეს აქამომდე მთელი პოლიტიკა ინგლისისა მარტო ამისათვის ირჯებოდა შუა აზიაში და არმცთუ ფულით, კაცითაც კი არავითარს მსხვერპლს არ ერიდებოდა. თუმცა ასეთი იყო პოლიტიკა ინგლისის სამინისტროებისა მას შემდეგ, რაკი რუსეთი შუა აზიაში გაძლიერდა, მაგრამ თვითონ ინგლისის საზოგადოებაში კი კანტიკუნტად ხმა ისმოდა, რომ ინგლისი ტყუილუბრალოდ იხარჯება ავღანისტანზე. თავისუფალი ავღანისტანი ვერაფერი ზღუდეა ინდოეთისათვისაო; ქვეყანას, ინდოეთისავით დაპყრობილს, საცა ინგლისელები უცხო თესლს წარმოადგენენ, შიგნიდამ უნდა გამაგრება და ამ შიგნითის ბურჯის და ციხე-სიმაგრის აგებისათვის მარტო ერთი სახსარია; ეგ სახსარი სიყვარულის მოპოვებაა ინდოელთ შორისაო. ამისათვის საჭიროა, იქაურს ერს ვაგრძნობინოთო, რომ ჩვენ მზადა ვართ ყოველს მის სულიერს და ხორციელს ძალ-ღონეს ხელი მივაშველოთ და იქამდე წინ წავწიოთ იგი ქვეყანა ყოველისფერით, რომ უჩვენობა უბედურებად ჩასთვალონ, ხოლო თუ ჩვენ თვითონ მტრებად ვუჩნდით ყოველს იმას, რასაც იქაურნი მკვიდრნი თავის უძვირფასეს საგნად ჰხდიან, მაშინ არც ავღანისტანი გვიშველის და არც სხვა რაიმე სიმაგრეო.

ამ სამართლიანს აზრს ჯერ ფართო გზა არ გაუკაფავს ინლისში, თუმცა მისი მქადაგებელნი კაცნი დიდ-სახელოვანი იყვნენ ცოდნითა და შორსმჭვრე-

ტელობითა. ეს კი შესანიშნავია, რომ ამ ბოლოს ხანებში თითქო ცოტა შეტოკდა პოლიტიკა ინგლისისა შუა აზიაში. თითო-ოროლა ხმა დღესაც მოისმა ინგლისში წარჩინებულთა მოხელეთა შორის და ამბობენ, რომ დიდი ხნის გამოცდილება თვალწინა გვაქვსო და იგი გამოცდილება ცხადად გვესაბუთება, რომ ავღანისტანზედ ტყუილუბრალოდ გვეხარჯება აუარებელი ფული, ტყუილუბრალოდ ყელზედ თოკს განგებ ვიჭერთ, ისა სჯობია, ავღანისტანი თავის სვე-ბედს მივანებოთ და ჩვენ თვითონ ინდოეთი გარედამ და შიგნიდამ გავიმაგროთო.

ლიბერალთა დასის გაზეთი "Daily News"-ი ამბობს, რომ ინგლის-რუსეთის კამისია, რომელიც შედგენილი იყო ავღანისტანსა და რუსეთს შუა სამზღვრების დასადებად, ვერაფერს გახდა და თითქმის და ლაპარაკი შესწვიტესო; გარდა ამისა, შინაგანი არეულობა ავღანისტანში მიმართული ეხლანდელ ემირის წინააღმდეგ, ბევრს განსაცდელს მოასწავებს და ეს ორი გარემოება უეჭველია მიზეზს მისცემს ინგლისსა ხელახლად დაიჭიროს ყანდაარიო. ყველამ კარგად იცის, განაგრძობს იგი გაზეთი, რომ კონსერვატორები, რომელიც ეხლა ინგლისის სამინისტროს განაგებენ, ყანდაარს ჰხადიან ინდოეთის კარად და ამიტომაც უეჭველია, ამ საგანზედ სიტყვა ჩამოვარდება პარლა-მენტში და ეს სიტყვა გავა თუ არა, იმაზე იქნება დამოკიდებული, რას იტყვის წინანდელი ლიბერალი გარტინგტონი თავისის დასით, ურომლისოდაც სა-ლუსბერის სამინისტროს ერთი დღის სიცოცხლეც არა აქვსო.

თვითონ ხსენებული გაზეთი კი, როგორც ლიბერალთა დასის მოძღვრების გამომთქმელი, დიდს უარზეა ყანდაარის დაპყრობის გამო. 1880 წელსაც ეჭირათ ეს მეორე, ქაბულის შემდეგ, დიდ-მნიშვნელოვანი ქალაქი ავღანისტანისა. გაზეთი ამბობს, რომ ინგლისის პოლიტიკას ხელი არა აქვს ინდოეთის გარედ რაიმე ქსელი გააბას და შიგ მოიმწყვდიოსო.

ინგლისი მარტო იმას უნდა ჰცდილობდეს, რომ ინდოეთის მკვიდრთა გული მოიგოს, ამისათვის უნდა განაკარგოს იქაური მმართველობა, სამართლიანს მოთხოვნილებას იქაურის ერისას ხელი მოუმართოს, კმაყოფილება მიანიჭოს ინდოეთის, გარედ კი უნდა ერიდოს საქმეების აწეწვას და რაღაც პირობების დადებით თავის ხელ-ფეხის შეკვრასა; კარგად ვამყოფოთ იქაურნი ერნი და ჩვენი სიმაგრე ეს იქნებაო. ორს უკეთესს გენერალს ინგლისისას ლორდს უელსლეის და დონალდ სტუარტს ყანდაარის გამო ეს აზრი გამოუთქვამთ: ყანდაარის დაჭერა უფრო მიზეზი იქნება ინგლისის უძლურებისა, ვიდრე გაძლიერებისაო და მაინცდამაინც ხარჯი იმოდენა იქნება, რომ მის მიერ შეძენილი სიკეთე და გამორჩომა მასთან ჩალადაც არ ეღირებაო; ეგ ხარჯი ტყუილუბრალოდ დააწვება ინდოეთსა და შეიქმნება მიზეზად იქაურთა მკვიდრთა უკმაყოფილებისა და სამდურავისაო. მესამე გენერალს რობერტს გამოუგზავნია ინგლისის სამინისტროსათვის მოხსენება და სხვათა შორის აუწყებს, რომ უკეთესი ღონე ავღანელების გულის მოსაგებად ის არის, რომ ჩვენ იმათ საქმეში არ გავერიოთო.

ჩვენ ყოველივე ეს იმიტომ მოვიყვანეთ, რომ აგვენიშნა ერთი პატარა მდინარეობა საპოლიტიკო აზრისა ინგლისში. მართალია, დღეს ამ ახალს აზრს ძლიერი მოპირდაპირენი ჰყვანან ინგლისის მთავრობის წევრთა შორის, მაგრამ მაინც არ შეიძლება არ ითქვას, რომ ესეთი მდინარეობა ახალის აზრისა ცოტად თუ ბევრად გაანელებს იმ მხურვალებას, რომლითაც დღეს აქამომდე ინგლისელნი ეკიდებოდნენ შუაგულ აზიის პოლიტიკასა და მაშასადამე, სიმწვავე ავღანისტანის საქმისა, რომელმაც შარშან და შარშანწინ კინაღამ ომი არ გამოიწვია, ცოტად თუ ბევრად დასცხრება და შიშის მომასწავებელი იმოდენად აღარ იქნება, როგორც აქამდე იყო.

«კალიების შემოსევა სიღნაღის მაზრაში»

ტფილისი, 23 მაისი

დღეს კიდევ მოგვივიდა ამბავი სიღნაღის მაზრიდამ, რომ დედოფლის წყაროს ახლომახლო სოფლებსა და შირაქის მინდვრებში დიდძალი მკალია გამოჩენილა. ჯერ მკალია, ვითარცა ახლახან გამოჩეკილი, კუტია და ფრთები არ შეუსხამს თურმე, მაშასადამე, ამ საშინელს მტერს ქვეყნის კეთილდღეობისას ეხლავე უნდა გაემკლავოს კაცი, თორემ პატარა ხანს შემდეგ, როცა ფრენას დაიწყებს, მისი გაწყვეტა შეუძლებელიღა გახდება და მოსჭამს თუ არა იქაურობას, სხვა მხარეებსაც ეწვევა და ერის ნაწვავ-ნადაგს მოსავალს გაანადგურებს.

როცა გუბერნატორად თ. გაგარინი ბრძანდებოდა ტფილისის გუბერნიაში, მაშინაც ეს საშინელი მტერი გაჩნდა ჩვენს ქვეყანაში. ჩვენებური ერი მანამდე დარწმუნებული იყო, რომ ეს ამისთანა უბედურება მოევლინება ხოლმე ქვეყანას ღვთის ნებითა და ამიტომაც ჭიდილი ამ უბედურებასთან თითქმის ღვთის გმობად და განგების წინააღმდეგობად მიაჩნდათ. ეს ამისთანა რწმენა იყო მიზეზი, რომ ჩვენი ერი გულხელდაკრეფილი შეჰყურებდა ამ საშინელს მტერს და მოელოდა რასმე თვისდა სანუგეშოდ, ისევ ღვთისაგან მოელოდა. ამასობაში მკალია თავისას არ იშლიდა და მინამ დრო ჰქონდა და ყანები საზრდოს

იძლეოდა, აოხრებდა მთელის ქვეყნის ჭირ-ვარამსა; ფრთების შესხმის შემდეგ ერთ მოძოვილ და მოოხრებულ ადგილიდამ მეორეზედ გადადიოდა და კვერცხის დადებამდე რასაც მოასწრებდა, პირქვე ამხობდა. ამ სახით, არამცთუ მარტო ერთის წლის მოსავალს შეიწირავდა ხოლმე ეს გაუმაძღარი და ხარბი მტერი, არამედ მეორე წლისათვისაც ბინას იკეთებდა, რადგანაც აუარებელს კვერცხს სამერმისოდ იმავ ადგილებში ჰყრიდა, საცა დრო და ჟამი ამისათვის მოესწრობოდა.

თ. გაგარინის სამაგალითო თავგამოდებამ და მხნეობამ ეს ასეთი მავნებელი რწმენა ერისა მკალიის შესახებ მთლად შეჰმუსრა და ცხადის მაგალითით დაუმტკიცა ერს, რომ მკალიასთან ბრძოლაც კი შესაძლებელია ადამიანისათვის და არც ღვთისათვის არის საწყენი. ჩვენ გვახსოვს, რომ თითქმის მთელი ქართლ-კახეთი თ. გაგარინმა ფეხზედ დააყენა, დიდძალი ხალხი გამოიყვანა მინდვრად და მინამ მკალია ფრთას აისხავდა მთლად გაანადგურა და იმ წლის მოსავალი შეუნარჩუნა ქვეყანასა, ჩვენ თვითონ ჩვენის თვალით გვინახავს, რომ თ. გაგარინი სიცხე-პაპანაქებაში მინდვრად მუშებს შორის მდგარა დილიდამ საღამომდე და ისე უმუშავებია ხალხი და გაუმხნევებია თავის სიტყვითა და თავზედ დგომითა.

ამისთანა სიყვარულით აღსავსე მოქმედებამ თ. გაგარინისამ იხსნა ქვეყანა შიმშილის უბედურებისაგან და ისეთის სისწრაფით გააწყვეტინა ხალხს მკალია, რომ მკალიამ სამერმისოდაც კვერცხის დაყრა ვერ მოასწრო. ეს ღირსსახსოვარი მოქმედება იმითაც არის შესანიშნავი სხვათა შორის, რომ ხალხს მისისავე საკუთარის თვალით დაანახვა, რა შეუძლიან მხნეობას, და იგი მავნებელი ამაოდ-მორწმუნეობა, რომ მკალიას, ვით ღვთის რისხვას, ხელი არ შეებრუნება, მთლად ამოჰკვეთა ხალხის გულისაგან. ხალხმა მას აქედ იმედიც მოიცა ამ მტერზედ გამარჯვებისა და ხერხიც გაჟლეტისა ისწავლა.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს შესაძლოა მხოლოდ მაშინ, ვიდრე მკალია კუტია და მაშასადამე, მდევარს ვერსად წაუვა და ადვილი სახოცია. ეხლა გამოჩეკილი მკალია თიბათთვეში ფრთებს შეისხამს და მაშინ შეუძლებელიღაა გაფრენილს მკალიას ძლიერ ევნოს რამე. მართალია, საცა მკალია გაჩნდება ხოლმე, იქ ტარბი უსათუოდ მოვა და ეს დაუძინებელი მტერი მკალიისა მუსრს აადენს ხოლმე, მაგრამ ჯერ არსად მომხდარა ტარბს იმოდენა შესძლებოდეს, რომ მკალია სრულად გაეჟლიტოს და მოსავალი გადაერჩინოს. ამიტომაც საჭიროა ეხლაც შეეჭიდოს კაცი მკალიას, მინამ კუტია. ეს შეჭიდება ორნაირად სანატრელია: ერთი რომ წლევანდელს მოსავალს გადაარჩენს და მეორე — სამერმისოდაც ბინას არ მოაკიდებინებს მკალიასა. მკალიამ კვერცხის დაყრა იცის აგვისტოს თთვეში. თუმცა კვერცხის დაყრის დროს თვითონა კვდება, მაგრამ თვითო მკალია იმოდენა კვერცხსა ჰყრის, თუ სუყველა მკალიის კვერცხი გამოიჩეკა, ამ ჩვენს ქვეყანას სულ მთლად მოჰფენს.

ღონისძიება მკალიის სახოცად ისეთის სისწრაფით უნდა იქმნას ხმარებული, რომ მკალიამ ფრთები არ აისხას და კვერცხის დების დღემდე სრულიად შემუსვრილ იქმნას. როგორც იწერებიან სიღნაღის მაზრიდამ, მკალია თურმე სწორედ ამ ხანაშია დღეს და თუ შველა სწადიან ვისმე, ეხლავ უნდა მიეშველოს, თორემ მერმე გვიანღა იქნება. ჩვენდა სასიამოვნოდ, სიღნაღის მაზრის უფროსს ბ-ნ ტიზენ-გაუზენს უკვე მიუყვია ხელი და დედოფლის წყაროსა და შირაქის არემარეში დღეს დიდძალი ხალხი თურმე გაწვეულია მკალიის სახოცად. "ხალხიო, იწერება ჩვენი კორრეს-პონდენტი, სრულიად გაკრეფილია სოფლებიდან, დიდი თუ პატარა მამაკაცი. კერ კიდევ 40 ბოჭკა ბენზინი არის წაღებული დედოფლის წყაროდან ამ საშინელის სტუმრების დასაწველად. ტარბიც მრავალი გადმოვიდაო".

ღმერთმა ჰქმნას მხნეობამ, მედგრობამ და სისწრაფემ გადაარჩინოს ჩვენი ქვეყანა იმ უბედურებას, რაც მკალიისაგან მოევლინება ხოლმე. მეტი არ იქნება, რომ ხალხის გასამხნევებლად და ხალისით საქმის მოსაკიდებლად ტფილისის უმაღლესი მთავარობისაგან გაიგზავნონ მხნე მოხელენი, რომ ვიდრე დროა და მკალიის კუტად ყოფნა ხელს უწყობს, გამოწვეულმა მკალიის სამტროდ ხალხმა მთელი თავისი ძალ-ღონე მოახმაროს ამ საქმესა. აქედამ გაგზავნილნი მოხელენი ჯერ მარტო იმით, რომ აქედამ არის გაგზავნილნი, გაუორკეცებენ ხოლმე ხალხს მხნეობას და გარჯასა და საცა მხნეობა და გარჯაა, იქ ხომ ყველა მტერი ძლეულია.



«კანონის წინაშე თანასწორობა საზოგადოების წესიერი აგებულების საფუძვლის ქვაკუთხედია»

ტფილისი, 26 მაისი

კანონის წინაშე თანასწორობა ყველასი ერთად და თვითვეულისა ცალკე ერთი უმთავრესი ქვაკუთხედია იმ საფუძვლისა, რომელზედაც დამყარებულია კაცთა საზოგადოების წესიერი აგებულება. იგი კანონი კანონი არ არის, თუ მის წინაშე დიდპატარაობას, მაღალ-მდაბლობას ადგილი და სავალი ექმნება კაცთა მოქალაქურ ცხოვრების გზაზედ. რაკი ერთისათვის ერთი კანონია და მეორესათვის მეორე, კანონი ჰკარგავს თვის უდიდეს მნიშვნელობას საყოველთაო მფარველობისას და შემწეობისას, რადგანაც თვის მადლს და თვის მსჯავრს ერთნაირად ვერ მოჰფენს ყველასა, ვინც კი მისკენ მიიმართება გაჭირების დროს. ბუნებითად კანონი ყველასათვის ერთნაირი დავალებაა, ერთნაირი უფლება და როცა იგი ერთს ერთნაირად ექცევა და მეორეს სხვანაირად, მაშინ იგი სხვა არა არის რა, თუ არ რჯულად შექმნილი უპირატესობა ერთისა მეორის წინაშე.

ვერა წესიერად მოწყობილი მოქალაქური ცხოვრება ვერ შეიფერებს ამისთანა უსწორმასწორობას უიმისოდ, რომ თვით ზედ არ გადაეგოს, პირქვე არ დაემხოს და ამიტომაც არ არის ქვეყანაზედ არც ერთი იმისთანა

განათლებული სახელმწიფო, საცა ყველას თანასწორობა კანონის წინაშე დედააზრად, სათავედ არ ედვას ყოველს კანონმდებლობას, ყოველს რჯულიერებას. რუსეთის სახელმწიფოშიაც ეს თანასწორობა ყველასი კანონის წინაშე ცხადად გამოთქმულია. განსვენებულის იმპერატორის ალექსანდრე II განსამართლების რჯულდებამ ეს თანასწორობა მტკიცე საფუძველზედ დააყენა რუსეთის იმპერიაში და აწ არსებული და მომქმედნი კანონები ყველას ერთგვარად და განურჩევლად უქადიან მფარველობას და შემწეობასა.

თუმცა რჯულიერება კანონის წინაშე ეგრე გვასწორებს ყველასა, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, თვითონ ცხოვრება, რომელსაც ჯერ ვერ აღმოუფხვრია ძირიანად ძველნი ზნენი და წადილნი, ჯერ კიდევ ეურჩება კანონს და დიდი ჰბედავს შებღალვას პატარის უფლებისას მარტო იმ აზრით, რომ მე დიდი ვარ და ის პატარაო.

ამ მავნებელის ზნის აყოლა მიეტევება გაუნათლებელს კაცსა, იმისთანა კაცსა, რომელსაც არ ესმის, რომელსაც ჯერ ვერ მიუგნია, რა დიდი მადლია ქვეყნისათვის, კაცთა საზოგადოების ბედნიერად ცხოვრებისათვის თანასწორობა კანონის წინაშე. ხოლო არ მიეტევება მას, ვინც გარეგანის ნიშნებით მაინც საგულისხმოა, რომ სწავლაში ყოფილა, განათლების შუქი ცოტად თუ ბევრად მოჰფენია და თვის საზოგადოებაშიც იმისთანას მდგომარეობა აქვს, რომ მოეთხოვება სამართლიანი მართებული ქცევა ყველგან და ყველას წინაშე, დიდი იქმნება თუ პატარა.

ყოველივე ეს გვათქმევინა ერთმა შემთხვევამ, რომელიც დღეს ახალს ამბებშია დაბეჭდილი ჩვენს გაზეთში. ერთი იმერელი მოსამსახურე გაუგზავნია თავის პატრონს ფაეტონის მოსაყვანად. დიდხანს ჰცდილა ეს მოსამსახურე, მრავალს მეფაიტონეებს შეჰხვეწნია, მაგრამ არავინ გამოჰყოლია. ბოლოს, როგორც იყო უშოვნია ფაეტონი. იქაც მახლობლად

მდგარა სამი სამხედრო წოდების კაცი, ერთს მათგანს უბრძანებია მოსამსახურის მიერ დაჭერილ მეფაიტონესათვის, მე წამიყვანეო, მოსამსახურე უარზედ დამდგარა, ძლივძლივობით ვიშოვე ფაეტონი, ჩემი დაჭერილია და ვერ დაგითმობთო. სამხედრო წოდების კაცს ბევრი აღარ ულაპარაკნია, ფაეტონი წაურთმევია, დაუძახნია პოლიციელისათვის და უბრძანებია, ურჩი მოსამსახურე სადმე გამაცალეო.

ამისთანა ძალმომრეობა ხშირია ჩვენში, მაგრამ იშვიათად გამომჟღავნდება ხოლმე. სამართლამდე რომ მიაღწიოს ამ საქმემ, რასაკვირველია, ამ ძალმომრეობას, მარტო დიდპატარაობისა და მაღალ-დაბალობაზედ დაფუძნებულს, თავისი შესაფერი მსჯავრი დაედებოდა, მაგრამ საწუხარო ეს არის, რომ დიდმა იცის, პატარა ამაებს არ გამოუდგება და დანაშაული შერჩება დამნაშავესა. უსათუოდ ამისთანა ბოლოც ექმნება ამ საქმესა: მოსამსახურე არ იჩივლებს და ეს ამბავი ჩაილულის წყალს დალევს. ჩვენ კი არ შეგვეძლო ხმა არ ამოგვეღო ამ საგანზედ.

კანონის მიერ მონიჭებული თანასწორობა საჯარო უფლებაა, ერთნაირად კუთვნილი ყველასი და მაშასადამე, ერთნაირად ძვირფასი ყველასათვის. ამიტომაც იგი თანასწორობა ერთნაირად გასაფრთხილებელია, ერთნაირად საქომაგებელი, ერთნაირად დასაცველი, თუ კაცს ცოტა რამ ამ ქვეყნიერობისა შეუგნია და სიყვარული წესიერობისა და რიგიანობისა გულს ჩასახვია. დარღვევა ამნაირის თანასწორობისა თვითვეულის ჩვენგანის უფლების დარღვევაა და ამიტომაც საქებურია გულწყრომა იმისი, რომელმაც ეს ამბავი გვაუწყა ჩვენ გაზეთში დასაბეჭდად და სამართლიანია იგი გულამღვრევაც, რომელიც ამის მოამბეს უგრძვნია ამ ამბავის მოხდენის დროს.

ეგ თანასწორობა, ეგ საჯარო უფლება რომ დაუსჯელად ილახებოდეს, მაშინ ვერავინ კარშიაც ფეხს ვერ გამოჰყოფდა, რადგანაც პატარას დიდი არ დაელევა და დიდს კიდევ უფრო დიდი. ეს რომ ასე

იყოს, მაშინ კაცთა საზოგადოება ცნობიერთა არსებათა კრებას კი არ წარმოადგენდა, არამედ შავის ტყის ნადირთა გროვას, საცა ვინც ძლიერია, მართალიც ის არის. ჩვენდა სასიამოვნოდ, ამისთანა ამბებს აწ არსებულნი კანონები არ იწყნარებენ და სანატრელია, რომ არც ამ ზემოხსენებულს შემთხვევაში შეიწყნაროს.

«ჩვენი მესაქონლეობის საჭიროებანი»

I

ტფილისი, 27 მაისი

საძოვრების საქმის დაულაგებლობა, მოუწყობლობა, ერთი უდიდესი ნაკლია ჩვენის საეკონომიო ყოფა-ცხოვრებისა. ამისთანა ადგილას, როგორც ჩვენი ქვეყანაა, საცა ჰავა, ამინდი, ნებას არ აძლევს კაცს საქონელი გამოჰკვებოს თითქმის მთელს ზამთარს-ზაფხულს გარედ მინდორში, ეს ნაკლი ძლიერ უნდა ხელს უშლიდეს მიწადმომქმედსა და დიდს ზიანს აძლევდეს. ეს ნაკლი ისე საგრძნობელი არ არის მუშა საქონელის გამოკვებისათვის, თუმცა აქაც კი მიზეზად ედება მრავალს დავიდარაბას, ჩხუბსა და ვაი-ვაგლახსა. მუშა საქონელი, რომელიც ყოველდღე ხელში უჭირს მიწადმომქმედსა, შინვე სოფელში ისე თუ ასე იკვებება. ამისათვის ზამთარს-ზაფხულს სოფლის თავისუფალი მიწებია და ამ მიწებზედ საქონელი იოლად მიდის. გაჭირვების დროს საქონლის პატრონები ტყესაც არა ჰზოგვენ ხოლმე და თუ ზამთარი მეტად გაუძნელდება და საჭმელზედაც ნაკლებ არიან, ნეკერს უკაფვენ და ისე გამოჰყავთ პირუტყვი. ეს მეტისმეტად მავნებელი ჩვეულება ტყეს ძალიან აზარალებს და ამიტომაც ამ ბოლოს ხანებში ნეკერს აღარავინ აჭრევინებს ტყეში. ამ მხრით, როგორც სახელმწიფო ტყეები, ისეც საბატონონი, შეკრულია, ნამეტნავად იმ ადგილებში,

საცა მებატონე დღევანდელს კვერცხს ხვალინდელ ქათამს არ ამჯობინებს და იმ განძს, რომელსაც ტყე წარმოადგენს, ხვალინდელ დღისათვის ინახავს და უფრთხილდება. ასეა თუ ისე, მუშა საქონელი და ორიოდე მოცადი ზამთარ-ზაფხულს შინვე გამოდის მით უფრო, რომ საზამთროდ პატრონი, ცოტაა თუ ბევრი, საჭმელს ზაფხულშივე უგროვებს და საზამთროდ უნახავს.

საძოვრების მოუწყობლობა სრულად ხელს უშლის დიდის საქონელის პატრონებს, ვისაც ცხვარი, ძროხა, ცხენის ჯოგი ჰყავს და ვინც, ერთის სიტყვით, საქონელის მოშენებას და გამრავლებას მისდევს. ამის-თანანი ჩვენში ბევრნი არიან და ზოგიერთგან იმისთანა გლეხობაა, რომ მარტო საქონლის მოშენებაღა აქვთ ცხოვრების წყაროდ. ამ დიდძალ საქონლის მოსა-ტრიალებლად ჩვენებურს სოფელს საკმაო ადგილი არა აქვს არც შინ, არც გარედ, არც ზამთრობით, არც ზაფხულობით. რადგანაც ამისთანა საქონელს დიდძალი საჭმელი უნდა გამოსაკვებად და სათიბის უქონლობის გამო ამ საჭმლის წინასწარ მოგროვება შეუძლებელია და რადგანაც ჩვენის ქვეყნის სხვადასხვა ადგილების ჰავა და ამინდი ნებას აძლევს კაცს მთელი ზამთარ-ზაფხული გარედ ჰკვებოს საქონელი, — ამიტომაც ჩვენებური მოსაშენ საქონლის პატრონები ზამთრობით ყიზლარებზედ გარეკენ ხოლმე საქონელსა საძოვრად და ზაფხულობით იალაღებზედ. ამ იძულებულ წასვლა-მოსვლაში დიდძალი ხარჯი უნდებათ. ხარჯს კიდევ როგორმე გაუძლებდნენ, რომ ამ ხარჯის გაღებაში რაიმე წესი და რიგი იყოს. ჭირი ის არის, რომ საქონლის პატრონმა არ იცის, სად და რა ხარჯი მოელის, ვის როგორ უნდა გაუძღვეს.

დაიძვრის თუ არა, მაგალითად, ქიზიყიდამ საქონელი და წამოვა თრიალეთისაკენ, ჯერ რამდენი ცალკე მეპატრონეთა მამულები უნდა გადმოლახონ. ყველა თავისას ითხოვს და ყველას თვითვეულად გაძღოლა უნდა გზადაგზა სხვადასხვა ზომით და

სხვადასხვანაირად. ვინც იცის, რამდენ ნაჭრად დაყოფილია ხოლმე ერთ პატარა მანძილზედ მამულები მონაწილეთა შორის, ის ადვილად მიხვდება, რა წეწაგლეჯაში უნდა იყვნენ საქონლის პატრონები, როცა ან გაზაფხულზე იალაღზედ მიდიან, ან შემოდგომაზედ — ზამთრის საძოვრებზედ. ახლა ამას ზედ დაართეთ ხიდებზედ გასატარებელი ბაჟი, გზატკეცილისათვის დაწესებული გადასახადი, საძოვრის სახდელი ფული, რომელიც ყოველს წელს ჰმატულობს, და მაშინ წარმოიდგენთ, რომ ჩვენში მოსაშენ საქონლის ყოლა და შენახვა უფრო სახელისათვის არის, ვიდრე სახრავისათვის. აი ეხლა, დადგა თუ არა გაზაფხული და საქონელიც დაიძრა ბარიდამ მთაში წასასვლელად იალარებზედ, აუარებელი ჩივილი და დრტვინვა მოისმის მწყემსთაგან: არ იციან საწყლებმა როგორ გაუძღვნენ ცალკე გზატკეცილის, ცალკე ხიდეების ბაჟსა და ცალკე კერძო მემამულეების ყარაულებსა, რომელნიც გზაში წინ გადაუდგებიან ხოლმე და რაც გუნებაში მოსდით იმას ართმევენ. წართმევა ხომ წართმევაა და ზედ ერთვის ჩხუბი, ცემა-ტყეპა და ზოგჯერ იარაღის ხმარებამდინაც მიაღწევს ხოლმე საქმე. ამისთანა ყოფა შეუწყნარებელია და ბოლო უნდა მოეღოს.

დიდად საჭიროა, რომ კანონმდებლობამ ამ უნუგეშო ყოფას საქონლის პატრონებისას ყურადღება მიაქციოს, წესი და რიგი რამ ჩამოაგდოს, თორემ ეს კარგა მოზდილი წყარო ჩვენის ერის ცხოვრებისა თანდათან უკან დაიწევს და გაშრობამდე მივა. თქმა არ უნდა, რომ დიდად ძნელი რამ არის, ერთს განსაზღვრულს წესს დაუქვემდებაროს აქ კაცმა საქმე, მაგრამ რაც შესაძლოა, ის კი უსათუოდ უნდა მოხდეს და დადგინებულ იქმნას. ჩვენის ფიქრით, დიდი შეღავათი იქნება საქონლის პატრონებისათვის, რომ საქონლის სასიარულო გზები აიხსნას ყოველის გადასახადისა და ბაჟისაგან, და თუ აქ შეუძლებელია რაიმე წესი და რიგი დაიდვას კერძოდ სამფლობელო მამულების

შესახებ, ხაზინამ მაინც დაუთმოს რამ იმოდენად მაინცა, რომ შესაძლოდ იქმნას საქონლის ყოლა და შენახვა. მაინცდამაინც ამ საქმეს ყურადღებით დაკვირვება უნდა, და საიდამაც მოევლება, უნდა მოევლოს. უამისოდ გაჭირდა საქონლის ყოფნა და ეს საკმაოდ დიდი სახსარი ცხოვრებისა ლამის გაქარწყლდეს.

II

ტფილისი, 15 ივნისი

აღმოსავლეთ საქართველოში ბევრია იმისთანა ადგილები, სადაც სახნავ-სათესი მიწები ისე ნაკლებად არის, რომ კაცი მიწის მუშაობით საცხოვრებელს ვერ იშოვის. ამისთანა ადგილებია, მაგალითად, ჩვენს მთებში, თუშეთ-ფშავ-ხევსურეთში, სადაც უშველებელ კლდე-ღრეებში აქა-იქ თუ შეხვდებით თითო ბოხჩა ადგილებს, სახნავ-სათესად გამოსადეგს და გამოსარჩომსა. ბ-ნი მ. მაჩაბელი თავის გამოკვლევაში — Материали для изучения экон. быта государственых крестъян, т. V стр. 256 — ამბობს, რომ თიანეთის მაზრაში ისეთი ადგილებია, სადაც ოთხმოციოდე დესეტინა სახნავი მიწა გაფანტულია რამდენისამე ათის ვერსტის მანძილზე, მთებსა და კლდე-ღრეებს შორისაო. ასე გაფანტული სახნავ-სათესი მიწა, რასაკვირველია, არაფერი განძია, პურს ვერ აჭმევს, ვერ გამოჭკვებს მთელს მაზრას. ხვნა-თესვით აქ კაცი ვერას გახდება, მიწის ნაწარმოები ცხოვრების საზდოს ვერ მისცემს, მაშასადამე, აქ კაცმა სხვა წყაროს უნდა მიჰმართოს ცხოვრების მოსაპოებლად. ასეთს წყაროს თვით იქაური ბუნება უჩვენებს. მთებში მშვენიერი საძოვრები, იალაღებია, რომელიც ხელს უწყობს საქონლის მოშენებასა, ამიტომ ამ ადგილებში ხალხი საქონლის მოშენებას, მეტადრე ცხვრისას, მისდევს და ეს შეად-

გენს ერთს უმთავრესს წყაროს იქაურ გლეხის კეთილდღეობისას. მაგრამ საქონლის მოშენება ადვილი საქმე არ არის, საქონელს მუდამ უკან დევნა და ერთი ადგილიდამ მეორეში გადაყვან-გადმოყვანა უნდა. მთებში ზამთარი ადრე იწყება, 6-7–ის თთვის განმავლობაში თოვლი სძევს, – საქონლის შენახვა აქ აღარ შეიძლება და პატრონმა ბარში უნდა ჩამოიყვანოს. და აი, საქონლის პატრონს მთელს ზამთარს შირაქის მინდვრებში, ივრის ხეობაზე და სხვა ადგილებში გამოჰყავს საქონელი. დადგება ზაფხული, სიცხეებში საქონელი ბარს ვეღარ აიტანს და პატრონმა ხელახლად ისევ უნდა მთაში გარეკოს საქონელი. თუშ-ფშავ-ხევსურები თავიანთ მთებშიაც ცოტაოდნად იოლად მიდიოდნენ, მაგრამ ამ ბოლოს დროს აქაც საძოვარი ადგილები ძრიელ შეცოტავდა, და ამიტომ ყარსის, დაღესტანის მთებისკენ, თრიალეთსა და უკანასკნელ ხანებში ვლადიკავკავისკენაც დაიწყეს საქონლის გარეკვა საზაფხულოდ.

ამ სახით, საქონლის პატრონი წელიწადში ორჯერ მთებიდგან ბარში უნდა გაემგზავროს და ბარიდამ მთებში. და რადგან ჩვენში ხეირიანი გზები არსად არის, და თუ არის, ხეირიან რიგსა და წესს ძნელად შეჰხვდებიან ამ გზებზე, ამიტომ ძრიელ დიდს შეწუხებას ივლის გადასვლა-გადმოსვლაში როგორც საქონლის პატრონი, ისე თვით საქონელიც.

დღეს ნებას არავინ მისცემს, რომ მის მამულში საქონელი შეჰრეკო და უფულოდ აძოვო. უწინდელი შარაგზებიც ბევრს ადგილას გზატკეცილად გადაკეთდა, სადაც საბაჟოებია დაწესებული და უბაჟოდ არავის ატარებენ. სადაც ჯერ გზატკეცილები არ არის, სოფლებს და კერძო შემამულეთ დაუჩემებიათ გზები და გზად მიმავალს საქონელს უმახტოდ არ აძოვებინებენ. ბ-ნი მ. მაჩაბელი ამბობს, რომ მარტო ტფილისის მაზრაში 19 სოფელი საძოვარში და გზაზედ გავლაში წელიწადში 7.250 მანათს იღებსო.

ამ უკანასკნელს წლებში დიდძალი საქონელი და მეტადრე ცხვარი მიუდით ყარსისაკენ თუშ-ფშავ-ხევსურეთ-კახეთიდგან ყოველს ზაფხულსა. რასაკვირველია, კარგი იქნებოდა, რომ ეს საქონელი გზატკეცილებზე გაეტარებინათ, მაგრამ ამ გზაზე იმოდენა ბაჟია დაწესებული, რომ ცხვრის პატრონი ვერ აუვა ამ გადასახადსა. მაგალითად, კახეთიდამ მომავალ ცხვარზე, პატრონმა მანგლისის გზატკეცილზე, 60 ვერსტის მანძილისა, უნდა გადაიხადოს ას ცხვარში 3 მანეთი; კახეთის სახელმწიფო გზაზე ამაზე უფრო მეტი გადასახადი ერთმევათ. გარდა ამისა მახტა დაწესებულია ივრის, მტკვრის, ქალაქში და ალგეთის ხიდზე, ასე რომ მარტო კახეთიდამ მანგლისამდე ასის ცხვრის გადალალვა ბარიდამ მთაში 10-12–მდე უჯდება, ანუ თითო შუატანა ცხვრის ფარის პატრონს მარტო გზა უჯდება ოც თუმნამდე. ვინც კი იცის, რა შემოსავალი მოაქვს ცხვარსა, ის ადვილად მიჰხვდება, რომ ამოდენა ხარჯს ვერ აუვა საქონლის პატრონი. სწორედ ამ მიზეზის გამოც საქონლის პატრონი ერიდება დიდს გზებსა და უგზო-უკვლოდ, ტყე-ღრეებზე, კერძო მემამულეების მიწა-წყალზე მიუდის საქონელი. წინად საქონლის პატრონს ხმას არავინა სცემდა, მაგრამ დღეს, როცა მამულის პატრონებმაც ანგარიში ისწავლეს საქონლის პატრონებს ხელი მოუჭირეს და უსასყიდლოდ თავიანთ მიწა-წყალზე აღარავის ატარებენ. თითქმის ყველას, ვის მამულზედაც საქონელმა უნდა გაიაროს, მეველეები უჭირავთ და საქონელს გზას უკრავენ, ან, თუ გზას მისცემენ გარდასახადს ართმევენ. თუმცა არიან ისეთი მამულის პატრონები, რომელნიც უწესოებას სჩადიან და უსამართლოდ ექცევიან საქონლის პატრონს, მაგრამ, რასაკვირველია, ბევრნი ისეთიც არიან, რომელთაც ვერ გავამტყუნებთ, რომ საქონელს გზას არ აძლევენ თავიანთ მიწა-წყალზე: საქონელი ხშირად ნათესებში გადადის და მოსავალს ახდენს. ამ შემთხვევაში,

საქონლის პატრონს უფრო მეტს გარდასახადს ართმევენ. ასეთ გარდასახადის გამორთმევა კი უჩხუბოდ და უდავიდარაბოდ არ ჩაივლის ხოლმე. ამიტომ ზაფხულში, დაიძვრება თუ არა საქონელი ბარიდამ მთებში წასასვლელად, წამდაუწუმ გვესმის, ამა და ამ ადგილას ჩხუბი, თავ-პირის მტვრევა და ხშირად კაცის კვლაც მოხდაო. კერძო მემამულეების გარდა საქონლის პატრონებს ჩხუბს უმართავენ სოფლელებიც, რომელთ მამულზე საქონელი გაივლის ხოლმე. მეტადრე დიდს შეწუხებას ივლიან საქონლის პატრონები მანგლისის ახლო-მახლო სოფლებისაგან, რომელნიც გზებს ჩემულობენ და საქონლის პატრონებისაგან გარდასახადს თხოულობენ.

ასეთი უწესობა დიდს შეწუხებას აყენებს და ზარალსაც ბევრს აძლევს საქონლის პატრონს. ამიტომ ურიგო არ იქნებოდა, ყურადღება მიექციათ ამ საქმისთვის და გზატკეცილებზე დაწესებული ბაჟი გზად მიმავალ საქონელზე სრულიად გადაეგდოთ; ან თუ ეს არ შეიძლება, ცოტად მაინც შეემსუბუქებინათ ეს გარდასახადი და ამით შეღავათი მიეცათ საქონლის პატრონებისათვის. აგრეთვე ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ერთხელვე გადაწყვეტილიყო და ყველას სცოდნოდა, - აქვთ ნება სოფლებს, დაიჩემონ ის გზები, რომელიც იმათ ახლოს მიდის და მახტა აიღონ გზად მიმავალ საქონელზე, თუ არა. ამით საქონლის პატრონსაც შეღავათი მიეცემა, რომ თავის საქმე უკეთესად წაიყვანოს და ბევრს უწესობას, კაცის კვლასაც, ბოლო მოეღება.

«საფრანგეთის ორჭოფული პოლიტიკა»

ტფილისი, 28 მაისი

დღეს ევროპაში მხოლოდ ორი სახელმწიფოა იმოდენად ძლიერი, რომ თუ ძალიან გაამწარეს და გააგულისეს, შეუძლიანთ გერმანიას ომი გაუბედონ. არც ერთს ამ სახელმწიფოს ჯერ ომი არ ჰსურთ, მაგრამ ნათქვამია, ძალა აღმართს ჰხნავსო და თუ გარემოება ან ერთს, ან მეორეს ბეწვის ხიდზედ მიაყენებს, მეტი რა გზა იქნება, თავისის სახელმწიფო ღირსების და თავის ერის თავმოწონების დასაცველად ხელი უნდა გამოიღონ. ეს სახელმწიფონი ერთი დასავლეთით არის მოსამზღვრე გერმანიისა და მეორე აღმოსავლეთით: ერთი საფრანგეთია და მეორე რუსეთი. გერმანიამ კარგად იცის, რომ თუ მარტოდ დარჩა და მეტისმეტად გაუკადნიერდა ან ერთს, ან მეორეს, ეს სახელმწიფონი არამც თუ ერთად, თვითვეული ცალკეც შემძლებელია შეჰბედოს ომი და თუ ერთობა მოუხდათ, მაშინ ხომ სასწორი ბედისა ამ ორ სახელმწიფოსკენ გადიხრება.

ამიტომაც საფრანგეთმა ძალიან კარგად იცის, რომ ძლიერება რუსეთისა ერთადერთი თავმდებია საფრანგეთის კეთილდღეობისათვის. ეგრეთვე, რუსეთი უყურებს საფრანგეთის ძლიერებას და არასოდეს ნებას არ მისცემს გერმანიას საფრანგეთი გადალახოს უწინდელებრ. ეს აშკარადა სჩანს იმ საქმისაგან, რომე-

ლიც გერმანელმა ლეფლომ გამოამჟღავნა ამ ბოლოს ხანებში და რომლის გამოქვეყნება ძალიან ეწყინა გერმანიას. ამ სახით დღევანდელთა დღეთა ვითარებამ ამისთანა აუცილებელი ხიდი გასდო საფრანგეთისა და რუსეთის შორის.

ამ შესაერთებელის ხიდის შიშისა გამო გერმანია დღეს აქამომდე ჰცდილობდა ავსტრია, იტალია, ინგლისი და სხვანი მოემხრო და ამათგან კოალიცია შეედგინა. წინადაც ვაუწყეთ ჩვენს მკითხველებს, რომ გერმანიამ ეს ვერ მოახერხა. ამ მომხრეების ძებნაში ერთი ალიაქოთი ასტყდა მოპირისპირეთა შორის და ამათმა ჟურნალ-გაზეთობამ გამოამჟღავნა, რომ გერმანია მარტო თავის საკუთარის თავისათვის იღვწის და მომხრეებს კი ტყუილის იმედებით იბირებსო. გაუგრილდნენ გერმანიას თითქმის ყველანი და საქმე იმ ბექჭზედ შედგა, რომ თვითონ გერმანიას შიში მიეცა მარტოდ არ დავრჩე საპოლიტიკო სარბიელზედ უმწეოდ და უმომხრეოდ და, რაღა თქმა უნდა, მაშინვე პირი იბრუნა.

ჯერ რუსეთს მოუტკბილდა და აქ რომ ვერა გააწყო რა, საფრანგეთს გაუწვდინა ხელი. საფრანგეთმა თითქო კვერი დაჰკრაო და იმის ნიშნად, რომ შესაძლოა დაახლოვება, საფრანგეთმა ძირს დასცა იგი სამინისტრო გობლე-ბულანჟესი, რომელიც კრიჭაში სხვაზედ უფრო ძლიერ ედგა გერმანიას და თავის თავგამოდებით მოსვენებას არ აძლევდა. შესდგა წინანდელის მაგიერ იმისთანა სამინისტრო, რომელიც გერმანიასთან დაახლოვებისათვის უფრო მიდრეკილია. ჩვენის ფიქრით, ამ გობლეს სამინისტროს დათხოვნა და ახალის შედგენა დიდმნიშვნელობიანი საქმეა დღევანდელის პოლიტიკისათვის.

ჩვენს თვალში ეს მნიშვნელობა ასეა წარმოდგენილი: ეგ ახალი სამინისტრო ხანგრძლივად ვერ გაიჭერს თავსა, იმიტომ რომ იგი ვერც იმ ინტერესს გასწირავს, რომელიც ჰთხოულობს, რომ რუსეთი ხელუხლებელი იყოს, როგორც ძლიერი

მოპირისპირე გერმანიისა აღმოსავლეთის მხრით, და ვერც უარჰყოფს გერმანიასთან დაახლოვებას. არც ერთის ამა საქმისათვის ამ ახლანდელს სამინისტროს საკმაოდ თავგამოდებული ფხიანი კაცები არა ჰყავს. ამ სახით ეხლანდელი სამინისტრო ამ ორ ერთი-ერთმანეთის შემმუსვრელ საქმეთა შუა სდგას და ვერც იქით წაიწევს წინ და ვერც აქედ. ამ ორწყალშუა დგომას დიდხანს თავის დაჭერა არ შეუძლიან: დღევანდელი დღე ისეთი არ არის, რომ დგომა ცდომად არ ჩასთვალოს საფრანგეთმა: იგი ან ერთის წყალს უნდა გავიდეს, ან მეორისა. ამიტომას ყველანი იმას ამბობენ, რაც ჩვენ პირველ ხანებშივე ვსთქვით, როცა ახალის სამინისტროს სია დეპეშამ გვაცნობა: ეს სამინისტრო მოკლე დღისაო. თვითონ საფრანგეთიც ამას ამბობს და შესაფერი სახელიც დაურქმევია ამ სამინისტროსათვის: საკანიკულო სამინისტროაო.

ვიდრე საფრანგეთში ორი უდიდესი და უმთავრესი მდინარეობა აზრისა, დღეს ერთმანეთთან შეჭიდებულნი, არ გამოირკვევა, ეგ ორთა წყალთა შუა მდგომი სამინისტრო ფეხზედ იდგება და მაშინვე დაეცემა, როცა კი გამოირკვევა, რას ამჯობინებს საფრანგეთი: იმ პოლიტიკას, რომელიც რუსეთთან კავშირს ჰხადის უკეთესს ღონედ საფრანგეთის ბედნიერებისათვის, თუ იმას, რომელიც გერმანიისა და საფრანგეთს შორის ხიდის გადებას ჰლამობს. რომ ამ ორისავე აზრის დასნი და მომხრენი თანასწორად თითქმის ძლიერნი არიან, ამას ამტკიცებს ჯერ ისა, რომ ეხლანდელს სამინისტროში არც ერთის აზრის მტკიცედ და უკან დაუხედველად მიმდევნი კაცები არ მოჰყვნენ და, ვინც კი ამისთანა იყო, მან უარი სთქვა მინისტრობაზედ; მეორეს, ისა, რომ "Journal official"-ის სიტყვით, რაკი პარიჟელებმა შეიტყეს ბულანჟეს დათხოვნა სამინისტროსაგან, 15,000 კაცი შეიყარა და ჰყვიროდაო: "გაუმარჯოს ბულანჟეს! გაგვეცალოს პრეზიდენტი გრევი! შორს ჩვენგან პრუსიელნიო!".

საფრანგეთის რადიკალთა გაზეთები ძალიან მკვახე სიტყვებს ესვრიან ეხლანდელს სამინისტროს და არა ჰზოგვენ თვით პრეზიდენტს გრევის და სენატსა ბულანჟეს გადაყენებისათვის. მთავრობა საფრანგეთისა ამაების გამო ისე გაჭირებულიაო, ამბობენ გაზეთები, — რომ პრეზიდენტის გრევისა და გერმანიის ელჩის სასახლეებისათვის დარაჯები მიუყენებიათ და ჯარებსაც ბძანება მისვლიათ, ბინიდამ ნურავინ გარედ ნუ გავაო. დღეს იქნება თუ ხვალე, ეს აზრთა ბრძოლა გამოირკვევა და ამის მიხედვით შესდგება ახალი სამინისტროცა. ამ დღემდე კი დღევანდელი სამინისტრო გაძლებს და, ჩვენის ფიქრით, ევროპის პოლიტიკაც ამ დღემდე ბევრს ახალს არას იმოქმედებს და ლოდინში იქნება,

«ხანძრისაგან შენობების დაზღვევის შემოღება»

ტფილისი, 29 მაისი

ტფილისის ქალაქის საბჭოში ხმოსანმა ბ-ნმა გარსოევმა ამას წინად შეიტანა წინადადება იმის თაობაზედ, რომ ქალაქში შემოღებულ იქმნას ცეცხლისაგან საურთიერთო ნდობით დაზღვევა შენობებისა. ბ-ნ გარსოევის წინადადება იმაზედ იყო აგებული, რომ ეხლანდელნი დაზღვევის აქციონერნი საზოგადოებანი დიდძალს ფულს ახდევინებენ დამზღვეველთა და რადგანაც ერთმანეთში პირობა აქვთ შეკრული, რომ არავინ მათგანმა არ გაჰბედოს შემდეგში დაკლება ამ გადასახადისა, ამიტომაც იმედიც არ არის, რომ ოდესმე დაზღვევინების ფასი დაიკლებს. განსაკუთრებული მდგომარეობა ამ აქციონურ საზოგადოებათა, რომელთაც მოცილეობას დღეს ვერავინ გაუწევს, დიდს ზიანს აძლევს ქალაქის მამულების პატრონთა და ხმაამოუღებელ მოხარკეთა ჰხდის თვითვეულს მათგანს აქციონერების წინაშე. ამ საბუთებით ბ-ნმა გარსოევმა მოსთხოვა ქალაქის საბჭოს, რომ ამ ამბავს ყურადღება მიაქციოს და თვით შენობის პატრონთაგან, ვითარცა ცეცხლისაგან დამზღვეველთაგან, საურთიერთო ნდობით დამზღვეველი საზოგადოება შეადგინოს.

ამ თითქმის ერთის თთვის წინად ბ-ნ გარსოევის წინადადება გარჩეულ იქმნა ქალაქის საბჭოში. ამ ფრიად საყურადღებო საქმეს წინააღუდგა მარტო ერთი ხმოსანი, რომელმანც თვით დედააზრი წიმადადებისა უარჰყო. სხვებმა კი, ვინც ამ საგანზედ ილაპარაკა, დედააზრი შეიწყნარეს და მხოლოდ მის განხორციელების თაობაზედ გამოითქვა სხვადასხვაობა აზრისა. ამ ბაასის მიმოსვლაში ორი საკითხავი საგანი გამოირკვა: ერთი — კეთილნებობითს სურვილზედ დამყარებულ იქმნას ეგ ურთიერთობა დაზღვევისა, თუ შენობის ყველა პატრონისათვის სავალდებულო იყოს დაზღვევა და მაშასადამე, საურთიერთო თავდებობაცა, და მეორე — თვითონ ქალაქმა მარტო ზედამხედველობა იქონიოს ამ საურთიერთო თავდებობით დაზღვევის გამგეობაზედ, თუ თვითონ ჩააბაროს გამგეობა ამ საზოგადოებისა და თვითონ აწარმოვოს საკუთრად მისნი საქმენი.

ამ სახით ქალაქის საბჭოს ქალაქის თავმა ოთხი საგანი დასდვა გადასაწყვეტად: 1) ჰსურს საბჭოს თუ არა, მიიღოს თვით დედააზრი საურთიერთო თავდებობით დაზღვევის საზოგადოებისა; 2) თუ ჰსურს, ქალაქის გამგეობას მიენდოს თუ არა შედგენა წესდებისა; 3) ქალაქის მმართველობასთან ერთად დაწესდეს კეთილნებობითი საურთიერთო თავდებობით ცეცხლისაგან შენობების დაზღვევა; 4) თუ თვითონ ქალაქმა ჩაიბაროს საკუთრივ გამგეობა ამგვარის საზოგადოების საქმეთა.

საბჭომ გადაწყვიტა, რომ დაწესდეს მაგისთანა საზოგადოება იმ პირობით, რომ თვითონ ქალაქმა მიიღოს პირდაპირი მონაწილეობა საზოგადოების საქმეთა გამგეობისა და ქალაქის სამმართველოს მიენდოს წესდების შედგენა.

ჩვენის ფიქრით, მეტად აჩქარებულა ქალაქის საბჭო, რომ ესე გადაუწყვეტია და ის საგანი, რომელიც სულსა და გულს ამ საქმისას შეადგენს, არ გამოუძიებია, არ გამოურკვევია იმოდენად, რამოდენადაც

თვით სიმძიმე საგნისა ჰთხოულობს. ეს საგანი იგი საკითხავია, რომელიც ზემოდ ჩვენ პირველ რიგში მოვიხსენიეთ, სახელდობრ: დამზღვეველთა ნებაყოფლობაზედ უნდა იქმნას დამოკიდებული თვით დაზღვევა ცეცხლისაგან შენობებისა, თუ ეგ დაზღვევა სავალდებულო უნდა იყოს ყველასათვის. თუმცა საბჭოს გადაწყვეტილებისაგან სჩანს, რომ საბჭოს პირველი საკითხავი შეუწყნარებია, მაგრამ, ვიდრე ეს ასე მოხდებოდა, საბჭოს კარგად უნდა გაეზომა სახტომი. მთელი ნასკვი ამ საურთიერთო თავდებობით დაზღვევის საქმისა ამ ორ საკითხავშია. იგივენი თვითვეულად ცალკე არიან საწყაონი თვით საზოგადოების სიკეთისა, ხეირისა და სარგებლობისა ქალაქის მკვიდრთათვის, იმიტომ რომ ერთსაცა და მეორესაცა სულ სხვადასხვა შედეგი და ბოლო მოსდევს და მაშასადამე, არა ერთნაირი და ერთის ზომის სიკეთე, ხეირი და სარგებლობა.

როგორც ეტყობა, საბჭო ბევრს ხანს არ შემდგარა ამ საკითხავებზედ და მაშასადამე, საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამაების დიდი მნიშვნელობა არ უცვნია. ეს არ შეიძლება შეცდომად არ ჩავუთვალოთ საბჭოსა, მით უფრო, რომ ერთს საგანზედაც და მეორეზედაც ბევრი აზრია გამოთქმული როგორც რუსეთში, ისეც სამზღვარგარედ და საჭირო იყო ამ აზრების ცოდნა და თვითვეულის მათგანის აღებ-დაღება იმ გარემოების მიხედვითა, რომელიც ჩვენის ქალაქის განსაკუთრებულს კუთვნილებას შეადგენს. უამისოდ ყოველივე წესდება, რომელსაც კი ქალაქის გამგეობა, საბჭოს გადაწყვეტილებისამებრ, შეადგენს, გადმოწერილი წესდება იქმნება და არა ჩვენის ქალაქის ჩვეულებასა, ხასიათსა, ვითარებასა და გარემოებაზედ მოწყობილი და აგებული. ამ ჩვეულებასა, ხასიათსა, ვითარებასა და გარემოებაზედ, თუ სულ არა, ბევრი რამ მაინც არის დამოკიდებული ცეცხლისაგან დაზღვევის საქმეში. მისი ავი და კარგი, მოგება და წაგება თუ წინადვე ამაებს არ დაეკითხა, მათს

ძალმომრეობაზედ წინადვე არ დაემყარა და ყოველს ამას თვითონ დედააზრი არ შეუფერა, მარტო ურთიერთობის თავდებობით შექმნილი საზოგადოება უდღეო შვილი იქმნება წინდაუხედავად მოარულის კეთილის სურვილისა და სხვა არა რა. ყოველს ამას ზედმიწევნით გამოძიება უნდოდა და მაშინ აზრს შუამოყვანილი გზა გაეხსნებოდა ამის გადასაწყვეტად: კეთილნებითი დაზღვევა დაედოს საძირკვლად განზრახულს საზოგადოებას დაზღვევისას, თუ ვალდებულებითო. უამისოდ ან ერთზედ, ან მეორეზედ ჰოსა თუ არას თქმა საალალბედო საქმეა და მაშასადამე, ადვილად შესაცდენელი.

დღეს რუსეთში საურთიერთო ნდობით დაზღვევა შენობებისა 33 ადგილას არის შემოღებული. ეს ადგილები სულ პროვინციის ქალაქებია. შინაგანთა საქმეთა სამინისტრო, რომელმაც გამოიძია და გამოიკვლია ეს საურთიერთო ნდობით შემდგარი საზოგადოებანი და მათი ვითარება, ამბობს, რომ იგინი ძალიან კარგად მოქმედებენო. რუსეთშიაც, როგორც დღეს ჩვენში, ამ საურთიერთო ნდობით დაზღვევის საზოგადოებანი გამოიწვია იმავ მიზეზმა, რაც ბ-ნმა გარსოევმა წარუდგინა ჩვენის ქალაქის საბჭოს, როცა თავისი წინადადება შეიტანა ამ საგანზედ. უმთავრეს მიზეზად ის შეექმნათ, რომ აქციონურთა საზოგადოებათა მეტად ძვირად გახადეს ფასი დაზღვევისა და ეს სიძვირე მით უფრო შეუწყნარებელი იყო და აუტანელი, რომ საქმის ვითარებისაგან კი არ იყო წარმომდგარი, არამედ აქციონერების გამგელებულის სიხარბისაგან. ამ სიხარბეს ხომ სამზღვარი არა აქვს, თუ ნამეტნავად აღვირაშვებულია და ადამიანის სურვილზეა მიგდებული.

აქციონურთა საზოგადოებათაგან დაზღვევის საქმე სწორედ ამისთანა ბუდეში იჩეკდა სასურველს ბღარტებსა და ამიტომაც დაზღვევის ფასი დამოკიდებულ შეიქმნა მათთა ნება-სურვილზედა, და რადგანაც ადამიანი იმისთანა ჯიშის არსებაა, რომ სულ თავისკენ ითვლის, თუ გარემოება ხელს უწყობს, ამიტომაც არც ამ აქციონურთ საზოგადოებათ უღალატეს სიხარბეს ადამიანისას და რაც შეიძლეს, იმოდენა ფასი დასდეს დაზღვევის შენობისას. 1875 წლამდე შემჩნეულ იქმნა, რომ ამ სიხარბეს მეტის გამორჩომისას ძირი ეთხრება ერთმანეთის ცილობისაგან, რადგანაც მაგგვარი აქციონურნი საზოგადოებანი დღედადღე ჰმატულობდნენ და თვითვეული ცალკე ჰცდილობდა რაც შეიძლება მეტი დამზღვეველი გადმოებირა თავისკენ. ამას უამისოდ ვერ მოახერხებდნენ, თუ დაზღვევის ფასი არ

დაეკლოთ და, რა თქმა უნდა, ცილობა საზოგადოებათა შორის ამაზედ მიიმართა. შეფუცხუნდნენ აქციონერნი, იგინი აშკარადა ჰხედავდნენ, რომ ეს ცილობა მათს მოგებას ბევრს რასმეს ჩამოსთლის და ერთი იმისთანა ღონე მოიგონეს, რომ დღეს აქამომდე ყველას უკვირს, როგორ მიეცათ ნება ამ ღონის ხმარებისა. 1875 წელს შეადგინეს კრება ყველა აქციონურთა საზოგადოებათა წარმომადგენელთან და ერთხმად ხელშეკრულობა დასდეს, რომ არც ერთმა საზოგადოებამ არ გაჰბედოს დაზღვევის ფასის ძირს დაწევა და ცილობა. შემოივლეს რა ამგვარი ზღუდე და აუგეს რა ამგვარი მაგარი ციხე სიხარბესა, მიჰყვეს ხელი და იმ დონემდე ასწიეს ფასი დაზღვევისა, რომ მეტი აღარ შესაძლებელ იყო. ამ სახით შენობების პატრონები, რომელთაც ცეცხლის შიში იძულებულთ ჰხდის დააზღვევოს თავისი ქონება, აქციონურთა სრულს ნებაზეა დაშთენილი და ძალაუნებურად ერთი ხუთად და ერთი ექვსად იხდის დაზღვევის გადასახადსა, რაკი მეტი გზა აღარ არის.

ძირეული აზრი დაზღვევისა, როგორც საზოგადოებრივი საქმისა და არა სავაჭრო სოვდაგრობისა, იგია, რომ ფასი დაზღვევისა შეეწონოს მართალს და ჭეშმარიტს ზარალს ცეცხლისაგან და ამ ზარალს არ აღემატებოდეს. ეს საზოგადოებრივი ბუნება დაზღვევისა ურცხვად შეგინებულია აქციონურთა საზოგადოებათაგან, რომელთაც დაზრვევის ფასი მარტო ჭეშმარიტ ზარალს კი არ შეუწონეს, არამედ თავის საკუთარს და საზღვარდაუდებელ სიხარბესაცა. ამის გამო ეს საზოგადოებრივი საქმე იმ ხაზზედ დადგა, რომ რჯულად უდევს მარტო გამორჩობა კერძო კაცისა მაშინ, როდესაც მისი ერთადერთი საგანი ის უნდა იყოს, რომ გადაარჩინოს ცეცხლისაგან მოვლენილს უბედურებას ყოველი და ეს ხსნა უბედურებისაგან, რაც შეიძლება იეფად დაუსვას.

ერთის გაზეთის სიტყვით, საკმაოა კაცმა გადაათვალიეროს წარსულის წლის ანგარიშები

აქციონურ საზოგადოებისა, რომ ცხადად დაინახოს დაზღვევის ფასი რამოდენად მეტია ცეცხლისაგან მოვლენილ ზარალზედ, რამოდენად შეუწონელია და თვითნებური. მაგალითებრ, ყველაზედ უძველესს საზოგადოებას "Русское Обшество"-ს 1886 წელს მიუღია დაზღვევის ფასი 3,290,323 მანათი და ცეცხლისაგან ზარალში გასვლია მარტო 1,330,000 მანათი; მეორე საზოგადოებას "Второе Российское Обшество"-ს მიუღია 975,000 მანათი და გასვლია ზარალში 315,000 მანათი; მესამე საზოგადოებას "Русское "Страховое Обшество"-ს მიუღია 1,703,000 მანათი და 572,000 მანათი ზარალში გასვლია და თითქმის ამ ზომით ყველა სხვა საზოგადოებას შესვლია და გასვლია.

რა გამოდის ამ უტყუარ ციფირებისაგან? ის გამოდის, რომ საცა ზარალი ერთის მანეთისაა, იქ აქციონურნი კამპანიები თითქმის სამ მანეთს თუ არა მეტს ახდევინებენ ხალხსა. სად მიდის ერთი სამად გადახდევინებული ფული? რა თქმა უნდა, აქციონურთა ჯიბეში და ხალხი კი იყვლიფება და ძალაუნებურ მოხარკედ უხდება აქციონერებს. აი, ამ გარემოებამ დაჰბადა იგი აზრი რუსეთში, რომელმაც ხალხს თვალწინ დაუყენა ერთი საყურადღებო საკითხავი: ის არა სჯობია, საქმე ისე მოეწყოს, რომ რაკი ზარალი ერთი მანათია, მარტო ამის მიხედვით ერთმევოდეს დაზღვეულთა შენობათა პატრონებს დაზღვევის ფასიცაო და არა ერთი სამადაო. ამ საკითხავზედ ჰოს მეტი სხვა არა ითქმოდა რა და არც ითქვა. როგორ უნდა მომხდარიყო ამ ჰოს განხორციელება და ასრულება? ამაზედ შემდგომში მოვილაპარაკებთ.

იმ შეუწყნარებელმა ყოფამ და მდგომარეობამ დაზღვევის საქმისამ, რომელიც წინა წერილში მოვიხსენიეთ, ბევრი გულშემატკივარი და გონიერი კაცი ჩააფიქრა რუსეთში და წამალის ძებნა დაიწყეს. მიაგნეს, რომ ხსნა აქციონერთა გაუმაძღარ ხელთაგან მარტო იმაშია, რომ თვითონ საზოგადოებამ, ხალხმა ხელთ იგდოს ეს დაზღვევის საქმე. რასაკვირველია, ამისთანა საქმის აგებისათვის საჭიროა ძირის ფული, თავმდები ზარალისა. უამისოდ საქმეს არავინ ენდობა და უნდობლად ხომ ეს საქმე ციხის აშენება იქმნება ქვიშაზედ. ამ სახით ამ საქმის ხალხის ხელში ჩასაგდებად ან ფული უნდა ეშოვათ, ან იმისთანა რამ, რაც ქვეყნის თვალში ფულის მაგიერობას უწევს კაცსა ნდობის მოსაპოვებლად. ეს ერთი რამ ურთიერთის თავდებობით აგებული საქმეა. ურთიერთობა მოგებასა და ზარალში იმოდენად შემძლებელია, თითქმის უფრო სანდოა, ვიდრე თვით ნაღდი, ძირის ფულად დადებული, ურთიერთს თავდებობაში იპოვეს იგი სახსარი, რაც საქმისათვის ყველაზედ უპირველესი საჭიროებაა, ესე იგი, სახსარნი ნდობისა. დასდგნენ იმასზედ, რომ უნდა გაიმართოს იმისთანა დამ-ზღვეველნი ცეცხლისაგან საზოგადოება, რომელშიაც თვითვეული პატრონი დაზღვეულის ქონებისა თავმდები უნდა იყვეს საერთო მოგებასა და ზარალში.

თუ ხსოვნა არ გვღალატობს, პირველი აზრი ამგვარის საზოგადოებისა მოსკოვმა წარმოსთქვა ამ ოცი წლის წინად. არ ვიცით, ამ ხნის განმავალობაში რა მსვლელობა ქონდა ამ აზრსა, მხოლოდ ის კი ვიცით, რომ მოსკოვის საქალაქო საბჭომ 1883 წელს წარუდგინა მთავრობას წესდების პროექტი დასამ-ტკიცებლად. ეს წესდება არ შეიწყნარა მთავრობამ, რადგანაც საფუძვლად ამ წესდებას ისა ჰქონდა, რომ დაზღვევა სავალდებულო იყოს ყველასათვის გამოუკლებლად. ისიც ვიცით, რომ დღეს აქამომდე

მოსკოვში ამისთანა საზოგადოება არ არსებობს: და დღეს ამ საგანზედ საქმე კვლავ აღძრულია მოსკოვის საბჭოში ხმოსანის თ. თურქესტანოვის მიერ.

თუ ამ ოცის წლის განმავლობაში იგი სახეირო აზრი მოსკოვისათვის უქმად დარჩა, სხვა საპროვინციო ქალაქებში კი ფეხი მოიკიდა და ზოგს საზოგადოებას, მაგ აზრზედ აშენებულს, ოცის წლის ისტორიაცა აქვს და მაშასადამე, საკმაო საბუთიც მოგროვდებოდა ამ ხანგრძლივ დროის განმავალობაში, რომ ჩვენ მის ავკარგიანობაზედ გამოვირკვიოთ რამ.

წინადაცა ვსთქვით, რომ შინაგანთა საქმეთა სამინისტროს უსინჯავს ამგვართა საზოგადოებათა მოქმედება და მოსწონებია, კარგად მოქმედობენო. ამას რომ თავი დავანებოთ და თვით ჩავიხედოთ ამგვარ საზოგადოებათა საქმეებში, ჩვენც თვითონ ვიპოვით საბუთებს იმისას, რომ ამგვართა საზოგადოებათა ცოტად თუ ბევრად გაუმართლეს გონიერს კაცებს იმედი. პირველი სიკეთე, რომელიც ამგვარმა საზოგადოებამ მოიტანა, იგია, რომ დაზღვევის ფასი, მკვიდრთა საბედნიეროდ, კარგა ბლომად ძირს დასწიეს. ხნით ყველაზედ უმცროსი საზოგადოება ამგვარი ოდესისაა. ამის შარშანდელის ანგარიშისაგან სჩანს, რომ საზოგადოებაში დასაზღვევად შეუტანიათ შენობა 36.280.996 მანეთისა და დაზღვევისათვის გადაუხდევინებიათ სულ 52.579 მანეთი. ეს შეადგენს ორთა შუა რიცხვით მანეთ-ნახევარს ყოველ ასს თუმნად დაზღვეულს შენობაზედ. თქმა არ უნდა, რომ ამისთანა გადასახადი ბევრად ნაკლებია აქციონურთა საზოგადოებათა გადასახადზედ. მაგალითებრ, აქ-ციონურს საზოგადოებას “2–ое Российское Общество”–ს დაზღვეული აქვს ასი ათის მილლიონის ქონება და ამაში ახდევინებს 695.000 მანათსა. აქ ას თუმნად დაზღვეულს შენობაზედ შენობის პატრონს ერთმევა ორთა შუა რიცხვით ექვსი მანათი და ხუთი შაური, თითქმის ერთი ექვსად მეტი ოდესისაზედ, ზოგან ერთი შვიდად, ერთი ცხრად და ათზედ მეტიცა. მაშასადამე,

დაკლება დაზღვევის ფასისა საურთიერთო ნდობის საზოგადოების მიერ ცხადია და უეჭველი.

ეს ერთი სიკეთე. მეორე სიკეთე, ფრიად საგრძნობელი და ცეცხლისაგან დაზიანებულ კაცისათვის მეტად ხელის შემწყობი, ის არის, რომ გაუჯანჯლავად, მისვლა-მოსვლაში დროს დაუკარგავად, მალე და სწრაფად მიიღოს საზღაური. ამ მხრით, ყველამ იცის რარიგად გააბმენ ხოლმე საქმეს და გააჭიანურებენ აქციონურნი საზოგადოებანი ნამეტნავად მაშინ, თუ დაზიანებული ცეცხლისაგან შენობა სადმე პროვინციაშია, საცა აქციონურ საზოგადოებათა საქმეებს განაგებენ აგენტები, რადგანაც თვით გამგეობა მათი სატახტო ქალაქებსა, მოსკოვსა და პეტერბურგშია. აგენტების თვითნებობა და თვით გამგეობათა გულგრილობაც რომ უკუვაგდოთ, მარტო ეს სიშორე ბევრს დროს შეილევს ხოლმე, საქმეს აჭიანურებს და აჯანჯლებს, სულ სხვარიგად იქცევიან ურთიერთის ნდობით შემდგარნი საზოგადოებანი. იგინი ჯერ მცირე სივრცეზედ მოქმედებენ, მარტო ერთის ქალაქის წრეში. მაშასადამე, გამგეობას ყოველთვის სახსარი აქვს თვით ინახულოს ზიანი, თვით იცნოს ყოველივე გარემოება ცეცხლის გაჩენისა და მის მიერ მოვლენილ ზარალისა და საქმე რა დაახანოს. ამასწინად გაზეთებში მოხსენებული იყო, რომ როსტოვის საურთიერთო ნდობის საზოგადოებამ მეორე დღესვე ჩააბარა კუთვნილი საზღაური ცეცხლისაგან დაზიანებულს პატრონსა. ამ სისწრაფეს ვერ მოახერხებს ვერც ერთი აქციონური საზოგადოება, რომელსაც საქმეთა ვითარების გამო გამგეობა მოსკოვსა და პეტერბურგში ჰყავს და საქმეები კი მთელს რუსეთის თვალგადუწვდენელ სივრცეზედა აქვს. საურთიერთო ნდობით საზოგადოება კი, როგორცა ვსთქვით, პატარა მოედანზედ მოქმედობს, რადგანაც მისი მოედანი მარტო იგი ქალაქია, საცა თვით მაგგვარი საზოგადოება არსებობს. აქ ყველანი ერთმანეთს ჰხედვენ, იცნობენ, ერთმანეთის გარემოება იციან და ამის გამო არა

ჰყოვნდება საზღაურის მიღების საქმე ტყუილუბრალოდ მოდებულ მიზეზების გამო, — "მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო".

ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ რაც კი დღეს რუსეთში საზოგადოებანი არიან, სულ ყველა იმაზეა აგებული, რომ დაზღვევა ნებაყოფლობაზეა დამოკიდებული. დღეს რუსეთში ის აზრიცა ჰტრიალებს უკეთესის ჟურნალ-გაზეთების წინამძღვარობითა, უფრო უკეთესი იქნებოდაო, რომ დაზღვევა სავალდებულო იყოს ყველასათვისა, ვისაც შენობა აქვს ქალაქშიო. ამაზედ ბევრი ხოც არის სათქმელი და ბევრი არაცა. ჩვენ შემდეგ ვეცდებით ამ ჰოსა და არასაც თვისი კუთვნილი საბუთები მოვუნახოთ.

ჩვენ წინა წერილში ვსთქვით, რომ საურთიერთო ნდობით დაზღვევის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს შემდეგს: — დაზღვევა სავალდებულოა ყველასათვის, ვისაც კი შენობა აქვს ქალაქში, თუ ნებაყოფლობაზეა მიგდებული. ერთსა და მეორეზედაც ბევრი რამ არის თქმული და ჩვენ ვეცდებით ორისავე მხრის დედა-საბუთი წამოვუდგინოთ ჩვენს მკითხველს.

ერთი, ჩვენის ფიქრით, ყველაზედ უკეთესი გაზეთი რუსეთისა,* რომლისაგანაც ამოვკრიბეთ ჩვენს წერილებში მოხსენებული ცნობანი შესახებ დაზღვევის საქმისა, ამბობს, რომ, ჩვენდა სამწუხაროდ, ნებაყოფ-ლობით დაზღვევა მთლად ვერა სწვდება თავის უმაღლესს საგანსაო. მართალია, ნებაყოფლობითს და-ზღვევაზედ აგებული საურთიერთო ნდობის საზოგადოებანი ბევრად სჯობიან ყველა აქციონურს საზოგადოებასა მით, რომ დაზღვევის ფასი გააიეფეს და საზღაურსაც მალე და გაუჯანჯლებლად იძლევიანო, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, მათ მიერ მოტანილი სიკეთე ამათს მეტს ვერას იძლევაო.

“იმ უმაღლესს, ეხლანდელის კულტურის შესაფერს იდეას დაზღვევისას, ამბობს იგი გაზეთი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ დაიხსნას თვითვეული ცალკე ნამეტნავად ღარიბი კაცი ცეცხლისაგან შემთხვეულ უბედურებისა და წახდომისაგან, ნებაყოფლობითნი საზოგადოებანი არ არიან მიმწვდარნიო. აქციონერების კამპანიისამებრ ნებაყოფლობითი საზოგადოებანი არამცთუ კარს უღებენ, არამედ ერიდებიან კიდეც წვრილთა დაზღვეველთა, ესე იგი, იმათ, ვისაც ხის შენობა აქვს და პატარ-პატარის, მცირე ფასიანის სახლების პატრონები არიან. ერიდებიან იმიტომ, რომ ამათგან ცოტა გამორჩომაა და საქმე კი ბევრი. დიდი რამ არის, რომ საურთიერთო ნდობით ნებაყოფ-

* “Русская ведомость”.

ლობითმა საზოგადოებამ დაზღვევისამ დაზღვევის ფასი კარგა საგრძნობლად ძირს დასწია, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს დიდი სიკეთე საურთიერთოდ დაზღვევისა მარტო შუათანა და დიდის შენობების პატრონებს ერგოთ. მზრუნველობა კი ამ მგვარის საზოგადოებისა ყველაზედ უწინარეს მიმართული უნდა იყოს მასზედ, რომ უთავდებოს და შეეწიოს უღონოს, ნაკლებ მიხვედრილს და, მაშასადამე, წინდახე-დულობასაც მოკლებულს კაცსაო”.

აქედამ გამოჰყავს ამ გაზეთს ის დასკვნა, რომ სავალდებულო დაზღვევა სანატრელია და ბევრად უკეთესია ნებაყოფლობითს დაზღვევაზედ, რაკი საფუძვლად საურთიერთო ნდობა ექმნება საზოგა-დოებასაო. იმის დასამტკიცებლად, რომ არავითარი შიში არ უნდა აფრთხობდეს კაცსა, გაზეთს მოჰყავს მოსკოვის ერობის დაზღვევის საზოგადოება, რომელსაც 67 მილიონის დაზღვეული შენობანი აქვს და 387,756 მანათი დაზღვევის ფასი შემოსდის. თუმცა ეს საზოგადოება უფრო ცუდს გარემოებაშია, ვიდრე მოსკოვის ქალაქისა იქნება, მაგრამ მაინც, გაზეთის სიტყვით, შემოსავლიდამ ნახევარმილლიონი სათა-დარიგო თავნი შეჰყარაო. შესანიშნავი ეს არის ამ საქმეში, რომ მოსკოვის ერობის ამ საქმეზედ გამ-გეობისათვის ეხარჯება მხოლოდ 32,960 მანათი, ესე იგი 0,08 იმის მიხედვით, რაც დაზღვევის ფასი შემოსდის.

თუმცა სავალდებულო დაზღვევა არ არის რუსეთის ქალაქებში შემოღებული და მის გამო არა ითქმის რა, რა შედეგი მოჰყვა ამ სავალდებულო დაზღვევას რუსეთში, მაგრამ ევროპაში კი ხშირია, ნამეტნავად გერმანიაში. გერმანიაში ამ სავალდებულო დაზღვევის საზოგადოებაში ცეცხლისაგან დაზღვეულთა ქონება თითქმის 30-ს მილლიარდისაა. თუმცა გერმანიის ერს დაზღვევის ფასი 45 მილლიონამდე შეაქვს წელიწადში, მაგრამ ყოველს წელიწადს 42 მილლიონი უკუვუბ-რუნდებოდა ერსავე ცეცხლისაგან ზიანის საზღაურად.

ყოველივე ეს მართალიაო, ამბობენ მომხრენი ნებაყოფლობითის დაზღვევისანი და წინააღმდეგნი სავალდებულობისანი, მაგრამ ამის მთქმელთ ის კი ავიწყდებათო, რომ სავალდებო დაზღვევა ღარიბის კაცისათვის ხარჯის მომატებაა და, მაშასადამე, დამძიმება. ღარიბი კაცი უამისოდაც ძლივს უძღვებაო მრავალგვარს გადასახადებს და გასაღებებსაო და ეს სავალდებულო დაზღვევის გადასახადიც რომ ზედ წაემატოს, ღარიბი კაცი კისერს ზევით ვეღარ აიღებს ხარჯთა სიმძიმისაგანაო. ამის პასუხად მომხრენი სავალდებულო დაზღვევისანი ამას ამბობენ, რომ, ღარიბია თუ მდიდარი, ყველანი უნდა მიეჩვივნენ იმ აზრს, რომ დაზღვევის გადასახადი საჭირო ხარჯია მისთვის, ვისაც კი სადაზღვეველი ქონება აქვს, და ეგ ხარჯი მით უფრო ადვილად შესაწყნარებელია და ადვილად შესაფერი, რომ ღარიბსა და მდიდარს ერთგვარად იფარავს და იხსნის, თუ რაიმე უბედურობა ცეცხლისაგან შეემთხვა ან თავისის, ან მეზობლის გაუფრთხილებლობითა.

აი, დედააზრი სავალდებულო დაზღვევის მომხრეთა და მოწინააღმდეგთა. საბუთები რომ გაუსინჯოთ, გამოვა, რომ სავალდებულო დაზღვევის მომხრეთა ბურთი და მოედანი თვისთა მოპირდაპირეებს უნდა დაუთმონ. საბუთად სავალდებულო სავალდებულო დაზღვევის საჭიროება ის მოჰყავთ, რომ ღარიბს და მცირეფასიან შენობის პატრონს ერიდებიან დაზღვევის საზოგადოებანიო და ამიტომაც ღარიბს დამზღვეველს ღონისძიება არა აქვს, დააზღვევოს თავისი ქონება და ამ სახით იმედი ჰქონდეს ხსნისა, თუ ცეცხლისაგან უბედურობა რამ შეემთხვა. ეს დიდად დიდი ნაკლულევანებაა, მაგრამ, თუ სავალდებულოდ დაზღვევის საჭიროება მარტო აქედამ წარმოსდგება და სხვა არარაისაგან, განა სხვა გზით არ მოევლება ამ საჭიროებას, თუ არ სავალდებულო დაზღვევის დადგინებითა?

ამისათვის საკმარისი იქნება, რომ ქალაქის გამგეობამ თვით ჩაიგდოს საურთიერთო ნდობით დაზღვევის საქმე და თვით აწარმოვოს. რაკი საქმე კერძო კაცთა ხელში არ იქნება და თვით ქალაქის საზოგადო მართველობა გაუძღვება, მაშინ ადვილად მისაწვდენია, ადვილად მოსახერხებელია, რომ სიკეთე დაზღვევისა ყველას მსურველს ერგოს განურჩევლად, დიდის ქონების პატრონია თუ პატარისა. ამისათვის საკმაო თვითონ წესდებაში შეტანილ იქმნას ერთი მუხლი, რომლის ძალითაც ყველას განურჩევლად ნება ეძლეოდეს დააზღვიოს თავისი ქონება. რაკი ამ საურთიერთო ნდობით დაზღვევის საქმეს ასე ადვილად ეშველება, მაშინ სავალდებულო დაზღვევის მომხრეთა თავიანთ საბუთების სათავე მოწყვეტილად უნდა ჩაეთვალოთ. ჩვენის ფიქრით ჯერხანად ჩვენს ქალაქში ესეც უნდა მოხდეს და სავალდებულო დაზღვევა არ უნდა იყოს შეწყნარებული.

ხოლო ამ თეორიულად გამოყვანილს ჩვენს აზრს ერთი სავალი აქვს, რომელიც ერთს ადგილას არჩობს. იქ, საცა ცეცხლის გაჩენა ხშირია ან შენობების აგებულობის გამო, ან იმ ზნისა, რომ მამა-პაპით დარჩენილი ცეცხლის გაუფრთხილებლად ხმარება, ან თვით შენობის მასალა ისეთია, რომ ადვილად მოსაკიდებელია და ამასთან მოუმზადებლობა, მიუხვედელობა და ამათგან წარმომდგარი წინდაუხედავობა ერისა ხვალინდელს განსაცდელს მთელის თავის სიმწვავით თვალწინ არ უყენებს კაცსა, — იქ უბედურობის შიში დაზღვევის ფასის შიშისაგან ძლეულია და დამორჩილებული. ამიტომაც იქ უმეცრებისაგან უფრო ალალბედობაზედ არის მიგდებული საქმე, ვიდრე ჭკუით გამოძიებულ ანგარიშზედ და ერი არა ჰგრძნობს დაზღვევის საჭიროებას იმოდენად, რომ არ დაეძლევინოს დაზღვევის გადასახადის სიმძიმესა და ყველაფერი ამ სიმძიმეს არ დაუქვემდებაროს. აქ რომ თვითვეული ცალკე და ყველანი საერთოდ გადარჩენილ იქმნან იმ უბედურობისაგან, რაიცა ქალაქისათვის

ცეცხლისაგან წარმოსდგება, სავალდებულო დაზღვევა კანონად უნდა იყოს დადებული. მართალია, აქ ხარჯი ჰმატულობს, მაგრამ ჯერ ერთი ესა, რომ, რაკი საურთიერთო ნდობით იქმნება აგებული ეს საქმე, ხარჯი, რაც შესაძლოა, ცოტა იქნება და მაშასადამე, არა დიდსაგრძნობელი და მეორე, ყველას, დიდსა თუ პატარას, იმედი ექმნება, რომ თუ უბედურება შეემთხვა, ზარალისა და დაქცევისაგან დახსნილ იქნება. ეს იმედი ღარიბისათვის უფრო სანატრელია, ვიდრე მდიდ-რისათვის.

ჩვენ რომ წინადა ვსთქვით, — ჩვენის ქალაქის საბჭომ საბუთები სავალდებულო თუ ნებაყოფლობითის დაზღვევისა მთლად არ გამოიძია და ისე გადასწყვიტა: ნებაყოფლობითი დაზღვევა დაიდვას საფუძვლად საურთიერთო ნდობით დაზღვევისათვისაო, — სწორედ ამიტომა ვსთქვით. იმ მხრით, რა მხრითაც ჩვენ ამის ზემოთ მივაქციეთ ყურადღება სავალდებულო დაზღვევის საბუთსა, ქალაქის საბჭომ საქმეს ყური არ ათხოვა. არავითარი ცნობა ჩვენის ქალაქის გარემოებისა და ყოფა-ცხოვრებისა არ წაიმძღვარა წინ და ისე განუსჯელად და ვითარების აუწონ-დაუწონველად მიიღო ნებაყოფლობითი დაზღვევა. თქმა არ უნდა, რომ დაზღვევის საქმეში ესეც წინსვლაა, მაგრამ გამოუძიებლად წინსვლასაც ხშირად სანანური შეცდომაც მოსდევს ხოლმე. ჩვენ ძალიან მოხარულნი ვიქნებით, თუ ალალბედობით ჩვენის საბჭოსაგან მიღებული საფუძველი დაზღვევისა მოსახდენი და შესაფერებელი იქნება ჩვენის ქალაქის ვითარებისათვის.



«რომის პაპების ბრძოლა ძველი დიდების აღსადგენად»

ტფილისი, 3 ივნისი

მას აქედ, რაც იტალია გაერთდა და თავისი დედაქალაქი რომი თავი სატახტო ქალაქად გაიხადა, რომის პაპს ძალაუნებურად ჩამოერთვა საერო მფლობელობა და უფლება იტალიაში. ამით დიდი ძალი და გავლენა მოაკლდა ყოვლად პაპობას, რომელიც ერთს დროს ჰბატონობდა და ბრძანებლობდა თითქმის მთელს ქვეყნიერობაზე და რომლის წარბების მოძრაობასაც შიშით და ზარით უყურებდნენ თვით გვირგვინოსანი მეფენი და ხელმწიფენი ევროპიისანი და არაერთხელ პაპს მუხლმოდრეკით ევედრებოდნენ დალოცვასა და კურთხევასა. ამისთანა ძალამო-სილობაში მყოფს პაპობას, რა თქმა უნდა, მეტისმეტად უნდა სწყენოდა თვისი დაქვეითება, თვისის უფლების მოკლება, რომელიც იმოდენად შეჰვიწროვდა, რომ მარტო საეკკლესიო საქმეებშიღა შეიხუთა და მოძრაობდა.

მაშინდელი პაპი პიოს IX ბევრსა ჰცდილობდა დაკარგული დიდება კვლავ დაებრუნებინა პაპობისათვის, მაგრამ დრომ თავისი გაიტანა და ყოველი მეცადინეობა მისი უქმად დარჩა: საერო საქმეთა მსვლელობაში პაპს ყოველივე ხმა გაუწყდა და ქვეყანა თავის სვე-ბედს აჰყვა ისე, რომ პაპს თითქმის აღარას ეკითხებოდა.

ყველგან, საფრანგეთსა, გერმანიასა და სხვაგანაც, საცა კი კათოლიკენი იყვნენ, დევნა დაუწყეს იმისთანა მოძღვრებას კათოლიკეთა სამღვდელოებისას, რომელიც კვლავ ეტანებოდა საერო უფლების აღდგენას პაპისას. ბოლოს რომ ვერა გაჰხდნენ და ყველგან მარცხი მოუვიდა პაპობას, პიო IX-ს დროს კათოლიკეთა სამღვდელოების კრება მოხდა და დაადგინეს დოღმატი რომის პაპის შეუცდომელობისა და ამით უნდოდათ ძირით თხემამდე პაპობის შერყეულის დიდებისათვის ერთი ძლიერი სვეტი შეედგათ შესამაგრებლად. დაადგინეს ეს დოღმატი, მაგრამ ამით ბევრი არა ეშველა რა ყველასაგან განწირულს პაპობას.

ყოველ ამის მიუხედავად პაპობას კიდევ შეეძლო ძველის დიდებისაგან კიდევ ცოტაოდენი რამ შეერჩინა, თუ რომ მაშინდელი პაპი პიო IX არ გაჯიუტებულიყო და იტალიის საერო უფლების მიერ ყოველს წარდგენილს წინადადებასა პირობაზედ ყოველთვის ერთი და იგივე არ ებძანა: ”არ შემიძლიანო”. ამის მთქმელს პაპს სხვა აღარა დარჩენოდა რა, რომ თავისი თავი ტყვედ გამოეცხადებინა რომში და ვატიკანი, თავისი სამყოფი, საპატიმროდ არ ეცნა. ესეცა ჰქმნა და ეგონა ამით გულს აუმღვრევდა მთელს კათოლიკობას ქვეყნიერობაზედ და პაპის ტყვეობიდან გულ-მოწყლულთა რაიმე მოქმედებაზედ გამოიწვევდა, ვითომდა დატყვევებული პაპის გამოსახსნელად.

რა თქმა უნდა, რომ ამ ამბავმა ცოტაოდნად ააყაყანა ერთგულნი კათოლიკენი, მაგრამ ეს ყაყანი ყაყანად დარჩა და პაპობას მით არა ეშველა რა. ამ ჯიუტობაში აღსრულდა პაპი პიო IX და მის მაგიერ პაპის ტახტზედ დაჯდა დღევანდელი პაპი ლეონ XIII, ეს ჭკვიანი პაპი, შორმხედველი და გამჭვრეტელი მიუჩუმდა და მიუყუჩდა საქმეთა მსვლელობას და თითქო თავის პაპობის დევიზად გაჰხადა ყველასაგან ცნობილი მოძღვრება: “მოთმინებითა თქვენითა მოიპოვეთ სული თქვენიო”.

ამ პაპმა ძალიან კარგად იცოდა, რომ ევროპიის საქმეები მეტად აჭიჭყნილია, აწეწილია და დღეს იქნება თუ ხვალ გაჭირება რომელსამე სახელმწიფოს მოახედებს პაპობაზედ და მისგან შემწეობას მოითხოვს თავის საქმეების წარსამართებლად და დასალაგებლად. ამიტომაც ლოდინი დროთა ცვლილებისა შეიქმნა თითქმის ერთადერთ საგნად ლიონ XIII პოლიტიკისა. პაპი ლეონ XIII ელოდა კარგა ხანს ამ ბედნიერს შემთხვევას და ყოველს მეცადინეობას იმაზედ ჰლევდა, რომ თუ შემთხვევა მიეცა, გამოიყენოს იგი პაპობის დაცემულის აბრუს აღსადგენელად.

პირველი ამისთანა შემთხვევა მაშინ მიეცა პაპს, როცა ისპანიასა და გერმანიას გამწვავებული ლაპარაკი მოუვიდათ კოროლინის კუნძულის გამო და კინაღამ ომამდინაც არ მიაღწია. გერმანიამ, ანუ უკედ ვსთქვათ, თ. ბისმარკმა მოჰმართა პაპს და შუაკაცობა სთხოვა, მოგვარიგეო. ძლიერი გერმანია, ყოვლად ძლიერი თ. ბისმარკი პაპს შემწეობასა, შუაკაცობასა სთხოვს — ეს პაპის აბრუსა და თავმოწონებისათვის მეტისმეტი საამური საქმე იყო, მით უფრო, რომ ისპანიაც ამის შუაკაცობაზედ თანახმა გახდა. პაპმა სიხარულით იკისრა შუაკაცობა და ასე იყო თუ ისე, მოარიგა ორი, ერთმანეთზედ აშლილი სახელმწიფო.

გავიდა დრო და შარშან თ. ბისმარკი დაეტაკა გერმანიის პარლამენტსა შვიდწლეულის სამხედრო კანონის გამო. იქამდე მივიდა, რომ თ. ბისმარკი იძულებულ გახდა დაეთხოვა პარლამენტი, რომელიც ამ კანონს მეტისმეტად ეურჩებოდა კათოლიკეთა დასის მოთავეთა წინამძღოლობით. დაითხოვა პარლამენტი და ახალი არჩევანები დანიშნა, მაგრამ შიში ჰქონდა, ვაითუ გერმანიის ერმა ჩემის კანონის წინააღმდეგი კაცები ამოირჩიოს, რადგანაც კათოლიკეთა დასის მოთავენი ამას ეცდებიანო. ამის გამო ხელმეორედ მიჰმართა ბისმარკმა პაპსა და სთხოვა: იმოქმედე კათოლიკებზედ, რომ ეს საქმე არ დამმართონო და მეც გერმანიაში შენს უფლებას გზას გავუხსნი და ამას

გარდა ვეცდები იტალიის მეფესთანაც მოგარიგოვო. პაპმა, რასაკვირველია, დიდის სიამოვნებით შეიწყნარა თხოვნა ბისმარკისა და ყველამ იცის რარიგად ჩაერია პაპი ამ არჩევანების საქმეში და რარიგად ძლიერ შეეწია ბისმარკსა. თ. ბისმარკმა თავის დაპირებისამებრ მისცა კათოლიკეთა სამღვდელოებას გერმანიაში გაძლიერებისათვის ზოგიერთი შეღავათი, რომელიც პაპმა ჯერხანად საკმარისად იცნო. გარდა ამისა თ. ბისმარკმა გაუბა ლაპარაკი იტალიის მეფესაცა, რომ პაპთან როგორმე მოარიგოს. მორიგებისათვის დღეს გზა გახსნილია და თვით იტალიის მინისტრებიც ამის იმედს იძლევიან. ამას წინად პარლამენტში ჰკითხეს მინისტრებს: მართალია თუ არა, რომ პაპს ურიგდებითო? მინისტრებს უპასუხნიათ: ქვეყანაზედ მოურიგებელი არა არის რაო, დრო და ჟამი უკეთესი შუაკაცია მოურიგებელის მოსარიგებლადაო. ამ პასუხისაგან სჩანს, რომ საქმე დამში მოდის.

აბრუმ პაპობისამ ამ გზით თანდათან თავი იჩინა და წინ წამოწია. დღეს ინგლისიც, რომელიც აქამომდე თითქმის არაფრად აგდებდა პაპობასა, იძულებულ გახდა პაპს თხოვნით მიჰმართოს. ირლანდია, როგორც მოგეხსენებათ, არ უწყნარდება ინგლისსა და რადგანაც ირლანდიელნი კათოლიკეთა სარწმუნოებისანი არიან და იქაური სამღვდელოება ძალიან ზედმოქმედებს იქაურს ერზედ ინგლისის წიმნააღდეგ, ამიტომაც ინგლისის მთავრობა, გაზეთების სიტყვით, დღეს მისდგომია პაპს და სთხოვს, შემეწიე და იქაური სამღვდელოება, რომელიც თქვენ ხელთ არის, დააწყნარეო.

არ ვიცით ჯერ, რას იზამს ამ თხოვნის გამო პაპი და ეს კი ვიცით, რომ ეს უტყუარი ნიშანია, რომ მნიშვნელობა პაპისა ქვეყნის თვალში იზრდება და ჰმატულობს. საქმეთა მსვლელობამ ავსტრიასაც გაუხადა სახვეწარი და იგიც სავედრებლად მიმართულია პაპისაკენ. საქმე ის არის, რომ სლავიანები-კათოლიკენი ამ უკანასკნელ დროს სთხოვდნენ, პაპს

ნება მოგვეცით სლავიანურს ენაზედ წირვა-ლოცვა ვიქონიოთო, რადგანაც დღეს აქამომდე წირვა-ლოცვა ლათინურს ენაზედ ჰქონდათ. პირველ ხანში პაპმა თავი ისე აჩვენა, ვითომ თქვენი თხოვნა ადვილად შესაწყნარებელიაო. ავსტრია მიუხვდა ამას და შეჰშინდა: ეს რომ ასე მოხდეს, სლავიანური ელემენტი გაძლიერდება ჩემს სამფლობელოშიო და დღეს ემუდარება პაპს, ნუ მისცემ მაგის ნებასაო. რა თქმა უნდა, პაპი ამ ამბავს კარგად გამოიყენებს და ავსტრიას თავის გაძლიერებისათვის გამოსთხოვს რასმე და აქაც მისი გავლენა და სახელი ფართო გზას გაიხსნის.

ამ სახით გამოდის, რომ ლეონ XIII–ის ლოდინობის პოლიტიკას იმედები არ უმტყუნდება და დღედადღე პაპობა ევროპაში გაძლიერდება და აბრუსა და სახელს იკეთებს. თუ ამ გზაზედ იარა და საქმეთა ცვლილებამ არ შეაყენა ეს სიარული, მაშინ ევროპის პოლიტიკაში რომის სამღვდელოებაც თავის ადგილს დაიჭერს და თავის ფერს და მიმართულებას დააჩნევს. ძნელად საფიქრებელია, რომ პაპობამ უწინდელი დიდება და რიხი დაიბრუნოს, მაგრამ ევროპიის კონცერტში კი რომ ამასაც ერთი ხმა ექმნება, ეგ კი უეჭველია. რისი ნიშანია ესა: წინმსვლელობისა, თუ უკან დახევისა, ეგ თვითონ მკითხველმა გამოიცნოს.

«ტფილისის ულარიბეს მკვიდრთათვის საკვირაო სკოლის გამართვის სიკეთე»

ტფილისი, 4 ივნისი

მდაბიო ნაწილი ერისა, რომელიც შინ უილაჯობის გამო დიდს ქალაქებს ეტანება ლუკმა-პურის საშოვნელად და თვით ქალაქის მკვიდრთა მომეტებული ნაწილიც დღიურის მუშაობით ინახავს თავსა და ცოლ-შვილსაც. ამისთანა კაცის ერთადერთი სახსარი ცხოვრებისა მაჯაა და ერთადერთი გზა — გარჯა. მაჯას გაჩენის მიზეზიც არ ექნებოდა, თუ იგი საწარმოებლად არ იმოქმედებს და გარჯას კიდევ აზრი დაეკარგებოდა, თუ ქვეყანაზედ კაცს გაურჯელად ეძლეოდეს რამე. ამიტომაც მაჯა და გარჯა ფარხმალია ადამიანისა ქვეყანაში ცხოვრების სვის გასატანად და ერთიც და მეორეც ფრიად პატივსადებია, პატივსაცემია, ვითარცა ერთადერთი სათავე იმ წყაროსი, საიდამაც მოედინება ეგრედწოდებული სიმდიდრე, ესე იგი, სარჩო-საბადებელი ერისა.

ცხოვრების წაღმა-უკუღმად მსვლელობამ საქმე ისე მოაწყო, რომ მაჯის პატრონს და გარჯის გამძღოლს მარტო იმოდენა მოუთალა მის მიერ შექმნილ ავლა-დიდებისაგან, რაც ძლივძლივობით საკმარისია მარტო იმისათვის, რომ დღე-დღეურად თავი იკვებოს. ძნელად, ძალიან ძნელად გამოსარჩომი მაჯით მცხოვრებისა ამ ხაზს გადასცილდება; პირიქით, ხშირად დასცილდება

კიდეც ხოლმე და მაშინ მუშაკაცი ნახევარზედ მშიერია, თუ სულ ულუკმაპუროდ არ არის დარჩენილი. რაკი ეს ეგრედწოდებული რკინის კანონი ეხლანდელის ცხოვრებისა ასე მოუდრეკელად და ულმობელად მოქმედობს, აშკარაა, მუშაკაცი ყოველ ცისამარა დღეს წელებზედ ფეხს უნდა იდგამდეს, რომ დღე-დღეურად ხორციელი მოთხოვნილება აძღოს და ჰკვებოს იმოდენად მაინც, რომ ცხოვრებას ღონე ჰქონდეს განგრძობისა. ამიტომაც მუშაკაცი კვირაში მთელი ექვსი დღე იბრძვის, რომ წუთისოფლის სუფრაზედ თავისი დღიური კერძი იქონიოს.

მისი ყოფა-ცხოვრება მით უფროა გულშესატკივარი და თანაგასაზიარებელი, რომ დრო აღარ ჰრჩება, ადამიანმა ადამიანურად კვირაში ერთი დღე მაინც გაატაროს, ესე იგი, სულიერი სიამოვნება რამ მოიპოვოს. თვით ჩვენმა საღმრთო მოძღვრებამ საჭიროდ დაინახა კვირაში ერთის ამისთანა დღის დაწესება, როდესაც მუშამაც კი უნდა შეისვენოს სახორცე მზრუნველობისაგან და ყური ათხოვოს და საზდოება რამ მიაწოდოს იმ უკეთეს ნაწილსაც ადამიანის ბუნებისას, რითაც იგი ღვთის სახედ და მზგავსებად ცნობილია. კარგია თუ ექვსის დღის გარჯამ ხორცისათვის იმოდენა მიაწვდინა, რომ მეშვიდე დღისათვისაც გადარჩა რამ და ხორცისათვის მზრუნველობა აღარ შეილევს ამ ერთადერთს კაცურად საცხოვრებელს დღესაც.

სანატრელია, რასაკვირველია, რომ ეს ზოგისათვის და, ჩვენში ითქვას, უფრო ბევრისათვის მამინაცვალი წუთისოფელი უფრო მადლიანად მიმავლობდეს და ყოველს კაცს ღონეს და სახსარს აძლევდეს, რაც შესაძლოა მეტი დრო გადაარჩინოს ადამიანის იმ უკეთესის ნაწილის საოხად, რომელიც ზევით მოვიხსენიეთ. რაკი ეს დროთა ვითარების გამო არ არის, მით უფრო საჭიროა უუწმინდესს ვალად იდვას საზოგადოებამ, რომ იგი ერთადერთი კვირა დღე, რომელსაც მუშაკაცი გამოიხსნის ხოლმე სახორცე

მზრუნველობისაგან, ექვსის დღით დაღლილს და არაქათგაწყვეტილს მუშაკაცს სულიერის სიამოვნებით გაეტარებინოს, ასე, რომ მისმა სულმა, გულმაც ირგოს რამ და ამ რგებაში ჰნახოს თვისი კაცური წარმატება, თვისი ადამიანური განკარგება.

ამიტომაც მთელის ჩვენის გულითადის თანაგრძნობით ვეგებებით იმ ბედნიერს და კაცთმოყვარულს აზრსა, რომელიც გაზეთის "Кавказъ"-ის სიტყვით, მოსვლია ტფილისის სახელოსნო სკოლის გამგებლობასა. გაზეთი გვაცნობებს, რომ ამ სკოლის გამგებელი მმართველობა შუამდგომლობს მთავრობასთან და ითხოვს საკვირაო და საუქმისწულო სკოლის გამართვის ნებართვასა. საგანი ამ სკოლისა ის იქნება, რომ ტფილისის უუღარიბესს მკვიდრთა საერთოდ და ხელოსნებსა და ქარგლებს განსაკუთრებით მაშინ, როცა იგინი მუშაობისაგან მოცლილნი არიან, იმისთანა პირველდაწყებითი სწავლა და ცნობანი შესძინონ, რომელნიც ზნეობის აღმატებას, დანერგვას და განვითარებას ხელს შეუწყობენ. ამ გზით ტფილისის მუშაკაცს გზა ეხსნება კვირა და უქმე დღეს სულსაც და გულსაც მცირეოდენი საზდოება აძლიოს და ამით გამოვლილის ჯაფის სიმწვავეც ცოტად თუ ბევრად დაინელოს და ხვალინდელის დღის ჯაფაშიაც მაჯის ძალსა სულისა და გულის ღონეც შიგ ჩაურთოს საშველად იმ იმედით, რომ მოვა კვირა და უქმე დღე და იგიც ცოტად თუ ბევრად დაეწაფება წყაროს კაცურის ცხოვრებისას და მაშასადამე, კაცურის სიამოვნებისას. უარარაობაშიც ესეც ნუგეშია: საცა ბევრი არ არის, იქ ცოტაც სანატრელია.

ვისურვოთ რომ ეს ბედნიერი აზრი აუსრულდეს სახელოსნო სკოლის მოთავეთა და წინამძღოლთა.

«სატამონჟო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა»

ტფილისი, 5 ივნისი

ჩვენ დროში ქვეყნის საქმეებმა ისეთი ძირი გაიკეთა, ისეთი მიმართულება და ხასიათი დაიჭირა, რომ დღეს ყოველს ცალკე სახელმწიფოს შეუძლიან თავისი მოპირისპირე, სამტროდ მოცილე სახელმწიფო უომროდ ომზედ არანაკლებ დააზიანოს. თუ გნებავთ, ეს ახალი სამტრო სახსარი იგივ ომია და ზოგჯერ ომზედაც უარესი, მაგრამ სისხლდაუღვრელი ომი კია, იმისთანა ომი, საცა არც ზარბაზნის გრიალია, არც ხმლის ტრიალი.

ამისთანა ომის მოედნად საეკონომიო ყოფაცხოვრებაა, ესე იგი ომისთანა განსხვავებული ვითარება და გარემოებანი, რომელთა საერთო კრებული ჰქმნის მეტნაკლებობას სიმდიდრისას ერისას და ქვეყნისას. დღეს ძლიერი სახელმწიფო იგია, ვინც მდიდარია და ვისაც, მაშასადამე, მეტი შეძლება აქვს ბევრი გასწიროს და მაინც სახსარი შერჩეს ცხოვრებისა. დღეს ცარიელი მკლავი იმოდენად ვეღარა სჭირს, რაც სავსე ჯიბე; დღეს იგია უძლეველი, ვინც უფრო დიდხანს და ხანგრძლივ გაუძლებს საომარს ხარჯსა, ომის შემმუსვრელს ჭირსა და ვაგლახსა. დღეს ინგლისი რომ გულზვიადად არის, რომ გაბედულად და კადნიერად ეტანება ყოველს საქმეს ევროპის საერთო

პოლიტიკისას და საითაც გაიწევს, თითქმის იქით გააქვს სვე დღევანდელის სამკალისა, ამის მიზეზი ჯართა სიმრავლე კი არ არის, არამეს გატენილი ჯიბეა. არც ერთი დიდი სახელმწიფო არ არის ევროპაში, რომ ჯარი ინგლისზედ ერთიორად და ერთი-სამად მეტი არა ჰყვანდეს და ერთი-ორად, ერთი-სამად უკეთესად მოწყობილი, მაგრამ კი ინგლისს ქვეყნის საქმეთა დალაგებასა და განკითხვაში სხვაზედ თუ არ მეტი, ნაკლები ხმა არა აქვს მარტო იმით, რომ ძლიერია ჯიბითა.

დღევანდელი ტოკვა თვითვეულის სახელმწიფოსი, შიგნეული რომ კარგად გავუსინჯოთ, სხვა არა არის რა, თუ არ ის, რომ საპოლიტიკო ეკონომიის ბრძოლის მოედანზედ რაც შეიძლება მომეტებული ადგილი დაიჭიროს, ფართო გზა გაიკაფოს, დიდ არხები გასჭრას სიმდიდრის მოსადინებლად, სხვისი იეფად და ცოტა იყიდოს და თავისი ძვირად და ბლომად გაასაღოს. დღევანდელს ბრძოლას და ცილობას სახელმწიფოებისას დღეს სარჩულად უფრო ეს სიხარბე უდევს, ვიდრე სხვა რამ; ამისთვის იღწვიან, ამისთვის ემზადებიან, ამისთვის თოფ-იარაღს ხელს ჰკიდებენ.

დიპლომატიამ დიდი ხანია მიაგნო ამ საეკონომიო გარემოებათა ძალმომრეობას, დიდი ხანია იცნა მისი ძალ-ღონე სახელმწიფოს გაძლიერების მეტნაკლებობისათვის. ამიტომაც საშინაო და საგარეო პოლიტიკამ თვითვეულის ცოტად თუ ბევრად შემძლებელის სახელმწიფოებისამ თავისი ზომა მიიღო, რომ სახელმწიფომ, რაც შესაძლოა, დიდი და ბევრს ადგილას ბაზარი იქონიოს თავის საქონლის გასასაღებლად ქვეყნის მოედანზედ და სხვისას კი კარი შიგნიდამ ურდულით მაგრა გამოუკეთოს.

პირველის აზრის მისაღწევად ის ღონე იხმარეს, რომ საგარეო პოლიტიკა სახელმწიფოსი კოლონიების და სხვა ქვეყნების დაპყრობაზედ მიჰმართეს, სახელდობრ იმისთანა ადგილებისაზედ, საცა და საიდამაც საქონლის მიტანა და მიწვდენა თავისუფალად

შეიძლებოდა აღებმიცემობის გასამართავად, — და მეორეს მისაღწევად ისა, რომ თავ-თავის სახელმწიფოებს საბაჟო ზღუდეები შემოავლეს. პირველ ხანებში პირველს მიმართულებას უფრო მეტი უპირატესი და უაღრესი ადგილი ეჭირა ევროპის პოლიტიკაში და ყოველი სახელმწიფო, რომელსაც კი (როგორც, მაგალითებრ, ისპანიას, საფრანგეთს, ინგლისს, იტალიას) გზა თავისუფალი ჰქონდა ზღვებზედ სავლელად, მიესია სხვა შორეულს ქვეყნებს დასაპყრობად, და ვისაც ზღვის გზა არა ჰქონდა, როგორც, მაგალითებრ, რუსეთს, მან ზღვებისაკენ გაიწია, რომ კარი გაიღოს შინიდამ გარედ გასასვლელად.

ეს მიმართულება ერთს დროს ისე გაძლიერებული იყო, რომ თვითვეული დიდი სახელმწიფო თითქმის მარტო ამისათვის იყო მოცლილი და თითქმის მარტო ამას ალევდა თავის ძალ-ღონესა. მაშინ, ვინც რა მოასწრო და შეირჩინა, დღეს თვითვეულს ხელთ უპყრია და მაგრად ეჭიდება. მას აქედ ეს მიმართულება ცოტად თუ ბევრად განელდა, დაწყნარდა, ჯერ იმიტომ, რომ თითქმის რაც სახარბიელო ადგილები იყო, უკვე დაჭერილია, და მერე იმიტომ, რომ თვითონ კვლავ დასაჭერი ქვეყნები თავგამოდებით ეურჩებიან უცხოთა ზედმისევასა და ისე ადვილად აღარ უვარდებიან სხვას ხელში, როგორც უწინ, ამას გარდა, თვით სახელმწიფოთა შორის ცილობა და შური ყველგან მოსარჩლეს უწევს დასაჭერად ნიშანში ამოღებულს ქვეყანასა, თუ ერთი მათგანი სხვის დაუკითხავად წაეტანა. დასაჭერი ქვეყნები ამ სარჩლში, შურისა და ცილობისაგან გამოწვეულში, თავის დასახსნელს ღონესა ჰპოებენ, როცა გაუჭირდებათ ხოლმე.

ამის გამო, თუ სხვა მიზეზით, ამ მიმართულებისაგან მოიცალა სახელმწიფოთა პოლიტიკამ და ცოტად თუ ბევრად სხვა პოლიტიკისათვის ადგილი დაათმობინა. დიპლომატიამ იგრძნო, რომ დაზიანება სხვა

სახელმწიფოსი მარტო იმით არ მოხდება, რომ სხვაგან ბევრს ადგილას ბინა და ფეხი მოიკიდოს საალებმიცემოდ; შესაძლოა მოცილე და სამტროდ თავგამოდებული სახელმწიფო სხვა გზითაც შეჰხუთოს. ეს გზა ის არის, რომ მისი საქონელი თავის სამზღვრებში არ შემოუშოს, არ გააჭაჭანოს, ამისთანა დამოჟნები და საბაჟოები დაჰმართონ და ამით ბაზარი აღებმიცემობისა ცოტად თუ ბევრად მოაკლონ და დაუკეტონ.

ძალმომრეობა დამოჟნებისა და საბაჟოებისა დიდია ქვეყნის საეკონომიო ცხოვრებისათვის. საბაჟო გადასახადის მეტნაკლებობაზედ ბევრი რამ არის დამოკიდებული როგორც სხვა სახელმწიფოებისათვის, ისეც თვით ბაჟის დამდებისათვისაც. ამ ბაჟს შინაც და გარეთაც ბევრი წყენა შეუძლიან, თუ კაცი გაუფრთხილებლად და წინდაუხედავად მოიქცა. რადგანაც ესეა, დღეს თვითვეული მოცილე სახელმწიფო ჰცდილობს თავის მოპირისპირეს ამ მხრით ავნოს რამე და საქონელს, რომლის სიმრავლითაც მოპირისპირე სახელმწიფო სცხოვრობს და იკვებება, იმოდენა ბაჟი დასდოს, რომ სახსარი და ილაჯი არა ჰქონდეს, გაიჭაჭანოს ბაჟის დამდებს სახელმწიფოს ბაზარში.

ეს ორპირი მახვილია, თუ ზოგიერთს მეცნიერებს ვკითხავთ: ერთის პირით სახელმწიფო ჰვნებს სხვას და მეორითა თავის საკუთარს თავსაო. ასეა თუ არა, ამას შემდეგ წერილებში გამოვიძიებთ შეძლებისამებრ.

ჩვენა ვსთქვით, რომ უცხო ქვეყნების საქონლის შემოტანაზედ დადება ბაჟისა, ანუ, უკედ ვსთქვათ, გადასახადისა, ახალი ამბავი არ არის კაცობრიობისათვის. ეგ ბაჟი, ანუ გადასახადი, არამცთუ გარედამ შემოსატან საქონელზედ იყო უწინ, არამედ შინაურს საქონელზედაც. ამიტომაც შინაც ზოგიერთგვარ საქონლისათვის ჰქონდათ ხოლმე გამართული საბაჟოები და ზოგიერთი საქონელი ერთსა და იმავე სახელმწიფოში ერთის ადგილიდამ მეორეში ვერ გადავიდოდა უბაჟოდ. ამ უკანასკნელმა წყობილებამ თავისი დრო მოჭამა და დღეს პირველსაჭიროდ სახმარი საქონელი ყველგან ამ ბაჟისაგან დახსნილია. თუ არის კვლავ რაზედმე, მარტო იმისთანაზედ, ურომლისოდაც კაცს გაუჭირებლად ცხოვრება შეუძლიან და რომელიც უფრო განსაცხრომია და საქეიფო, ვიდრე საჭირო, მაგალითებრ, არაყი, თამბაქო და სხვა მისებრი.

ჩვენ ამ შინაურს ბაჟზედ დღეს სიტყვის ჩამოგდება არ გვინდა. ჩვენი სურვილია ვაუწყოთ ჩვენს მკითხველს ზოგიერთი რამ იმგვარს ბაჟზედ, რომელიც უცხოთა ქვეყნების საქონელზეა მიმართული. ამგვარი ბაჟი განსაკუთრდა მეშვიდმეტე საუკუნეში და სულ ცალკე, საკუთრად მისი შესაფერი წყობილება მიიღო. ამ ბაჟს ეხლა "სადამოჟნო" ბაჟს ეძახიან და თუ საქონელმა რომელსამე ქვეყანაში შემოსვლის უმალვე ეს ბაჟი არ გადაიხადა, ბაზარში ვერ გაიჭაჭანებს.

თავდაპირველად ამგვარის ბაჟის დადგენას და შემოღებას მარტო საფინანსო მიზეზი და საბუთი ჰქონდა, როგორც სხვა ყოველგვარს ბაჟსა. სახელმწიფო ჰფიქრობდა ამით ერთი მეტი წყარო ჰქონიყო შემოსავალისა და დღეს ეს არაპირდაპირი გადასახადი კარგა დიდს ლუკმას იძლევა სახელმწიფო ხაზინისათვის, თუკი სახელმწიფოს ეს საქმე კარგად მოწყობილი აქვს. ხოლო თვით საქმის მსვლელობამ

დროთა განმავლობაში აჩვენა სახელმწიფოს მმართველთა, რომ ეს სადამოჟნო ბაჟი არამცთუ საფინანსო, არამედ საპოლიტიკო და საეკონომიო აზრითაც შეიძლება სახელმწიფომ გამოიყენოს. მიაგნო, რომ შესაძლოა ამით უმტრონ კიდეც სხვა სახელმწიფოსა, რომელსაც საქონელი შემოაქვს და შემწეობაც აღმოუჩინონ შინაურს მრეწველობასა გაძლიერებისათვის.

ქვეყანა ისეა განგებული და განწყობილი, რომ რაც ერთს ბევრი აქვს, ის მეორეს ნაკლები და ეს მეტნაკლებობა იძულებულჰყოფს ყოველს ცალკე სახელმწიფოს თავისი მეტი გაიტანოს სხვაგან გასასყიდად და რაც აკლია, შემოიტანოს სხვისაგან სყიდვითვე. ამ მეტნაკლებობის გამო თვითვეული სახელმწიფო სხვისი მუშტარიც არის და თავის საქონლის გამსყიდველიცა, ესე იგი ამღებიც არის და გამცემიცა. აქედამ არის წარმომდგარი ერთთაშორისი აღებმიცემობა, ვაჭრობა.

რა თქმა უნდა, რომ იგი სახელმწიფო არის მოგებაში ხოლმე, რომელიც თავის მეტს ბლომად ასაღებს და სხვისას ნაკლებ ჰსაჭიროებს, რომელიც თავის მეტს ბლომად ჰყიდის და სხვისას კი ცოტას ჰყიდულობს. ამ ბევრის გაყიდულისაგან ცოტას ნასყიდის ფასი რომ გამოითვალოს, დანარჩენი იმ ნატამალს შეადგენენ, რომელიც წმინდა მოგებაა სახელმწიფოსი. ეგრედწოდებული სავაჭრო ბალანსი იგი სასწორია, რომელიც ამ ნატამალის მეტნაკლებობას აჩვენებს და როცა ამ სასწორზედ გაყიდულის ფასი მეტია ნასყიდისაზედ, მაშინ იტყვიან ხოლმე: სავაჭრო ბალანსი ჩვენი სასარგებლოა, და როცა არა, საზიანოაო.

აქედამ აშკარადა სჩანს, რაზედ უნდა მიქცეული იყოს მეცადინეობა ყოველის სახელმწიფოსი საერთთაშორისო აღებმიცემობის საქმეში: უნდა ყოველი ღონე იღონოს, რომ თვითონ რაც შეიძლება ნაკლებ გაუწიოს მუშტრობა სხვის საქონელსა და სხვა კი

თავის საქონლისათვის დიდ მუშტრად აიჩინოს. აი, სწორედ აქა და აქედამ ჰმტრობენ ხოლმე ერთმანეთს სახელმწიფოები, როცა ერთმანეთს აეშლებიან. აი, მაგალითად, თუნდ ინგლისი ავიღოთ. ეკონომიური ძალღონე საკუთრივ ინგლისისა საფაბრიკო და საქარხნო საქონელია. ამგვარი საქონელი ისე ბლომად აქვს, რომ ძლივსძლივობით ასაღებს ამ მთელს ქვეყნიერობაზედ. ვსთქვათ ამისთანა დიდმა სახელმწიფომ, როგორც რუსეთია, რომელსაც ასი მილლიონი მკვიდრი ჰყავს, არ შემოუშვა ინგლისის საქონელი თავის ქვეყანაში და კარები გამოუგულა. აშკარაა, ასის მილლიონის მუშტრის მოკლება დიდად საგრძნობელი და საზიანო უნდა იყოს თუნდ იმისთანა სახელმწიფოსათვის, რომელსაც სხვა ბაზრები აქვს თავისის გონიერებით წინადვე დაჭერილი. რამოდენადაც ეს ასი მილლიონი მუშტარი სიმდიდრეს შესძენდა ინგლისს, როცა მის საქონელს იყიდდა, სწორედ იმოდენად გააღარიბებს, როცა აღარ იყიდის და გაღარიბება ხომ უღონობაა. უღონობა მტრისა, თუმცა ღონეს არა ჰმატებს მოპირდაპირესა, მაგრამ ძლევის იმედს კი უძლიერებს და მტერს გზიდამ აცლის.

რასაკვირველია, სახელმწიფონი, რომელნიც საომრად გადაკიდებულნი არ არიან, ვერ გაუბედვენ თავისის ქვეყნის კარები გულახდილად და პირდაპირ ჩაუკეტონ ერთმანეთსა, რაც უნდა სამტროდ გული უცემდეთ. ესეთი ქცევა შესაძლოა ომის მიზეზადაც შეიქმნეს და ჩვეულებად მიღებული არ არის ევროპის პოლიტიკაში. რომ ეს ასე არ მოუხდეთ, სხვა გზით მოუვლიან ხოლმე საქმეს, როცა ერთსა ჰსურს მეორეს ავნოს და ზიანი მიაყენოს. ღონე რასაკვირველია, ისევ იმ "სადამოჟნო ბაჟსა" ჰხმარობენ, რომ სხვის საქონელის დენას გზა გადაუღობონ, აიღებენ ხოლმე, ამ ბაჟს იმოდენად გაადიდებენ და მით საქონლის ფასს იმოდენად ასწევენ, რომ კაცი დღის სავალზედაც ვერ მიეკარება.

იტყვიან, ეგ ხომ ისევ იმ კარის დაკეტა გამოვიდაო, მართალია, მაგრამ აქ ერთი იმისთანა პატივსადები მიზეზი მოჰყავთ ხოლმე, რომ გულნატკენს სახელ-მწიფოს ხმაც ვერ ამოეღება, თუმცა გულში კი ჰგრძნობს, რომ მოპირისპირე ერთსა ჰკაკანებს და კვერცხს კი სხვასა სდებს. მიზეზად იმას ამბობენ, რომ იმ საქონლის შექმნა, რაც სხვიდამ შემოგვაქვს, ჩვენც შეგვიძლიანო; ამ შეძლებას აბრკოლებს ის გარემოება, რომ სხვის საქონელი ჩვენს შინაურს ბაზარში სჩაგრავს და გზას არ აძლევს ჩვენს საქონელსა; როცა სხვის საქონელს ჩვენის ბაზრიდამ დავითხოვთ, მაშინ ბურთი და მოედანი ჩვენს ერსავე დარჩება, და რადგანაც საქონელი ერისათვის საჭიროა და რადგანაც როგორც გიჭირს, ისეც გიღირს, ამიტომაც ჩვენი ერი მოჰკიდებს ხელს მაგ საქონლის მრეწველობასა, მრეწველობა გაძლიერდება, ერი გამდიდრდება და თავისას თვითონვე გაჰყიდის და იყიდისო. ამ სახით ერის პირიდამ გადავარდნილი ლუკმა მის ჯამშივე ჩავარდება.

რა თქმა უნდა, რომ როცა სახლში შიმშილით ბალღები გიტირიან, მაშინ ტაბლის გარედ გატანა სულელობაა; როცა კაცს თვითონვე შეუძლიან თავის საქმეს გამორჩეს რასმე, მაშინ უჭკუობა იქნება, თვითონ გულხელი დაიკრიფოს და გამოსარჩომი სხვას დაანებოს. მაგრამ საკითხავი ეს არის, მართლა ეგრე მოხდება ხოლმე, როცა სხვის საქონელს ბაჟის შემწეობით გზას არ აძლევენ?

მეცნიერებამ დიდი ხანია ყურადღება მიაქცია ამ საკითხავს და ბევრი ჰო და არა ითქვა ამის გამო. დღეს ამ საგანზედ გადაწყვეტილი პასუხი არ არის მოცემული მეცნიერებისაგან. ამ საგანზედ ორგვარი წყობაა აზრისა, ერთმანეთის მოპირისპირე: ერთს ფრიტრედერობას ეძახიან და მეორეს პროტექციონობას, დღეს არც ერთს ჟურნალს და არც ერთს გაზეთს ისე ვერა ჰნახავთ, რომ ამ ორში ან ერთს სახელს არ ახსენებდეს და ან მეორესა. ამიტომაც არ იქნება ჩვენ

მიერ მეტი, გამოვირკვიოთ, რა იგულისხმება ან ერთს სახელწოდებაში, ან მეორეში. ეს გამორკვევა მით უფრო საჭიროა, რომ ზოგიერთმა სახელმწიფომ ამ ბოლოს დროს ერთხელ ქებულს ფრიტრედერობას თითქო ზურგი შეუქცია და ერთხელვე გმობილს პროტექციონობას მოჰკიდა ხელი, იმოდენად თავისად გამოსარჩომად არა, რამოდენადაც სხვის სამტროდ და საზიანოდ.

ჩვენი გაზეთის №№ 112 და 113 ლაპარაკი ჩამოვაგ-
დეთ ფრიტრედერობასა და პროტექციონობაზე,
რომელნიც ორს სხვადასხვანაირს სისტემას შეადგენს
შინაგანთა საქმეთა წყობისა და მსვლელობისათვის.
რადგანაც დღეს არც ერთი პუბლიცისტი არ არის, რომ
რომელსამე ჟურნალსა ანუ გაზეთში ან ერთს, ან
მეორეს სისტემას არ ურჩევდეს თავის მთავრობასა,
ამიტომაც საჭიროდ დავინახეთ ცოტად თუ ბევრად
გვცოდნოდა, რაში მდგომარეობს ან ერთისა და ან
მეორის არსება და ბუნება.

ამ ორსავე სისტემას ცალ-ცალკე დიდი
ლიტერატურა მიუძღვის წინა; ბევრი რამ არის ერთსა
და მეორეზედაც თქმული, მაგრამ ჩვენ ყოველს ამას
ვერ გამოვუდგებით, რადგანაც სამეცნიერო ტრაქტატს
არა ვწერთ. ამიტომაც ნუ დაგვემდურებიან, თუ ჩვენ
მარტო მოკლედ ახსნას და განსაზღვრას მოვუნდებით
თვითვეულის სისტემისას.

ფრიტრედერობა წარმომდგარია ინგლისურის
სიტყვისაგან free trade და სიტყვასიტყვით რომ
ითარგმნოს, ჰნიშნავს: აღებმიცემობის თავისუფალებას.
მოძღვრება მეცნიერობისა, რომელიც ჰქადაგებს
აღებმიცემობის თავისუფალებასა, იმაში მდგომარეობს,
რომ სააღებმისაცემო საქონელი, შინაური თუ გარედამ
შემოსული, ყოველის ბაჟისა და გადასახადისაგან
დახსნილი იყოს და არა რომელისამე კანონმდებლო-
ბისაგან შეხუთული არ უნდა იქმნას. ეს მოძღვრება
იმაზეა დაფუძნებული, რომ თავისუფალად მოარული
საქონელი, არშეხუთული არც ბაჟისა და არც რაიმე
ფორმალობისაგან, ყველასათვის ადვილად მოსაპო-
ვებელია და მისაწვდენი, — ჯერ იმის გამო, რომ
გახშირებულია და მერე იეფია, რადგანაც ბაჟისა და ან
რაიმე შევიწროებისაგან განგებ ფასაწეული არ არის.
მართალიც არის. ბაჟი, დიდია თუ მცირე, განგებ
ზედშეკეცილი გადასახადია, და რამოდენადაც იგი

დიდია, იმოდენად განგებ აძვირებს საქონელსა და ამ
გზით საქონლის ფასი, რომელიც თავის საკუთარის
არსების კანონებისაგან განისაზღვრება და დაიდგინება
ხოლმე, ბაჟისა და სხვა რაიმე შევიწროების მეტნაკლე-
ბობასაც უნდა ექვემდებარებოდეს და ეკითხებოდეს.
სახელმწიფო, რომლის მიზეზი და საბუთი არსებობისა
სხვა არა არის რა, თუ არ მკვიდრთა კეთილდღეობი-
სათვის მზრუნველობა, უნდა იმასა ჰცდილობდესო,
ამბობენ ფრიტრედერობის მომხრენი, რომ ცხოვრები-
სათვის საჭირო საქონელი ადვილად და იეფად
მოსაპოებელი იყოს ყოველის მკვიდრისათვისო, რად-
განაც მკვიდრი კაცი მით უფრო ეკონომიურად
ბედნიერია, რამოდენადაც უფრო სავსედ, უფრო მთლად
ჰშოულობს სარჩო-საბადებელსა და რამოდენადაც
უფრო ბევრს საჭიროებას ცხოვრებისას იკმაყოფილებს
ადვილად და გაუჭირებლადო.

ამ მოძღვრებამ ფეხი აიდგა ევროპაში ადამ სმიტის*
მეცადინეობითა. ეგ ადამ სმიტი მამამთავრად ითვლება
საპოლიტიკო ეკონომიის მეცნიერებისა. რა თქმა უნდა,
პირველ ხანებში ეს მოძღვრება თმას ყალხზედ
აუყენებდა კაცობრიობას და კაცობრიობის სვე-ბედის
გამგებელთა, რომელთაც ხშირად შეჩვეული ჭირი
ურჩევნიათ შეუჩვევარს ლხინსა. მით ამ ადამ სმიტის
მოძღვრებას ბევრი არა დააკლო რა და თანდათან
უფრო ძლიერ ფეხს იკიდებდა. ამ მეცხრამეტე
საუკუნის პირველ ხანებში ინგლისში შესდგა კიდეც
რაღაც დასი თავისუფალის აღებმიცემობის
მომხრეებისა. სახელოვანებმა ინგლისელებმა კობდენმა,
ბრაიტმა, და სხვებმა შეადგინეს 1831 წელსა
საზოგადოება, რომელსაც ეწოდებოდა ანტიკორნლაუ
ლიგი და რომელნიც თავისუფალ აღებმიცემობის
მოძღვრების ძალით ჰთხოულობდნენ სამზღვარგარეთი-
დამ შემომავალს პურს ყოფილი ბაჟი სრულებით

* ადამ სმიტი, სახელოვანი ინგლისელი პოლიტიკო-ეკონომი, გარდაიცვალა 1790 წ.

აეხსნასო. ეს პირველი იერიში იყო პროტექციონობა-ზედ მიტანილი.

ამ თავისუფალ აღებმიცემობის მოძღვრებამ იმოდენად იმუშავა და იმოდენა თანაგრძნობა მოიპოვა, რომ როცა ინგლისში მთავარ მინისტრად გახდა სერ რობერტ პილი 1841 წელსა, და მასთან ერთად მინისტრებად იყვნენ ველლინგტონი და აბერდინი, მაშინ მაგ სამეცნიერო თეორიამ თვითონ ცხოვრებაშიც გზა გაიკაფა. ერთი უდიდესი სამსახური, რომელიც რობერტ პილმა გაუწია თავის ქვეყანასა, ის იყო, რომ 1846 წელს გააუქმა პურზედ დადებული ბაჟი, პური სულ მთლად გაანთავისუფლა ბაჟისაგან ღარიბთა მცხოვრებთა საოხად და საკეთილდღეოდ. მისისავე მეცადინეობით გაუქმდა ეგრედ წოდებული "ზღვათმსვლელობის კანონმდებლობა კრომველისა", რომელიც ასე თუ ისე ჰხუთავდა აღებმიცემობის თავისუფალს მიდენ-მოდენასა.

მაშინ ამ ამბავს მიეგება მთელი ევროპა როგორც ძლევამოსილობას, გამარჯვებას ლიბერალობისას და მთელი ქვეყანა აქებ-ადიდებდა ძლევამოსილობის და გამარჯვების ჩამდენს სერ რობერტ პილსა, რომელმაც თვითონ ინგლისში ისეთი სახელი მოიპოვა, რომ თაყვანსაცემელი გახდა უმრავლესობისაგან. ამ მოძღვრებას მოსარჩლენი გამოუჩდნენ და არა მარტო ინგლისში, საფრანგეთშიაც, ბევრი ცოტად თუ ბევრად სახელგანთქმულნი მეცნიერნი მიემხრნენ ამ მოძღვრებასა, მაგალითებრ, ბასტია, შევალიე, გარნიე, პაჟეს და სხვანი. დროთა განმავლობაში ამ მოძღვრებამ ისეთი სახელი გაითქვა, რომ ერთაშორისმა კანონმდებლობამაც კი შეიწყნარა და სათავედ დაუდვა ყოველს თვის მოქმედებასა. ამ მოძღვრების საფუძველზედ შესდგა 1861წ. აღებმიცემობის კონვენცია (ხელშეკრულობა) ინგლისისა და საფრანგეთს შორის და 1865წ. გერმანიისა და საფრანგეთს შორის.

ევროპაში არსებობდა და მოქმედებდა უფრო თავისუფალ აღებმიცემობის სისტემა იმ დრომდე, ვიდრე გერმანია და საფრანგეთი ერთმანეთს გადაეკიდებოდნენ. თ. ბისმარკი, რომელიც მანამდე ფრიტრედერობის მომხრე იყო, ამ სისტემას გადუდგა საფრანგეთის გამოჯავრებით და ერთს დროს გერმანიის კანონმდებლობა საბაჟო საქმეში პროტექციონობაზე მიიმართა და საფრანგეთის საქონელს ბაჟით მიდენ-მოდენის გზა შეუკრა გერმანიაში. რა თქმა უნდა, ერთის ქცევა მეორესაც ამასვე აქნევინებდა და ამ გზით დღესა ვხედავთ, რომ თითქმის თ. ბისმარკის წყალობით ევროპამ დაივიწყა სიკეთე ფრიტრედერობისა. დღეს ხელახლად თავი წამოყო და ფეხზედ წამოდგა წინად უარყოფილი სისტემა პროტექციონობისა, ესე იგი იგი სისტემა, რომლის დაძლევაც დიდი სიხარულით მიღებულ იყო ამ ორმოცის წლის წინად და მასზედ გამარჯვებული ფრიტრედერობა კი — პატივცემული, როგორც სისტემა ლიბერალობის მოძღვრებისა.

პროტექციონობა ცოტად თუ ბევრად ერთს წინა წერილშიაც ავხსენით, რა არსებისაც არის. იგი იქიდამ არის წარმომდინარი, რომ შინაურს მრეწველობას მოპირისპირე მოაცალოს შინაურს ბაზარში და მით თვით ამ სხვის ცილობისაგან განთავისუფლებულს მრეწველობას ფეხი აადგმევინოს და თავის ერს ერთი წყარო სარჩო-საბადებლის შოვნისა მოუმატოს. პროტექციონობა მოსარჩლეობაა, რადგანაც შინაურს მრეწველობას სარჩლს უწევს და ხელს უწყობს არსებობისა და გაძლიერებისათვის.

ყოველს ქვეყანას ან იმისთანა საქონელი შეაქვს და გამოაქვს სხვისაგან, რომელიც გარდაკეთებულია საფაბრიკო და საქარხნო მრეწველობით სახმარ ნივთად, ან იმისთანა, რომელიც უნდა გადაკეთდეს ფაბრიკებითა და ქარხნებითა. მაგალითებრ, მატყლი მაუდის

გასაკეთებლად, ან კიდევ პირდაპირ სახმარი, მაგალითებრ, პური. როცა თავისუფალად მიდენ-მოდენაა საქონლისა, მაშინ რომელისამე სახელმწიფოს შინაურს ბაზარში დიდი ცილობაა და ბურთი და მოედანი ბაზრისა იმ სახელმწიფოსა ჰრჩება, რომლის საქონელიც უფრო უკეთესია და უფრო იეფი. ერს ამისაგან სიკეთისა და რგების მეტი არა მოსდის რა იმიტომ, რომ კარგს საქონელს იეფად ჰყიდულობს და მაშასადამე, თავს ადვილად ირჩენს და იკვებავს.

პროტექციონელნი იძახიან, — ეგ ყველაფერი მართალია, მაგრამ ამ სხვის საქონელს ვსთქვათ, კარგსა და იეფსა, რომ ჩვენი ერი სხვისაგან ჰყიდულობს, ხომ საფასურად აძლევს რასმეო; რაკი აძლევს, სჩანს, ჩვენის ერის სიმდიდრე გარედ გადის, სხვას გააქვს და ის არ სჯობია, ლუკმა გავარდეს და ჯამშივე ჩავარდესო, სხვის საქონლის სასყიდლად გაღებული ქონება ისევ ჩვენს ერს შინ დარჩეს და თვითონ მოიხმაროსო; თუ ჩვენს ბაზარს სხვებისათვის როგორმე დავკეტავთ, ჩვენი ქონება ვაჭრობის გამო გარედ აღარ გაიზიდება და ჩვენშივე დატრიალდებაო. გარდა ამისა, იგი საქონელი, რომელიც სხვისაგან შემოგვაქვს და მის სამაგიეროდ ჩვენი სიმდიდრე გარედ გაგვაქვს, განა ჩვენში კი არ გაკეთდება, ჩვენში კი არ შეიქმნებაო. რომ ჰკითხოთ: თუ ეგრეა, რატომ ეხლა კი არა კეთდებაო? ამაზედ აი რა პასუხს იძლევიან: არა კეთდება იმიტომ, რომ სხვანი გვეცილებიან, სხვებს უფრო კარგი საქონელი მოაქვთ და უფრო იეფად ჰყიდიან და რაკი ესეა, ცილობას ვერ გავუწევთო, რადგანაც კაცი იმას ეტანება, ვისაც კარგი და იეფი საქონელი აქვსო; ოღონდ საქონელი კარგი და იეფი იყოს და ვაჭრობაში იმას არ დაგიდევენ, ჩვენი კაცი ჰყიდის, თუ სხვა კაციო. თუ ამისთანა მოცილეს თავიდამ მოვიშორებთ, მაშინ კი საქმე სულ სხვა იქნება: თვითონ ჩვენი ერი კარგად იქნება თუ ავად, ხელს მოჰკიდებს საცილობელის საქონლის კეთებასა და ამ გზით თვითონ შინ გაგვემართება იგი

მრეწველობა, რომლის უქონლობის გამო დღეს სხვანი ისე გვწოვენო. რა ვუყოთ, რომ პირველ ხანებში ჩვენი ახლად ფეხადგმული მრეწველობა იმისთანა კარგს და იეფს საქონელს ვერ მოგვაწვდის, როგორსაც ეხლა სხვა ქვეყანა გვაწვდისო. თავი შევიმაგროთ, მოვითმინოთ; ამ პირველ ხანების უკეთურობას და სიძვირეს ჩვენისავე სიკეთისათვის როგორმე გავუძლოთ და დრო მოვა და შინაური ცილობა საქონელსაც გაგვიკარგებს და იეფობასაც ჩამოგვიგდებსო. განკარგებულის და გაძლიერებულის მრეწველობისაგან ჩვენი ერი სიმდიდრის წყაროს გაიჩენს, და თვითონ ქონება ჩვენი, რომელიც ეხლა სხვის საქონლის სყიდვისა გამო გარედ გადის და სხვას მიაქვს, ჩვენვე და ჩვენშივე დაგვრჩებაო.

რა გზით ნდომულობენ ამ ბედნიერების ჩამოგდებას პროტექციონელნი? ამისათვის ერთადერთი ღონეა "დამოჟნა", ესე იგი, საბაჟო. რომელი სახელმწიფოც ამ პროტექციონობას მისდევს, იგი იმოდენა ბაჟს ადებს შემოსატან თუ გასატან საქონელს და იმისთანა წესებით ჰხლართავს საქონლის გატან-გამოტანის საქმეს და ამაებით იმოდენად ჰზრდის საქონლის ფასსა, რადგანაც ბაჟი ზედ ეკეცება, რომ ბაზარი ვეღარ იფერებს, თუ ძალიან არ უჭირს საქონელი. ამ გზით საქონლის მიდენ-მოდენას წინ ისეთი უშველებელი ზღუდე აემართება ხოლმე, რომ ვერასგზით ვერ გაირღვევა.

ამისთანაა ბუნება პროტექციონობისა სათავიდამვე დაწყობილი ბოლომდე. ეს ხომ ასეა და იქნება, ამ მხრით ამ სისტემას ცოტა რამ საბუთი ჰქონდეს, თუმცა კი ქვეყნისათვის, ყველასათვის, ერთნაირად ღია ბაზარი უმჯობესია, იმიტომ რომ ყოველის კაცისათვის ისა სჯობია, საშუალება ჰქონდეს საჭირო საქონელი იქ და იმისგან იყიდოს, საცა და ვისაც უფრო კარგი საქონელი აქვს და უფრო იეფი ჩემშენაობის გაურჩევლად. ვაჭრობა, აღებმიცემობა ბუნებითად იმისთანა რამ არის მუშტრისათვის, თუ თვითონ

ვაჭრისათვის, რომ მარტო რგებას და გამორჩომას დაგიდევს და სხვა არაფერსა. ხოლო საქმე ის არის, რომ ხშირად ამ სისტემას სხვა განზრახვითაც სჭიდებენ ხელსა და თავს კი იმ საბუთებით ჰმარ-თლულობენ, რაც ზევით მოვიხსენიეთ. დღეს თუ ამ სისტემის მომხრეობას გზა გაეხსნა ევროპაში, სხვა განზრახვის ბრალი უფროა, ჩვენის ფიქრით, ვიდრე, იმ საბუთებისა, რომელთ ძალითაც პროტექციონობა ცოტად თუ ბევრად სახეში მისაღებია. დღეს ერთი მეორეს ამ გზით უთხრის ორმოსა.

დღეს გერმანია რომ ბისმარკის ძალდატანებით რაც ძალი და ღონე აქვს პურზედ ბაჟს უმატებს და უმატებს, ვითომ რა აზრი და განზრახვა უნდა მოეჩხრიკოს ამ დაუდგრომელს მატებასა. გერმანიას, რომელიც პურის მოსავლის მიხედვით მდიდარ ქვეყნებში არ ჩაითვლება და რომელსაც, მაშასადამე, სხვის პური უჭირს, ამ ბაჟის მომატებით პური ხომ უნდა გაუძვირდეს. გაძვირება ხომ ღარიბის კაცის სულის შეხუთვას მოასწავებს. ნუთუ მართლა იგი გერმანია თავის ერს და ქვეყანას იმისთვინა სწირავს, რომ პურის მოსავალი შინ გაიძლიეროს! პური ხომ შამპანური ღვინო არ არის, რომ უიმისობა გერმანიის ერმა ითმინოს იმ დრომდე, ვიდრე თვით ბევრი მოიყვანდეს, პური იმისთანა საჭიროებაა, რომ უიმისობა და შიმშილით სიკვდილი ერთია და მინამ პავლე მოვა, პეტრეს ხომ ტყავი გასძვრა!

თუმცა ეს ასრეა, მაგრამ თ. ბისმარკი შარშანდელს აქედ სულ იმასა ჰცდილობს, პურს იმოდენა ბაჟი დაადოს, რომ გერმანიის ბაზარში სხვის პურმა აღარ გაიჭაჭანოს. ცხადია, ნიშანში რა აქვს ამოღებული თ. ბისმარკსა: იგი სახელმწიფო, რომელიც დღეს აქამომდე დიდძალს პურს ასაღებდა გერმანიაში, დღეს გერმანიის ბაზრისაგან გამოკლებული უნდა იყოს და ამით ცოტად თუ ბევრად დაზიანდეს, ესე იგი ჯიბე შეუსუსტდეს. ამ სახით თ. ბისმარკი ისარს ისვრის და შვილდს კი ჰმალავს პროტექციონობის კალთაში გამოხვეულს.

ამისთანა გარემოებას არ შეიძლება სხვანიც არ გადაეხარა პროტექციონობის მხარისაკენ და აი, დღეს თითქმის ყველგან პროტექციონობის გაძლიერებას ვხედავთ, თუმცა მეცნიერებისაგან კი ანდერძაგებულია და დაწუნებული.

«მორიგების მცდელობა ინგლისსა და ოსმალებს შორის ეგვიპტის თაობაზედ»

ტფილისი, 8 ივნისი

ეგვიპტის საქმე, ავღანისტანისა და ბოლგარიისა იმისთანა საქმენი არიან, რომელნიც თითქო მარტო იმისთვის არიან აშლილნი, რომ ევროპის პოლიტიკას მიზეზი ყოველთვის ჰქონდეს, წაჯეგ-უკუჯეგობა ითამაშოს გარემოებათა მიხედვითა იმ დრომდე, ვიდრე რომელიმე სახელმწიფო ერთს გაბედულს მოქმედებას რასმე ჩაიდენს, მოთ-მინებიდამ გამოსული. არ იქნა, ამ საქმეებს ბოლო არ მოეღოთ და ეს ბოლოც არა სჩანს. ჩვენ არაერ-თხელ გვითქვამს, რომ ვიღაცისათვის საჭიროა ეს აშლილი ყოფა ხსენებულის საქმეებისა, რომ დრო იხელთოს და დამალული ნატვრა აისრულოს ამ სამში ერთი საქმის გაძლიერებითა და გამწვავე-ბითა. თვითონ ნასკვი ამ საქმეებისა ბუნებითად ისეთი არის, რომ თვითვეულის გამოხსნაში ბევრი ქსელი გაიბმის და ბევრი ჩანგალი აქედ-იქით მოედება.

ამ სამში ერთს საქმეს, სახელდობრ ეგვიპტისას ამას წინად თითქო დასასრული ეძლევოდა. ჟურნალ-გაზეთებმა მთელს ქვეყანაზედ მოჰფინეს ამბავი, რომ ინგლისი და ოსმალო ერთმანეთს მიჰშველდნენ და ხელშეკრულობაც შეადგინეს მასზედ თუ, როგორ დაეწყოს ეგვიპტის საქმე. თვითონ ლორდმა სალუსბერიმ ლორდთა პალატას ამას წინად აცნობა, რომ ეგვიპტის საქმე ოსმალოსთან გავათავეთ და ამასთან აუწყა თვით მორიგების პირობანიცა. ამ პირობების ძალით ინგლისმა სამის წლის განმავალობაში უნდა გამოიყვანოს თავისი ჯარები ეგვიპტიდამ. ხუთის წლის შემდეგ ინგლისს ნება აღარ უნდა ჰქონდეს ეგვიპტის ლაშქარში აფიცრები დანიშნოს. თუ ვინიცობაა ეგვიპტეს ან გარედამ, ან შიგნიდამ რაიმე საშიში განსაცდელი ეწევა, ინგლისს ნება აქვს ეგვიპტეში ჯარით დგომის ვადა განაგრძოს. ეგვიპტიდამ ჯარების გამოყვანის შემდეგ, ინგლისს კვლავაც შეუძლიან ჯარები ჩააყენოს, თუ ვინიცობაა ან შიშია შინაურის არეულობისა, ან გარედამ შემოსევისა, ანუ ეგვიპტე თავი ერთა-შორისს ვალდებულობის აღსრულებას ვერ შეძლებს. სულთანს ოსმალეთისას ნება აქვს თავისი ჯარები ჩააყენოს ეგვიპტეში, ხოლო სხვას არა რომელსამე სახელმწიფოს მაგისი ნება არ ეძლევა. ეს ხელშეკრულობა გაუქმებული უნდა იქმნეს, თუ ვინიცობაა სხვა სახელმწიფონი არ იყაბულებენ და მაშინ ინგლისი ისევ იმ მდგო-მარეობაში უნდა დარჩეს ეგვიპტეს გამო, რაშიაც ამ ხელშეკრულობამდე იყო.

აი, უმთავრესი პირობანი თვით მთავარ-მინისტრის პირით გამოთქმულნი ინგლისის ლორდთა პალატის წინაშე. ამ პირობებს კაცი რომ დაუკვირდეს, არ შეიძლება ცოტად თუ ბევრად არ გაოცდეს. თუ ეგვიპ-ტის საქმე კერძოდ გასათავებელი იყო მარტო ინგლი-სისა და ოსმალეთის შორის, სხვათა სახელმწიფოთა თანხმობა რაღა მაჩანჩალაა და თუ ეს საქმე საერთა-შორისო საქმეა და არა კერძოდ მარტო ინგლისისა და ოსმალეთისა, მაშინ მარტო ორმა რად მოისურვეს ერთმანეთთან ჩუმად მოლაპარაკება და მოშველიება?

ზოგიერთს სახელმწიფოს ეგვიპტეში მართალი ინტერესი ეწვის, ზოგი ხელსა ჰკიდებს ამ საქმეს იმიტომ, რომ თავის დროზედ ცხვირში ძმარი ადინოს ინგლისსა, თუმცა სხვა არავითარი ინტერესი არა აქვს და ამ სახით თითქმის ყველა დიდი სახელმწიფო ეგვიპტეს საქმეში ჩაბმულია. ამის გამო არც ერთი

დიდი სახელმწიფო არ მოისურვებს, რომ ეგვიპტეს საქმე კერძო საქმედ იცნას და არა საერთაშორისოდ. თუმცა ინგლისსა და ოსმალეთს ძალიან საამურად ექმნებოდათ, რომ ეს საქმე მათს კერძო სურვილს მიაწერონ, მაგრამ თვით ზემოხსენებულ პირობებისაგანა სჩანს, რომ თვითონ ამათაც ვერ გაუბედნიათ თავის სურვილს აჰყოლოდნენ და პირობებში ჩაურთავთ ნების აღება სხვა სახელმწიფოებისაგანაც.

თუმცა ზოგიერთმა გაზეთებმა, ნამეტნავად ინგლისურებმა, სიხარულით აუწყეს მთელს ქვეყანასა, რომ აი, ინგლისმა რარიგად გაიმარჯვა და მოახერხა საქმეო, მაგრამ ეგ სიხარული წინასწარი გამოჩნდა. საფრანგეთმა და რუსეთმა არ იყაბულეს ხსენებული ხელშეკრულობა ინგლისისა და ოსმალეთისა. საფრანგეთმა გამოაცხადა, რომ მე ყველა პირობას მივიღებ და შევიწყნარებო და იმას კი, რომელიც ნებას აძლევს ინგლისს ხელახლად ეგვიპტეში თავისი ჯარები ჩააყენოს, არასგზით არ ვიყაბულებო.

რა თქმა უნდა, რომ სტამბოლში საფრანგეთისა და რუსეთის უარის თქმას შესაფერი ზედმოქმედება ექმნებოდა. ბოლოს ხომ ის ამბავიც გატყვრა, რომ სულთანმა არ ინება და იგი ზემოხსენებული ხელშეკრულობა არ დაამტკიცაო. ეს ამბავი დღეს გამართლებულია: მართლა სულთანი უარზეა თურმე და, როგორც ამბობენ, საფრანგეთის გულისტკენას ერიდება და იმიტომაო. ინგლისმა, თუ სულთანი არ დაიყოლია, ფრთები უნდა დაუშვას და ცოტად თუ ბევრად სირცხვილეული გამოვიდეს ამ საქმისაგან. მაგრამ ოსტატობას დიპლომატებისას ბევრი რამ შეუძლიან: გადაბრუნებული საქმე ბევრჯერ გადმოუბრუნებიათ.

ესეც მოხდა. აბა, რას დასწყნარდებოდა ინგლისი! საქმე ის არის, რომ 1878 წელს ოსმალეთსა და ინგლის მალულად ერთი ხელშეკრულობა ჰქონიათ ერთმანეთთან დადებული. ეს ხელშეკრულობა არავინ არ იცოდა და ბერლინის კონგრესზედ მაშინდელმა მთავარ-მინისტრმა ინგლისისა ლორდმა ბიკონსვილდმა

უეცრად გამოამჟღავნა და ყველანი გააოცა. ამ ხელშეკრულობაში სხვათა შორის იგიც არის მოხსენებული, რომ ინგლისს ნება აქვს, როცა კი მოისურვებს, შემოიერთოს კიპრის კუნძული და ამაში ოსმალეთს ფული მისცეს. რაკი დღეს სულთანი ეურჩება ინგლისს, ზემოხსენებული ხელშეკრულობა ეგვიპტის თაობაზედ დაამტკიცოს, ინგლისი ამ კიპრის კუნძულსა ითხოვს გამოჯავრებითა. სულთანმა ან ეს კუნძული უნდა დათმოს 1878 წლის პირობებისამებრ, ან ეს ახალი ხელშეკრულობა დაუმტკიცოს. დღეს საქმე ამაზეა შემდგარი და ამ ორში რომელს ირჩევს სულთანი, ამას დრო გამოაჩენს.

რასაკვირველია, ჩვენი მკითხველი იკითხავს; რაკი ეგვიპტის გამო ხელშეკრულობას ძალა არ ექმნება, თუ სხვანი სახელმწიფონი არ იყაბულებენ და თუ საფრანგეთი და რუსეთი არა ჰყაბულობენ, ინგლისი თავს ტყუილად რად ტკენულობს სულთანის მიერ დამტკიცებისათვისაო? მართალია, მაგრამ საქმე აი, რაშია: ინგლისმა კარგად იცის, რომ ეგვიპტეს საქმე ევროპის საკონფერეციოდ გახდება და ისიც იცის, რა დიდი საბუთია კონფერენციისათვის, როცა საქმე უკვე ქმნილია და მომხდარი. რაკი ხელშეკრულობა ეგვიპტის გამო სულთანისა და ინგლისის მიერ ხელმოწერილი წარედგინება კონფერენციას, მაგას უკვე ნაქმარ საქმედ, ნამყო ამბავად ჩასთვლიან.

ყველამ იცის, რა დიდი მნიშვნელობა აქვს დიპლომატიის თვალში უკვე ქმნილსა და მომხდარსა: რა ვუყოთო, იტყვიან ხოლმე: რაკი საქმე განხორციელებულა და შესრულებულა, ჩვენ დამტკიცების მეტი აღარა დაგვრჩენია-რაო. ბევრს მართალს თუ მრუდე საქმეს გაუტანია პოლიტიკაში ამითი თავი და ინგლისსაც რომ ამ ზნისა და ჩვეულების იმედი ჰქონდეს, გასაკვირველი არ არის. აი, რა მიზეზით უნდა იყოს თავგამოდებული ინგლისი, რომ სულთანმა ხელშეკრულობას ხელი მოუწეროს, თუმცა წინადვე იცის, რომ ზოგიერთი სახელმწიფონი უარზედ სდგანან.



«ინგლისში შექმნილ დამხმარე საზოგადოებათა სიკეთე»

ტფილისი, 11 ივნისი

დღეს ყველაფერი პოლიტიკამ შთანთქა, ინაცვალა, ყველა, რაც კი პოლიტიკას ასე თუ ისე არ შეეხება, მიჩუმებულია, მიყრუებული, უყურადღებოდ დატოვებული. გაზეთები დიდის ყურადღებით თვალ-ყურს ადევნებენ პოლიტიკის ყოველგვარს წვრილმან გარემოებას, ყოველდღიურ ცვლილებას; დაწვრილებით მოგვითხრობენ, რომელს სახელმწიფოს რამდენი ჯარი ჰყავს, რამდენი ახალი თოფ-იარაღი მოუმზადებია, რამდენი ზარბაზანი ჩამოუსხამს, რომელი მინისტრი რას ფიქრობს, ვის პირს უჩვენებს, ვის ზურგს უბრუნებს, ვის ჰმეგობრობს, ვის ჰმტრობს და ბევრს სხვას ამისთანა ამბებს შეჰხვდებით ყოველდღე გაზეთებში. თითქოს კაცობრიობის ცხოვრებაში სხვა აღარაფერი იყოს საყურადღებო, თითქოს ადამიანის სვე-ბედი, ბედ-იღბალი მარტო იმაზედ იყოს დამყარებული.

და ამავე დროს ინგლისში მოხდა ერთი ამბავი, რომელსაც გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ჯარების გაძლიერებას და უზარმაზარ ზარბაზნების ჩამოსხმას. ამბავი, რომელიც უფრო მკვიდრი და მაგარი საფუძველია ერისა და თვით სახელმწიფოს ძლიერებისათვის, ვიდრე თვით უძლიერესნი ციხე-სიმაგრენი. გაზეთებმა კი ისე მოუყრუეს ყური ამ ამბავს, ისე გაუჩუმდნენ, თითქოს არც კი არაფერი

ყოფილა, არც კი არაფერი მომხდარაო. ყურადღება მიაქცია მხოლოდ ერთმა გაზეთმა, სახელდობრ "Русск. Бед."-მ, ამ ერთადერთმა გაზეთმა, რომელიც ჩვენის ფიქრით, უკეთესი გაზეთია რუსეთში. მხოლოდ ამ გაზეთს დაუნახავს საჭიროდ, ყურადღება მიექცია იმ ამბისთვის, რომელიც ინგლისში მოხდა ჩუმად და წყნარად. რა ამბავია?

ინგლისის ერთს პატარა ქალაქში ამ ცოტა ხანებში დამზოგველ-დამხმარებელ საზოგადოებათა კრება ყოფილა. ამ კრებაზე პოლიტიკის საქმეებზე არა ყოფილა ლაპარაკი, საზოგადოებათა წარმომადგენელთ მშვიდობიანი მსჯელობა ჰქონიათ იმაზედ, თუ რა ღონისძიება ვიღონოთ, რომ გავუადვილოთ ცხოვრება, ლუკმა-პურის მოპოვება ჩვენ თანამოძმეთა, იმ თანამოძმეთა, რომელთაც თავის შრომით, თავის საკუთარის მაჯით უნდა იშოვონ "პური არსებობისა". საქებურია, როდესაც ადამიანი ზრუნავს თავის თანამოძმეზე, თუმცა თვით საქმის რიგიანად მოწყობა ძრიელ ძნელია. ერთგულად, სიყვარულით, მხნედ უნდა მოეკიდოს კაცი ამისთანა საქმეს, რომ გამოვიდეს რამე, რომ საქმე მარტო სიტყვად არ დარჩეს. ინგლისის დამზოგველ-დამხმარებელ საზოგადოებათა კი, როგორც ამ კრებაზედ მოხსენებულ ანგარიშიდამ აღმოჩნდა, საქმე ისე წაუყვანიათ, ისეთი ძალა შეუძენიათ, რომ კაცი შეჰნატრებს. მთელს ინგლისში დღეს 1,409 ამგვარი საზოგადოება არსებობს თურმე, რომელთაც 911,797 წევრი ჰყავთ. წარსულს წელს ყველა საზოგადოებას ერთად 800 მილლიონამდე ფული უტრიალებიათ და წლის თავზე წმინდა მოგება 78 მილლიონი დაჰჩენიათ. როგორ შეიძინეს ამ საზოგადოებათ ასეთი სიმდიდრე, როგორ წაიყვანეს ასე კარგად საქმე? რა არ შეუძლია ადამიანს, თუკი ერთგულად, მხნედ შეუდგა საქმეს; თუ კაცი სხვას არ შეჰყურებს ხელში და თავის თავზე თვითონვე ზრუნავს. მაინც დიდის ყურადღების ღირსია ამ საზოგადოებათა ამბავი.

დიდი ხანი არ არის, რაც ეს საზოგადოებანი დაიბადნენ და ცხოვრების გზას შეუდგნენ. სულ ორმოცი წელიწადია მას შემდეგ, რაც პირველად დაიდვა დვრიტა ამ საზოგადოებათა. ამ ორმოცი წლის წინად, ინგლისის ქალაქ როჩდელში, ექვსიოდე ღარიბმა ფეიქარმა გამოიღო ოცდაათ თუმნამდე ფული, რომელიც წვითა და დაგვით, გროშებით ჰქონდა შეგროვილი, შეადგინეს საზოგადოება, გააღეს პატარა დუქანი და საღამ-საღამოობით ვაჭრობდნენ. თვითონ პირდაპირ ფაბრიკებიდგან ყიდულობდნენ ყოველ საჭირო საქონელს და წვრილ-წვრილად, გაცილებით იაფად, ვიდრე სხვა დუქნებში, ჰყიდნენ თავიანთ საზოგადოების წევრებზე. ასე დაიწყეს საქმე ამ ექვსმა ღარიბმა კაცმა, ღარიბმა ჯიბით, მაგრამ მდიდარმა გულით, მხნეობით და იმედით. ჯერ ბევრმა სასაცილოდ აიგდო ეს საქმე, ყველა ეჭვის თვალით უყურებდა ამათ საქმეს და არა სჯეროდათ, თუ აქედამ გამოვიდოდა რამე. მაგრამ რა არ შესძლებია კარგად დაწყობილ საქმეს და მხნესა და გულმაგარ კაცსა. ეს პატარა საზოგადოება, თოვლის პატარა გუნდივით, რაც ხანი მიდიოდა, იზრდებოდა და აი, დღეს ოცდაათი თუმანი ას მილლიონებად გადიქცა. ექვსის კაცის მაგიერ, დღეს ყველა საზოგადოებაში ერთად ცხრაასი ათასი წევრი ითვლება, ამათი ცოლ-შვილი რომ არ ჩავთვალოთ, და თუ ჩავთვლით, ოთხ მილლიონამდე შესდგება. დღეს ბევრს ამისთანა საზოგადოებას საკუთარი ფაბრიკები და ქარხნები აქვს. აქ მუშა და პატრონი არ არის, ყველა მუშა იმავე დროს ფაბრიკის თუ ქარხნის პატრონიც არის. შემოსავალი საერთოა, მოგება თანასწორად იყოფა. ის აღარ არის ამათში, რომ კაცები წელებზედ ფეხს იდგამდეს, ოფლსა ჰღვრიდეს და ამის ნაშრომ-ნაღვაწს სხვა იღებდეს ჯიბეში.

აი, რა საქმე შეიძლება გაკეთდეს, თუ კაცი თითონ ზრუნავს თავის თავზე და სხვას არ შეჰყურებს ხელში! ამ ამბის ისტორია ჩვენში ჭკვის მასწავლებელი მაგალითი უნდა იყოს. ჩვენშიაც ბევრს გულმტკივნეულ

კაცს თავში უტრიალებს ეს აზრი, მაგრამ თაკილობს პატარიდამ დაიწყოს, და რადგანაც პირველ დღიდანვე ჰსურს დიდად მოჰკიდოს ხელი, ერთბაშად დიდიდამ დაიწყოს და ეს დიდი კი ბუნებითად, პირდაპირ არსაიდამ არ გამოჩნდება ხოლმე, ფრთებს დაუშვებს და სჩივის: პატარიდამ არა ღირს დაწყება და დიდისათვის კი თანაგრძნობას ვერა ვპოულობთო. ამიტომაც ისე გამოდის, რომ პატარას ჩვენ თითონ არა ვკადრულობთ, დიდს სხვანი არ გვაღირსებენ და ამ სახით "სურვილი გულში უქმად გვრჩენია" და ხელცარიელი და პირღია შევყურებთ ბედსა: აცა, ციდამ მანანა ჩამოგვიცვივაო.

«დიმიტრი სულხანის-ძე ჭავჭავაძის ანდერძი»

ტფილისი, 12 ივნისი

გუშინ, ესე იგი, 11 ივნისს, ტფილისის სასამართლო პალატაში გაირჩა ერთი იშვიათი და დიდად საყურადღებო საქმე. აი, რა საქმეა.

თ. დიმიტრი სულხანის ძის ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ აღმოჩნდა ანდერძი, მისგან დატოვებული. ამ ანდერძისაგან სჩანს, რომ გარდაცვალებულს სხვა ქონების გარდა დარჩენია კიდევ ორმოც ათასის თუმნის სახელმწიფო სარგებლიანი ბილეთები აღმოსავლეთის სესხისა და ამოდენა ფულის ბილეთები სულ მიბარებული ჰქონია სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში შესანახავად. კანონით მემკვიდრენი გარდაცვალებულისა არიან ძმა მისი გენერალ-მაიორი თ. ივანე ჭავჭავაძე და არასრულწლოვანი ძმისწული მისი თ. სულხან გიორგის ძე ჭავჭავაძე.

ხსენებულ ორმოც ათასის თუმნის თაობაზედ გარდაცვალებულს შემდეგი განკარგულება მოუხდენია თავის ანდერძში. ეს ორმოცი ათასი თუმანი უნდა სამუდამოდ დარჩეს ხელუხლებელ თავნად სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში და მინამ ძმა გარდაცვალებულისა თ. ივანე ჭავჭავაძე ცოცხალი იქმნება, თ. ივანეს უნდა ეძლიოს სარგებელი ოცი ათასის თუმნისა იმ პირობით, რომ ეს სარგებელი

როგორც ჰსურს, ისე მოიხმაროს, მხოლოდ ძმისწულის თ. სულხან ჭავჭავაძის აღზრდისა და სწავლა-განათლებისათვის კი უნდა იმოდენა უწილადოს, რამოდენაც საჭირო იქნება სრულის სწავლა-განათლების მიღებისათვის რომელსამე სპეციალურს სასწავლებელში ან უნივერსიტეტში. მეორე ოცი ათას თუმნისაგან სარგებელი კი უნდა გადადებულ იქმნას ყრმათა სწავლა-განათლებისათვის დაბალ თუ მაღალ სპეციალურს სასწავლებელში.

ანდეძი რუსულად არის დაწერილი და სწორედ ამ ადგილას, საცა ამ მეორე ოციათას თუმანზეა სიტყვა ჩამოგდებული, ხერხიანად ვერ არის გამოთქმული აზრი და სურვილი მეანდერძისა, თუმცა იგი აზრი და სურვილი ადვილად გამოსარკვევია ანდერძის სხვა მუხლების შემწეობითა. მაგალითებრ, საცა ანდერძი ამბობს, რომ ოცი ათასის თუმნის სარგებელი ყრმათა სწავლა-განათლებისათვის უნდა იყოს გადადებულიო, იქავ, თუმცა წერტილის შემდეგ კი, ზედ მიყოლებით სწერია "ტფილისის გუბერნიის თ. ჭავჭავაძეების შვილები განსაკუთრებითაო". რადგანაც ამ ორ წინადადებათა შორის შესასვენი ნიშნები წესიერად და აზრის თანახმად არ არის და რადგანაც სიტყვა "შვილები" მეორე წინადადებაში პირველის წინადადების შესაფერად არ არის დაბრუნებული რუსულ გრამატიკისამებრ, ამიტომაც ზოგიერთნი ჰხედვენ, რომ მაგ ფულის სარგებელი უნდა გადიდებულ იქმნას საყოველთავოდ ყველა ყრმათათვის და არა მარტო ჭავჭავაძიანთ შვილთათვისაო. ამას ჩვენ ასე დაწვრილებით ვიხსენიებთ აქ, იმიტომ რომ ასრეთს ახსნას ანდერძის სიტყვებისას დიდი მნიშვნელობა ეძლევა, როცა თვით ანდერძის საქმის მსვლელობაზედ მოგვიხდება ლაპარაკი. ამას სავსებისათვის ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ანდერძში სწერია: ნახევარ შემოსავლიდამ უნდა გაიზარდოს ერთი მღვდლის შვილი სემინარიაში და ორი ყმაწვილი იმ გლეხებისა,

რომელნიც ყმად ეკუთვნოდნენ გარდაცვალებულის მამასა.

ეს განკარგულებანი მოანდერძისა, ასე თუ ისე საგულისხმიერონი, დადგენილია მარტო იმ დროებისათვის, ვიდრე თ. ივანე ჭავჭავაძე ცოცხალი იქმნება. ხოლო მის შემდეგ, ცხადად და გარკვევით გამოთქმულია, რომ მთელი ორმოცი ათასი თუმანი საუკუნოდ ხელუხლებელ თავნად უნდა დაიდვას სახელმწიფო ბანკში და მარტო მისი სარგებელი ეძლიოს ჭავჭავაძიანთ შვილების აღზრდისა და სწავლა-განათლებისათვის.

ეს ანდერძი წესისამებრ წარდგენილ იქმნა ტფილისის ოლქის სასამართლოს წინაშე დასამტკიცებლად. ერთმა კანონით მემკვიდრემ თ. სულხან ჭავჭავაძემ არ იცნა ანდერძი კანონიერად შედგენილი და ითხოვა, თვისთა წარმომადგენელთა პირით, გაუქმება ანდერძისა. ოლქის სასამართლომ გამოძიება მოახდინა, საქმის გარჩევის შემდეგ დაადგინა განაჩენი და არ იცნა ანდერძი დამტკიცების ღირსად. ამ სახით გაუქმდა ანდერძი ოლქის სასამართლოსაგან. მინამ ეს განაჩენი ძალაში შევიდოდა, მეორე კანონით მემკვიდრემ თ. ივანე ჭავჭავაძემ, რომელსაც ანდერძის უარყოფაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, ითავა მორიგება ჭავჭავაძიანთი და თ. სულხან ჭავჭავაძისა. ჭავჭავაძიანთ იმის შიშით, რომ ანდერძი სრულად არ გაუქმდეს და ხელცარიელნი არ დარჩნენ, მორიგებაზედ უარი არა სთქვეს და თ. ივანე ჭავჭავაძის უანგარო და პატიოსან თაოსნობით მორიგების წერილი შესდგა.

ამ მორიგების წერილით, ათი ათასი თუმანი უნდა მიეღო საკუთრებად თ. სულხან ჭავჭავაძესა და დანარჩენის ოცდაათი ათას თუმნის თაობაზედ ასე უნდა მოქცეულიყვნენ: ეს ოცდაათი ათასი თუმანი უნდა დარჩენილიყო ხელუხლებელ თავნად და მინამ თ. ივანე ჭავჭავაძე ცოცხალია, ეღო მხოლოდ სარგებელი ოცი ათასის თუმნის და დანარჩენის ათი ათასის თუმნის სარგებელი კი მოხმარებულიყო ჭავჭავაძიანთ ყმაწვილების აღზრდისა და სწავლა-განათლებისათვის. ხოლო თ ივანე ჭავჭავაძის შემდეგ მთელის ოცდაათი ათასის თუმნის სარგებელი უნდა მიქცეულიყო ჭავჭავაძიანთ შვილების აღზრდისა და სწავლა-განათლებისათვის იმ პირობით კი, რომ ვიდრე ცოცხალი იქმნება მეუღლე თ. ივანე ჭავჭავაძისა, მისთვის ეძლიათ წელიწადში ხუთასი თუმანი საცხოვრებლად.

ამ სახით უდავიდარაბოდ, ხანგაუგრძელებლად ჭავჭავაძიანთ მორიგებისვე უმალ ეძლევოდათ შვილების აღსაზრდელად ათი ათასის თუმნის სარგებელი და თ. ივანეს შემდეგ ოცი ათასის თუმნისა, ხუთი სარგებელი რომ ვიანგარიშოთ, და თ. ივანეს მეუღლის შემდეგ — მთელის ოცდაათი ათასის თუმნისა.

ხოლო იმისთვის, რომ ამოდენა ფულის სარგებელი მართლა ამ საკეთილო საქმეს მოხმარდეს, რისათვისაც ასე ჰცდილობდა თ. ივანე ჭავჭავაძე და სათავდებო რამ იყოს, რომ ეგ ფული საშვილიშვილოდ ხელუხლებლად დარჩეს, თ. ივანე ჭავჭავაძემ ჭავჭავაძიანთ სხვათა შორის ის პირობა დაადებინა, რომ ჭავჭავაძიანთ გვარისაგან თითო სახლში უფროსი კაცი შეიყაროს, საზოგადო კრება მოახდინონ, წესდება დაიწეროს, ეს წესდება მთავრობის მიერ დამტკიცებულ იქმნას და ამ დამტკიცებულ წესდებისამებრ განეგებოდეს ეს კეთილი საქმე, რომელსაც ეხლა იგი სწირავს ათი ათას თუმანს და მისსა და მის მეუღლის შემდეგ მთელს ოცდაათი ათას თუმანსა. გარდა ამისა ჭავჭავაძიანთ შვილების აღზრდის მორიგებაში ის პირობაც იყო დადებული, რომ ერთის მღვდლის შვილის მაგიერ სემინარიაში იზრდებოდეს ორის და ორის გლეხთა შვილის მაგიერ სამი.

რაც ეს მორიგება მოხდა, ჭავჭავაძიანთ, რომელსაც ანდერძის საქმის გარჩევის დროს არავითარი მონაწილეომა არ მიუღიათ ოლქის სასამართლოში, საჭიროდ აღარ დაინახეს საჩივარი რამ შეეტანათ ოლქის სასამართლოს განაჩენზედ, რომელმაც ანდერძი გააუქმა. არც საჭირო იყო იმიტომ, რომ მორიგება

სხვის შემოურევნელად ჭავჭავაძიანთ შვილების აღზრდის საქმეს სრულად და მთლად განსაკუთრებით თვითვე ჭავჭავაძიანთ სრულს განკარგულებაში სტოვებდა, ბევრს სხვადასხვაგვარს დამოკიდებულებას, რომელსაც ანდერძი ვალად სდებდა და რომელსაც შეეძლო აეჭიჭყნა და აეწეწნა საქმე შემდეგში, თავიდამ აცლიდა. უმთავრესი სიკეთე მორიგებისა ის იყო ჭავჭავაძიანთათვის, რომ მორიგების ძალით ანდერძის გაუქმება არამცთუ ხელცარიელად აგდებდა მთელს გვარეულობას, არამედ ოცდაათის ათას თუმანს ყოველს შემთხვევაში აძლევდა. ეგ ხელცარიელად დარჩენის შიში უმიზეზო არ უნდა ყოფილიყო ჭავჭავაძიანთათვის, იმიტომ, რომ ოლქის სასამართლომ რომ გააუქმა ანდერძი, ხომ საბუთი რამ ექმნებოდა და ვინ და რა იყო თავდები, რომ პალატაც პატივს არ დასდებდა ამ საბუთს და განაჩენს ოლქის სასამართლოსას არ დაამტკიცებდა.

ამ სახით განაჩენი ოლქის სასამართლოსი ჭავჭავაძიანთ მიერ არნაჩივლი კანონიერს ძალაში უნდა შესულიყო, მაგრამ აქ სხვა გარემოება გამოტყვრა და ამ გარემოების წყალობით ანდერძის საქმე გადავიდა პალატაში ხელახლად გარჩევისათვის. ამაზედ მერე ვიტყვით.

იგი გარემოება, რომელმაც ხელახლად აღძრა თ. დიმიტრი ჭავჭავაძის დამტკიცების საქმე, ის იყო, რომ აქაურმა სწავლა-განათლების მზრუნველმა ბ-ნმა იანოვსკიმ საჩივარი შეიტანა პალატაში ოლქის სასამართლოს განაჩენის თაობაზედ და ითხოვა ანდერძის დამტკიცება. კანონით მემკვიდრეებმა ამ საჩივრის პასუხად მოახსენეს პალატას, რომ ამ ანდერძის საქმეში ბ-ნ მზრუნველს არავითარი მონაწილეობა არა აქვს; ანდერძში არავითარი იმისთანა განკარგულება არ არის ნახსენები, რომ ექვემდებარებოდეს რომელსამე წარმომადგენელს მთავრობისას საერთოდ და მზრუნველს ცალკედ. თუ ამ ანდერძით ან ეძლევა ვისმე რამე, ან ერთმევა — ეგ შეეხება მარტო ორს მხარეს: ერთს კანონით მემკვიდრეებსა, თ. ივანე და სულხან ჭავჭავაძეებს და მეორეს მთელს გვარეულობას ჭავჭავაძეებისას; სხვა არავის აქ ხელი არა აქვს, მართალია, ანდერძით დავალებულია ერთის მღვდლის შვილის აღზრდაცა სემინარიაში, მაგრამ ამ მხრით, ეს საქმე ექვემდებარება სასულიერო წოდების წარმომადგენელსა და არა მზრუნველსა; რაც შეეხება ორს ყმაწვილს გარდაცვალებულის დროებით ვალდებულ გლეხებისას, რომელნიც ანდერძში მოხსენებულის ფულით უნდა გაიზარდნენ, ამათ ხომ თავ-თავის პატრონები ჰყავთ, და მაშასადამე, საქმე ამ პატრონებისაა და არა ბ-ნ მზრუნველისაო. ამ საბუთებით ვექილმა კანონით მემკვიდრეებისამ ითხოვა პალატის წინაშე, რომ ბ-ნ მზრუნველი დათხოვნილ იქმნას ხსენებულ საქმისაგან.

რაკი ეს თხოვნა მემკვიდრეების ვექილისა შეწყნარებულ იქმნებოდა პალატის მიერ, მაშინ განაჩენი ოლქის სასამართლოსი, როგორც წესიერად არნაჩივლი თავის ვადაზედ ჯეროვანის მოპირისპირესაგან, თავის ძალაში შევიდოდა და პალატა იმის გამო თუ, — დამტკიცდეს, თუ არ დამტკიცდეს ანდერძი, არავითარს

მსჯელობას არ იქონიებდა. ჭავჭავაძიანთ გვარეულობის წარმომადგენელნი, რომელთაც მორიგების წერილი ხელთ ეჭირათ, ძალიან უნდა ჩაეფიქრებინა ამ გარემოებასა. იმიტომ, რომ მორიგების წერილი ყოველ შემთხვევაში აძლევდა ამ გვარეულობას შვილების აღსაზრდელად ჯერ ათასის თუმნის სარგებელს, მერე თ. ივანე ჭავჭავაძის შემდეგ ოცი ათასისას და მის მეუღლის შემდეგ ოცდაათი ათასისას და ხსენებული გარემოება კი ხელახლად სათუოდ ჰხდიდა ყოველს ამას, ხელახლად განსაცდელში აგდებდა, თუ ვინიცობაა პალატა ოლქის სასამართლოისამებრ არ დაამტკიცებდა ანდერძსა და მორიგება ხელში არ სჭეროდათ ჭავჭავაძიანთა. იმ შიშით შემდგარმა მორიგების წერილმა, რომ შესაძლოა პალატამაც უარჰყოს ანდერძი და ჭავჭავაძიანთ გვარეულობა მთლად ხელცარიელი დარჩებაო, შეაერთა ინტერესები ამ გვარეულობისა და კანონით მემკვიდრეებისა იმ მხრით, რომ ყოველივე სხვა კაცი, ან დაწესებულება არ ჩარეულიყო ამ საქმეში და არ ჩაედო რაიმე წილი ან ყრმათა აღზრდის განკარგულებაში, ან ნაანდერძევის ფულის სარგებელში. ამიტომაც, მინამ პალატაში ანდერძის საქმე გაირჩეოდა, ჭავჭავაძიანთ თავის მხრითაც საჩივარი შეიტანეს და ითხოვეს კანონით მემკვიდრეებთან ერთად დათხოვნა ამ საქმისაგან ბ-ის მზრუნველისა, რადგანაც საქმე მას არას გზით არ შეეხება და უნდა გათავებულ იქმნას მარტო თ. ივანე და სულხან ჭავჭავაძეთა და მთელს ჭავჭავაძიანთ გვარეულობის შორის. რადგანაც მორიგეობის წერილის ძალით ამ ორს მოპირდაპირე მხარეს საქმე უკვე გათავებული ჰქონდათ და კეთილნებობით მოშველებულნი იყვნენ, ამის საბუთად თვით მორიგების პირობანიც მოიხსენეს ჭავჭავაძიანთ თავის საჩივარში და ამ მორიგებაზედ თანხმობის წერილი კანონით მემკვიდრეებმა წარუდგინეს პალატას.

პალატამ არ შეიწყნარა ბ-ნ მზრუნველი საქმისაგან დათხოვნის თხოვნა ჭავჭავაძიანთ, იცნო იგი იმისთანა

პირად, რომელსაც ნება აქვს საჩივარი შეეტანა პალატაში ოლქის სასამართლოს განაჩენზედ და შეუდგა თვით ანდერძის კანონიერობის განხილვას. კანონიერია, თუ არა ანდერძი, ამაში ჭავჭავაძიანთ არაფერი მონაწილეობა არ მიუღიათ: ისინი მარტო იმას ჰდავობდნენ, რომ ბ-ნს მზრუნველს ამ საქმეში ხელი არა აქვს და დათხოვნილ უნდა იქმნას.

ანდერძის კანონიერობის თაობაზედ პასუხი აგო მარტო კანონით მემკვიდრეების ვექილმა. პალატამ მისი საბუთები არ შეიწყნარა და 11 ივნისს ეს განაჩენი გამოაცხადა:

პალატამ იცნა რა კავკასიის ოლქის სწავლა-განათლების მზრუნველი იმისთანა პირად, რომელსაც შეეძლო საჩივარი შემოეტანა ოლქის სასამართლოს განაჩენზედ, გადასწყვიტა: განაჩენი ოლქის სასამართლოსი გაუქმდეს შინაურული ანდერძით დიმიტრი სულხანის ძის ჭავჭავაძისა, შედგენილი 6-ს ივნისს 1886 წელსა, დამტკიცდეს და მიიქცეს აღსასრულებლად, როგორც კანონის შესაფერი ანდერძი და ეს ზედ თვით ანდერძს წარეწეროს. ანდერძიდამ ამოიწეროს ის ადგილები, საცა ნაჩვენებია საგნები, რომელზედაც მიქცეულია შეწირულობა და გარდაეცეს ბ-ნს პროკურორს, რათა მან აცნობოს ჯეროვანთ დაწესებულებათა. ეს ანდერძი მიეცეს იმ ზედწარწერით, რომ დამტკიცებულია მხოლოდ მას შემდეგ, როცა ის პირნი, ვისთვისაც ნაანდერძევია, კანონით დაწესებულს ბაჟს ხაზინის სასარგებლოდ გადიხდიან, როგორც ამას ჰთხოულობს კანონი /15ст. прилож. къ ст.363 Т. У уст. о пошлинах по продолж.1883 г.и ст.I и 5 временных правилъ о порядке исчисления означенных пошлинъ/ და შეუწყნარებლად დარჩეს თ. ჭავჭავაძეების თხოვნა იმისა, რომ კავკასიის ოლქის სწავლა-განათლების მზრუნველის საჩივარი ოლქის სასამართლოს განაჩენზედ არ ყოფილიყო მიღებული.

ვრცელი განაჩენი პალატისა შემზადებულ და გამოცხადებულ იქმნება 25–ს ივნისსა. ვიდრე ხელთ არ გვექნება საბუთები, რომელიც წინ წაიმძღვარა პალატამ და რომელიც მარტო ვრცელ განაჩენში იქმნება ჩამოთვლილი, იმ დრომდე ჩვენ მოკლებულნი ვართ საშუალებას ავწონ-დავწონოთ ამ საქმის სიმართლე და შინაგანი ვითარება. და თუ ჩვენ ამ განაჩენს არ მოვუცადეთ და ამ საქმის ისტორია ვუამბეთ ჩვენს მკითხველსა, სურვილად მარტო ისა გვქონდა, ერთი მეტისმეტად იშვიათი ამბავი აგვენიშნა. ამ საქმეს იგი საზოგადოებური მნიშვნელობა აქვს, რომ ჩვენშიაც თითქო ფეხი აიდგა იმ სულგრძელობამ, რომელიც ათბობს, აპატიოსნებს ბუნებითად გულცივს სიმდიდრეს, ბუნებითად სხვის განუკითხველს, ხშირად მარტო კერძო კაცის ანგარების ვიწრო ღობეებში მომწყვდეულს და შეხუთულს, ყრუს სხვისა გაჭირვებისათვის. მარტო ამისთანა სულგრძელობა ჰხდის სიმდიდრის მაძებარს და შემძენს კაცს საზოგადოების მოღვაწე კაცად და მარტო ამისთანა სულგრძელობას სიმდიდრისას მიუძღვის სამართლიანი საბუთი მოითხოვოს პატივი და სახელი კერძო სიმდიდრისათვის კაცთა შორის. დიდი რამ არის ქვეყნისათვის, როცა მისნი ძენი ჰცდილობენ ამ წუთისსოფლის სუფრაზე კერძი მოიმატონ მარტო იმისათვის, რომ ჩემზედ უღონოსაც, ჩემზედ უბედურსაც რაიმე შემთხვევით კერძ-მოკლებულსაც, ჩემის ნამეტანობისაგან განვუწილადოვო. რა თქმა უნდა, რამოდენადაც ბევრს გაჭირვებულს შეივრდომებს ამისთანა სულგრძელება, მით უფრო დიდია, უფრო პატივსაცემია, მით უფრო სასახელოა სიმდიდრე, რომელიც უამისოდ თავის ანგაარებით კაცთა შორის გმობილია და მით არანაკლებ ყველასათვის ცალკედ სახარბიელო და სანატრელია.

განკერძოებულის სიმდიდრის შესაქმნელად მარტო კერძო კაცი იღვწის და კერძოობა ყველგან გმობილია, რადგანაც საზოგადოების მით არა ემუნათება რა, იმიტომ, რომ კერძო სიმდიდრე წუთისსოფლის სუფრიდამ მეტის ლუკმის წამღებია. სულ სხვაა ეს კერძო მოღვაწეობა, როცა კაცს შეუძლიან სამართლიანად სთქვას: მე ჩემად ვიღვწოდი, ჩემად ვაგროვებდი და საზოგადოებავ, შენთვის კი ვფიქრობდიო, აჰა, შენი შენადვე მომიქცევიაო. მაშინ მისი ჭაპან-წყვეტა ცხოვრებისა სხვერპლია, მისი ღვაწლი სამსახურია, რადგანაც მისი ნაამაგარი, ნაწვავ-ნადაგი მოტანილია საერთო სუფრაზედ ყველასათვის. სიმდიდრე სხვა უკეთესს ძმობილს, სხვა უკეთესს ამხანაგს ვერ იშოვის თავის გაპატიოსნებისათვის, თუ არ სულგრძელებას, გულმტკივნეულობას, რომელიც კაცსაც კაცად ჰხდის, მოქმედებას — ღვაწლად და თვით სიმდიდრესაც — მადლად.

თ. დიმიტრი ჭავჭავაძის ანდერძსაც ეს მნიშვნელობა აქვს ჩვენს თვალში. იგი ცოტად თუ ბევრად გვანიშნებს, რომ ჩვენშიაც დაძრულა და დატრიალებულა ის ყოვლად მაცხოვარი აზრი, რომ ადამიანი საცა უნდა ირჯებოდეს, და რისთვისაც უნდა ირჯებოდეს ყველგან და ყველაფერში უნდა ჰგრძნობდეს; ყველაზედ უწინარეს მე მოვალე ვარ ჩემის ქვეყნისა და საზოგადოების წინაშეო. რამოდენადაც ვრცლად აქვს გამოსახული ეს მისი ქვეყანა და საზოგადოება, მით უფრო დიდია მისი გულის ცემა და ამით მით უფრო დიდია მისი სახელი, ქება და დიდება.

«მთავარ-მინისტრის შეცვლა სერბიაში»

ტფილისი, 17 ივნისი

სერბიაში მთავარ-მინისტრი გარაშანინი დათხოვნილ იქმნა სამსახურისაგან და მის მაგიერ მოწვეულ იქმნა არაერთხელ მინისტრად ყოფილი რისტიჩი. თუმცა სერბია პატარა ქვეყანაა და მაშასადამე, იქაურის მინისტრების ცვლამ თითქმის არავითარი ზედმოქმედება არ უნდა იქონიოს ევროპის პოლიტიკაზედ იმისთანა უზარმაზარი სახელმწიფოების ხელშია, რომელთაც სერბია ლუკმადაც არ ეყოფათ, მაგრამ დღეს საქმეები ისე დაულაგებელია ევროპაში, ისე გაფიცხებულია, რომ ამ პატარა ქვეყანაში ერთის მინისტრის გადაყენებამ და მეორის დანიშვნამ შეატოკა იგი საერთო პოლიტიკა.

საქმე ის არის, რომ ბალკანის ნახევარკუნძული, საცა სერბიას ერთი უმთავრესი ადგილი უჭირავს, ორთა სახელმწიფოთა ცილობის ქვეყანაა. ერთის მხრით ავსტრიას ხელი აქვს გაწვდილი და ჰსურს თვის გავლენისა და ზედმოქმედების ქვეშ ამყოფოს ეს ნახევარკუნძული, მეორე მხრით, რუსეთი, როგორც დიდი სლავიანური სახელმწიფო, ჰცდილობს უპირატესობა გავლენისა და ზედმოქმედებისა ბალკანის ნახევარკუნძულზედ თვით იქონიოს. ამ შვიდის თუ რვა წლის წინად სერბიის მეფემ მილანმა უფრო ავსტრიისაკენ ჰქნა პირი და ამის გამო იმისთანა მთავარ-მინისტრიც აირჩია, რომელიც სრულად თანაუგ-

რძნობდა ამგავარს მიმართულებას სერბიის პოლიტიკისას. ეს მინისტრი იყო გარაშანინი. ეს გარაშანინის მინისტრობის დროს სერბია უფრო და უფრო ჩაჰყვა ავსტრიის პოლიტიკასა და უავსტრიოდ არც შინ აკეთებდა რასმე, არც გარედ.

ეხლანდელი მინისტრი რისტიჩი კი ცნობილია, ვითარცა მომხრე რუსეთისა და ამიტომაც ბევრსა ჰგონია, რომ რისტიჩის გამინისტრების შემდეგ საგარეო პოლიტიკა სერბიისა სულ სხვა მიმართულებას მიიღებს და რუსეთის გავლენა და ზედმოქმედება ფეხს მოიკიდებს სერბიაშიო. დღეს ამაზედ დიდი ლაპარაკია ევროპის ჟურნალ-გაზეთობაში. ავსტრიის მომხრენი ამბობენ, რომ რისტიჩი ვერ გადუდგება ავსტრიასა და ამიტომაც ჰფიქრობენ, რომ რისტიჩის გამო იქნება ავსტრიის მიმართ სიყვარული ცოტად განელდეს სერბიაში, მაგრამ გარემოებათა ძალმომრეობას წინ ვერ წაუვა და ავსტრიის სამხრო პოლიტიკას ბევრი არა ევნება რაო, სხვანი კი ამას იძახიან, რომ თუ რისტიჩი აქამდე არ ატყუებდა ქვეყანას და განგებ არ იჩენდა რუსეთის მომხრეობას, არ შეუძლიან ძირეულად არ შესცვალოს პოლიტიკა სერბიისა და რუსეთს სერბიაში ფეხი არ მოამაგრებინოს.

რით გათავდება ან ერთის იმედები, ან მეორისა, ჯერ ამის თქმა ძნელია. სახელმწიფოს მმართველნი კაცნი ხშირად მონანი არიან გარემოებისა და საქმეთა ვითარებისა და თუმცა რწმენანი ამისთანა კაცებისა ბევრს რასმე ჰნიშვნენ საქმეთა დაწყებისა და მსვლელობისათვის, მაგრამ ხშირად იძულებულ გახდებიან ხოლმე თვისნი რწმენანი შეუფერონ ჟამთა ვითარებასა.

ამისი მაგალითები ბევრია ისტორიაში და შორს რომ არ წავიდეთ, საკმაოა დავასახელოთ თვითონ დღევანდელის პოლიტიკის გოლიათი თ. ბისმარკი. "ამ რკინის კაცისათვის" უარუყოფელი რწმენა და ჭეშმარიტება არ არსებობს პოლიტიკაში, ესე იგი,

იმისთანა საქმეში, რომელიც თავს დასტრიალებს სახელმწიფო სვე-ბედსა და სახელმწიფოს კეთილ-დღეობისათვის იძვრის ან შინ, ან გარედ ერთისა თუ მეორის მეზობლისაგან.

ჩვენ ეს სერბიის ამბავი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ ამაში ერთი რამ არის შესანიშნავი, რომელიც გვაჩვენებს, რომ თ. ბისმარკს რუსეთის გულის მოგება სდომებია. გაზეთები გვარწმუნებენ ამ ბოლოს ხანებში, რომ ერთის მინისტრის გადაყენება და მეორის ჩაყენება სერბიაში გერმანიის ელჩის გრაფ ბრეის /თუ ბრეიდესი/ რჩევით მოხდაო. ამ გრაფ ბრეის /თუ ბრეიდეს/ ურჩევია მეფე მილანისათვის, რისტიჩი დააყენე მთავარ-მინისტრადაო, რადგანაც რისტიჩი, როგორცა ვსთქვით, რუსეთის მომხრეა, ხოლო თ. ბისმარკისათვის მეტად სასურველია ავსტრიის ამებაცა და ავსტრიის წყენას მეტისმეტად ერიდება. რაკი ესეა, ქვეყანა ჰკვირობს, თ. ბისმარკმა არ ინება ავსტრიის საამურის კაცის გარაშანინის გადაყენება და მის მაგიერად რუსეთის მომხრე კაცის რისტიჩის დაყანებაო? გაზეთებმა კი ალღო აართვეს და ალღო გაზეთებისა ამისთანაში, თუ უტყუარი არა, იმოდენად ზედმიწევნილი მაინც არის ხოლმე, რომ გუმანისათვის ცოტად თუ ბევრად საბუთს იძლევა. ავსტრიის მომხრე გაზეთები ამბობენ, რომ ეს ამბავი ერთისათვის მარტო გულის მოსაფხანია და მეორეს კი ამით არა აკლდება რაო: საქმე ისეა თურმე მოწყობილი, არც მწვადი იწვის, არც შამფური; ერთს სახელი ეძლევა და მეორეს კი სახრავი უწინდელებრ ჰრჩება ხელუხლებლადაო.

ამ გაზეთების ალღოზედ დამყარებულს გუმანს სამართალის შუქი ეფინება, თუ კაცი დააკვირდება დღევანდელს დეპეშას ვენიდამ.



«ბისმარკის ზღვარდაუდებელი ბატონობა»

ტფილისი, 18 ივნისი

ეხლანდელი დრო ევროპაში სრული, განუკითხველი სამზღვარდაუდებელი ბატონობაა პოლიტიკისა: ყველაფერი მას ედება მტლედ, მას ეგება ფეხთა ქვეშ ფიანდაზად. კაცთა საზოგადოების აგებულებაში ბევრი იმისთანა ღონეა, ბევრი იმისთანა საქმე და საგანი, რომელნიც ბუნებითაც თავისით უნდა არსებობდნენ, თავისით მოქმედებდნენ თვით საზოგადოების დღეგრძელობისა და კეთილდღეობისათვის. დღეს არც ერთი ამისთანა ღონე, საქმე და საგანი არ გადაურჩა პოლიტიკას უიმისოდ, რომ ქვეშ არ ამოედო, თავის მოთხოვნილებისათვის არ გაეწირა, თავის გაჭირების სახსარად არ ეხმარა, ერთის სიტყვით, თავის ხიდად არ გაედო, თავის მსახურად არ გადაექცია.

სწავლა-განათლება, სარწმუნოება, მართლმსაჯულობა იმისთანა ძალ-ღონენი არიან კაცთა საზოგადოებისათვის, რომ თვითვეულს ამათ თავისი საკუთარი აზრი და გზა აქვს, და მარტო მაშინ არიან სახეირო და საკეთილონი კაცთათვის, როცა მხოლოდ თავის თავს ემსახურებიან, მხოლოდ თვითონ არიან თავის თავისვე საგნად. რაკი იგინი თავის საკუთარს თავს გადუდგებიან და სხვისა რისამე ყურმოჭრილ ყმად გახდებიან, სხვას რასმე ხიდად გაედებიან, მაშინ

მათგან ნულარ მოელოდებით იმ სიკეთეს, რისთვისაც იგინი ბუნებითად უნდა არსებობდნენ. მაშინ არც სწავლა-განათლებაა სწავლა-განათლება, არც სარწმუნოებაა სარწმუნოება, არც მართლმსაჯულებაა მართლმსაჯულება.

ეგეთი დაქვეითება ერთისაც, მეორისაც, და მესამისაც მით უფრო ადვილად შესაძლებელია, რომ თვითვეული მათგანი მეტად ძლიერ ღონეს წარმოადგენენ ხელგამომავალ კაცისათვის საბოროტოდ და საკეთილოდაც. იგინი იმისთანა ბუნებისანი არიან, რომ სხვისა რისამე სახსრადაც მოიხმარებიან და თავის თავის საგნადაც. ამ ორკეც ბუნებისაგან შესაძლებელი შეიქმნა, რომ სკოლა და ეკლესია ერთს დროს ევროპაში თავის თავის აზრსა და საგანს კი აღარ ეტანებოდა, თავის თავს კი აღარ ემსახურებოდა, არამედ იმაზედ მიიმართა, რომ ბეგარა და ღალა პოლიტიკისათვის ეხადნა და ეძლია. არ ითქმის, რომ დღესაც ეს გარემოება არას სჩაგრავდეს ევროპაში სკოლასა და ეკლესიას და ეს ბევრს და ბევრგან აფერხებს იმ უუწმინდაესს საქმეს, რომელსაც სკოლა და ეკლესია უნდა უძღვებოდეს და წინა სწევდეს.

ჭეშმარიტება, რომელსაც საცნაურად ჰხდის ცოდნა და რომელსაც გზას უკაფავს სკოლა, ღმერთი, რომელსაც კაცის გულში ჩასახავს ხოლმე სარწმუნოება, ეს ორი იმისთანა საგანია, ურომელთოდაც შესაძლებელად წარმოუდგენელია კაცთა საზოგადოების არსებობა. ამიტომაც ერთი მარტო ჭეშმარიტებას უნდა ემსახურებოდეს და მეორე ღმერთს, სხვა საგანი ამათ არ უნდა ჰქონდეს და ვინც ან ერთს, ან მეორეს სხვა რაზედმე მიაქცევს, იგი აუპატიურებს ერთსაც და მეორესაც.

დღევანდელი გერმანია ერთი იმისთანა სახელმწიფოა დღეს, საცა სკოლა და ეკლესია ყურმოჭრილ ყმად გაიხადა თ. ბისმარკმა და თავის ნებისამებრ იმსახურებს. ერთიც და მეორეც თითქმის პოლიტიკას ანაცვალა, თითქო ქვეყანაზედ პოლიტიკის მეტი სხვა

არა არის რა კაცთა ხსნისათვისაო. ხოლო ეს ამბავი ევროპიისათვის ახალი ამბავი არ არის: დიდი ხანია, რაც სკოლას და ეკკლესიას ასე ექცეოდნენ ევროპაში და ბევრმა ქვეყნის გულშემატკივარმა კაცმა დაჰლია თვისი სიცოცხლე სკოლისა და ეკკლესიის თავისუფლად მყოფობისათვის, პოლიტიკის გარე არსებობისა და მსვლელობისათვის.

ხოლო ახალი აი, რა არის ევროპის ცხოვრებაში, ბისმარკის წყალობით დღეს სათავეგახსნილი. დღეს აქამომდე პოლიტიკა ცოტად თუ ბევრად ერიდებოდა მართლმსაჯულობის დაჩაგრვასა და ხელში ჩაგდებასა თავის სურვილისამებრ მოსახმარებლად და გამოსაყენებლად. და თუ სადმე ამ მხრით მართლმსაჯულება იჩაგრებოდა, ამას იმოდენად ჰთაკილობდნენ მჩაგვრელნი, რომ ჰცდილობდნენ არ გამოქვეყნებულიყო, არ გამომჟღავნებულიყო, მათთა სამარცხვინოდ და ყოველს ღონეს ჰხმარობდნენ როგორმე შინვე დაემალათ.

ვერ ვიტყვით, რომ ამ დაჩაგვრის მაგალითები ცოტა იყოს ისტორიაში, მაგრამ ასე აშკარად, ასე კადნიერად, თითქო თავმოსაწონებელი რამ არისო, არსად ყოფილა, როგორც დღეს გერმანიაში მოხდა თ. ბისმარკის ბძანებითა, როცა ლეიპციხში ასამართლებდნენ ელზას-ლოტარენის მკვიდრთა, მითამდა სახელმწიფოს ღალატისათვის. რა თქმა უნდა, სასჯელი გადუწყვიტეს ზოგიერთს მათგანს და ჩვენ იმის განსჯაში არ შევალთ თუ, რამოდენად სამართლიანად მოიქცა ლეიპციხის სამსჯავრო და რამოდენად საბუთიანი იყო ბრალდება შესახებ იმ ელზას-ლოტარენის მკვიდრთა, რომელნიც გერმანიის ქვეშევრდომებად ითვლებიან. საქმე ის არის, რომ სასჯელი გაუჩინეს და გერმანიის მოღალატედ იცნეს საფრანგეთის ქვეშევრდომი, საფრანგეთის ჯარის აფიცერი ბ-ნი კორდონი, რომელიც ელზას-ლოტარენში სცხოვრობდა ჯეროვანის ნებართვითა. მთელი ბრალდება რომ კაცმა კარგად გასჩხრიკოს, დაინახავს, რომ იგი განგებ გასიებულია და გაზვიადებული უმაღლესის ბძანებითა: ბრალმდებელი, ვითარცა ყურ-

მოჭრილი მონა თ. ბისმარკისა, ბევრსა ჰცდილობდა ეგ გასიება და გაზვიადება როგორმე გარედამ შეელესა, შეეგლისა, რომ არარაობა დაემალა, მაგრამ მისმა ოსტატობამაც ვერა ჰქმნა რა. გამოჩნდა, რომ ლეიფციხის მართლმსაჯულობამ ბუზს აქლემი აშობინა. ეს შეგლესილი ფერ-უმარილი რომ ჩამოაბანოთ ამ ბრალდებასა, ცხადად დაინახავთ, რაშიაც მდგომარეობდა არსება ბრალისა: იმათ დანაშაულად ის აღმოჩნდა, რომ საფრანგეთი უფრო მეტად ჰყვარებიათ, ვიდრე გერმანიაო.

ვსთქვათ, ეს დანაშაულობად ჩასათვლელია გერმანიის ქვეშევრდომთათვის, მაგრამ ეს დანაშაული სასაცილოდ ჰხდება, როცა საფრანგეთის ქვეშევრდომზეა გადატანილი. მაშ ბ-ნ კორდონს, საფრანგეთის შვილს, საფრანგეთი უფრო ნაკლებ უნდა უყვარდეს, ვიდრე გერმანია, რომელმაც ერთს დროს ცხვირ-პირი დაამტვრია მის სამშობლოსა, ორი პროვინცია წაართვა და 1875 წელს რომ იმპერატორი ალექსანდრე II არ გამოსარჩლებოდა, ბისმარკი ხელმეორედ უპირებდა აოხრებასა და მიწასთან გასწორებასა? ეს მეტისმეტი კადნიერებაა ადამიანის ბუნების წინაშე, მეტისმეტი თავგასულობაა და არარად ჩაგდებაა არამცთუ მართლმსაჯულობისა, რომლის მართლად სვლა და სისწორე თავდებია კაცთა მშვიდობიანობისა, კაცთა ბედნიერებისა, არამედ შეგინებაა იმ უუწმინდაესის გრძნობისაცა, ურომლისოდაც ადამიანი უბინაო, უთვისტომო მხეცი და ნადირია.

არა გვგონია, ამ ამბავმა უქმად ჩაუაროს გერმანიას და საფრანგეთს გული არ აუმღვრიოს. განა ადვილად მოსათმენია, ადვილად ასატანია, რომ სახელმწიფოს ქვეშევრდომი დაუსაჯეს და ბრალად დასდეს, — შენი ქვეყანა სხვისა ქვეყანაზედ მეტად რად გიყვარსო? ჩვენა გვგონია, რომ საფრანგეთი ამაზედ ხმას ამოიღებს და შნებელის საქმეზედ არანაკლებ აალაპარაკებს საფრანგეთის ერსა, დღესა თუ ხვალ გავიგებთ ეხლანდელი სამინისტრო საფრანგეთისა, როგორ

მოუვლის და უპატრონებს ამ საქმესა. ჩვენ კი მარტო ის უნდა აგვენიშნა, რომ დროთა ნიშანია მიდრეკა მართლმსაჯულობისა და ამგვარად, ხიდად გადება მისი პოლიტიკის მიმოსვლისათვის. ბევრი კარგი მაგალითი უჩვენებია თ. ბისმარკს ქვეყნისათვის და ეს მართლმსაჯულობის ფიანდაზად გაშლაც პოლიტიკის ფეხთა ქვეშ ერთი იმათგანი იყოს. რაღა დარჩა ბისმარკს ქვეყანაზედ, რომ პოლიტიკას ზედ არ შეაკლას და არ ანაცვალოს!

«გერმანიის მიერ არასწორად გადადგმული ნაბიჯი»

ტფილისი, 19 ივნისი

ჩვენის ფიქრით, გერმანიამ რომ ჩამოართვა მის მიერ დამარცხებულს საფრანგეთს ელზას-ლოტარენი, ბევრი ხათაბალა აიკიდა ზურგზედ და ეს ხათაბალა ძვირად უნდა დაუჯდეს გამარჯვებულს გერმანიასა თავის დროზედ და დღესაც კი მეტისმეტად ამძიმებს და აბრკოლებს. მართალია, სახელმწიფონი აქედ-იქით იწევენ გასამატებლად, მაგრამ ყოველი შემატება გაძლიერებას არა ჰნიშნავს. პირიქით, ზოგჯერ გამეტება დაუძლურების მიზეზადაც შეიქმნება ხოლმე და თავმოწონება რომ არ უშლიდეს და აბრუს გატეხას არ ერიდებოდნენ, იქნება წინდაუხედავად შემატებული კიდეც დასთმონ, როცა გადაბრუნებული ურემი გზას დაანახვებს ხოლმე, მაგრამ რას იზამ? ყოველს სახელმწიფოს თავისი თავმოწონება აქვს, თავისი სახელი და აბრუ, როგორც ცალკე ადამიანსა. უამისობაც კი არ შეიძლება.

ხოლო ჭირი ეს არის, რომ ხშირად ეს თავმოწონება და აბრუ ტყუილუბრალოდ აიმრიზება, უადგილო ადგილას გამოიჩენს თავსა, უმიზეზო მიზეზით აპილპილდება ხოლმე გუნებანაქცევ დედაკაცსავით და მაშინ ტყუილის თაკილობით ძლეული და წაღებული სახელმწიფო სამართლიანს გრძნობას პატიოსანის და

ჭეშმარიტის თავმოწონებისას და აბრუსას ჯიუტობად გადააქცევს ხოლმე. ესე იქცევა დღეს ინგლისი ბ-ნ სალუსბერის წინამძღოლობით ირლანდიის საქმეში, ესე იქცევა გერმანია ელზას-ლოტარენის გამო, ესე იქცევა ყოველი სხვა, რომელსაც ყოველი სამართლიანი თხოვნა ერისა თვისის აბრუს შებღალვად მიაჩნია, სახელის გატეხად და ამიტომაც წესად დადებული აქვს, — ჯერ ჩემს ნებაზედ მოვარჯულებ მთხოვნელებსა და მერე, თუ საჭიროდ დავინახავ, დასათმობელს დავუთმობო. სწორედ ამ სიტყვებით ჰმართლულობს თავს დღეს სამინისტრო ინგლისისა, როცა პარლამენტში გაჰყავს თავისი ეგრედწოდებული "რეპრესიის კანონები" ირლანდიის შესახებ.

ამგვარი მიმართულება შინაურის პოლიტიკისა, მარტო ცარიელის სახელისათვის თავდადებული, დავარაყებულს ნაჭუჭსა ჰგავს ფუჭის კაკლისას: გასტეხ და შიგ გამოსარჩოში კი არა არის რა. ამ არარაობას კიდევ გაუძლებდა ქვეყანა, რომ მისი დრო, მისი ქონება, მისი ძალ-რონე და ამ ფუჭის კაკლის მოსავლელად არ ილეოდეს. განა ცოტა მაგალითია, რომ ამ ცარიელს სახელს, რომელსაც არავითარი სახრავი არა აქვს თვითონ ერისათვის, შეუსვამს, შეუჭამია ყოველი ის, რაც უამისოდ თავის გზაზედ წავიდოდა და ერს ამ ცარიელს სახელზედ დახარჯულს დროს, ქონებას და ძალ-ღონეს თავის საკეთილდღეოდ მოახმარებინებდა და ამ მხრით, არ დაახანებდა, არ შეაფერხებდა მის წარმატებასა.

რაც საქმნელია, უნდა იქმნას, ამას წინ ვერავინ აღუდგება. შესაძლოა საქმნელი შეჰფერხდეს, მაგრამ საბუდამოდ კი ცხოვრების დავთრებიდამ მისი ამოშლა შეუძლებელია და ტყუილი დაკარგვაა დროსი და ძალ-ღონისა. ეს დაკარგვა ძვირად უღირს, ძვირად უჯდება ქვეყანასა და ამიტომაც რაც საქმნელია, რომ მალე იქმნას, წმინდა მოგებაა ყველასათვის.

განა წმინდა მოგება არ იქმნებოდა გერმანიისათვის, რომ თავზედ მოხვეული არა ჰქონდეს ძალად

დაჭერილი ელზას-ლოტარენი? რომ ყოველ წლივ ას-ას მილიონები ეხარჯება ჯარებზედ, განა ამისი მიზეზი ელზას-ლოტარენი არა არის, რომელსაც ზურგთუკან უდგას გაძლიერებული საფრანგეთი. განა ის ყოფა, რომ ელზას-ლოტარენს გული საფრანგეთისაკენ მიუწევს და საფრანგეთს ელზას-ლოტარენისაკენ ნატვრის თვალი უჭირავს, ცოტას აბრკოლებს გერმანიას, ცოტას აბრკოლებს? ყოველივე ის უსამართლობა, რასაც დღეს ევროპაში გერმანია სჩადის, ყოველივე ის სადღეხვა-ლიოდ მოსალოდნელი განსაცდელი, რომელსაც დღეს შეუბოჭავს მთელი ევროპა და მთელს ძალ-ღონეს ერისას ზედ ალევინებს განსაცდელის შიშსა — განა სულ ელზას-ლოტარენის წყალობა არ არის? მთელი ევროპა შეჰფერხდა ამ განსაცდელის მოლოდინითა და მარტო იმაზედაა გადაგებული, რომ ჟამთა ვითარებამ თვითვეულს ცალკედ ანაზღეულად არ მოასწროს და არ გათელოს. ამ ელზას-ლოტარენის ძალად დაჭერამ ხომ გერმანია აზიანა და აზიანა, და სხვებსაც კი მარტო იმაზედ მიაჩერებინა თვალი, რომ უეცრად რამ არ გატყვრეს, მოუმზადებელი არ ჩამითრიოს განსაც-დელის ტალღამაო.

ამბობენ, ამის წინადმგრძნობი მოხუცი იმპერატორი ვილჰელმი ძალიან ეურჩებოდა თურმე ბისმარკს და დიდხანს უძალიანდებოდა, რომ ელზას-ლოტარენი არ ჩამოერთმია საფრანგეთსათვის და გერმანიას არ დაეჭირა. თ. ბისმარკი არ დაჰყვა თურმე და დრო გამოაჩენს, ვინ უფრო შორს გამჭვრეტავი იყო ამ საქმეში, იმპერატორი ვილჰელმი თუ თ. ბისმარკი. თ. ბისმარკი ჭკვიანი კაცია და არ შეიძლება დღეს არა ჰხედავდეს, რა ხათაბალა ყოფილა სახელმწიფოსათვის იმისთანა ქვეყნის დაჭერა, რომელის გულიც დღეს აქამომდე ვერ მოუნადირებია. იქნება სიხარულითაც ხელი აეღო დღეს ელზას-ლოტარენზედ, რომ ეს დათმობა სათაკილოდ არ მიაჩნდეს გამარჯვებულის გერმანიის სახელისა და აბრუსათვის, თუმცა არც ერთი და არც მეორე იმოდენად გამოსახრავი არ არის,

რამოდენადაც მაცდუნებელია თუ ყოველთვის არა, ამ შემთხვევაში მაინც.



«მევენახე გლეხთა მდგომარეობა»

ტფილისი, 23 ივნისი

როცა ამბობენ, ესა თუ ის ქვეყანა მდიდარიაო, ამით იმისი თქმა არ უნდათ, რომ ვითომ იმ ქვეყნის ერია მდიდარი, იმიტომ, რომ შესაძლოა ერი მდიდარი იყოს და ამ სიმდიდრეში თვითონ ქვეყანა, როგორც მომცემს ადგილს, არავითარი მონაწილეობა არა ჰქონდეს სიმწირის გამო. სიმდიდრეს ქვეყნისას შეადგენს ის ძალ-ღონე ჰავისა და მიწისა, რომელიც შესაძლოდა ჰხდის მოცემის მრავალგვარობას, და რამდენადაც ეს მრავალგვარობა დიდია, იმოდენად მდიდარია ქვეყანა. ამ საბუთით ამბობენ, რომ ჩვენი ქვეყანა მდიდარია, რადგანაც ჰავა და მიწა ბევრგვარს საგანს სიმდიდრისას იძლევა, თუ კაცი ცნობიერად ხელს მოჰკიდებს და ცოდნით და ხერხიანად გაირჯება. ჩვენი ქვეყანა, მაგალითებრ, ღვინოს და კარგი თვისების ღვინოსაც იძლევა სხვათა შორის. ამ მხრით, იგი მდიდარია იმ ქვეყნებზედ, საცა ვაზი გამო ჰავისა ვერა ჰხეირობს.

ეს ხომ ესეა, მაგრამ ერთი საოცარი ამბავი უნდა შევნიშნოთ. ჩვენ არაერთხელ გაგვიგონია ჩვენის ყურით გულისხმიერ შინაურ კაცთაგან, რომ გლეხობა აქ არის ჩვენში ღარიბი და ყელთამდე ვალში ჩაცვივნული, საცა ვენახობა და, მაშასადამე, ღვინის კეთება გახშირებულია და საცა გლეხკაცობა ამ ვენახობაზედ არის უფრო მეტად თავდადებულიო. პირიქით, საცა გლეხობა მარტო ხვნა-თესვას მისდევს, იქ კი გლეხნი უფრო შემძლებელნი და უვალონი არიანო. ხშირად ამის დასამტკიცებლად თვითონ სოფლებიც დაუსახელებიათ და ამ სოფლების მცოდნე კაცებს უთქვამთ, რომ ამ დასახელებულ სოფლებში მართლა ეგრეა გლეხთა მდგომარეობაო. ჩვენც თვითონ გამოგვიძიებია ეს საოცარი ამბავი ჩვენს ახლო-მახლო თვითო-ოროლა სოფლებში და, ჩვენდა სამწუხაროდ, გამოძიებას არც ერთგან არ გაუმტყუნებია ზემოხსენებული ნათვალევი შინაურ კაცებისა: ყველგან, საცა თვალი მიგვიწვდენია, გამოსულა, რომ გლეხობა იქ უფრო შეძლებულია და უვალო, საცა ვენახები ან სულ არა აქვთ, ან ძალიან ცოტა და საცა უფრო ხვნა-თესვაა, ვიდრე სხვა რამ მიწათმოქმედება.

ეს ისეთი დაუჯერებელი ამბავია პირველი შეხედვით, რომ ჩვენს თვალსაც არ ვუჯერებდით და გულში ვამბობდით, თვითო-ოროლა სოფლის მაგალითი ჯერ კიდევ საბუთი არ არის, სიღარიბის მიზეზად ვიცნათ საგანი სიმდიდრისა, რომელსაც ღვინო წარმოადგენს. მართალიც არის: როგორ დავიჯეროთ, რომ ღვინომ, ესე იგი, მომეტებულმა წყარომ სიმდიდრისამ, ერი გააღარიბოს. ეს მადლის ცოდვად გადაქცევა, ლხინის ჭირად გარდაქმნა ჭკუაში როგორღაც არ მოდის, ლოღიკა როგორღაც ვერ ითვისებს, ვერ იწყნარებს; აქ უნდა სხვა რამ მიზეზი იყოს და ამ მიზეზის გამორკვევა მეტად საინტერესო გახდა ჩვენთვისა. დრო გადიოდა და ჩვენ შევიტყვეთ, რომ ერთი დიდი მემამულე, რომელსაც ორასის დღის ვენახი აქვს გადაჭიმული ერთს ადგილას, ნებას არ აძლევს გლეხობას მის მამულში ვენახი აიშენოს სწორედ იმ მიზეზით, რომ ჩემი გლეხობაო, რომელიც ეხლა მარტო ხვნა-თესვას მისდევს და ცოტად თუ ბევრად წელმაგარია, გაღარიბდება, რაკი ვენახის დავიდარაბას აიკვიატებსო. ჩვენ ვიცნობდით ამ მემამულეს და

საინტერესოდ გაგვიხდა მისგან ამ საგანზედ შეგვეტყო რამე. მან გვითხრა, რომ სწორედ ეგრე ვიქცევი ჩემს მამულში და ჩემისთანა უვალო და შეძლებული გლეხობა ბევრს არ უსახლიაო. ჩემს გვერდით ჩემობას ერთი პატარა სოფელი დაშენდა სახელმწიფო მამულზედაო და როცა ამ პატარა სოფლის გლეხთა ვენახების გაშენება დააპირეს, ბევრი ვურჩიეო, თუ თავის დაღუპვა არ გინდათ, ვენახებს თავი დაანებეთ, მარტო ხვნა-თესვას მიჰყევითო. არ დამიჯერეს და ეხლა ჰნანობენო, ყელთამდე ვალებში არიან, და ჩემი გლეხები კი იმოდენად კარგად არიან, რომ ისინი ამათ შეჰნატრიანო. დღესაც იმ ადგილებში გარშემო ვენახები აქვს გლეხობას და მარტო შუაგული მამულია ხსენებულ მემამულისა, საცა არც ერთს გლეხს ვენახი არა აქვს და არც ნდომობს, რომ იქონიოს.

ჩვენ ეს ამბავი სულ სხვა მიზეზს მივაწერეთ, რადგანაც ლოღიკას როგორღაც არ ეფერებოდა. ჩვენ გვეგონა, რომ რადგანაც ხსენებულს მემამულეს სულ სხვა ხიზნები ჰყავს თავის მამულში, ამ მიზეზით ნება არ მიუცია ვენახების გაშენებისა, რომ მკვიდრად ფეხი არ მოიკიდონ მამულში და მერე სადავიდარაბოდ არ გაიხადოს საქმე. ამის გამო სულ სხვა მიზეზი შევწამეთ და არა ის, რასაც იგი გვაუწყებდა. ეხლა კი ეს საოცარი ამბავი სხვა მხრიდამაც ჰმართლდება.

ხომ მოგეხსენებათ, რომ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წარმომადგენელმა ჩვენში ბ-ნმა ტიხიევმა რჩეულნი მოხელენი გაჰგზავნა სხვადასხვა ადგილას ჩვენში სახელმწიფო გლეხთა ეკონომიურის ყოფა-ცხოვრების გამოსაძიებლად. ამათგან ერთმა, ბ-ნმა არღუთინსკიმ, გამოიძია თელავისა და სიღნაღის მაზრის გლეხობის ყოფა-ცხოვრება და როგორც ეტყობა საბუთიანადაც, და იმასაც, წარმოიდგინეთ, იგივე შეუნიშნავს შესახებ იმ გლეხებისა, რომელნიც მევენახეობას უფრო მისდევენ. იგი ამბობს, რომ საცა გლეხობა ვენახობას აჰყოლია ამ ორს მაზრაში, ნამეტნავად თელავისაში, იქ გლეხობა ვალშია, ღარიბია

და სახელმწიფო გადასახადის დარჩენილი ფულიც იქ მეტია, ვიდრე სხვაგანაო, ამის დასამტკიცებლად საბუთებიც მოჰყავს საკმაოდ შესაწყნარებელი.

რაკი ამ მხრითაც შემოწმებულია დღეს ის დაუჯერებელი ამბავი, რომელიც წინად მოვიხსენიეთ, არ შეიძლება კაცმა ყურადღება არ მიაქციოს და მის ვითარებას არ ჩაუკვირდეს, როგორ გადაექცევა ჩვენს გლეხობას ერთი კაი მოზრდილი წყარო სიმდიდრისა სიღარიბის სათავედ, — ამის გამოძიება და გამორკვევა მეტისმეტად საინტერესოა და ჩვენს ამ საგანს ჩვენის შეძლებისამებრ გამოვიკვლევთ.

ტფილისი, 24 ივნისი

ცალკე ის მოწმობანი, რომ ყველგან, საცა გლეხკაცობა მისდევს ვენახის კეთებასა, გლეხნი სიღარიბეში არიან და ვალებით დამძიმებულნი, ცალკე ის უეჭველი ამბავი, რომ ვენახები თანდათან ჰმატულობენ და მრავლდებიან ქართლ-კახეთში და ამ უკანასკნელ დროს უფრო ქართლში, — ორს ერთმანეთის შეუფერებელს და შეუწყნარებელს მოვლენას წარმოგვიდგენენ. თუ ვენახებითა ჰღარიბდებიან გლეხნი, რაღად მრავლდება ვენახები და თუ ვენახები მრავლდება, რაღას ჰნიშნავს ხსენებული მოწმობანი?

ვენახების გამრავლება ხომ ანგარიშზეა დამოკიდებული და თუ ვენახები ანგარიშში არ მოდის, თავს ტყუილად ვინ გაიცივებდა იმის გასამრავლებლად, რაც ხეირის მაგიერ მარტო ზიანისა და ზარალის მომტანია. ჩვენა გვგონია, რომ ამ ერთმანეთის დამლევს და შემუსვრელს ამბავის მიზეზს მივუხვდებით, თუ თვალწინ წამოვიყენებთ იმ ეკონომიურს ძალ-ღონეს, რომელიც გლეხკაცობას ვენახის გასაშენებლად აიძულებს.

ვენახი თუ ამინდი ხელს უწყობს და წელიწადი კარგი შეხვდა, დიდძალს მოგებას იძლევა. მაგალითებრ,

ბ-ნ არღუთინსკის გამოძიებით გამოდის, რომ თელავის მაზრაში დღიურს ვენახზედ იხარჯება წელიწადში 34 მანათი და შემოსავალი კი ორთა შუა მოსავლისა იძლევა 110 მანათსა, ასე, რომ დღიურზედ წმინდა მოგება რჩება 76 მანათი. ხვნა-თესვა კი იმავ მხარეს იძლევა წმინდა შემოსავალს დღიურზედ 10 მანათსა და ორს აბაზსა, რადგანაც ბ-ნ არღუთინსკის გამოყვანილი აქვს ხვნა-თესვის ხარჯი დღიურზედ 14 მანათი და ორი შაური და შემოსავალი 24 მანათი და ათი შაური, ისიც მაშინ, თუ პურია დათესილი. სხვა მარცვლეულობა კი, მაგალითებრ, ქერი, სულ ოთხს მანათს და ექვს შაურს წმინდა მოგებას იძლევა და სიმინდი მარტო სამს მანათს და ათ შაურსა.

რაკი ხალხის გამრავლება ცოტად თუ ბევრად ყოველწლივ წინ მიდის და ამის გამო სახნავ-სათესი მიწები აღარ ჰყოფნის ხალხსა, რა თქმა უნდა, სახნავ-სათესი მიწა იმისთანა სამუშავოდ უნდა აქციოს, რომელიც ხვნა-თესვაზედ უფრო დიდს შემოსავალს იძლევა, რადგანაც ბარად ჩვენის ქვეყნის მომეტებულ ნაწილში ყურძენი ჰხეირობს და ვენახობა შესაძლებელია, და რადგანაც ვენახი თითქმის ერთიშვიდად მეტს იძლევა ვიდრე სახნავ-სათესი, აშკარაა, ვენახად ქცეული სახნავ-სათესი ერთიშვიდად მეტს სარჩოს მოიტანს; ამ სახით, ანგარიში თვალნათლად აჩვენებს გლეხკაცსა, რომ იგი ტანი მიწა, რომელიც ხვნა-თესვით საკმაო სარჩოს არ იძლეოდა, ვენახეობით კი გაუძღვება მისის რჩენის საჭიროებასა. ამაში უნდა მოიპოვებოდეს მიზეზი ვენახების გამრავლებისა ჩვენში. ამაშივე უნდა მოიჩხრიკებოდეს მიზეზი გლეხის გაღარიბებისა და ვალში ჩავარდნისა, თუ ერთიც და მეორეც მართალია და არა მოჩვენებული ღრმად ჩაუხედავობისაგან.

ხვნა-თესვა იმისთანა რამ არის, რომ თუმცა ცოტას იძლევა, მაგრამ რასაც იძლევა, უფრო საიმედოა და მშრომელს უფრო ნაკლებ გაუმტყუნდება ხოლმე. ხვნა-თესვის მოსავალს იმდენი განსაცდელი, ფათერაკი არა

სდევს, რამდენიც ვენახისას. გარდა ამისა, რომ სულაც მოუცდეს გლეხკაცსა, უფრო ადვილად ასატანია, ვიდრე ვენახის მოსავლის მოცდენა იმიტომ, რომ პირველს შემთხვევაში 14 მანათი ეკარგება და მეორეში კი 34 მანათი, თუ ბ-ნ არღუთინსკის ციფრებს მივიღებთ საანგარიშოდ ეგ ციფრები მით უფრო სარწმუნონი არიან, რომ საკმაოდ ახლო არიან მართალ ციფრებზედ. იმას აღარ ვიტყვით, რომ ხვნა-თესვის მოსავალის ხელაღებით მოცდენა ძნელი და იშვიათი შემთხვევაა, ვენახისა კი უფრო ადვილია და ხშირი, ჯერ მარტო იმ მიზეზით, რომ ხვნა-თესვის მოსავალზედ კარგა გვიან მოდის მოსავალი ვენახისა და, მაშასადამე, ამინდის ცვლილებისა თუ სხვა განსაცდელის ქვეშ უფრო დიდხანს იმყოფება. სხვა რომ არა იყოს რა, მარტო სეტყვა ავიღოთ. ხვნა-თესვის მოსავალი მარტო მკათათვის დამლევამდეა სიტყვის შიშქვეშ და ვენახისა კი თითქმის ღვინობისთთვემდე და ამ ხნის მანძილზედ ვინ იცის, რა არ დაემართოს ვენახსა, კაცზედ დამოუკიდებელ მიზეზის გამო.

ერთის მხრით, დიდს შემოსავლის იმედი, რომელსაც ვენახი იძლევა და რომელიც ცოტად თუ ბევრად საბუთიანია და დიდს ხარჯს აწევინებს, და მეორეს მხრით, ის მრავალგვარი განსაცდელი, რომელიც თან სდევს ვენახის მოსავალსა და ხშირად ვენახის პატრონს ყველაფერზედ ხელს აბანინებს, უნდა ცნობილ იქმნას იმის მიზეზად, რომ ვენახის მიმდევარი გლეხი შეძლებით უფრო უღონოა, ვიდრე ხვნა-თესვის ამყოლი. ვენახს იმოდენა ხარჯი და მოვლა უნდა, რომ ერთი წელიწადი მოუცდეს გლეხსა, გლეხი უეჭველად ვალში უნდა ჩაიფლას, და ვალიც იმისთანა მძიმე პირობისაა, რომ ერთხელ ჩაფლული ძნელად თუღა იხსნის ვალისაგან თავსა. ჩვენ მოვიყვანეთ ბ-ნ არღუთინსკის მიერ გამოძიებული რაოდენობა ხარჯისა ერთის დღიურის ვენახის გასაკეთებლად, მართალზე ძალიან ახლოს. ამ ციფირისაგან სჩანს, რომ ერთის დღიურის ვენახის პატრონს ვენახზედ იხარჯება 34

მანათი. ვენახი რომ მოუცდეს და 34 მანათი ვალად დაედვას ერთის დღიურის ვენახის პატრონს გლეხსა, როგორღა დაიღწევს ამ ვალისაგან თავსა.

რადგანაც ვენახი დიდი შემოსავალის იმედს იძლევა და რადგანაც წინდაუხედავობა, რომელიც ჩვენს ზნეს შეადგენს, მარტო კარგს გვაფიქრებინებს ხოლმე და ათასნაირს განსაცდელს გვავიწყებინებს, ამიტომაც გლეხს გული უფრო ხალვათი აქვს ვალის აღებისათვის: ერთი მოსავალი მომივა და ვალსაც ერთბამად გავუძღვები და ვახშსაცაო, იგი მართალია. ამ ერთის კარგის მოსავლის მოლოდინითა, მაგრამ ხშირად ლოდინი ლოდინად ჰრჩება და გულხალვათად აღებული ვალი თავის ზედნადებით ზედ ეკეცება და რამოდენადაც იმედგამტყუვნებული მოსავალი ვენახისა აკლდება, იმოდენად, თუ არ მეტად, ჰმატულობს ერთხელ აღებული ვალიცა.

გარდა ამისა, თვითონ იგი სოფლის წურბელაც, რომელიც მარტო ფულის ბღარტობითა ჰცხოვრობს და ქვეყანას იმის მეტი მისგან არა ემუნათება რა, იგიც ვენახის იმედით უფრო იძლევა ფულს ვალადა. იგი ფულის სასესხებლად მოსულს კაცს ყველაზედ უწინარეს იმასა ჰკითხავს ხოლმე: ვენახი გაქვსო და თუ აქვს, ამისთანისათვის ფულს სასესხებლად უფრო ადვილად იმეტებს. რადგანაც ფულის პატრონი წინდახედული და ანგარიშიანი კაცია, იმან კარგად იცის, ვენახი რა განსაცდელიანი ქონებაა; კარგად იცის, რომ თუ წელიწადი ემარჯვა, დიდს ღონეს აძლევს გლეხკაცსა, და თუ არა, ფული შესაძლოა დიდ ხანს დაებანდოს და გაებას. ცალკე ამ იმედიანის სიხარბით, ცალკე ფულის დიდხანს დაბანდების შიშით, იმოდენა სარგებელს დაუდებს ხოლმე პირობად, რომ კაცი ჰკვირობს, სალის ჭკუის პატრონი ამ სარგებელს როგორა ჰკისრულობსო.

ხოლო გაჭირებულს გლეხკაცს სარგებლის სიდიდეს და სიმძიმეს უსუბუქებს და საადვილოდ უხდის ისევ ის იმედი ვენახის მოვლისა. ეხლა კი სული

მოვიბრუნოო, ხელი მოვინაცვლოო, ამბობს გულში, და ღმერთი მოწყალეა, სამერმისოდ ვენახი იმოდენას მომცემს, რომ ამასაც წარბშეუხრელად გავწვდეო. აკი, ვსთქვით, გლეხკაცს ვენახის იმედით გული ხალვათი აქვს, და ეს იმედი მით უფრო ადვილად ჭკუაში მოსასვლელია, რომ ვენახი ბუნებითად დიდის მოსავლის შემძლებელია, დიდის მოგების მომცემია, თუკი ამინდი დაუდგა და განსაცდელს გადურჩა. ეს იმედი, უანგარიშოდ გაძლიერებული, წაიცდენს ხოლმე გლეხკაცობას, ცალკე ვალის აღების გზას უხსნის და ცალკე ვალის შიშს უკლავს, მაშინ, როდესაც უამისოდ გლეხკაცი ერთობ მეტად უფრთხის და ერიდება ვალის აღებასა. ამ სახით, სამი მიზეზი ერთად მოქმედობს, ჩვენის ფიქრით, თუ მართლა ვენახის მიმდევარი გლეხკაცი უფრო ვალში ჩაფლულია, უფრო შეუძლებელია, ვიდრე ხვნა-მთესველი, რომელიც უფრო ცოტაზედ, მაგრამ უფრო ნაკლებ განსაცდელიანს და უფრო დიდად საიმედო მოსავალზედ დამყარებულია.

ერთი მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ვენახის კეთების ხარჯი იმოდენაა, რომ თუ ვინიცობაა მოსავალი მოსცდა, გლეხი უვალოდ ამ ხარჯს ვერ გადურჩება; მეორე ისა, რომ დიდი მოგება ვენახისა ვალის შიშს უფრთხობს გლეხსა და ძნელად საკისრებელს ადვილად კისრად აღებინებს; მესამე ისა, რომ იგივ დიდი მოგება ვენახისა ფულის პატრონს უფრო ადვილად ამეტებინებს სასესხებლად ფულსა ვენახის პატრონისათვის. ხოლო ყოველსავე ამ მიზეზს და ვენახის პატრონების ღარიბად ყოფნას მაშინა აქვს ადგილი, როცა დამტკიცებული იქნება, რომ რიგიანი მოსავალი ვენახისა ძალიან იშვიათია ჩვენში და ნაკლები — ხშირი. გლეხის ჩაფლვა ვალში და ვეღარ ამოსვლა ადვილად წარმოსადგენია მარტო ამ შემთხვევაში. ნუთუ ჩვენში უმოსავლობა ვენახისა სჭარბობს მოსავლიანობას?

თუ მართლა დასაჯერია ის ამბავი, რომ გლეხკაცობა, ვენახების მიმდევარი, უფრო ღარიბია ხვნა-

თესვის მიმდევარზედ, უეჭველად ესეც უნდა დავიჯეროთ. ჩვენ მაინც კიდევ საეჭვოდ მიგვაჩნია ეს შინაურ მოსაქმე კაცთაგან შენიშნული და მთავრობის მოხელის მიერ შემოწმებული ამბავი. კარგი იქნებოდა, რომ სოფლად მცხოვრებმა მიხვედრილმა კაცმა თვალი დააკვირვოს ამ საოცარს ამბავს და თვისი აზრი ამ საგნის შესახებ გაგვიზიაროს. ეს მეტისმეტად საინტერესო საქმე იმად ჰღირს, რომ კაცმა ჯაფა გასწიოს და ზედმიწევნით გამოიძიოს. მართლადა, როგორ არ უნდა ეოცოს კაცსა, რომ ადამიანს მეტი სახსარი ჰქონდეს თავის რჩევისა და ის მეტი ჭირად გადაჰქცევოდეს, ანუ უკედ ვსთქვათ, სიმდიდრე სიღარიბის მიზეზად გახდომოდეს.

«რა არის თავისუფლება»

ტფილისი, 25 ივნისი

თავისუფლება იგი ყოფა-მდგომარეობაა ადამიანისაო, ამბობს ბოსსუეტი თავის მსოფლიო ისტორიაში, საცა ყოველი ემორჩილება მარტო კანონსა და საცა კანონი უძლიერესია ყოველ ცალკე კაცზედაო; ასეთის თვალით უყურებდა თავისუფალებას ძველი რომაელი და ძველი ბერძენიო. ეს ჭეშმარიტი და ზედმიწევნილი მნიშვნელობა თავისუფალებისა ეხლაც ცნობილია და აღიარებული ეხლანდელ მეცნიერთა და სახელმწიფოთაგან. ჭეშმარიტი, რიგიანი აგებულება და წყობილება კაცთა საზოგადოებისა სწორედ ამ ქვაკუთხედზედ უნდა იყოს ამოყვანილი. საცა ეგ არ არის, იმ კაცთა საზოგადოებური ცხოვრება, რომელიც ერთმანეთზედ დამოუკიდებლად და გადუბმელად შეუძლებელია, მარტო ძალმომრეობაა, ერთმანეთის თელვაა, ერთმანეთის ჩაგვრა და ძარცვა-გლეჯა. მაშინ ყოფა ადამიანისა ნადირთ ყოფაა და ადამიანი, ეგ კერძი ღვთისა, ნადირად გადაქცეულია, იმიტომ, რომ თვითვეულის სვე-ბედი თვითვეულის ფარ-ხმლით საგერი და სატევია და არა საერთო მფარველობისა და შემწეობისაგან ნათავდებები და დაკუთვნებული. ამ ყოფით ცხოვრება ცნობიერს და ჭკვათამყოფელს სულიერს არ შეუძლიან და თვით იმ კრებულს ჭკვათამყოფელს სულიერთა, რომელსაც ჩვენ კაცთა

საზოგადოებას ვეძახით, მიზეზი არსებობისა და ყოველივე მნიშვნელობა ეკარგება და უბათილდება.

ხოლო კაცმა რომ იმისთანა პატივსაცემი და მართალი, ადამიანისათვის თავმოსაწონი თავისუფალება იქონიოს, როგორსაც ბოსსუეტი ამბობს, საკმაო არ არის მარტო არსებობა კანონებისა. კანონი რჯულია ცხოვრებისა და ამიტომაც იგი სამართლისაგან ამოწვდილი ხმალიც არის ურჩთათვის და ფარიც არის საგერად და სახსნელად ჩაგრულთათვის. თუ ხმლობაში კანონს უსამართლოდ ჰხმარობს ვინმე, მაშინ ფარობამ კანონისამ თავი უნდა იჩინოს საგერად. კანონი მაშინ არის კაცთათვის მადლის მიმნიჭებელი, როცა ამ ორნაირს უწმინდაეს მნიშვნელობას მისას ჰპატრონობს თვითონ საზოგადოება, თვითვეული წევრი, თვითვეული კაცი. როცა კანონის სახელით მისევა თუ მოგერიება ჰბღალავს, ჰლახავს გრძნობას მართლიერებისას, მაშინ მე ვიჩაგრები ამისაგან, თუ სხვა, მაინც მოვალე ვარ თავი გამოვიდო, კანონის სახელი ძირს არ დავცე და არ გავაქელვინო, იმიტომ, რომ კანონი ყველასი ფარ-ხმალია და, მაშასადამე, ჩემიცა. აქ სიდიდე საქმისა არაფერს შუაშია. შეიძლება საქმე ჩალის ფასადაც არა ჰღირდეს, მაგრამ გალახული, გაუპატიურებული გრძნობა სიმართლისა კი მაინც ალაპარაკდეს და კანონს გამოესარჩლოს. ეს მარტო მაშინ არის შესაძლებელი, როცა გრძნობა სიმართლისა, ეგ ერთადერთი თავდები კაცთა საზოგადოების ბედნიერე-ბისა, ყველას გაღვიძებული აქვს და ყარაულად უდგა თვით კანონს.

სწორედ ესეც არის ყველგან, საცა კი ერთი ამ მხრით საზოგადოებურ ცხოვრებაში წარმატებულია. აი, თუნდა ამისი მაგალითი, რომელიც ჩვენებურს კაცს იქმება სასაცილოდაც არ ეყოს და რომელსაც კი, ჩვენის აზრით, დიდძალი მნიშვნელობა აქვს, იმოდენად დიდძალი, რომ უამისოდ ყოველივე კანონი, რაც უნდა კარგი იყოს, უქმი თამასუქია. ბრესლავში /პრუსიის ქალაქია/ ერთი მდიდარი სოვდაგარია თურმე. მას

ეხლახან ჯვარი დაუწერია, პატარძალი შინ მიუყვანია და პოლიციისათვის კი არ შეუტყობინებია, რომ სახლში ახალი ადამიანი დაუბინავებია. პრუსიის კანონებით კი ყოველი პატრონი სახლისა მოვალეა აცნობოს პოლიციას სამის დღის განმავლობაში, თუ ვინმე უცხო კაცი თავის ბინაში დააბაინავა. პოლიციამ ამ კანონის დარღვევისათვის მანათზედ ცოტა მეტი ჯარიმა დააწერა სოვდაგარსა. სოვდაგარმა ჯარიმის გადახდევინება უსამართლოდ იცნა და პოლიციას უჩივლა. სასამართლოში სოვდაგარი ამტკიცებდა, რომ პოლიციას ამ შემთხვევაში ხელი არა ჰქონდა ჯარიმა გადაეხდევინებინა ჩემთვისაო, იმიტომ, რომ კანონში მოხსენებულია, რომ თუ უცხო კაცი დავაბინავე ჩემს სახლში და პოლიციას არ შევატყობინე, მაშინ უნდა გადამხდეს ჯარიმაო; ცოლი კი, არც კანონით და არც საღვთო წერილის ძალით, უცხო კაცად არ ჩაითვლება ქმრისთვისაო. არც სასამართლომ, არც სასამართლოს პალატამ არ შეიწყნარა სოვდაგარის საბუთი და ზემოხსენებული ჯარიმა, სულ ერთი მანათი და ერთი შაური, მჯავრად განუჩინა. სოვდაგარმა მაინც თავისი არ დაიშალა და გადიტანა საჩივარი დიდს სახელმწიფო სამართალში, რომელსაც რეიჰსგერიხტი ჰქვიან.

სასაცილოა განა, მკითხველო, ასეთი დავიდარაბა ერთის მანათის გულისათვის, მერე ვისგან? მდიდარის სოვდაგარისაგან. ჩვენებური კაცი მაშინვე ამოიღებდა ქისიდამ ერთს მანათს და მაშინვე დაამწყრალებდა პოლიციას. მაგრამ აქ საქმე განა მარტო ერთს მანათზეა! რა არის ერთი მანათი სოვდაგარისათვის, ხელის ჭუჭყია, მტვერია და სხვა არაფერი. მაგრამ, აბა, ახლა შიგ ჩაიხედეთ ამ საქმეში, გუნება და ბუნება გაუგეთ, მაშინ სიცილის მაგიერ გრძნობა პატი-ვისცემისა მიგახედებთ ამ სოვდაგარზედ. ცხადია, მდიდარს სოვდაგარს ის კი არ ანაღვლებს, რომ ერთი მანათი ერთმევა, არამედ ის, რომ, მისის აზრით, კანონი და სამართალი ირღვევა და კანონი და სამართალი კიდევ მისის თავისუფლების ციხე-სამაგრე იმოდენად

ძვირფასია, რომ განურჩევლად, განუკითხველად ხელს არავის ახლებინებს. აი, ნამდვილი, ჭეშმარიტი მოქალაქობრივი თავგამოდება, აი ჭეშმარიტი ქველობა კაცთა საზოგადოების წევრისა. ამოდენა დავიდარაბაში, სამს სამართალში საქმის გატარებაში ერთი მანათი კი არა, იქნება ასი მანათიც დაეხარჯოს, მაგრამ იგი, ერისათვისაც იღწვის, მისთვის ყოველს ქონებაზედ უფრო ძვირფასია. კაცმა, მისის აზრით, უსამართლოდ მოაწვდინა მასზედ კანონის ხმალი და იგი იმავ კანონსა თავის კაცურის კაცობის ფასად წინ უყენებს და განკითხვას სამართლისაგან ელის. კაცური, ადამიანური ცხოვრებაც ამას ჰქვიან: ამისთანა კაცთა შორის ყველა შეკრულია ბოროტისათვის და ყველა გზაგახსნილია სიკეთისათვის. თავისუფლებაც ადამიანისა სხვა არა არის რა, რომ ბოროტისათვის სრულად შეკრული იყოს და სიკეთისათვის უხვად გზაგახსნილი.

«კანონის ცოდნა და მისი ფარად გამოყენების აუცილებლობა»

ტფილისი, 26 ივნისი

“ივერიის” 122 ნომერში, დაბეჭდილია სურამიდან მოწერილი ამბავი და სხვათა შორის ის არის მოხსენებული, რომ ზოგი მამულები გვირაბით გამოსატან რკინის გზისათვის საჭიროა შესასყიდლად. ამისთანა შემთხვევაში გაღება მამულისა გასყიდვით ძალდატანებული გასყიდვაა, ამიტომაც სახელმწიფო მეტად ფრთხილად და დიდის რიდით იქცევა, როცა საჭიროება იძულებულ ჰხდის შეეხოს ცალკე კაცის საკუთრებასა და თუ ნებაყოფლობით არა, ძალადაც ჩამოართვას მამული.

ესეთი ძლიერი უფლება სახელმწიფოსი დამყარებულია მასზედ, რომ თვითონ საკუთრებაც იმისთანა ბუნებისაა, რომ ერთის მხრით, ემსახურება ცალკე კაცის საჭიროებას და მეორეს მხრთით, საზოგადო საყოველთავო მოთხოვნილებას ექვემდებარება. ეს ორგვარობა საკუთრებისა წარმომდგარია თვითონ ადამიანის ბუნებისაგან, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი, ერთის მხრით, ცალკე სულიერია და თავისი პირადი, საკუთარი საგანი და ინტერესი აქვს და სხვაზედ დამოუკიდებლად მიეზიდება ამ საგნისა და ინტერესისაკენ და, მეორეს მხრით, ერთი მრავალთაგანია, თავის მსგავს სულიერებზედ მრავალგვარად დამოკიდებული და მაშასადამე, ასე თუ ისე მოვალეა

წინაშე საზოგადოებისა, რომლის გარედ ცხოვრება არ შეუძლიან ბუნებითად.

როცა საკუთარება ცალკე კაცისა საყოველთაოდ გამოსაყენია და საჭირო, მაშინ გარემოება იძულებულჰყოფს სახელმწიფოს კერძო საკუთარებას მისი საზოგადოებური ვალდებულებაც მოსთხოვს. მაშინ კერძოობა საკუთრებისა, მისი ხელშეუხლებლობა ადგილს უთმობს თვის საზოგადოებურს მოვალეობას და აქ თუ კერძო მხარე საკუთრებისა გაუჟინიანდება, სახელმწიფოს ნება აქვს მაგ ჟინს ყური არ ათხოვოს იმიტომ, რომ სახელმწიფოს ყველანი უფრო მეტად მიაჩნდეს, ვიდრე თვითვეული კერძოდ. რადგანაც ამასთანავე კერძო საკუთრების შეურყევლობაც დიდს განძად მიაჩნია სახელმწიფოს თვითონ საზოგადოების დღეგრძელობისა და წესიერად ცხოვრებისათვის, ამიტომაც მარტო ამ დიდმნიშვნელობიანს უფლებასა, მერე იმ სიფრთხილით და რიდით, რომ კერძო საკუთრების პატრონი არ დააზიანოს.

ერთ ამისთანა საზოგადო საჭიროებაზედ სამართლიანად ცნობილია რკინის გზის გატარებაცა, რომლის გამოც სახელმწიფო იძულებულია კერძო საკუთრების პატრონს ჯერ ნებით მოსთხოვოს მამული და თუ ნებით არ გარიგდა, კანონისამებრ ძალით ჩამოართვას. ამის შესახები კანონი ცხადია და რაც შესაძლოა, ყოველი შემთხვევა კანონს წინად დანახული აქვს. ეს კანონები ჩამოთვლილი გვქონდა "ივერიაში" და ყოველს კერძო მემამულეს, რომელსაც კი სახელმწიფოს სახელით მოსთხოვენ მამულსა, ღონე აქვს ეს კანონები ფარად იხმაროს თვითნებობის და ძალმომრეობის მოსევის მოსაგერებლად.

სურამიდამ მოწერილ წერილში ნათქვამია, რომ ორმოც-სამოცთუმნიან მამულში იძულებულ ჰხდიან მამულის პატრონსა ოთხსა და ხუთს თუმანს დასჯერდესო. ეს, რასაკვირველია დიდი უსამართლობაა, მაგრამ ბრალი ვისია და რისა? კანონი თვითვეულს გზას უჩვენებს, როგორ მოიქცეს, თუ ვინიცობაა ცოტა

შეაძლიეს მამულში და ან ნებაყოფლობით არ მორიგდნენ, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ვერც მსყიდველს მიეცემა ნება თავის ნებაზედ იაროს და ვერც გამსყიდველსა, იმიტომ, რომ ერთის მოგებაა, ნაკლები აძლიოს და მეორისა, მეტი მოსთხოვოს. კანონი ამას ვერ შეიწყნარებს და, ამიტომაც კანონს კამისია აქვს დანიშნული ადგილის კაცთაგანვე, რომელთაც იმიტომ, რომ ადგილის კაცნი არიან, უნდა სხვაზედ უკედ იცოდნენ ყოველივე გარემოებანი გასაღების მამულისა, რომელთ კრებულთაგან შესდგება ხოლმე მისი სამართლიანი ფასი. კანონი ამ კამისიის გადაწყვეტილებასაც არა ჰკმარობს, თუ ვინიცობაა უკმაყოფილოდ დარჩა ან ერთი ან მეორე მხარე და ნებას აძლევს ერთსაც და მეორესაც ორის კვირის განმავლობაში თავის საბუთები წარადგინოს ჯეროვანს ადგილს და შებღალული სიმართლე აღადგინოს.

ამ მხრით კანონი თითქმის ყოველს ღონისძიებას ჰხმარობს, არავინ არ დაიჩაგროს და თუ ვინმე იჩაგრება, ეგ მარტო იმიტომ, რომ თვითონ ჩვენ ჩვეულნი არა ვართ, ჩვენ თვითონ ვზდიოთ ჩვენს საქმესა და კანონი ავიფაროთ. სურამელებსაც ამას ვურჩევთ, რომ ამგვარს შემთხვევაში თვითნებობას წინ დაუყენონ კანონი და დაჩაგვრას პირი აბრუნებინონ. ამისათვის საჭიროა შიგ ჩაიხედონ კანონებში, რომელნიც ცხადად აჩვენებენ, რა მჭრელი ხმალი შეუძლიანთ მამულის მსყიდველთ ამოაწვდინონ მამულის პატრონზედ ამ შემთხვევაში და მამულის პატრონებს რა ფარი შეუძლიანთ წინ დაახვედრონ. ეს მით უფრო ადვილია, რომ ამის შესახები კანონები "ივერიაში" /122/ დაბეჭდილია ქართულად თარგმნილი და, ამიტომადაც საცოდნელად ადვილად ხელმისაწვდენი.



«გაზეთ "ივერიის" მარცხი»

ტფილისი, 2 ივლისი

არა გვგონია, სხვაგან სადმე იყოს ისეთი ქვეყანა, საცა ადამიანის პატიოსნება და ნამუსი ისე წინდაუხედავად, ტყუილუბრალოზედ ილახებოდეს, როგორც ჩვენში. ჩვენის ფიქრით კი, ადამიანს, კაცია თუ ქალი, პატიოსნების და ნამუსის მეტი სხვა უძვირფასესი არა აქვს რა გასაფრთხილებელი და წმინდად შესანახავი. ადამიანი ადამიანობს მარტო პატიოსნებით და ნამუსითა და ვინც ეს იცის, იმისათვის შებღალვა ან ერთისა და ან მეორისა ყოველს დანაკლისზედ უმძიმესია, ყოველს მწუხარებაზედ უდიდესი მწუხარებაა.

თუმცა ესეა, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენში კი არაფრად მიაჩნიათ ჩირქის მოცხობა და წაწყმედა სხვისის პატიოსნებისა და ნამუსისა. ამისთანა უკადრისს საქციელს არსად არ ვერიდებით და, საცა ამას ვხედავთ, არამცთუ შესაფერის გულიწყრომით აღვიჭურვებით ხოლმე, არამედ მცირეოდენადაც არ შევიხრით წარბსაც. პირიქით, ზოგჯერ თითქო საქციელს ვუწონებთო, ვიძახით: უჰ, რა ლაზათიანად გამოგილანძღა ამ კაცმა ის კაციო, ასეთი ყოფა დააწია, რომ შენი მოწონებულიო.

ამისთანა საქციელს არ ვერიდებით არც შინა, არც გარედ, არც საქვეყნოდ და არც კერძოდ, არც საზოგადოებაში, არც ცალკე. როცა ეს ამისთანა უკადრისი საქციელი აშკარაა და პირდაპირ ზედმოსეულია, მაშინ ამის მომქმედს, ცოტაოდენი ნიშანწყალი ადამიანობისა კიდევ შეიძლება ვუგულისხმოთ იმიტომ, რომ არ იქნება ისიც არ გამოელოდებოდეს რაიმე განსაცდელსა აშკარად გაუპატიურებულის კაცისაგან. მაშასადამე, იგიც რაიმეს უნდა ჰშიშობდეს და რაკი გაკადნიერდა უკადრისის ქცევისათვის, სჩანს, სძლია შიშსა და განსაცდელს გულდაგულ უხვდება. პირდაპირ ზედმოსეული ავაზაკი იმოდენად საზიზღარი არ არის, რამოდენადაც მხდალი ქურდბაცაცა. იმიტომ, რომ ამისთანა ავაზაკი იმოდენად იმეტებს თავის თავსა, რამოდენადაც გამომეტებული ჰყავს თვისი მოპირდაპირე; აქ მარტო გამარჯვებაა თავდები მისის გადარჩენისა. ქურდბაცაცა კი მალული მტერია, მე თვითონ არ დამაკლდება რაო, მე კი შემიძლიან ვავნო, თუ მემარჯვა და ის კი მე ვერას მავნებს, თუ მემარცხაო.

ქურდბაცაცაზედ უარესნი არიან ისინი, ვინც იმოდენად ხელს იღებენ თავზედ, რომ ცილისწამებით, ხმების დაყრით ჩუმად და იდუმალად უბღალვენ თვის მოპირისპირეს პატიოსნებას და ნამუსსა. რაკი ჯავრი ვისზედმე ჩაიდეს გულში, მაშინ იმათთვის მოსარიდებელი აღარა არის რა: კაცია თუ ქალი, არ მოერიდებიან, რომ ყოველგვარი ლაფი თავს გადაასხან და ერთსაც და მეორესაც სახელი გაუტეხონ, სახელი დაუმხონ. ესეთი საზიზღარი საქციელი მაშინ უფრო საზიზღარია, როცა ნიშნად ამოღებულია დედაკაცი. მამაკაცი ასე თუ ისე შემძლებელია ცილისმწამებელს არ შეუშინდეს და ტყუილს ტყუილის კარამდის ჰზდიოს. რა ჰქმნას ამის არშემძლებელმა უღონო დედაკაცმა! უსამართლოდ, ცილისწამებით გაუპატიურებულმა გრძნობამ დედაკაცის ღირსებისამ სად და რაში ეძიოს თვისი მსჯავრი, თვისი კმაყოფილება! აქ ნამუსის მპარავი ყოველ შიშს გარედ არის, ყოველს განსაცდელს აცილებულია და მით არის იგი უფრო ბილწი და მაშასადამე, უფრო საზიზღარი.

ყოველივე ეს გვათქმევინა ერთმა შემაძრწუნებულმა ამბავმა, რომელსაც ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენს "ივერიაში" ადგილი ჰქონია. ჩვენ მოგვივიდა ერთი მოთხრობასავით რაღაცა წერილი, საცა თურმე ჩამოთვლილია ზოგიერთი ამბავი ერთის ხელნაწერის პასქვილიდამ ამოღებული. ჩვენ ვერ მივხვდით ამ მოთხრობის აზრსა და რადგანაც თვითონ მოთხრობა ცოტად თუ ბევრად ღირსად ვცანით დაბეჭვდისა, დავბეჭდეთ და ამ სახით ერთს საზიზღარს ცოდვაში ჩვენ, ჩვენდა უნებურად, მონაწილეობა მივიღეთ. თუმცა არცოდნა არცოდვაა, მაგარამ მაინც დიდად შემაწუხებელია, რაკი შევიტყეთ, რაზედ არის აშენებული იგი მოთხრობა.

ჩვენ, ვიმეორებთ, ვერ მივუხვდით შინაგანს აზრს მოთხრობისას და იქ კი, საიდამაც გამოგზავნილი იყო იგი მოთხრობა, ყველანი მიმხვდარან, რაც ამბავია: თურმე ნუ იტყვით, სდომებიათ უპატიურად გაეხადნათ ნიშანში ამოღებულნი, ჯავრის ამოსაყრელნი გვამნი და ამით ხელნაწერად გავრცელებულ პასქვილისათვის გაზეთში გამოტარებულ სიტყვით ცოტად თუ ბევრად გზა გაეხსნათ.

"ივერია" როგორც ჭირს, ერიდება ამისთანა საქციელს, ძლიერ ჰფრთხილობს, მაგრამ რას იზამთ, როცა ავზნეობას, უკადრისად ქცევას ამდენი სამალავები აქვს, ამდენი ფარული გზები შემოსაპარავად. რედაქციას სწორედ გულთმისნობა უნდა ჰქონდეს მომადლებული, რომ ამ შემთხვევაში უნებური შეცდომა არ მოუვიდეს და უცოდნელად დანაშაულში არ გაერიოს.

გულით ვწუხვართ, რომ ესე მოუხდა "ივერიას", მაგრამ ესეც კი ვიცით, რომ ჩვენი მწუხარება უბრალოდ გაუპატიურებულის გულის ცეცხლს ვერ გაანელებს: ეს ცეცხლი მეტად მწვავია და დიდხანს გაუქრობელი მისთვის, ვინც იცის, რა დიდი საუნჯეა ადამიანისათვის სიფაქიზე პატიოსნებისა და სიწმინდე ნამუსისა.

«სახასო გლეხთა მამულების გაყიდვა»

ტფილისი, 6 ივლისი

ჩვენ არაერთხელ ამ რამდენისამე წლის წინად გამოგვითქვამს ჩვენი გულითადი მწუხარება იმის გამო, რომ სახასო გლეხთა ვენახები მომრიგებელ-მოსამართლეებმა ვაჭრობის საგნად გახადეს და გლეხებს ვალში უყიდიდნენ. ზოგადი კანონები, რომელნიც საქართველოსათვისაც სავალდებულონი არიან, დიდად ეწინააღმდეგებიან ამნაირს მოქმედებას, თუ გლეხის ვენახები საკუთარს მიწაზედ არ არიან გაშენებულნი. სახასო, ესე იგი სახელმწიფო მიწებზედ გაშენებულნი ვენახები, კანონის სიტყვით, შესაძლოა გაისყიდოს თვითონ გლეხის ნებითა თუ უნებურობითა მხოლოდ მაშინ, როცა მსყიდველი თვითონ სახელმწიფო გლეხია და იმავე საზოგადოებისა თუ სოფლისა, რომელსაც თვითონ ვენახის პატრონი ეკუთვნის. ამ სახით კანონით აკრძალულია სხვა წოდების კაცმა სყიდვით დაინარჩუნოს სახელმწიფო მიწაზედ გაშენებული ვენახი.

ზედმოსევამ და, როგორც ეტყობა, ძლიერ ზედმოსევამაც ვაჭრობისამ და ფულის პატრონებისამ ამ ცხადს კანონს შეუშალეს აზრი და სახე. კანონი პირდაპირ აცხადებდა თავის სურვილს და განზრახვასა. აქ რომ ვერას შეუვიდნენ, ერთი სასაცილო გზა იპოვეს კანონის გასამრუდებელად, ანუ, უკეთ ვსთქვათ, კანონის გზის ასაქცევად. მოიგონეს, რომ შესაძლოა ვენახი

გლეხისა გაიყიდოს მხოლოდ იმ პირობით კი, რომ მიწა არ დაეკუთვნოს მსყიდველსა და მარტო ვაზი და ყოველივე, რაც მიწაზე ზეზე სდგას, გასასყიდს საგნად გახდეს. ზოგიერთმა მომრიგებელმა მოსამართლემ ეს მოხერხებული ხრიკი ხელზედ დაიხვია და დაუწყო სახასო გლეხების სახასო მიწაზედ გაშენებულ ვენახებს ვალში გაყიდვა. ის კი აღარ წარმოიდგინა, რომ ვენახი მაშინ არის ვენახი, როცა მიწა და ვაზი ერთად არიან განუყოფელად; როცა ერთს განაშორებ მეორისაგან, მაშინ ვენახი ვენახი აღარ არის.

ამ უცნაურს გასყიდვას, რომლის ძალითაც ტყავი რჩებოდა და მხოლოდ მასზედ ამოსული ბეწვი ცალკე იყიდებოდა, რომ ბოლომდე მიჰყოლოდნენ, კიდევ ცოტაოდნად შეღავათი ექმნებოდა გლეხსა. მაგრამ ეს არ მოხდა. რადგანაც ვენახი მხოლოდ მაშინ არის ვენახი, როცა ვაზი და მიწა განუყოფელად არიან და არა ცალ-ცალკე, ამიტომაც ხსენებულ ხერხით გაყიდული ვაზი მიწას არა ჰშორდებოდა და ამ სახით მარტო ვაზის მსყიდველი მიწის პატრონადაც ჰხდებოდა უსყიდველად და უხარჯოდ. ფულის პატრონები სიხარულით ხელებს იფშვნეტდნენ და იძახოდნენ: "ეს რა კარგი დრო დაგვიდგაო. ჩალის ფასად ვაზსა ვყიდულობთ, იმიტომ რომ ცარიელი ვაზი მეტადაც არა ჰღირს და ამით მიწასაც ვეპატრონებითო. მეტი ხეირი-ღა გინდაო".

ეს ასეთი ხერხიანობა გლეხთა ვენახების გასყიდვაში 1870-1880 წლებში ისეთი ხშირი იყო, რომ გლეხკაცობას მტვერი აედინა. ნამეტნავად თელავისა და სიღნაღის მაზრაში ბევრი მსხვერპლი შეიწირა ამ ხერხიანობამ და ბევრი ვენახები აესხლიტა გლეხკაცობასა. თელავისა და სიღნაღის მოქალაქეებს აუარებელი ვენახები გამოუცლიათ ამ გზით გლეხკაცობისაგან. მთავრობის კაცისაგან ადგილობრივი გამოძიება საოცარს რიცხვს ამ ხერხით გაყიდულ

ვენახებისას გვაუწყებს* მაგალითებრ, მარტო სიღნაღის მაზრაში 381 ვენახი ჩაუგდიათ ხელში მოქალაქეებსა და თელავის მაზრაში 224 და სულ მთელს კახეთში კი 605 ვენახი გასყიდვიათ გლეხთა და თითქმის ეს ამოდენა რიცხვი ვენახებისა ხელიდამ გამოსცლია გლეხკაცობას და თელავისა და სიღნაღის მოქალაქეებს დარჩენიათ სანავარდოდ.

ნეტავ ვიცოდეთ: როგორ გაუძღვებოდა სამართალი, რომ ეხლა კაცმა უთხრას ამ ვენახების მსყიდველებს: თქვენ, თქვენის ნასყიდობის სიგელის ძალით, გიყიდნიათ მარტო ვაზები ვენახისა და მიწა კი არა; მაშ ამოთხარეთ თქვენი ვაზები და საიდამაც მოსულხართ, იქ წაბძანდითო, მიწასთან ხელი არა გაქვთო! მეტად საყურადღებო საქმე იქმნებოდა, რომ ერთმა ვინმემ, ან თვითონ სახელმწიფო ქონებათა გამგეობამ, მოიწადინის ამ გზით წამოაყენოს ეს დავიწყებული საქმე და ხერხით გამრუდებული კანონი სამართალს გაასწორებინოს.

* ნახეთ: Материалы для изучения економ бита госуд. крестъян, т. IV стр. 225-244 и т. V стр. 37-62.

«პოლიტიკური ამინდის შეცვლა გლადსტონის სასარგებლოდ»

ტფილისი, 8 ივლისი

მარკიზმა სალუსბერიმ თუმცა თავისი გაიყვანა და დღესა თუ ხვალ კანონდებულება ირლანდიის შესახებ სამოქმედო კანონად იქცევა, მაგრამ ზოგიერთი ნიშნებია და კაცმა შესაძლოა იფიქროს, რომ კონსერვატორთა დასის სამინისტრო ინგლისისა ისე მაგრად ვეღარა სდგას თავის ადგილას, როგორც აქამდე იდგა. თუმცა ქვედა პალატა ჯერ კიდევ მხარს აძლევს ამ სამინისტროსა და თითქმის ორი წილი მისი ერთგულად ჰშველის სალუსბერის სამინისტროსა და მარტო ერთი მესამედი გულმოდგინედ წინააღმდეგობას უწევს, მაგრამ ეგ უმრავლესობა პალატისა, როგორც სჩანს, ვერ დაიქადებს, რომ სრული წარმომადგენელი ვარო ინგლისის ერისა.

მას აქედ, რაც გლადსტონი გადადგა სამინისტროსაგან და მის მაგიერ სალუსბერი, ვითარცა მოთავე კონსერვატორებისა, ჩადგა, ინგლისის ერს აზრი შეეცვალა ირლანდიის გამო და იმოდენად შეეცვალა, რომ თუ ვინიცობაა დათხოვილ იქმნა პალატა და ახალი არჩევნები დაინიშნა, გლადსტონელებს იმედი აქვთ გავიმარჯვებთო. ზოგიერთი საბუთი ჰქონდათ გლადსტონელებს, რომ ეს იმედი ჰქონიათ და ეხლა კი უფრო გაუძლიერდათ იმედი ერთის არჩევანის გამო,

რომელმაც თვით კონსერვატორებიც კი ჩააფიქრა. აი, საქმე რაშია:

ერთმა პალატის დეპუტატმა, ფინჩ გეტონმა, პერობა მიიღო და ამის გამო უნდა დასთხოვნოდა ქვედა პალატის დეპუტატობას. დანიშნულ იქმნა არჩევანი მის მოადგილის ამოსარჩევად სპალდინგში, საიდამაც გეტონი იყო გამოგზავნილი დეპუტატად. გლადსტონელებმა წარმოადგინეს თავისი მომხრე კაცი გალლეი სტუარტი კანდიდატად და კონსერვატორებმა — თავისი. გლადსტონელებმა გაიმარჯვეს. ასე, რომ 747 კენჭი მეტი მოუვიდა გალლეი სტუარტსა. იტყვიან, ერთი კაცის ამორჩევა არაფერი ნუგეშიაო, მაგრამ ამ ამორჩევამ თითქმის მთელს ინგლისში დიდი ამბავი მოახდინა. სპალდინგი დღეს აქამომდე ირჩევდა ხოლმე კონსერვატორთა დასის კაცსა და სალუსბერის დასი დიდად იმედოვნებდა, რომ ეხლაც ესე მოხდებაო, მით უფრო, რომ თვითონ გლადსტონელებს სულაც არა ჰქონიათ იმედი გამარჯვებისა, თუმცა ბედის საცდელად კანდიდატი კი წარადგინეს. ხოლო საქმე კი ისე გათავდა, რომ იმედოვანთა იმედმა უმტყუნა და უიმედოებს მოულოდნელი აუსრულდათ.

ეს ამბავი მით უფრო შესანიშნავია, რომ სწორედ მაშინ მოხდა, როცა ორნი უპირატესნი დასნი ინგლისის ერისა ირლანდიის გამო ერთმანეთში დატაკებულნი არიან. თუ სპალდინგმა, რომელიც კონსერვატორების ბუდედ ითვლებოდა დღემდე, ასე იცვალა აზრი ირლანდიის გამო, რა უნდა ითქვას დანარჩენს ერზედ, საცა კონსერვატორობა ისე ძვალ-რბილში გამჯდარი არ არის. ამიტომაც სტუარტის ამორჩევამ ძლიერი ფრთები შეასხა გლადსტონელებს და გაამხნევა.

“სპალდინგის არჩევანი, უთქვამს გლადსტონს ერთს ადგილს: მეტად შესანიშნავი ამბავიაო. ნუ დავივიწყებთ, რომ სპალდინგი ერთი იმისთანა ადგილია, საცა ლიბერალებს დიდი ხმა და გავლენა არა აქვთო. პირიქით, უკანასკნელ არჩევანებზე სპალდინგმა დიდად

დააზიანა ჩვენი დასი და ეხლა კი აზრი ლიბერალების სასარგებლოდ შესცვლიათ, ასში თოთხმეტი ხმა მოგვემატებაო. თუ ამ მომატებას ორთაშუა რიცხვად მივიღებთ მთელის ინგლისისათვის, ჩვენ შეგვიძლიან გულდაჯერებით ვსთქვათ, რომ დიდი ცვლილება მოხდება ორთა გაუფლებულთა უმთავრესთა დასთა შორის, თუნდ ხვალვე პარლამენტი დაითხოვონ და ახალი არჩევანები დაინიშნოსო".

ასე ჰხსნის სპალდინგში სტუარტის ამორჩევის ამბავს გლადსტონი. ვსთქვათ, გლადსტონს ამ შემთხვევაში რასაც გული ეუბნება, იმას ხედავს, აი თვითონ ლორდი ჩერჩილი, რომელის ეხლანდელის სამინისტროს მომხრეა, რას ამბობს ამ საგანზედ. ლორდს ჩერჩილს სიტყვა წარმოუთქვამს კონსერვატორთა კლუბში, საცა იგი პრეზიდენტია და შეჰხებია სპალდინგის არჩევანსა. "სპალდინგის არჩევანმა თვალი უნდა აუხილოს გლადსტონის მოპირისპირე დასსაო. ეს არჩევანი ცხადად გვეუბნება, რომ ბევრი იმედი არ უნდა ვიქონიოთ ეხლანდელს უმრავლესობაზედ პალატაში; უნდა ვეცადნეთ ხელახლად დავიბრუნოთ ის, რაც ჩვენს ქვეყანაში ხელიდამ მიგვდისო".

მართალია, მეორე არჩევანი, ეხლახანვე ჩრდილოეთ პადდინგტონში მომხდარი, ვერ ემარჯვათ გლადსტონელებს და აქ კონსერვატორი ერდი ამოირჩიეს პალატის დეპუტატად, მაგრამ ამ არჩევანმაც გუნება გაუკეთა ლიბერალთა დასსა იმიტომ, რომ შარშან აქ კონსერვატორთა დასის დეპუტატი ამორჩეულ იქმნა 911 კენჭის უმეტესობით და დღეს კი ბ-ნმა ერდმა მარტო 418 კენჭი მიიღო მეტი. აშკარაა, აქაც ამომრჩეველთა აზრი ძლიერ შეცვლილა გლადსტონელებთა სასარგებლოდ, რადგანაც კონსერვატორებს თითქმის ხუთასი კენჭი დაჰკლებიათ.

ყოველივე ეს შესანიშნავია და ხელზედ დასახვევი ნიშანია მისი, რომ კონსერვატორებს დღედადღე ფეხქვეშ მიწა ეცლებათ. ინგლისი იმისთანა ქვეყანაა, მისი ერი იმისთანა თვისებისა, რომ ყოველს ახალზედ

უეცრად და ერთბაშად არ აპილპილდება ხოლმე, ფეხმძიმედ და დიდის სიფრთხილით იცის სიარული, მაგრამ თუ ერთხელ ახალს გზაზედ ფეხი გასდგა, მისი უკან დახევა ძნელიღაა. ზემომოყვანილი ამბები ცხადად გვიმტკიცებს, რომ ინგლისის ერს დღეს ისე აღარ ეუცხოება გლადსტონის მოძღვრება ირლანდიის შესახებ, როგორც შარშან იყო, პირიქით, თანდათან ითვისებს და რადგანაც მართალი და, მაშასადამე, მერმისიც ამ მოძღვრებისაა, ამიტომაც გლადსტონის მოძღვრების მომხრეობას გაძლიერება და გაუფლება მოელის ამ ახლო ხანში. ამას ჰშიშობენ კონსერვატორები და ამით გულს იკეთებენ ლიბერალნი.

«სწავლა-განათლება ერის წარმატების საწინდარია»

ტფილისი, 9 ივლისი

ჩვენს გაზეთში ზედიზედ მოწერილი ამბავია დაბეჭ-დილი: ერთი სოფელ კვათანიდამ და მეორე ლანჩხუთ-იდამ, ორივ ეს სხვადასხვა ადგილიდამ მოწვდილი ამბავი ერთსა და იმავე მიზეზს იძლევა, კაცი დაუკვირდეს ერთგვარს მოვლენას, რომელიც, ჩვენში რომ ვსთქვათ, "არ ახალია, ძველია" და მით, რასაკვირველია, არანაკლებ საყურადღებოა და ათასჯერ სათქმელი და სამოძღვრებელი.

ამ წერილების დამწერნი გულმართლად მოგვითხ-რობენ თუ რა, ზედმოქმედება იქონია სოფლელებზედ ოთხის ივლისის მიწისძვრამა. რა თქმა უნდა, რომ ეს ბუნებური მოვლენა, არაერთხელ ყოფილა ჩვენში თუ სხვაგან, ხალხმა ჯერ ყველაზედ უწინარეს ღვთის წყრომას მიაწერა, ცოდვათა გახშირების გამო მოვლინებულსა და ყველაზედ უწინარეს იგი ღონე იღონა, რომ წყრომა ღვთისა წყალობად გარდიქციოს და ღმერთი მოწყალების თვალით გადმოახე-დოს. ამისათვის აიღეს და სოფლის განაჩენით დაადგინეს, რომ კვირაში ერთი დღე პარასკევი შესწირონ ღმერთსა და სამუდამოდ იგი დღე იუქმონ.

ცხენი როცა დაფრთხება ხოლმე, მიზეზი ის არის, რომ ნათლად ვერ არჩევს საგანსა. ამისი წამალი

მარტო ის არის, რომ ცხენს ძალად მიიყვანენ ხოლმე საფრთხობელ საგანთან, თვალით დაანახვებენ და ერთხელ და ორჯელ ამნაირად ნაწურთნი ცხენი თუ ფრთხოლას ერთობ არ დაიშლის, იმ ნაჩვენებ საგანზედ მაინც აღარ დაფრთხება ხოლმე. ადამიანი, რასაკვირველია, ცხენი არ არის. არც მიწისძვრაა იმიათანა საგანი, რომ კაცმა ან ხელი შეახოს, ან თვალი მოჰკიდოს. მიწისძვრის მომავლინებელნი ძალნი ადამიანის თვალთაგან მიუწვდომელ სფერაში მოქმედობენ და რადგანაც ამის გამო მიზეზი ნათლად და თვალსაჩინოდ გამოურკვეველია, უცოდინარი ხალხი უფრთხის და ჰშიშობს. ეს ამბავი განა მარტო ჩვენშია: ყველგან არის და ყველგან ასევე ჰშიშობენ და ფრთხიან ამგვარ ხორცის თვალთაგან მიფარებულ ამბავზედ.

მაგრამ კაცთა საბედნიეროდ, ღმერთს ადამიანი-სათვის ხორცის თვალთა გარდა მიუნიჭების გონების თვალიცა და თუ ეს თვალი კაცს კარგად უჭრის, ქვეყანაზედ არა დაემალება რა და ყველა მოვლენას ქვეყნისას ასეთს თუ ისეთს მიზეზს მოუპოვებს. თუ ეს მიზეზი ყოველთვის მართალი და უტყუარი არ არის, იმოდენად მაინც საღი და ჭკუას ახლოა ხოლმე, რომ კაცი ტყუილუბრალოდ არ გადაეგება, არ იხარჯება, არ იბნევა და არა ბრკოლდება თვის ყოველდღიურ ცხოვრების მსვლელობაში და არ ეძლევა ტყუილს სასოწარკვეთილებას, რომელიც ყველა მავნეზედ მავნეა, რადგანაც ადამიანს გულზედ ხელებს აკრებინებს და მცონარედა ჰხდის.

სწორედ ამ დღეში ჩაცვივნულან კვათანელნი და ლანჩხუთელნი და ამ დღეშივე ცვივიან ბევრგან სხვაგა-ნაც იმისთანა ბუნებურ მოვლენის გამო, რომელსაც აუხილველი თვალი გონებისა ვერა სწვდება დასანა-ხავად. რამ უნდა აუხილოს ეს გონების თვალი? მარტო სწავლა-განათლებამ და სხვა არაფერმა. აი, ძველის-ძველი სახსარი, რომელიც ყოველთვის ახლად სამოძღვრელია ამ ურჩის და ბნელში მოარულ წუთი-

სოფლისათვის. ხორცის თვალს ბევრი არა შეუძლიან
რა ქვეყნის საბედნიეროდ, თუ თან არ შესწევს ყოვლად
შემძლებელი გონების თვალი, რომელსაც ცაში
ვარსკვლავი არ გამოეპარება და ზღვის ძირში ქვიშა,
რომლისათვისაც არც იმოდენა მანძილია ქვეყნიერო-
ბაზედ, რომ არ მისწვდეს და არც სიღრმეა, რომ არ
ჩაიხედოს, არც იმისთანა საიდუმლოა, რომ ჭკვისაგან
შესაწყნარებელი მიზეზი მაინც არ მოუპოვოს ასე თუ
ისე.

მართალია, მიწისძვრას დიდი უბედურობა მოსდევს
ხოლმე. ჩვენი აწ წარმავალი საუკუნე, როგორც წინა
საუკუნენიც, არაერთხელ ყოფილა მოწმად, რომ ძვრას
მიწა გაურღვევია და თან ჩაუტანია ქალაქები და
სოფლები, მაგრამ აქ ღვთის წყრომა არაფერს შუაშია.
ყოვლად მოწყალე ღმერთი თვის დანაბადს ქვეყანას
თვითვე არ დააქცევს ღმერთი ქრისტიანობისა
შურისმაძიებელი ღმერთი არ არის; იგი კაცთმოყვარეა
და ამის დასამტკიცებლად ძე თვისი საყვარელი
გამოგზავნა ქვეყნად ქვეყნის სახსნელად და მან ძემან
ღვთისაგან განტეხა ხორცი თვისი და დაანთხია
სისხლი თვისი მისატევებლად ცოდვათა.

თუნდ რომ მიწისძვრა ღვთის წყრომად ვიგუ-
ლისხმოთ და არა ბუნებურ მოვლენად, როგორც
ნიაღვარის მოვარდნა, სეტყვა, მეხი და სხვა ამისთანა,
მაინც რა წამალია უქმობა, რომელიც ზემოხსენებულ
სოფლებს სასოფლო განაჩენით დაუდგენიათ? უქმობაა
დედა ყოველის ბოროტისაო, განა იმავე ღმერთმა არ
ბძანა? მაშ ღვთის წყალობის მოსაპოვებლად რა
სახსარია იგი ღონე, რომელიც ყოველის ბოროტის
დედად აგრე სამართლიანად წოდებულია? ღმერთს
მშრომელი, გამრჯელი კაცი უყვარს, იმიტომ, რომ
მისგანვე არის ნაბძანები: "ოფლითა თქვენითა მოიპოვეთ
პური თქვენიო". მცონარეობა, უქმად ყოფნა სძულს
ღმერთსა, იმიტომ, რომ ბოროტისა და ცოდვისათვის
ხელგამომავალი და მოცლილი მარტო მცონარე და
უქმი კაცია. იესო ქრისტემ თვისის იგავით მცონა-

რეობას ანდერძი აუგო და თვისი სამართლიანი
მსჯავრი დასდო. ვის არ ახსოვს იგი იგავი, რომელიც
მოგვითხრობს, რომ ბატონმა მონას ტალანტი მისცა
სასარგებლოდ და იმის მაგიერ რომ ასარგებლოს,
მონამ აიღო და მიწაში ჩაჰფალა, არ დამეკარგოსო. ვის
არ ახსოვს როგორ განჰკითხა იესო ქრისტემ ამისთანა
მცონარე?

ამიტომაც მეტისმეტ შეცდომად მიგვაჩნია კვათა-
ნელებისა და ლანჩხუთელებისაგან კვირაში ერთი დღის
უქმად დადება. ეგ უმიზეზო უქმობა რისხვას და არა
მოწყალებას მოიპოვებს იმისაგან, ვინც შრომა და
გარჯა პატივსადებ მოქმედებად გვიანდერძა. ღმერთს
უქმობით ვერავინ აამებს. ამისათვის საჭიროა მხოლოდ
კეთილი საქმე, რომელიც წარმოსდგება ხოლმე
პატიოსნებისა, ნამუსისა, გულმართლად ცხოვრებისა და
კაცთმოყვარეობისაგან. ყველა ეს მაცხოვარნი გრძნობანი
შვილნი არიან მარტო ჭეშმარიტის სწავლა-
განათლებისა. ამიტომაც უფრო მართლად გამოსადეგი
იქნებოდა, უფრო საამური ღვთისა და კაცისათვის, რომ
კვათანელებმა და ლანჩხუთელებმა ის ერთი დღე
კვირაში უქმად არ ატარონ, არამედ ისაქმონ და იმ
ერთის დღის ნამოქმედარი ჭირნახული შესწირონ
თვისი შვილების სწავლა-განათლების საქმეს და ამ
შესაწირავით საკუთარი სკოლა გამართონ, როცა
ამისათვის საჭირო ფული მოუგროვდებათ.

«პოლიტიკის სასწორის ორმხრივი ტოკვა»

ტფილისი, 10 ივლისი

ბოლგარიის დიდმა საერო კრებამ, როგორც მოგეხსენებათ, ამოირჩია, ბოლგარიის მთავრად პრინცი ფერდინანდი კობურგისა. ეს პრინცი სარწმუნოებით კათოლიკეა, ქვეშევრდომობით ავსტრიელი და ენათესავება ხელმწიფის გვარეულობას ავსტრიისას, ინგლისისას, ბელგიისას და შვილისშვილია საფრანგეთის ყოფილ მეფეების გვარეულობისა, რომელსაც ორლეანები ეწოდებიან. შედეგი ამ ამორჩევისა სწორედ ამოცანა გახდა: არავინ იცის პრინცი კობურგისა ინებებს ბოლგარიის მთავრად ყოფნას, თუ უარს იტყვის. ჰოსა და არასათვის ჟურნალ-გაზეთობას ათასი საბუთი აქვს და რადგანაც ჟურნალ-გაზეთობის მოვალეობა ის არის, რომ უსათუოდ უნდა ილაპარაკოს, თუნდაც სათქმელი არა ჰქონდეს რა, ამიტომაც ამ კობურგის ჰო—არაობით სავსე საქმეს ათასნაირად გარს უვლიან და ვისაც რა ჰსურს მოსახდენად, იმის კვალობაზედ ლაპარაკის ჟინს იკლავს და წინასწარმეტყველობს.

საქმე ჯერ კი იმაშია, რომ პრინც კობურგის მთავრად ყოფნა ბოლგარიაში ზოგს დიდს სახელმწიფოს ძალიან გულით უნდა და ზოგი კი დიდს უარზეა. რომელი მათგანი გაიტანს ეხლანდელის ყოფის სვეტიდის ბურთსა საპოლიტიკო მოედნიდამ, ამისი პასუხი ჟამთა მსვლელობას მივანებოთ და ჩვენ იმას დაუფიქრდეთ, რის მომასწავებელია ეს ტირნოვის კრებისაგან მოვლინებული საქმე.

ჩვენ წინადაც გვითქვამს და ეხლაც ვიტყვით, რომ უღელი დღევანდელის პოლიტიკის სასწორისა ორმხრივად სტოკს, ხან დასავლეთისაკენ გადიხრება ხოლმე, ხან აღმოსავლეთისაკენ იმის მიხედვით თუ, საიდამ უფრო საფიქრებელია შავის ღრუბლების მოდენა გერმანიისათვის. აქ მარტო გერმანიაა, რომელიც ამ უღელს პოლიტიკის სასწორისას აწვალებს და დიდის ხერხით ატოკებს თვისთა საქმეთა გასამართავად. ცოტა არ იყოს ამაში გერმანიას ჰშველის ინგლისიცა, რომელიც ჰსცდილობს აქ, ევროპაში, ბალკანიის ნახევარკუნძულის საქმეებში გააბას თვისი მოპირისპირენი აზიაში, იგინი აქ მოაცდინოს, რომ იქ დიდი ურჩობა არ გაუწიონ მოუცლელობით. ამიტომაც არც ერთისათვის, არც მეორისათვის სასურველი არ არის, რომ ეს უთავბოლო საქმე ბოლგარიისა ოდესმე გათავდეს და დასასრული იქონიოს.

ამიტომაც პრინც კობურგის ამორჩევა ჩვენ იმისთანა საქმედ მიგვაჩნია, რომლის გამო კარგა ხანს დიპლომატური მითქმა—მოთქმა და კამათობა შესაძლოა გაიმართოს და მაშასადამე, ბოლგარიის საქმე აწეწილად დარჩეს იმ დრომდე, ვიდრე იგი გამოსაყენი იქნება სახელმწიფოების ერთმანეთთან დაჯახებისათვის და ერთმანეთში ანგარიშების გასწორებისათვის. ეგრედ აწეწილად დარჩენა ბოლგარიის საქმისა მეტად საჭიროა გერმანიისათვის, რომელსაც თითქმის ხმალზედ ხელმოკიდებული საფრანგეთი პირში უდგას და მოსვენებას არ აძლევს. მარტო საფრანგეთი დიდად საშიში არ არის გერმანიისათვის: გერმანიას რუსეთის შიში აქვს, რადგანაც საქმეთა გარემოების გამო შესაძლოა რუსეთმა ხელი გაუწოდოს საფრანგეთსა და ეს ორი ძლიერი სახელმწიფო ერთად ამოქმედოს

სვე–ბედის მოედანზედ და მაშინ ვინ იცის, ამ მოედნიდამ სვე–ბედის ბურთს ვინ გაიტანს. ეს გარემოება აიძულებს გერმანიას, რომ ამ ორს სახელმწიფოს შუაში ჩაუდგეს და შესაერთებელი ხიდი მათ შორის როგორმე ჩასტეხოს. ამიტომაც, როცა უნდა საფრანგეთი დააჩუმოს, თ. ბისმარკი მოუტკბილდება ხოლმე რუსეთსა და ანიშნებს, რომ აი, ბალკანიის ნახევარკუნძულზედ ხელს შევუწყობ რუსეთსა და მაშინ რუსეთს მიზეზი არ ექნება შენ დაგიახლოვდესო და როცა საჭიროა, ისე იქცევა, თითქო მზად არის საფრანგეთს სანატრელი აუსრულოს და ამით მიზეზი მეშველის ძებნისა მოუსპოს.

როცა საფრანგეთში გობლე–ბულანჟეს სამინისტრო იყო, მაშინ ბოლგარიის საქმე სრულებით მიაყრუა გერმანიამ იმიტომ, რომ აქ საქმის აშლა რუსეთს საფრანგეთზედ უსათუოდ მიახედებდა, როგორც თავის მომხრეზედ და ამის სურვილს ერთად მოქმედებისას ორსავე სახელმწიფოს გაუძლიერებდა. ეს მით უფრო საშიში იყო გერმანიისათვის, რომ გობლე–ბულანჟეს სამინისტრო მეტად თამამად ექცევოდა გერმანიას და მის ბძანებლობას ევროპაში თავმოწონებით ეურჩებოდა. ჩვენის ფიქრით, შნებელეს საქმე გამოსაცდელი ნიშანი იყო. ვნახოთ, ამით გაკაწრული ეროვნული ღირსება და თავმოყვარეობა საფრანგეთისა რამოდენად თავს გამოიდებსო და ამ თავგამოდებაში გამოჩნდება რანდენად უშიშარია საფრანგეთი გერმანიასთან დატაკებისათვისაო. ამ შემთხვევაში საფრანგეთმა დაანახვა თ. ბისმარკს, რომ საფრანგეთის მოთმინებასაც სამზღვარი აქვს და ძალიან არ ჰშიშობს, თუ გაჭირდა, ხმალით ხელში წინ დაუხვდეს გათამამებულს და კადნიერს მტერსა.

ამის გამო თ. ბისმარკმა მიაყუჩა მაშინ ბოლგარიის საქმე, რომ მისმა აშლამ არ აწყენინოს როგორმე რუსეთსა და საფრანგეთისაკენ ხელი არ გააწვდევინოს. ეს წყენა მით უფრო ადვილად საფიქრებელია, რომ გერმანია ბალკანის ნახევარკუნძულზედ თავისუფალი

არ არის, თუნდაც ძალიან მოწადინებული იყოს, აქ ბევრს ვერას აამებს რუსეთსა უიმისოდ, რომ ავსტრიას არ აწყენინოს, რადგანაც ავსტრიისა და რუსეთის ინტერესები ბალკანიის ნახევარკუნძულზედ ერთმანეთთან მოუთავსებელნი არიან და გერმანია ავსტრიის წყენასაც ისე ერიდება, როგორც რუსეთისას.

რაკი ეს თ. ბისმარკისათვის უსიამოვნო სამინისტრო გობლე–ბულანჟესი გადადგა საფრანგეთში სამსახურისაგან და ჩააბარეს სამინისტრო რუვიეს, რომელმაც ყველაზედ უწინარეს ბულანჟე დაითხოვა სამხედრო მინისტრობისაგან, გერმანიას საფრანგეთის მხრით შიში გაუნელდა. რომ ლანდი შიშისა უფრო გაეფრთხო, ხელი შეუწყო, იქნება წააქეზა კიდეცა ინგლისი ეგვიპტის საქმის ხელახლად ასაშლელად, რადგანაც ეგვიპტისათვის გული ძალიან უცემს საფრანგეთსა და ამის გამო შესაძლო იყო ინგლისი და საფრანგეთი ერთმანეთს დასტაკებოდნენ. გაიმართა ეგვიპტის კონვენციაზედ ლაპარაკი და ინგლისი და საფრანგეთი, რომელსაც ამ საქმეში რუსეთიც მიემხრო, ერთმანეთში წაიკიდნენ. ამ სახით დასავლეთის მხრით მოსვენებულმა თ. ბისმარკმა ხელთ იგდო დრო და აღმოსავლეთზედ კომლი გამოატყვრინა პრინც კობურგის ამორჩევითა.

მაგრამ ჟამთა ვითარებამ ხელახლად ფერი აცვლევინა თ. ბისმარკსა. ბულანჟეს დათხოვნამ სამინისტროსაგან ააყაყანა საფრანგეთის ერი. საფრანგეთის ერი თითქმის აღარა ჰმალავს, რომ გულგაფიცხებულია გერმანიაზედ და ვინ იცის, ეს გულგაფიცხება სადამდის მიიყვანს საფრანგეთსა, რომელიც, თუ ერთხელ აიმღვრა, თავდაჭერას ჩვეული არ არის. სამინისტრო რუვიესი სცდილობს, რაც ძალი და ღონე აქვს, გაანელოს ეს გაფიცხება და ვინ იცის წადილს აისრულებს, თუ თვითონ ზედ გადაეგება. ამ გარემოებამ ძალიან უნდა ჩააფიქროს გერმანია და ხვალინდელის დღისათვის ანაღვლოს.

ამასობაში გერმანიაში წინ წამომდგარია რუსეთისათვის დიდად საწყენი საქმე პრინც კობურგის ამორჩევისა. გულში ძალიანა ჰსურს გერმანიას, რომ პრინც კობურგისა დაჰჯდეს ბოლგარიის მთავრად, მაგრამ ძლიერ უფრთხის რუსეთის წყენას, რადგანაც წინადვე ცნობილია, რომ რუსეთი არ იყაბულებს პრინც კობურგის გამთავრებას და არც თვით საერო კრების კანონიერობას იწყნარებს. ეს პირდაპირ და გულახდილად, დიდი ხანია წარმოსთქვა რუსეთმა.

ყოველს ამ გარემოებას ისიც დაუმატეთ, რაც გუშინდელ პარიჟიდამ მოსულ დეპეშაშია ნათქვამი და მაშინ ცხადი იქნება, რარიგად გაფიცხებულია და გულამღვრეული დღევანდელი დღე გერმანიისათვის. იქნება ხსენებულს დეპეშას ჯეროვანი ყურადღება არავინ მიაქცია, მაგრამ იქ ორიოდე იმისთანა სიტყვაა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ეძლევა ნამეტნავად ამისთანა ამრეზილს დროში, როცა ყოველს სიტყვას ათასნაირი კუდი აქვს გამოსაბმელი საქმეთა აწეწილობის გამო. საფრანგეთის სენატმაო, მოგვითხრობს იგი დეპეშა: გამოსაცდელად დანიშნულის მობილიზაციის კანონ–პროექტი მოიწონა და ხოლო ეს კი დასძინაო: სენატს რომ მარტო საფინანსო საჭიროება ჰქონოდა სახეში, ამ პროექტს უარჰყოფდაო, მაგრამ აქ მოქმედებდა სამხედრო-საპოლიტიკო მოსაზრება და ამიტომ ეგ პროექტი დაამტკიცაო. ამისთანა სიტყვები ეხლანდელს დროში, როცა ყველა იმას ჰლამის, რაც შესაძლოა შორს მიჰმალოს გულისნადები, მეტად საყურადღებონი არიან, ნამეტნავად იმისთანა კრებულისაგან, როგორიც საფრანგეთის სენატია.

არა გვგონია ამ სიტყვებმა, თუ მართალია, აყალმაყალი რამ არ მოახდინოს და თ. ბისმარკს ყურები არ ააცქვეტინოს. გაზეთები მაინც ამბობენ, ვითომ საფრანგეთსა და გერმანიას შორის საქმე ხელახლად სამწვავად აიწეწაო და ეს სიტყვები ხომ ცოტა არ იყოს ცეცხლზედ ნავთის დასხმაა. ყოველივე ეს რომ კაცმა თვალწინ მოიკრიბოს, მაშინ ცხადი იქნება, რა

ბოლოც მოელის პრინც კობურგის ამორჩევას. გერმანია ამ შემთხვევაში რუსეთის წყენას ძალიან მოერიდება და ეცდება პრინც კობურგის მთავრად ამორჩევა როგორმე ჩააფუჩეჩოს და ან იმოდენად შეამკოს, რომ რუსეთს წყენის მიზეზი არა ჰქონდეს და, მაშასადამე, გერმანიაზედ გულისაყრისაც. გაზეთების სიტყვით სჩანს, რომ გერმანია დღეს, თავის გულითად სურვილის წინააღმდეგ, ამ იძულებულს გზას დასდგომია. ამიტომაც ადვილად საფიქრებელია, რომ ჰოს იტყვის პრინც კობურგი, თუ არას, ჯერხანად ამას დიდი მნიშვნელობა არ მიეცეს, ორსავე შემთხვევაში შესაძლოა ამ პირველ შეხედვით განსაცდელიანმა საქმემ ჩაილულის წყალი დალიოს.

«“საგლეხო ბანკის” გარშემო»

ტფილისი, 11 ივლისი

ჩვენებურის გაზეთების მკითხველთა უკვე მოეხსენ-ბათ, რომ აქაურმა რუსულმა გაზეთმა “Новое Обозрение”-მ თვისი გამგებელნი გამოიცვალა. “Новое Обозрение”-ს როგორღაც ეუცხოვებოდა აქაურობა და დღეს აქამომდე არ უყვარდა ჩვენს სატკივარზედ ლაპარაკი, თითქო ყოველს აქაურს ერიდება და ჰთაკილობსო. ეხლა კი, როცა ახალის კაცის ხელში გადავიდა, გვპირდება, რომ ჩვენი გულისტკივილი უპირველესად აქაურის ეკონომიურ ცხოვრების საგნებზედ მიიქცევაო. ამისთანა დაპირებას და სურვილს არ იქნება კაცმა არა თანაუგრძნოს, მით უფრო, რომ ეს რთული მხარე ჩვენის ცხოვრებისა თითქმის ხელშეუხებელია დღემდე. ღმერთმა ჰქმნას, ეს ფრიად მოსაწონი სურვილი აუსრულდეს ამ ახლად გადახალისებულს გაზეთსა და უწინდებურად ზურგი არ შეუქციოს ჩვენს მახლობლად მოარულს ავსა და კარგსა ჩვენის ცხოვრებისას.

დაპირებისამებრ “Новое Обозрение”-მ ხანი აღარ აყოვნა და დრო ხელთ იგდო თუ არა, შეუდგა საეკონომიო საგნების გამოძიებას და გამორკვევას; თუ ხსოვნა არ გვღალატობს, ყოველთ უწინარეს წამოაყენა ფეხზედ კრედიტის საქმე ჩვენში. ეგ საქმე გასინჯა ჯერ გლეხების შესახებ ცალკე და მერე შესახებ

მიწათმფლობელისა საერთოდ. ამ უკანასკნელ საგანზედ გვსურს ჩვენ ჩვენი აზრი განვუზიაროთ მკითხველებს, მით უფრო, რომ პატივცემული გაზეთი, თუნდაც დიდად მოწადინებული ყოფილიყო, ვერ შესძლებდა ორის პატარა მეთაურის წერილით გამოეხსნა ეს რთული და მეტად ღირსშესანიშნავი ნასკვი: მან, ჩვენის ფიქრით, მარტო აღნიშნა ეს საგანი, მარტო ზოგადი აზრები წაუმძღვარა წინ და საზოგადოების წინაშე ამ ზოგადის აზრების შუქ ქვეშ დააყენა განსაკითხად.

ამიტომაც ვეცდებით ჯერ ზოგადი აზრები პატივ-ცემულის გაზეთისა გამოვირკვიოთ და მერე, ჩვენის შეძლებისამებრ, ჩვენ ჩვენი ვსთქვათ, თუ რაშიმე არ დავეთანხმებით და მისი აზრი ჩვენს აზრს არ მიუდგება.

“Новое Обозрение” ჩივილით იწყობს ლაპარაკს ხსენებულს საგანზედ, ვითომც მიწათმფლობელობის საქმე ამიერკავკასიაში, უამისოდაც ძლიერ დახლარ-თული, ამ უკანასკნელ წლებში უფრო დაუფრო იხლართებაო. ამით ბრალსა სდებს აქაურ ბანკების მოქმედებას და ერთობ არაწესიერად აგებულს კრე-დიტსა*. ვსთქვათ, ეს დახლართვა და მიწათმფლო-ბელობის საქმის წახდენა მართალია. ახლა ვიკითხოთ, რაში ჰხედავს ავტორი ამ სამწუხარო ამბავსა? “აიღეთ, რომელიც გინდათ ნომერი “Кавказ”-ისაო, გვიპასუხებს ავტორი: თვალი გადაავლეთ მის სახელმწიფო, თუ კერძო განცხადებათაო და თქვენ გაგაკვირვებთ აუარებელი რიცხვი მამულებისა, რომელიც სასამართლო ბოქაურთა და საადგილმამულო ბანკთაგან გასასყიდად ინიშნებაო”. ამას გარდაო, ამბობს შემდეგ გაზეთი, რამდენი კიდევ გამოუცხადებლად იყიდებაო. ჯერ მოიცადეთ კიდევ, ერთი პრიკაზმაც დაიწყოს მამულების გასყიდვა და მაშინ ნახავთ, ეგ რიცხვი სადამდე აიწევსო. მაშასადამე, მიწათმფლობელობის

* იხილეთ “Новое Обозрение” 1219.

საქმის დახლართვა და წახდენა იმაში უნდა მოიძებნოს, გაზეთის ფიქრით, რომ ბევრი მამული ხელიდამ ხელში გადადის, ერთი სიტყვით, მფლობელის სახელს იცვლის, პეტრეს მაგიერ ივანე ჯდება. ეგ ხელიდამ ხელში გადასვლა საწყენია მარტო მამულის პატრონისათვის, რომელსაც მამული ხელიდამ ეცლება და მიწათმფლობელობა კი ეკონომიურის მხრით თუ არ იგებს, არაფერს აგებს. იმიტომ, რომ ყოველს ასეთს ეკონომიურს მოძრაობას ქონება უქმის ხელისაგან საქმიან ხელში გადააქვს და, მაშასადამე, ეკონომიური ღონე ქონებისა ძლიერდება, ბევრდება, ჰმატულობს. ეს ეკონომიური ბუნებაა ყოველის ქონებისა: უქმს ხელში არა ჰრჩება და საქმიანის ხელისაკენ მიიზიდება.

თვითონ ავტორი იმ წერილისა, რომელსაც ვარჩევთ, ამ აზრისაა ამ მამულების ხელიდამ ხელში გადასვლის თაობაზედ. ჩვენ ამას იმ საბუთით ვამბობთ, რომ ავტორი ჰნიშნავს რა ამ მიწათმფლობელობის მოძრაობას, მის შეყენებას კი არა ჰლამის, არამედ სახსარს ეძიებს, რომ ამ გზით მიწათმფლობელობა საქმიან ხელში გადავიდოდეს ხოლმე. "ლაპარაკი ხომ სოფლის მამულებზეაო, — ამბობს ავტორი, — ვის რად უნდა ეგ მამულებიო? რა ხელსაყრელნი არიან იგინი აფიცრებისათვის, მოხელეთათვის, ვაჭრებისათვისაო, რას გამორჩებიანო!"...

მართალია, ვინც არ იცის მამულის მოხმარება, ვერას გამორჩება სახარბიელოს და მამულიც არ დაუდგება ხელში, რაც უნდა ზღუდეები შემოავლოთ. რაკი ესეა, თვითონ ავტორიც არა სცდილობს გზები შეუკრას და შეაყანოს მიწათმფლობელობის ხელიდამ ხელში გადასვლა, მხოლოდ ჰსურს, რომ მიწა, როგორც საგანი მფლობელობისა, როგორც ქონება, მისდა ეკონომიურ ბუნებისამებრ, იმას ჩაუვარდეს ხელში, ვინც მისი მოხმარება და გამოყენება იცის. ეს ისევ ის მოძღვრებაა საპოლიტიკო ეკონომიის მეცნიერობისა, რომელმანც დიდი ხანია მიაგნო, რომ ქონება უქმად ვერ დარჩება და დღესა თუ ხვალ უქმს

ხელს ჩამოეცლება და საქმიანს მიეკედლება. ვინ არის ეს საქმიანი ხელი? გლეხკაციაო, გვეუბნება საბუთიანად ავტორი: მან იცის, როგორ მოიხმაროს, როგორ გამოიყენოს მამულიო. ყოველ ამის გამო ავტორი იმასა ჰნაღვლობს, რომ გლეხკაცობა არა ჰყიდულობს გასასყიდად გაწირულს მამულებსა და საჯარო ვაჭრობას ახლოც არ ეკარებაო, როგორ მოვახერხოთო, ჰკითხულობს ბოლოს ავტორი, რომ გლეხკაცობას მამულების სასყიდლად გზა გაეხსნას და ხელი მოვაკიდებინოთო? რა პასუხს იძლევა ამაზედ ავტორი, ამას შემდეგ გამოვიკვლევთ.

ავტორი იმ ორი მეთაურისა, რომელიც “Крестъянский Банк”-ის სათაურით არის სახელ-წოდებული “Новое Обозрение”-ში, პირველს წერილში იმ საკითხავზედ შესდგა და დაგვპირდა, რომ მეორე წერილში გვაცოდინებს, რა გზით და რა ღონით უნდა გაეშალოს გლეხკაცობას ხელი გასასყიდ მამულების სასყიდავად. ვიდრე ამ გზას და ამ ღონეს შევიტყობდეთ ავტორისაგან, მეტი არ იქნება ვიკითხოთ: რისთვის დაუნახავს ავტორს საჭიროდ, რომ გლეხკაცობა შეეჭიდოს მამულების სყიდვასა?

ჩვენა ვსთქვით, რომ ქონება ერთობ და ადგილ-მამული ცალკე თვისის ეკონომიურ ბუნებისამებრ უქმს ხელს ეცლება და საქმიან ხელისაკენ მიიზიდება. პატრონობა, მფლობელობა მიწისა, როგორც პატრო-ნობა და მფლობელობა ყოველგვარის ქონებისა, ამ კანონის ძალით დაიძვრის თუ არა, დადის, დადის, ათას პატრონს, ათას მფლობელს იცვლის და როცა საქმიან ხელს იპოვის, მივა და იქ გაჩერდება ხოლმე, ვიდრე უქმობა ხელისა ხელახლად საძებნელად არ გაუხდის საქმიან ხელსა.

ამ მოუდრეკელს რკინის კანონს ვერარა და ვეღარავინ წინ ვერ გადუდგება, ვერ მოჰხრის, ვერ დაიქვემდებარებს. ეს ისეთივე უძლეველი, უცვალებელი კანონია, როგორც ყოველი კანონი ბუნებისა. მაშასადამე, რაკი მამული თავის პატრონს მიურბის და ეცლება ხელიდამ, ეს სრბოლა ისე უნდა მიჰმართოს კაცმა, რომ მამული რაც შესაძლოა მალე ჩაუვარდეს საქმიან ხელსა და ტყუილუბრალოდ წანწალში ერს არ დაეკარგოს იგი სიმდიდრე, რის შემძლებელიც მამული არის საქმიან ხელში. ჭეშმარიტი თვალი საპოლიტიკო ეკონომიისა სხვაფრივ ამ საქმეს ჩხრეკას არ დაუწყებს იმიტომ, რომ საპოლიტიკო ეკონომიას საყოველთაო კეთილდღეობა აქვს სახეში და არა ცალკე კაცის, ან თუნდა ერთის რომელისამე წოდების მეტნაკლებობა. ეს

რომ არ იყოს, საპოლიტიკო ეკონომია ცალკე კაცის, ანუ წოდების მსახური იქნებოდა და არა მსოფლიოდ თავის სფერაში გზის მაჩვენებელი, როგორც ყოველივე სხვა მეცნიერება.

ვინც საპოლიტიკო ეკონომიის სახელით გამოდის სამოძღვრელად, იმას არ ეპატივება იძახოდეს და ჰვაობდეს: ვაი, პეტრეს ეყიდება მამული და ივანე ჰყიდულობს ჩალის ფასადაო. ეგ გლოვა და ვაი ცალკე კაცის—პეტრეს მახლობელისაგან საბუთიანია და ადვილად მოსალოდნელიცა, მაგრამ მეპოლიტიკე-ეკონომს კი არა ჰშვენის იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი ჰმოძღვრობს მარტო იმას, რაც საყოველთაო ქონებას ბარაქას ჰმატებს და ამისათვის სულ ერთია პეტრე ჰზის მამულში თუ ივანე, ოღონდ მამული საქმიან ხელში იყოს და კარი გაუღოს მთელს შეძლებას მამულის მომცებლობისას.

ავტორი გვეუბნება, რომ ამისთანა საქმიანი ხელი გლეხკაცობის ხელიაო და ამის გამო საბუთი გვქონდა და გვაქვს ვიფიქროთ, რომ ავტორს სწორედ ამ მიზეზით უნდა გასასყიდს მამულებზედ გლეხკაცობას მიაწვდენინოს ხელი. ეს ხომ ასეა, მაგრამ ვშიშობთ ვაი-თუ ავტორმა დაგვწამოს: მაგ აზრს მე ტყუილად მახვევთ თავზედაო, და საბუთიცა აქვს ეგ გვითხრას იმიტომ, რომ ესეთი აზრი ჩვენ გამოვნასკვეთ ლოღიკურად იმის სიტყვიერებისაგან და თვითონ კი სულ სხვას ამბობს იმავე წერილში, გვიმტკიცებს რა მას, რომ გასასყიდად გამოცხადებული მამულები ჩალის ფასად ძლივს იყიდებაო, იგი ამბობს: “ან უნდა მოჯობინებულ იქმნას ეკონომიური ყოფა-ცხოვრება გასასყიდელის მამულების პატრონებისა, ან მოწვეულ და მოზიდულ იქმნას სავაჭროდ იმოდენად დიდძალი მსყიდველი, რომ ვაჭრობამ კეთილი ნაყოფი (благоприяный результат) მოიტანოს, ესე იგი, გასასყიდის მამულების ფასი იქამდე აწეულ იქმნას,

რომ რამდენადმე შეეფერებოდეს ნამდვილს ღირებულებასაო".* მამულთ პატრონების ეკონომიურ ყოფაცხოვრების მოჯობინება შეუძლებლია ორ-სამ წელიწადშიო, ამბობს შემდეგ ავტორი: "მაშასადამე, დაგვრჩა, მივმართოთ მეორე ღონესა, სახელდობრ იმას, რაც შეიძლება მეტი მსყიდველი მოვიზიდოთ ვაჭრობაში".**

ვინ არიან ის ბევრნი! გლეხკაცებიო, გვიპასუხებს ავტორი.

რა გამოდის აქედამ? ის გამოდის, რომ გლეხები თურმე იმისათვის უნდა მოვიზიდოთ ვაჭრობაში, რომ მამულის პატრონს მამული დიდ ფასად გაეყიდოს. რა ხეირში უნდა ჩაცვივდნენ ამით გლეხები, რომელთაც იმისთვის ვიზიდავთ, რომ მამულის პატრონებს ფასი გაუდიდონ? აი, რა ხეირშიაო, გვეუბნება ავტორი: "მიწა, როცა თვითონ შიგ მუშაობს კაცი, სამს, ოთხს, ბევრი-ბევრი ხუთს სარგებელზედ მეტს, ორთაშუა რიცხვით, არ იძლევაო. ეს ძალიან და ძლიან ცოტაა თავად-აზნაურთა, ვაჭართა და მოხელეთათვისაო, რომელნიც უფრო მეტს სასყიდელსა ჰშოულობენ თავისის შრომისათვის" და სხვანი. "ხოლო ეს ცოტა სარგებელი მთლად საკმარისია გლეხკაცობისათვისაო".

ავტორს უკვირს და ჰკითხავს თავის თავს: "რაკი ესრეა, მაშ, რატომ არ მოდის და მონაწილეობას არ იღებს გლეხკაცობა ვაჭრობაშიო?"– ამის პასუხს დიდი ლარი და ხაზი არ უნდა, თუ მართლა მიწა, თუ მამული ბევრი-ბევრი ხუთ სარგებელზედ მეტს არ იძლევა. ასს მანათს ხუთ მანათად წელიწადში მთელს რუსეთის იმპერიაში ვერ იშოვის ვერც გლეხი, ვერც თავადი და თუ იშოვის, მამულის სასყიდლად გაბრიყვებული გლეხი მოვალის მუქთა მუშად უნდა გახდეს მთელი თავისი სიცოცხლე იმიტომ, რომ მამული ხუთზედ მეტს არ იძლევა და ფული კი ხუთზედაც მეტად ძლივძლივობით იშოვება.

თუ მართლა მამული ამის მეტი შემძლებელი არ არის, გლეხკაცი მეტად ჭკვიანად იქცევა, რომ სასყიდლად ახლოც არ ეკარება.

* "Новое Обозрение" – 1219

** იქვე.

ცხადია, რომ ჩვენის მიწათმფლობელობის საქმის დახლართვა და წახდენა "Крестъянскии Банк"-ის ავტორის აზრით, წარმომდგარია იმისაგან, რომ აუარებელი მამულები ყოველწლივ ინიშნება საჯაროდ გასასყიდად და ჩალის ფასად ძლივს გადის. ისიც არანაკლებ ცხადია, ავტორისავე აზრით, რომ სოფლის მამული არ იძლევა სამს, ოთხს და ხუთზედ მეტს სარგებელსა და რადგანაც ესეოდენი მცირედი სარგებელი არა ჰყოფნის თავადაზნაურობას, ვაჭრებსა და მოხელეებსა, მიზეზი აუარებელ მამულების გასასყიდად დანიშვნისა ამაში უნდა მოინახებოდეს იმიტომ, რომ დღეს მიწათმფლობელობა ნამეტანობით ამათ ხელშია და თუ ვისიმე მამული გამოდის ბაზარში გასასყიდად, ამათი გამოდის ძალიან ბევრით უფრო მეტი, თუ მთლად არა.

ერთს შესაძლო ღონედ ამ გაჭირებისაგან დახსნისათვის ავტორი გვანიშნებს იმას, რომ რაც შესაძლოა ბევრი მუშტარი გავუჩინოთ გასასყიდად დანიშნულ მამულსა. რაკი ამღები ბევრია, რასაკვირველია, გამცემს ფასი მოემატება გასასყიდ საქონელზედ. ეს აღებმიცემობის უეჭველი და თავდაპირველი კანონია, თუ სხვა ყოველი გარემოება, ფასების მეტნაკლებობის მომასწავებელია, ერთი და იგივეა. ეს კანონი საპოლიტიკო ეკონომიისაგან დიდი ხანია ახსნილია და ბეჭედდაკრული.

როგორ ავუჩინოთ მამულებს ბევრი მუშტარი? გლეხკაცობა მოვიზიდოთ მამულების სავაჭროდაო და ესენი გაადიდებენ, ასწევენ მამულის ფასებსა, ესე იგი სხვაზედ უფრო ძვირად იყიდიანო, გვიპასუხებს ავტორი. ეს ძალიან კარგია მამულის გამცემთათვის, ხოლო მამულის ძვირად მსყიდველთათვის როგორიღა იქნება? თუ მართლა სოფლის მამული ორთაშუა რიცხვით, ავტორის სიტყვებისამებრ, სამსა, ოთხსა ბევრი-ბევრი ხუთზედ მეტს არ იძლევა, მაშ, სჩანს,

ათთუმნიანი მამული წელიწადში სამსა, ოთხსა და, თუ გაჭირდა, ხუთს მანათზედ მეტს არ ანაღდებს, ისიც მაშინაო, ამბობს ავტორი, თუ მამულის პატრონი თვითონ მუშაობს მამულშიაო. თუ ესეა, ნუთუ ათის თუმნის გაღება გლეხისათვის იმისათვის, რომ მარტო ხუთი მანათი აიღოს, ყელში თოკის წაჭერა არ იქნება? ათის თუმნის პატრონმა გლეხმა ერთი ჯაგლაგი ცხენიც კი რომ იყიდოს ამ ფასად, წელიწადში ერთს მანათს მაინც გააგდებინებს, ეს არ ურჩევნია იმისთანა უხეირო მამულსა? მამულს ფასი მოემატებაო, გვეუბნება ავტორი. ეს მამულის პატრონის სარფა და ხეირია, გლეხს რაღა ნუგეშს ვაძლევთ? რამოდენადაც გლეხი გაბრიყვდება და მამულს ფასს მოუმატებს, იმოდენად ხომ ის სამი, ოთხი და ხუთი სარგებელი უფრო და უფრო იკლებს და უფრო ცოტაზედ ჩამოვა, იმიტომ, რომ თუ ასი ხუთზედ მეტს არ იძლევა, ამ ასიანში რომ კაცმა ას ოცი მისცეს, 4 $^{1}/_{6}$ % გაუვა.

ეს ავტორისაგან ზოგადად წინ წამძღვარებული აზრი სოფლის მამულის მომცემლობაზედ რომ მართალი იყოს, მაშინ გლეხკაცობის მოზიდვა გასასყიდად მამულის სავაჭროდ გლეხკაცობის გაწირვა იქნებოდა მამულის პატრონების სასარგებლოდ. ავტორი გვარწმუნებს, რომ ეგ მცირედი გამორჩომა გლეხკაცსა თავით ფეხამდე ჰკმარისო და სხვას კი არაო. რადაო? განა გლეხკაცი კი კაცი არ არის და თუ არ არის, თავის დღეში კაცად არ უნდა იქცეს! თუნდა ამას თავი დავანებოთ, როგორ? გლეხკაცმა მამულში ასი თუმანი მისცეს და ამისთანა მამულმა, ავტორის სიტყვებისამებრ, ბევრი-ბევრი ხუთი თუმანი შემოუტანოს წელიწადში და ის უნდა იკმაროს? ეგ ხომ მარტო იმას შეუძლიან, ვისაც ფული გადასაყრელი აქვს და არ იცის, როგორ ამოქმედოს და ასარგებლოს. გლეხკაცი განა მაგ ყოფაშია! ამან ეგ ფული უნდა ისესხოს და დიდად ბედნიერად უნდა ჩასთვალოს თავი, თუ ასი თუმანი წელიწადში ხუთ თუმნად კი არა, ექვს თუმნად მაინც იშოვა. მაშ, რა სანატრელია გლეხკაცისათვის

ხუთის თუმნის მომცემი მამული იყიდოს იმისათვის, რომ თვითონ ხუთზედ მეტი გაიღოს უთავნოდ, მარტო სარგებელში. ეს როგორღაც თავს არ მოდის, თუნდაც მთელი ქვეყანა შემოგვადგეს და გვეფიცებოდეს, რომ გლეხკაცი სულ სხვა ბუნებისაა, იმისათვის ხუთი საკმარისია ხუთზედ მეტის მოსაშორებლად და გადასახდელადაო. გლეხკაცია, თავადი, ვაჭარი თუ მოხელე, –ყველასათვის ერთნაირია არითმეტიკა, ამან დიდპატარაობა არ იცის.

თუ მართლა სოფლის მამული ბევრი-ბევრი ხუთზედ მეტს სარგებელს არ იძლევა და ეს ხომ უეჭველ ჭეშმარიტებად მიაჩნია ავტორს,* და ფული კი მის სასყიდლად ხუთზედ მეტადაც ძლივს იშოვება, მაშ გლეხკაცმა, რომლის გამამულიანება ფრიად საჭიროა და სანატრელი, როგორ უნდა მიაწვდინოს ხელი მამულის სასყიდლად? აშკარაა, საქმე ისე უნდა მოვუწყოთ, რომ ფული იეფად ვუშოვოთ მამულის სასყიდლად, იმოდენად იეფად, რომ ასსთუმნიან მამულიდამ ხუთ თუმნიანმა შემოსავალმა იმ ფულის სარგებელიც იხადოს, თავნიც ცოტ-ცოტაობით იშოროს და გლეხსაც ცოტა რამ ნასუფრალი მაინც დარჩეს. უამისოდ გლეხი ხომ ფულის პატრონის მუქთა მუშად, მსახურად შეიქმნება საშვილიშვილოდ და ის, ასსთუმნიან მამულის გამო ხუთს თუმანზედ მეტი გადახდება, ეგ მახტა იქნება, ესე იგი, იგივ ყმობა, რომლისგანაც ძლივს-ძლივობით თავი უკვე დააღწია.

ესეც კი უნდა ვსთქვათ, რომ, როცა ავტორი ამბობს, სამი, ოთხი და ხუთი სარგებელი მთლად საკმარისია გლეხკაცისათვისაო, ამაში გასამტყუნარი არ არის, თუ მარტო იმას ვიქონიებთ სახეში, რომ გლეხი

* მოგვყავს თვით ავტორის სიტყვები: "Земелъная собственностъ, когда к ней прилагаешъ свой труд, не может датъ в среднем болъше трёх, четырёх, много – пяти процентов. Этого оченъ и оченъ мало для дворянства , для купечества, для чиновничества... Но этого совершенно достаточно для крестъянства (იხილეთ * " Новое Обозрение" - 1219)".

თავის საკუთარის ფულით არის მყიდველი მამულისა და არა სესხად აღებულითა, ამ შემთხვევაში გლეხკაცი მართლა რომ ხუთზედ ნაკლებ სარგებელსაც დასჯერდება, რადგანაც მას მიწა უფრო ეხარბება, მიწა უფრო უყვარს, მიწის ქონა უფრო საპატიოდ მიაჩნია, ვიდრე ფულისა. ჩვენ არაერთი მაგალითი ვიცით, რომ ფული შემძლებელს გლეხს მამული ეყიდნოს და არას დაგიდევდეს, თუნდ დახარჯულ ფულზედ გროში სარგებელიც არ გაენაღდოს. სულ სხვაა, როცა გლეხი შეეჭიდება მამულს ნასესხების ფულითა და რომ ავტორს ნასესხების ფულით აქვს განზრახვა აყიდვინოს გლეხს მამულები, – ეგ აშკარადა სჩანს მის წერილების სათაურისაგან: "крестъянскии банк".

შემდეგში ვნახავთ, ავტორი როგორ გაუძღვა ამ მისგანვე წარმოდგენილს დილემას და მოუხერხა თუ არა გლეხს სახსარი მამულის ძვირად სყიდვისა, რომ ცალკე მამულის პატრონი ახეიროს და ფულისა კი იეფად შოვნისა, რომ ცალკე თავისთავსაც სარფა რამ აჩვენოს.

“Крестъянский Банк”-ის ავტორმა მეორე წერილში აღარა სთქვა რა იმაზედ თუ, — რაგვარ მოუხერხდეს გლეხკაცობას გაძღოლა ორის ძნელად გასაძღოლის გარემოებისა, რომელიც თვითონ ავტორის სიტყვების აუცილებელ შედეგად გამოდის: ერთი იმისი, რომ იეფი მამული ძვირად აყიდვინოს და მეორე იმისი, რომ ძვირი ფული იეფად აშოვნინოს სესხით იმ მამულის სასყიდლად. ამ ორს წამალდაუდებელს და ერთობ ფიქრად შეუწყნარებელს გარემოებას ავტორმა მეორე წერილში ყურიც აღარ ათხოვა და სრულებით თავი დაანება. მის მაგიერ თვის სამართლიან სასახელოდ ისევ ის სანატრელი აზრი დაიყენა წინ მისაღწევად, რაც შესაძლებელია და რაც ლოღიკურის მსჯელობით გამოდიოდა მის სხვა წყობა-სიტყვებისაგან. იგი აზრი ის არის, რომ მამული ვითარცა გამოსარჩომი სახსარი, საქმიან კაცს ჩაუგდოს ხელში.* ამ სახით, პირვანდელი აზრი** ავტორისა, რომ გლეხკაცები სავაჭროდ მოზიდულ იქმნან, რათა მამულების ფასი ასწიონ ერთმანეთის ცილობითა და მამულის პატრონები ამით ახეირონ, თავით ფეხამდე ჩაილულის წყალს გაჰყვა. ურია წყალს მიჰქონდა და გზაც ის იყოვო, სწორედ ამისთანა აზრზეა ზედგამოჭრილი.

ხოლო რადგანაც ავტორმა ერთიცა სთქვა და მეორეც, სჩანს ფიქრად ისა ჰქონია, რომ გლეხკაცობის მამულების სავაჭროდ მოზიდვისაგან ორნაირი სიკეთე

* Осуществление величайшего стремления нашего века – перехода орудий труда в руки трудящихся (იხილეთ “Новое Обозрение” № 1220).

** აი ამის შესახები სიტყვები ავტორისა, რომელიც ამბობს რა, ერთი გზაღაა სახსნელიო, ამრიგად გვანიშნებს ამ გზას: признатъ и привлечъ к участию в торгах такую массу покупателей – которая довела бы торги до благоприятного результата до предложения за продаваемыя имения цен; сколько-нибудъ соответствующих действителъности... “Если, значит, кого и можно привлечъ к торгам то несомнено, это будут крестъяне”... და სხვანი.

გამოვაო: ერთი, რომ მამულების ფასი აიწევს და მამულის პატრონებს არგებსო და მეორე, რომ მამული მშრომელს ხელს ჩაუვარდება და ქვეყანა მოიგებსო. ჭეშმარიტი და გულმართალი პოლემიკა, ღირსი ღირსეულის კაცისა, არ უნდა გამოეკიდოს სიტყვანაკლებობას და ზოგჯერ აუცილებელ სიჩქარისაგან წარმომდგარი აზრთ დაუსრულებლობა ხელზედ არ უნდა დაიხვიოს მოპირისპირის სატევრად. ჩვენც ჩვენის საკუთარის თავისა და ამასთანავე ავტორის პატივისცემისათვის გავკადნიერდით და ეს ორი აზრი ერთმანეთთან ასე მოვარიგეთ, ასე დავუახლოვეთ, რადგანაც ჩვენს თავს თავის დღეში ნებას არ მივცემთ გვეფიქრნა, ვითომც ავტორს სდომებიყოს, გლეხკაცნი მარტო იმისათვის მიიწვიოს მამულების სავაჭროდ, რომ პატრონებს მამული ხეირიანად გაუნაღდონ. მთელი ორი მისი წერილი სულით და გულით ამისი წინააღმდეგია და გლეხკაცის გულშემატკივრობით არის გამოწვეული და თუ აქ ავტორის მიერ ბრალია რამე, მარტო აზრის დაუმთავრებლობაა, დაუსრულებლობაა.

მაშასადამე, ავტორს ფიქრად ჰქონია უწამლოს რამე უდიდესს ნაღველ ჩვენის საუკუნისას, რომ მამული, რაკი გადის, მშრომელ კაცს ჩაუვარდეს ხელში და თუ ამ მხრით დაიძვრის სურვილი მამულების შეძენისა, ეჭვი არ არის მამულის პატრონიც ხეირსა ჰნახავს, რადგანაც მშრომელი ხელი, სახელდობრ, გლეხკაცობა ბევრია და ამით სასყიდელი ფასი მამულისა აიწევს და ისე ჩალის ფასად აღარ გავა, როგორც დღეს. ეს მეორე სიკეთე უნებური შედეგია და არა წინ დაყენებული, მისაღწევად დანიშნული საგანი პირველისა.

რა გზით შეეწყოს ხელი, რომ მშრომელს, საქმიანს ხელს ჩაუგდოს კაცმა გასასყიდი მამული? გლეხკაცს ამისათვის საკუთარი ფული არა აქვსო, ამბობს სამართლიანად ავტორი: მაშასადამე, ხელმისაწვდენი სესხი უნდა ვუშოვოთო. ამისთანა სესხი შეეძლოთ ეძლიათ ჩვენს საადგილმამულო ბანკებსაო. მაგრამ ამ

თოთხმეტის წლის წინად ბევრი ვიძახეთ სიტყვით და წერითა, ისე მოაწყეთ საქმე, ისეთი მუხლები შეიტანეთ ბანკის სესხებაშია, რომ გლეხკაცს გაუადვილდეს მამულების სყიდვაო, ხოლო ყური არავინ გვათხოვა და ეხლა ხომ ამაზედ ხმასაც არავინ იღებსო. მაშ, აქაურ მიწათმფლობელობის საქმის დახლათვას და საქმის წახდენას რომ ამბობდა ავტორი და ბრალს აქაურს ბანკებსა სდებდა, სწორედ ეს ბრალი უნდა იყოს. ეს დავიხსომოთ, შემდეგში გამოგვადგება.

ეხლა კი გამოვარკვიოთ, — ჩვენის ბანკებისაგან უნუგეშოდ დარჩენილს გლეხკაცობას რა წამალსა სდებს ავტორი. იგი ამბობს, რომ ორში ერთი უნდა მოხდესო: ან საგლეხკაცო ბანკი სახელმწიფოსი გაიმართოს ჩვენში, როგორც რუსეთში არისო, ან ჩვენის ბანკების წესდებაში შევიტანოთ იგი მუხლნი, რომელნიც ამ საქმისათვის აუცილებელნი და გამოსადეგნი არიანო. რა მუხლებია ამისთანა, ავტორი ამაზედ არრას ამბობს და ერთობ ამაზედ მეტს და ამაზედ ვრცლად აღარაფერსა ჰმოძღვრობს და წერილებს ათავებს იმ იმედით, რომ ვისიც ჯერ არს, იგი ყურად იღებს და ამ დაუხანებელს საქმეს განახორციელებსო.

ჩვენ გამოვირკვიეთ "Крестъянский Банк"-ის ავტორის აზრი და ის დასკვნა გამოვიყვანეთ, რომ იგი ჰცდილობს გასასყიდად დაძრულ მამულებს გზა მისცეს, გლეხკაცობამდე მივიდეს და ეს სახსარი საეკონომიო წარმოებისა ხელთ უგდოს საქმიანს კაცსა და პირდაპირს მშრომელსა. ამისათვის საჭიროაო, — ამბობს ავტორი, — ან საგლეხკაცო ბანკი სახელმწიფოსი გაიმართოს ჩვენში, ან ჩვენს ბანკებში კრედიტი ისე მოეწყოს, რომ გლეხთა სახეიროდ და გამოსაყენად იქმნეს მამულის სყიდვის საქმეშიო.

საგლეხკაცო ბანკის სახელმწიფოსი და ერთობ კრედიტის მოწყობა გლეხთა სახერხოდ, რასაკვირველია, ჩვენის ქვეყნისათვისაც სასურველია და სანატრელი, ხოლო იმისათვის, რომ გლეხკაცობა მამულის სასყიდლად მიზიდულ იქმნას, მარტო კარგად მოწყობილი კრედიტი არ არის საკმაო. კრედიტი ამ შემთხვევაში მარტო სყიდვის სახსარია. მაგრამ სყიდვისათვის მარტო სახსარი არა ჰკმარის: სურვილიც უნდა ამასთან ერთად და ერთსა და იმავე დროს მოქმედობდეს. ჩვენებურს გლეხკაცობას, როგორც სხვაგნებურსაც ერთობ, ვერავინ ვერ უკიჟინებს, რომ სურვილი მამულების შეძენისა არა ჰქონდეს. პირიქით გვგონია, რომ იქნება სხვაგან ეს სურვილი ისე ძლიერ არ იყოს, როგორც ჩვენში. ხოლო ჩვენში ამ სურვილის ავარდნას და მის მიერ სანატრელს მოქმედებას ზოგიერთი ფრიად მძიმე და პატივსადები მიზეზი აბრკოლებს, ამ მიზეზზედ თავის ადგილას მოვილაპარაკებთ და ეხლა კი ვიტყვით, რომ ამ მიზეზის გამო მამულების სყიდვა გლეხთაგან იმოდენად ვერ გახშირდება ჩვენში, როგორც სანატრელი და მოსალოდნელია, თუნდც საგლეხკაცო ბანკი გაიმართოს ჩვენში და ერთობ კრედიტი გლეხთა სახეიროდ მოეწყოს. რასაკვირველია, არ ითქმის, რომ ამან პატარად არ წაახალისოს გლეხი, მაგრამ იმოდენად წაახალისებს,

რამოდენადაც სახსარის ნაკლებობა ეხლა აბრკოლებს. ხოლო სურვილს სყიდვისას კი სამოქმედოდ ვერას მიუმატებს, იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი დამოკიდებულია სულ სხვანაირს მიზეზზედ, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს კრედიტის ავკარგიანობასთან.

მაინცდამაინც, რადგანაც საგლეხკაცო ბანკის დაარსება ჩვენში ჩვენზედ არ არის დამოკიდებული და ამის გამო იგი მარტო სანატრელ საგნად არის გამოსაყენი, ჩვენ ამის თაობაზედ სიტყვას არ გავაგრძელებთ. სულ სხვაა ამ მხრით მეორე ღონე ავტორისაგან ნაჩვენები. იგი, თუ სულ არა, პირველ შეხედვით მაინც კაცს ეგონება, რომ მთლად ჩვენზეა დამოკიდებული და ამ მხრით იმ ღონის გამორკვევა საჭიროდ მიგვაჩნია. იგი ღონე, რომელიც ავტორისაგან ნაჩვენებია, იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენებურმა საადგილმამულო ბანკებმა კრედიტი ისე მოაწყონ, რომ გლეხკაცთა მისაწვდენი იყოს. ამისათვის გზებს არ გვაჩვენებს ავტორი და ამიტომაც ჩვენ თვითონ უნდა მოვიფიქროთ, — რა გზებია იმისთანა, რომ ეგ ღონე ღონედ იქმნას და არა აუსრულებელ ნატვრად.

ჩვენა ვსთქით, რომ ავტორი გზებს არ გვაჩვენებსო. შესაძლოა, ამაში გაგვამტყუნოს ვინმემ, იმიტომ, რომ ავტორი ამის შესახებ თითქო უნუგეშოდ არ გვტოვებს. იგი აცხადებს, რომ მამულები ჩვენში ისყიდება ან მთლად, ან იმოდენა ნაჭრეებად, რომ გლეხს, რომელსაც მარტო თითო-ოროლა დღიური უჭირს სასყიდლად, ხელი არ მიუწვდებაო. არც მოვალენი, არც საადგილმამულო ბანკები სრულიადაც არა ჰნაღვლობენ, რომ მამულები ნაჭერ-ნაჭერ, წვრილ-წვრილად გაჰყიდონ ხოლმეო. ამ სახითვე არავის უნაღვლია, რომ ცალკე გლეხკაცნი ერთად შეეკრიბათ ან ცალკე საზოგადოება შეედგენინებინათ, ან ცალკე ამხანაგობა, რომ მამულები საერთოდ ეყიდნათო. ამას ავტორი ზედ უმატებს, რომ როცა ჩვენებურის ბანკების დაარსების აზრი პირველ წარმოსდგაო, ერთი ნაწილი ჩვენებურის ინტელიგენციისა ბევრს ეცადა, რომ წესდებაში შეეტანათ წესნი გასასყიდ მამულების ნაწილ-ნაწილად გასყიდვისაო, მერეც ამ საგანზედ ბევრი იძახეს და ილაპარაკეს ბეჭდვითა და სიტყვითაო, მაგრამ ეს ამბავი დარჩა ხმად მღაღადებელად უდაბნოშიო. საადგილმამულო ბანკების წესდებაში ამ კეთილგონიერ წესების თაობაზედ ერთი სიტყვაც არ არის შეტანილი არც მაშინ და არც ეხლაო.

ჩვენა გვგონია, რომ ავტორს ამ მხრით შეცდომით მოსვლია სამდურავი და თუ მართლა ეს ოდესმე უძახნია "ერთს ნაწილს ჩვენის ინტელიგენციისას", ამ ერთს ნაწილს ინტელიგენციისას არა სცოდნია რაზედ რას ჰლაპარაკობს. რაკი ასეა, აღარ უნდა გვიკვირდეს, რომ ამ ინტელიგენციას თვალიდამ გამოეპარა იგი, რის შეტანასაც წესდებაში ვითომ ჰთხოულობდა და რაც უკვე შეტანილია და დღეს წესდებაში არსებობს, უფრო ვრცლად, უფრო ბევრ წილ უკეთესად, ვიდრე მას ოდესმე უძახნია. ტფილისის საადგილმამულო ბანკის წესდების §21—ში სხვათა შორის სწერია:

"ბანკის საკუთრებად დარჩენილი მამულები უნდა განგებულ და გასყიდულ იქმნან ბანკის გამგეობის მიერ იმ ინსტრუქციის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულ იქმნება საზოგადო კრებისაგან".

სჩანს ბანკს უკვე გამოსთხოვილი აქვს უფლება, ისე ჰყიდოს მამულები, როგორცა ჰსურს და საჭიროება მოითხოვსო. ამაში ხელის დამშლელი არავინა ჰყავს და არავითარის წინად მოსაზრებულის წესით ხელშეკრული არ არის. ესე ფართოდ და სამზღვარდაუდებლად გამოთხოვილი უფლება არა სჯობია! ის არა სჯობია, რომ ყოველ ცალკე შემთხვევაში ბანკს ნება ჰქონდეს იმ ცალკე შემთხვევის ბუნებისა და საჭიროებისამებრ იმოქმედოს, ვიდრე ეს რთული საქმე დაუქვემდებაროს ერთს ზოგადს წესსა, რომელიც, ადამიანის ბუნებურ უგუნობის გამო, ვერშემძლებელია მთელი მრავალგვარობა ცხოვრების მაგალითთა და ცალკე შემთვევათა, წინად დაინახოს და ერთს ფარგალში მოაქციოს. ხსენე-

ბულის მუხლის ძალით კი ბანკს ნება აქვს თვითვეულს ცალკე შემთხვევას და მაგალითს ისე მოექცეს, როგორც გარემოება და საჭიროება ითხოვს, როგორც იმ ცალკე შემთხვევას და მაგალითს მოუხდება. ამ კანონის ძალით ნაჭერ-ნაჭერ და წვრილ-წვრილადაც გაყიდვას მამულისას დაუბრკოლებელი გზა აქვს გახსნილი ბანკის წესდებითა და ის "ერთი ნაწილი ჩვენის ინტელიგენციისა" არც კი გარჯილა, ჩაეხედნა წესდებაში, რომ შეეტყო მის სასურველს საგანს რა ადგილი მისცემია ჩვენებურ ბანკებისაგან და ამის მაგიერ, გამოდის და "Новое Обозрение"-ს შემწეობით იძახის: ჩვენი კეთილგონიერება, რჩევა დარჩა ხმად მღაღადებელად უდაბნოშიო.

იქნება გვითხრან, რომ ეგ წესი უქმად არის წესდებაში და საზოგადო კრების ინსტრუქციისაგან ან თავმინებებულია, ან შეცვლილიო. სულაც არა. აი იგი ინსტრუქცია. მეშვიდე მუხლში რას ამბობს ამ საგანზედ:

"უმთავრესს საზრუნველ საგნად ბანკების გამგეობას ის უნდა ჰქონდეს, რომ რაც შეიძლება ჩქარა და ნაკლების ზარალით გაჰყიდოს ბანკის საკუთრებად დარჩენილი მამულები. ამასთან გამგეობას ნება აქვს: ყოველგვარ პირობით, კანონით არა აკრძალულითა, შეეკრას ცალკე კაცთა, საზოგადოებათა, ხაზინასა, მისცეს და ჩამოართვას გასყიდვის თაობაზედ ყოველგვარი ხელშეკრულობა აგრედვე ნასყიდობის სიგელნი იმ პირობებით, რასაც თვით გამგეობა საჭიროდ სცნობს ბანკის სასარგებლოდ, და სხვანი".

მაშასადამე, ამ მხრითაც იგი ეგრედწოდებული ავტორისაგან "ერთი ნაწილი ჩვენის ინტელიგენციისა" თავს ვერ იმართლებს, რომ დღეს ასე უმიზეზოდ და უსაბუთოდ ჰთარეშობს ჩვენს ბანკებზედა. ჩვენ მარტო ამას ვწუხვართ და ვკვირვობთ, რომ ამ "ერთს ნაწილს ინტელიგენციისას", რომელსაც, უეჭველია, ამ საქმისათვის გული სტკივა, როგორ არ მიუღია შრომა და საჭიროდ არ დაუნახავს, თავის გულის კივილის

საგანი ეძია და ეკვლივა იმოდენად მაინც, რომ სამართლიანს და ამ შემთხვევაში ადვილად მოსასმენს ცნობისმოყვარეობას მართალი კმაყოფილება მისცემოდა ასე თუ ისე.

გვეტყვიან, ეგ განა ჩვენ კი არ ვიცოდითო, მაგრამ რის გამოსაყენია ეგ წესი, რომელიც ერთს წყობას გასასყიდ მამულებისას შეეხება და არა მთელს მის დიდს კრებულსაო. მართალია, იგი წესი შეეხება მარტო იმ მამულებს, რომელიც ბანკსა ჰრჩება საკუთრებად და არა მთელს რიცხვს გასასყიდად გამოცხადებულ მამულებისასა, რომელიც ბანკს არა ჰრჩება და საჯარო ვაჭრობით უკვე იყიდება. ამას თავისი პატივსადები მიზეზი აქვს და ამაზედ შემდეგ მოვილაპარაკებთ.

წინა წერილში მოყვანილი წესის ძალითა ჩვენს ბანკებს ნება და უფლება აქვთ გასასყიდად დარჩენილი მამულები როგორც ჰსურთ და საჭიროა, ისე ჰყიდონ და გასყიდვის გარემოება ყოველს ცალკე მაგალითს და ცალკე შემთხვევას ცალკევე შეუფერონ. მართალია, ეს შეეხება იმ მამულებს, რომელსაც ორ ზედიზედ დანიშნულ საჯარო ვაჭრობაზედ მუშტარი არ ეყოლება და ამის გამო დარჩება მამული გაუსყიდველად. წესდების ძალით ამისთანა მამულები ბანკის საკუთა-რებად შეიქმნებიან და ბანკმა იგი უნდა გაჰყიდოს, როგორც მისი საკუთარი კუთვნილება თავისუფლად, როგორც ჰსურს და გარემოება მოითხოვს. სხვა წყება მამულებისა კი, რომელიც გასასყიდად ინიშნება ვადის ფულის ბანკში შემოტანლობის გამო, ამ წესს არ ექვემდებარება, მაშასადამე, ეს უკანასკნელი წყება მამულებისა ვერ გაიყიდება ნაჭერ-ნაჭერ და წვრილ-წვრილად.

თუ ის "ერთი ნაწილი ჩვენის ინტელიგენციისა" ამას უკიჟინებს ჩვენს ბანკებს, წინდახედულობით და საქმის უცოდინარობით უნდა მოსდიოდეს. ჩვენ არა გვგონია "Крестъянский Банк"-ის ავტორმა ამ წყება მამულების გამოც მოითხოვოს ნაჭერ-ნაჭერ დანაწილება და ისე გასყიდვა. ავტორს ეცოდინება, რომ ეს შეუძლებელია და აქ შეუსაძლისობა თვით საგანთა ლოღიკიდამ არის წარმომდგარი და არა კაცთა თვითნებობისაგან.

ჯერ ეს უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ, მამულის პატრონს არ შემოაქვს ვადაზე შემოსატანი ფული ბანკში, მამული თუმცა ინიშნება საჯარო გასასყიდად, მაგრამ ვაჭრობის დღემდე იგი მაინცდამაინც უფალია თავის მამულისა და ყოველ იმისა, რასაც მამული ააყენებს, თუ გაიყიდა ნასესხებ ფულზედ მეტად. ეს დავიხსომოთ და მერე ეს ვიკითხოთ: როგორ მოახერხოს ბანკმა მთლიანად დაგირავებული მამული

გაჰყიდოს ნაჭერ-ნაჭერ ვიდრე მამული პატრონის ხელშია და ორს საჯარო ვაჭრობაში გატარებულ უნდა იქმნას? ავიღოთ მაგალითი.

ვსთქვათ, რომ საჯარო ვაჭრობაში ათასის დღიურის მამულია ჩავარდნილი. მოდის გლეხკაცი და მარტო ოცის დღის მამულის სყიდვა უნდა ათასის დღიურიდამ. როგორ გამოვთვალოთ ეს ოცი ათასის დღიურისაგან ისე უცბად, ისე ანაზდეულად. "Крестъянскии Банк"-ის ავტორს, რასაკვირველია, ჩვენზედ ნაკლებ არ ეცოდინება, რომ ჩვენში არამცთუ ერთსა და იმავე სოფელში, არამედ ერთსა და იმავე მამულში, ზოგჯერ ერთსა და იმავე ტანს მიწაშიაც კი დიდი სხვადასხვაობაა მამულის სიკეთისა და მაშასადამე, ფასისაც. ეს სიკეთე ისე უცბად როგორ შეუფარდოს ფასსა ბანკმა ხელახლავ გამოუძიებლად, გამოურკვევლად? უამისოდ ხომ შესაძლოა ამ გზით უკეთესი ნაწილი გამოეჭრას მამულსა და უვარგისი კი ბანკს მოეხვიოს კისერზედ. ეს ერთი; მეორე ისა, რომ ხშირად მამულში ერთი იმისთანა ნაწილია, რომ უამნაწილოდ, რაც უნდა პატარა იყოს, დანარჩენი მამული, რაც უნდა ბევრი იყოს, ჰფოლდება და ნახევარს ფასზედ ჩამოდის. გლეხკაცმა რომ ამისთანა მამულს წაატანოს ხელი და დანარჩენი ღვთის ანაბარობაზედ დააგდოს, რა პასუხს გავცემთ ამ მამულის პატრონს, ან თვითონ ბანკსა? მამულის პატრონს ხომ ამით საბუთი ეძლევა უსაყვედუროს ან უჩივლოს ბანკსა, რომ ჩვენს მამულს განგებ თვალი გამოთხარეს, უკეთესი ნაწილი გამოსჭრეს, დამიფოლეს მამულიო მაშინ, როდესაც მთლიანად რომ გაეყიდნათ, კარგი ცუდს გაიტანდა, მთლიანს მამულს ფასი არ დააკლდებოდა და იქნება ამ გზით მეც მრგებოდა რამეო. ან ბანკმა რა ხეირი უნდა ჰნახოს იმ მამულისაგან, რომ მისი უკეთესი ნაწილი ცალკეა გაყიდული? ეს ორი.

ვსთქვათ, ყოველივეფერი შესაძლო იყოს. იმ შემთხვევას როგორღა დაახწევთ თავსა, როცა განცხა-

დებით მოწვეული მსყიდველი მამულისა მოდის და საჯარო ვაჭრობაზედ აცხადებს: ამ გლეხს ათასის დღიურის მამულიდამ მარტო ოცის დღისა უნდა, მე კი მთლიანად ვყიდულობო. ნუთუ ამ ბანკს შეუძლიან უარი უთხრას? ეს უარი ისევ იმ ერთს ნაწილს ინტელიგენციისას ხომ სიცილადაც არ ეყოფა. ეს სამი და რომ არ გვეზარებოდეს, ათასს სხვას არშესაძლისს მიზეზს მოვიყვანდით, რომ თვით ბუნება საქმისა და საგნისა ვერასგზით ვერ შეიფერებს იმ წადილს ერთის ნაწილის ინტელიგენციისას, რომელსაც ავტორი გვაუწყებს. ამას ვამბობთ იმ მამულების შესახებ, რომელსაც ჯერ ორს ზედიზედს დანიშნულ ვაჭრობაში არ გამოუვლია და მაშასადამე, ბანკს არ დარჩენია თავის ნებაზედ გასყიდვისათვის, სულ სხვაა, როცა მამული ბანკს დაეკუთვნება. აქ ბანკს სამართალიც აქვს, დროცა და მოცალეობაც ფარდ-ფარდად დაჰყოს მამული საჭიროებისა და მოთხოვნილებისამებრ და იმ ანგარიშით გააწილადოს ცალ-ცალკე გასასყიდად, რომ ყველამ ერთად მართალი ფასი მამულისა ააყენოს და თუ არა, მამულზედ გაცემული ფული მაინც გაუნაღდოს ბანკსა. საჯარო ვაჭრობაზედ ეგ კი შესაძლისი არ არის. აქ გლეხკაცობას თუ სყიდვა ჰსურს, მთლიანი მამული მთლად არ უნდა იყიდოს და თუ თვითვეული ცალკე ვერ შესწვდება, რამდენმამე კაცმა თავი ერთად უნდა მოიყაროს, ერთად იყიდოს და ერთმანეთში დაიყონ შეძლებისა და სურვილისამებრ.

ამ სახით, რადგანაც შესაძლისი არ არის, რომ საჯარო ვაჭრობის დროს ყოველმა ცალკედ მოსულმა გლეხმა მთლიანის მამულებისაგან ცალკე ნაჭერი გამოსჭრას და ის იყიდოს, მაშასადამე, ძალაუნებურად ერთი გზაღა გვრჩება: მამულის მსურველთა გლეხთა თავი ერთად მოიყარონ, მთელი მამული იყიდონ და მერე ერთმანეთში მოირიგონ. თვითონ ავტორსაც ეს აუცილებლობა დანახული აქვს, ხოლო სამართლიანად და საბუთიანად იმდურება, რომ არავინა ჰნაღვლობსო ცალ-ცალკედ მსყიდველს გლეხკაცობას თავი ერთად

მოუყაროს, ან საზოგადოება, ან ამხანაგობა შეადგენინოს და ისე ერთნაირად აყიდვინოს მამულიო. ეს სამართლიანი ბრალი ვის ედება? ვის უნდა ენაღვლა ამ სასარგებლო საქმისათვის? თქმა არ უნდა, რომ იმ "ერთ ნაწილს ინტელიგენციისას", რომელსაც, ავტორის სიტყვით, ამისათვის თავი გამოდებული ჰქონია ერთს დროს, როგორც ეტყობა, მარტო ცარიელის სიტყვით და საქმით კი თითიც არ გაუნძრევია. თუ ეს ვისიმე სანაღვლელი იყო და არის, ეს ნაღველი არავისაგან ისე მოსალოდნელი არ არის, როგორც იმ "ერთ ნაწილ ინტელიგენციისაგან", რომელსაც ავტორის სიტყვით, გული ოდესღაც ამისათვის ძალიან სტკივებია. თუ ეს "ერთი ნაწილი ინტელიგენციისა" თავის ახლად გასაკეთებელს და სანაღვლელს საქმეს სხვას ახვევს თავზედ, ეგ ხომ იმას ეგვანება, რომ ყვავს ბახალა მოუკვდაო, ბუს მიუგდო, შენ თავი დიდი გაქვს და ჩემ მაგიერ შენ იტირეო.

ჩვენა გვგონია, რომ ავტორი ამ სამდურავით სამართლიანად ჰკიცხავს უქმობისათვის ჩვენს ინტელიგენციას საერთოდ და იმ "ერთს ნაწილს" საკუთრივ, რომელზედაც ჩვენ ეხლა ჩამოგვაგდებინა სიტყვა ავტორის სამდურავმა.

გვგონია, ჩვენ საკმაოდ ვაცოდინეთ მკითხველს, რომ იგი მუხლნი, რომელთათვისაც თავგამომეტებით უბრძოლია ვითომ " ერთს ნაწილს ჩვენის ინტელიგენციისას", უკვე შეტანილნი ყოფილან ჩვენის ბანკების წესდებაში და რადგანაც იმ "ინტელიგენციას"ეს არც სცოდნია, მაინც თავისი უძახნია. ჩვენი ხმაო, ამბობს ის "ერთი ნაწილი ინტელიგენციისა" "Новое Обозрение"-ს ბაგითა: ხმად მღაღადებელად დარჩა უდაბნოსა შინაო. ეს ფიცი გვწამს და ბოლო კი გვაკვირვებს. მაგრამ ან რად უნდა გვიკვირდეს? თუ ეს ასეა, სჩანს იმ მუხლების შეტანაში იმათ იმოდენა მონაწილეობა მიუღიათ, რამოდენაც აზანქურელ თათარსა, თორემ თავისას თვითონვე როგორღა ვერ იცნობდნენ და ასრულებულს წადილს ხმად მღაღადებელად უდაბნოსა შინა რაღად უწოდებდნენ.

ამასობაში, როცა იგი "ერთი ნაწილი ჩვენის ინტელიგენციისა" ამაოდ იძახოდა, შეიტანეთ წესდებაში ესა და ეს რიგი და წესიო, იმისდა მიუხედავად, რომ იგი რიგი და წესი უკვე შეტანილი იყო, ჩვენი ბანკები ხმაამოუღებლივ, უბუკნაღაროდ იმ რიგისა და წესის ძალით შესაძლისს შემწეობას აძლევდნენ გლეხკაცობას და შეუსაძლისი კი მიანებეს იმათ, ვისაც ჰაერში კოშკის აშენება საქმის კეთება ჰგონია. მაგალითებრ, ტფილისის ბანკის შემწეობით გლეხკაცობას დღემდე უყიდნია ტფილისის გუბერნიაში 14 მამული 70.000 მანათისა; უეჭველია, ქუთაისის ბანკსაც ამოდენა, თუ არა, მეტიც, შემწეობა ექმნება გაწეული იქაურ გლეხკაცობისათვის და, სამწუხაროდ ჩვენდა, ამ საგანზედ ჩვენ ცნობა ხელთ არა გვაქვს.

რადგანაც ბანკის დაარსების დღიდამ დღეს აქამომდე ბანკს საჯარო ვაჭრობით, თუ თავის ნებაზედ, სულ 46 სოფლის მამული გაუყიდნია, სულ ერთიანად თითქმის 460.000 მანათისა, სჩანს რომ გლეხკაცობას მამულების რიცხვის კვალობაზედ თითქმის მესამედი

წილი ჰრგებია და ნასყიდობის ფულის მიხედვით კი მეშვიდედზედ მეტი. რატომ უფრო ბევრი არაო? — იკითხვენ, ჯერ იმიტომ, რომ ქვეყანაზედ გლეხკაცებს გარდა სხვანიც ადამიანები არიან და ეს სხვები თვითვეული ცალკე გლეხკაცობაზედ უფრო შემძლებელნი არიან სყიდვისათვის და გლეხი ულონოა ამათ შეეცილოს. ვაჭრობა, როგორც ყოველთვის, ისეც ამ შემთხვევაში მჯობნებაზეა, ანუ, უკედ ვსთქვათ, ბურთი ვაჭრობისა იმისია, ვინც სავაჭრო მოედანზედ მეტის მძლეველია. მერმე იმიტომ, რომ ამ ბანკისაგან გაყიდულ მამულების რიცხვში ზოგი წილი განგებ არის ჩავარდნილი თვით პატრონთაგან საჯარო გასასყიდად სხვადასხვა ანგარიშისა გამო. აქ ზოგჯერ ქმარს სდომებია მამული ცოლისათვის, ცოლს ქმრისათვის, მამას შვილისათვის და მებრვე სხვა. აქ წინადვე საქმე ისეა დაწყობილი, რომ მამულის სასყიდლად სხვა ვერავინ გაიჭაჭანებს, თუ არ წინადვე შეპირებული და მორიგებული.

ცალკე ეს გარემოება, ცალკე უფრო ღონიერთა აუცილებელი შეცილება სავაჭროდ ჩავარდნილ მამულების რიცხვისაგან ცოტა წილსღა სტოვებს საგლეხოდ. ეს გარეთი მიზეზია, რომ გლეხნი ამ გზით ცოტა მამულებსა ჰყიდულობენ. აქ სხვა შინაგანი მიზეზიც არის, რომელსაც ღრმა ფესვი აქვს ჩვენებურ გლეხკაცის ზნე-ჩვეულებაში და რომელიც უამისოდაც ცოტას, თუ დიდს რიცხვს სასყიდ მამულებისას მეტისმეტად უცოტავებს გლეხსა. ამაზედ, როგორც წინადაც ვსთქვით, მერე მოვილაპარაკებთ, ეხლა კი ამას ვიტყვით, რომ თუნდაც არც ერთი ზემოხსენებული მიზეზი ანგარიშში არ მივიღოთ და ციფირებს პირდაპირ გავუსწოროთ თვალი, მაინც მთელის გასასყიდ მამულების რიცხვიდამ მესამედის გლეხთა ხელში გადასვლა და ნასყიდობის ფულის კვალობაზედ კი — მეშვიდედისა, იმოდენად გონებაში ჩასაჭდევია, რომ გლეხკაცის გულშემატკივართა გული ცოტად თუ ბევრად უნდა მოეფხანოთ და დაეურვოთ.

შინაგანი მიზეზი იმისა, რომ ჩვენებური გლეხკაცი მეტს მამულებს არა ჰყიდულობს და არც იყიდის, რაც გინდ ოქროს ზოდები დაუწყოთ წინ, ის მოდგმით ჩანერგილი ზნეა, რომელსაც თვისი საქებური და პატივსადები სათავე აქვს, ჩვენებური გლეხი ბინადარი კაცია, საცა დაბადებულა, იქ მკვიდრად ფესვმოკიდებული და ღრმად ფესვგადგმული. იგი თავის მამაპაპეულ ბინაზედ დამოკიდებულია მარტო საეკონომიო ანგარიშით კი არა, არამედ სულითაც და გულითაც, ესე იგი, ზნეობითადაც შემსჭვალულია. მისი სოფელი მისი სამკვიდროა, თვითონ "მკვიდრია" თავის სოფლისა და სხვა თავმოსაწონებელი სახელი არ იცის. მისი სოფელი მისთა მიცვალებულთა სავანეა, მისთა მამაპაპათა საფლავია, სალოცავია, სახსოვარია, საგონებელია; იგივ ამავე დროს საცხოვრისია, სადგურია მისთა ცოცხალთა თვისტომთა, ნათესავთა და მახლობელთა. აი, ძნელად გადასაკვეთნი ძარღვნი, რომლითაც იგი მაგრად დაბმულია სულითა და ხორცით იმ ადგილზედ, საცა დაბადებულა. ძნელად და ძალიან ძნელად გამოიმეტებს იგი თავის სოფელს, სხვასავით ადვილად არ აიყრება მარტო იმის გამო, რომ "საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო". მთელი ისტორია ჩვენი ამისი მოწამეა: ვერა მუსრმა, ვერა აოხრებამ, ვერა სისხლის ღვრამ ვერ აშალა იგი თავის ბინიდამ და სხვასავით ვერ გაჰქსაქსა, ვერ გაფანტა. ეს მკვიდრად დგომა თავის ბინაზედ მოდგმითი ზნეა მისი.

ეს ზნე, ფრიად საქებური ჩვენისთანა პატარა ერისათვის იძულებულ ჰხდის გლეხსა გული აუვარდეს მარტო იმისთანა მამულზედ, რომლის ხმარებაც მამაპაპეულის ბინისაგან აშლას არ მოსთხოვს, იმიტომ, რომ უფრო ადვილად მოითმენს უმამულობას, ვიდრე მამაპაპეულის ბინის დაკარგვასა, ვიდრე თავის მშობელ სოფლის გაწირვასა და გამოთხოვებასა. ამიტომაც საღერღელი მამულის შოვნისა მარტო მაშინ გაუხდება

ხოლმე საკურნებელ სატკივარად, როცა საშოვარი მამული მის ახლოა. სხვაგან მამულს რომ სულ რძე და თაფლი სდიოდეს, აინუნშიაც არ მოუვა იმისთანა მამულის სყიდვა. ჩვენა გვგონია, მუქთადაც რომ მისცეთ, ხელს არ მოჰკიდებს: ამისი მაგალითი ერთი და ორი არ არის. მაშასადამე, გლეხკაცის მუდამ მღვიძარე სურვილი მამულის შეძენისა ჩვენში გლეხკაცს საქმედ არ გადაექცევა, თუ რომ სყიდვით საშოვარი მამული არ ემხრობა მის მამაპაპეულს ბინასა. მაშასადამე, რომ გახშირდეს ჩვენში მამულების სყიდვა გლეხთა მიერ, ჯერ ეს აუცილებელი პირობა და გარემოება ხელს უნდა უწყობდეს იმ აუცილებელსავე პირობასთან ერთად, რომ გლეხს მამული უჭირდეს. ხოლო გასასყიდად დანიშნულ მამულების რიცხვში განა ბევრი მოიპოვება იმისთანა მამული, რომ ეს ორივ პირობას ჭირდეს ერთსა და იმავე დროს! ათში ერთს შემთხვევაში ან მამული არ ემხრობა უმამულობით გაჭირებულს გლეხსა, ან ემხრობა და არ უჭირს, ან არც ერთი და არც მეორე, რაც უნდა შეღავათიანი კრედიტი შეუქმნათ ჩვენებურს გლეხკაცსა, თუნდ სახელმწიფო ბანკიც გაუმართოთ, ხსენებულ გარემოების გამო ჩვენებური გლეხი იმოდენად არ დაიძვრის მამულის სასყიდლად, რამოდენადაც მოელოდებიან. სულ სხვაა რუსეთი: იქ გლეხკაცს არ ეუცხოვება არხანგელის გუბერნიიდამ ხელსონის გუბერნიაში გადასვლა, თუკი მამული ხელს მისცემს. იგი ამბობს: человек ищет где лучше და ამით აიხსნება იგი საოცარი ისტორიული მოვლენა, როგორც "юръев день" როცა თითქმის მთელის რუსეთის გლეხკაცობა ერთის ადგილიდამ მეორეში გადად-გადმოდიოდა. ჩვენებურ გლეხკაცისათვის კი მამაპაპეულ ბინის გარედ ეგ "где лучше" არ არსებობს: იგი ამბობს: "საცა დავიბადე, ჩემი ბაღდადი იქ არისო", და სწორედ აქ არის ძირი და სათავე იმ განსხვავებისა, რაც ჩვენსა და რუსეთის გლეხკაცებს ერთმანეთში არჩევს.

ჩვენს ხსენებულს ზნეს ჩვენის გლეხკაცობისას ვერ შევეჭიდებით, რადგანაც იგი წარმომდგარია დიდად პატივსადებ გრძნობისაგან. თუნდ ეგეც არ იყოს, იგი ზნე ისე ღრმად ჩაჭდეულია, რომ ეგრე ადვილად არ წაიშლება. მომეტებული გაჭირება, რასაკვირველია, თავის დროზედ თავისას იზამს, მაგრამ ეხლა კი საქმე ესეა. რადგანაც ჯერხანად ეს ზნე არც ხელსახლებია და თუნდაც ხელი წავჭიდოთ, არც დასაძლევია, ამიტომ ჩვენი უწმინდაესი ვალი მამულების სყიდვის საქმეში მარტო ის არის, რომ როცა ამ ზნეს გარედ აბრკოლებს გლეხს მამულის სყიდვაში, ის ავიცილოთ თავიდამ რამოდენადაც შესაძლოა დროთა ვითარების მიხედვით.

ამ მხრითაც ბევრი არა ეკიჟინება რა ჩვენს საადგილმამულო ბანკსა იმიტომ, რომ ამ საგანზედ გამართული ჰქონია მიწერ-მოწერა საფინანსო სამინისტროსთანა. ამაზედ შემდეგ ვიტყვით.

ჯერ მინამ საგლეხკაცო ბანკი დაარსებული არ იყო რუსეთში, საფინანსო სამინისტროს დიდი ლაპარაკი და მიწერ-მოწერა ჰქონდა მასზედ, თუ როგორ ეშველოს და ხელი გაემართოს გლეხკაცობას მამულების სასყიდლად. არ ვიცით, სხვა ბანკებმა რა ჰქნეს და ტფილისის საადგილმამულო ბანკის საზოგადო კრებამ კი მოისმინა რა ამ საგანზედ საკმაოდ ვრცელი მოხსენება ბანკის გამგეობისა 1882 წ. აპრილის 29-სა დღესა, დაადგინა, რომ იგი მოხსენება გამოუკლებლად წარდგენილ იქმნას საფინანსო სამინისტროში. გამგეობამ მაშინვე აღასრულა ეს განაჩენი საზოგადო კრებისა.

რადგანაც შესაძლოა ამ საქმის გულის შემატკივართ ეს არ იცოდნენ და იმ "ერთს ნაწილს ინტელიგენციას" ხომ არამცთუ არა სცოდნია, საჭიროდაც არ დაუნახავს შეეტყო რამე, ამიტომაც მეტი არ იქნება, იგი მოხსენება გამგეობისა ვრცლად გამოვარკვიოთ. ამის გამო ჩვენი საუბარი გძელი გამოვა, მაგრამ საქმიანი გძელი თქმა სჯობია, უსაქმურ მოკლე თქმასა.

"გამგეობა ბანკისაო, სწერდა ჩვენი ბანკი საფინანსო სამინისტროს: თანაუგრძნობს განზრახვას მთავრობისას, რომ სესხად ნაშოვარი ფულით გლეხკაცობას ღონე მიეცეს მამულების სასყიდლად. ჩვენს ბანკს, თქმა არ უნდა, ადვილად შეუძლიან ეს საქმე კისრად იდვას და ამისათვის ცალკე განყოფილებაც იქონიოს. ხოლო ამასთან შეუძლებელია ისიც არ ითქვას, რომ ბევრი მიზეზია, რომელიც გლეხკაცთა მიერ მამულების სყიდვას ნასესხის ფულითა აუცილებლად წინ დაუხვდება და დააბრკოლებს. ეს მიზეზნი ზოგნი საყოველთავონი, საზოგადონი არიან მთელის იმპერიისათვის და ზოგნი კი კერძონი, მარტო ჩვენის ქვეყნის ვითარებისაგან წარმომდგარნი".

პირველის რიგის მიზეზს, გამგეობის აზრით, ეკუთვნის ისა, რომ გლეხთა მეურნეობას ძალ-ღონე არა აქვს გაუძღვეს სიძვირეს ეხლანდელის საადგილ-მამულო კრედიტისას. იგი ღონე ვერას გზით ვერ გასწვდება აწ არსებულს სიდიდეს სარგებლისას და ერთობ სიძვირეს სესხისას, რომელსაც საადგილ-მამულო ბანკები იძლევიან. ძნელად მოსალოდნელია, რომ ზოგადთა საეკონომიო გარემოებათა გამომ-ჯობინებამ ამ გლეხისათვის მიუწვდენელს სიდიდეს სარგებლისას მოაკლოს რამე. ეგ სიდიდე, გამგეობის აზრით, ჯერ კიდევ დიდხანს იქნება იმ დონეზედ, რომ გლეხკაცობას არ შეეძლება მისი ზიდვა და ატანა. მაშასადამე, — ამბობს მერე გამგეობა, — მთელი ნაღველი და მზრუნველობა ამ შემთხვევაში იმაზედ უნდა მიექცესო, რომ გაუიეფდეს გლეხკაცობას სესხად ასაღები ფული იმ უსათუო პირობით კი, რომ არამც და არამც სარგებლის მეტნაკლებობა დამოკიდებული არ იყოს ფულის აღებმიცემლობის (спрос и предложение капиталов) მეტნაკლებობაზედ, ესე იგი, ფულის ბაზარზე. იმიტომ, რომ ფულის ბაზარის მეტნაკლებობა საზოგადო, საყოველთაო საქმეთა მსვლელობაზეა დამოკიდებული და ამ საზოგადო საქმეთა მსვლელობაა მიზეზი სარგებლის მეტნაკლე-ბობისაცა ფულის ბაზარში. ამ შემთხვევაში გლეხკაცის ბედი ბაზრის სათამაშოდ არ უნდა გახდეს.

"ამისათვის საჭიროა, ამბობს გამგეობა, რომ ბანკი, რომელიც ამ საქმეს იკისრებს, იმ საკრედიტო დაწესებულების ფეხზედ დასდგეს, რომელიც სესხს ნაღდის ფულით იძლევა. ამასთან ამისთანა ბანკს ის ღონე და სახსარი უნდა ჰქონდეს, რომ სარგებლის შესაძლისს მინიმუმზედ მაინც დააყენოს, თუ სრულიად ვერ გააუქმებს, ხოლო ეს შესაძლისია მარტო მაშინ, თუ ხაზინა შემწეობას აღმოუჩენს ამ მხრით ბანკსა. ის იმედი და მოლოდინი კი სრულიად ტყუილია, რომ ვითომ შესაძლო იყოს კერძო კაცთა ფული მოიზიდოს ბანკმა ამ ფულით, აძლიოს სესხი და იქამდე გააიეფოს

კრედიტი, რომ გლეხკაცის ძალ-ღონეს შეეფეროს. ჯერ ხომ ფულის პატრონი იეფად არ მიაწვდის ბანკს ფულსა რომ ბანკმა თავის მხრით გაასესხოს იეფადვე, უამისოდ კი კრედიტი გლეხკაცობას დაჰღუპავს და გაანადგურებს".

თუ ვინიცობაა მთავრობა, საფინანსო გარემოებათა და ანგარიშის გამო, დაინახავს, რომ ამ მხრით შველა საქმისა მოუხერხებელია და ბანკმა სესხი უნდა აძლიოს ობლიგაციებითა, გამგეობა ჰგონებს, რომ ამ შემთხვევაშიაც შესაძლოა ზოგიერთი შეღავათი მიეცეს ბანკსა, რომ მით ცოტა მაინც შეუმსუბუქდეს გლეხკაცს სიმძიმე ობლიგაციებით მომქმედის კრე-დიტისა.

ამის თაობაზედ გამგეობას ტფილისის ბანკისას რამოდენიმე წინადადება წარუდგენია სამინისტროში და ამაზედ შემდეგ მოვიხსენიებთ.

წინა წერილში* ჩვენ მოვიყვანეთ ტფილისის საადგილმამულო ბანკის აზრის შესახებ საგლეხკაცო კრედიტისა მამულების შესასყიდლად. იგი ბანკი ამბობს, რომ გაიეფება საგლეხკაცო კრედიტისა იმოდენად საჭირო, რომ უამისოდ კრედიტი დაჰღუპავს გაკეთების მაგიერ. ეს კრედიტის გაიეფება შესაძლისია მხოლოდ მაშინ, როცა თვით ამ კრედიტის მოწარმოე ბანკი სესხად გასაცემს ფულს იეფად იშოვნის. თუ იმ ფულს გამოელოდინება კერძო კაცისაგან, მაშინ კრედიტის გაიეფება მოსალოდნელი არ არის, ვიდრე საზოგადო გარემოებანი საეკონომიონი ერთობ არ გამომჯობინდება. ეს გამომჯობინება ძალიან შორს არის და მაშასადამე, რაკი ბანკი მარტო კერძო კაცის ფულიანობაზედ იქნება დამოკიდებული, მისგან ნუ მოელოდებით გაიეფებას კრედიტისას იმიტომ, რომ კერძო კაცი, თუ ცოტად თუ ბევრად სარგებელს არ დაჰხარბდა, თავის ფულს ბანკს არ მიაწვდის სესხად გაცემისათვის. რაკი საქმე დახარბებაზეა, მაშინ ამ მხრით გაიეფება კრედიტისა ყინულზედ დაწერილი სურვილია, იმიტომ, რომ რამოდენადაც ძვირი საშოვარი იქნება ფული კერძო კაცისაგან, იმის კვალობაზედ ძვირადაც იქნება თვითონ კრედიტი.

ამ სახით ტფილისის საადგილმამულო ბანკის გამგეობას ის აზრი გამოჰყავს, რომ თუ გლეხკაცობის შესაწევრად კრედიტი გინდათ შეჰქმნათ, ბანკის საქმე ისე უნდა მოაწყოთ, რომ, ბანკის სახსარი კრედიტისა კერძო კაცთა ფულიანობაზედ არ იყოს დაიმედებული და დამოკიდებულიო, ესე იგი, ფულის ბაზრისაგან თავისუფალი უნდა იყოსო. ეს მარტო მაშინ არის შესაძლისი, თუ ხაზინა მიაწვდის ბანკსა თავის ფულსაო, თუ ვინიცობაა ხაზინა, საფინანსო გარემოებათა და ანგარიშთა გამო, დაინახავს, რომ ამ მხრით შველა

* იხ. "ივერია" № 150.

საქმისა მოუხერხებელია და ბანკმა სესხი უნდა აძლიოს იმ ფულიდამ, რასაც კერძო კაცისაგან იშოვისო, მაშინ მეტი რა გზაა, კრედიტის სიძვირე-სიიეფე ფულის ბაზარზედ უნდა იქმნას დამოკიდებულიო. თუმცა ამ შემთხვევაში სრულად უიმედოა კრედიტის გაიეფება იმოდენად, რამოდენადაც სასურველია, მაგრამ აქაც კი შესაძლოა ზოგიერთი იმისთანა შეღავათი მიეცეს ბანკსა, რომ მით ცოტათი მაინც შეუმსუბუქოს გლეხკაცობას სიმძიმე კერძო კაცის ფულით მომქმედის კრედიტისაო.

რადგანაც საადგილმამულო კრედიტი მოქმედობს ობლიგაციებითა, რომელთაც გირავნობის ფურცელი ჰქვიან და ამ ობლიგაციებით იზიდავს კერძო კაცის ფულსა თვისთა ოპერაციებისათვის, ამიტომაც ტფილისის საადგილმამულო ბანკმა აღნიშნა იგი შეღავათები, რომელნიც, მისის აზრით, ხელს შეუწყობენ უფრო ადვილად და უფრო იეფად მოზიდვას კერძო კაცის ფულისას ობლიგაციების შემწეობითა. ამისათვის ტფილისის ბანკმა ოთხი საშუალება აჩვენა:

1/ ნება ჰქონდეს ბანკსა, რომ ოცდახუთმანეთიანი ობლიგაციებიც იქონიოსო და მით ცოტა ფულის პატრონსაც ღონე ჰქონდეს ობლიგაციების სყიდვისა.

ღღეს ბანკი ათთუმნიანზედ ნაკლებ ობლიგაციებს ვერ იქონიებს. ამ ფასიანი ობლიგაცია, თუმცა მუშტარს ჰშოულობს, მაგრამ იმოდენას ვერა, რამოდენასაც ოცდახუთიანი მოიპოვებდა. ოცდახუთის მანეთის პატრონი უფრო ბევრია, ასის მანეთისა და ამ მხრით რომ ობლიგაციებს გზა გახსნილი ჰქონდეს, მუშტარი გაუმრავლდება. მუშტარის გამრავლებას ობლიგაციის ფასის აწევა მოსდევს. რადგანაც ობლიგაციის სარგებელი უძრავია, ესე იგი, ერთი და იგივეა ყოველთვის. ამიტომაც, რაც მეტად აიწევს ობლიგაციის ფასი, იმოდენად სარგებელი ცოტა მოდის. მაგალითებრ, ეხლა ათთუმნიანს ობლიგაციაზედ სესხის ამღები იხდის წელიწადში ექვს მანეთს. ის ათთუმნიანი რომ მუშტრის სიმრავლემ თორმეტ თუმნად გახადოს, მაშინ

იგი ექვსი მანეთი შეიქმს ასზედ ხუთსა, ესე იგი, ხუთს სარგებელსა. სესხის ამღებს ამ გზით ფული დაუჯდება 5%–ად, ესე იგი, 1%–ით ნაკლებ გაუვა ვალში.

ამ მხრით, ცოტად თუ ბევრად გაიეფება კრედიტისა ძალიან ადვილად მოსალოსნელია და ჭკუაში მოსასვლელი. ჯერ იმიტომ, რომ ოცდახუთის მანეთის პატრონი უფრო ბევრია, როგორცა ვსთქვით, ვიდრე ასის მანეთისა და თუ ამ ცოტა ფულის პატრონსაც გზა გაეხსნება ობლიგაციების სყიდვისა, უეჭველია, ამ მხრითაც მუშტარი აუჩნდება ობლიგაციას, რომელსაც ეხლა მარტო მდიდარიღა სწვდება, მერე იმიტომ, რომ საადგილმამულო ბანკის ობლიგაცია უფრო იმედიანია და მკვიდრი ქაღალდია სხვა სარგებლიან ქაღალდებს შორის. იმედიანია და მკვიდრია იმიტომ, რომ მის თავდებად ჯერ თვითონ კაცია, სესხის ამღები, მერე მისი განსაზღვრული მამული და ბოლოს თვითონ ბანკი მთელის თავისის ქონებითა.

სხვა ბანკის ბილეთს ამ სამში მარტო ორი თავმდები უძღვება, მესამე კი, ყველაზედ მეტად საიმედოა, ესე იგი, გირაოდ მიღებული მამული კი არა ჰთავდებობს. ცოტა ფულის პატრონი, რომელიც შავის დღისათვის ფულის მკვიდრად გაბარებას და შენახვას უფრო ჰფიქრობს, ვიდრე სარგებლით გაბევრებას, საადგილმამულო ბანკის ობლიგაციაში ჰპოულობს თვისის ნაღველის წამალსა, იმიტომ, რომ უფრო საიმედო ქაღალდია, სამის თავდებობით გაძლიერებული. ეს ბუნება საადგილმამულო ბანკის ობლიგაციისა, როცა ობლიგაცია ოცდახუთმანეთიანიც იქნება, ბევრს მიწაში ჩაფლულს ქოთანს მოხსნის პირსა და უქმად დებულს ფულს დასძრავს ობლიგაციების სასყიდლად ჩვენშიაც კი, თუკი ხალხმა ამისი გემო გაიგო. ამისი მაგალითი გერმანიაა, საცა მაგისთანა ობლიგაციას ეტანება გლეხკაცობა სასყიდლად და ერთობ ფულის წვრილფენობა, როგორც ბუზი თაფლსა და არა ფასს არა ჰზოგავს.

მეორე საშუალებად, რომლის ძალითაც ობლიგაციებს შესაძლოა ფასი მოემატოს და მაშასადამე, თვითონ კრედიტი ამ მხრით გაიეფდეს, ტფილისის ბანკის გამგეობისაგან აღნიშნულია შემდეგი:

2/ სახელმწიფო ბანკმა და მისთა განყოფილებათა გირაოდ მიიღონ ხოლმე ობლიგაციები ათთუმნიანი ცხრა თუმნად და სარგებელი ართონ ერთით ნაკლები მასზედ, რაც იმ ხანებში სარგებელი იქმნება.

ცხადია, რაზეც არის მიქცეული აქ ეს საშუალება. ვსთქვათ, გლეხკაცმა ობლიგაციებით მიიღო სესხი ბანკისაგან. თუ ვინიცობაა, მაშინვე რიგიანი მუშტარი არ შეხვდა ობლიგაციის განაღდებისათვის, ხომ იძულებული იქმნება, როგორც უჭირს, ისეღა უღირდეს და აიღოს და ჩალის ფასად გაჰყიდოს ობლიგაცია. მარტო მუშტრის ანაბრობაზედ რომ დარჩეს გლეხკაცობა ამ შემთხვევაში, მაშინ შესაძლოა ფულის ბაზარს აუარებელი ობლიგაციები მიაწყდეს გასანაღდებლად. ეს გარემოება ძლიერ დასწევს ობლიგაციის ფასსა და ჩვენ უკვე ვიცით, რომ ობლიგაციის დაწევა სარგებლის აწევას მოასწავებს, როგორც ობლიგაციის აწევა სარგებლის დაწევასა. რომ გლეხკაცი ამ განსაცდელს გადურჩეს და მისი ბედი ფულის ბაზრის სათამაშოდ არ გახდეს, უკეთესი არა იქნება რა, რომ კარგის მუშტრის შოვნამდე სახელმწიფო ბანკმა ხელი გაუმართოს, ათთუმნიანში ცხრა თუმანი ასესხოს და ობლიგაცია გირაოდ თვითონ დაიჭიროს. ესეთი გარემოება ობლიგაციის ფასსა რიგიანს სიმაღლეზედ ამყოფებს ყოველთვის და თავის დღეში ისე ძირს არ დასცემს, როგორც შესაძლოა უამისოდ.

მესამე საშუალება შემდეგია:

3/ სახელმწიფო ბანკმა და მისთა განყოფილებათა უსასყიდლოდ იშუამავლონ ობლიგაციების გასყიდვისათვის, კუპონების განაღდებისათვის და იმ ობლი-

გაციების გამოხსნისათვის, რომელნიც ტირაჟში გამოსულ იქმნებიან.

ეს საშუალებაც კარგად ხელს შეუწყობს კრედიტის გაიეფებასა. ეს ოპერაციები, რომელიც ამ მუხლშია ჩამოთვლილი, დღეს კარგა ბლომა ფულად უჯდება ბანკსა და რადგანაც ამ გზით სახელმწიფო ბანკი მოეშველება უსასყიდლოდ, რა თქმა უნდა, ეს გზა იმოდენად შეუმსუბუქებს გლეხკაცს კრედიტსა, რამოდენადაც ბანკი თავისუფალ იქმნება ამ ხარჯისაგან. გარდა ამისა, სახელმწიფო ბანკის ხელი ყველგან და თითქმის ყველა კუთხესა იმპერიისას სწვდება და დიდი საქმეა ამ შემთხვევაში ხელმოკლე ბანკისათვის, რომ მისს ობლიგაციებს კარი ღია ჰქონდეს თითქმის ყველგან და მით ობლიგაციის პატრონს სახსარი ჰქონდეს თვისს საჭიროებას საცა გაუჭირდეს, იქვე უპოვოს შესაძლებელი წამალი. ესეც ერთი იმისთანა საშუალებაა სხვათა შორის, რომელიც მუშტარს გაუხშირებს ობლიგაციასა, გარდა იმისა, რომ ხარჯის დაკლებით გზას აძლევს ბანკს, თვითონ კრედიტის სიმძიმე იმოდენადვე შეამსუბუქოს.

მეოთხე საშუალება შემდეგია:

4/ ობლიგაციები ათთუმნიანი ათ თუმნადვე იქმნან მიღებული მთელს იმპერიაში სახელმწიფო ივჯარების და სხვა ამგვარების სათავმდებოდ და გირაოდ.

თავისთავად ცხადია, რომ ეს საშუალება მეტისმეტად უშველის კრედიტის გაიეფებასა, იმიტომ, რომ დიდს და უშველებელს ბაზარს წინ უშლის ობლიგაციებსა, დიდძალს მუშტარს შესძენს, რადგანაც სახელმწიფო ივჯარადრობა მთელს რუსეთში დიდძალია და სათავდებოდ წარსადგენი ქონება რამდენსამე ათეულს მილლიონს გადემატება ხოლმე ყოველწლივ და ეს მილლიონები თუ არ მთლად, რამოდენადმე მაინც მიიქცევა ობლიგაციების სასყიდლად და ეს "რამოდენადმე" იმოდენად ცოტა თუ ბევრი იქმნება, რომ თავის კვალს დააჩნევს ობლიგაციების ფასის აწევასა.

მარტო ამ ოთხის საშუალებითაო, — ამბობს გამგეობა ტფილისის ბანკისა, — შესაძლისად და კრედიტის გასაიეფებლად ხუთ სარგებლიანი ობლიგაციები ვამოქმედოთო და ბანკის სახარჯოდ მარტო 1/2 % —ით ვიღოთო.

ღღეს ჩვენი ბანკი ექვს სარგებლიანს ობლიგაციებს ამოქმედებს და ბანკის სახარჯოდ 1 1/2%-ს ახდევინებს. ასე, რომ სესხის ამღებს ღღეს ეს ორი გასავალი 7 1/2 % - ად უჯდება. ამ სახით გამოდის, რომ თუ საგლეხკაცო კრედიტისათვის მაინც ბანკს იგი ოთხი საშუალება მიენიჭება, მაშინ ეს ორი გასავალი გლეხკაცს 7 1/2% -ს მაგიერ 5 1/2%-ად დაუჯდება* ესე იგი, ასში ორის მანეთით ნაკლებ.

არ ითქმის, რომ ეს საგრძნობელი შეღავათი არ იყოს ეხლანდელის ძვირის კრედიტის კვალობაზედ.

* ობლიგაციის სარგებლის დაკლება, რასაკვირველია, ან თავნის მოსაშორებელს ნაწილს გაბევრებს, ან ვადას სესხისას მოუმატებს. ესეც კი ანგარიშში მისაღებია.

ტფილისი, 30 ივლისი.

გარდა იმისა, რაც შესწევს კრედიტის გაიეფებას, გამგეობა ტფილისის ბანკისა უჩვენებს იმასაც, რომ თვითონ აწ არსებული რიგი და წესი საქმეთა წარმოებისა დიდად ამძიმებს და აბრკოლებს კრედიტის კარამდე მისვლასა და კრედიტით სარგებლობასა. ამისათვის საჭიროა, დღევანდელი რთული წესი საქმეთა წარმოებისა გასადავდეს და დიდი ხარჯი, როგორც მამულის საგირავოდ მომზადებისათვის, აგრეთვა სყიდვისათვის არამცთუ შემოკლდეს. სრულად მოსპობილ იქმნასო.

ვისაც არ გამოუცდია, არ იცის რა წვალება და წამებაა მარტო ერთის გირავნობის მოწმობის /залоговое свидетелъство/ აღება უფროსის ნოტარიუსისაგან. უამმოწმოდ ბანკს არა აქვს ნება დაიგირავოს ვისიმე მამული. თუნდ რომ სიგელები მამულის კუთვნილებისა სრული და უცილობელი გქონდეთ, მაინც კიდევ გირავნობის მოწმობის უკან დევნას, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, მთელი ერთი თთვე მოუნდება. ხარჯი ამ მოწმობის მიღებისათვის ხომ სამოთხ თუმნამდე სჭრის. გვიკვირს, როგორ უძლებენ ამოდენა დროს დაკარგვას და ამოდენა ხარჯსა, მაგრამ რას იზამთ: გაჭირება რომ კაცს დაადგება, ბევრს იტანს და ბევრს უძლებს. აბა, გლეხკაცმა როგორღა გაუძლოს? გლეხკაცს, ზოგი უცოდინარობით, ზოგი უქონლობით ხომ ეს დრო და ხარჯი უფრო გაორკეცდება ხოლმე და აბა იფიქრეთ, სად დაჰკრავს.

ყოველ ამის გამო გამგეობამ წარუდგინა სამინისტროს, რომ ეს რთული და ხარჯიანი უკან დევნა მოსპობილ იქნას, რადგანაც მეტია და ყოფამდგომარეობა საქმისა არ ითხოვს. ამისათვის აი, რა ღონეა ნაჩვენები გამგეობისაგან: დავალებულ იმნას უფროსი ნოტარიუსი:

1/ სიტყვიერი თხოვნაც მიიღოს, ოდეს მიჰმართვენ გირავნობის მოწმობისათვის.

ეს მაინცდამაინც შეღავათია და, რასაკვირველია, წერა-კითხვის მცოდნეთათვის იმოდენად არა, რამოდენადაც უცოდინარ გლეხკაცობისათვის. გლეხკაცს ქაღალდით თხოვნა ძლიერ უძნელდება: ჯერ მცოდნე კაცის ძებნაში უნდა დაჰკარგოს დრო, მერე დაწერისათვის სასყიდელი გაიღოს და თხოვნას ზედ "მარკაც" დაასვას. ეს რომ სულ ერთად ვიანგარიშოთ, მარტო ნოტარიუსთან მისვლა გლეხკაცს ორი-სამი მანათი უჯდება. რა საჭიროა ყოველივე ეს, როცა კაცს გზა ექმნება პირდაპირ მივიდეს და ნოტარიუსს ორი სიტყვა უთხრას: აი, მამულის კუთვნილების სიგლები და მოწმობა მიბოძეო. ნოტარიუსი ორის სტრიქონით ჩაიწერს ამას თავის დავთარში, ორის სიტყვითვე ანუსხავს სიგლებს და საქმეს თავის ჯეროვანს გზას მისცემს.

2/თვითონ ნოტარიუსმა მოჰკრიბოს სხვადასხვა სასამართლოებიდამ საჭირო ცნობარი იმის თაობაზედ, რაც მოწმობაში ჩასართავია და არამც და არამც მთხოვნელს არ აკისრებინოს ესეები, როგორც დღეს არის.

ვინც იცის, რომ შვიდისა, თუ რვა სასამართლოდამ უნდა შეიკრიბოს ეს ცნობარი, ის ადვილად მიხვდება, რა დღე ადგება მთხოვნელსა საზოგადოდ და გლეხკაცს საკუთრივ, როცა იგია იძულებული ეგ ცნობები მოჰკრიბოს. გარდა უკან დევნისა, ესეც იქონიეთ სახეში, რომ ნოტარიუსი თვითვეულს სასამართლოს სახელზედ ცალკე ქაღალდს აძლევს მთხოვნელსა და თვითვეული ცალკე სასამართლო ცალკე პასუხს იძლევა. ამ გზით შვიდი თუ რვა "მარკა" უნდება ჯერ ნოტარიუსისაგან წამოღებულ ქაღალდებზედ და ამოდენავე "მარკები" სასამართლოების პასუხისათვის. მიდის ფული უბარაქოდ, უნაყოფოდ. რისთვის? თვითონ ნოტარიუსმა კი რომ გაუმართოს ამის შესახები მიწერ-მოწერა თვითვეულს სასამართლოს, არავითარი ხარჯი და ბორჯი არ მოუნდება. ეხლანდელის წესითაც ასე უნდა მოიქცეს ნოტარიუსი, მაგრამ იმით უფრთხის

ხალხი, რომ ამ გზით პასუხები გვიან მოუვა ნოტარიუსს და მოწმობის მიღება დაგვიანდება და ამიტომაც ხარჯის გაღებას ჰრჩეობენ, ოღონდ საქმე სწრაფად გაუკეთდეთ. განა არ შეიძლება საქმეც აჩქარდეს და ეს ხარჯიც ასცილდეთ! ამისათვის რა ღონეა? აი რა, გამგეობის აზრით:

3/ რაც შეიძლება მოკლე ხანი დაენიშნოს ნოტარიუსს მოწმობის მისაცემად ისე, რომ მთხოვნელს არაფერი დაეხარჯოს არც ღერბისა და არც სხვა გადასახადისათვის.

ეს ადვილად შესაძლებელია და თუ ეს დაევალება ნოტარიუსს, დროც გამოიზოგება და ხარჯიც, რომელიც, როგორცა ვსთქვით, სამ-ოთხს თუმნამდე ადის ეხლანდელის წესის წყალობითა.

4/ გლეხკაცი ერთობ განთავისუფლებულ იქმნას ყოველგვარ ღერბისა, გადასახადისა და სასიგელო ქაღალდის საფასურისაგან (крепостныя и актовыя пошлины) ყოველ იმ შემთხვევაში, როცა საკრედიტო საქმეს იჭერს და როცა ჰყიდულობს მამულებს და მიწებს ბანკისაგან მისდა წეს-დებულების ძალითა.

აი, ტფილისის ბანკის გამგეობის აზრით, იგი ზოგადნი, მთელის იმპერიისათვის საყოველთაო მიზეზ-ნი, რომელნიც აბრკოლებენ გლეხკაცობას მამულების შესყიდვის გზაზედ და აი, მისისავე აზრით, იგი სახსარნი და ღონისძიებანი, რომელნიც გაუადვილებენ გლეხკაცობას მამულების შესყიდვას და ცოტად თუ ბევრად შეღავათიანს გზას მისცემენ მის დაუძინებელს სურვილს გამამულიანებისას.

შემდეგ ამისა ტფილისის გამგეობა გადადის იმ მიზეზების აღსანუსხავად, რომელნიც საკუთრივ ჩვენს ქვეყანას შეეხებიან და მის განსხვავებულის ვითარე-ბისაგან წარმომდგარნი არიან.

ჩვენ ჩამოვთვალეთ, რაც საზოგადო მიზეზნი აღნიშნა ტფილისის საადგილმამულო ბანკის გამგეობამ, ვითარცა დამაბრკოლებელნი გლეხკაცისა კრედიტით მამულების სყიდვის გზაზედ. ამ ზოგად მიზეზებს გარდა, გამგეობა აჩვენებს კერძო მიზეზებსაც, რომელნიც საკუთრივ ჩვენის ქვეყნის განსაკუთრებულ ვითარებათთაგან წარმომდგარნი არიან. ამათ შორის ყველაზედ ძლიერი და უმძიმესი მიზეზი ის არისო, ამბობს გამგეობა, რომ იმ მამულებზედ, რომელნიც გირაოდ უნდა იქმნენ მიღებულნი, ყოველთვის ვერ დაიდგინება ხოლმე უფლება გირაობისაო (залоговое право). განუსაზღვრელობა მიწათმფლობელობისა, გამოურკვევლობა მამულების კუთვნილობისა, არქონა ჯეროვანის სიგელებისა მამულებზედ იმასა ჰშვრება, რომ მამულს ართმევს უნარს სესხის თავდებობისას, რადგანაც ამისთანა მამული თავის დღეში ვერ გახდება კრედიტის ხელშეკრულობის საგნადა, ანუ უკედ ვსთქვათ, თავმდებად. ამისთანა მამულზედ გაცემული სესხი ყინულზედ დაწერილი თამასუქია და ამიტომაც მძიმე და ბუნებითად ფრთხილი საადგილმამულო კრედიტი ვერ ენდობა.

ჩვენში ყველაზედ ხშირი და გავრცელებული სიგელი, რომელიც ასე თუ ისე ანიშნებს კაცს, ვინ არის პატრონი მამულისა, დებულების ოქმია (уставныя грамоты), ხოლო ეს დებულების ოქმი, აწ არსებული კანონითა, რომელნიც არაერთხელ გამორკვეულია და ახსნილი თვით საკასსაციო სენატისაგან, არ არის მიღებული მამულების კუთვნილობის სიგლად და საბუთად. ამიტომ არც ეს ოქმი ჰხდის მამულსა იმოდენად სავარგისად, რომ უთავდებოს კრედიტისა მტკიცედ და უცილობელად. რაკი ესეა, მან აუარებელი საკომლი /надел/ მიწები, გლეხთათვის მიზომილი დებულობის ოქმითა, გამორიცხულ და გამოთვლილ უნდა იქმნას იმ მიწებისაგან, რომელთზედაც ბანკის

მიერ შესაძლოა სესხი გაიცეს და მით ხელი მოემართოს უღონო გლეხსა, მამულის სყიდვისათვის. ეს გარემოება დიდძალს მამულებს აბანდებს და მეტი არ იქნება ვსთქვათ, რომ ათში თითქმის შვიდ-რვა შემთხვევას მამულების სყიდვისას გლეხთა მიერ სრულიად აბათილებს და აუქმებს.

ეს ადვილი დასაჯერებელია, თუ გავიხსენებთ ჯერ იმას, რომ ჩვენში მამულისათვის გაჭირებულია ყველაზედ მეტად ნაყმევი გლეხკაცი და მაშასადამე, ყველაზედ მეტი მუშტარი მამულს აქედამ უნდა ჰყვანდეს და თუ აქ გლეხკაცი დაბრკოლებულია, სჩანს სიხშირე გლეხთა მიერ მამულის სყიდვისას სათავეშივეა მოწყვეტილი. ეს ერთი; მეორე ისა, რაკი აქ დებულობის ოქმით მიზომილ საკომლო მიწებზეა ლაპარაკი, მაშინ გაუქმებულია ის შინაგანი მიზეზიც, რომელიც გლეხკაცს უნელებს ცხარე სურვილს მამულის შეძენისას და რომელიც ჩვენ წინა წერილებში მოვიხსენიეთ. დებულობის ოქმით მიზომილი მიწა იმოდენად ახლოა გლეხკაცის მამაპაპეულ ბინაზედ, რომ მიწების სყიდვა არ მოსთხოვს გლეხსა აყრასა და ბინიდამ აშლასა. ამ აყრისა და აშლის შიში, რომელსაც ზნეობური სათავე აქვს და არავითარს საეკონომიო ანგარიშს არ ემორჩილება, აიძულებს ჩვენებურს გლეხს თუნდ მამასისხლად იყიდოს მამული, ოღონდ ახლო კი, ვიდრე შორს და მუქთად.

საცა გლეხს ეგ შიში აღარა აქვს და საცა გაჭირება ძალას ატანს მამულის სყიდვისას, იქ რომ სხვა გარემოებამ გზა შეუკრას, ნუთუ ათში შვიდი-რვა შემთხვევა მამულის სყიდვისა დაკარგული არ იქნება გლეხთათვის? ამიტომაც ის გარემოება, რომ დებულების ოქმი უარყოფილია, ვითარცა უეჭველი საბუთი მამულის კუთვნილობისა და მის გამო მამული კრედიტის თავდებობისათვის ღონემიხდილია, გლეხკაცს სახსარი არა აქვს, ფული ისესხოს იმ მამულზედ, რომელზედაც გული უფრო აქვს შევარდნილი და იმ

ნასესხის ფულით იყიდოს, რომ ამ მხრით შესაძლისად იქმნას, გლეხმა ფული ისესხოს ბანკისაგან მამულის სასყიდლად, საჭიროა, ამბობს ტფილისის ბანკის გამგეობა, განსაკუთრებული კანონმდებლობა, რათა ხსენებული სიძნელე და დაბრკოლება მოცილებულ იქმნასო.

ერთი განსაკუთრებული ჩვენის ქვეყნის შესახები მიზეზი, რომელიც ცოტად თუ ბევრად ჰხუთავს მამულების სყიდვის საქმეს კრედიტის შემწეობით, ის არის, რომ ვენახები არ არის კანონისაგან იმგვარ ქონებათა რიცხვში მოქცეული, რომელთ დაგირავებითაც შესაძლოა კაცმა ფული ისესხოს საკრედიტო დაწესებულებისაგან ხანგრძლივის ვადითა. არც დროებით ვალდებულთა გლეხთა წესდებაში და არც საადგილმამულო ბანკებისაში ვენახები არ არის ცნობილი იმგვარ ქონებად, რომ საადგილმამულო კრედიტისათვის გირაოდ მისაღები იყოს.

ამას, რასაკვირველია, თავისი პატივსადები საბუთი აქვს. საადგილმამულო კრედიტი ბუნებითად ხანგრძლივის ვადისაა, იმიტომ, რომ აქ ვადა შეფერებულია და შეზომილი თვით მიწათმოქმედობის წარმოების ხანგრძლივობასთან. ეს შეფერება და შეზომვა იმ საჭიროებისაგან არის წარმომდგარი, რომ ერთადერთი სახსარი, ერთადერთი წყარო საადგილ-მამულო კრედიტის გასაძღოლად მიწათმოქმედობაა, რომლის საქცევად და მოსატრიალებლად ხანგრძლივი დრო უნდება. გამოძიებულია, რომ სასოფლო მეურნეობაში ყველაზედ სწრაფი საქცევი პირუტყვთ გაშენებასა აქვს და აქაც ხანა საქცევისა თვრამეტი წელიწადია მეცნიერთა სიტყვით, ესე იგი, თვრამეტის წელიწადია საჭირო, რომ პირუტყვთ გაშენებამ დანახარჯის თავნი და სარგებელი დაუბრუნოს მწარ-მოებელსა და ჯეროვანი მოგებაც მისცეს შრომისათვის.

ამ სახით მიწათმოქმედობასთან შეზომილი ვადა საადგილმამულო სესხისა ხანგრძლივია და ვენახი კი იმისთანა ბუნებისაა, რომ, თუ კაცმა ორს-სამს წელიწადს ხელი არ შეუწყო, ამოვარდება და გავერა-ნავდება. ამოვარდნილი და გავერანავებული ვენახი ერთიანად ნაკლებ ფასადღა ჰღირს, ვიდრე გაშენებული. ამიტომაც ვენახი გირაოდ მიღებული თავის ფასის

კვალობაზედ, როცა გაშენებულია, სამერმისოდ სავინიცობო ღირებულობის ქონებასღა წარმოადგენს. სავინიცობო ღირებულობის ქონება ხანგრძლივის საადგილმამულო კრედიტის თავმდებად ვერ იქნება. ამიტომაც კანონი ხანგრძლივს სესხს ვენახს ვერ ანდობს.

თუმცა ესეა, მაგრამ მეტად სანაღვლელი უნდა იყოს, რომ ამ მხრით, სესხის შოვნის გზა შეკრული აქვს გლეხსა. მთელი სათემოების ჩვენში იმისთანა, საცა ვენახებზეა მიქცეული მთელი ინტერესი გლეხკაცობისა, საცა ვენახია თითქმის თავდაპირველი სახსარი გლეხკაცის სარჩო-საბადებელისა. ტფილისის საადგილმამულო ბანკის გამგეობამ აღნიშნა რა ეს სანაღვლელი გარემოება, რომელიც ერთ რიგ მამულების სყიდვისათვის სრულად ულონოდ ჰხდის ჩვენებურ გლეხკაცსა, ამბობს, რომ შესაძლოა ამ მხრითაც ეშველოს რამე გლეხსაო, თუ კანონი ვენახებსაც გახდის გამოსყიდვის (предмет выкупа) საგნად და მაშასადამე, ბანკში დასაგირავებელ საგნადაცაო. რამოდენად მოსახერხებელია ეს, ჩვენ ამის გამოძიებას არ შევუდგებით. ხოლო ეს გარემოება, როგორც განსაკუთრებით შესახები ჩვენის ქვეყნისა, იმის ნიშნად მოვიყვანეთ, რომ ჩვენში საგლეხკაცო კრედიტს ბევრი იმისთანა რამ უნდა მოეხვიოს თავზედ, რაც სრულებით საჭირო არ არის რუსეთისათვის.

შორს ყოფნა ტფილისისა იმ ადგილიდამ, საცა ობლიგაციები იბეჭდება და ამასთან აწ მომქმედი წესი, რომელიც ჰთხოულობს, რომ თვითვეულს სესხზედ ცალკე თვითვეულადვე ცალკე ობლიგაციები უნდა გამოთხოვილ იქმნას, ძლიერ ახანებს, აგვიანებს და ზოგჯერ აუქმებს კიდეც სესხის აღებასა და გაცემასაო, ამბობს ბოლოს ტფილისის ბანკის გამგეობა. მართალიც არის, ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ერთმანეთთან შეპირებულნი და მორიგებულნი გამსყიდველნი მამულისა და მსყიდველნი შეეშლებიან ერთმანეთს, რაკი ფულს მორიგების უმალვე ერთი მეორეს

უბანდებს და უხანებს. მამულს უფრო ხშირად იმისთანა კაცი ჰყიდის /ნამეტნავად ჩვენში, საცა ერთობ მამულის გასყიდვა მიაჩნიათ/, რომელსაც გაჭირების დანა ყელში დასძგერებია და აბა, ამან სად უნდა იცადოს და ილოდინოს, ვიდრე გლეხისათვის გადაჭრილ სესხის თაობაზედ ტფილისის ბანკიდამ ქაღალდი წავა პეტერბურგს სამინისტროში, ვიდრე იქიდამ პასუხი მოვა და ვიდრე ამ პასუხის შემდეგ პეტერბურგში დაიბეჭდება ობლიგაციები და გამოიგზავნება ტფილისის ბანკში. რომ ეს დასახანებლი და დასაგვიანებელი მიზეზი აცილებულ იქმნასო, ამბობს ტფილისის ბანკის გამგეობა, საჭიროა ნება მიეცეს ბანკსა იქონიოს წინადვე შემზადებული ობლიგაციები, სამინისტროს მიერ ბეჭედდასმული /გრიფი/, თუნდა იმდენი, რამ-დენსაც თვითონ სამინისტრო წინადვე განსაზღვრავსო.

ამით მთავრდება ტფილისის ბანკის გამგეობისაგან წარდგენილი მოხსენება საფინანსო სამინისტროში საგლეხკაცო კრედიტის თაობაზედ მამულების შესას-ყიდლად.

"თუო, ამბობს, დასასრულ, გამგეობა: უმთავრესნი საფუძველნი ამა წინადადებისანი შეწყნარებულ და მიღებულ იქმნებიან ჩვენის ბანკის საზოგადო კრებისა-გან და მას მერმედ საფინანსო სამინისტროსაგან, მაშინ გამგეობა არ დაახანებს და შეადგენს წესდების პროექ-ტსა, საცა ყოველიფერი დაწვრილებით და ვრცლად, ანუ სრული და გამორკვეული იქნებაო.

ტფილისის ბანკის საზოგადო კრებამ შეიწყნარა და მიიღო ხსენებულნი წინადადებანი და მას მერმედ სამინისტროშიაც წარდგენილი იქნენ. ხოლო სამინის-ტრომ და უმაღლესმა მთავრობამ სახერხოდ ვერა სცან, ეს მძიმე და რთული საქმე კერძო ბანკებისათვის ჩაებარებინა და საკუთარი სახელმწიფო ბანკი შეიქმნა საგლეხკაცო კრედიტისათვის მამულების შესასყიდლად. ეს სახელმწიფო ბანკი უკვე მოქმედობს შიგნით რუსეთშია.

ჩვენ მოვიყვანეთ წინა წერილებში ტფილისის საადგილმამულო ბანკის გამგეობის აზრი მასზედ თუ, როგორ უნდა მოეწყოს საგლეხკაცო კრედიტი მამულების სასყიდლად, თუ ხაზინა ამ საქმეს კერძო ბანკებს მიანდობდა. რამოდენად მართალნი არიან იგი აზრნი და რამოდენად ზედმიწევნილნი, ჩვენ ამაზედ არას ვიტყვით, რადგანაც ამისი გამოძიება ჩვენ სახეში არა გვქონია და მეტად შორს წაგვიყვანდა. ვერც იმას ვიტყვით, რომ გამგეობის მიერ ნაჩვენებთა გარდა, სხვა არარა ან ჩასამატებელი ან დასაკლები, ან უკეთესი არა მოიპოვოს რა კაცმა, თუ საქმეს ძირამდე ჩაჰხედავს და თვალს მთელს მის სიგრძე-სიგანეს უფრო მომეტებულის ცოდნით და დაკვირვებით გადაავლებს.

ჩვენ ამით მარტო ის უნდა გვეჩვენებინა, რომ თავით ფეხამდე უსაბუთოა "Крестъянскии Банк"-ის ავტორის საყვედური, ვითომც მას აქედ რაც "ერთს ნაწილს ინტელიგენციისას" ამ საგლეხკაცო კრედიტის თაობაზედ რაღაც უმოძღვრნია ოდესღაც, და ეს მოძღვრება "ხმად მღაღადებელად უდაბნოსა შინა" დარჩომილა, ესე იგი, ყური აღარავის უთხოვებია, აღარავის არ უნაღვლია, აღარავის არა უფიქრია რა, თუ ავტორს დავუჯერებთ, ან რატომ არ უნდა დავუჯეროთ, მას აქედ ათი-თორმეტი წელიწადია, რაც იმ "ერთს ნაწილს ჩვენის "ინტელიგენციისას" საგლეხო კრედიტის თაობაზედ თავი გამოუდვია, სიტყვა ჩამოუგდია და რადგანაც იგი თავგამოდება, იგი სიტყვა "ხმად მღაღადებელად უდაბნოსა შინა" დარჩომილა, იმ ქებულს "ერთს ნაწილს ინტელიგენციისას" სხვა უკეთესი ველარა უღონია რა გარდა მისი, რომ გულზედ ხელები დაუკრებია და თვისი მშვილდი ძირს დაუდვია. ეს კიდევ არაფერი: თვალიც იმოდენაც დაუხუჭვია, რომ მის მიერ გულშესატკივარი საქმე ასე თუ ისე მოძრაობაში

ყოფილა და ეს მოძრაობა ცხვირწინ გამოჰპარვია. აი ასლი, მაგალითი მისი თუ, ფიცი მწამს ბოლო მაკვირვებსო.

ეს ვერაფერი საქციელია იმ გუნდისაგან, რომელსაც "ინტელიგენციას" ეძახიან, მერე "ერთს ნაწილს", ესე იგი, უკეთესსა, როგორც ავტორის სიტყვისაგან სჩანს. მართალია, "საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან", მაგრამ ამ შემთხვევაში "ერთს ნაწილს ინტელიგენციისას" ვერაფერი მამაცობა მოსვლია. ინტელიგენცია რის ინტელიგენციაა, თუ პირველშივე, რაკი თავისი ვერ გაიყვანა, დადუნდეს, ყურები ჩამოჰყაროს და საქმეს გაეცალოს. მაშ ვიღას მოვკითხოთ მედგრობა აზრისა, სიმტკიცე რწმენისა, თავგამოდება ჭეშმარიტებისა, თუ არა იმ კრებულს საზოგადოების გონიერებისას, ზნეობისას, აღმატებულებისას, რომელსაც ინტელიგენციას ეძახიან! ვინ უნდა გაუკაფოს გზა ცხოვრებისა აზრს, რწმენას, ჭეშმარიტებას, თუ არა იმათ, ვინც ამ აზრის, რწმენის, ჭეშმარიტების მქონე და მატარებელია? განა ამათგან ფრთების ჩამოყრა და საქმისაგან გაცლა საკადრისია, როცა ცხოვრება პირველ შეტევაზედვე არ უთმობს ადგილსა და გზას!..

ესე არ იქცევა გულითადის რწმენის კაცი, ესე არ იქცევა იგი, ვისაც სამოძღვრელი აზრი რწმენად ჩასჭედვია სულსა და გულში და მოსვენებას არ აძლევს, ვიდრე ხორცს არ შეისხამს და ადგილს არ დაიჭერს ცხოვრების მოედანზედ. ესე არ იქცევა მართლა გულაღტკინებული მოღვაწე. იმიტომ, რომ საღვაწელი აზრი მისთვის ფერუმარილად კი არ არის სახმარი, რათა თავი მოაწონოს ბეც კაცსა, რადგანაც ბეცის თვალი მარტო საქმის კანსა სწვდება და არა საქმის გულსა, არამედ სისხლ-ხორცია მისის სულიერის აგებულებისა, სულია და გული მისი კაცადკაცობისა, მისის არსებობისა, საღვაწელის აზრით მართლად გულაღტკინებული და არა ჩალასავით ბეცთა მოსაწონად აპილპილებული კაცი არ იკმარებს, რასაც

ჩვენი ანდაზისამებრ მამალი ჰკმარობს: მე კი ვიყივლე და გათენდება თუ არა, ღმერთმა იცისო. ჭეშმარიტების მქადაგებელი მარტო ყივილს არ სჯერდება, იგი იღვწის, ვიდრე ბნელს არ გაათენებს ჭეშმარიტების სხივითა, ან ვიდრე თვითონ დღე არ დაელევა. ამიტომაც მართლად გულაღტკინებული მოღვაწე დაუძინებელი მომქმედი, გამრჯელი კაცია: მისთვის დგომა ცდომაა.

ნუთუ ინტელიგენცია, თუკი ყოფილა და არის ჩვენში, ამისთანა არ უნდა იყოს! ვერაფერი ქება-დიდება შეასხა ჩვენს ინტელიგენციას "Крестъянскии Банк"-ის ავტორმა, როცა სთქვა, რომ მას აქედ, მისმა უკეთესმა ნაწილმა იყივლა საგლეხკაცო კრედიტის თაობაზედ, ამ საგანზედ ჩამიჩუმიც აღარსაიდამ არ ისმოდაო. თუმცა, როგორც ვნახეთ, ისმოდა ეს ჩამიჩუმი, მაგრამ იგი "ერთი ნაწილი ინტელიგენციისა", რომელსაც ამ შემთხვევაში ავტორი იხსენიებს, იგი უკეთესი ნაწილი ინტელიგენციისა ისე შორს მდგარა საქმეზედ, რომ ამისი არაფერი გაუგია, თითქო განგებ ყურები ბამბით დაუცმიაო.

რას მივაწეროთ ამისთანა უგულობა ინტელიგენციისა, თუ მისი ნამოძღვრალი საგანი მართლადა მისი გულითადი საგანი იყო? არა და ათასჯერ არა!.. აშკარაა, გულითადი საგანი არა ყოფილა და თუ მართლა ამის თაობაზედ უძახნია რამ, ის ნაძახი ნათხოვარია, ქარის მოტანილია და ამიტომაც ქარისათვისვე გაუყოლებიათ მას შემდეგ, რაკი ძახილით გული მოუფხანიათ. ამისთანაა ყველაფერში ჩვენი ვითომდა "ინტელიგენცია". ჩვენდა საუბედუროდ: იგი უქმია საქმისათვის და უხვი ყვირილისა და ძახილისათვის. იმოდენად დავიფუყენით ამ შემთხვევაში, რომ კაცი, რომელიც ჩვენში საქმეში რაშიმე ჩაბმულია და ჰსაქმობს, იგი გამოთვლილია, გამორიცხულია ინტელიგენციისაგან. ინტელიგენცია ეხლა ბულვარის მტკეპნელი ყმაწვილკაცობაა და უკეთესი ნაწილი მისი იგია, რომელსაც მარტო ენაზედ აკერია სახელები

ქვეყნად განთქმულის მეცნიერებისა, მაგალითებრ, დარვინი, სპენსერი, ჰეკსლი, ჰეკკელი და სხვანი გოლიათნი მეცნიერებისანი, და რომ ჰკითხოთ: რით არიან ყველა ესენი გამოჩენილნი, რა უმოძღვრიათ, რა უღვაწიათ, რა ხეირი მოუტანიათ ქვეყნისათვის, ისე შემოგეფანტება მთელი გროვა ბულვარის ინტელიგენციისა, როგორც ძერას წიწილები. უტყუარი ნიმუში ამ "ინტელიგენციისა" თავმოწონებული უქმობაა, თავაღებული უსაქმურობაა, ჰო-არარაობის ყბედობაა და ჰო-არარაობისვე ლაქლაქი და სხვა არაფერი. თუ ამასთან იმოდენად გაყალდნებულია და გალაზღანდარებული, რომ შექსპირი სულელ კაცად მიიჩნია, პოეზია ბლეაძეობად, ისტორია ბებრების ზღაპრად და გლეხკაცი იმისთანა არსებად, რომლის საბედნიეროდღაა საკუთრივ შექმნილი მთელი ქვეყნიერობა, მაშინ ხომ ინტელიგენციის ინტელიგენციად ჩარიცხება და ლიბერალთა ლიბერალად დაიქუხებს მთელს იმ საწვრილფეხო აკადემიაში, რომელსაც ბულვარი ჰქვიან და საცა ჩვენი ეგრედწოდებული მითამდა "ინტელიგენცია" თავმოწონებით ძერა-დიდაობას ჰთამაშობს ქვეყნის სასაცილოდ და ჩვენდა სამწუხაროდ.

თუ არ ამისთანა ქარაფშუტობას, მაშ რას მივაწეროთ იგი ყოვლად სანაღვლელი და სამწუხარო ამბავი, რომ ჩვენი ეგრედწოდებული ინტელიგენცია ხელსა ჰკიდებს საქმის განკითხვას, განსჯას და არამცთუ საქმის გულში ჩახედვას საჭიროდ არა ჰხედავს, არამედ საქმის კანსაც კი არა სცდილობს თვალი დააკვირვოს, რომ გარეგანი ვითარება მაინც გაიგოს და შეიტყოს. "Крестъянскии Банк"-ის ავტორი, სამართლიანად ჰკიცხავს იმ ერთს, ესე იგი უკეთესს ნაწილს ჩვენის ინტელიგენციისას, რომელსაც როდესღაც რაღაც წამოუძახნია საგლეხკაცო კრედიტის თაობაზედ და მას აქედ, ხმა გაუკმენდია ასე, რომ დღეს ამაზედ აღარაფერი ისმისო. თუ უკეთესი ნაწილი ჩვენის ინტელიგენციისა მარტო წამოძახებას ჰკმარობს

და მერე გულზედ ხელებს იკრებს და თვალებს ჰხუჭავს, რომ სხვისი ნაკეთებიც არ დაინახოს, მაშ რაღა უნდა ითქვას დანარჩენ ინტელიგენციაზედ?

ჩვენა გვგონია, "Крестъянскии Банк"-ის ავტორს სამსახური გავუწიეთ, რომ იმ "ერთის ნაწილის ინტელიგენციის" არარაობის დასამტკიცებლად და მაშასადამე, გასაკიცხავად ერთი უტყუარი საბუთი კიდევ მივაწოდეთ ხელში, სახელდობრ ისა, რომ იგი "ერთი ნაწილი ინტელიგენციისა" იმოდენად უგულოდ ყოფილა თავის საქმეზედ, რომ არამცთუ არც კი უწარმოებია თვითონ, არამედ არც კი მოუკითხნია, არსებობსღა სადმე ეს საქმე, თუ არა, აქედამ, ამ უგულობიდამა სჩანს, რომ თუ მართლა ოდესმე იმ "ერთს ნაწილს ინტელიგენციისას" რაიმე წარმოუთქვამს საგლეხკაცო კრედიტის თაობაზედ, ტყუილი აპილპილება ყოფილა, როგორც მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო. ეგ რომ მართალი იერიში გულითადის რწმენისა ყოფილიყო, პირველ სამარცხო შემთხვევაშივე კი არ დაიშვებდა ფრთებს, არამედ უფრო გაძლიერდებოდა. ასეთი სულმოკლე და ხელმოკლე როდია გულითადი რწმენა, რომ, თუ პირველ მისევაზედვე ვერ გაიტანა, დადუნდეს და უღონობით მშვილდი ძირს დასდოს. იგი იმისთანა უკან დაუხეველი ღონეა, რომლის ძალითაც ადამიანის მხნეობა და გამრჯელობა იმოდენად ჰმატულობს, რამოდენადაც უმაგრდება წინ ზღუდე მის მიერ გასარღვევი. ყოველივე დიდი საქმე, ყოველივე ძლევამოსილობა, რითაც სამართლიანად ჰქადულობს და თავს იწონებს კაცობრიობა ქვეყნის გაჩენიდამ დღევანდელამდე, ამ ღვთაებურს თვისებას რწმენისას უნდა მიეწეროს და სხვას არარას.

«მკურნალი დ. ერისთავი»

ტფილისი. 4 აგვისტო

ამას წინად გაზეთ "Новое Обозрение"-ში დაბეჭდილი იყო ერთის ახალგაზრდა მკურნალის ბ-ნი ერსთავის ფრიად საყურადღებო წერილი. რადგანაც იგი წერილი ჩვენს გაზეთში მთლად დაბეჭდილი არა ყოფილა, ამიტომაც საჭიროდ ვრაცხთ იმის შინაარსი შემოკლებით მოვახსენოთ მკითხველს და ამით გავუადვილოთ იმ წერილის მნიშვნელობის აწონვა და დაფასება. აი, საქმე როგორა ყოფილა. მკურნალი ბ-ნი დ. ერისთავი ახლად სწავლაშესრულებული კიევის უნივერსიტეტში, დაბინავებულა ოზურგეთის მაზრაში და კერძოდ მკურნალობა დაუწყვია, რათა თავისი ცოდნა და სწავლა თავისათვისაც გამოეყენებინა და თავის თანამოძმეთათვისაც. ამ კარგსა და პატიოსანს განზრახვას ერისთვისას უეცრივ ბოლო მოეღო, რადგანაც გუბერნიის მკურნალმა საჭიროდ სცნო ერისთვისათვის მკურნალობა აღეკრძალა იმის გამოისობით, რომ ერისთავს არ შეუსრულებია ერთი მუხლი სამკურნალო წესდებისა. ეს მუხლი კი იმას ამბოს, რომ ყოველი კერძოდ მოსაქმე მკურნალი ვალდებულია მთავრობას შეატყობინოს ყოველივე საჭირო ცნობანი თვისის ვინაობისა, ე. ი. სად და როდის შეუსრულებია სწავლა, რის დასამტკიცებლად საჭირო საბუთები უნდა წარადგინოს. ამ მუხლის

ძალით გუბერნიის მკურნალს განკარგულება მოუხდენია იმის შესახებ, რომ ოზურგეთის მაზრის აფთიაქებში წამალი არ აძლიონ ავადმყოფებს ერისთავის რეცეპტით ე. ი. ერისთავს აღეკრძალა ოზურგეთის მაზრის მკვიდრთა წამლობა. იმ მუხლის აზრი მხოლოდ ისაა, რომ მთავრობას ნება აქვს თვითვეულს თავისუფალად მოსაქმე მკურნალს მოსთხოვოს ყოველივე საჭირო ცნობანი მისის ვინაობისა. ამ მუხლის შესრულების მაგიერ კი გუბერნიის მკურნალმა წამლობა მოაკლო მთელის მაზრის მკვიდრთა თითქმის ერთს მესამედს.

ბ-ნი ერისთავი უეჭველია თვის უფლებას ამ ცოტას ხანში აღადგენს იმავე სამკურნალო წესდების ძალით, ბ-ნი გუბერნიის მკურნალიც ინებებს და მოახდენს განკარგულებას იმის შესახებ, რომ ოზურგეთის მაზრის აფთიაქებმა წამლები დაუბრკოლებლივ აძლიონ ავადმყოფებს ერისთავის რეცეპტით. ასე და ამგვარად საქმე ერისთავისა და ოზურგეთის მაზრის მკვიდრთა სასიამოვნოდ დატრიალდა და გუბერნიის მკურნალი კანონებისამებრ მოიქცევა.

ეს ამბავი მოხდა მაშინ, როცა ოზურგეთის მაზრა იყო, სახელდობრ, იმ ყოფაში, რომელიც ითხოვდა სხვა მკურნალების მოწვევასაც ხალხის საშველად და არა იმის დათხოვნას, ვინც ხალხს შველოდა და წამალსა სდებდა. მაშინ კორრესპონდენტების სიტყვისამებრ, ოზურგეთის მაზრაში სენი ისე გაძლიერებული იყო, მარტო ერთი მკურნალი მაზრისა ვერასგზით ვერ გაუძღვებოდა თუნდ რომ ხალისი და გულისმტკინ-ვეულობა დიდიც ჰქონოდა. მაზრის მკურნალი, რომლის მუდამი ბინა მაზრის ქალაქია, სიმრავლეს ავადმყოფ-ებისას ვერ გაწვდებოდა... ამისთანა შემთხვევაში მეორე მკურნალი, მერე ხალხთან ახლო მცხოვრები, სწორედ მანანაა ცისა გაჭირებულს დროს.

«ბულგარეთის ისტორიაში ახალი ხანის დადგომა»

ტფილისი, 5 აგვისტო

მკითხველებმა უკვე იციან, რომ ბოლგარიას დაუდგა ახალი ხანა თვისის ისტორიისა. ის საქმე, რომელმაც ამოდენა ბაასი და კამათობა გამოიწვია მწერლობასა და დიპლომატიაში, ჯერ-ჯერობით იმით დაბოლოვდა, რომ პრინც კობურგისამ გაბედა და შეიწყნარა ბოლგარიის საერო კრების თხოვნა და გადაწყვეტილება და შევიდა ბოლგარიაში მთავრად. როგორც მკითხველებმა უწყიან, სხვადასხვა სახელმწიფონი სხვადასხვანაირად უყურებენ, როგორც თვით საერო კრებას, აგრეთვე მის გადაწყვეტილებას და თვით კობურგის პრინცსაც. ეს სხვადასხვაობა აზრისა იყო იმის მიზეზი, რომ მთავრის არჩევის საქმემ ამოდენა დრო და ლაპარაკი მოინდომა, ამოდენი ფიქრი და დარდი მოჰგვარა მთელს ევროპას და მის ხელმძღვანელთ. თუმცა კობურგის პრინცმა დიდის ხნის მოსაზრების შემდეგ განვლო პოლიტიკისა და დიპლომატიის რუბიკონი და ხელთ იპყრა მთავრობა, მაგრამ იგი სხვადასხვაობა აზრისა იგივე დარჩა, ე. ი., პრინცის გამთავრება იმას არ ნიშნავს, ვითომ სახელმწიფოები მორიგებულიყვნენ და დღეის იქით ბოლგარიის საქმე საიმედო წრესა და გარემოებაში იყოს მოქცეული. პრინცის გამბედაობა, გამთავრება ის წერტილია ბოლგარიის ისტორიაში,

საიდგანაც იწყება ახალი ხანა, რომელიც უეჭველია, თვისს დაღს დასდებს ერის ყოფა-ცხოვრებას და თვით ევროპის პოლიტიკასაც. მართალია, შეუძლებელია ვსთქვათ, თუ რა შედეგს მოუტანს ბოლგარიას კობურგის პრინცის სითამამე, გამბედაობა, რადგანაც სადიპლომატო საგნებში წინასწარმეტყველება მეტად ძნელი საქმეა, მაგრამ ის კი შესაძლოა ვსთქვათ, რომ დღეის იქით მეტად საგულისხმიერო ამბების მოლოდინში უნდა ვიყვნეთ და დიდის ყურადღებით უნდა შევსცქეროდეთ ბოლგარების თავგადასავალს.

მკითხველმა კარგად იცის, რომ პატარა, სუსტს ბოლგარიას არავინ ხელს არ შეუშლიდა, მის ყოფა-ცხოვრებას მასვე მიანდობდნენ და მშვიდობიანს გარემოებას დაუმკვიდრებდნენ, თუ რომ მაგ საქმეში სხვადასხვა სახელმწიფოებს სხვადასხვა ინტერესები არა ჰქონდეთ და მერე ისეთი ინტერესები, რომლებზედაც დამოკიდებულია მათი აწმყო და მერმისი. რუსეთს, ვითარცა უდიდესს და უძლიერესს სლავიანთა სახელმწიფოს სურს, გავლენა და ხელმძღვანელობა მოიპოვოს სლავიანთა სხვადასხვა ერთა და სახელწიფოთა შორის, მეთაურობა დაიმკვიდროს ამ სახელმწიფოთა ყოფა-ცხოვრების მსვლელობაში და მით ევროპის სახელმწიფოთა კრებულში შეიქმნას კიდევ უფრო ძლიერ და გავლენიან სახელმწიფოდ. რასაკვირველია, ავსტრიას, გერმანიას და ინგლისს არაფრად არ ეჭაშნიკებათ რუსეთის ამგვარი მიზიდულობა, რადგანაც თვითონვე ჰფიქრობენ რამენაირად დაიჭირონ პოლიტიკაში ის ადგილი, რომლისაკენაც რუსეთი მიიზიდება. ამით აიხსნება ეგოდენი დიპლომატური მოკამათობა, მიწერ-მოწერა და იგი აწეწილობა, რომელშიაც ჩავარდა პატარა ბოლგარია.

დღეის იქით იგი მოკამათობა კიდევ უფრო გაძლიერდება, რადგანაც რუსეთი, რომელმაც ეგოდენი მეცადინეობა და ბეჯითობა იხმარა, რომ ბოლგარიის საქმე იმ წრეში მოექცია, რომელიც თვით ბოლგარიისათვის, ისე მთელის სლავიანებისათვისაც საუკე-

თესოდ მიაჩნია, ვერ დასთანხმდება იმაზე, რომ მისი ადგილი ბოლგარიასა და სლავიანთა სხვა სახელმწიფოებში დაიჭიროს ავსტრიამ ან სხვა რომელსამე სახელმწიფომ. ამიტომაც რუსეთი, ამას აქედ, რაც აღიძრა ლაპარაკი ბოლგარიის სამთავროზე და კობურგის პრინცის კანდიდატობაზე, ადგა ერთსა და იმავე მტკიცე პოლიტიკას და ამბობდა, პრინც კობურგისას მთავრად ვერ შევიწყნარებო, რადგანაც იმისი ამომრჩევი დიდი საერო კრება, სხვადასხვა მიზეზების გამო, კანონიერ კრებად ვერ მიცვნიაო. თუმცა ევროპამ და პრინც კობურგისამ არ შეიწყნარეს რუსეთის ამგვარი სურვილი. რუსეთმა მაინც არ შესცვალა თავისი აზრი ბოლგარიის საქმის შესახებ და დღესაც იგი იმას ამბობს, რომ თანახმა არა ვარ, ბოლგარიის საქმე მაგგვარად გადაწყდესო. ამიტომაც რუსეთის მმართველობამ აცნობა ოსმალეთს, რომ იგი ვერ შეიწყნარებს კობურგის გამთავრებას და წინადადებას აძლევს ოსმალეთს, ბოლგარიის საქმეში ჩემი მხარე დაიჭირეო. ამის შესახებ, როგორც დეპეშა იუწყება, ოსმალეთი დაეკითხა სხვა სახელმწიფოებს. თვისი პროტესტი რუსეთმა სხვა სახელმწიფოებსაც აცნობა. ასე და ამგვარად ბოლგარიის საქმე ვერ დასრულებულა; იგი მხოლოდ შესდგა ისტორიის ახალს წერილზე, რომლითაც ევროპის დიპლომატიაში დაიწყება ახალი ბაასი, მიწერ-მოწერა და ამ ბაასს და მიწერ-მოწერას რა მოჰყვება, ეს ძნელი სათქმელია.

«საერთაშორისო სასამართლოს შემოღების აუცილებლობა»

ტფილისი, 8 აგვისტო

მაშინ, როდესაც მთელი ევროპა და ევროპის დიპლომატია ქსელს აბამს ათასნაირად ხლართულს, რომ ერთმა მეორეს ფეხი როგორმე წამოაკვრევინოს და კისერი მოატეხინოს, სწორედ ამ დროს მცირეოდენი ნაწილი კაცობრიობისა, მშვიდობიმოყვარეობითა და კაცთმოყვარეობით აღძრული, ჩუმად, მაგრამ დაუძინებლად ჰსაქმობს, რომ ომი, ეს საზარელი რისხვა ღვთისა, მოაშოროს თავიდამ კაცობრიობასა. ეს ნაწილი მცირეა და მეტად მცირეცა, მაგრამ ჩვენის ფიქრით, მერმისის სვე ამ მცირე ნაწილის მოძღვრებამ უნდა გაიტანოს, მერმისის მოედანი ამ მოძღვრებამ უნდა დაინარჩუნოს.

რაში მდგომარეობს იგი მოძღვრება? იმაში, რომ თუ თვითვეულმა ცალკე კაცმა სახელმწიფოში დასთმო ძალმომრეობა, მუშტი და თვისი ყოფა-ცხოვრება სამართალზედ დაამყარა, რატომ ესევე არ შეიძლება მოიხდინოს თვითვეულმა ცალკე სახელმწიფომ კაცობრიობაშიო? თუ რამ შუღლი, მტრობა და დავა ჩამოუვარდება თვითვეულს ცალკე კაცს და სახელმწიფო შუა ჩადგება თავისის სამართლითა და მოარიგებს ხოლმე, რატომ ეგრევე არ უნდა მოექცეს თვითვეულს ცალკე სახელმწიფოს მთელი კაცობრიობაო?

ამ წარსულს ივლისის დასაწყისში ამ საგანზედ ჩამოვარდა ლაპარაკი ინგლისის პარლამენტში. ამ მოძღვრების მომხრე კაცმა, მარკიზმა ბრისტოლმა წინადადება შეიტანა ლორდთა პალატაში და ითხოვა დაადგინონ განაჩენი მასზედ, რომ სასურველიაო უზენაესი სასამართლო დაწესდეს ერთაშორისის დავების განსასამართლებლადაო, რომ საერთაშორისი შუღლი და დავა ამ სასამართლომ განარჩიოს და დააბოლოვოსო. რა თქმა უნდა, კონსერვატორები, რომელნიც ახლა ინგლისის სვე-ბედს განაგებენ, დიდის სიხარულით არ მიეგებებოდნენ ამისთანა ნაყოფიერს აზრს, რომელიც ეხლანდელის პოლიტიკის ზნე-ჩვეულებას ძირეულად შეცვლას უქადის. გარნა თვითონ აზრი იმოდენად გულშესატკივარია, იმოდენად მოსაწონი და თანასაგრძნობი, რომ თუმცა კონსერვა-ტორთა დასის წინამძღოლმა მარკიზმა სალუსბერიმ უკანვე წააღებინა მარკიზს ბრისტოლს მისი წინადა-დება, მაგრამ სალუსბერმაც კი საჭიროდ დაინახა ზრდილობიანად მოჰქცევოდა ამ აზრსა და ქებით და დიდებით დაეთხოვნა ლორდთა პალატიდამ.

სალუსბერიმ პასუხად ესა სთქვა, რომ სურვილი, რომელიც ამ შემთხვევაში წინ მიუძღვის ბრისტოლსა, ისეთი უცილობელი რამ არის, რომ, თუ თეორიულად გავსინჯავთ, ყველასათვის სანატრელია და ყველასაგან თანასაგრძნობიო. მართლადა, რა იქნება უკეთესი მასზედ, რომ საერთაშორისი სასამართლო დაარსდეს და მან სათავეშივე მოსპოს ხოლმე ყოველივე მიზეზი ომისაო! ხოლო განხორციელება ამ სურვილისა ძალიან და ძალიან შორს მანძილზეა ჩვენგანა და დღეს უფრო შორს არის, ვიდრე რამდენისამე წლის წინად იყოვო. ვხედავთ რა ეხლანდელს საქმეთა აწეწილობას, თვით-ვეულის სახელმწიფოს მიდრეკილობას, რომ სულ თავისაკენ მიითალოს, ძნელადღა ითქმის, ვითომც დღეს მშვიდობიანობის სურვილი ჰმატულობდეს და შესაძლი-სობა ომისა ჰკლებულობდესო. არა მგონიაო, რომ დღეს საერთაშორისი სასამართლოს დაარსება შესაძლებელი

იყოსო, ან არის იმისთანა უფლება კანონმდებლობისა, რომ კანონები დააწესოს საერთაშორისი სასამართლოს ხელსამძღვანებლადაო და ამასთანაც არც იმოდენა ძლევამოსილი ხელისუფლებაა, რომელმაც განაჩენი სასამართლო აღსრულებაში უნდა მოიყვანოსო. ყოველ ამის ძალით სალუსბერიმ სთხოვა, რომ ბრისტოლმა თავისი წინადადება უკან გაიტანოს, რადგანაც დღეს იმ წინადადების მიღებას არავითარი საქმეში გამოსაყენი ძალა არ ექმნებაო. ბრისტოლმაც თვისი წინადადება უკან გაიტანა.

ჩვენ ეს ამბავი მოვიყვანეთ იმისათვის კი არა, რომ გამოვიძიოთ, ვინ არის ამ შემთხვევაში მართალი და მტყუანი. იგი, რაც სალუსბერიმ გადუღობა წინ ბრისტოლის წინადადებას, ნუთუ ადვილად მოსავლელი არ არის? რა გაუჭირდება კაცობრიობას? არაფერი, თუ კი მოინდომა. მონდომება კი იმაზეა დამოკიდებული, როცა მოძღვრება ბრისტოლისა, თუ ყველას არა, მომეტებულს ნაწილს მაინც სულსა და გულში გამოენასკვება. საქმე ესე არის. ყოველივე ამისთანა დიდი მოძღვრება ამ ბედისაა: ბევრი წყალი ჩაივლის ხოლმე, ვიდრე ცხოვრებაში გზას გაიკვალავს და ფეხს მოიკიდებს.

დღეს ამ მოძღვრებას ემსახურებიან ერთი ეგრედ-წოდებული "ინსტიტუტი საერთასორისო სამართლისა" ბრუსსელში და მეორე "ლონდონის საერთაშორისო კრებული სამუდამო მშვიდობიანობის მომხრეთა". 1873 წლიდამ დაწყებული ამ აზრს სამუდამო მშვიდო-ბიანობისას გზა გაეხსნა. 1873 წელს ჰენრი რიჩარდმა შეიტანა იგი აზრი ინგლისის პარლამენტში და პროფე-სორმა მანჩინიმ იტალიისაში. 1974 წელს სენატორმა სობნერმა ამ აზრს უმოძღვრა ამერიკაში, ვაშინგტონის კონგრესში; შვეციამ და ჰოლანდიამაც აალაპარაკა ამ საგანზედ თვითვეულმა ცალკე თავისი პარლამენტი და სხვანი.

ჩვენ ხსოვნაში არა ერთი მაგალითია სხვათა შორის, რომ შუაკაცთა სამართლით გათავებულიყოს

გამწვავებული დავა და შუღლი სახელმწიფოთა შორის. ეგრე მოიქცა ამერიკა და ინგლისი ”ალაბამის” გამო საქმეში, რომელმაც კინაღამ ომი არ ჩამოუგდო ამ ორს სახელმწიფოს, მაგრამ შუაკაცებმა მოარიგეს; ეგრე მოიქცა ამას წინად გერმანია და ისპანია, რომელთაც შუაკაცად თვითონ პაპი ლეონ XIII ჰყვანდათ და რომელმაც საომრად გაცხარებული ისპანია მოარიგა ცუდად თუ კარგად გერმანიასთან და მშვიდობა ჩამოაგდო.

ზოგს ეს მოძღვრება კეთილის გულის ოცნებად მიაჩნია: სანატრელია, მაგრამ ეს ნატვრა თავის დღეში არ ასრულდება, საქმედ არ გადაიქცევაო. მართალია, ერთი მეცნიერისა არ იყოს, შეჩვეულ ადგილიდამ დაძვრა კაცობრიობისა მთელის საუკუნოების შრომისა და ღვაწლის საქმეა, ამიტომაც მთელი ისტორია კაცობრიობისა ტაატით მოარულია და მის მიერ გავლილი მანძილი თვალისათვის შესამჩნევია მხოლოდ მაშინ, როცა საუკუნენი შეჰლევიან, მაგრამ წინსვლა, თუნდაც ტაატით, მაინცადამაინც უეჭველია და ამ წინსვლაზეა დამყარებული იგი იმედი და რწმენა, რომ თვითვეული ცალკე სახელმწიფო ისე მოისვენებს მთელის კაცობრიობის მფარველობის ქვეშ უსისხლოდ, როგორც თვითონ სახელმწიფომ მოასვენა ერთმანეთის ძალმომრეობისაგან თვითვეული ცალკე ადამიანი.

ამ მოძღვრებას თავისი მერმისი აქვს შორსა თუ ახლოს, და თუ დღეს, ვსთქვათ, სალუსბერის მზგავსნი ეურჩებიან, ეგ მარტო იმით აიხსნება, რომ დღევანდელის გარემოებით შეხუთვილნი არიან. მინამ ქვეყანაზედ სახელმწიფონი დაარსდებოდნენ და სახელმწიფო იკისრებდა თვითვეულის კაცის მფარველობას, იმ დრომდე არა გვგონია კაცს ძალმომრეობის გაუქმება ცალკე კაცთა შორის იმგვარ ოცნებადვე არ სჩვენებოდა, როგორც ეხლა ჩვენ გვეჩვენება მაგ ძალმომრეობის მოსპობა სახელმწიფოთა შორის.

«კვლავ ბულგარეთის შესახებ»

ტფილისი, 13 აგვისტო

დღესაც, როგორც წინედაც, ერთადერთს საგანს დიპლომატიურს მიწერ-მოწერისას, შეუწყვეტელ ბაასისას და საერთო მღელვარებისას შეადგენს იგივ ბოლგარიის დაუბოლოვებელი საქმე. ამჟამად პოლიტიკასა და მწერლობას თავისი ყურადღება მიუქცევია იმაზედ, რომ პრინცი ფერდინანდი ბოლგარულს ენაზედ გამოცემულს პროკლამაციაში ბოლგარებს იხსენიებს, ვითარცა “თავისუფალ ერს”, ხოლო ფრანგულს თარგმნაში კი, რომელიც სხვადასხვა სახელმწიფოთა გაეგზავნა, იმავე ბოლგარებს იხსენიებს, ვითარცა “საყვარელს ერს”. ეს განსხვავება, ზოგიერთთა აზრით, იმასა ნიშნავს, რომ პრინცს სურვილი აქვს ბოლგარიის დამოუკიდებლობა გამოაცხადოსო. თუ ეს ცნობა მართალია, რასაკვირველია, იგი დიდს შფოთს გამოიწვევს ევროპის პოლიტიკაში, რადგანაც ბოლგარიის დამოუკიდებლობის გამოცხადება არღვევს უმთავრესს მუხლს ბერლინის ტრაქტატისას, რომლის ძალითაც ბოლგარია პოლიტიკურად დამოკიდებული უნდა იყოს ოსმალეთზე და არ უნდა შეადგენდეს სრულიად თავისუფალს სამთავროს.

რას მოასწავებს, რისი მაჩვენებელია ბოლგარიის ახალის მთავრის განზრახვა და ბერლინის ტრაქტატის დარღვევა? ნუთუ ყოველივე ესე საჭირო ბოლგარიის

საკეთილდღეოდ და პრინცის კობურგის სამთავრო ტახტზე დასამტკიცებლად? რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა პრინცი, როცა განიზრახა ბოლგარიის დამოუკიდებლობის გამოცხადება, თუკი ზემოთმოყვანილი ხმა მართალი გამოდგა?

ეს საკითხავები დიაღაც დიდის მნიშვნელობისანი არიან, რადგანაც იმათის ახსნის საშუალებით შეგვიძლიან შევიგნოთ, თუ რომელის გზის ამორჩევა განუზრახავს ბოლგარიას თვისის საქმის დასაბოლოებლად. თუ გავიხსენებთ, როგორ სწარმოებდა ბოლგარიის საქმე ამ უკანასკნელ წელთა განმავალობაში, არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ბოლგარიას მიდრეკილება ჰქონდა, სრულიად მოესპო თვისი დამოკიდებულება ოსმალეთზე, თუმცა იგი დამოკიდებულება აღიარებულია ბერლინის ტრაქტატის ძალით. ეს სურვილი დიაღაც ცხოველია ბოლგარიაში, ამ სამთავროს წარმომადგენლებს კარგად ესმით, თუ რაოდენად დამაბრკოლებელია ბოლგარიისათვის ოსმალეთზედ დამოკიდებულება როგორც შინაგან საქმეებსა, ისე გარეგან საქმეებშიაც. ამ აზრს გვიმტკიცებს პირველის მთავრის მოქმედება ოსმალეთის მიმართ, სხვათა შორის, რუმენიის და ბოლგარიის ერთობის გამოცხადება და სხვა. მაგრამ სრულის დამოუკიდებლობის დამკვიდრება შეუძლებელი საქმე იყო, რადგანაც ბოლგარიის მაგ საქმეში ევროპის ხელმძღვანელნი ძმურად ვერ მორიგდებოდნენ. თანდათან, რაოდენადაც ძნელდებოდა ბოლგარიის საქმე, მით უფრო რწმუნდებოდნენ ბოლგარები და მათი წარმომადგენელნი, რომ ბერლინის ტრაქტატია მიზეზი მათის ხელშეკრულობისა, რადგანაც იმ ტრაქტატში ნათლად განსაზღვრულია ის განყოფილება, რომელიც უნდა არსებობდეს ოსმალეთისა და ბოლგარიის შორის; ბოლგარების აზრით, მათი სამშობლო შეხუთული იქმნება, თუ რომ ოსმალეთზე დამოკიდებულება არ მოისპო, რადგან თვითონ ოსმალეთიც მდაბალი ღობეა, რომელზედაც ყველა მსურველნი გადახტებიან ხოლმე.

როგორც სჩანს, იგი აზრი თანდათან ძლიერდებოდა ბოლგარიაში. ამიტომაც პრინცმა კობურგისამ მოისაზრა, რომ სრულის დამოუკიდებლობის გამოცხადებით ბოლგარნი კიდევ უფრო გამხნევდებიან თავიანთ საქმის წარმოებაში და, შეიძლება, იმასაც ჰფიქრობს, ვითომ ევროპიელნი სახელმწიფონი იმის მოქმედებას და ბოლგართა გაძლიერებულს მედგრობას პატივს დასდებენ. რასაკვირველია, თუ მართლა პრინცმა ფერდინანდმა განიზრახა ბოლგარიის დამოუკიდებლობის გამოცხადება, აზრად ისიცა ჰქონდა, რომ თვისი გავლენა და სახელი განაძლიერეს და ბოლგართა სიყვარული და ნდობა მოიპოვოს და შეიმატოს.

ყოველივე ეს გვიმტკიცებს, რომ ბოლგარნი თანდათან მეტს გამბედაობას იჩენენ იმ დროს, როცა, როგორც გაზეთები იუწყებიან, ევროპა მზად არის გული აჰყაროს პრინცს ფერდინანდზე.

ძნელი სათქმელია, თუ რა ფასად დაუსმენ ბოლგარებს და მათს მთავარს ბერლინის ტრაქტატის დარღვევას, თუმცა ევროპას არაერთხელ დაურღვევია იგი ტრაქტატი. ამიტომაც იგი გარემოება, რომელზედაც ამ წერილში ჩამოვაგდეთ ბაასი, მეტად საგულისხმოა, მეტად დიდის მნიშვნელობისაა.

«ბისმარკი და ევროპის პოლიტიკა»

ტფილისი, 5 სექტემბერი

არ გათავდა და გვგონია, არც გათავდეს ამ მოკლე ხანში ეს გაუთავებელი და მრავალკეცად მიზეზიანი საქმე ბოლგარეთისა. მჟავე და დაუმწიფებელ ტყემალსავით ამ საქმემ ყველას კბილი მოსჭრა და თავი მოაბეზრა. მაგრამ რას იზამთ? ევროპას იმისთანა საპოლიტიკო ხანა დაუდგა, რომ ვერც აქედ მიდგა კაცი, ვერც იქით, თუ მაშინვე ბოლგარეთის საქმეს არ წააწყდა. თვითონ ევროპაც თითქო განგებ ინახავს ამ საქმეს ამ ყოფითა, რომ თავის დროზედ ხელი მოჰკიდოს და ამით ჩხუბის კორიანტელი ააყანოს, როცა გულისნადების ასრულება უფრო მეტის საბუთით და იმედით მოევლინება. მანამდე კი ერთმანეთზედ ასე თუ ისე ამრეზილნი სახელმწიფოები ჰდუღან და გადმოდიან ერთმანეთის მტრობითა. მაგრამ საქმეთა მდგომარეობა ისეთია, რომ თვითვეული მათგანი უნდა საქვეყნოდ იძახოდეს: მე გულში მშვიდობიანობის მეტი არა მიდევს რაო. ყველამ კარგად იცის, რომ ამისთანა სამშვიდობო ძახილი და ფიცი ტყუილია. ეს ფიცი არავისა სჯერა და მაინც თავს ისე აჩვენებენ ქვეყანას, ვითომც იგი ფიცი სწამთ, იგი ძახილი სჯერათ. დღეს ისეთი დღეა, რომ ასე უნდა მოიქცნენ, მეტი გზა არ არის.

ამიტომაც ვხედავთ, რომ მიზეზიანი საქმე ბოლგარეთისა ევროპის საპოლიტიკო სასწორზედ ხან იქით გადიხრება ხოლმე, ხან აქედ, იმისდა მიხედვით თუ, როგორ ემშვნევა და უხდება იმ სახელმწიფოს, რომელსაც დღეს ხელთ უპყრია საპოლიტიკო თოკის წვერი ევროპისა. მას აქედ, რაც ალექსანდრე ბატტენბერგი დაეთხოვა თავის სამთავრო ტახტსა, გერმანია ბოლგარეთზედ საქვეყნოდ ხმას არ იღებდა, თითქო იქ არა სტკივა რა და არა ეწვის რა და ჩუმად კი გული და სურვილი ავსტრიისათვის უთქმიდა. დღეს ამ გერმანიამ რუსეთის სასარგებლოდ ხმა ამოიღო და ვითომ მეცადინეობაც იკისრა, ევროპა და რუსეთი ერთმანეთთან მოარიგოს ისე, რომ არც მწვადი დაიწვას, არც შამფური. თუმცა ასეა, მაგრამ თ. ბისმარკის გულწრფელობა ამ საქმეში არავისა სწამდა და არც არავისა სწამს.

ამიტომაც ყველანი ჰკითხულობენ: ეს რა ამბავია, რომ თ. ბისმარკმა ასე იცვალა მხარიო? რამ აიძულა, რომ ბოლგარეთის საქმით რუსეთის საქმის მოგება საჭიროდ დაინახაო? ამის პასუხი ძნელი საპოვნელია და ძნელი გამოსარკვევი. მაგრამ ზოგიერთი გარემოებაა, რომელიც თუ ზედმიწევნილს საბუთს არ მოგცემს ამ პასუხისათვის, იმოდენად შესამჩნევი ხომ არის, რომ ხელი ჩავკიდოთ და ამ საპოლიტიკო ბინდბუნდში მცირეოდენი ნათელი წავიმძღვაროთ. აი საქმე რაშია, ჩვენის ფიქრით.

თვითვეულს ცალკე მოქმედებას გერმანიისას თუ კაცი გამოსაძიებლად გამოეკიდება, არ შეიძლება თვალწინ არ დაუდგეს იგი დაუძინებელი მტრობა, რომელიც არსებობს გერმანიისა და საფრანგეთის შორის. ყოველის საგარეო პოლიტიკის მიზეზი გერმანიისათვის საფრანგეთია და ამიტომაც ყოველივე სჯა და მოსაზრება შესახებ გერმანიის საგარეო მოქმედებისა, თავის სათავეს აქ უნდა ჰპოულობდეს, როცა საფრანგეთი, ევროპის საქმეთა დახლართვის გამო, მარტო ჰრჩება საპოლიტიკო მოედანზედ, მაშინ გერმანია ზურგმაგარია

და შიშახდილი, მაშინ სხვის მოურიდებლად იგი მარტო ავსტრიის სიამოვნებას ჰცდილობს, რადგანაც ავსტრია დღეს იმისთანა სახელმწიფოა გერმანიისათვის, რომ უამისოდ გერმანიის არსებობა თითქმის ყინულზედ დაწერილი თამასუქია.

როცა რუსეთი და საფრანგეთი საქმეთა მსვლელობამ ერთმანეთს დაუახლოვა, თ. ბისმარკს ჯერ კიდევ იმედი ჰქონდა, რომ ინგლისი, იტალია და ავსტრია მომხრეობას გაუწევენ, თუ ესე გაეწყობოდნენ ერთმანეთში სახელმწიფოები, მაშინ თ. ბისმარკს შეეძლო გულდადინჯებული ყოფილიყო, რომ მტრობა საფრანგეთისა და ამრეზილობა რუსეთისა მას ვერას უზამს. თუმცა ავსტრიას გასაყოფი და საჩხუბარი საფრანგეთთან არა ჰქონდა რა და არც არა აქვს რა, მაგრამ თ. ბისმარკმა ძალიან კარგად იცის, რომ ავსტრია იძულებულია გერმანიასთან მხარგადაბმული იყოს და ამიტომაც ავსტრიის მომხრეობაზედ დანდობა ბისმარკისათვის უეჭველი იყო. ინგლისისა და იტალიის მომხრეობა კი საიმედო იქმნებოდა ბისმარკისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ამათა და საფრანგეთსა შუღლის მიზეზს რასმე აუჩენდა და მტრობას გაუძლიერებდა.

ინგლისი და იტალია ბევრგან მოსაზღვრენი არიან საფრანგეთისა და მაშასადამე, ბევრგან ერთმანეთში გადახლართული აქვთ ინტერესები. აბა, მოხერხებულს ბისმარკს როგორ გაუჭირდებოდა, რომ ამათში საქმეები ერთმანეთის სამტროდ აეწეწნა და თვითონ მტრობაც გაემწვავებინა თითქმის ერთმანეთის ძულებამდე. ასეც მოხდა: იტალიასთან ხმელთაშუა ზღვის გამო სამდურავი ადრევაც ჰქონდა საფრანგეთსა და ბისმარკმა, რა თქმა უნდა, არა დაზოგა რა, რო აქ ცეცხლს ნავთი დაასხას. დღესაც იტალია და საფრანგეთი ერთმანეთს ეჭვის თვალით უყურებენ და ერთმანეთის ნდობა არა აქვთ. ამიტომაც თ. ბისმარკს იტალიის მხრით გადადგომის შიში დღეს არა აქვს, თუ ვინიცობაა საფრანგეთმა გერმანიაზედ ხმალი ქარქაშიდამ ამოაწვდინა. დარჩა ინგლისი. აი, აქ არის ის

ფონი, რომელიც ერთს ადგილას არჩობს. აქ თ. ბისმარკს დუშაშმა უმტყუნა.

ორი მიზეზი ჰქონდათ საფრანგეთსა და ინგლისსა ჩხუბისა და დავიდარაბისა ამ ბოლოს დროს, ერთი ჰებრიჯის კუნძულები, რომლის დაჭერასა და დაპყრობას ერთმანეთს ეცილებოდნენ, და მეორე ეგვიპტე, საცა თავისუფლად მსვლელობა სუეცის არხზედ მეტად ძვირად უღირს საფრანგეთსა და ინგლისი კი ეცილებოდა საკუთრად თავისად დაჩემებასა. დღეს გაზეთები გვაუწყებენ, რომ საფრანგეთი და ინგლისი ჰებრიჯის კუნძულის თაობაზედ ერთმანეთთან მორიგებულან მშვიდობიანად და სუეცის არხის გამოც საქმეს მშვიდობიანად ათავებენო. თ. ბისმარკი, რასაკვირველია, ეცდება, რომ ამათ შორის მშვიდობიანად საქმე არ გათავდეს, მაგრამ სჩანს, იმედი არა აქვს, ცდამ ბოლო გაიტანოს. თუ ინგლისი მოურიგდება საფრანგეთს, ამათ შორის ჯერხანად საშუღლო და სამტრო აღარა იქნება რა, პირიქით, მოსალოდნელია ერთმანეთს დაუმეგობრდნენ კიდეც, რადგანაც გერმანიის ბატონობა ევროპაში ინგლისისათვის ისე სამძიმოა, როგორც საფრანგეთისა და რუსეთისათვის. ამას ისიც დაუმატეთ, რომ ინგლისმა და რუსეთმაც პირდაპირი მიზეზი მტრობისა, ჯერხანად მაინც, მოსპეს შუა აზიაში ავღანისტანის საქმის გამო და მაშინ ცხადი იქნება, რომ ბისმარკს საბუთი მოეცა შიშისა. ეს შიში უფრო უნდა განუძლიერდეს ბისმარკს, თუ ინგლისში სალუსბერის მაგიერ მთავარ-მინისტრად წამოჯდება გლადსტონი, რომელსაც ვერაფრად მოსწონს, რომ გერმანია ასე ფარფაშობს და ბრძანებლობს ევროპაში. რომ არც ამ მხრით არის უსაბუთო იგი შიში, ეგ იქიდამა სჩანს, რომ გლადსტონის მომხრეობა დღედადღე ჰმატულობს ინგლისში.

რაკი ფიქრი მიეცა ბისმარკს, რომ შესაძლოა ინგლისი, თუ მეგობრად არ გაუხდეს საფრანგეთსა, მისი მტრობა და გერმანიის მომხრეობა მაინც აღარ ინდომოს, რასაკვირველია, ფრთხილი ბისმარკი უნდა

ცდილიყო სხვა მომხრე ეშოვნა ინგლისის მაგიერი. აი, ჩვენის ფიქრით, იგი მიზეზი, რომელიც აიძულებს დღეს ბისმარკს რუსეთის გულის მოგება ეძიოს.

«სათავადაზნაურო სკოლებში სწავლების ხასიათის ძირეულად შეცვლის აუცილებლობა»

ტფილისი, 10 სექტემბერი

გუშინ მოვიხსენიეთ, რომ საქმეთა მსვლელობამ და ნამეტნავად სწავლა-განათლების სამინისტროს უკანასკნელმა ცირკულიარმა ჩვენი საზოგაგოება და მწერლობა მიახედა მასზედ თუ, რაზედ უნდა მიიქცეს ჩვენი აწ არსებული სწავლა-განათლების სახსარი და ღონე, რომ ხარჯმა ხარჯად უნაყოფოდ არ ჩაგვიაროს და ამ ხარჯისაგან გამოდნეს რამე ჩვენი საზოგადოებისათვის. ამის გამო ჩვენს სათავადაზნაურო სკოლებზედ დღეს დიდი ლაპარაკია. ამ ლაპარაკმა იქამდე მიაღწია უკვე, რომ ყველა, დიდი თუ პატარა, ერთობილად და უცილობელად ერთს აზრს დაადგა: ყველანი საჭიროდ ჰხედვენ, რომ ჩვენს სკოლებს ხასიათი ძირეულად უნდა შეეცვალოს და სხვა საფუძველზედ დადგეს. ამ მხრით, ყველანი თანახმანი არიან და არავინ არ არის იმისთანა, რომ სხვას რასმე ამბობდეს და ეურჩებოდეს, ხოლო, თუ განსხვავებაა რაშიმე, მარტო იმის გამო თუ, რა ხასიათი მიეცეს, რა საფუძველი დაედოს ამ სკოლებს. აქ აზრები სხვადასხვაობენ და ამ მხრით, საქმეს დიდი დაფიქრება და გამორკვევა უნდა, ვიდრე საბოლოოდ ამ სხვადასხვაობიდამ ერთს რომელსამე ამოვირჩევთ.

ზოგი ამბობს, რომ ჩვენის თავადაზნაურობის სკოლები ტფილისისა და ქუთაისისა ერთს საერთო გიმნაზიად გადავაქციოთ, საცა ყმაწვილები მოემზადებიან უნივერსიტეტებში, ან სხვა უმაღლესს სასწავლებლებში შესასვლელადო.

ზოგნი იძახიან, რომ ჩვენს სათავადაზნაურო სასწავლებლებს საზოგადო განვითარების დანიშნულება უნდა ჩამოვაცალოთო, ესე იგი, იგი არ უნდა იქმნას უნივერსიტეტისათვის მოსამზადებელ სასწავლებელადაო. ჩვენ იგი უნდა გადავაქციოთ რეალურ სასწავლებელად, რომ აქ კურს შესრულებულმა ყმაწვილმა შეიძლოს შესვლა რაიმე უმაღლესს სატეხნიკო სასწავლებელში, რომ ცხოვრებისათვის გამოსაყენი უმაღლესი სწავლა-ცოდნა იქ მიიღოსო.

ზოგი ყოველ ამის წინააღმდეგია და ამბობს, რომ ამ გზით ეს ჩვენი საერთო სასწავლებელი, კლასიკური გიმნაზია იქმნება, თუ რეალური სასწავლებელი, თუ სხვა რამ ამის მსგავსი, მარტო საფეხური იქნება სწავლა-განათლების ზეაღსასვლელის კიბისა და სხვა არაფერიო. ჩვენთვის კი საჭიროა იმისთანა სასწავლებელი ვიქონიოთ, რომ თუ ყმაწვილს, იქ კურსშესრულებულს, რომელსამე მიზეზით უმაღლესს სასწავლებელში შესვლა არ მოუხდა, ცხოვრებისათვის პირდაპირ გამოსადეგი და ცხოვრებაში პირდაპირ მოსახმარი სწავლა-ცოდნა შეძენილი ჰქონდეს, რომ თავის თავსაც გამოადგეს და სხვასაცაო. ამიტომაც საჭიროა ეგ ჩვენი სათავადაზნაურო სკოლები მარტო მოსამზადებელ კლასებზედ ჩამოვახდინოთო; ეს მოსამზადებელი კლასები ისე მოვაწყოთ, რომ აქ ნასწავლს ყმაწვილს იმოდენა მომზადება ჰქონდეს, რომ სახელმწიფო, თუ კერძო გიმნაზიებში, თუ კორპუსში შევიდესო სწავლის გასაგრძობად და თუ ვერც ერთი ესენი ვერ მოუხდა, ჩვენვე გვქონდეს იმისთანა სასწავლებელი, საცა ყმაწვილს სახსარი მიეცეს იმოდენა და იმისთანა სწავლა-ცოდნა შეიძინოს, რომ პირდაპირ გამოსაყენი იყოს და ცხოვრებაში გზის გასარკვევად

კმასაყოფელიო. ამ აზრის მოძღვრებისანი ამისთანა სასწავლებელად ჰხადიან ერთს საერთო სააგრონომიო სასწავლებელსა, საცა სოფლის მეურნეობის მეცნიერება საკმაოდ ვრცლად და ჩვენის ქვეყნის საჭიროების შეფერებით და მიხედვით უნდა ისწავლებოდეს თეორიით თუ საქმითაო.

ჩვენც, სწორედ მოგახსენოთ, ამ უკანასკნელის აზრისანი უფრო ვართ, ვიდრე სხვა რისამე. რა თქმა უნდა, რომ თვითვეულს ზემომოყვანილს აზრს თავისი საყურადღებო საბუთი აქვს და იმოდენად გულში დასაჭდევი, რომ არ შეიძლება კაცმა ანგარიში არ გაუწიოს და განუჩხრეკელად ზურგი შეუქციოს. ყოველგვარი უმაღლესი სწავლა, უნივერსიტეტისაა თუ სატეხნიკო სასწავლებლისა, არავისათვის თავის დღეში მეტი არ იქნება და სრული ძალ-ღონეც ქვეყნისა ამგავარად ნასწავლ კაცებშია. მაგრამ ჭამა-სმა ქონებაზედ ჰკიდიაო, ნათქვამია. ბევრს, ნამეტნავად ჩვენგანს, არ შეუძლიან ამ უმაღლესს სასწავლებელამდის მიაღწიოს, რადგანაც შორს არის ჯერ მანძილით და მერე მიუწვდენელია ჩვენის ჯიბისა სიღარიბისა გამო.

ხოლო ვისაც შეძლება აქვს, იმას ხომ მაინც უჩვენოდა გზა აქვს გახსნილი და კარი ღია უმაღლესის სასწავლებელისა. ჩვენი ცდა, ჩვენი ერთობილი ძალ-ღონე იმათზედ უნდა იყოს მიქცეული, ვინც ღარიბია და შეუძლებელი. რასაკვირველია, არც ამათ მოსჭრის კბილსა უმაღლესი სწავლა-ცოდნა, მაგრამ რას იზამთ, რომ ჩვენი ღონე არ შესწევს ჩვენს სურვილსა და ჯერხანად საქმეს შეძლებისამებრ უნდა გავუძღვეთ.

ჩვენ არ შეგვიძლია შევინახოთ იმისთანა სასწავლებელი, საცა ბევრი-ბევრი ათიოდე ყმაწვილი მომზადდებოდეს იმოდენად, რომ ან უნივერსიტეტში, ან უმაღლესს სატეხნიკო სასწავლებელში შევიდეს. ორი

ათასის და სამი ათასის თუმნის* ხარჯვა მარტო იმისათვის, რომ წელიწადში ბევრი-ბევრი ათი ყმაწვილი იგზავნებოდეს ჩვენგან უნივერსიტეტში, სწორედ მოგახსენოთ, მეტისმეტი ხარჯია იმისთანა ხელმოკლე საზოგადოებისათვის, როგორიც ჩვენია, მეტს ვიტყვით, ბედოვლათობაა ჩვენის მხრით. რომ გვქონდეს, ვინ რას იტყვის და რომ არა გვაქვს, იმიტომ ვამბობთ ამას გულისტკივილითა

თუნდ ეგეც არ იყოს, ვსთქვათ, გავიჭირეთ საქმე და გავაგზავნეთ ათიოდე ყმაწვილი ყოველწლივ უმაღლესს სასწავლებელში და ამისათვის ორი თუ სამი ათასი არ დავიშურეთ, დანარჩენთ მოსწავლეთა, რომელთაც უმაღლესი სასწავლებელი არ ეღირსებათ, ვის ანაბარად ვტოვებთ? სასწავლებელი, რომელიც მარტო მოსამზადებელია უმაღლესის სწავლისათვის, რა სწავლა-ცოდნას შესძენს მას, ვინც ათასის მიზეზისა გამო იძულებულია ცხოვრებას დაუბრუნდეს და მის ავკარგიანობას შეეჭიდოს უმაღლესის სწავლის მიუღებლად? ეგ ხომ შუა გზაზედ უმწეოდ, უიარაღოდ, ულონოდ დატოვებული იქმნება. ეგ ქვეყნისათვის ბარგი იქნება და არა უღლის მწეველი ცხოვრების გზაზედ. ყმაწვილმა შვიდი-რვა წელიწადი იბეჯითოს, წელებზედ ფეხი დაიდგას, ისწავლოს და მერე გამოვიდეს და თავისის თვალით ჰნახოს, რომ სასწავლებელმა არა მისცა რა იმისთანა, რაც ცხოვრებაში ჭიდილისათვის პირდაპირ გამოსაყენია, პირდაპირ მოსახმარია! ჩვენ უბედურებად მიგვაჩნია და არა ბედნიერებად.

ჩვენის ფიქრით, ეს ბოლო არ უნდა ჰქონდეს იმოდენა ხარჯსა, რასაც დღეს ტფილისისა და ქუთაისის თავადაზნაურობა ხარჯავს თავის სკოლებზედ. გვიჯობს ეს სკოლები ჩამოვახდინოთ მოსამზადებელ კლასებზედ. მოსამზადებელი კლასები ისე მოვაწყოთ, რომ აქედამ გიმნაზიებში, თუ კორპუსში

* ორი ათასს ხუთასზედ მეტი მარტო ეხლანდელი ტფილისის სათავადაზნაურო სკოლა გვიჯდება ყოველწლივ

შესვლა შესაძლებელი იყოს აქ კურსშესრულებულ ყმაწვილისათვის. ამას დიდი ხარჯი არ მოუნდება. დანარჩენის ფულით გავმართოთ ან ერთი საერთო სააგრონომიო სასწავლებელი, რომელშიც სწავლის პროგრამმა იმ ფარგლით უნდა შემოეფარგლოს, რომ აქ კურსშესრულებულს შემთავრებული ჰქონდეს ცოტად თუ ბევრად სწავლა-ცოდნა პირდაპირ ცხოვრებაში სამოქმედოდ, ან თვითვეულს მაზრაში ცალკე ამ ხასიათისავე სკოლა გაიმართოს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ის ნაწილი სასოფლო მეურნეობისა შეისწავლებოდეს, რასაც მაზრის მკვიდრნი უფრო მისდევენ, მაგალითებრ, საცა ღვინოს მისდევენ იქ ვენახობა და ღვინის კეთება ისწავლებოდეს, საცა აბრეშუმია — აბრეშუმისა, საცა პურია — პურისა და მებრვე სხვა.

ამ სახით ჩვენის მოსამზადებელის კლასებიდამ ისინი, ვინც გიმნაზიასა და კორპუსში შესვლას ვერ მოახერხებენ და ვერ ეღირსებიან, ჩვენს სააგრონომიო სკოლებში გადავლენ და იქ თუ არა უმაღლესს, იმისთანა სწავლა-ცოდნას მაინც მიიღებენ, რომ შინ თავის სოფელში, თავის მამულში, ან სხვისაში სხვასაც გამოადგნენ და თავის თავსაც. ჩვენ, ქართველები, მიწისმომქმედნი ვართ და თუ ამ მიწისმოქმედებას ჩვენს შრომასა და ჯაფასთან სწავლა-ცოდნაც რამ მივაშველეთ, ჩვენი ეკონომიური ყოფა-ცხოვრება ფერს იცვლის ჩვენდა საკეთილოდ. ამისთანა სკოლები ბევრია ევროპაში და სად როგორი სკოლებია, ამას შემდეგ მოვახსენებთ ჩვენს მკითხველებსა.

გარდა იმისა, რაც გუშინდელ მეთაურში ჩამოვთვალეთ, ჩვენ ყური მოვკარით ერთს აზრს კიდევ ჩვენის სათავადაზნაურო სკოლების შესახებ. ჩვენს თავადაზნაურობასაო, ამბობენ, შვილების მომზადება სხვადასხვა სასწავლებლებში შესასვლელად მეტის-მეტად უჭირდება და უმძიმდებაო. მეტის სიმრავლე ჩვენის თავადაზნაურობისა სოფელშია დაბინავებული და იქა სცხოვრობსო. რადგანაც სოფლის ახლომახლო არც იმისთანა სასწავლებელია, არც იმისთანა მასწავლებელი იშოვება, თუ არ განგებ ერთის სახლობისათვის დაბარებული, რომ ყმაწვილები მოამზადონ, ამიტომაც ყოველი პატრონი შვილისა იძულებულია ყმაწვილი ტფილისში ჩამოიყვანოს და აქ ვისთანვე აუჩინოს ბინა ცხოვრებისა და სწავლებისაო. ეს გარემოება დიდს ხარჯსა ჰთხოულობს და ამ ხარჯს უმრავლესობა ვერ გასწვდენია და ვერ გასძღოლიაო. მართალია, ჩვენი ტფილისის სათავადაზნაურო სკოლა ზოგიერთს ბინასაც აძლევს და თავის ხარჯითაც ინახავს, მაგრამ თვითონ სკოლას იმოდენა შეძლება და ღონე არა აქვს, რომ მთელს დიდს გუნდს გაჭირვებულებისას გაუძღვეს და ამით მალამო რამ დასდოს ჩვენს წყლულსაო. მისი ამ მხრით შემწეობა და ხელის მოშველება წვეთია ზღვაშიო და დიდი ნაწილი ჩვენის ყმაწვილობისა შეუძლებელ მშობლების საწვავ-სადაგვად ჰრჩებაო. კარგია, ვისაც ღონე შესწევს და წელი მოსდევს, ჩამოიყვანოს შვილი ტფილისში და გარედამ ატაროს შვილი სკოლაში, მაგრამ ვაი იმას, ვისაც ეს სახსარიც არა აქვს, და რამდენია ამისთანა!...

თუნდაც რომ ღონე შესწევდეს და ბედს ეს სახსარი მიენიჭებინოს მშობელისათვის, მაინც ტფილისში ჩამოყვანა და უცხო ოჯახში გაბარება პატარა ბაშვისა ხშირად უპატრონოდ დაგდებას მოასწავებსო. პატარა ბაშვი, უცხო სახლში გაბარებული, თავის დედ-მამის გულისტკივილს და ზედამხედველობას მოკლებულია და

ამ ყოფაში ბაშვი ამოდენა ქალაქში, საცა გულ-შემატკივარი, მწრთვნელი, დამრიგებელი, პატრონი არა ჰყავს, ათასნაირის განსაცდელისათვის განწირულიაო. ბაშვი ხშირად ირყვნება, ჰფუჭდება გულით და სულითაო, იმიტომ, რომ უცხო კაცი, რომელსაც იგი აბარია, რაც უნდა პატიოსანი იყოს, იმოდენა დროს და მეცადინეობას ვერ შესწირავს უცხო კაცის ბაშვს, რამოდენასაც დედ-მამა, ან ახლობელი ნათესავიო და რამოდენადაც საჭიროა ბაშვის კეთილ გზაზედ დაყენებისათვის და სულიერად აღზრდისათვისაო.

ეს დიდი მიზეზი, რომელსაც ხშირად მოსდევს წაწყმედა და წახდენა ბაშვისა საბოლოოდ, იმისაგან არის წარმომდგარი, რომ ჩვენი სათავადაზნაურო სკოლა ტფილისშია, ესე იგი, შორს ამ ადგილებისაგან, საცა დაბინავებულია უმრავლესობა ჩვენის თავადაზ-ნაურობისაო. ამისი წამალი ის არის, რომ სკოლა დაუახლოვონ თავადაზნაურობას იმოდენად, რომ ყმაწვილის შენახვაც სკოლის გარედ შესაძლებელ იყოს უღონოთა და უქონელთათვის და ზედამხედაობაც დედ-მამისა, ან მახლობელისა არ იყოს გაბათილებულიო. ამის გამო ამ აზრის გამომთქმელნი ურჩევენ ჩვენის სკოლების გამგეობას, რომ დიდს ქალაქებში, ტფილისსა და ქუთაისში, მოსპონ ეხლანდელი სკოლები, მათი პროგრამა მოსამზადებელ კლასების პროგრამაზედ დააყენონ და ყოველს მაზრის შუაგულს ადგილას თითო მოსამზადებელი სასწავლებელი გამართონ, თუ დღევანდელი ქონება სკოლებისა ამისათ-ვის საკმაო იქნებაო; თუ არა და, იმდენი სასწავლე-ბელი მაინც გამართონ უფრო საჭირო ადგილას, რამოდენასაც დღევანდელი ქონება სათავადაზნაურო სკოლებისა გასწვდებაო.

რაკი მაზრაში ამისთანა სასწავლებელი იქმნება, იქავ სოფლად მცხოვრებელს თავადაზნაურობას უფრო ადვილად, უფრო ნაკლების ხარჯით შეუძლიან შვილების შენახვა სასწავლებელში სატარებლად ან ნათესავის, ან ახლობელის სახლში და ამ შემთხვევაში

ყველაზედ უძვირფასესი ის იქნებაო, რომ დედ-მამის, გულშემატკივარის პატრონობისა და ზედამხედაობისაგან ბაშვი შორს არ გვეყოლებაო.

ამ აზრსაც თავისი პატივსადები საბუთი აქვს და თუ ჩვენის სათავადაზნაურო სკოლების გამგეობა სჯას იქონიებს მასზედ თუ, რა გზით და რაგვარად შესცვალოს ეხლანდელი სკოლა, სასურველია, რომ ამ აზრსაც ყური ათხოვონ და ანგარიში გაუწიონ. ეს აზრი ჩვენს მიერ გამოთქმულს აზრს არ ეპირისპირება და არ აბათილებს, პირიქით, ემოწმება იმას, რომ ჩვენი სათავადაზნაურო სკოლები მოსამზადებელ სასწავლებელად საჭიროა გადიქცეს და ამისთანა სასწავლებელი რაც შესაძლოა, დაუახლოვონ თავადაზნაურობასა. ეს არ აუქმებს ჩვენს სურვილს, რომ მასთან ერთად ან ერთი საზოგადო სააგრონომიო სასწავლებელიც ვიქონიოთ, ან რამდენიმე და მით საჭირო სწავლა-ცოდნის შეძენის გზა გავუხსნათ იმ ყმაწვილებს, რომელნიც რომელისამე შემთხვევით და მიზეზით სხვა უმაღლესს სასწავლებელში შესვლას ვერ ელირსებიან ჩვენის მოსამზადებელ კლასებიდამ.

«გიმნაზიების ერთი დიდი ნაკლი»

ტფილისი, 12 სექტემბერი

ერთი დიდი და ფრიად შესამჩნევი ნაკლულევანება ეხლანდელის გიმნაზიებისა ის არის, რომ შეგირდებს ხუთსა და ექვს წელიწადს ასწავლიან უცხო ენებს, ფრანგულს და გერმანულს, მაგრამ ბოლოს კი, როცა კურსს ასრულებენ, ამ ენებისა არა იციან რა, თუ წინადვე შინ არ გაუკვეთნიათ და ან ცალკე არ უსწავლიათ. ვინ არ იცის, რა ჭირია ეხლანდელს დროში ამ ენების არცოდნა. ამას ჩვენში ყმაწვილკაცობა უფრო უნდა ჰგრძნობდეს, რადგანაც აქამდე მეტად იშვიათი იყო, რომ ჩვენს დედ-მამას გამოემეტნა რამე და სასწავლებელს გარედ შინ ესწავლებინა თავისი შვილისათვის რომელიმე უცხო, ევროპული ენა. თუ ამ ბოლოს ხანებში კანტიკუნტად ვხედავთ თითო-ოროლა მაგალითს, რომ ჩვენებური მშობლები შინ ასწავლიან თავის შვილებს უცხო ენებს, ეგ მარტო კარგად შეძლებულს ოჯახებშია და ამისთანა ოჯახების ჩამოსათვლელად ჩვენში ხუთი თითიც საკმაოა, დანარჩენები კი, ესე იგი, უმრავლესი ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა ყოველს ღონეს მოკლებულია ამ მხრით ხელი შეუწყოს მოზარდს თაობასა.

უცხო ენის არცოდნა დიდი დამაბრკოლებელი მიზეზია ცხოვრების გზაზედ. უცხო ენის არმცოდნე ყმაწვილი კაცი მუნჯია და ყრუ იმ განვითარებისა და

წარმატებისათვის, ურომლისოდაც დღეს ადამიანი ადამიანი არ არის. მთელი განძი გაძლიერებულის მეცნიერებისა ცალკედ და ლიტერატურის საზოგადოდ, მისთვის მიუწვდომელია, თუ კაცს ერთ-ერთის ევროპიულ ენის ცოდნა მაინც არა აქვს. სათავეს მეცნიერებისას, მის ყოვლად შემძლებელს სიკეთეს და სიმდიდრეს მარტო ევროპიულის ენის რომელისამე ცოდნით შეუძლიან დაეწაფოს ადამიანი. ჩვენ ქართველები, მეტად ძლიერ ვკოჭლობთ ამ მხრითა და მიზეზიც ეს არის, რომ ასე უღონონი ვართ სწავლისა და მეცნიერებისათვის.

ეს ზოგადი ნაკლულევანება შეუმჩნევია სწავლა-განათლების სამინისტროს რუსეთში და ეხლა გაზეთები გვაუწყებენ, რომ სამინისტრო მეცადინეობსო, ამ ნაკლულევანებას ბოლო როგორმე მოუღოს. სამინისტროში შემდგარია ეგრედწოდებული მცოდნეთა, ანუ სწავლულთა კომიტეტი და ამ კომიტეტს ამ ბოლოს ხანებში სასარგებლოდ უცვნია შემდეგი ღონისძიებანი: როცა ჰნიშვნენ ვისმე უცხო ენის მასწავლებელად სასწავლებელში, მას უსათუოდ მოეთხოვოს რუსულის ენის ცოდნაცა; დავალებულ იყვნენ დირექტორები, მალ-მალ დაესწრნენ ხოლმე უცხო ენის სწავლების დროს კლასებში და თვალ-ყური ადევნონ, რომ რაც შესაძლოა, უკეთ ისწავლებოდეს ეს ენები და განსაკუთრებით მიაქციონ ყურადღება, რა და რა უცხო ენის თხზულებანი, წერილები და სხვა ამისთანები არიან მიღებულნი კლასში საკითხავად. ზედამხედაობა იქონიონ, რომ ენის გასაკვეთად დანიშნული თარგმანები შეგირდებს ზედმიწევნით შესწევდეს ენის გასაკვეთად და საცოდნელად; გიმნაზიების პანსიონებში ზედამხედველებად უნდა უწინდელებრ დანიშნულ იქმნან უცხოელნი, კარგად მცოდნენი თავის ენისანი და ამასთან იმის მოწმობის მქონებელნი, რომ ნება აქვთ აღმზდელობის თანამდებობის აღსრულებისა გიმნაზიებში.

წინადვე ვერ ითქმის, რამოდენად ააცილებენ ეს ღონისძიებანი გიმნაზიებს ხსენებულს ნაკლულევანებას და ეს კი უეჭველია, რომ სამინისტროს დაუნახავს ეს ნაკლულევანება და მისი გაუქმება ასე თუ ისე მოუწადინებია. ისიც სასიხარულოა, რომ, როგორცა სჩანს, საქმის გასწორების გზაზედ დამდგარა სამინისტრო და ჩვენის მხრივ, მხოლოდ ისღა დაგვრჩენია ვისურვოთ, რომ ღმერთმა მოუმართოს ხელი სამინისტროს და ეს კეთილი, ფრიად სასარგებლო წადილი შესაფერის გამარჯვებით აღსრულებულ ექმნას. თუ მართლა უცხო ენის სწავლებას ჩვენს გიმნაზიებში სწავლულთა კომიტეტის მიერ განზრახული ყურადღება მიექცევა, უეჭველია, უცხო ენის სწავლება არც ჩვენში, არც სხვაგან ისე უნაყოფოდ აღარ ჩაუვლის მოსწავლესა, როგორც აქამომდე იყო.

რა თქმა უნდა, რომ ამ უცხო ენის სწავლების გზაზედ გამოცდილება და გარემოება სხვა რამ ღონისძიებასაც მოითხოვს სამინისტროს სურვილის უფრო უკეთესად განხორციელებისათვის. იმედია, სამინისტრო ამ შემთვევაში უკან არ დაიწევს, რაკი ერთხელ ამ სურვილს გზა თვითვე გაუხსნა.



«ისეთი დაწესებულების საჭიროება, სადაც შესაძლებელი იქნება გართობა, გასაუბრება, დასვენება...»

ტფილისი, 19 სექტემბერი

ბევრნი სჩივიან ჩვენში უბრალო დროს გატარებასა და მოსვენებაზე, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ადამიანთა არსებობა. ჩვენა ვჩივით, რომ საშუალება არა გვაქვს რიგიანად და წესიერად დრო გავატაროთ, შევისვენოთ ყოველდღიური მუშაობის შემდეგ, ერთიერთმანერთი ვინახულოთ, ვისაუბროთ და ერთმანერთს განვუზიაროთ ჩვენი აზრი და გრძნობა. რადგანაც ეს ვერ მოგვიხერხებია, ჩვენს დროს უაზრო და უმნიშვნელო ხეტიალში ვატარებთ, ჩვენს მოცალეობას ქაღალდის თამაშსა და ჭორიკანობას ვანდომებთ და ღვინის სმასაც ხელს არ ვაკლებთ; კიდევ კარგი, რომ ჩვენმა ძველებმა გვიანდერძეს "მრავალჟამიერ" და "არალო", თორემ უამისოდ ხომ ღვინოში ჩავირჩვებოდით და ენის ლაქლაქით ერთიერთმანერთს თავს მოვაბეზრებდით. ყველანი ამას ვჩივით, მაგრამ წამალი კი ვერსად გვიპოვნია.

ყოველივე ეს მეტად საგრძნობელია ზაფხულის გასულს, როცა ყველანი თავს ვიყრით ქალაქებში, სოფელში მოსვენების შემდეგ. ზაფხულს როგორც იქნება გავატარებთ ხოლმე მოგზაურობასა და სიარულში, წმინდა ჰავაზე; სხვა რომ არა იყოს რა, ფერ-

ხორცსა და ჯანმრთელობას მაინც შევიმატებთ ხოლმე და ისე ვბრუნდებით ქალაქებში, სადაც უნდა ჩავებათ საქმიანობაში და ის ძალ-ღონე, რომელიც სოფლად შევიმატეთ, ისევ უნდა დავხარჯოთ. ამ საქმიანობაში გართულნი, მეტადრე საშუალო და ნაკლების შემძლებისანი, მოკლებულნი არიან იაფსა და აზრიანს დროსტარებასა; ასე გასინჯეთ, რომ არა აქვს ისეთი ადგილი, სადაც ერთიერთმანერთთან გამოლაპარაკება შეეძლოთ, სადაც შესაძლებელია ბაასი ყველასათვის საინტერესო საგანზე და სხვ. და სხვ.

საამოდ და აზრიანად დროს გატარება იმოდენად საჭიროა ადამიანისათვის, მეტადრე ქალაქებში, რომ უიმისოდ სრულიად წარმოუდგენელია ცოტათი მაინც განათლებულის საზოგადოების ცხოვრება. ჩვენ კი ვერ მოგვიხერხებია ამგვარის კანონიერ მოთხოვნილების დაკმაყოფილება და იმასა ვჩივით, რომ ბულვარები და ტროტუარები დავცვითეთ და გულიდგან სევდა და დარდი ვერ გადაგვიყრია. განა ძნელი საქმეა ისეთი რამ დაწესულება დავაარსოთ, სადაც ყოველს ჩვენგანს შეძლება ექმნება, მივიდეს და საზოგადოებაში გაერთოს, იბაასოს, იკითხოს, რაიმე რიგიანი სათამაშო ითამაშოს და სხვა. ნუთუ ეს საქმე იმოდენად ძნელი და რთულია, რომ იმისი მოწყობა შეუძლებელია ჩვენთვის, რომლებიც ვგრძნობთ აზრიანის დროს გატარების საჭიროებას. არა, აქ ძნელი არა არის რა, რადგანაც ჩვენს ქალაქებში მრავალი მოიპოვება იმისთანა, ვინც მოისურვებს ხელის შეწყობას ამ ფრიად სასარგებლო საქმისათვის. ამგვარის დაწესებულების გამართვა ისე ძნელი ხომ არ არის, როგორადაც ძნელია რომელისამე სამეცნიერო ან სხვა რიგის საზოგადოების დაარსება და წარმოება? ვგონებთ, ურიგო არ იქნება, რომ ჩვენმა საზოგადოებამ ყურადღება მიაქციოს ამ საგანს; თუ ამგვარი დაწესებულება დავაარსეთ, მაშინ ჩვენს დროსა და მოცალეობას ისე უნაყოფოდ, უაზროდ კი არ მოვიხმართ, როგორც დღემდის ვხმარობთ, არამედ

უფრო აზრიანად და სულსა და გულსაც მეტს საზ-
რდოს მივცემთ.

მართალია, ამ ჩვენს ქალაქებში მოიპოვება რამდე-
ნიმე ისეთი დაწესებულება, სადაც საზოგადოება თავს
იყრის დროს გასატარებლად, მაგრამ საქმე ის არის,
რომ ზოგი იმ დაწესებულებათაგანი უმრავლესო-
ბისათვის ხელმიუწვდომელია; ამას გარდა, ყველა ეს
დაწესებულებანი იმრიგად არიან მოწყობილნი, რომ იქ
გრძნობა-გონების დატკბობა ზოგთათვის ყოვლად
შეუძლებელია. იქ, სადაც მუდმივი ქაღალდის თამაშია,
იქ, ვამბობთ ჩვენ, ყოვლად შეუძლებელია გრძნობა-
გონება დაიტკბოთ, შრომის შემდეგ მოისვენოთ. ის
დაწესებულებანი, რომლებზედაც ჩვენ აქ ვლაპარაკობთ,
იმდენად უფერულნი არიან, რომ ისინი ვერასოდეს ვერ
დააკმაყოფილებენ აზრიანის დროს გატარების
მეძიებელს ადამიანს.

«გერმანიის პოლიტიკა ბულგარეთთან მიმართებაში»

ტფილისი, 21 სექტემბერი

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ თ.
ბისმარკმა ამ უკანასკნელის დროს სხვა თვალით
დაუწყო ყურება ბოლგარიის საქმესა და ამ საქმეში
თითქო რუსეთის მხარე დაიჭირა. ჩვენ ეს უეცარი
ამბავი ამას წინად იმას მივაწერეთ, რომ ინგლისისა და
საფრანგეთის შორის წინანდელი სამდურავი განელდა
და მათი ერთმანერთზედ ალურსვა და ამრეზა ლამის
მოისპოს და სამეგობრო განწყობილებად გადიქცეს. ეს
დაახლოვება ინგლისისა და საფრანგეთისა, რასაკვირ-
ველია, ჭკუაში არ უჯდება ბისმარკსა, რომელიც სულ
იმასა ჰცდილობს, რომ საფრანგეთი გაამარტოვოს და
მეშველი თუ მომხრე შემოუფანტოს.

ამ სამის წლის წინად, როცა საფრანგეთი,
დამარცხებული გერმანიისაგან 1870 წელს, ჯერ
საკმაოდ მოჯობინებული არ იყო და ამის გამო ხმას
არ იღებდა ევროპის საქმეთა გამო, თ. ბისმარკი ძალიან
ეურჩებოდა ინგლისს ეგვიპტის დაჭერისათვის და
ნამეტნავად სუეცის არხის საკუთრად დაჩემებისათვის.
გერმანია, რომელსაც ფიქრად აქვს გაიწივ-გამოიწივოს
და თვისი სამფლობელო გაავრცელოს კოლონიების
დაჭერითა, თავის დღეში არ მოინდომებს, რომ
ინგლისს მარტოკას ხელში ეჭიროს იგი უმოკლესი გზა

აღმოსავლეთისაკენ, რომელსაც წარმოადგენს სუეცის არხი, ამ მხრით საფრანგეთისა და გერმანიის პოლიტიკა ერთმანერთს უნდა მიშველებოდა ინგლისის წინააღმდეგ, მაგრამ რადგანაც საფრანგეთი და გერმანია, როგორც ცეცხლი და წყალი ერთმანერთს ვერ მოურიგდებოდნენ და გერმანიისათვის ინგლისის მეგობრობაც საჭირო იყო, თ. ბისმარკი ინგლისის პოლიტიკას ეგვიპტეში მიუყურდა, დაუჩუმდა, დეე, ინგლისი და საფრანგეთი ერთმანერთს წაეკიდნენო. ამ ყოფაში იყო გერმანია, ვიდრე გამომჟღავნდებოდა ამ უკანასკნელ დროს, რომ საფრანგეთი და ინგლისი ერთმანერთში ჰრიგდებიან ეგვიპტის გამოვო. ეს ამბავი ვერაფრად ეჭაშნიკა თ. ბისმარკსა, მით უფრო, რომ ამ სამს უკანასკნელ წელიწადში და ნამეტნავად ბოლოს ხანებში, საფრანგეთმა და რუსეთმა ერთმანერთისაკენ მიიწიეს და ერთმანერთს დაუახლოვდნენ.

ამისთანა გარემოება, რასაკვირველია, ფერსა და მიმართულებას ბისმარკის პოლიტიკას შეუცვლიდა. მართალიც არის, აი, რას ამბობს ერთი ევროპიული გაზეთი ამ საგანზედ:

"ლონდონში ძალიან სტყუვდებიან თუ ჰფიქრობენ, რომ თ. ბისმარკი ხელს უწყობს ინგლისს ეგვიპტეში ჯარების ჩაყენებისათვის. თუ თ. ბისმარკი ჰცდილობდა სულთანთან, რომ ინგლის-ოსმალთ კონვენცია დამტკიცებულ ჰყოფილიყო, მარტო იმისათვის ჰცდილობდა, რომ ეგონა ამით საფრანგეთსა და რუსეთს წავუხდენ საქმესა და დიპლომატიურს გამარჯვებას მე დავინარჩუნებო. თუმცა ესე მოქმედებდა, მაგრამ ის კი ავიწყდებათ ინგლისელებს, რომ ეგვიპტის საქმე ისევ ხელთ უჭირავს თ. ბისმარკს და ამრიგადაც უჭირავს, რომ დღესა თუ ხვალე ეგ საქმე საკონგრესოდ გახდება და კონგრესის თავმჯდომარეობას ხომ თ. ბისმარკი თავისთვის გამოელის. თუ მართალი გინდათ, მართალი ის არის, რომ თ. ბისმარკი კარგის თვალით არ უყურებს ინგლისის პოლიტიკას ეგვიპტეში. ნამდვილია, რომ მის თვალში ინგლისი ისეთი სახელმწიფოა,

რომელიც წინ ეღობება გერმანიას საკოლონიო პოლიტიკაში და ამის გამო ბისმარკი თავის დღეში ხელს არ მოუმართავს ინგლისს, რომ მარტოკამ იმფლობელოს ეგვიპტეში და სუეცის არხი, ეს მოკლე გზა, საკუთრად დაუნარჩუნოსო. დღეს ბისმარკი ინგლისის პოლიტიკას ეგვიპტეში იმავე თვალით უყურებს, რა თვალითაც ამ სამის წლის წინად უყურებდა. ამ სამის წლის წინად, როცა გერმანია და ინგლისი შეუტოტდნენ ერთმანერთს ანგრი-პეკვენის და ახალ-გვინეის გამო, თ. ბისმარკი ძალიან ეწინააღმდეგებოდა ინგლისის მეცადინეობას ეგვიპტეში".

დიდი ლარი და ხაზი არ უნდოდა, რომ კაცს წინადვე გამოეცნო, რას იქმოდა თ. ბისმარკი, როცა გამომჟღავნდა, რომ ინგლისი და საფრანგეთი ერთმანერთს ხელს უწვდიან მორიგებისათვის. რა თქმა უნდა, ინგლისს ეხლა აუწეწავს საქმეს და მით ეცდება აჩვენოს, რომ ჩემთან მეგობრობა უფრო ბევრს გამორჩომას მოასწავებდა შენთვისა, ვიდრე ჩემი წყენა და საფრანგეთთან მეგობრობაო. ნუთუ ეხლაც ცხადი არ არის მიზეზი იმისი, რომ თ. ბისმარკი დიდს მეცადინეობაშია ამ ბოლოს ხანს, რუსეთის გული მოიგოს ბოლგარეთის საქმითა. განზრახვა მისი აშკარაა: რაკი ინგლისი დაუახლოვდა საფრანგეთს, ბისმარკისათვის აუცილებელ საჭიროებად გახდა დააშოროს რუსეთი და თვითონ დაიმეგობროს, გერმანიის პოლიტიკა ბოლგარეთის საქმეთა გამო დღეს ამ ხანაშია და ამ კვალშია ჩამდგარი.

«საქმის სიყვარული ფარმატების საფინდარია»

ტფილისი, 23 სექტემბერი

ჩვენი მკითხველები დღევანდელს "ივერიაში" ყურადღებას მიაქცევენ ერთს წერილს, რომელსაც სათაურად აქვს: "კავკასიის არხეოლოგიური და ისტორიული მუზეი". ოცი წელია, რაც ბ-ნი ა. ს. როინაშვილი, წინაპირველად დუშეთში მცხოვრებელი, კაცი უფულო, უმწეო და ხელშეუწყობელი, მოეკიდა ამ მუზეისათვის კოლექციის შედგენას და შეაგროვა მრავალი და ძვირფასი ნივთები ძველისძველის ხელოვნებისა და ხელთსაქმისა. ამ მუზეიში არის თურმე ნივთები ასურისა, სპარსეთისა, კუინისა, საბერძნეთისა, საქართველოსი, რომისა, სომხეთისა და ევროპისა და ბევრნი მათგანი ეკუთვნიან ქრისტესშობის წინა დროსა. მუზეი იმოდენად ვრცელია და მდიდარი, რომ განყოფილია ოთხ ნაწილად: იქ არის ნაწილი არხეოლოგიური, ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული და ნუმიზმატიკური და, რამოდენადაც ჩვენ ვიცით, უნდა ჰღირდეს რამდენიმე ათასი თუმანი.

ჩვენ ამ ამბავს ვიხსენებთ აქ იმისათვის კი არა, რომ კვალში ჩავუდგეთ ამ მუზეის და მისი მნიშვნელობა და ავკარგიანობა გამოვიძიოთ. ეს მუზეი, იმის გარდა, რომ ძვირფასი განძია მეცნიერებისათვის, სხვა მხრივაც არის მეტისმეტად შესანიშნავი. აი, სწორედ ამ მხრით მიიქცია ამ მუზეის ამბავმა ჩვენი ყურადღებაცა. საქმე ის არის, რომ არაფრის მქონებელმა კაცმა ჩაიდო გულში ეგ საქმე, ოცი წელიწადი იბეჯითა, იღვაწა, იმეცადინა და დღეს ამისთანა ძვირფასის განძით დააგვირგვინა საქმე. აი, რით არის შესანისნავი ეს ნაღვაწევი ბ-ნის როინაშვილისა.

ჩვენში ბევრნი დავდივართ უქმად, გულზედ ხელებდაკრებილნი და პირდაღებულები. როცა ვინმე გვისაყვედურებს ხოლმე, რატომ არას აკეთებთ, საქმეში რაშიმე არ ჩადგებით, ხელს არა სძრავთო, ჩვენ ხშირად ამ საყვედურს იმითი ვუძღვებით, რომ რა ვქნათ, შეძლება არა გვაქვს, თორემ ჩვენც ვიცით საქმის აჩენა და საქმის კეთებაო. ყველას, უსაქმურად მოსიარულეს ჩვენში ეს აკერია ენაზედ და რაკი ამას იტყვის, ჰგონია საქმიანი სიტყვა ვსთქვიო. მემამულეს ეტყვი, უქმად რადა ჰზიხარ, რად დაგიგდია ღვთის ანაბრობაზედ მამული, რატომ არ აკეთებ, არ უვლი რიგიანადაო, ის მაშინვე ამას მოგახლის: ფული არა მაქვს, რით შევეჭიდო მამულსაო; ფული მომეცი და მაშინ ჰნახავ, ვერანა ადგილს როგორ გადავაქცევ მშვენიერ მტილად და წალკოტადაო. რა მემამულე!... ყველა ესეა ჩვენში, ყველა უფულობას აბრალებს თავის უხეირობას, უვარგისობას, უფულოდ არა კეთდება რაო, ის კი არ აგონდებათ, რომ ყოველგვარს სიმდიდრეს, ქონებას, შეძლებას სათავედ ფული კი არა ჰქონია, არამედ გარჯა, ჯაფა, ბეჯითობა და მხნეობა. ამ გზით შექმნილა და მოგროვილა სიმდიდრე, ამ გზით მოსულა ყოველგვარი ქონება და სხვათა შორის ფულიცა, ანუ, უკედ ვსთქვათ, სამოქმედო თანხა და თავნი.

ამისი ცხადი მაგალითი სხვათა შორის ბ-ნი როინაშვილია. აკი ვსთქვით, რომ ბ-ნ როინაშვილი ყოველ მხრით ხელშეუწყობელი კაცი იყო. მაგრამ ამ უმწეო, უფულო კაცმა, ჩაიდო რა გულში საქმის კეთების სურვილი ოცი წელიწადი უბეჯითია, ოცი წელიწადი იმხნევა, ოცი წელიწადი გულგაუტეხელად აჰყვა საქმესა და ბოლოს თავი და ბოლო ერთმანერთს გამოაბა,

საქმე გამართა და დაადგინა. რითაო? იკითხვენ ბევრნი. ფული რომ ვსთქვათ, ფული იმას არა ჰქონია, სხვის შველა და შემწეობა ვიგულისხმოთ, არც ამას შეუწყვია ხელი. მაშ რითაო? იმით, რასაც ყოვლად შემძლებელს სიყვარულს საქმისას ეძახიან. ვისაც გულში ეს სიყვარული საქმისა ჩაესახება, მას წინ არა დაუდგება რა: იგია გამტანი სვე-ბედის ბურთისა მოედნიდამ.

ტყუილი ნუგეშია, ვინც იმით მართლულობს თავს და ამბობს, — საქმეს იმიტომ ვერა ვჭიდებ ხელსა, რომ ფული არა მაქვსო. რასაკვირველია! ფული არა აქვს, არას აკეთებს, ფული რომ ჰქონდეს, ხომ უფრო აღარას გააკეთებს!!... ჩვენ ამას იმ საბუთით ვამბობთ, რომ უფულობით უსაქმურობის, უქმად ყოფნის გამართლება ცონარეობის, ზარმაცობის მომასწავებელია. როგორც წყალწაღებული ხავსს ეკიდება, ისეც ზარმაცი, უნდილი, უხეირო კაცი ამ უფულობას იხვევს ხელზედ და თავის უვარგისობას, დოყლაპიობას ამით ჰფხანს გულსა. მხნე და გამრჯელი კაცი ამითი არ მოსტყუვდება. ამან კარდად იცის, რომ არა დაუდგება რა წინ იმ კაცს, რომელსაც სიყვარული აქვს საქმისა, ბეჯითობა და მხნეობა. ყველაფერი ამაზედ არის დამოკიდებული და ამისი თვალად დასანახავი მაგალითი ბ-ნი როინაშვილია და მისი ნამოქმედარი მუზეი. ტყუილად კი არ არის ნათქვამი:

მხნემან, ვით ჩქარმან წყარომან,
განხეთქოს მთა და გორია.

«ერის ჯანმრთელობა სახელმწიფოს ერთი უდიდესი საზრუნავია»

ტფილისი, 25 სექტემბერი

ჯანმრთელობა ერისა ერთი უდიდესი საგანთაგანია სახელმწიფო მზრუნველობისა. მრავალგვარი ხელის შეწყობა და მომართვა უნდა, რომ ჯანმრთელობის საქმე ერისა რიგიანს ფეხზედ დადგეს. მიზეზნი, რომელზედაც დამოკიდეულია ჯანმრთელობა ერისა საზოგადოდ და ცალკე ადამიანისა საკუთრად, მეტად რთულნი, ერთმანეთში გადაბმული და დახლართულნი არიან და ამიტომაც ყველგან ეს საქმე ცოტად თუ ბევრად ჰკოჭლობს და ხშირად აბათილებს კიდეც დიდს მეცადინეობასა. ხოლო ამ მრავალ და რთულ მიზეზთა შორის ხორაგეულობის ავკარგიანობას და მის ბევრად თუ ნაკლებ წმინდად და ფაქიზად შენახვას დუქნებსა და ერთობ სავაჭრო ადგილებში, საიდამაც ხალხი ამ ხორაგეულობას ჰყიდულობს, უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს. ჰაერი, წყალი და ხორაგი, რომელსაც ერი საზრდოდა და სასმელ-საჭმლად ჰხმარობს, თუ ფაქიზი, წმინდა და კარგი არ არის, კაცის აგებულება, რაც უნდა მაგარი და შეუპოვარი იყოს ბუნებითად, არ შეიძლება თანდათან არ დაიშალოს, არ დაირღვას, ერთი სიტყვით, არ დაიშხამოს, არ მოიწამლოს უდროვო სიკვდილისათვის.

ამ მხრით არ ითქმის, რომ ჩვენი ქალაქები, დაბები და სოფლები ბევრს რასმეს საიმედოს წარმოადგენდეს. დიდი ქალაქები, მაგალითებრ, როგორც ტფილისი და ქუთაისი, ცოტაა თუ ბევრი კიდევ მზრუნველობის ქვეშ არიან და თუ ამ ქალაქებში იმოდენა სიფაქიზე არ არი, რაოდენიც შესაძლებელია და სანატრელი, თუ ამაებშიაც ხშირად ჰსაღდება დამპალ-დუმპალი ხორაგი, წამხდარი და გაფუჭებული საჭმელ-სასმელი. სამაგიეროდ, ამ ქალაქებში ეს მაინც არის, რომ ზოგიერთი მზრუნველობა და მეცადინეობა სჩანს ამ ბოროტის აცილებისათვის. ამ ზოგიერთს მზრუნველობას და მეცადინეობას მოკლებულნი არიან პატარა ქალაქები და დაბა-სოფლები. ნამეტნავად შესანიშნავი არიან ამ მხრით ჩვენებური სოფლები. რომელს სოფელშიაც გინდა შეხვიდეთ, პირველი, რაც თქვენს თვალს ეცემა, წუმპეა, რომელიც შხამავს ჰაერსა. ეს წუმპე აუცილებელი კუთვნილებაა ნამეტნავად იმ სოფლებისა, საცა ვენახებია და სარწყავი მიწები და საცა, ამის გამო ღვთის ანაბარად მინებებულ რუებიდამ დგება გუბეები, წუმპეები და საფლობები. შეხვალთ შიგ სოფელში თუ არა, აუარებელი უწმინდურება, ნაგავი, ფეინი და სხვა ამისთანა ასეთს სუნს ატრიალებს გარშემო, რომ უნებლიედ ცხვირში ხელს დაიცომთ. ხშირად თვით სოფლის სასმელი წყალიც კი ამ უწმინდურებასა და ნაგავ-ნუგავობაშია. ამაებს რომ ჰხედავთ, გიკვირთ, აქ ადამიანი როგორ სცოცხლობს, როგორ იბრუნებს სულსაო. ყოველს ამას ისიც დაუმატეთ, რომ სოფლის საუბედუროდ, დუქანიც არის სოფელში. ხშირად ძნელად წარმოსადგენია, ამ დუქანში რა ხორაგი, რა საჭმელ-სასმელი იყიდება!...

მართალია, მთავრობა ავალებს სოფლის მოხელეობას, რომ ეს ასე არ იყოს და თვალ-ყური ადევნონ ადგილის სიფაქიზეს და გასასყიდ ხორაგის სიკეთესა, მაგრამ ზოგი მტკნარი უმეცრება, ზოგი დაუდევნელობა, ზოგი ნათელ-მირონობა მედუქნისა და მოსახლეობისა ამ ფრიად საჭირო მოვალეობას

ჩრდილში აყენებს და უქმად ამყოფებს. ამ უქმობის შედეგი მრავალგვარი სენი და ავადმყოფობაა, რომელიც არა ერთსა და ორს შეიწირავს ხოლმე უდღეოდ და წინასწარ.

პეტერბურგისა და რუსეთის გაზეთები ამ ბოლოს დროს გვაუწყებენ, რომ მთვრობას მიუქცევია ყურადღება ამ ბოროტისათვის და უკვე პროექტიც თურმე მზადდება, რომ შეივსოს და შესწორდეს აწ არსებული კანონები და წესები ამ საგანზედ. სამწუხაროდ ჩვენდა, პროექტი ჯერ მარტო იმ სასჯელის გაძლიერებაზეა შემდგარი, რომელიც მოსდევს სანიტარულს და სავეტერინარო წესების დარღვევასა. ამ წესების დამრღვეველთ დაედებათ სასჯელად დამწყვდევა სამს თთვემდე და ფულის ჯარიმა ათ თუმნიდამ ოცდაათ თუმნამდე. თუ ვინიცობაა ერთხელ დამნაშავე მეორედაც ჩაიდენს დანაშაულს, ჯარიმა ფულისა ერთი ორად გადახდება. პროექტით შეცვლილია ეხლანდელი სასჯელიც იმისთანა ხორაგისა და საჭმელ-სასმელის გასყიდვისათვის, რომელნიც საკენებელია ჯანმრთელობისათვის. ამაში დამნაშავენი დამწყვდეულ უნდა იქმნან სამი თთვიდამ ექვსს თთვემდე და ამას გარდა უნდა გადიხადონ ოცდაათი თუმანი ჯარიმა; თუ მეორედ ჩაიდინეს იგივე დანაშაული, იმ ხნითვე დამწყვდევაა დანიშნული და ჯარიმა კი ერთი-ორად გადახდებათ და თუ მესამედ, აეყრებათ პატივი და ღირსება და სხვა კუთვნილნი უპირატესობანი, საკუთრად თუ მემკვიდრეობით შეძენილნი. უფრო დიდი სასჯელებია დანიშნული იმათთვისაო, - ამბობს ერთი გაზეთი, ვინც სიწმინდით და სიფაქიზით არ იქონიებს გასასყიდს ხორაგეულობასაო.

სასჯელის გაძლიერება ხსენებულ დანაშაულთათვის იმის ცხადი მაგალითია, რომ მთავრობას ჰსურს ამ გზით ხელი შეუშალოს ერთს დიდს მიზეზს, რომელიც მეტად საგრძნობელად ჰვნებს მკვიდრთა ჯანმრთელობასა. ეს სურვილი მთავრობისა ყველას კეთილმყოფელს და კეთილმოსურნეს ერისას თანასაგრძნობად

გამოიწვევს. რომ ამ სურვილმა თავისი კეთილი ბოლო იქონიოს. სასურველია, იგი წესები გადათვალიერდეს, შეივსოს და შესწორდეს, რომელიც მიმართულია ამგვარის დანაშაულობის აღმოსაჩენად წესიერად განკითხვისათვის. სასურველია, გაძლიერდეს მოვალეობა ზედამხედველობისა. თუ მოვალეობა მოხელეობისა ამ საქმეში ისევ იმ გზით ივლის, როგორც აქამდე, ბევრი დანაშაულობა ვერ მიაღწევს სამართლის კარამდინა, ბევრი ბრალი მიემალება სამართალსა და იმედი ამ მიმალვისა და საქმის ჩაფუჩეჩებისა უფრო აქეზებს ბოროტმოქმედსა, ვიდრე სიმცირე სასჯელისა. ამისთანა საქმეში, როგორიც ერის ჯანმრთელობაა, უქმად ყოფნა დავალებულთა მოხელეთა დიდი დანაშაულობაა და რომ ამ დანაშაულობას შესაფერი პასუხისგება მაინც გაუჩინოს, ზედამხედველობა თვალღიას ბეჯითს მოხელეს, სოფლისაა თუ ქალაქისა, ძნელად გამოეპარება ყოველივე ის, რაც იმის სახელოში არღვევს კანონის მიერ დადგენილ წესებს ერის ჯანმრთელობისას.



«შეუწყნარებელი გულგრილობა საზოგადო საქმისადმი»

ტფილისი, 29 სექტემბერი

ამას წინად ქუთაისში, მომრიგებელ სასამართლოში გაირჩა ერთი შესამჩნევი საქმე. ჩვენ ვამბობთ ბბ დ. ნიჟარაძისა და მ. ქუთათელაძის საქმეზე, რომელმაც ქუთაისში ძალიან ააჩოჩქოლა საზოგადოება და გაზეთების ყურადღებაც მიიქცია. ამიტომაც ჩვენა ვფიქრობთ, რომ ურიგო არ იქნება მკითხველებს საუბარი გავუმართოთ იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს ხსენებულს საქმეს, რითია იგი საყურადღებო. სანამ ამას შევუდგებოდეთ, ორიოდე სიტყვით მოვაგონებთ მკითხველს თვით საქმეს. ბ-ნმა ნიჟარაძემ შეურაცხჰყო ქუთაისის "საურთიერთო კრედიტის საზოგადოება", ამ საზოგადოების დირექტორი, ბ-ნი მ. ქუთათელაძე და დასწამა მას იმ ათასის მანეთის მითვისება, რომელიც ვითომდა ამ "საზოგადოებაში" დაკარგულა. რასაკვირველია, ქუთათელაძემ მიჰმართა სასამართლოს და მოინდომა ნიჟარაძის დასჯა სასამართლოს წესით, მაგრამ სასამართლომ დამნაშავედ არა სცნო ნიჟარაძე, რადგანაც, როგორც აღმოჩნდა მოწმეთა ჩვენებისაგან, საზოგადოებაში ბევრი სწამებდა ქუთათელაძეს იმ საქციელს. აღმოჩნდა, რომ ქუთაისში ამ ათასის მანეთის შესახებ და ბ-ნს ქუთათელაძეზე დიდი ხანია, რაც ლაპარაკობენ და მხოლოდ ნიჟარაძის წყალობით

გამოაშკარავდა და გაზეთებში სალაპარაკო საგნად შეიქმნა ის ათასი მანეთი.

ეგ საქმე იმით არის შესანიშნავი, რომ იგი ეხება საზოგადო ბანკის ფულების დაკარგვას და საზოგადოების მოსამსახურე კაცს, რომლისათვისაც საზოგადოებას არჩევანით მიუნიჭებიათ საპატიო ადგილი ბანკის დირექტორისა. და აი, საზოგადო საქმის მწარმოებელს, ბ-ნს ქუთათელაძეს, თვით საზოგადოება, რომელმაც მიანდო თვისი საქმე, სწამებს ბანკის ფულების დაჩემებას... ის კი არ იფიქროთ, რომ ქუთათურები აღშფოთებულიყვნენ ამ ფულების დაკარგვით და ქუთათელაძის საქციელით, რომლის სინამდვილეზე ქუთათურებს ეჭვიც არ აუღიათ და სცდილიყვნენ იგი შეუწყნარებელი საქციელი გამოეაშკარავებინათ, არამედ შინაობაში ლაპარაკობდნენ ბანკის დირექტორზედ და მის საქციელზე, ზურგს უკან აძაგებდნენ ბ-ნს ქუთათელაძეს და პირით კი აქებდნენ და ადიდებდნენ ქებითა მრავალფერითა, ასე, რომ თუ არ უბრალო შემთხვევა, თუ არ ბ-ნ ნიჟარაძის მოქმედება, შესაძლოა, სრულიად ჩააფუჩეჩებდნენ ამ ათასის მანეთის საქმეს და ბ-ნს ქუთათელაძესაც ისევე უწინდებურად აძაგებდნენ და ადიდებდნენ. არც ქუთაისის საზოგადოებამ და არც "საურთიერთო ნდობის საზოგადოების" მმართველებმა არა იღონეს იმისათვის, რომ ეს საქმე გამოერკვიათ, ბ-ნი ქუთათელაძე ან სრულიად დაეხსნათ ბრალდებისაგან, თუ იგი მართალი გამოდგებოდა, ანდა სცდილიყვნენ გაეძევათ იგი საზოგადოებისაგან, ვითარცა ისეთი კაცი, რომელსაც შესძლებია ბანკის ფულების დაჩემება. ამ შემთხვევაში ქუთათურებმა და იმ "საზოგადოების" მმართველებმა, წევრებმა, გამოიჩინეს შეუწყნარებელი გულგრილობა საზოგადო საქმისადმი, და აგრეთვე კერძო კაცის სახელისა და თავმოყვარეობისადმი. არც საზოგადო ინტერესს მიაქციეს ყურადღება და არც იმას, რომ სამართლიანად და უბრალოდ უსაფუძვლოდ სწამებენ ადამიანს, საზოგადოების წევრს, ბანკის დირექტორს, "საზოგადოების"

ფულების დაჩემებას თუ არა. პირიქით, ალბად იმასა ჰფიქრობდნენ, რომ ათასი მანეთი სადაც უნდა დაიკარგოსო და ადამიანის სახელის უსაფუძვლოდ შებღალვა, ტალახში გასვრა, თუნდაც უმიზეზოთ არა არის რაო; ვინ არ გალანძღულა ამ სოფელში და შებღალულს ადამიანსაც შეუძლიან, სოფელი მოსჭამოსო. ალბათ ჰფიქრობდნენ, რომ "სახელის მოხვეჭა" უქმი სიტყვაა და ამიტომაც არც იმ ათასის მანეთის ბედს გამოუდგნენ და არ ეცადნენ აეხსნათ, ჩაიდინა თუ არა ბ-ნმა ქუთათელაძემ იგი საზიზღარი საქციელი, რომლის გამო ქუთათურები შინაობაში იმდენს ლაპარაკობდნენ, რომ ბ-ნმა ნიჟარაძემ გაბედა და საქვეყნოდ შეურაცჰყო ქუთათელაძე.

ჩვენ ჯერჯერობით უფლება არა გვაქვს ბ-ნი ქუთათელაძე ან გავამართლოთ, ან გავამტყუნოთ, რადგანაც ჯერ საქმე გამოურკვეველია. ჩვენთვის მხოლოდ საჭიროა მკითხველის ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებაზე, თუ რაოდენის გულგრილობით ეპყრობა ჩვენი საზოგადოება საკუთარს საქმეებს, საკუთარის წევრების სახელსა და პირადობას. ეს გარემოება გვიჩვენებს, თუ რამდენად გაუწვრთელნი ვართ საზოგადო საქმეთა სამსახურისათვის...

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დღეის იქით მაინც მიაქცევენ ქუთათურები ამ საქმეს ჯეროვანს ყურადღებას, გამოურკვეველად არ დასტოვებენ იმ ათასის მანეთის ბედსა და არც იმასა, თუ რაოდენად უმართლოდ, ანდა სამართლიანად აბრალებენ ბ-ნს ქუთათელაძეს ამ საქციელს.



«სამრეწველო და სამეურნეო ნაწარმთა გამოფენის მოწყობის შესახებ»

ტფილისი, 30 სექტემბერი

არ ვიცით, შეხვედრია თუ არა ოდესმე ჩვენს მკითხველს დასწრება ჩვენის ტფილისის საბჭოში, როცა იქ ცოტად თუ ბევრად დიდმნიშვნელობიანი საგანი ირჩევა. ჩვენ ამ შემთხვევაში დიდმნიშვნელობიან საგნად ვგულისხმობთ იმასა, როცა გასარჩევი საგანი შეეხება იმისთანა საქმეს, რომელსაც ბუნებითად ასე თუ ისე, ცოტად თუ ბევრად შიგ ჩაწნული აქვს ჩვენის ქვეყნის მკვიდრთა საერთო ინტერესები და არა მარტო ცალკე, განსაკუთრებული ინტერესები მოქალაქეებისა. წელიწადში ერთხელ თუ ორჯელ ამისთანა საქმე ჩამოუვარდება ხოლმე ჩვენს ტფილისის საბჭოს გასარჩევად და ჩვენდა სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ არც ერთხელ ჩვენი საბჭო ამისთანა საქმის სიდიდეს ვერ მიმწვდარა და იმოდენა გონებაგახსნილობით არ დახვედრია, რამოდენასაც თვით საქმის სიგრძე-სიგანეს ითხოვს. ქალაქს, როგორც ნაწილს მთელისას, ესე იგი, როგორც ცალკე ასოს ქვეყნისას, თვისი საკუთარი ცალკე მოედანი აქვს და მის წარმომადგენელთა მოქმედება ამაზეა უფრო მიქცეული. მაგრამ იგივ ქალაქი ამავე დროს მოწყვეტილი ასო კი არ არის მთელისა, არამედ შეხორცებული ასოა, ნაწილია, ცხოვრების ძარღვებით მრავალგვარად და

რთულად შიგ ჩართული მთელთან და ამ მხრით, იგი ერთ-ხორცი და ერთასული ნაწილია ამა მთელისა.

ამიტომაც ჩვენის ფიქრით, დიდი დანაშაულობაა ჩვენის ქალაქის საბჭოსაგან, თუ იგი ამ ორგანებურს კავშირს ივიწყებს მთელთან, მთელის ტკივილის, ლხინსა თუ ჭირსა თავის საკუთარ ლხინად და ჭირად არა სთვლის. მოწყვეტილი, განცალკევებული ასო თავისათვისაც მკვდარია და მთელისათვისაც, იმიტომ, რომ ნაწილი მთელს უნდა აცხოვრებდეს და მთელი ნაწილსა. ასეა შექმნილი ბუნებისაგან ყოველივე საცოცხლებელი აგებულება, რომელიც სიცოცხლისათვის, ცხოვრებისათვის დანიშნულია. ამ ინტერესთა ერთობის თვალით უნდა გასინჯვა ყოველ იმ საქმეს, საცა მთელი მეტყველობს და ჰღაღადებს. კიდევ, ჩვენდა სამწუხაროდ, უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენის საბჭოს წევრთა უმრავლესობას ამოდენად არ უჭირს თვალი: უმრავლესობა იმ ნიჭს, იმ უნარს არის მოკლებული, რომელიც შემძლებელია თვალი და გული ადამიანისა პატარიდამ დიდზე, ნაწილიდამ მთელზედ გადაიტანოს. რომ სრული სიგრძე-სიგანე, სივრცე-სიფართოე გონებას გამოუნასკვოს გამოსახსნელად და გამოსარკვევად. მარტო იმ ნიჭს, იმ უნარს შეუძლიან კაცს დაანახვოს იგი რთული შემაერთებელი ძარღვები ნაწილისა და მთელისა, რომლითაც მთელი საერთოდ და ნაწილი ცალკედ ჰსულდგმულობს ერთმანერთის შემწეობითა, ერთმანერთის გარჯითა და მხნეობითა. ამ ნიჭს, ამ უნარს მარტო გონებაგახსნილობა იძლევა და აი, სწორედ ეს აკლია ჩვენის საბჭოს უმრავლესობას, ამ მხრით საბუთი გვაქვს ვსთქვათ, რომ იგი უმრავლესობა თავისის მოვალეობისათვის უღონოა და თავის დანიშნულებისათვის უადგილო.

მართალია, ნათქვამია: "როგორიც ერი, ისეთი ბერიო", როგორნიც ამომრჩეველნი არიან, ისეთი ამორჩეულნიცა ჰყავთ საბჭოში და ამ მხრით თვითონ საბჭოს წევრი არა ეკიჟინება რა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი: "ყოველი მზგავსი მზგავსსა ჰშობსო".

მაგრამ საზოგადო საქმის გულშემატკივართათვის ამ შემთხვევაში ეს აფორიზმი ვერაფერი ნუგეშია. ნუგეში მარტო ის არის, იმავ საბჭოში არის თუმცა რიცხვით მეტად მცირე ნაწილი, მაგრამ ძლიერი ღირსებით და გონებაგახსნილობითა. გულშემატკივარის კაცის თვალი მთელს თავის ტკივილს გულისას ამ ნაწილის ყურებით აამებს და ანელებს. ეს მცირედი ნაწილი გონებაგახსნილი და ჭკუაფხიზელი ნაწილია და ყოველს თვალმოკლეს, ჭკვამოკლეს და სულმოკლე სჯას საბჭოსას წინ დაახვედრებს ხოლმე ფარ-ხმალს წარმატებულის ჭკვისას და განათლებულის გულისას. რასაკვირველია, საცა კენჭია, იქ უმრავლესობა იმარჯვებს და ჩვენს საბჭოშიაც ასეა, მაგრამ რაც უნდა სთქვათ, დამარცხებული მართალი ყოველთვის სჯობია გამარჯვებულს ტყუილსა და ის მცირედი ნაწილი, რომელიც ჯერხანად ჩვენს საბჭოში ამაოდ იბრძვის და კედელს ცერცვს აყრის, მით არის სასახელო, რომ გულს არ იტეხს და იბრძვის უფრო და უფრო ღონივრად და მედგრად.

რომ ჩვენი საბჭო ვერა სწვდება თვისის დანიშნულების სიმაღლეს, ეგ ცხადად დაამტკიცა წარსულმა ორშაბათმაც. ამ დღეს კრება იყო საბჭოსი და სხვათა შორის საკამათო საგნადა ჰქონდა ერთი იმისთანა საქმე, რომლის გაგებას და გამორკვევას სწორედ ის ნიჭი, ის უნარი უნდა, რაც დასანახავად ამზევებს საქმესა მთელის თავის ვითარებითა, დამოკიდებულობითა და რთულობითა.

საქმე ის იყო, რომ ჯერ შარშან კიდევ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას ეთხოვნა ქალაქისათვის, 1888-ს წელს სასოფლო და სამეურნეო ნაწარმოებთა გამოფენას ვაპირებთო და ქალაქმა შემწეობა მოგვცესო. ამისათვის ორი ათასი თუმანი უთხოვნიათ. დღეს აქამომდე ეს თხოვნა და მის მოსახდელად სდებია ქალაქის გამგეობას თავის სამწერლოს ქვაბში და მარტო წარსულს ორშაბათსღა შეუტანია საბჭოში თავისი დამმოხდილი აზრი ამ საგანზედ და, რა თქმა

უნდა, ცივი და მშრალი უარი წარმოუთქვამს: ქალაქს ამ ხანებში დიდი მოულოდნელი ხარჯები მოუვიდა და ღონისძიება არა აქვს, გამოფენისათვის რაიმე ფული გადასდოსო. ესეთი ცივი და მართლადა მშრალი "ატკაზი" გულს მოხვდა იმ მცირე ნაწილს საბჭოსას, რომელიც გუშაგად უდგა ყოველს საზოგადო მნიშვნელობიანს საქმეს და რომელსაც თვისდა სასახელოდ დევიზად აღებული აქვს: საცა "ჩვენ" არის, იქ "მეს" ხმა არ ამოეღებაო. ამ ნაწილმა შეჰნიშნა, რომ უარი ხომ უარია და ასე უგულოდ გამოთქმული უარი საწყენიაო. ვსთქვათო, უთხრა თურმე პასუხად ამ ნაწილმა: ქალაქს დღეს ღონისძიება არა აქვს ამ საერთო სასარგებლო საქმისათვის, და გამგეობას ერთი თბილი, ტკბილი სიტყვა, ერთი მცირეოდენი გულმტკივნეულობა და თანაგრძნობა მაინც წარმოეთქვაო და ამით მაინც გაენელებინა მთელი სიმწარე უარისაო. რასაკვირველია, ეს გულმტკივნეული სიტყვა მალამოდ არ დაედებოდა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების თხოვნას, მაგრამ მაგისთანა სიტყვა იმის ნიშანი მაინც იქნებოდა ქვეყნის წინაშე, რომ ქალაქის გამგეობას ესმის მნიშვნელობა გამოფენისა, სწამს მისი საზოგადო სარგებლობა, მიხვედრილია და მიგნებულია, რას მოასწავებს და რის მომავლინებელია, როცა ყოველთა წინაშე გამოფენილია ქვეყნის ნაამაგ-ნაწარმოები, ქვეყნის ეკონომიკური ძალღონე, ცოდნა, ხეირი და ქვეყნის ნამოქმედარის ავკარგიანობა, სიდიდრე და სიღარიბე.

სხვისის სიტყვით თუთიყუშსავით ვიძახითო, უთხრეს თურმე იმ მცირე ნაწილის წარმომადგენლებმა: ეს ჩვენი ქვეყანა მდიდარიაო და ნუთუ თანაგრძნობისა და გულმტკივნეულობის ღირსი არ არის იმისთანა საქმე, რომელიც თვალდათვალ დაანახვებს ყველასა, რისი შემძლებლები, რის მომქმედნი და რისი პატრონები ვართო. აშკარაა, ამის მთქმელებს და ამაზედ სამდურავის გამომცხადებლებს აზრად ისა ჰქონიათ, რომ მართლადა ამ შეუწყნარებელს და სათაკილო უგულობას გამგეობისას სამარცხვინოდ არ

გაეხადნა თვითონ გამგეობა ქვეყნის წინაშე და ამის ასაცილებლად ითხოვდნენ, ერთი გულმტკივნეული სიტყვა მაინც არ დაეზოგათ ამ საქმისათვისაო.

მართლადა, საკვირველია, ეს მშრალი უარი იმისთანა საქმეში, როგორიც გამოფენაა ქვეყნის წარმოებისა, გამგეობის უარს იქნება საბუთი ჰქონდეს, მაგრამ ამ უგულობას არავითარი საბუთი არა აქვს, გარდა მტკნარის უვიცობისა, გონებაგაუხსნელობისა და საქმის გაუგებრობისა. ვინც სიტყვას თავდაპირველს სათავეს უსინჯავს, ის ორშაბათს ცხადად დარწმუნდებოდა, რომ აქაც იგივე მიზეზი მოქმედებდა, რაც ჩვენის ქალაქის გამგეობას ცალკე და საბჭოს უმრავლესობას საერთო ჭირადა სჭირს დღეს და სჭირებია ყოველთვის: ქალაქი ცალკეობს და არავითარს კავშირს არა სცნობს სოფლებთან. სოფლის ხსენება რაშიმე და ქალაქის ცივს უარზედ დადგომა ერთია, თითქო ქალაქი და ნამეტნავად ჩვენებური ქალაქი სოფლის შვილი, სოფლის ძუძუმწოვარა არ იყოს და ერთი რამ განცალკევებული, ცალკედ ზღუდეშემორტყმული ქვეყანაა, რომელიც თავისით სცხოვრობს, თავისით სულდგმულობს, ამიტომაც ისე ჰგონიათ, რომ სოფლის ავი და კარგი ქალაქის ავი და კარგი არ არისო. ჩვენებური ქალაქი. რომელიც თვითონ არაფერს არ აკეთებს, არაფერს არა ჰქმნის ქვეყნის სიდიდრის სამატად და მარტო სხვისის საქონლით აღებმიცემობს, უფრო დამოკიდებულია სოფელზედ, სოფლის ავკარგიანობაზედ, ვიდრე სხვაგნებური ქალაქები, რომელთაც თვისი საკუთარი მრეწველობა აქვთ, თვითონ თავის ქარხნებით და ფაბრიკებით აკეთებენ და ჰქმნიან საქონელსა და სავაჭროსა. ჩვენებური ქალაქი მარტო სტომაქია, რომელიც სჭამს და ინელებს სოფლის ნაწარმოებსა და არა ხელი, რომელიც ჰქმნის სიმდიდრეს თავისთავისა და სოფლისათვისაც. ამიტომაც სოფლის მეტნაკლებობა, სოფლის ავკარგიანობა, სოფლის ჭირი თუ ლხინი ჩვენებურ ქალაქებისათვის უფრო ჭკვად მისაღებია,

უფრო გულშემატკივარია, უფრო თანასაგრძნობია. მთელ ჩვენს ქვეყანაში სოფლების ერთიანი კრებულია, ქალაქი ამის ნაწილია და ვაი ნაწილს, რომელიც ჭლამის განგებ, თუ გაუგებრად მოსწყდეს თავის მთელსა.

აი, სწორედ ეს კავშირი, რომელიც ბუნებითად დაარსებულია ნაწილისა და მთელის შორის, არ ესმის ჩვენის ქალაქის საბჭოს, ან ესმის და არ უნდა შეიწყნაროს სხვადასხვა მიზეზთა გამო. რაკი აქედამ გამომდინარებს ჩვენი საბჭოს უმრავლესობის აზრი, მაშინ რაღა საკვირველია, რომ ყოველს საქმეში, სადაც ქალაქთან გარეულია სოფელიცა, იგი უმრავლესობა ისე მოქმედობს, თითქო ამბობდეს: ოღონდ შენ არა ჰცხონდე და მეც ჯოჯოხეთში წავალო. კავკასიის სამეურნეო საზოგადოების თხოვნასაც ისე მოექცა ტფილისის საქალაქო გამგეობა. რაო? სოფლის ნაწარმოების გამოფენაო!.. პანჩური სოფელსაო, ჰკრეს პანჩური და აქ ტკბილი სიტყვა მწარე პანჩურს წამლად ვერ დაედება. აი, სად არის მიზეზი მშრალის უარისა.

მართალია, საბჭოს ჯერ უარი არ უთქვამს და არც დაუმტკიცებია ის არგასაჩენი განაჩენი გამგეობისა ამ საგანზედ, მაგრამ, საკვირველი არ იქნება, რომ ამანაც უარი არ ითაკილოს. ჯერ კამისიაა დანიშნული ამ საქმისათვის და ვნახოთ, რას იტყვის საბჭო ამ კამისიის მოხსენების თაობაზედ. ეს კია, რომ ეხლანდელ საბჭოსაგან არა გაგვიკვირდება რა, იმიტომ რომ:

კარგი რამ გვჭირდეს, გვიკვირდეს,
ავი რა საკვირველია.

«მამულების გამოსყიდვის ოქმის შედგენის ხარჯის განსაზღვრის აუცილებლობა»

ტფილისი, 6 ოქტომბერი

გლეხთა განთავისუფლების წესდების უკანასკნელი აზრი ის არის, რომ გლეხკაცი დააბინავოს თავის საკომლო /ნადელი/ მამულზედ, რომელიც დებულების ოქმით ჰრგებია და დააბინაოს ისე, როგორც ხელშეუხებელი პატრონი და მოსაკუთრე. ამისათვის მთავრობამ დაადგინა წესი მამულების გამოსყიდვისა მებატონისაგან და თვითონაც ფულს აძლევს სესხად გლეხს, რომ ეს გამოსყიდვა შესაძლებელ იქმნას. აი, ეს ოცდასამი წელიწადია მას აქედ, რაც ჩვენში ყმობა გადავარდა, მაგრამ დღემდე ეს გამოსყიდვის საქმე ტაატით მიდის ჩვენში და ტფილისის გუბერნია ამ მხრით თუ ყველა გუბერნიებს უკან არ ჩამორჩება, ბევრზედ მაინც უკანა სდგას.

ამ დაყოვნების მიზეზი ბევრია და სხვათა შორის ის არის მოსახსენებელი, რომ თვითონ ეს გამოსყიდვის წესი ჯერ ვერც ჩვენს გლეხკაცობას გაუგია, როგორც რიგია და ვერც ჩვენს მებატონესა. ამ საქნეში თითოოროლა მებატონის გარდა ყველა ბნელში დადის, არც მებატონემ იცის თავის უფლება და მოვალეობა, არც გლეხმა და ამიტომაც ვერც ერთი ჰბედავს შეტოპვას ამ საქმეში, დიდი სურვილიც რომ ჰქონდეს, და ვერც

მეორე. ეს ასეთი ყოფა და მდგომარეობა მეტად აბრკოლებს ჩვენში გამოსყიდვის საქმეს და გლეხიც, რომელსაც წყურვილი აქვს მამულების გამოსყიდვისა და მებატონეც, რომელიც ჰნატრობს ამ გზით მოშველებას და მორიგებას გლეხთან, ორივენი გულხელდაკრეფილნი არიან, რადგანაც არ იციან, სიდამ როგორ მოუარონ თავიანთს სურვილსა და გულის ტკივილსა.

შორს რომ არ წავიდეთ, მარტო ერთს მაგალითს მოვიხსენიებთ ამ არცოდნისას, რომელიც მეტად ჰხვანჯავს საქმესა და ხელს უცარავს მებატონესაც და გლეხსაც. მამულების გამოსყიდვის ოქმის შედგენას წესდება ვალად სდებს მებატონეს და, რადგანაც მებატონეს ამისი ვერც თავი გაუგია, ვერც ბოლო, ამიტომაც თუ ვისმე სურვილი მოსვლია მამულები მიჰყიდოს თავის ნაყმევსა, მომრიგებელ შუაკაცის ცოდნას და გამოცდილებას უნდა მიჰმართოს. აი, აქ არის იგი კარგი ფონი, რომელიც ერთს ადგილას არჩობს.

მომრიგებელი შუაკაცი ამ საქმეში თავის გასამრჯელოს მოითხოვს ხოლმე, ვითომ იმიტომ, რომ რაც მებატონეს თვითონ უნდა კანონით გაეკეთებინა, შუაკაცს ახვევს კისერზედ და შუაკაცს აკეთებინებს. ჩვენის ფიქრით, ერთი უდიდესი მოვალეობა მომრიგებელის შუაკაცისა იგია, რომ ამ გლეხთა განთავისუფლების საქმეს თავისი სანატრელი ბოლო მოადგეს და გლეხი თავის საკუთარს მამულზედ დააბინავოს. ამ უპირველეს და უდიდეს მოვალეობის აღსრულებისათვის გასამრჯელოს აღება კერძო კაცთაგან როგორღაც შეუფერებელი გვგონია.

მაგრამ მეტი იქნება აქ გამოვეკიდოთ იმის გამორკვევას, თუ რამოდენად საბუთიანია ამ შემთხვევაში გასამრჯელოს გადახდევინება. ვსთქვათ, რომ ეს ასე უნდა იყოს, ხოლო საკითხავი ეს არის, ვის, როგორ და რა ზომით უნდა გამოერთვას ეს გასამრჯელო. ეს საკითხავი მით უფრო პასუხის ღირსია, რომ ზოგან

შუაკაცი მარტო მებატონეს ახდევინებს ამ გასამრჯელოს, ზოგან მებატონესაც და გლეხსაც ცალ-ცალკე ორ ზომად და ზოგან ერთს ზომად და ხარჯს შუა უყოფს მებატონესა და გლეხსა. ამას გარდა, თვითონ ზომა გასამრჯელოსი სხვადასხვა არის: ერთგან კომლზედ რვა აბაზს იღებენ, მეორეთგან თოთხმეტს აბაზს და ზოგან ამბობენ, ხუთ მანათამდინაც ადისო. არა გვგონია, ჩვენში კაცი მოიპოვებოდეს, რომელმაც გადაწყვეტით გითხრათ, რა დაუჯდება გამოსყიდვის ოქმი, რომ მომრიგებელ შუაკაცს შეადგენინოს. ჩვენ შემთხვევა გვქონია გვეკითხნა ამ საქმესთან ახლო მდგომელ კაცთათვის და იმათაც გადაწყვეტილი ამ საგანზედ არა სცოდნიათ რა: ზოგს ერთი უთქვამს, ზოგს სხვა.

ამისთანა მარტივ და სადა საქმეში, როგორც გასამრჯელოს გადახდევინებაა, კაცს რომ ვერა გაუგია რა, რა უნდა გაიგოს იმ რთულს ფორმალიზმობაში, რომელსაც ითხოვს მამულების გამოსყიდვის რთული საქმე.

ჩვენ ეს მაგალითი იმისთვის მოვიყვანეთ, რომ არა ერთს და ორს მებატონეს, თუ გლეხს შემოუჩივლია ჩვენთვის ამაზედ სიტყვის ჩამოგდების დროს, რომ არ ვიცით გამოსყიდვის ოქმი ბევრი დაგვიჯდება, თუ ცოტა და ამიტომაც საქმისათვის ხელი ვერ მოგვიკიდნიაო.

სასურველია, რომ Губернское по крестъянским делам присутствие-მ ყურადღება მიაქციოს ამ გამოურკვევლობას და ყოველთა საცნობელად გამოაცხადოს გამოსყიდვის ოქმის ხარჯი: 1/ ვის უნდა გადახდეს, მებატონეს თუ გლეხსა ცალ-ცალკე, თუ ორივეს ერთად და 2/ რა ზომით უნდა გადახდეს. ამ გზით მომრიგებელ შუაკაცსაც სამდურავის მიზეზს მოაშორებენ და მებატონეს და გლეხსაც ღონისძიებასაც მისცემენ, თავიანთი საქმე წინადვე გამორკვეულის ანგარიშით დაიჭირონ.

«სიყალბე ნავთის მრეწველობაში»

ტფილისი, 7 ოქტომბერი

ვაჭრობა, აღებმიცემობა და ყოველგვარი მრეწველობა და საქმიანობა, რომელნიც ვაჭრობას და აღებმიცემობას ასმევენ და აჭმევენ, ანუ, უკედ ვსთქვათ, ასაზრდოებენ, კარგი რამ არიან, მაგრამ გააფთრებული და გამგელებული ხარბობა და გაუმაძღრობა გამორჩომისა ბევრს ბოროტს და ავკაცობას ჰბადავს ხოლმე. ვაჭარნი, თუ მრეწველნი, გამორჩომის წყურვილით გატაცებულნი, არ ერიდებიან არაფერს, რომ ქვეყანას აასხლიტონ რამე: ოღონდ კი გამორჩომა იყოს და ბევრს არას დაგიდევენ, მოტყუვდება მათგან ვინმე, დაზიანდება, თუ ზედ წეეგლისება სულითა და ხორცითა.

ეს ხარბობა და წყურვილი გამორჩომისა იქამდე გაზვიადებულია დღეს ყველგან ვაჭრობასა და აღებმიცემობაში, რომ კაცს დიდი სიფრთხილე უნდა, სასარგებლო ნივთისა თუ საქონლის სყიდვის მაგიერ, ერთი რამ ან გამოუსადეგი, ან მავნებელი და ჯანმრთელობის დამარღვეველი და შემშლელი არა იყიდოს რა.

ამ სიხარბით გამოწვეული და ხერხითა და ოსტატობით ფრთაასხმული ყალბობა დღეს ყველაფერს ეტანება, ყველაფერს ჰრყვნის, ყველაფერს ჩრჩილსავით უზის და აფუჭებს. არაფერს ერიდება, არც ხორაგეულობას, არც საჭმელს-სასმელს, არც არას სხვას,

ყველგან ეძიებს სიხარბის გასაძღომს და თუნდ ქვა ქვაზედ ნუღარ დარჩება. ეს ამისთანა სიყალბე დღეს კერასინსაც შეაპარეს თურმე ბაქოში და ამისათვის უკვე ყურადღებაც მიუქცევიათ. დაუდგენიათ, რომ ზედამხედველი კონტროლერი ამოარჩიონ ნავთის მხდელთაგან და ამ კონტროლერმა თვალ-ყური უნდა ადევნოს კეროსინის ღირსებასა და ავკარგიანობასა.

მოსკოვის გაზეთი "Русскиий Куръеръ"-ი, საიდამაც ეს ცნობები მოგვყავს, ამბობს, რომ ბევრი ქსელი და ბადეები გააბეს ნავთის მრეწველებმა, რომ როგორმე ეს მეხი მოიცილონ თავიდამ და უხეირო, არგამოსადეგი კეროსინი ისევ ისე ჰყიდონ განუკითხველად, როგორც აქამომდეო. ნავთის მრეწველთა, რა თქმა უნდა, არ დაეფიცებათ ყალბობა კეროსინის გამოხდასა და შერევნაში, მით უფრო, რომ ყალბობა შეუნიშნავთ კიდეც და საკონტროლოდ გახდომიათ საქმე. მაგრამ შესაწყნარებელი არ არის ის საბუთი, რომელიც პატივცემულ გაზეთს მოჰყავს თავისის აზრის დასამტკიცებლად ნავთის მრეწველობის შესახებ.

საქმე ის არის, რომ კონტროლერის ამოსარჩევად ნავთის მრეწველთაგან უნდა ამორჩეულ იქმნას კომიტეტი და ამ კომიტეტმა უნდა აირჩიოს კონტროლერი. ამას წინადაო, ამბობს გაზეთი "Русскиий Куръеръ"-ი, კომიტეტი შესდგა და ამოირჩიაო უფროს კონტროლერად ბ-ნი დოროშენკო. მექარხნეებმა კეროსინისამ როგორღაც თურმე მოახერხეს და ეს არჩევანი გააუქმეს. გაზეთი სწამებს, ეგ იმიტომ მოახდინეს, რომ თავისი კაცი დაეყენებინათო. ამ თიბათთვეში ხელახლად შეუდგენიათ კომიტეტი და ბ-ნ დოროშენკოს მაგიერ ამოურჩევიათ ბ-ნი გ. ეს კაცი მოძმეა კეროსინის მექარხნეებისაო და თუმცა მის პატიოსნებაზედ ეჭვი არა გვაქვსო, მაგრამ მოძმის ზედამხედველობა ბევრს არას მოასწავებსო. აი, ეს მოჰყავს საბუთად თავის აზრისა.

ჩვენის ფიქრით კი, აქ საქმე იმოდენად ხელის გულზეა გადაშლილი, რომ ადვილად გამოირკვევა მართალი. თვითონ გაზეთი ამბობს, რომ $^3/_4$ კეროსინის მექარხნეებისა იმისთანანი არიან, რომელთაც ბ-ნი გ. მოსწონთ და უნდათო. რაკი ესეა, რაკი საქმე არჩევანზეა მიგდებული და ამომრჩეველნი კეროსინის მექარხნეები არიან რიცხვით $^3/_4$ მთელის ამომრჩეველებისა, წესი, რიგი და ბუნება არჩევანისა ერთობ იმას ითხოვს, რომ ამორჩეული უმრავლესობის სასურველი კაცი იყოს. თუ ამ შემთხვევაში ბ-ნი გ. ამ უმრავლესობის წარმომადგენელია, არჩევანს მარტო ქება და დიდება ეთქმის და სხვა არავითარი წუნი არ დაედება.

ჩვენ ამას იმიტომ კი არ ვამბობთ, რომ გამოსარჩლება გვინდოდეს კეროსინის აღებმიცემობაში ყალბობისა. ღმერთმა გვიხსნას. ჩვენ მხოლოდ დედააზრს არჩევანისას ვესარჩლებით: იგი ყოველთვის უნდა შეეფერებოდეს უმრავლესობის სურვილსა და რაც ბევრსა ჰსურს, ის უნდა იქმნას შესრულებული. კაცის გონებას ამაზედ უკეთესი ღონე ჯერ არ მოუგონია ერთს საგანზედ ორის აზრის გადასაწყვეტად. მიტომაც, საცა არჩევანზეა მივარდნილი საქმე, იქ მთავრობა მარტო უმრავლესობის ხმას შეიწყნარებს ხოლმე. მართალია, იშვიათი ამბავი არ არის ქვეყანაზედ, რომ მართალი ზოგჯერ უმრავლესობის მხარეზე არ არის, მაგრამ რას იზამთ: "ხმა ერისა და ხმა მღვთისაო".



«საფრანგეთის მთავრობის დაუდგრომელობა»

ტფილისი, 8 ოქტომბერი

კარგა ხანია საფრანგეთი სწამებს გერმანიას, რომ მზვერავები და ჯაშუშები შემოგვისიაო და საითაც ფეხს წამოჰკრავ, ან მზვერავს წააწყდები, ან ჯაშუშსაო. საფრანგეთში გახშირებული ხმა დადის, რომ ქალი, კაცი, ხელზედ მოსამსახურე და სხვანი ამისთანანი გერმანიის მთავრობისაგან მოსყიდულნი არიანო და ჩვენში რასაც თავის საკბილოს ჰხედვენ, თუ გაიგონებენ, ყველაფერს აცნობებენ ხოლმე თავიანთ მომავლინებელსაო.

ყოველს სახელმწიფოს თავისი საიდუმლონი აქვს და ამ საიდუმლოთა შორის ყველაზედ მეტად გასაფრთხილებელი და დასაცველი იგია, რომელიც ეკუთვნის საომარს მოწყობილებას და სამზადისსა. ყველა სახელმწიფო, ნამეტნავად იგი, რომელიც საპოლიტიკო საქმეთა დახლართვის გამო, ან სხვის ზედმოსევას მოელოდინება, ან, თუ დრომ მოითხოვა, თვითონ ზედდაცემას ჰლამის, იმის ფიქრსა და ზრუნვაშია, რომ მტერს უკეთესის იარაღით და მოწყობილობით დახვდეს და შეეჭიდოს საომარს მოედანზედ.

საომარის ხელოვნების პირველდაწყებითი მოთხოვნილობა ის არის, რომ მტერმა, რაც შესაძლოა, ცოტად

იცოდეს, რის შემძლებელია და რა ხერხისა და ღონისაა მოპირდაპირე. აქედამ, ცხადია, რაოდენი საგნები უნდა იყოს საიდუმლოდ შესანახავი, რომლის გაცემა შესაძლოა ძვირად დაუჯდეს გაცემულსა და ზოგჯერ მის დამხობის მიზეზადაც შეიქმნას. რაკი ესრეა, საკვირველი არ არის, რომ ერთმა სახელმწიფომ მეორეს ჯაშუშები მიუჩინოს და რაც აშკარად ხელთჩაუგდებელია, იგი ჩუმად და ოსტატობით ხელთ იგდოს ჯაშუშობისა და მზვერავობის შემწეობითა. ამიტომაც ეჭვის აღებას საფრანგეთისას გერმანიის მთავრობაზედ დაუჯერებელი მიზეზი არა აქვს რა, მით უფრო, რომ თ. ბისმარკს არა დაეფიცება რა ამისთანაებში. მერე თვითონ შინაური ყოფა-ცხოვრება საფრანგეთისა ჯაშუშობას და მზვერაობას მეტად უადვილებს მსურველსა და ეს გარემოებაც არ შეიძლება არ აქეზებდეს მის მტერს ამნაირ ხელობისათვის.

ერთი დიდი შინაგანი სენი და სათავე მრავალ უბედურებისა საფრანგეთში ის არის, რომ საფრანგეთის ციხე შინიდამვე ადვილად გასატეხია. ამის მიზეზი ის არის, რომ საფრანგეთის შინაური ცხოვრება ზედ ელევა საპოლიტიკო დასთა ბრძოლასა და ამ ბრძოლას ვერ ასვლია, ვერ გასძღოლია. ეს ბრძოლა შინაურ საქმეთა მსვლელობასაც აბრკოლებს და გარედაც უღონოდ ჰხდის თავისუფალ მოქმედებისათვის. ყოველივე ერი, ყოველივე სახელმწიფო ძლიერია და გამძღოლი მოყვრისა თუ მტრისა მხოლოდ მაშინ, როცა ყველას ერთნაირის გულმოდგინებით ერთმანერთისათვის მხარი აქვთ მიცემული. ერთსულ და ერთხორც არიან ყოველს საქმეში, რაც კი მთელს ერს, მთელს სახელმწიფოს შეეხება.

საფრანგეთს, საუბედუროდ, ეს ვერ ეთქმის. საფრანგეთი გაბზარულია, დარღვეულია მრავალ საპოლიტოკო დასთაგან, რომელნიც ერთიმეორეს ეტანებიან და ეჭიდებიან მფლობელობისათვის. ამის გამო იშვიათი ამბავია, რომ ერთი წელიწადი მაინც თავი დაიჭიროს

ერთმა სამინისტრომ, რომელიც საფრანგეთში მარტო უეცარის შემთხვევით გამარჯვებულს დასის წარმომადგენლობას მოასწავებს ხოლმე ხშირად. ერთი დასი მეორესა სცვლის, მეორეს უთხრის ორმოსა და თვითონ შეხტება ხოლმე სამინისტრო ტახტზედ მარტო იმისათვის, რომ თვითონაც ამრიგადვე და ხანდაუყოვნებლად ჩამობრძანებულ იქმნას. ეს დაუდგრომელობა მთავრობისა იმის გარდა, რომ არ აცლის შინაურ საქმეებს გაუძღვეს რიგიანად კაცი, გარედაც პატივს უკარგავს საფრანგეთსა: როგორც მარტის დღეს კაცი ვერ ენდობა, ისეც საფრანგეთის მთავრობას, რომელსაც უხანობა და დაუდგრომელობა თანა სდევს. ერთი მიზეზი იმისა, რომ საფრანგეთი ძნელად ჰშოულობს მოკავშირეს და მომხრეს ევროპაში, ეს დაუდგრომელობა არის საფრანგეთის მთავრობისა იმიტომ, რომ არ იციან, ვისთან დაიჭირონ საქმე, რადგანაც დღეს ერთია და ხვალე სხვა.

ეს ამისთანა გარემოება და ყოფა ძალიან ჰხუთავს საფრანგეთის გამგებლობის და მართველობის საქმესა და ეს მით უფრო დიდი ბოროტია, რომ იქაური სამინისრტო იძულებულია ხოლმე მარტო იმას შეალიოს თავისი ნიჭი, შემძლებელობა და გამრჯელობა, რომ როგორმე ფეხი არ მოუსხლტეს და არ დაემხოს. დასთა სიმრავლე, მრავალკეცი სამტრო მეცადინეობა თვითვეულის მათგანისა იმოდენად ამძიმებს თვითმყოფობის საქმეს სამინისტროსას, რომ მოცლა აღარ არის სხვა საქმეთათვის და მთელი დრო და მხნეობა მინისტრებისა მარტო იმაზე მიდის და იხარჯება, რომ ჩემს ადგილზედ ფეხი როგორმე მაგრად მოვიკიდოო და თანამდებობა, უფლება, ბძანებლობა არავინ უეცარის ხერხით ხელიდამ არ გამომაცალოსო. ვინ არ იცის, რა ტკბილია ყოველივე ესე ადამიანისათვის და ამიტომაც, ვისაც ბედი არგუნებს ხოლმე ამ სიტკბოს, მერე ძნელადღა სთმობს.

რაკი დრო და მოცალეობა ამაზედ იხარჯება, რაღა საკვირველია, რომ ვერც ერთობ სამინისტრო და ვერც

თვითვეული მინისტრი ცალკე ვეღარ იცლის, რომ თავის სახელქვეითო კაცებს და სახელო საქმეს ბეჯითად და საკმაო ყურადღებით თვალ-ყური ადევნოს. გარდა ამისა, ეს გარემოება, რომელიც თვითვეულს მინისტრს ცალკე და მთელს სამინისტროს ერთად მარტო თავისთავის დარაჯად ჰხდის, იძულებულ ჰყოფს ხოლმე, ხელქვეითი კაცნი მისდა ღირსებისდაგვარად კი არ ამოირჩიონ, არამედ მარტო იმის მიხედვით, მომხრეობენ სამინისტროს თუ არა. ამიტომაც ხშირად მარტო ამ მომხრეობის გამოცხადებაა საჭირო, რომ კაცმა მაღალი რამ თანამდებობა ხელთ იგდოს იმისდა მიუხედავად, ავსულია თუ რიგიანი კაცია.

ამას საჭიროა ისიც დაემატოს, რომ საფრანგეთის საპოლიტიკო დასნი თავიანთ სადასო საქმის გამარჯვებას უფრო ჰრჩეობენ, ვიდრე ბედნიერებას მთელის საფრანგეთისას და ამის გამო მარტო იმის ცდაში არიან, არა ჩვენი დასი შეჯდეს სამინისტროს ქანდარაზე და არა ჩვენიო. რადგანაც ამისთანა მიმართულების წყალობით შესაძლო არა არის იმოდენა ხნით მაინც გამინისტრდეს კაცი, რომ დრო ჰქონდეს რაიმე საქვეყნო საქმე გააკეთოს, ამიტომაც უკეთესნი კაცნი საფრანგეთისა სამინისტროში შესვლას უფრთხიან და ერიდებიან. ბურთი და მოედანი იმათა ჰრჩებათ, ვისაც მარტო სახელი მინისტრობისა, თუნდაც ერთის დღის მინისტრობისა, ჰყოფნით გასაძღომად და გულის მოსაფხანად.

აბა, რასაკვირველია, ამისთანა მღვრიე წყალში ადვილია თევზის ჭერა იმისთანა მოხერხებულის კაცისაგან, როგორც თ. ბისმარკია, რომელიც საცა უჯობს, არც ერთს შემთხვევას არ გაუშვებს, გამორჩეს რასმე და ცხადლივ თუ ჩუმად თავისი თვალი და ხელი არ მიაწვდინოს იქ, საცა პატრონის დაუდევნელი თვალი და ხელი არ არის, ან არის და უქმობს კი.

რომ ეს ასეა, ამისი აშკარა და უტყუარი საბუთი გენერალ კაფფარელის საქმეა. გარდა იმისა, რომ ამ გენერალს სწამებენ სამხედრო ჯილდოების დარიგებას

და ფულზედ გაყიდვას, ზოგიერთი ნიშნებია, რომ გამცემელიც ყოფილა მთავრობის საიდუმლოებისა და რადგანაც ყოველ ამაში რეულა და დიდი მონაწილე ყოფილა ერთი ქალი, რომელიც მშვენივრად ჰლაპარაკობს გერმანულად, დაუჯერებელი არა არის რა, რომ აქ ბადეა გაბმული თ. ბისმარკისაგან. ამაზედ ჰღირს დაწვლილებით მოლაპარაკება.

«ევროპის სახელმწიფოთა დაინტერესება მაროკოთი»

ტფილისი, 12 ოქტომბერი

ევროპა საოცარი ქვეყანაა. იქ დიდი განათლებაც არის, დიდად აყვავებული და გაძლიერებული მეცნიერებაც, მეტად მშვენიერი ხელოვნებაც, სასწაულთმოქმედი ხელოსნობაც, ერთის სიტყვით, ყველაფერი რაც ადამიანის, კაცობრიობის სახელსა და დიდებას შეადგენს. თუ კაცობრიობას თავმოსაწონი რამე აქვს, თითქმის მარტო ევროპის მადლობელი უნდა იყოს, რადგანაც დღეს ყველაფერს და ყველგან წინ მიუძღვის ყოველ საქმეში მრავალგვარად ძლევამოსილი და გამარჯვებული ევროპა.

ამ ძლიერს და განდიდებულს ყოფა-ცხოვრებას რომ უყურებს კაცი, ამ განათლებულს მსვლელობას, ამ ყოვლად შემძლებელს მეცნიერებას, ამ აუარებელს სიმდიდრეს, ჰგონია, რომ თუ ქვეყანაზედ სიკეთეა სადმე, ამ ევროპიდამ უნდა გამოვიდესო. ყველა, დიდი და პატარა, ღონიერი და უღონო, ღარიბი და მდიდარი, მაღალი და მდაბალი, ყველა გაუჭირვებლად სულს უნდა იბრუნებდეს ევროპის წყალობითა და მეოხებითაო.

ხომ ესე უნდა იყოს, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ესე არ არის. ყოველ ამ სიკეთესთან ევროპას ორი დიდი და ჯერხანად უძლეველი ჭირი სჭირს: შური და ხარბობა. კაცი იტყვის, მაშ რა განდიდებული და

სახელოვანია იგი, ვინც მაგისთანა უღირსს და სამარცხვინო გრძნობას, მაგისთანა სულმდაბლობის და სულმოკლეობის უტყუარს ნიშანს გულში ინახავს და გულში ატარებსო? მაშ, რა განათლებაა ის, რომ შური და ხარბობაც ვერ უძლევიაო? ჩვენც ეს გვიკვირს, ხოლო საქმე კი ესეა.

ევროპას სხვა დანარჩენი ქვეყნები უპატრონონი ჰგონია, ანუ უკედ ვსთქვათ: ისე აქვს მიჩნეული, თითქო სხვა ყველა ერთად და თვითვეული ცალკე მარტო იმისათვის გაუჩენია ღმერთს, რომ ევროპამა ჰღრღნას, ევროპამა ჰხრას. თქმა არ უნდა, როცა ევროპა საღრღნელად და სახრავად გაიწევს საითმე, ფერ-უმარილს კაცთმოყვარეობისას და გულმტკივნეულობისას წაიგლესს ხოლმე შურისა და ხარბობის დასაფარავად და ამბობს: განადირებული ერია, ნადირთ საცხოვრებელი ქვეყანაა: ცოდვაა, არ მივეშველოთ, ცივილიზაციის სხივი არ მოვფინოთ, ნადირად ქცეული კაცი ისევ კაცად არ ვაქციოთ, გავერანებული ქვეყანა არ ავაყვავოთ მისთა მკვიდრთა საბედნიეროდ. ამას ამბობს ხოლმე ევროპა და გულში კი თვითონვე დასცინის თავის თავს ამ მოკლეფეხებიან ტყუილისათვის.

ამ ფერ-უმარილით წაგლესილი შური და ხარბობა ევროპისა განუზომელია, სამზღვარდაუდებელია. საკმაოა სადმე რაიმე მიზეზი მიეცეს და ხარბობა ევროპისა სვავსავით პირს დააღებს ხოლმე და იმას კი აღარა ჰკითხულობს: რას ვერჩი? რა მინდა? ჩავარდა სადმე ქვეშაგებად აფრიკაში, აზიაში, თუ სადმე სხვაგან რომელიმე სულთანი, ან მფლობელი, ევროპა მაშინვე ანდერძს აუგებს ხოლმე და ხელს იწვდის, მემკვიდრეობა ჩემიაო. საიდამ, როგორ, რისთვის? ამას აღარავინ ჰკითხულობს. ვისაც ხერხი აქვს, დიდი და პატარა ყველანი მემკვიდრეობას ჰჩემობენ. თითქო მართლა ასეა განგებული, ასეა გამჩენელისგანვე წესად დადებული.

აი, ეხლაც: აფრიკაში, გიბრალტარის პირდაპირ, ისპანიის სამხრეთის მხრით, ალჟირის დასავლეთით ერთი ქვეყანაა, რომელსაც 10 მილლიონამდე მკვიდრი ჰყავს და თავისთვინა სცხოვრობს. ამ ქვეყანას მაროკკოს ეძახიან. ამისი სულთანი მულლეი-ჰასანი ავად გახდა და ხმა გავარდა, იმედი არ არის მორჩენისაო. ისპანია, საფრანგეთი, იტალია, ინგლისი და თითქმის გერმანიაც ფეხზედ წამოდგა, არა მე გამოვგლიჯო ამ ქვეყანას საღრღნელად, არა მეო. რათა, ბატონებო? მულეი-ჰასანი ჯერ არ გარდაცვლილა, ადრე და მალე რად იყოფთ მის ავლა-დიდებასა? ეს ერთი. მეორე, მულეი-ჰასანს ღვიძლი შვილი ჰყავს; მამის სამფლობელო შვილისათვის უფრო უპრიანი არ არის? თქვენ ვინა ხართ და საიდამ მოდიხართ? მესამე: თვითონ იქაურთ მკვიდრთა აღარასა ჰკითხავთ? იქნება თქვენი ძალად ცხოვნება არა ჰსურს და თავის საკუთარს ჭირს ჰრჩეობს, ვიდრე თქვენგან მიტანილს ლხენასა. რას ერჩით საწყალს ერს, თავისთვის ავად თუ კარგად მცხოვრებელსა!

განათლება გვინდა შემოგიტანოთო. არ გვინდაო ეგ თქვენი განათლება, არ დაგვეხსნებითო, იძახიან. რა განათლებაა ის განათლება, რომ ხარბობა, ეგ თვისება და უნარი მხეცისა, ვერ დაუმორჩილებია და ყველაფერი მაგისათვის უნაცვლებია, სამართალიც, კაცთმოყვარეობაც და მარტო ძალმომრეობას, თვითნებობას, ძარცვა-გლეჯას, მტაცებლობას და ხვეჭასღა აფარფაშებს და ახეირებს ამ უმადურ ქვეყანაზედაო. რა განათლებაა ის განათლება, რომ ეჩოსავით სულ თავისკენ ითლიდეს, სულ მე და მარტო მეო. არამცთუ ის, რაც მე მეკუთვნის, არამედ ისიც, რაც სხვის კუთვნილიაო!

თვითვეულს სახელმწიფოს, რომელნიც ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ, პირი დაუღია ამ მაროკკოსათვის და ნერწყვი მოსდის მეტისმეტი მსუნაგობისაგან. შე-23საძლოა, რომ ეს უპატრონოდ მიჩნეული ქვეყანა გაწეწ-გამოწეწონ, გაგლეჯ-გამოგლიჯონ, მაგრამ

მაროკკოს ნუგეშად ისიც შესაძლებელია, თავი წამოჰყოს ერთმანერთის შურმაც ამ სახელმწიფოთა შორის. შური, ხარბობასთან ხელიხელგადაბმული, ხომ არც თვითონა სჭამს, არც სხვას აჭმევს. ამაში დიდი ნუგეშია მაროკკოსათვის და ადვილი საფიქრებელია, რომ მაროკკო თავის საკუთარის ბედის ანაბარად დარჩება თავის საბედნიეროდ, თუმცა მადა ყველას გამ-გელებული აქვს ამ მსუქანის ლუკმის გადასაყლაპავად.

«გენერალ კაფფარელის საქმე»

ტფილისი, 14 ოქტომბერი

მთელი ქვეყანაა და გენერალ კაფფარელის ამბავი. მთელმა ჟურნალ-გაზეთობამ ევროპიისამ ჩაჰკიდა კბილი ამ ამბავს და ათასნაირადა ჰღეჭავს. წასულია საფრანგეთის საქმეო, ჰყვირიან ამის გამო ერთნი და იფშვეტენ სიხარულით ხელებს. სად არ მომხდარა მაგისთანა ამბავი და ვის რად უკვირსო, იძახიან მეორენი, რა მოხდა ამისთანა და რა არის და ვინ არის ეს გენერალი კაფფარელი, რომ ამისთანა აყალ-მაყალი ასტეხა და ესე ააყბედა მთელი ქვეყანა?

გენერალი კაფფარელი პატარა კაცი არ არის. იგია მეორე კაცი დიდს შტაბში, რომელიც განაგებს მთელის საფრანგეთის მხედრობის საქმესა. იგი თანაშემწეა დიდის შტაბის უფროსისა. ერთმა სამარცხვინო ხელობისა და ქცევის დედაკაცმა ვიღაც ლიმუზენმა ჩაითრია და გააბა თურმე თავის ბადეში ეს მსხვილი თართი და მის მეოხებით და შემწეობით თვითონაც ქრთამი აიღო და გენერალსაც არა ერთხელ ააღებინა.

ყველამ იცის, რომ ფრანგები მეტად მსუნაგნი არიან ზიზილ-პიპილებისათვის. ოღონდ გულზედ რაიმე ნიშანი დაიკიდონ და ამისათვის დიდს ფულსაც არ დაჰზოგვენ. ეს მსუნაგობა დაიხვიეს ხელზედ ამ ქალბატონმა და ამ გენერალმა და ქრთამით ურიგეს ნიშნები "საპატიო ლეგიონისა." ეს გაუგო მთავრობამ და გენერალი

კაფფარელი გამოძიების ქვეშ ჩავარდა. გამოძიებამ აღმოაჩინა მთელი გუნდი და მთელი ქსელი ამისათვის გაბმული. აღმოჩნდა, რომ პატიოსანს ხელობას ხელს უწყობდა სენატორი დანდლეცა. პრეზიდენტის გრევის სიძეს ვილსონსაც უპოვეს, რომ იმ სახელოვან ლიმუზენთან მითამ დიდი მიწერ-მოწერა ჰქონია და ამიტომაც ვილსონიც გააბეს ამ სამარცხვინო საქმეში.

რადგანაც გენერალი კაფფარელი ბულანჟეს აეყვანა თავის სამინისტროში დიდის შტაბის უფროს თანაშემწედ, რასაკვირველია, ახლოდამ და შორიდამ ბულანჟესაც ჩირქი მოეცხო, მით უფრო, რომ ლიმუზენის სახლში ბულანჟეს სავიზიტო ბარათი იპოვეს. ამ სახით, საფრანგეთის დასებს მოედანი გაუვაკდათ ერთმანეთის წაღმა-უკუღმა ხსენებისათვის.

ჩვენს მკითხველებს კარგა მოეხსენებათ, რა პატივი და სახელი აქვს დავარდნილი საფრანგეთში ბულანჟეს, რომელიც ამ ბოლოს ხანებში მინისტრობისაგან გადმოაბძანეს, სადღაც მიყრუებულ ადგილას კორპუსის უფროსობა მისცეს და თავიდამ მოიშორეს. ამის სამინისტროსაგან გამოკლებას მაშინაც მის მოპირისპირე დასის ოინებს აბრალებდნენ. ეხლაც, რაკი გამომჟღავნდა უწმინდური საქციელი კაფფარელისა, თვითონ ბულანჟეს და მის მომხრე დასსა ჰგონია, რომ ყოველივე ეს იმიტომ გააზვიადეს და მზეზე გამოჰფინეს, რომ ბულანჟეს სრულებით გაუტეხონ აბრუ და სახელი საფრანგეთში და სცდილობენ ჩირქი ამასაც მოაცხონო. ბულანჟეს ეს გამოუთქვამს კიდეც ხალხში და წამოუძახნია, რომ ეხლანდელი სამხედრო მინისტრი ფერრონი ოინებით ორმოს მითხრისო. ეს ამბავი გაზეთებმა მოსდეს მთელს ქვეყანას. მინისტრმა ფერრონმა იწყინა და ქაღალდითა ჰკითხა თავის ხელქვეითს ბულანჟეს, მართალია თუ არა ის, რის თქმასაც გაზეთები შენა გწამებენო. ბულანჟეს პასუხად შემოუთვლია, არ ვიცი, მე გაზეთები ჯერ არ წამიკითხავსო. ფერრონმა დააჯახა მეორე ქაღალდი, სთქვი, ჰო თუ არა, სხვა პასუხი აქ უადგილოაო. მაშინ

ბულანჟემ მოსწერა, მართალია, ვსთქვიო. ბულანჟე ამის გამო ოცდაათის დღით დამწყვდეულ იქმნა და ეხლა ამ სასჯელს იხდის.

პრეზიდენტის სიძის ვილსონის გაბმას ამ უწმაწურ საქმეში იმას აწერენ, რომ ვითომ ჟულფერრის დასი, რომელსაც ეხლანდელი სამინისტრო ეკუთვნის, დიდხანია სცდილობს პრეზიდენტს რესპუბლიკისას გრევის ადგილი დააცლევინოს და პრეზიდენტობა ვითომ ჟულფერრის ჩაუგდოს ხელში. ანგარიში თურმე ასეთია: თუ ვილსონს დაუმტკიცებენ, რომ ამ სამარცხვინო საქმეში ურევია, ჩირქი თვით პრეზიდენტსაც, როგორც ვილსონის სიმამრს, მოეცხობა და ამის გამო პრეზიდენტი გრევი იძულებულ იქმნება პრეზიდენტობიდამ გადადგესო.

იქნება ყოველივე ეს ტყუილი იყოს, მაგრამ რომ დასთა ბრძოლა და დასებისაგან ერთმანეთის ავად ხსენება, ერთმანეთისათვის ორმოს თხრა არ დაეფიცება საფრანგეთსა, ეს უეჭველია. რაკი ეს ამისთანა მიზეზიანი საქმე, როგორც გენერალი კაფფარელის საქმეა, გამომზევდა და რაკი თვითონ ბადე მაგ საქმისა იმისთანაა, რომ შესაძლოა კაცმა, თუ მოინდომა, მრავალგვარად გააბ-გამოაბას, წარმოიდგინეთ, რა ყოფა იქმნება საფრანგეთში, საცა ფეხწამოსაკვრელად ერთი დასი მეორეს არა ჰზოგავს. საკვირველი არ იქნება, რომ ამ ამბავმა თვითონ სამინისტროც შეარყიოს.

ადრეც გვითქვამს და ეხლაც ვამბობთ, რომ ერთი დიდი უბედურობა საფრანგეთისა ამაშია. სხვა ქვეყანაში, რომელსაც ანგარიში გასასწორებელი არავისთან არა აქვს და რომელსაც ხმალამოღებული მტერი თავს არ ადგას, ეს კაფფარელის საქმე, შინაობაშივე აპილპილებული, შინვე ჩაჰქრებოდა. ბევრს ამისთანა საქმეს დაულევია ჩაილურის წყალი სხვაგანაც, ხოლო საფრანგეთის გარემოება სულ სხვაა ღღეს და ამ გარემოების მიხედვით ეს კაფფარელის საქმე გულს გაუტეხს თვით საფრანგეთსა და ფრთებასხმულს იმედს ფრთებს შეუკვეცავს. არ იქნება

არ იფიქრონ, რომ მხედველობა, რომელსაც ამისთანა თავი კაცები ჰყავს, შიგნიდამვე გატეხილი ციხეა და ძნელად თუ გაუმაგრდება იმისთანა ერს, როგორიც გერმანიის ერია, საცა პატიოსნება და მოვალეობა თავის მამულის წინაშე შეუმწიკვლელად, დაურღვევლად უმაღლესს წერტილზეა და საცა კაფფარელობა შეუძლებელია. ამითი უფროა უძლეველი გერმანიის მხედრობა, რომ იქ პატიოსნად სამსახური და მოვალეობისათვის თავდადება ძვალსა და რბილში აქვს თვითვეულს გამჯდარი და კულტამდე არის აყვანილი, ამას როგორცა სჩანს ვერ დაიქადებს საფრანგეთი და მისი უღონობაც ამაშია.



«ყალბი და ნამდვილი»

ტფილისი, 19 ოქტომბერი

კვირანდელს ნომერში ჩვენმა მეთაურმა წერილმა შეჰნიშნა, რომ დღევანდელს დღეს ლოლიკა სადღაც გაჰქცევია და ადამიანის ჭკუა-გონებას ღერძი გასტეხიაო. ამან ისე აშკარად არსად არ იჩინა თავი, როგორც მწერლობისა და საზოგადო მოღვაწეობის სარბიელზედ.

თუ თვალი გიდევნებიათ, შეუძლებელია არ შეგენიშნოთ იმისთანა მწერალნი, რომელის რასაც შიგ თვითონ სდევნიან და ჯვარს აცმენ, იმის ნაათალს დევნულობასაც კი სხვა ქვეყანაში მომაკვდინებელ ცოდვადა სთვლიან და არის ერთი ჭექა და ქუხილი იმ ქვეყნის მტარვალობასა და ბარბაროსობაზედ. გამოდის, რომ შესაძლოა ერთს ქვეყანაში ორჯელ ორი ხუთი იყოს, თუ ეხეირება, რასაკვირველია, და სხვაგან კი მომაკვდინებელი ცოდვა იქნება, თუ ორჯელ ორი ოთხად არ არის მიღებული. ამისი მაგალითები ათასია და უჩვენოდაც გონების თვალწინ გაიტარებს მკითხველი, თუ კი არ დაიზარა.

აი, თუნდა დღევანდელი სამინისტრო აიღეთ ინგლისისა. იგი სამინისტრო შინ ირლანდიას ჰლამის სული ამოართოს მაშინ, როდესაც საგარეოდ, სასხვისოდ რა სხვილ-სხვილს ლაპარაკობს, რა ხელ-გაშლილად იხარჯება!... მაგრამ აქ ინგლისში ზოგიერ-

თის ულოღიკობა, თუნდაც ის ზოგიერთნი გავლენიანნი კაცნი იყვნენ, დიდხანს ვერა ჰსძლებს. აქ ფხიზელი ერია და მაშასადამე, გამკითხველიც. მის უტყუარს მსჯავრს ვერა კაცი ვერ წაუვა, რაც უნდა სახელგანთქმული იყოს და შემძლებელი. ამიტომაც აქ საზოგადო მოღვაწეთა ულოღიკობა საშიში არ არის: ვერავის წაიცდენს ხანგრძლივად, ვერავის წაიტყუებს.

ამით იმისი თქმა კი არ გვინდა, ვითომ აქ კი ღერძგატეხილი ჭკუა და ლოღიკადაკარგული გონება თავს იშვიათად იჩენდეს. ამისი მცდელნი აქაც არიან და ხშირადაც, მაგრამ ალჩუ არ დაუჯდებათ ისე, როგორც სხვაგან, თუმცა ხანმოკლედ აქაც უთენდებათ ხოლმე ამისთანა კაცებს მზიანი დღე. აქ ამისთანაებს ხანგრძლივი ბაზარი არა აქვს და არც ბევრი მუშტარი ჰყავს. ამისი ცხადი მაგალითი დღევანდელი სამინისტროა და მისი ერთგული მონაწილე გუშინდელი ლიბერალი ბ-ნი ჰოშენი. ეს ბ-ნი ჰოშენი 6-ს ოქტომბერს გამოსულა და ერთს კრებაზედ წარმოუთქვამს სიტყვა და გამოუცხადებია, რომ მთელს სამინისტროს მოსწონს მოქმედება ბალფურისაო. ეს ბალფური ირლანდიის საქმეების თავი და თავი გამგებელია. ამ ბალფურმა საჯაროდ ლაპარაკის ნება თითქმის ჩამოართო ირლანდიელებს და სხვა ბევრი ამგვარი კეთილიც არ დაჰზოგა მათთვის და ამას უწონებს თურმე სამინისტრო ჰოშენის სიტყვით. ეს კიდევ არაფერი. ჰოშენი ამხილებს და ჰკიცხავს გლადსტონის მომხრეებს, რომ ტყუილუბრალოდ სძრახვენ ეხლანდელს სამინისტროს ირლანდიის საქმეთა გამოვო. სამინისტროო, უთქვამს ჰოშენს, სცდილობს კანონი აღსრულებაში მოიყვანოსო და, მაშასადამე, ვინც ამაში სამინისტროს ეწინააღმდეგება, იგი წინააღმდეგია თვით კანონისაო.

აბა, ეხლა თირკმელები გაუსინჯეთ ამ სიტყვებსა. რომელი კანონი მოჰყავს აღსრულებაში ეხლანდელს სამინისტროს ქებულის ბალფურის ხელითა? იგი, რომელიც სამინისტრომ მიაღებინა თავის მორჩილს

პარლამენტსა და რომელმაც დაარღვია ძირეული და ყველაზედ უუძვირფასესი კანონი ინგლისის კონსტიტუციისა. ჭეშმარიტნი ლიბერალნი ამას სჩივიან და ამას სტირიან და ჰოშენი კი, გუშინდელი ლიბერალი, რომელსაც ერთს დროს უქადაგნია გამოჩენილთა ლიბერალთა დედააზრნი და ამ დედააზრთათვის თავი გამოუდვნია, დღეს ყოველს ამას შემოსწყრომია. ეგ კიდევ არაფერი. შესაძლოა კაცმა აზრი, ფიქრი გამოიცვალოს იმიტომ, რომ რაც გუშინ მართალი ჰგონებია, შესაძლოა დღეს ტყუილი გამოდგეს. ხოლო აქ ეს ჰოშენის ამბავი სხვა გზით არის მოსავლელი და სხვა გზით ასაწონავი. იგი ესარჩლება სამინისტროსაგან კანონის დარღვევას კანონის სახელითავე. მისის სიტყვით გამოდის, რომ ვინც კანონის დარღვევას ეწინააღმდეგება, იგი წინააღმდეგია კანონისა. მოდით და აქ ბოლო თავს გამოაბით ისე, რომ ლოღიკას არა აწყინოთ რა. აი, ამას ვამბობთ, რომ ჭკუა-გონებას ღერძი გაუტყდაო! აი, ამას ვამბობთ, რომ ლოღიკა თავის ბუდიდამ ამოფრთხა და სადღაც გადიკარგაო!

ახლა ჰნახეთ იგივე ფოშენი რაებს იტყვის, რაებს გააბრტყელებს, თუ შემთხვევა მიეცა და სხვა ქვეყნის გამო დაიწყო ლაპარაკი ამავე საგანზედ! ნაცარტუტას ადენს და მიწასთან გაასწორებს. აი, დღევანდელის დღის სატკივარი რომელია! მეცხრამეტე საუკუნემ, რომელმაც ასეთი ძლევამოსილობა გამოიჩინა ყველაფერში, რომელმაც მანძილი და დრო დაიმორჩილა, ზღვა ყურმოჭრილ ყმად გაიხადა, უზარმაზარი მთები გასჭრა და გაარღვია, ცა და დედამიწა ხელის გულზედ გადიშალა, ამ მეცხრამეტე საუკუნემ ვერა უხერხა რა, რომ ბუნებით მონიჭებული ლოღიკა საზოგადოდ მოღვაწე კაცს შეჰრჩენოდა.

ეს, რასაკვირველია, მარტო იმ ცალკე კაცებზედ ითქმის, ვისაც ბედმა არგუნა თავის ასე თუ ისე გამოჩენა საზოგადო სარბიელზედ. უფროს-ერთნი პოლიტიკოსები და მწერალნი არიან ამაში დამნაშავენი.

ხოლო, ამათ წინააღმდეგი არის ერთი არსება, რომელსაც ერს ეძახიან და რომლის სიღრმეშიაც, როგორც ზღვის ძირში მარგალიტი, თავს ინახავს ლოღიკა და, მაშასადამე, მართალიცა. საცა ეგ ერი თვალახილებულია, იქ დიდი მანძილი, დიდი საგზალი არა აქვს ულოღიკოდ რახუნსა და უდედააზრო საქმესა. ამის მაგალითს წარმოგვიდგენს იგივ ინგლისის ერი, რომელიც ჰოშენისთანა კაცებს იმისთანა მხნე მაომარს მოუსევს ხოლმე, როგორიც სახელოვანი გლადსტონია.

ჰოშენი 6-ს ოქტომბერს ხომ ამაებს ჰლაპარაკობდა გლადსტონელებზედ, იმავ 6-ს ოქტომბერს გლადსტონი თავისის მეუღლით და შვილით ნოტინჰემში წამოვიდა რკინის გზით ერთის თავის მეგობრის სახლიდამ, საცა იგი სტუმრად ყოფილიყო, და აბა ჰნახეთ, რა ყოფით და რა ამბით ეგებებოდა ინგლისის ერი ამ სახელოვანს კაცს ყოველს სადგურზედ. ყოველს სადგურზედ იმოდენა ხალხი მოგროვილა თურმე, რომ ტევა აღარ ყოფილა. სიხარულის და აღტაცების ყიჟინას, ტაშისცემას, "გამარჯვების" ძახილს სამზღვარი არა ჰქონია. სტოკპოროტის* სადგურზედ მთელი ქალაქი ზედ დასდებოდა და დიდის კიჟინით და ხმაურობით სალამს აძლებდა გლადსტონსა. რადგანაც ამ სადგურზე ახლოა სახლები, აქ სიფრთხილისათვის ნელა დადის მატარებელი და აქაოდა გლადსტონი მობრძანდებაო, ფანჯრები, კარები, მოაჯირები, ერთის სიტყვით, საცა კი დგომა და ყურება შეიძლებოდა, სულ გაჭედილი ყოფილა ხალხითა და იყო თურმე ერთი განუწყვეტელი გრიალი სიხარულის და აღტაცებულის კიჟინისა, ტაშისცემისა და მისალმებისა. შეფფილდის ვოგზალზედ ასეთი ჭედა ყოფილა ხალხისა, რომ დიდის შიშით და სიფრთხილით ძლივძლიობით დასძრეს ადგილიდამ მატარებელიო. ამ დიდის ყოფით და ამბით დახვედრამ და მოგებებამ იქამდე მიაღწიაო, რომ გლადსტონმა დეპეშა მისწერა ნოტინჰემში, თუ შეიძლება

* სტოკპოროტი სამანუფაქტურო ქალაქია.

მომიხერხეთ შემიმცირონ ეს ყოფა და ამბები, რადგანაც მეტისმეტად დამღალა ხელის ჩამორთმევამ და სიტყვის თქმამაო. ამისდა მიუხედავად, არამც თუ სადგურებზე ეგებებოდა ხალხი, თვით ლიანდაგის ორსავ პირზე მთელს გზაზედ ხალხი იყო გამწკრივებული და ერთის კიჟინით და ტაშისცემით აცილებდა გლადსტონსა. უკანასკნელად ნიუ-არკაში დახვდნენ და მოეგებნენ გლადსტონს გლეხკაცნი ტაშისცემით და ძახილითა. ეს ნიუ-არკი თურმე ის ადგილია, საიდამაც გლადსტონმა პირველ გამოდგა ფეხი საპოლიტიკო სარბიელზედ. ამ ყოფით და ამბით გლადსტონი მისულა ნოტინჰემს.

რას მოასწავებს ყოველივე ეს? იმას, რომ ტყუილს მოკლე ფეხები აქვს; იმას, რომ რაც გინდ ოსტატურად ამრუდო სასწორი ჭეშმარიტებისა, ადრე იქნება თუ გვიან, გამრუდებულს სასწორს თავის ლარზედ დააყენებს ლოღიკა ერისა. იგი აღტაცებით და დიდის პატივით მიეგება გლადსტონს და მით მხარიღლივ წუნი დასდო ჰოშენისთანა კაცებსა. ნათქვამია: ჭკუა რომ დაიკარგოს, მთაში მონახეო. არა, ჭკუა რომ დაიკარგოს, ხალხში უნდა მონახოთ. სულიერს განძს კაცობრიობისას აქა აქვს თავისი სალარო და ლოღიკაც — ეს უკეთესი. ნიჭი ადამიანისა, — აქა ჰპოულობს თავის სადგურსა.

«დიმიტრი ყიფიანის გარდაცვალება»

ტფილისი, 28 ოქტომბერი

თავზარის დაცემამდე შემაძრწუნებელი ამბავი დიმიტრი ყიფიანის უბედურად გარდაცვალებისა ჯერ განმარტებული არ არის დაწვრილებით, ვრცლად ჯერ არაფერი ახალი არ შეგვიტყვია.

მხოლოდ ეს ვიცით, რომ მოჭირნახულე პატიოსანი მოხუცი მოკლულ იქმნა ბოროტმომქმედთაგან თავის სადგურში, ქალაქს სტავროპოლს.

რა უნდოდათ? რა იხარბეს? რას მოელოდნენ ამ ყოვლად გაღარიბებულ და დღემილეულ კაცისაგან!

მისი სიმდიდრე მარტო ის ორიოდე დღეღა იყო, რომელიც ღრმად მოხუცებულს კვლავ დარჩენოდა და ბოროტმომქმედთა თითქო ესეც შეჰშურდათ და წაართვეს.

ჰქონდა სხვა სიმდიდრეც, მაგრამ იგი სიმდიდრე წასართმევი და მოსატაცებელი არ არის. ეგ სიმდიდრე მისი სამსახური და ღვაწლია. ეს სიმდიდრე მაგარს ციხეშია და ამ ციხეს ხსოვნა ჰქვიან: ვერავინ შეამტვრევს, ვერავინ შეანგრევს.

მაშ, რას დაჰხარბდა სხვას ბოროტმომქმედება ავაზაკისა! მის გახუნებულს და დაძველებულს ტანთსაცმელს? მაგისთვის გაიმეტა ბოროტებამ სიხარბისამ პატივსადები, პატივსაცემი მოხუცებულობა, რომ-

ლის წინაშე აფთარიც კი მოწიწებით მუხლს მოიდრეკდა!

“ეჰ, სოფელო, რა შიგან ხარ!”... სადღაა შენში ცოდვა და მადლი! ნუთუ ესენი მარტო ცარიელი სიტყვებიღაა და საგანი განქარდა.

ეჰ, ადამიანო რამოდენად უწმინდური ხარ!.. რამოდენად სულდაბალი ხარ!.. ტყის ნადირს, მხეცს მეტი სიბრალული ექმნებოდა, რომ დაინახავდა მისს თოვლივით ათეთრებულს თმას, მის ხნეობით დანაოჭებულს ჭკვიანს, მშვიდობიანს და ღრმა ფიქრით, ღრმა ნაღვლით აღბეჭდილს სახესა. შენ კი, ღვთისა მსგავსებით და სახით შექმნილო, არ შედრკი და წმინდად მისაჩნევი მოხუცებულობა შესვარე სისხლითა და შეაგინე ცოდვითა.

თვალწინ გვიდგა იგი წარმოსადეგი მოხუცი წამებულის გვირგვინითა. მის დიადად მეტყველს და მხნეობით სავსე სახეს ზედ დაჰფენია შარავანდედი ტანჯვით მოკლულის...

მისი სამსახური და ღვაწლი ყველას ანდერძსავით აქვს...

დიახ, ბატონებო, იგი აღარ არის... მოკვდა!.. გარდაიცვალა და არ გარდიცვალებიან მხოლოდ მისი სამსახურნი, მინი ღვაწლნი, მისნი საქმენი... ამისთანა იშვიათს კაცებზეა ნათქვამი:

“მოკვდა და თავის ანდერძით,
აწ ისევ საქმობს მკვდარიო”.

«ყრმობა

დიმიტრი ყიფიანისა»

/მისს საკუთარ ნაწერთაგან/

ტფილისი, 31 ოქტომბერი

არა გვგონია ჩვენს მკითხველებში ბევრმა იცოდეს, ვინ იყო ან რა იყო შიპულინი. საცოდნელი კი არის ყოველს ქართველისათვის, რადგან ამ შიპულინის ხელში გაუვლია არა ერთსა და ორს თაობას ჩვენის მამა-პაპებისას. შიპულინი გახლდათ უფროსი ეგრედწოდებულის "კეთილშობილთა სასწავლებლისა", რომელიც ამ საუკუნის პირველ მეოთხედს გამართა რუსის მთავრობამ ტფილისში და რომელიც იყო პირველი საერო სასწავლებელი.

ამ სასწავლებელში მიუღიათ რუსული განათლება იმ ქართველებს, რომელნიც დღეს ან არ არიან ჩვენს შორის, ან ღრმად მოხუცებულან, ან კიდე "ნახევარ ცხოვრების გზაზე" მაინც მეტი გაუვლიათ უკვე. იმათთვის უცხო არ არის შიპულინის სახელი; ისინი ეხლაც ხშირად მოიგონებენ ხოლმე ამ შიპულინს, თუკი ლაპარაკი ჩამოუვარდებათ თავიანთ ყრმობაზე. სიამოვნებით იგონებენ იმ დროს, რომელიც შიპულინის ხელში გაუტარებიათ, იმიტომ კი არა, რომ თვითონ შიპულინისაგან ახსოვდეთ რამე სიამე და სიკეთე,

არამედ იმიტომ, რომ შიპულინის ხსენებაზედ აგონდებათ თავიანთის სიყმაწვილის დღენი და ეს დღენი ვისთვის არ არის სასიამოვნონი. ხოლო თვითონ საკუთრივ შიპულინი კი სხვას რას და ვის მოაგონდება, თუ არ იმისთანა კაცს, რომელსაც მწვრთელად მიაჩნდა ბრტყელი სახაზავი და ჩამაგონებელად იმ სახაზავის ტყლაშა-ტყლუში ხელის გულზე.

შიპულინი ძველისა კი არა, ძალიან ძველის აღთქმის კაცი იყო, უუძველესისა და იმისი პედაგოგია აშენებული იყო იმ მოძღვრებაზე, რომელიც გვეუბნება, რომ დასაბამი სიბრძნისა არს შიში პედაგოგისა. შიშით კი, მართალია, დაშინებული ჰყვანდა შეგირდები, მაგრამ სიბრძნისა კი რა მოგახსენოთ.

აი იმ შიპულინობაზე რას მოგვითხრობს თვით დიმიტრი ყიფიანი:

"1820 წლის დასაწყისებში ბაშვის ნათესავებს ორში ერთი უნდა ამოერჩიათ, თუ ჰსურდათ შვილისათვის სწავლა რამ მიეღებინებინათ იმიტომ, რომ მარტო ორი სასწავლებელი იყო.

" აქ, რასაკვირველია, იმის თქმა კი არ გვინდა, სად, როგორ ასწავლიდნენ, ამაზედ ძალიან ცოტა რამ არის სათქმელი. სასულიერო სემინარიაში და კეთილშობილთა სასწავლებელშიაც მარტო ერთსა და იმავე წესს ადგენენ, სტრიქონიდამ სტრიქონამდე ზეპირად დასწავლა გაუგებლად; და თუ ყმაწვილი დააშავებდა რასმე, ხელის გულზე სახაზავის ტყაპა-ტყუპი. აი, მაშინდელი პედაგოგიური სიბრძნე.

" პირველად მე მიმცეს სემინარიაში, ორი წლის შემდეგ გადამიყვანეს კეთილშობილთა სასწავლებელში.

" დამსვეს მეორე კლასში. მიღების შემდეგ მეორე დღეს შემოვიდნენ კლასში აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობისა, პავლე ივანეს ძე შიპულინი, მასწავლებელი რუსულის ენისა პეტრე სტეფანეს ძე სროტინსკი; ამათ თან მოსდევდა რამდენიმე შეგირდი უფროსის კლასებისა, რომელთა შორის,

როგორც მახსოვს, იყო წამოსადეგი ახალგაზრდა, თავადი ლევან მუხრანსკი. ესენი ყველანი შემოვიდნენ და გამოსწიეს პირდაპირ უკანა სკამებისაკენ და, ამ ყმაწვილის ჩვენებით, მე წამომადგნენ თავსა.

“ მათი სახელები მე მხოლოდ შემდეგში გავიგე, იმ დროს კი მე არ ვიცნობდი არც უფროსებსა და არც ამხანაგებს.

“ — როგორ გაჰბედე და დაჰრეკე ზარი, როდესაც შენთვის არავის უბრძანებია? — მუქარითა მკითხა უფროსმა.

“ მე არ ვიცოდი, რას მედავებოდნენ და გაშტერებული შევყურებდი,

“ ჩამავლეს ყურებში ხელი, გამიწივ-გამომიწიეს და ხელმეორედ შემომიტიეს.

“ — მე არ დამირეკია — მეთქი — ვუთხარი.

“ — მე ე, სწორედ ამან კი დარეკა? — ჰკითხა შიპულინმა ახალგაზდასა.

“ — მაგან, მაგანაო, — უპასუხა ამ ახალგაზდამ და იმისი სიტყვა დაამოწმეს ამხანაგებმა.

“ — ოჰო! კიდევ რომა ჰმალავს და არ უნდა გამოტყდეს? ვერ უყურებთ!... მამიტათ სახაზავი აქა!

“ და რაღაც უცნაურის გააფთრებით მირტყეს და მირტყეს სახაზავი ხელის გულზე.

“ თანა მტკივა და ჯავრი მომდის!

“ — რისთვისა მცემენ — მეთქი, ვკითხავდი ჩემს თავსა და ცრემლი ღაპა-ღუპით ჩამომდიოდა ლოყებზე.

“ მე იმდენადვე ვიყავ დამნაშავე იმაში, რასაც მაბრალებდნენ, როგორც თქვენა, ჩემო მკითხველო.

“ შეცდომა იყო! საყვარელი დედა მასწავლიდა, რომ შეცდომა უნდა შეუნდოს კაცმაო, და, მგონი, მეც შევუნდე: მაგრამ დავიწყებით კი ვერ დავივიწყე.

“ შემდეგ შიპულინმაც კი გაიგო, რომ შემცდარი იყო; მაგრამ იმდენად კაცური ვაჟკაცობა არა ჰქონდა, გაესწორებინა შეცდომა და როგორმე დაყვავებით მომქცეოდა.”

ეს იყო პირველი ლახტი, რომელიც ბედმა მოახვედრა პატარაობითვე დიმიტრი ყიფიანის შიპულინის ხელით! ამ უსამართლობამ, რასაკვირველია, შეარყია ბაშვური სიწრფოება მეტად მგრძნობელის ყრმისა.

ამის შემდეგ დიმიტრი ყიფიანი მოგვითხრობს კიდევ ერთს ამბავს.

მაშინ იგი მეხუთე კლასის შეგირდი ყოფილა. იმ დროს ცოტა ნაკლებად ყოფილა ჩვენში “ცივილიზაცია” და, წარმოიდგინეთ, ტანცაობა თითქმის არავისა სცოდნია. ყოფილან აფიცრებიცა, მაგრამ იმ დროს ომი იყო სპარსელებთან და მთელი აფიცრობა საომრად იყო გასული. ნახეთ უბედურება: ქალებს “კავალერები” არა ჰყოლიათ. იმ დროს ტფილისში გუბერნატორად იყო ხოვენი და მასთანავე პირდაპირ განაგებდა “კეთილ-შობილთა სასწავლებლის” საქმეებსაც. მოტანცავე ქა-ლების საამებლად, ხოვენმა განკარგულება მოახდინა თურმე, რომ ამ სასწავლებლის უფროს კლასებიდამ დარჩეულს შეგირდებს ევლოთ წვეულებაზე და “ეკავალერნათ” ქალებისათვის ტანცაობაში. ამორ-ჩეულ შეგირდთა შორის მოჰყვა ჩვენი დიმიტრი ყიფიანიც.

“მეხუთე კლასის შეგირდებიო — გვიამბობს მარად-სახსენებელი დიმიტრი — სკოლის არისტოკრატიასავით იყო მესამე კლასის შეგირდების თვალში. ხშირად ჩვენ შევდიოდით მესამე კლასში მასწავლებელთა მაგიერ, როცა ისინი არ მოვიდოდნენ და გამოვიჭიმებოდით ხოლმე მასწავლებლის კათედრაზე.

“ტანცაობის მეორე დღეს სასწავლებელში წასვლა მომიხდა იმავ ტანისამოსით, რომელიც მეცვა წვეულო-ბაზე და მხოლოდ კლასში შევამჩნიე, რომ ყურთმა-ჯებზე მაქვს თეთრი ლაქები, წმინდა სანთლის ნაღვენ-თი. რასაკვირველია, კარტოფილის სანთელი მაშინ არ იყო ჯერა. თვალში ეკლად მეჩვენა ეს უფაქიზობა და მინდოდა ლაქები როგორმე გამეშავებინა. ჩემს ახლოს ვერც ერთს ამხანაგს ვერ ვუპოვე საწერელი, ამიტომ მე გავედი მესამე კლასში. იქვე კარს უკან სტოლზე

თვალი მოვკარ საწერელს, ამოვაწებე კალამი და უსვამდი ლაქიან ადგილებსა. რასაკვირველია, არცრა ხმაურობა და არცრა უწესოება არა მომხდარა რა ამით.

ხოლო თათრულის ენის მასწავლებელს, მირზა ჯაფარ თუშმალოვს, რომელიც მასწავლებლის კათედრაზე მჯდარიყო, ალბად ეწყინა, რომ მისკენ ზურგშექცეული ვიდექი. სწორე გითხრათ, არ ვიცოდი, რომ იქ იჯდა, თორემ განგებ ზურგს რად შევაქცევდი! რისხვით და წყრომით დამიყვირა ქართულად:

“ — შენ მანდ რას აკეთებ?

“ რას მიყვირის — მეთქი, ვთქვი ჩემს გულში, რადგანაც არ ვიცოდი მიზეზი, და გაოცებულმა ვუპასუხე “მაგდენს არაფერს!”. რაც ამ სიტყვებს მოჰყვა, იქიდამა სჩანს, რომ ჩემი პასუხი მეტისმეტ კადნიერებად მიიღო მირზა ჯაფარ თუშმალოვმა: წამოხტა ზეზე, მომვარდა მე: წამწვდა ორისავე ხელით თმაშია და, განძვირებულმა რაც ძალი და ღონე ჰქონდა, აქეთ-იქით მათრია, თან ტკივილი მარჩობდა და თან გაუპატიურება. გავიწიე კარებისაკენ, რომ დირექტორთან მეჩივლნა, მაგრამ ამ დროს წამსკდა ცხვირიდამ სისხლი და დერეფანის კედელს მივეყუდე, მანამ შესწყდემოდა.

“მირზა ჯაფარს დრო მიეცა და თითონ გაიქცა დირექტორთან და შეეჩივლა, ვითომც მე იმასა ვსცემე და არა იმან მე.

“იგივე გმირი პირველის ეპიზოდისა, პ. ი. შიპულინი, რომლის წინაშე მართალი ის იყო, ვინც დაასწრობდა ან საჩივარს, ან დაბეზღებასა, დამადგა თავზე და თავის ჩვეულებისამებრ შემომიტია:

“ — როგორ გაბედე, როგორ!!

“შიპულინმა შემატყო, რომ პასუხის თქმაც აღარ შემიძლიან, აღარავის აღარა ჰკითხა, უბრძანა მირზა ჯაფარს — თან გამომყეო. და ორნივ ერთად წავიდნენ, რომ გუბერნატორს მოახსენონ ეს ამბავი: ალბად ეგონა, რომ მძიმე საქმეა, და თითონ ვერ გაბედა მისი გარჩევა.

“მაშინათვე დამიბარეს გუბერნატორთან.

“მანამ მივიდოდი, შიპულინსა და თუშმალოვს, რასაკვირველია, ისე განემარტებინათ საქმე, რომ გუბერნატორი გაეცეცხლებინათ. რაღა გაცეცხლება უნდოდა მაშინდელს სამხედრო გუბერნატორს, რომელსაც უამისოდაც შეთვისებული ჰქონდა, რომ უფროსთან უმცროსი მუდამ მტყუანიაო.

“ამ გუნებაზედ იყო გენერალი ხოვენი, და მისვლის უმალვე მომახალა მიწასთან გამასწორებელი სიტყვები:

“ — როგორ გაჰბედე და ხელი შეახე მასწავლებელს?

“ჯერ არც კი გაეთავებინა ეს სიტყვა, რომ შემოვიდა გენერალ-ლეიტენანტი თავადი ბაგრატიონი, ძმა გამოჩენილის პეტრესი და მამა მეორე პეტრესი, რომელიც შემდეგში გახდა ოსტზეის გენერალ-გუბერნატორი.

“მე გულს მიკლავდა, გონებას მიშფოთებდა ის აზრი, რომ უდანაშაულოდ ასეთი შეურაცხოფა მომაყენეს, და მასთან, როგორც ეტყობოდა, მევე უნდა მტყუანი გამოვსულიყავ.

“მანამ გენერლები ერთმანეთს სალამს მისცემდნენ და მანამ რომან ივანეს ძე ხოვენი უამბობდა რომან ივანეს ძეს თავადს ბაგრატიონს ჩემს საქმესა, მე იმოდენად დამიმშვიდდა გული, რომ შევსძელ და ვუამბე, როგორც მოხდა საქმე.

“ბაგრატიონი ყურადღებით მისმენდა, მერე მიუბრუნდა გუბერნატორს და უთხრა:

“ — როგორ შეიძლება რომან ივანეს ძევ! კეთილშობილთა სასწავლებელში ხომ აზნაურიშვილები სწავლობენ! ჩემი შვილებიც იქ არ არიან! რა ამბავია, როგორ შეიძლება? ვინ უნდა გაბედოს იმათი ცემა? მერე თმით თრევა, განა იგივე ცემა არ არის? თქვენი ნებაა, მაგრამ ეგ კი მეტისმეტია და მაგრე არ შეიძლება!

“ხოვენს მაშინვე გამოეცვალა გუნებაცა და აზრიც.

“იმან დაუწყო დარიგება და ჩაგონება შიპულინსა და მირზა ჯაფარს, რომ შეგირდების ცემა არ შეიძლებაო, და ბოლოს, როცა ისტუმრებდა, უბრძანა, რომ კვლავ აღარ იყოსო.

“მერე მომიბრუნდა მე:

“ — შენ კი მადლობა უთხარი ღმერთსა და ამ თავადსა, რომ მაგრე ადვილად გადაჰრჩი! მიფრთხილდი კი! კვლავ აღარ იყოს — მეთქი! გესმის, აღარ იყოს — მეთქი! თორემ ვაი, შენი ბრალი!.. წადი და არსად რა სთქვა ამაზე.

“ჩემი უთქმელობა რაღა საჭირო იყო: შიპულინს ეს ამბავი მოეფინა კიდეც და, მანამ მე დავბრუნდებოდი, ყველას შეეტყო სასწავლებელში, რითაც გათავდა საქმე. საგონებელში — კი ჩავვარდი და გავიფიქრე:

— კვლავ აღარ იყოსო!! “ განა რაც კი იყო, ჩემი ბრალია? ან ჩემი ბრალი იქნება განა, თუ კიდევ იქნება რამ მაგისთანა მერმეცა?

“ამაებზე პასუხი ჩემთვის არავის მოუცია”*

ეს მეორე ლახტია, რომელიც უსამართლო ბედმა კვლავ მოახვედრა ყრმობის ჟამსვე დიმიტრის.

ზემოდ მოვიყვანეთ ორი ეპიზოდი დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებიდამ.

“ამით რის თქმა უნდოდა ამის დამწერსაო?” იტყვიან ზოგიერთნი: “ვის არ გადახედია ამისთანა გარდასავალი პატარაობისასაო? პატარისათვის ეგ ამბავი არაფერია: გაიზრდება და დაავიწყდებაო”.

ნუ იტყვით მაგას! ცემა, მართალია, დიდი არაფერია ხორცისათვის. “მე ეს, მგონია, შევუნდევო, — ამბობს აწ განსვენებული დიმიტრი: და დავიწყებით კი ვერ დავივიწყეო”. შეუნდო ნატკენი ხორცისა, ხოლო კაცს ხორცის გარდა სულიცა აქვს და აი, ამის ტკივილი ვერ დავივიწყეო. ამ სიტყვებში ნაგრძნობია გვემაც სულისა, უსამართლობით შეგინებულისა, მერე მაშინ,

* “Русская Старина” 1886 г. №3.

როცა მისის ცხოვრების განთიადის პირველ ხანშივე იყო.

იცით, რა არის, როცა უბოროტოს, მტრედივით უსუსურს, უბიწო ბაშვს შეუგინებენ გრძნობას სამართლიანობისას! იცით, რა წვა და დაგვაა ბაშვურის სიწრფოებისათვის, როცა მართალი მისდა საგრძნობელად შებღალვულია და ტყუილისაგან ძლეულია!.. ეს ისეთი რყევაა, ისეთი ძვრაა სულისა და გულისა, რომ ან სრულიად გაალაყებს ბაშვს, ან ჩაჰ-კირავს აღდგომის კვერცხსავითა, რომ გულდაგულ, გულმედგრად დახვდეს ყოველს ქარტეხილს ცხოვრე-ბისას.

რომ ეს ასე მოხდეს, რომ ბაშვი გამოიწვას ხალასს ოქროსავით, უბედურობის ქარ-ცეცხლში გამოჯიქდეს, გამაგრდეს შავ ბედთან ჭიდილისათვის, თვითონ ბაშვი მადლიანი უნდა იყოს. ასეთნი იშვიათნი არიან. უფროს-ერთსა ამისთანა განსაცდელი მიწასთან ასწორებს, სულითა ჰკლავს და მარტო ხორციოღა აცხოვრებს ქვეყნიერობაზედ და გვგონია უხეირობა მჩვრად ქცეულის კაცისა ამაში უნდა ჰპოულობდეს თავის მიზეზს, თავის დასაბამს.

რაც სხვას პირველშივე გაანადგურებდა, პირქვე დაამხობდა, იმან დიმიტრი ყიფიანი გაამაგრა, ფეხზედ უფრო მკვიდრად დააყენა, ზე აახედა. აი, აქ არის ნასკვი, აქ არის სათავე იმ მტკიცე და მკვიდრ ხასიათისა, რომელიც ასე ამშვენებდა დიმიტრი ყიფიან-სა და იზიდავდა მის მიმართ ყოველის კაცის გულსა.

მითხრესო, ამბობს იგი: “კვლავ აღარ იყოსო!.. ან ის კი, რაც იყო, ჩემი ბრალიაო? ან ის, რაც კვლავ კიდევ იქმნება, ჩემი ბრალი იქმნებაო? ამაებს ვკითხულობდი და პასუხი არავისგან მივიღეო”.

სხვისაგან შეძულებული, შეგინებული, გაუპატიურე-ბული სიმართლე მას შეუყვარებია ყრმობის დღიდ-განვე...



«პირველდაწყებით სკოლებში სწავლების გაუმჯობესების საკითხი»

ტფილისი, 9 ნოემბერი

საერო განათლება ისეთი საგანია, რომელიც რაც უნდა კარგად იყოს დაყენებული, მაინც მუდმივს ფიქრსა და ცდასა თხოულობს, რათა ერთს წერტილზედ არ შედგეს და უკან არ დაიხიოს. დღევანდელი პირველდაწყებითი საერო განათლება, რასაკვირველია, ბევრად უკეთ მოწყობილი და წინ წასულია, ვიდრე წინად, მაგრამ ისეთს მდგომარეობაში კი არ არის, რომ იმაზედ ზრუნვა საჭირო არ იყოს. თუ მართლა მხურვალედ და ჩაფიქრებულად მოვეპყრობით განათლების საქმეს, შეგვიძლიან ყოველთვის აღმოვაჩინოთ, თუ რა ეჭირვება პირველდაწყებით სკოლას, რა ცვლილებაა საჭირო იმისათვის, რათა საერო განათლებამ კიდევ უფრო იხე�ოს და წინ წაიწიოს. აი, ამიტომაც მკითხველების ყურადღებას მივაქცევთ ერთს ფრიად შესამჩნევს გარემოებას, რომელსაც შეუძლიან დიდი სამსახური გაუწიოს საერო განათლებას.

როდესაც, პირველდაწყებით საერო განათლებაზე ვლაპარაკობთ, უეჭველია, მხედველობაში უნდა ვიყოლიოთ ერის უმრავლესობა, ესე იგი, ის ნაწილი ერისა, რომლის ყოფა-ცხოვრება აგებული და დამყარებულია შრომაზე, მიწათმოქმედებასა და ხელოსნობაზე. აი, ამ

უმრავლესობისათვის საჭიროა სწავლა-განათლება, მაგრამ რომელი და რაგვარი? აქ არაფერს ვიტყვით იმაზე, თუ რარიგად არის მოწყობილი პირველდაწყებითი სწავლა; მხოლოდ უნდა ვსთქვათ, რომ იგი შევსებული და შემატებული უნდა იყოს იმნაირად, რომ რაც შეიძლება უფრო შეეფერებოდეს ამ უმრავლესობის მდგომარეობასა და საჭიროებას. უნდა ვთქვათ, რომ პირველდაწყებითი სწავლა, რომელიც დღეს არსებობს, თუმცა ფრიად საჭირო და ძლიერი სახსარია ერის წარმატებისათვის, მაგრამ მარტო იგი საკმაო არ არის, რადგანაც დღევანდელი პირველდაწყებითი სკოლა მიზდევს მხოლოდ ერთს მხარეს განათლებისას. საქმე ის არის, რომ დღევანდელმა სკოლამ ყურადღება უნდა ათხოვოს ხალხის უმთავრესს საჭიროებას, საფუძველს ხალხის ცხოვრებისას. სკოლამ უნდა მისცეს ხალხსა, სხვათა შორის, ისეთი სწავლა-ცოდნა, რომელიც გაუადვილებს შრომას და მისცემს მომეტებულს სახსარს ცხოვრებისას, მაგალითად, ხალხს, ვითარცა ბოროტმომქმედს, ესაჭიროება სამეურნეო სწავლა-ცოდნა, რადგანაც იმისი საკუთარი სამეურნეო ცოდნა არის შედეგი სწავლა-ცოდნისა კი არა, არამედ გამოცდილებისა და ამიტომაც შეიცავს მრავალს ნაკლულევანებას. აგრეთვე, საჭიროა სახელოსნო სწავლა-ცოდნაც. აი, ამიტომაც საჭიროა პირველდაწყებითი სკოლა აძლევდეს მოზარდს თაობას სამეურნეო და სახელოსნო სწავლასა, რათა თან გაუადვილოს მშრომელს ხალხს გზა ცხოვრებისა და თან იმისათვის, რომ ხალხმა კიდევ უფრო შეიყვაროს სწავლა-განათლება.

იმისათვის, რათა პირველდაწყებითი სკოლას შეჰმატონ სამეურნეო და სახელოსნო სწავლა-ცოდნა, საჭიროა შესაფერი ცვლილება შემოიღონ სამასწავლებლო სემინარიებში, აი, სწორედ ამ აზრზე დამდგარა პსკოვის ერობა, რომელსაც განუზრახავს შეადგინოს კომისია იმის შესამუშავებლად, თუ რა ღონე იხმარონ იმისათვის, რომ სკოლას შეჰმატონ სამეურნეო

და სახელოსნო სწავლა-ცოდნა და შესაფერი ცვლილება მოახდინონ სამასწავლებლო სემინარიაში. პსკოვის ერობას ზოგიერთ სკოლებში უკვე შემოუღია სამეურნეო და სახელოსნო ცოდნის სწავლება და ამ სწავლებას კარგი ნაყოფიც მოუტანია. ის გლეხები, რომლებსაც ამგვარ სკოლებში უსწავლიათ, კარგად ეკიდებიან ოჯახობას, მეურნეობას და ბაღოსნობასა, და, რასაკვირველია, იმათი ეკონომიური მდგომარეობაც ბევრად სჯობნის იმათ მდგომარეობას, რომელთაც იმათებური სწავლა-განათლება არ მიუღიათ.

ეს საუბარი იმისათვის ჩამოვაგდეთ, რომ მკითხველის ყურადღება მიგვექცია საერო განათლებისათვის ჩვენს ქვეყანაში. ჩვენი ქვეყანა განსაკუთრებით მეურნეობის ქვეყანაა. დარწმუნებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ ჩვენი ეკონომიური და სულიერი წარმატება ჩქარის ნაბიჯით წავა წინ, თუ რომ ხალხში გავრცელდა სამეურნეო და სახელოსნო სწავლა-ცოდნა. მაშინ ჩვენ რიგიანად, ნაყოფიერად გამოვიყენებთ ჩვენის ქვეყნის სიმდიდრეს და სიუხვეს და ტყუილად არ დავლევთ ჩვენს სიცოცხლეს და სიმდიდრეს. რასაკვირველია, ჩვენთვის უფრო საძნელოა იმის აღსრულება, რაც პსკოვის ერობას განუზრახავს, რადგანაც ჩვენ ისეთი უწყება არა გვაქვს, როგორიც ერობაა, მაგრამ მაინც საჭიროა ჩვენი საზოგადოება ჩაუკვირდეს ამ საგანს და დაეხმაროს კეთილს საქმეს, რითაც კი მოუხერხდება.

«რუსეთის სამინისტროს გადადგომა»

ტფილისი, 11 ნოემბერი

ჯერ, როცა ჩვენს ქალაქში დეპეშით ამბავი მოვიდა, გენერალ კაფფარელისა და გრევის სიძის ვილსონის ოინები გვაუწყა, მაშინვე ვსთქვით, რომ:

"რაკი ამისთანა მიზეზიანი საქმე, გენერალ კაფფარელის საქმეა, გამომზევდა და რაკი თვითონ ბადე ამ საქმისა იმისთანაა, რომ შესაძლოა კაცმა, თუ მოინდომა, მრავალგვარად გააბ-გამოაბას, წარმოიდგინეთ რა ყოფა იქნება საფრანგეთში, საცა ფეხწამოსაკვრელად ერთი დასი მეორეს არა ჰზოგავს. საკვირველი არ იქნება, რომ ამ ამბავმა თვითონ სამინისტროც შეარყიოს".*

ღღეს უკვე ვიცით, რომ სამინისტრო არამცთუ შეარყია ამ ამბავმა, პირქვე დაამხო კიდეც და ჰლამის თვითონ პრეზიდენტი გრევიც ჩამოაბძანოს პრეზიდენტობიდამ. დიპლომატიამ ყურები აცქვიტა და ჯერ ენა დაიდუმა, არას ამბობს. არას ამბობს იმიტომ, რომ ჯერ არ იცის, რა გამოვა რისგან. ყველანი კი დარწმუნებულნი არიან, რომ ამ ხიფათიანს და განსაცდელიანს დროში საფრანგეთის სამინისტროს გადად-

* იხ. "ივერია", 1887 წ. № 214.

გომა და სხვა კაცთა მოწვევა სამინისტროს შესადგენად მეტისმეტად დიდმნიშვნელობიანი საქმეა.

ეს ისეთი საქმეა, რომ შესაძლებელია ევროპის სახელმწიფოთა ერთმანერთში განწყობა და მორიგება სულ სხვა ფეხზედ დააყენოს, გუშინდელი მტრები დაამოყვროს და მოყვარენი გადაამტეროს. ჩვენა გვგონია, რომ გენერალ კაფფარელის საქმე მარტო საბაბია, რომელსაც ხელი ჩაჰკიდეს და შინაგანი მიზეზი კი ის არის, რომ საგარეო პოლიტიკას სხვა გზა აურჩიონ, რადგანაც იგი გზა, რომელზედაც თითქმის აშკარად ვიდოდა რუვიეს სამინისტრო, ჭკუაში აღარ დაუჯდა საფრანგეთის ერსა: რაზედაც რუვიეს სამინისტრომ მიჰმართა თავისი მეცადინეობა, იქიდამ ვერა გამოდნა რა.

ამ მხრით თვალის ახილება საფრანგეთისა უეჭველი იყო მას შემდეგ, რაკი ხელმწიფე-იმპერატორმა ინება და მიბძანდა ბერლინში გერმანიის იმპერატორის სანახავად. ჩვენ, რასაკვირველია, არ ვიცით, რა ინებეს და რა მოილაპარაკეს ამ ორმა შემძლებელმა მონარხებმა, მაგრამ დიპლომატიისაგან დიდი ხანია მიღებულია, რომ ორთა მონარხთა ერთმანერთთან შეყრა დაახლოვების ნიშანია. ყოველს ამისთანა ამბავს, საცა გერმანიაა გარეული, მეტისმეტად უფრთხის საფრანგეთი, რომელსაც გერმანია თითქმის ხმალამოღებული ადგას თავზედ.

ვინ არ იცის, რომ რუვიეს სამინისტრო დღე ყოველ ჰცდილობდა, როგორმე რუსეთის გული მოეგო. ამისათვის არაფერსა ჰზოგავდა, ყველგან ხელს აწვდიდა, რომ საფრანგეთის ერის მოღვაწენი წაექეზებინა რუსეთთან დაახლოვებისათვის. ამავე დროს არც თ. ბისმარკს ეძინა: რაც რამ ხერხები და ოსტატობა იცოდა, ყველა ამოქმედა, რომ რუსეთი, ვითარცა ძლიერი სახელმწიფო, არ დაჰშორებოდა გერმანიას და არ დაახლოვებიყო საფრანგეთსა, გერმანიის დაუძინებელს მტერსა. ამისათვის ჯერ ბევრი იოსტატა, რომ ხელმწიფე იმპერატორი მიბრძანებულიყო შტეტინში, საცა

გერმანიის იმპერატორ ვილჰელმი უნდა დაჰხვედროდა. ეს ვერ მოუხერხდა თ. ბისმარკსა და თ. ბისმარკის მტრები სიხარულით ხელებს იფშვნეტდნენ ამ მარცხისათვის. ბოლოს ხომ შტეტინში არმომხდარი საქმე შესრულებულ იქმნა ბერლინში და თ. ბისმარკის მტრებმა ადრეული სიხარული დაგვიანებულ მწუხარებაზედ შესცვალეს.

ამასთან ესეც საცოდნელია, რომ აწ გადამდგარი სამინისტრო რუვიესი ეურჩებოდა ყოველს მეცადინეობას გერმანიისას საფრანგეთთან დაახლოვებისათვის. თ. ბისმარკს ეს დაახლოვება მეტისმეტად სწყუროდა, მაგრამ რუვიეს სამინისტრო განზედ უდგებოდა. საფრანგეთში გერმანიასთან დაახლოვების მომხრენი გამოჩენილნი კაცნი ბევრნი არიან. ამათი მოთავე ჟულფერია, კაცი არა უნიჭო და ბევრს სხვაზედ უფრო ოსტატი და მოხერხებული. თუმცა ამ ჟულფერის სახელი გატეხილი აქვს საფრანგეთში იმის გამო, მაგრამ ახლანდელის სამინისტროს დამხობას ამის ოსტატობას აბრალებენ. ეს ადვილად საფიქრებელია. ამბობენ, ჟულფერი მარტო სამინისტროს დამხობას არა ჰკმარობსო და უნდა თვითონ პრეზიდენტი გრევი იქამდე მიიყვანოს, რომ პრეზიდენტობას დაეთხოვოს. ამისათვის გენერალ კაფფარელის საქმეს და პრეზიდენტის სიძის ვილსონის მონაწილეობას ამ უწმინდურს საქმეში განგებ აძლიერებს და აფუჭებსო, რადგანაც ჩირქი სიძისა არ შეიძლება არ წაეცხოს სიმამრსაცაო. რა თქმა უნდა, თუ ჟულფერის ამ შემთხვევაში ალჩუ დაუჯდა, პრეზიდენტობის ტახტზედ ახტომას ცხვირს ზევით არ აიცილებს და ამისათვის საკმაოდაც ექმნება გახსნილი მადა.

ეს მოხდება თუ არა, ამას მერმისი გამოაჩენს. მხოლოდ დღეს მარტო ის არის შესანიშნავი, რომ რუვიეს სამინისტროს დაცემა ძლიერ აშლის დიპლომატიის მართულებსა და ევროპაში გაიბმის დიდი და რთული ქსელი იმის გამო, თუ ვინ და რომელი დასი იქმნება დამოკიდებული, საით ვინ გაიწევს, ვინ ვისთან

გავა და გამოვა. ამიტომაც საბუთი მიგვიძღვის ვსთქვათ, რომ საპოლიტიკო მიმართულება ევროპისა ფერსაც იცვლის და გზასაც.

«ვენახების და ჭირნახულის წანახედობა და მისი საწინააღმდეგო ზომები»

ტფილისი, 12 ნოემბერი

ერთი დიდი ნაკლულევანება ჩვენებურის სოფლებისა ის არის, რომ არავითარი წესი და რიგი არა აქვს ჭირნახულის და ნაამაგევის გაფრთხილებისათვის. წანახედობა ჭირნახულისა, ვენახებისა, ბაღებისა და ბოსტნებისა მეტად დიდ ზიანს აძლევს სოფლებსა და ეს ზიანი მით უფრო საგრძნობელია, რომ უზღვევი ჰრჩება ხოლმე. რასაკვირველია, ამისი თავდაპირველი მიზეზი იქიდამ წარმოსდგება, რომ თითქმის არც ერთს სოფელს განსაკუთრებულად არა აქვს გადადებული ადგილი საძოვრებისათვის. საძოვრად სოფელს ჰრჩება ხოლმე მარტო ის მიწები, რომელიც ჩვენში მიღებულ ჩვეულებისამებრ, ისვენებს მეორე წლისათვის. რადგანაც ამისთანა მიწები შიგადაშიგ არის ხნულებსა და ნათესებში მოყოლილი, ამათი გამოყენება საძოვრად უიმისოდ არ იქნება, რომ საქონელმა გზად მაინც სახნავ-ნათესობა ფეხით არა ჰთელოს, თუ არ გადასძოვს.

თქმა არ უნდა, რომ ამ შემთხვევაშიაც შესაძლო არის კაცმა წამალი რამ დასდოს სოფლის გაჭირებას. ამისათვის საკმაოა სოფელმა ერთხელ და ერთხელ წესად დაიდგინოს, რომ ერთს წელიწადს მარტო ერთ მხრივ მოიხნას და მოითესოს მიწები და მეორე წელს მეორე მხრივ. მაშინ საქონელის საძოვრად ერთიანი

ნაჭერი ექმნებოდა სოფელსა და საქონელს მიზეზი აღარ მიეცემოდა საძოვრის მისაწდომად ნახნავ-ნათესობა ელახა და ეფუჭებინა.

ხოლო მარტო ეგრედ ერთ ნაჭრად დაგდება მიწებისა საძოვრად ბევრს არას მოასწავებს, თუ მეორე მიზეზსაც არა ეშველა რა. ეს მეორე მიზეზი ის არის, რომ ხშირად სოფლისათვის არასაკმაო საძოვრებად სიხარბე ერთისა და ორის სოფლად მცხოვრებელისა დიდს ძალას ფარებს ცხვრისას, ღორისას, ზოგჯერ ჯოგისას და მოცადის საქონლისას ჩააყენებს ხოლმე სოფლის მამულებში და ყოველივე ესენი ისე მოსცოხნიან ბალახსა, რომ სოფლის მუშა საქონელი ვეღარ იკვებება თავისუფალ მიწებზედა. იმისთანა სოფელი, როგორც, მაგალითებრ, ყვარელია თელავის მაზრაში, ამ მიზეზით იძულებულია მუშა საქონელი შემოდგომით ხოლმე შერეკოს ვენახებში და ვენახის ბალახით ჰკვებოს. შემოდგომა იმისთანა ხანია, როცა ვენახებში გაცხარებული ბარვაა და ვაზის წვენა. აბა რა ხეირს დააყრის ან ნაბარს, ან დაწვენილს, ან ახლად ჩაყრილს ვაზის საქონლის ფეხი და საქონლის ხეტება.

ამ გზით ისე ჰფუჭდება ვენახები, ისე ამაოდ ეკარგება ვენახის პატრონს ამაგი და ხარჯი, რომ გვიკვირს კიდეც, გული როგორღა ჰრჩებათ იქაურებს ვენახების კეთებისათვის.რამდენი სხვაგან არის ამისთანა ამბავი. ახლა იფიქრეთ, რამოდენი ზარალი მოსდის ამგვარის წყობილებისაგან მთელს მხარეს, რამოდენა მოსავალი აკლდება ქვეყანასა!... თუ ცალკე კაცი შესაბრალისი არ არის ამ შემთხვევაში, დიდი ცოდვაა, კაცმა არ შეიბრალოს მთელი მხარე, მთელი სოფლობა მაინცა. აუარებელი სიმდიდრე იღუპება ტყუილუბრალოდ მარტო იმის გამო, რომ ამ მხრით ამ საგანს ყურს არავინ ათხოვებს.

ჩვენ გვახსოვს ამ შვიდისა თუ რვა წლის წინად ერთი ამისთანა სოფელი, საცა დიდძალი ვენახებია ერთი-ერთმანერთს ზედმოკიდებული, შეიყარა და

სურვილი გამოაცხადა ხსენებულ უბედურებისათვის რამე ღონე ეღონა. სოფელში რვაასი-ცხრაასი კომლი მკვიდრია და გლეხთა გარდა მებატონენიც და სამღვდელოთაგანი ბევრნი ცალკე მამულის პატრონები არიან. სოფელმა ესენიც მოიწვია და ამათის ნებაყოფლობით განაჩენი შეადგინა და სხვათა შორის დაადგინა, რომ არამც და არამც ვენახებსა და ჭირნახულში საქონელმა საძოვრად არ იაროს. სოფელი ისეთი შემძლებელი და ისეთი მოწადინებული იყო ამ საქმეში წესი რამ ჩამოეგდო, რომ არ დაიშურა და ოცდარვა კაცი დანიშნა სოფლის მოვლისა და პატრონობისათვის იმ განაჩენის თანახმად.

ეს განაჩენი, სოფლის სასიხარულოდ და საბედნიეროდ, რამდენსამე ხანს მოქმედობდა და სოფელმა ძლივს მოისვენა გაფუჭებისა და წანახედობისაგან; ხოლო მერე რაღაც ხიფათი შეემთხვა და ის განაჩენი გაუქმებულ იქმნა იმ მიზეზით, ვითომცდა უკანონოაო.

რამოდენად უკანონო იყო ეს განაჩენი სოფლისა, ეს იქიდამა სჩანს, რომ თვითონ ბ-მა შინასაქმეთა მინისტრმა დღეს ყურადღება მიაქცია სოფლის ამ მხრით უმწეობას და უნუგეშობას და ცხადი სურვილი წარმოსთქვა, ამ საქმეს შემწეობა და ნუგეში რამ აღმოუჩინოს. ბ-ნს მინისტრს ამ საგანზედ შემდეგი ცირკულიარი გაუგზავნია საგუბერნიო და სამაზრო ერობათა კრებათათვის, რომ წინადადებანი ცილკულიარისა გასინჯონ და თავიანთი აზრი წარმოსთქვან:

ზოგიერთმა საგუბერნიო და სამაზრო ერობათა კრებამ იშუამდგომლა სამინისტროს წინაშე, რომ :

1/ მინდვრებისა და სათიბების დასაცველად წინახედვისაგან დაცული იქმნენ აწ მომქმედნი წესები მით, რომ ნაცვალი (селъский староста) იმა სოფლისა, რომელსაც ეკუთვნის წინახედის რამდენი საქონელი, მოვალე იყოს აღმოაჩინოს და იპოვოს პატრონი საქონლისა და წახდენილის ჭირნახულის პატრონს

ნება მიეცეს წინახედის საზღაური გადაახდევინოს მთელს სოფელს მისთა წევრთა ურთიერთის თავდებობითა; 2/ დავალებულ იქმნას თვითვეული სოფელი, სასოფლო მწყემსი და მეველები იყოლიოს დასაცველად ტყეებისა, საძოვრებისა, ბაღებისა, ვენახებისა და სხვა მამულებისა უპატრონოდ თავმინებებულ საქონლისაგან. 3/ მომრიგებელ-მოსამართლეთაგან დასადგენ სასჯელთა წესდების 153 მუხლი* გაუქმებულ იქმნას იმ შემთხვევათათვის, თუ ვინიცობაა ჭირნახულის პატრონმა წანახედში მოჰკლა შინაური პირუტყვი, რომელიც, როგორც მაგალითებრ ბატი და ღორი, ყველაზედ მეტს ზარალს აძლევს მინდვრებსა, სათიბებსა და ვენახებსა.

რუსეთის გაზეთები დიდის თანაგრძნობით მიეგებნენ ამ მართლა და საკეთილო სურვილს ბ-ნ მინისტრისას და ჩვენში კი ესევე სურვილი უკანონოდ ცნობილ იქმნა. ის განაჩენი, რომელიც ჩვენ ზემოთ მოვიხსენიეთ არამცთუ ამ ცირკულიარის დედააზრზედ იყო მთლად აგებული, არამედ თვითვეული მუხლი ამ ცირკულიარისა შიგ ჩართული იყო თითქმის ისე, როგორც დღეს ამ ცირკულიარშია. მაშინ, ამ შვიდსა თუ რვა წლის წინად დადგენილ ოქმს წინ გადაეღობნენ და ეხლა კი, როცა თვით მინისტრს საჭიროდ დაუნახავს, იმედი უნდა გვქონდეს, რომ წინანდელი უვიცობა ამ საქმეს წინ ვეღარ მიეგებება გადასაღობებლად. ჩვენ მარტო ის უნდა ვისურვოთ, რომ ამ ბ-ნ მინისტრისაგან კეთილად განზრახული საქმე ჩვენც გვეწვიოს ჩვენი სოფლების საკეთილდღეოდ.

* ამ 153 მუხლის ძალით სასჯელია დადებული , ვინც სხვის პირუტყვს მოჰკლავს ან დასჭრის, თუნდა წანახედშიაც მოასწროს.

«ბისმარკის ორპირი პოლიტიკა რუსეთის მიმართ»

ტფილისი, 23 ნოემბერი

კარგა ხანია, რაც რუსეთი ეჭვის თვალით შეჰყურებდა და კიდევაც შეჰყურებს გერმანიის მეგობრობას და მომხრეობას. რუსეთის მწერლობა მუდმივ აფრთხილებდა მართებლობას და საზოგადოებასა და ყოველთვის იმასა ჰღაღადებდა, რომ გერმანიას არ შეუძლიან რუსეთს უერთგულოსო, თუმცა რუსეთს განზრახვა აქვს გერმანიასთან კარგი განწყობილება დაიჭიროსო. თვით განსვენებულმა კატკოვმაც კი, რომელიც თაყვანსა სცემდა ბისმარკის გენიოსობას და ჰქადაგებდა რუსეთისა და გერმანიის კავშირსა, უკანასკნელს ხანს თავისის მოღვაწეობისას, უარჰყოს წინანდელი აზრი გერმანიის შესახებ, ხელი გაუწოდა გერმანიის მოსისხლე მტერს, საფრანგეთსა და სხვა ჟურნალ-გაზეთებთან ერთად ჰღაღადებდა, რომ საფრანგეთია ერთადერთი ერთგული მოკავშირე რუსეთისა, რომ ბისმარკი, მიუხედავად რუსეთის გულწრფელის მეგობრობისა, მაინც სცდილობს, რუსეთის პოლიტიკას ხელი შეუშალოსო და სხვა.

მართლაც რომ ამ უკანასკნელს ხანს რუსეთის საზოგადოება და მწერლობა ამ აზრს დაადგა, საფრანგეთმაც რუსეთისაკენ გამოიწია და სხვადასხვა ღონე იხმარა რუსეთთან დაახლოვებისათვის. საქმე

იმრიგად მოეწყო, რომ კავშირი რუსეთსა და საფრანგეთს შორის დიაღაც მოსალოდნელი იყო. ამასობაში გერმანია ცდილობდა, ხელი შეეშალა რუსეთისა და საფრანგეთის შეკავშირებისათვის.

გერმანიის საქციელი და განზრახვა რუსეთში ყველას საეჭვოდ ეჩვენებოდა; თითქმის ყველა იმასა ჰფიქრობდა, რომ რუსეთი საფრანგეთს უნდა მიემხროს და არა გერმანიასო. მართალია, გერმანიის ზოგიერთი ოფიციოზური გაზეთები სწერდნენ, რომ რუსეთსა და გერმანიას შორის კავშირი ისტორიის ანდერძიაო, მაგრამ რუსეთის კაბინეთი არც ამას უჯერებდა. თურმე ამ კაბინეთს ხელთა ჰქონია ყველა იმ ქაღალდების და დეპეშების პირები, რომელსაც ბისმარკი სწერდა გერმანიის სხვადასხვა წარმომადგენელთ. ამ ქაღალდებითგანა სჩანს, რომ გერმანია ერთის მხრით, რუსეთს ეუბნებოდა... შენი მეგობარი და მომხრე ვარო, და მეორე მხრით, თავიანთ წარმომადგენლებს რუსეთის პოლიტიკის წინააღმდეგად ამოქმედებდა. ეს ამბავი ამჟამად კიდევაც გამოუქვეყნებიათ და დიდი შფოთი და ლაპარაკი ატეხილა მწერლობაში. ეს ამბავი გამოუქვეყნებიათ მას შემდეგ, რაც ხელმწიფე იმპერატორმა, როცა დანიიდგან პეტერბურგს მობძანდებოდა, ინახულა სხვათა შორის თავადი ბისმარკიც. რასაკვირველია, ბისმარკს არაფრად ესიამოვნებოდა, როცა შეიტყობდა, რომ რუსეთის კაბინეთს იმისი დეპეშები და წერილები ხელში ჩაუგდია. ამ გარემოების გამოცხადება მეტად გასაოცარი იყო, მაგრამ არანაკლებად საკვირველი და მოულოდნელი იყო, როცა ბისმარკმა საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ ეს დეპეშები და ქაღალდები ყალბია და შეუდგენიათ იმათ, რომელნიც მოწადინებულნი არიან რუსეთსა და გერმანიას შორის ომი გამოიწვიონო. ზოგიერთებმა იმ ქაღალდების შედგენა დააბრალეს ფერდინანდს კობურგისას და იმის დედას, მაგრამ ამათ ხმამაღლა აღიარეს, რომ ეს ცილისწამებაა. ეხლა გამოძიება უნდა დაინიშნოს იმ

ქაღალდების სიყალბისა და სინამდვილის დასამ-ტკიცებლად. ასე გასინჯეთ, ბევრს არა სჯერა ბისმარკის სიმართლე და იმის ხრიკსა და ოინსა ჰხედავენ. ამბობენ, რომ ბისმარკი ისეთი კაცია, რომელსაც შეუძლიან, თუ მოინდომა, სინამდვილის ქაღალდების სიყალბე დაამტკიცოს, და თუ ეს, ვინიცობაა, ვერ შეძლო ბისმარკის ოსტატობამ, მაშინ გერმანიის მართებლობა, თავისის სახელის აღსადგენად და რუსეთის გულის მოსაპოვებლად, იძულებული იქმნება რუსეთს მიემხროსო.

ყალბია თუ არა ის ქაღალდები, ძნელი სათქმელია, მაგრამ ზოგიერთები კი დიდს ეჭვში არიან, რადგანაც იმ ქაღალდებმა დიდი ზედმოქმედება იქონიეს რუსეთის პოლიტიკაზე. თუ ის ქაღალდები ყალბია, წინად რატომ არ გამოაცხადეს, მაშინ, როდესაც იმ ქაღალდების მიხედვით მოქმედებდნენ ზოგირთთა სახელმწიფოთა წარმომადგენელნიო?



«საფრანგეთის ზნეობრივი ძალ-ღონე მამულის სიყვარულშია»

ტფილისი, 8 დეკემბერი

საფრანგეთმა საკვირველი ბეწვის ხიდი გამოიარა ამ ბოლოს ხანებში და გამოიარა ისე, რომ ხიდი ფეხქვეშ არ ჩასწყდომია. ჩვენებურმა გლეხკაცმა იცის, რომ ამისთანა ხიდზე მარტო მადლიანი კაცი გაივლის, ცოდვილს ვერ გაუძლებს და ჩაუწყდება ხოლმეო. ალბათ საფრანგეთიც მადლიანი ყოფილა და არა ისეთი ცოდვილი, როგორც იმის მტერ-მოყვარეებს ჰგონიათ.

მართლა, რომ დიდი საქმე მოხდა. პირქვე დაამხეს რუვიეს სამინისტრო და ეს კიდევ არაფერი: თვითონ პატიოსანი და რესპუბლიკის ერთგული პრეზიდენტი გრევი გამოიმეტეს და პრეზიდენტის ტახტიდამ ძირს გადმოსვეს. არ გავიდა სამი-ოთხი დღე და სადი-კარნო ამოირჩიეს პრეზიდენტად და საქმეები თავის კარშივე და საქმეები თავის კვალშივე ჩაჰდგა, თითქო აქ არაფერი მომხდარაო.

ამ ამბავმა დაანახვა ქვეყანას, რომ დას-დასებად გაპზარულმა საფრანგეთმა გაჭირების დროს ერთად თავის მოყრა იცის და საფრანგეთის საერთო სიყვარულის წინაშე ყოველივე ცალკე გულისთქმა, ცალკე წადილი ხმას გაიკმენდს და გულზე ხელებს დაიკრებს ხოლმე. ესეთი ზნეობიანი ძალ-ღონე საფრანგეთისა

იქნება უფრო საფრთხილებელი და საშიშარი იყოს იმის მტრისათვის, ვიდრე მთელი შეთოფიარაღებული მხედრობა.

რა არის სახელმწიფოსათვის ცარიელი მხედრობა? მარტო ხორცია უსულო, უგულო, თუ ეგ ზნეობიანი ძალ-ღონე, სიყვარული მამულისა, აგებულებაში სისხლსავით ან უტრიალებს ყოველს ცალკე მამულისშვილს, ყოველს ცალკე ჯარისკაცსა.

ეს პრეზიდენტის კრიზისი ამისი ბეწვის ხიდი იყო: მამულის სიყვარულისათვის საშინელი განსაცდელი იყო და დღეს მამულის სიყვარულმა საფრანგეთში სახელოვანად გადიხადა ეს განსაცდელი და უთქმელად შეუთვალა თავის მტერს, მიფრთხილდიო და მოყვარეს—მომენდე, ძალი შემწევს ქადილისაო.

ამ განსაცდელისაგან სახელოვანად გამოსული საფრანგეთი სხვა ზრუნვა-ნაღველს მიეცა. სამინისტროს შედგენა ახალის პრეზიდენტისათვის უნდა მეტისმეტად გაძნელებულიყო და ასეც მოხდა. პალატის ჯანმრთელმა და შორსმჭვრეტელმა ნაწილმა ამისათვის ორი პირობა დასდო, როგორც ამბობენ გაზეთები: ერთი ისა, რომ ახალს სამინისტროში არ უნდა მიღებულ იქმნან არც ერთი, ვინც რუვიეს სამინისტროში იყო და მეორე ისა, რომ ახალმა სამინისტრომ უნდა წარმოუდგინოს პალატებს განსაზღვრული და ცხადი პროგრამმა რეფორმებისაო.

კლემანსო, რომელიც ეხლა დაწინაურებულ დასის ნიჭიერ და ჭკუადამჯდარ მოთავედ ითვლება, ამბობსო, მოგვითხრობს ერთი გაზეთი, რომ "თუ წინანდელს კაცებს კვლავ დავარჩენთ სამინისტროში, კაცებს, ცოტად თუ ბევრად უკანასკნელის ამბებით შერცხვენილებს, ეგ იმას ეგვანება, რომ მძიმე განსაცდელი პრეზიდენტობის გამოცვლისა კუკების კამედიად გარდაგვექცაო. თუ სამინისტროში იმისთანა კაცებს შევიყვანთ, რომელთაც არავითარი უნარი არა აქვთ, არავითარი გამორკვეული რწმენა, გამორკვეული პროგრამა,

ეგ იმის ნიშანი იქნება, რომ ჩვენ გვსურს მთავრობა ულონო, უაზრო, უსულო ვიყოლიოთო.”

რა თქმა უნდა, იმის წინააღმდეგი აზრიც დაძრულია საფრანგეთში. ოპორტუნისტების გაზეთი “Republique Francaise”-ის ძალიან აუპილპილდა ზემოთქმულსა და ცხარედ იძახის: ”ვინც უნდა იყოს ახალ სამინისტროში, ჩვენთვის სულ ერთია, ყველას ერთნაირად დავუხვდებით და ხელს გავუწვდითო”.

ეხლა რომ თვალი მოატაროს კაცმა საფრანგეთში, მარტო ამ ორთა აზრთა ბრძოლას და მდინარებას დაინახავს და რომელი გაიტანს ბურთს საბურთალო მოედნიდამ, დრო გამოაჩენს.

«გაზეთ “მშაკის” გამოხდომა»

ტფილისი, 9 დეკემბერი

ჩვენში ამ ბოლოს ხანებში ერთი საოცარი ამბავი მოხდა: სომხებმა თავის ჟურნალ-გაზეთებში მთელი სომხობა სამარცხვინო ბოძზედ გააკრეს: ერთმა ჟურნალმა ერთი ნაწილი სომხობისა მიწასთან გაასწორა, მეორე გაზეთმა – მეორე ნაწილი და ამ სახით ის გამოვიდა, რომ თითქმის მთელი სომხობა გარყვნილია, წამხდარია და აღარაფერში გამოსადეგი აღარ არის.

ესე ხელაღებით დამხობა მთელის ერისა არ შეიწყნარა “Новое Обозрение”-მ და განკიცხულნი თავის საფარველქვეშ მიიღო. ამ გაზეთმა სამართლიანი გულისწყრომით შეუთვალა სომხურ ჟურნალ-გაზეთებს, რომ ყველა-ყველაო და მეტისმეტია მთელის ერის ეგრე უწყალოდ გაპენტვა, მეტისმეტია იმისი თქმა, რომ მთელს ერში არავინ არ ვარგა და ყველა წყალში გადასაყრელიაო. ერთმა სომხურმა გაზეთმა თურმე ეს შენათვალი იწყინა: დახე, სადამდე მივიდა ჩვენი საქმეო, რომ ქართველები ესარჩლებიან სომხებსა და ქართველების საქომაგოდღა შევიქენითო.

დღეს იმაზეა თურმე შემდგარი სიტყვა, რომ სომხური გაზეთი ქართველების გამოსარჩლებას ჰთაკილობს, სამართლიანს განკითხვას “Новое Обозрение”-სას ყურს აშორებს და რაღაებსაც ჰბოდავს

თავში დაკრულსავით. იმას კი აღარა ჰფიქრობს, რომ ტყუილად გაბღინძული ამაო თავმოყვარეობა ვერაფერი თამასუქია, ვერაფერი საწყაოა თვითონ იმის ღირსებისათვის, ვინც იბღინძება. აქ საქმე იმაში იყო, "Новое Обозрение" მართალია თუ არა. ამას სომხურმა გაზეთმა "მშაკმა" გზა აუქცია და მარტო იმას მიჰხედა, რომ ქართველი გვეუბნებაო, ნუ ჰლანძრავთ ხელაღებით მთელს თქვენს ერსა, კარგიც ყველგან არის და ცუდიცაო და რაკი ქართველი გამოგვესარჩლა, უნდა გვეთაკილებოდესო. ცრუპენტელა კაცი ყველგან ასეთია: რაკი საფანელი შემოაკლდება, საგზალი ჭკვადამ-ჯდარის საუბარისა გაუწყდება, მაშინ, აქაოდა მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო, ყალხზედ შედგება, აბელას ფეხებს გაიკეთებს, გაჰბუვდება, გადიდგულდება და უკვირს — რატომ ვერა ჰხედვენ, რა სიმაღლეზე ვდგავარო.

საცოდაობა სულისა და გულის ნამცეცობა ამისთანაებში იჩენს თავს და ამის გამომჩენელი კაცი უფრო შესაბრალისია, ვიდრე განსაკითხი და მჯავრდასადებელი. ტყუილად კი არ არის აღიარებული, რომ ამპარტავნობა, ცუდმედიდობა ერთი მომაკვდინებელი ცოდვათაგანი არის და ვწუხვარ, რომ "მშაკს" სწორედ ამ ცოდვაში წაუყვია ცხვირი. ჩვენ სხვა არა დაგვრჩენია იმის მეტი, რო "მშაკს" ვუთხრათ: ღმერთმა გალხინოს!

საკვირველია!.. სად უყიდნია "მშაკს" ეს სასაცილო დიდგულობა? რად უყიდნია? თუ უყიდნია, რატომ თავის სარდაფში არ შეუნახავს და ბაზარში რად გამოუტანია გასასყიდლად. იქნება ჰგონია — გავასაღებ და მოვიგებ რასმეო. ვერაფერი საქონელია ჩვენს ბაზარში გამოსატანად და გასასყიდად. ჩვენში მაგის მუშტარს ვერ იშოვის და გვეცოდინება, არ იზარალოს. ეგ იმისთანა საქონელია, რომ მყვარსავით მარტო სუნს აუშვებს და თუ ჰგონია, ქართველებს ამით მოვცხებ რასმეო, ტყუილად გარჯილა. ჩვენ მაგ მყვარს

ახლოც არ გავუვლით, შუა დიდი მზღვარი გვიდევს. "მშაკმა" უნდა იცოდეს, რომ:

ქორი მყვარს არა იკადრებს,
არცა სდევს საჭმლად ნდომითა.

ისიც უნდა იცოდეს, რომ არც მყვარის პატრონს გამოვეკიდებით ძალიან იმიტომ, რომ

სონღული მამულთა შეპყრობად
ფრთებსა არ გაშლის ზომითა.



«ევროპის საომარი მზადება»

ტფილისი, 10 დეკემბერი

ევროპის ჟურნალ-გაზეთობას ტყვია-წამლის სუნი მოედინათ, იქით მიიხედვენ, მზადებაა, აქედ მოიხედვენ, მზადებაა და ამ სამზადისების მაყურებელნი ზოგნი ენაჭარტალობით, ზოგნი კაცობრიობის სიყვარულით ამბობენ, რომ დღევანდელი დღე მეტად განსაცდელიანი და გაჭირებული დღეაო და ყოველივე ღმერთმა გვაშოროსო.

ევროპის სახელმწიფოთა გამგებელნი სულ სხვა თვალით უყურებენ ამ ჟურნალ-გაზეთობის მიერ ატეხილს მითქმა-მოთქმას და იმათს ლაპარაკს "ტურის ჩხავილად" სთვლიან. გერმანიის მომხრენი იძახიან: გულს რაზედ იხეთქენ ეს ჟურნალ-გაზეთები, სად რა არისო? რაკი თ. ბისმარკმა სამთა კავშირი მოახერხა, იტალია, ავსტრია შემოიერთა, აქ რაღა შიში უნდა იყოსო? ეს სამთა კავშირი თავმდებია მშვიდობიანობის დაურღვეველობისაო; თ. ბისმარკს ეგრე სწამს და რაც თ. ბისმარკსა სწამს, ხომ იცით, დღეს ის იქნებაო.

ლონდონში სალუსბერი იძახის, რომ რაზედ გააფუჭეს მცირეოდენი ჩრდილი, რომელიც საპოლიტიკო ცაზე მოეფინაო; ფაფისაგან შეშინებული დოს უბერავდაო, სწორედ ასე მოსდის ჟურნალ-გაზეთობასაო; საფრთხალი სად არის, რომ ეგრე ფრთხებიანო. იქავ იგივ სალუსბერი უმატებს:

მართალია, იმაზედ კი თვალს ვერ დავხუჭავთო, რომ ზოგიერთი რამ დღევანდელ დღეს საფათერაკო და სახიფათო დღედა ჰხდისო და ყველაფერს ყური უნდა ავუცქვიტოთ და ისე ვადევნოთ თვალიო. მოხერხებული სახელმწიფო კაცი, ეს პოლიტიკაში გაწრთვნილი სალუსბერი ერთსა და იმავე დროს ერთსა და იმავე საგანზე თითქო ჰოსაც ამბობს და არასაც. პოლიტიკოსს და დიპლომატს სხვა გზით ლაპარაკი არ შეუძლიან იმიტომ, რომ ისეთი ორპირი არა არის რა ეხლა ქვეყანაზედ, როგორც პოლიტიკა და დიპლომატია.

ვენაში გრაფი კალნოკი მითამ ყურსაც არ იბერტყავს, არაფერს იმჩნევს, თითქო მართლა ძაღლი ჰყეფდეს და ქარავანი კი თავის გზაზედ მიდიოდეს. გრაფი კალნოკი მორიგების კაციაო, იძახიან გაზეთები და მინამ ავსტრიის იმპერატორს ამ კაცზედ გული არ აუყრია, იმ დრომდე ნურვინ იფიქრებს, რომ იმპერატორი ავსტრიისა საგანსანცდელო პოლიტიკას აჰყვესო. აი, სულ სხვა იქნება, თუ გრაფი კალნოკი დათხოვნილ იქმნა და გრაფი ანდრაში მრჩეველად მოიწვია იმპერატორმაო. ეს სულ სხვა კაცია და მაშინ იქნება გატყვერეს რამეო. განა არა, ამას წინად ხმა გავარდა, რომ კალნოკი როგორღაც ფეხზედ მაგრა ვეღარა სდგასო და ანდრაშის ლამის კარი გაულონო. ამ ბოლოს ხანებში ეს ხმაც მისწყდა და ეხლაც იძახიან, რომ გრაფმა კალნოკიმ ფეხი ისევ მოიმაგრა და იმპერატორო ავსტრიისა კიდევ ამის პოლიტიკას ჰრჩეობსო.

იტალია კი იძახის, მე მხარი მივეცი თ. ბისმარკს იმისათვის კი არა, რომ თუ ვინიცობაა ვისმე მიესია და თავს დაესხა, ხელი შევუწყოვო, არამედ იმისათვის, რომ თუ ვინიცობაა ან ავსტრიას, ან გერმანიას თავს დაეცემა ვინმე, მაშინ მივეშველოო; მაშასადამე, მე მშვიდობიანობისათვის ჩავერევი ამ საქმეში და არა ჩხუბის ასატეხადაო, იმიტომ, რომ თ. ბისმარკი დღეს იმ დღეშია, რომ მარტო ვერავის ვერა შეჰბედავს რა

უჩემოდ და უავსტრიოდ და ვერც ვერავინ თ. ბისმარკს გაუბედავს, რადგანაც ამ შემთხვევაში მეცა და ავსტრიასაც ანგარიში უნდა გაგვიწიოსო.

დღეს ინგლისი ამ სამთა კავშირს, ცოტა არ იყოს, განზედ უდგება. თ. ბისმარკი ძალიან ჰცდილობს ინგლისის გადმობირებას, მაგრამ ფრთხილი ინგლისი ამას უთვლის თ. ბისმარკსა: გულითა და სულით თქვენთანა ვარ, მაგრამ, უკაცრაოდ, პირობას კი ვერას მოგცემო. მე იმისთანა ხასიათისა ვარო, რომ დროთა მიმავლობას ვუყურებ და მარტო ჟამთა ვითარებას ვემორჩილებიო. არ ვიცით, ხვალ რა ოქნება და ამ სახვალიოდ მინდა თავისუფალი ვიყო და არა პირობით ხელშეკრულია.

ამბობენ, თ. ბისმარკი მადრიდშიაც რაღაცას ჰჩხირკედელაობს და ისპანიასაც იწვევს თურმე მეშველად და მომხრედ. ერთი გერმანული გაზეთი ამაზედ იძახის: ”კარგი კავშირი მარტო ორთა შუაა შესაძლებელი, რაკი მესამეც ჩამოერევა, სამარჯვო აღარ არის და თუ მეოთხეც გაება, მაშინ ხომ სულ შეუძლებელიაო”.

რად უნდა, მართლა, თ. ბისმარკს ამდენი მეშველი? თვითონ ამის პასუხად იძახის, რომ რაკი ერთი მხარე მეტისმეტად ძლიერი იქნება, მაშინ მეორე მხარე მტრობას ვეღარ გაჰბედავს და მაშასადამე, მშვიდობიანობა არ დაირღვევაო. მეტი რა გზაა, უნდა დავუჯეროთ თ. ბისმარკსა. ხოლო თუ უკანასკნელის დეპეშის სიტყვა გამართლდა, რომ ლორდი ჩერჩილი პეტერბურგში მიდისო, არა გვგონია, თ. ბისმარკს ეს ამბავი ძალიან ეჭაშნიკოს.

«ევროპის პოლიტიკურ ასპარეზზე მყუდროებამ დაისადგურა»

ტფილისი, 16 დეკემბერი

მკითხველი, რასაკვირველია, ყურადღებას მიაქცევდა იმ დეპეშებსა და ამბებსა, რომელსაც გაზეთები ჰბეჭდავდნენ ამას წინად ერთის მხრივ რუსეთისა და მეორეს მხრივ ავსტრიისა, გერმანიისა და სხვა სახელმწიფოთა შესახებ. ამ ამბებმა ძლიერ დააფიქრა მთელი ევროპა, რადგანაც ისინი მიაჩნდათ მოსალოდნელის საპოლიტიკო ცვლილებათა წინამორბედად. სულ იმას იწერებოდნენ, რომ ესა და ეს სახელმწიფო საომრად ემზადებაო, ამასა და ამას ამდენი და ამდენი ძალ-ღონე აქვსო და ყველას ერთი ძნელი საკითხავი უდგა თვალწინ: რითი დასრულდება ამდენი პოლიტიკური შფოთი და უსიამოვნება სახელმწიფოთა შორისაო, მაგრამ სურათი უცბად შეიცვალა და პოლიტიკაში მყუდროება ჩამოვარდა.

სახელმწიფონი ცოტათი დაშოშმონდნენ, ასე რომ ბევრს იმედი აქვს, რომ მშვიდობიანობა ერთა და სახელმწიფოთა საკეთილდღეოდ დარღვეული არ იქნება, მაგრამ იმას კი არავინ ამბობს, როდემდის გასტანს ეს მყუდროება, რამდენად დამკვიდრდა სახელმწიფოთა შორის თანხმოება და მშვიდობიანობა. ამის შესახებ გადაჭრილს პასუხს არავინ იძლევა, რადგანაც გამოც-

დილებით იციან, რომ პოლიტიკა ერთობ დაუდგრომელი და ცვალებადია.

ასეთის უეცარის საპოლიტიკო ცვლილების გამო ერთი საკითხავი იბადება: რა იყო იმის მიზეზი, რომ სახელმწიფოთა მეგობრული განწყობილება კინაღამ შეტაკებითა და სისხლისღვრით არ გათავდა; რა იყო იმის მიზეზი, რომ უცბად ჩამოვარდა მშვიდობა და ყველას იმედი მიეცა, რომ ჯერჯერობით არავითარი უსიამოვნება არ არის მოსალოდნელიო.

ამის თაობაზე გაზეთებს დიდი სჯა და ლაპარაკი აქვთ და გამორკვევით კი ვერა გამოურკვევიათ რა, ხოლო არავინ ეჭვობს, რომ მიზეზი ამ ალიაქოთისა ისტორიულია და ამიტომაც არც თავიდგან ასაცილებელია. რაც შეეხება მიზეზებს უეცარის ცვლილებისა და მყუდროების ჩამოვარდნისას, ზოგი იმას ამბობს, რომ ის დიდი ალიაქოთი ბისმარკმა ატეხა, რადგანაც განზრახვა ჰქონდა ესარგებლნა სახელმწიფოების არამეგობრულის განწყობილებით იმისათვის, რომ თვით გერმანიაში მოეხერხებინა ახალის სამხედრო რეფორმების შემოღება. ბისმარკს უნდოდა თვით გერმანია დაეფრთხო, რათა აიძულოს და კიდევ უფრო განაძლიეროს თავისი მხედრობაო. ზოგნი იმასაც უმატებენ, რომ ეს ერთადერთი მიზეზი არ არის: მართალია, ბისმარკმა კარგად ისარგებლა ამ შემთხვევით, მაგრამ მაინც იმისი განზრახვა ერთადერთი მიზეზი არა ყოფილა პოლიტიკის გაძნელებისაო.

მეორე აზრი ის არის, ვითომ სახელმწიფოთა განწყობილება შესცვალა ინგლისმა, რომელმაც განიზრახა დასწიოს საპოლიტიკო სასწორი მეორე მხრისაკენ; ამის საბუთად იმას ასახელებენ, რომ ლორდი ჩერჩილი პეტერბურგს მოვიდა, ვითომდა საპოლიტიკო საქმეებზედ მოსალაპარაკებლადაო.

დასასრულ, ნება გვაქვს ვიკითხოთ, რამდენს ხანს გასტანს ეხლანდელი მყუდროება ევროპის საკეთილდღეოდ?

«ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დაგროვილი ჭარბი სიმდიდრე»

ტფილისი, 17 დეკემბერი

იმ სახელმწიფოებსაც კი, რომელნიც ძლიერ და შემძლე სახელმწიფოებად ითვლებიან, მუდმივ თავს ადგია ეკონომიური გაჭირება. იშვიათია ისეთი სახელმწიფო, რომელსაც ვალი არა ჰქონდეს და რომლის შემოსავალი აღემატებოდეს გასავალს. ამის საბუთი თვით ევროპაა, სადაც ძლიერნი სახელმწიფონი ეკონომიურის ხელმოკლეობის გამო ვერ გასძღოლიან თავიანთს საჭიროებას, რადგანაც შინაური მომქმედი, მწარმოებელი ღონენი იმდენად ფრთაშესხმულნი არ არიან, რომ სახელმწიფომ მათის შემწეობით დაიკმაყოფილოს თავისი საჭიროება. ზოგი ქვეყანა მდიდარიც არის, მაგრამ ეგ სიმდიდრე ხეირიანად ვერ გამოუყენებია; ზოგს კი იმდენი რთული საჭიროება აქვს, რომ იმისი ძალ-ღონე ვერასგზით ვერა სწვდება ამ საჭიროებას. ამიტომაც ძალიან გვიკვირს, როცა შევიტყობთ ხოლმე, რომ ამა და ამ სახელმწიფოში შემოსავალი გასავალზე მეტია და სახელმწიფომ არ იცის, როგორ გამოიყენოს მეტი სიმდიდრეო. იქნება იფიქრონ, რომ მეტს სიმდიდრეს რად უნდა უჩიოდეს ვინმეო, მაგრამ საქმეც ის არის, რომ მეტი და გამოუყენებელი სიმდიდრე ისევე მავნებელია, როგორც გარდამეტებული სიმსუქნე და სისხლის სიჭარბე.

ამგვარი სისხლმოჭარბებული სახელმწიფო ამერიკის შეერთებული შტატებია. ამ სახელმწიფომ არ იცის, რა უყოს ფულს, რომელიც სახელმწიფო ხაზინაში მოგროვილია. 1885-ს წელს შემოსავალი აღემატებოდა გასავალს ოთხმოცდაათ მილლიონ ფრანკით; 1886-ს წელს ივნისის თთვეში – ორას ორმოცდახუთ მილიონ ფრანკით; 1887-ს წლის ივნისში – ორას სამოცდათხუთმეტის მილლიონით; გამოანგარიშებულია, რომ მომავალს წელს შემოსავალი გასავალზე მეტი იქნება ოთხას ორმოცდაათ მილლიონის ფრანკით. აი, ამდენი ფული გროვდება ხაზინაში და არ იციან, რარიგად მოიხმარონ; ფული არა სწარმოებს და ამიტომაც ხალხსა და სახელმწიფოს სარგებლობა კი არა, არამედ დიდი ზარალი ეძლევა, და ხალხი თანდათან ღარიბდება. ამიტომაც მართებლობა და საზოგადოება მოწადინებულია სახელმწიფო ფული აწარმოვოს და ამით როგორმე ბოლო მოუღოს ამ სამწუხარო გარემოებას; რესპუბლიკელის დასის წარმომადგენელს ბლენს და პრეზიდენტს კლიველანდს თავ-თავიანთი პროგრამა შეუდგენიათ ამ გარემოების მოსასპობლად. ბლენის აზრით, საჭიროა მოსპონ ბაჟი თამბაქოზე და იმ გარდამეტებულის ფულით გაამაგრონ ატლანტის ოკეანეს ნაპირები. აქციზის გაუქმება შესაძლოა, მეტი არ იქნება, რადგანაც იმის საშუალებით მცხოვრებლებს შეღავათი უნდა მიეცეს, მაგრამ ატლანტის ოკეანეს ნაპირების გამაგრება კი სრულიად საჭირო არ არის, რადგანაც ამერიკაც არსაიდგან არავითარი შიში არ მოელის, ამის გამო ბლენის აზრი მაინცდამაინც არ მოსწონებიათ ამერიკაში. უფრო შესანიშნავია კლიველანდის პროგრამა. კლიველანდის აზრით, საჭიროა პროტექციონულის სისტემის გაუქმება, რადგანაც ამერიკა იმდენად ძლიერია ვაჭრობით, წარმოებით, მრეწველობით და მკვიდრთა მხნეობით, რომ მფარველობას არ საჭიროებს; დღეს პროტექციონული სისტემა სრულიად მეტია და ტვირთად აწევს ღარიბსა და საშუალო

შეძლების ხალხს. სატამოჟნო ბაჟი შეერთებულს შტატებს აძლევს წელიწადში ცხრაასი ათას მილლიონს ფრანკს და ეს ფული სრულიად მეტია ხაზინისათვის. ხაზინა დიდის შრომითა და მეცადინეობით აგროვებს ამდენს ფულს და მოხმარება კი იმისი სახელმწიფოსა და ერის სასარგებლოდ ვერ მოუხერხებია.

ამ პროექტმა ძალიან შეაფუცხუნა ამერიკელი კაპიტალისტები, რომელთათვისაც მეტად სასარგებლოა პროტექციონული სისტემა; იმათ არ უნდათ დაუთმონ თავიანთი ინტერესები მკვიდრთა უმრავლესობას. ეს უკანასკნელი გარემოება დიდად დააბრკოლებს კლიველანდის პროგრამის განხორციელებას, რადგანაც კაპიტალისტების დასი ამერიკაში მეტად ძლიერი და გავლენიანია.



«ბათუმის ჰავის ავკარგიანობის შესახებ»

ტფილისი, 18 დეკემბერი

კავკასიის სამკურნალო საზოგადოების უკანასკნელს კრებაზე, მკურნალმა ნ. ხუდადოვმა წაიკითხა ვრცელი მოხსენება იმაზედ, თუ რამდენად მარგებელია ბათუმის ჰავა სხვადასხვა ავადმყოფთათვის, რომლებიც ხშირად მიეშურებიან ბათუმისაკენ ჯანმრთელობის აღსადგენად. ბ-მა ხუდადოვმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ კავკასიის ჰავა ნაკლებად შესწავლულია, ასე რომ მკურნალებს საშუალება და საბუთი არ აქვთ, ამ ან იმ ადგილს წასვლა ურჩიონ ავადმყოფებს, რის გამოისობით იძულებულნი არიან იხელმძღვანელონ პირადის შეხედულობით და ზედმოქმედებით. ეს გარემოება, რასაკვირველია, ცუდად მოქმედებს თვით ავადმყოფებზე, რომლებიც ხშირად განკურნების მაგიერ ნაჩვენებს ადგილში საუკუნო განსვენებას ჰპოვებენ.

იმ ცნობებითგან, რომელიც ბ-ის ხუდადოვს შეუკრებია, სჩანს, რომ ბათუმი ისეთი ადგილი არ არის, რომელიც რგებდეს ავადმყოფს. ამის მიზეზი, სხვათა შორის, ის არის, რომ ბათუმის ჰავა მეტად დაუდგრომელია, ბათუმში და იმის მახლობლად სხვადასხვა ქარები ჰქრის და მეტად ნამი იცის. ამგვარ ბუნებითის პირობათა გარდა ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ბათუმი, თუმცა ამ ათიოდე წლის განმავლობაში გამდიდრდა და გაფართოვდა, მაგრამ იმის სანიტარულს

მდგომარეობას თითქმის არავითარი მომჯობინება არ დამჩნევია. ზოგიერთს ადგილას ბათუმში დაგუბებულია მთელი ზღვა უწმინდურებისა, რომლის სუნი ჰშხამავს მთელს ქალაქს. ეს იმის ბრალიაო, რომ არც თვით მცხოვრებნი და არც ქალაქი არავითარს ყურადღებას არ ათხოვებენ ქალაქის მდგომარეობას და ნებას აძლევენ მცხოვრებლებს ყოველივე უწმინდურობა ცხვირწინ წაიყარონ. აგრეთვე, დიდად მავნებელია ქალაქისათვის ის გარემოებაც, რომ ქალაქის მახლობლად ტბები დამდგარა რკინის გზისა და გზადკეცილის გაყვანის შემდეგ. საქმე ის არის, რომ ინჟენერებს არავითარი ყურადღება არ უთხოვებიათ ქალაქისათვის და როცა გზები გაჰყავდათ, არავითარი ღონე არ უხმარიათ, რათა სინოტიე არ დაგუბებულიყო. გარდა ამისა, მომხსენებელის სიტყვით, ბათუმში არც რიგიანი სახლებია და არც რიგიანი წყალი, რომელსაც აფუჭებს ქალაქს გარედ დაგუბებული ტბა.

ერთი სიტყვით, როგორც ყველა ცნობებითგანა სჩანს, ბათუმი ვერაფრით არგებს ავადმყოფებს; ხუდადოვის აზრით, საჭიროა სამკურნალო საზოგადოებამ იხმაროს ყოველივე ღონისძიება და შთააგონოს, ვისაც ჯერ არს, რამდენად აუცილებლად საჭიროა ბათუმი განსწმინდონ და გაასუფთავონ მკვიდრთა საკეთილდღეოდ.

ის საგანი, რომელსაც ბ-ნი ხუდადოვი შეეხო, დიაღაც ღირსშესანიშნავია მთელის ქვეყნისათვის. მართლადაც ჯერჯერობით არც საკმოდ გამოუკვლევიათ სხვადასხვა ადგილების ჯანმრთელობა და არც შესაფერი და საკმარისი შრომა და მეცადინეობა უხმარიათ ჩვენის ქალაქების გასასუფთავებლად. არამცთუ ბათუმი, რომელიც ეს ათიოდე წელიწადია, რაც შემოგვიერთეს, არამედ სხვა ქალაქებიც ტფილისიდგან მოყოლებული, ყველანი უსუფთაობითა და უწმინდურებით სავსენი არიან.

ჩვენს ტფილისშიაც, სადაც სანიტარული კომისია მოქმედებს, შეხვდებით ნამდვილ ბუდეს უწმინ-

დურებისას; სახლები, რომელთა პატრონები დღითი-
დღე მდიდრდებიან, იმდენად უწმინდურნი და მოუხერ-
ხებელნი არიან, რომ მკვიდრთა უმეტესობა მეტად
გაჭირებულს მდგომარეობაშია. რაც შეეხება წყალს,
ყველას მოგეხსენებათ, რამდენად სადავიდარაბო გახდა
წყლის საქმე. დღემდის არ ვიცით, რომელი წყალი
ვიხმაროთ, მტკვრისა თუ ავჭალისა, მცოდნე კაცთა
აზრები იმდენად სხვადასხვაობენ, რომ იმ აზრთა
მიხედვით, ერთიცა და მეორეც ნამდვილი საწამლავია.
სხვა ქალაქებიც არ არიან მაინცადამაინც სანატრელს
მდგომარეობაში, ასე რომ ჩვენი ჯანმრთელობა მუდმივს
განსაცდელშია.

«გაზეთი "კავკაზი" და ქართველი ხალხი»

ტფილისი, 18 დეკემბერი

ვის არ წაგიკითხავთ ჩვენი აქაური რუსული
გაზეთი "Кавказ"-ი, გირჩევთ წაიკითხოთ. სულ კი არა,
ღმერთმა დაგიფაროთ ამისთანა სატანჯავისაგან. ჩვენ
გირჩევთ წაიკითხოთ მარტო № 332, ისიც მთელი
ნომერი არა, ესეც საკმაო სატანჯავია, მარტო მეორე
გვერდის მეექვსედის ნახევარი. ეს კი სწორედ სასა-
ცილოა. ჭკვადამჯდარი, დარბაისელი "Кавказ"-ი, თუმცა
ყოველთვის სასაცილოა, მაგრამ ძნელად გაიცინებს
ხოლმე და თუ გაიცინა, ისე გაიცინებს, რომ მართლა
სიცილია.

მას აქედ, რაც ამ ბებერს გაზეთში ერთის ჯურის
პუბლიცისტმა დაიბუდა და ბინა გაიკეთა, ახირებული
მასხარაობა დაიწყო გაზეთმა. ეს მასხარაობა მთელმა
რუსეთმა შეჰნიშნა და მარტო ამას ჰკვირობდა, რომ
თვითონ "Кавказ"-ი თავის მასხარაობას წარბშეკრულს
ჭკვიანობას ეძახდა. თქვენ რა იცითო, შეუთვალა
"Кавказ"-მა იმის მიერ გაოცებულს მწერლობასა, თქვენ
რა იცით ხურმა რა ხილიაო. აიგდეს სასაცილოდ
"Кавказ"-ი, მაგრამ "Кавказ"-მა ყურიც არ შეიბღერტა:
გენიოსებს სიკვდილის შემდეგ იცნობენ ხოლმეო,
მოიცადეთ ჯერ დავიხოცნეთო!

ღმერთმა ნუ ჰქმნას, შორს თქვენგან ავი თვალი, იცოცხლეთ მრავალჟამიერ სადიდებლად... ნეტა ვის სადიდებლად? ჩვენ არ ვიცით და მაინც ღმერთსა ვთხოვთ, იცოცხლეთ მრავალჟამიერ. რას ბრძანებთ? რომ ესენი აღარ იყვნენ, ვინღა გვეტყოდა იმას, რაც "Кавказ"-მა 332 ნომერში სთქვა!

აი საქმე რაშია: ბ-ნმა ზელინსკიმ თურმე ერთი საშინელი ჭორი მოაჭორა: ქართველი ქართველი არისო, აბა "Кавказ"-ის მეცნიერი პუბლიცისტი რას დაანებებდა თავს ამისთანა ჭორსა... ამან არც აცივა, არც აცხელა და ასე უკიჟინა წყევლა-კრულვით მეჭორესა:

Автор... делает, как мы сказали выше, обобщения преждевременные и неимеющие достаточных оснований. Так, например, он устанавливает рубрику Картвелский или Иверийский народ, отождестляется им с грузинами (დახე, რა ჭორი მოუგონია ბ-ნს ზელინსკის!) и далее причисляет к последним имеретин (ეს რა მოსვლია ზელინსკის, — განა, Кавказ-ო!) мингрелцев, хевсур, сванет და სხვანი და სხვანი.

რას იტყვით ამაზედ? მართლადა ბ-ნს ზელინსკის ეს რა ჭორი მოუგონია, რომ ქართველი ქართველიაო. მერე როგორ? ეს წიგნშიაც დაუბეჭდია, წიგნში: ჭორი ხომ ჭორია, მაგრამ ეხლა დააკვირდით, რა სიბრძნეა, რა ლოღიკაა, რა ჭკუადამჯდარი მეცნიერებაა "Кавказ"-ის პუბლიცისტისაგან...

"Совершенно так же преждевременно причислять, напр. сванет и мингрелъцев, равно и многие другие племена (მაგალითებრ: კახელი, ქართლელი, ქიზიყელი, ხევსური, ფშაველი, გურული, იმერელი განა?) к грузинам. Если между ними и последними и являются может бытъ некоторые сходные обычай , слова, то этого недостаточно ещё для такого заключения. Напротив, ети племена, равно и многие другие (კიდევ კახელი, ხევსური, ქართლელი, იმერელი, გურული, ქიზიყელი

და სხვანი განა? ბაშუსტა!) представляют таким резким отличия типа и языка и даже обичаев и национального костюма, что их нивкоим образом нелъзя причислятъ к грузинам".

როგორ მოგწონთ ეს "კოსტიუმების" თეორია? თუ "კოსტიუმების" თეორიას გავყვებით, არა გვგონია თვითონ "Кавказ"-ის ბედნიერი პუბლიცისტი გამოდგეს იმ თესლისა, რა თესლსაც თვითონ ეკუთვნის.

არა, ბ-ნო პუბლიცისტო! ამ ჯაგლაგ თეორიით შორს ვერ წახვალთ და თუ მაინცდამაინც დაიჟინებთ იქამდე მიხვალთ, რომ ტულის გუბერნიის გლეხკაცსაც ჩამოართმევთ რუსობას, იმიტომ რომ ტულის გუბერ-ნიაში სხვანაირ ქუდებს ატარებენ და მოსკოვისაში სხვანაირს. ეგ ახალი გაზანდრის ადლი აგიღიათ ხელში და ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ; ჩვენ კი მაგით ვერას გაგაზომინებთ.

"Кавказ"-ი ჰკილავს ბ-ნს ზელინსკის, რომ ჯერ ადრეა იმისი თქმა, ვითომც ქართველი ქართველი იყოსო და ჩვენ კი "Кавказ"-ის მეცნიერს პუბლიცისტს ვეტყვით: ბ-ნო, გვიანღაა იმისი თქმა, რომ ქართველი ქართველი არ არისო.

დავანებოთ თავი ამ სასაცილო ამბავს. განა ამისთანაებს განმარტებაღა უნდა და ამაზედ მეტად კვალში ჩადგომა! რაც უნდა ზიზილ-პიპილებით მოირთოს, როშვა მაინც როშვაა.

ისა სჯობია, ზურგი შევაქციოთ ამ განკერძოებულ ამბავსა და საზოგადო ჭირი ეხლანდელის დროებისა ავღნიშნოთ.

ვის არ გაუგონია ერთი სასაცილო ზღაპარი ჭალა-ში მომკვდარი ჩიტისა, რომელიც არც დიდს ქვაბში ეტეოდა და პატარაშიაც ლაღე იყო. სწორედ ამ ჩიტის ამბავი დაემართა ადამიანის ჭკუასა და ლოღიკასა ჩვენს დროში: აღარც დიდ თავში ეტევა და პატარაშიაც ლაყეა თუ ლაღეა. რაებს აღარ ჰბოდვენ? რაებს აღარ ლაყბობენ?

რა დაემართა ადამიანს? არ ვიცით. უჭკონი, ულოღიკონი, სულელნი განა წინად კი არ ყოფილან, მაგრამ სულელს თავის დღეში სულელი ჰრქმევია და ყური არავის უთხოებია. ეხლა კი სულელობას თითქო კაი ბაზარი აქვს, თითქო კაი ფასად გადის და ვისაც ეს განძი ბლომად ჰქონია, საპალნეებით ზედიზედ ეზიდება გასასაღებლად, თითქო დროს ეხარბება, მაზანდა არ წაჰხდეს, ფასი არ დაჰვარდეს და არ დავიღუპოვო.

სულელობა ხომ სულელს ექნება და საკვირველი ეს არის, სულელს იმოდენა გონიერება ვინ მისცა, რომ ასე ეშურება თავისის განძის გასაღებას. რაკი ეშურება, სჩანს იცის, რომ სულელობის ბაზარს დიდი ხანი არა აქვს და რაკი ეს იცის, სჩანს სულელი მთლად სულელი არა ყოფილა. მაშ რა ხათაბალა ამოქმედებს ამისთანა კაცს? თუ მთლად სულელი არ არის, მთლად რადა ჰსულელობს? აქ მარტო ერთი პასუხია: ან სხვისი სულელობა აქეზებს, ან სხვის გასულელებასა ჰლამის და ამით მუშტრის შოვნასა. რაც გინდათ სთქვით და არც ეს არის მთლიანი სულელობა. აქაც ანგარიშია და ანგარიში შეუცდომელი, ამისთანა გამბედაობა დღეს თანხაა და თანხის ტრიალი უნდა, რომ სარგებელი აიღოს, იბღარტოს, იმატოს. კაი ხელობაა და ნუ გგონიათ კი, რომ სუბუქი ხელობა იყოს.

აქ კაცმა სინიდისიც უნდა დაივიწყოს, ნამუსიც უნდა ჩვარში გამოჰკრას, პატიოსანებაცა ჰგმოს, ერთი სიტყვით, ყოველს ღვთაებურს ნიჭს ადამიანისას უნდა გადუდგეს და ამ ხელობას ისე მოჰკიდოს ხელი. ხუმრობა ნუ გგონიათ ასე სამარცხვინოდ თავის გაწირვა, ასე გაბიაბრუება, გაუპატიურება საკუთარის თავისა, საკუთარის კაცობისა. ამასაც ღონე უნდა, მართალია ღონე საზიზღარი, თავლაფდასხმული, შემაძრწუნებული, მაგრამ მაინც ღონე. ვაი, რომ ამისთანა ღონესაც ფასი აქვს და მუშტარიც ჰყავს!

«ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ»

ტფილისი, 22 დეკემბერი

ამ ბოლო დროს ჩვენს განათლებულ საზოგადოებაში გაჩნდა ერთი საყურადღებო მოვლენა, რომელსაც დიდი გავლენა უნდა ჰქოდეს ხალხის გონებისა და ცნობიერების განვითარებაზედ, ეროვნულ წარმატებაზედ. ეს მოვლენა სახალხო ლექსების შეკრება და ბეჭდვაა ჩვენს ჟურნალ-გაზეთობაში. სამწუხაროდ, როგორც თითქმის ყოველთვის და ყველაფერში, სახალხო სიტყვიერების ნაწარმოების შეკრების შესახებაც ცალკერძი გატაცება ეტყობა ჩვენს საზოგადოებას. აქაოდა სახალხო პოეზიას დიდი მნიშვნელობა აქვსო ჩვენის მწერლობისათვის და მდაბიო ხალხის ესტეტიურის გემოვნებისა და აზროვნობის გასაცნობადაო, ხელი მოვკიდეთ მარტო ამ პოეზიის შეკრებას და სხვა საგნები კი ხალხის ნაწარმოებისა სრულიად დავიწყებული გვაქვს. მდაბიო ხალხის გონებითი თუ სხვაგვარი საუნჯე მარტო იმის ლექსებში ან პოეზიაში როდი გამოიხატება, არა, ეს საუნჯე უხვად დათესილი და დარჩენილია ისეთ ნაწარმოებებში, რომლებიც სრულებით არ ეკუთვნიან პოეზიის სფერას. ამგვარია მაგალითებრ, ხალხის ჩვეულებანი, რომელნიც შეეხებიან ეკონომიურს და იურიდიულს ცხოვრებას.

ყველას, ვისაც კი უცხოვრია მდაბიო ხალხში, ეცოდინება, რომ ხალხს თავისი საკუთარი ეკონომიური წეს-წყობილება და იურიდიული ჩვეულებანი აქვს, რომლითაც ხელმძღვანელობს, როცა საჭიროება ამას მოითხოვს. მამულის გაყიდვა და დაგირავება, საქონლის გაბარება მოსაშენებლად, ერთურთ შორის აღებ-მიცემობა, სხვადასხვა მცირე დანაშაულის გასამართლება და ათასი ამგვარი მოვლენა, სულ ხალხის ჩვეულების ძალით სწარმოებს, ხალხის ადათზეა დაფუძნებული და ამ ადათს ემორჩილება. ჯერ ეხლაც, ხალხმა დაწერილის კანონისა არა იცის რა და სასოფლო სასამართლოში რომ მიხვიდეთ, შეიტყობთ, რომ სოფლის მსაჯულები ადათითა და ჩვეულებით ხელმძღვანელობენ საქმის გადაწყვეტის დროს. მართალიც არის. მდაბიო ხალხის ეკონომიკური და იურიდიული ცხოვრება ჯერჯერობით ისე ვიწროდ და მკვიდრად შემოფარგლული წრეა, რომელსაც მაგრე მალე და ადვილად დაწერილი კანონი ვერ დაარღვევს და ვერ შეუვა. ფრიად სასარგებლო უნდა იყოს ყველა შეგნებული ქართველისათვის იცოდეს, რაგვარ და როგორ ჩვეულებებს მისდევს მდაბიო ხალხი თავის ეკონომიურ და იურიდიულ ურთიერთობის შესახებ.ეს სფერა ცხოვრებისა მთელს სურათს უშლის ჩვენს მოწინავე საზოგადოებას და ცხოვრების სურათი კიდევ დაგვანახვებს ხალხის ავსა და კარგს, იმის შეხედულობას სამართალზედ, ერთურთს დამოკიდებულებაზედ და სხვა.

სადაც მდაბიო ხალხის ცხოვრების შესწავლა ნამდვილ გზაზედ არის დაყენებული, სადაც შეგნებული აქვთ, თუ რა საუნჯეა დარჩენილი სხვადასხვა ჩვეულებებში, იქ მდაბიო ხალხის ყოველგვარ ჩვეულებას, ცხოვრების ყოველგვარ საგანს ჯეროვანს ყურადღებას აქცევენ და გამოუკვლეველად არაფერს არ სტოვებენ. სწორედ ამგვარ შესწავლას და გამოკვლევას მოაქვს სასარგებლო და კეთილი ნაყოფი, მხოლოდ ამნაირის შესწავლით და გამოკვლევით შეიძლება

ყოველმხრივ შევიგნოთ ხალხის წარსული და აწმყო, იმისი ავი და კარგი იმისი წადილი, საჭიროება, სადაც ასე არ არის, იქ ყოველთვის შესაძლოა შევცდეთ და ვერ შევიტყოთ, რა სურს ხალხს და რას აქცევს ზურგს იგი.

როგორც ზემოდ ვუჩვენეთ, ჩვენმა ინტელიგენციამ ხელი მოჰკიდა მარტოდმარტო სახალხო პოეზიის შეკრებას. ეს საკმაო არ არის. არათუ საკმაო, იქნება ბევრჯელ მავნებელიც იყოს და ხალხის ცხოვრების შესახებ შეცდომაში შეგვიყვანოს ამ პოეზიამ. რისთვის, როგორ? — გვკითხავს განცვიფრებული მკითხველი. აი, ვისთვის და როგორ: პოეზია, და მეტადრე სახალხო პოეზია, თქვენც მოგეხსენებათ, უფრო ფანტაზიის ნაყოფია და ფანტაზია კიდევ მაგრერიგად არ ეწყობა და არ ემორჩილება ზნეობით კანონის მოთხოვნილებას. ხშირად მდაბიო ხალხი გატაცებული ფანტაზიის აღმაფრენით, დამღერის და დაჰხარის ისეთს საგანს და მოვლენას, რომელიც ძირეულად ეწინააღმდეგება ცხოვრების სიკეთესა და ცრუმორწმუნეობაზედ არის აშენებული. რასაკვირველია, მარტო პოეზიის მიხედვით დასკვნა და მსჯელობა ხალხის ცხოვრების საჭიროებაზედ და იმის მოთხოვნილებაზედ შეცდომა იქნება და ამ შეცდომას საზარალო შედეგი უნდა მოჰყვეს. თუ ამ შემთხვევაში შეცდომის თავიდამ აცილება გვსურს, პოეტურ შეხედულობის გარდა ხალხის სხვა შეხედულობას და მსჯელობასაც ყური უნდა ვათხოვოთ და ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ხალხის ყველაგვარი ნაწარმოები შესწავლილი გვექნება. ჩვენი დედააზრი ეს არის: ხალხის ცხოვრება ყოველმხრივ და ჰარმონიულად უნდა შევისწავლოთ; იმისი ყოველგვარი გონებითი ნაწარმოები უნდა შევკრიბოთ. ჩვენ ამჟამად დავასახელეთ ნაწარმოები ორის სფერიდგან — ეკონომიურის და იურიდიულის ცხოვრებიდგან. ეს იმიტომ, რომ ერთისა და მეორისაც შეკრება და შესწავლა ყველასათვის საადვილო საქმეა და უფრო ბეჯითობას და დაკვირვებას თხოულობს,

ვიდრე სპეციალურს ცოდნასა და მომზადებას. ვინც ცოტა ოდნად ნასწავლია და ხალხში ტრიალებს, ცხოვრებს, თვალ-ყურს ადევნებს იმის ეკონომიურს და იურიდიულს ჩვეულებებს, ის ადვილად შენიშნავს ამ ჩვეულებებს და იმათი ქაღალდზედ გადმოღება ხომ უფრო ადვილი საქმეა.

ერთის რომელისამე საგნის ამოჩემება, იმისი ”მოდად” დაწესება და სხვა საგნების დავიწყება კარგი არადროს არა ყოფილა და არც ჩვენთვის იქნება. სახალხო პოეზია კარგია, მაგრამ როცა მარტო იმისი შეკრება იზიდავს მთელის ინტელიგენციის ყურადღებას, როცა ეს შეკრება “მოდად” ხდება, მაშინ საჭიროა, რომ სხვა საგნებისაკენაც მიიხედოს განათლებულმა საზოგადოებამ.

საჭიროა, ჩვენმა ნასწავლმა საზოგადოებამ ერთად თავი მოიყაროს, მოილაპარაკოს, ასწონ-დასწონოს ყოველიფერი ამ საგნის შესახებ და პროგრამა შეადგინოს ხალხის ზნე-ჩვეულებათა შეკრებისა და შესწავლისათვის, თუ ყველგან ამას მისდევენ, განა ჩვენთვის კი დრო არ არის?



«ქრისტეშობის მოლოცვა»

ტფილისი, 24 დეკემბერი

მოგილოცავთ წმინდა დღეს ქრისტეს შობისას. მოგილოცავთ იმას კი არა, რომ ეს დიდებული დღე შეგიძლიანთ გაატაროთ უქმად, მოგილოცავთ იმიტომ კი არა, რომ ეს დღე უქმობის დღედ მიგვაჩნია, არამედ-იმიტომ, რომ ამ დღესთან ერთად მოეფინა ქვეყნიერობას ნათელი ჭეშმარიტებისა და ხორცისაგან ძლეული სული აღმობრწყინდა მთელის თავის საოცარის მშვენიერებითა. დღეს იშვა ქრისტე ღმერთი ჩვენი, ძედ კაცისად მოვლენილი ქვეყანაზედ, რომ კაცს კაცობა ასწავლოს, კაცობა უმოძღვროს. დღეს იშვა ღმერთი უანგარიშო სათნოებისა, მოწყალებისა, ღმერთი ჭეშმარიტებისა და სიყვარულისა.აი რით არის სასიხარულო, კურთხეული და მისალოცავი ეს დიდებული დღე, ეს დიდებული დღესასწაული უბინოდ შობილისა, რომელმაც კაცთმოყვარეობასა და ურთიერთის სიყვარულზედ ააშენა თვისი დიდებული მოძღვრება კაცთა ხსნისა და მაცხოვარობისა.

აი, დღევანდელის დღის სიყვარულმა სად უნდა მიაწვდენინოს თვალი ადამიანსა და უკვე ჩასახული ადამიანის გულში ყოვლად მხსნელი სიყვარული მოყვასისა ააფრთოვანოს, გააძლიეროს მოქმედებისა და მოღვაწეობისათვის. ამ მხრით, დღევანდელი დღე არის დღე შრომისა, დღე თავის თავის განკითხვისა. აქ

სული და გული ადამიანისაუნდა პასუხს აძლევდეს იმ ყოვლად მოწყალე მსაჯულსა, რომელსაც მოძმეთა სიყვარული ჰქვიან და რომელიც ასე უანგაროდ სტირის მტირალთან, ჰხარობს მოლხინართან, იტანჯვის ტანჯულთან, პურს აწვდის მშიერსა, წყალს აწვდის მწყურვალსა, ჰმოსავს ტიტველ-შიშველსა, ოფლსა სწმენდს მაშვრალსა, ნუგეშს სცემს სნეულსა და დავრდომილსა, ჰპატრონობს ობოლსა, ასულმდგარებს დევნულთა მართლისათვის და ათბობს და ანათებს ქვეყნიერობასა ხსნისა და ცხონებისათვის.

ეს დღე მისალოცავია და ჭეშმარიტად სადიდებელი მარტო იმისათვის, ვინც გაგებით და ცოდნით, გულით და სულით იტყვის დღევანდელს დღეს: "შობამან შენმან, ქრისტე ღმერთო ჩვენო, აღმოუბრწყინა სოფელსა ნათელი მეცნიერებისა, რამეთუ რომელნი ვარსკვლავებსა ჰმსახურებდნენ, ვარსკვლავებისაგან ისწავეს თაყვანისცემა შენი, მზეო სიმართლისაო, რომელი აღმობრწყინდი მაღლით აღმოსავლეთით, უფალო დიდება შენდა".

«ქუთაისი საქალაქო არჩევნების მოლოდინში»

ტფილისი, 28 დეკემბერი

ამ უკანასკნელის ხანებში ქუთაისი მეტად აღშფოთებული და გაცხოველებულია მომავალი საქალაქო არჩევანის მოლოდინში. ჩვენ რამდენიმე წერილი დავბეჭდეთ ქუთაისიდგან და ეს წერილები ნათლად და ცოცხლად გვიხატავდნენ იქაურს ცხოვრებას, ყოველისავე ღირსებითა და ნაკლულევანებით, წერილები გვარწმუნებენ, რომ რამდენადაც უფრო ახლოვდება არჩევანი, მით უფრო მეტს მოუთმენლობასა და მოუსვენრობას იჩენენ ქალაქის მკვიდრნი, ყველანი იმ დღეს მოელიან, როცა უნდა გადაწყდეს არჩევანის საქმე. ყველა იმასა ჰფიქრობს: შეიცვლება თუ არა ქალაქის მმართველობა და თუ შეიცვლება, რარიგად უნდა შეიცვალოსო? ზოგნი ასახელებენ ახალს კანდიდატებს, ჰკიცხავენ ძველს გამგეთა და ახალს კანდიდატების ღირსებას ჩხრეკენ, მაგრამ, როგორც დღემდისა სჩანს, მკვიდრთა უმრავლესობა ვერ მორიგებულან ვერც ძველის გამგეობისა და ვერც ახალის თაობაზედ.

რასაკვირველია, საზოგადოების სიფხიზლე და სიცხოველე სასიამოვნო და საგულისხმოა, მაგრამ თუ ამ სიფხიზლეს და სიცხოველეს ძირი და დასაბამი არ გაუსინჯეთ, შეცდომა ადვილად შესაძლებელია. როცა

რომელიმე საზოგადოება სიცხოველეს იჩენს რომ-
ლისამე საერთო საქმის გამო, უსათუოდ ის უნდა
ვიქონიოთ მხედველობაში, თუ რა მიზეზს გამოუწვევია
ეს სიცხოველე.

შეუძლებელია კაცს ეს აზრი თავში არ მოუვიდეს,
როცა ქუთაისის მკვიდრთა მოქმედებასა და საქმეებს
ჩაუკვირდება. მართლადაც, მთელი ქალაქი აღშფოთე-
ბულია, ყველანი გარდამეტებულს სიცხოველეს იჩენენ,
ყველას ენაზე აკრავს საზოგადო საქმე, ყველა იმას
ჰღაღადებს, რომ ქალაქის ბედ-იღბალი სხვაფრივ,
მკვიდრთა საკეთილდღეოდ უნდა დავატრიალოთო და
სხვანი. რასაკვირველია, მკვიდრთა კეთილდღეობაზე
ლაპარაკი და ღაღადება, ქალაქის საქმეთა კარგად,
რიგიანად წარმოების სურვილი დიაღაც პატივსაცებია,
მაგრამ იმ დრომდე კი, სანამ ამ ლაპარაკს და
ღაღადებას ფესვებს არ გაუსინჯავთ. რაკი ქუთათუ-
რების სიტყვისა და ლაპარაკის სარჩულს დახედავთ, ამ
სიტყვა-ლაპარაკის თვისებაზე დიდს ეჭვს აიღებთ.
მართლადაც, ჩაუკვირდით იმ წერილებს, რომელნიც
ჩვენ დავბეჭდეთ. როგორც ამ წერილებიდგან სჩანს,
ქუთათურების სიცხოველე ყალბი და ფშუტეა,
რადგანაც იმისი მიზეზი საზოგადო საქმის სიყვარული
კი არა ყოფილა, არამედ ისეთი რამ, რასაც არც ერთს
რიგიანს საზოგადოებაში, როცა საქმე საზოგადო საჭი-
როებაზე მივარდება, ადგილი არ უნდა ჰქონდეს.
ქუთაისში კი, როგორც ჩვენი მოამბენი მოწმობენ,
საზოგადო საქმე, ქალაქის საჭიროება, პატიოსანება და
სხვა ამგვარი ლამაზი სიტყვები მხოლოდ ფერ-
უმარილია იმათთვის, ვისაც საზოგადო საქმე კიტრადაც
არ მიაჩნიათ. ქუთათურები დანაწილებულან დას-დასად
და თვითვეული დასი ხმამაღლად გაიძახის, საჭიროა
ქალაქისათვის ვიზრუნოთო, მაგრამ ქალაქად თავისი
თავი მიაჩნიათ და არა მთელი კრებული მცხოვრებთა.
ერთის სიტყვით, თავი იჩინა თვითმოყვარეობამ,
ნათესაობამ, მეგობრობამ და ზოგიერთმა ქვენა
გრძნობამა.

თუ არ ვცდებით, სარბიელზე არც ერთი ისეთი
დასი არ გამოსულა, რომელსაც მხოლოდ ქალაქის
საჭიროება ჰქონდეს მხედველობაში, რომელიც
საზოგადო საქმეს უყურებდეს, ვითარცა წმინდა საგანს,
რომლის წინაშე ყოველივე ქვენა გრძნობანი უნდა
დადუმდეს. ვიმეორებთ, ყველასათვის სასიამოვნო უნდა
იყოს საქმეთა რიგიანად წარმოება, ყველას იმის
სურვილი უნდა ჰქონდეს, რომ ყოველივე საზოგადო
საქმე რიგიან მოხელეთა ხელში ჩავარდეს. ჩვენ
მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ დიდი, შეუწყნარებელი
დანაშაულობაა, როცა ადამიანი საზოგადო საქმეს
ფეხითა სთელავს და მოძმეთა საჭიროებას არავითარს
ყურადღებას არ ათხოვებს.

ზემოდ ვთქვით, რომ ქუთაისში არც ერთმა ისეთმა
დასმა არ იჩინა თავი, რომელსაც აზრად უნდა ჰქონდეს
მხოლოდ პატიოსანი საზოგადო სამსახურიო. ამით ის
კი არ უნდა გვეთქვა, ვითომ ქუთაისში არ იყვნენ
ისეთნი მოღვაწენი, რომლებსაც გულს არ უკლავდეს
იქაური გარემოება! არა, ამგვარნი მოღვაწენი იქ
უსათუოდ უნდა იყვნენ, მაგრამ საქმე ის არის, რომ
თავი ვერ გამოუჩენიათ, რადგანაც პატიოსანი ადამიანი
ზოგჯერ ვერ შეებრძოლება ანგარებას და ბინძურებას,
რათა თვითონვე არ გაისვაროს და იძულებული არ
იქმნეს, მიჰმართოს იმ ღონეს, რა ღონესაც ჰხმარობენ
ისინი, ვისთვისაც კისრამდე ტალახში სვლა სამური და
სასიამოვნოა.

ის სენი, რომელიც ჩვენ ქუთათურთა ცხოვრებაში
ავღნიშნეთ, მართალია, მარტო იმათი სენი არ არის და
იმაზე ლაპარაკი ჩამოვაგდეთ მხოლოდ იმისთვის, რომ
იმ სენმა ამ უკანასკნელის დროს ძლიერ იჩინა თავი
ქუთაისში.

«საზოგადო საქმის მსახურთა სახელის დაცვისათვის»

ტფილისი, 29 დეკემბერი

ჩვენი გაზეთი მეტად ჰფრთხილობს, რომ არა რომელიმე კაცი არ იყოს გაბიაბრუებული, გაუპატიურებული არც მართლად და არც ტყუილუბრალოდ. გაბიაბრუება, გაუპატიურება ვისიმე საკადრისი არ არის არც ცალკე კაცისაგან, არც ლიტერატურისაგან, რომელიც მართებულობისა და რიგიანობის მაგალითი უნდა იყოს და თუ ან ერთი აკლია, ან მეორე, ღირსი არ არის წმინდა სახელი ლიტერატურისა ატაროს. ჭუჭყიანი სიტყვა-პასუხი, ჭუჭყიანი გულისნადები, რომელიც ზედ აბეჭდია ხოლმე ყოველს კაცს, სხვის გასაბიაბრუებლად გამოლაშქრებულს, მეტისმეტად ცხადი ნიშანია თვითონ მოლაშქრეს უწმინდურობისა და ჭუჭყისა.

ჩვენ ამის თაობაზედ არაერთხელ გვქონია ლაპარაკი და ისიც დაგვიმატებია, რომ ეს ჩვენი აზრი იმას კი არა ჰნიშნავს, ვითომც კაცი განკითხული არ უნდა იყოს, როცა გასაკითხავია. ხოლო განკითხვაც არის და განკითხვაც. განა განკითხვა ადამიანისა არ შეიძლება ზრდილობიანი, თავაზიანი, და მართებული იყოს?! დღეს ჭეშმარიტად განათლებული და გულით და გონებით განათლებისაგან გაფაქიზებული და გამწმენდილი კაცი ითხოვს, რომ ადამიანურად, ადამიანის ღირსების ძირს

დაუშვებლად ექცევოდნენ თვით ავაზაკსაც კი, რომელიც უკვე წამოსკუპებულია დამნაშავეთა სკამზედ და მსჯავრი მის მიერ შეგინებულის სათნოებისა უკვე თავს დასტრიალებს სამართლიან ზღვევისათვის.

თუ ავაზაკს ესე უნდა მოვექცეთ, მაშ როგორ უნდა მოვექცეთ ერთმანერთს, როცა ბედი და გარემოება შეგვახვედრებს ხოლმე ერთმანერთის განსაკითხად? ცხადია, როგორც, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენში მართებულ, ზრდილობიან განკითხვისათვის ბევრს აკლია საფანელი, ბევრს გული და გონება ამისათვის საკმაოდ განწმენდილი, გაწურთვნილი არა აქვს. ამიტომაც ისეთს თავზედ ხელაღებულს ლანძღვა-თრევას, ისეთის სიხარულით კაცის ავად ხსენებას არსად ნახავთ, როგორც ჩვენში. საკმაოა ჩვენში კაცმა კაცს რაზედმე საბუთიანი უარი უთხრა, საკმაოა ერთს რომელსამე აზრზედ არ დაეთანხმო, საკმაოა შენი საკუთარი აზრი იქონიო, სხვის სიტყვას, სხვის საქმეს სამართლიანი წუნი დასდო, საკმაოა რაც იმას მოსწონს, თქვენ არ მოიწონოთ, ერთ-ერთი ამისთანა საკმაოა-მეთქი, რომ მომდურავმა კაცმა თავისი კალამი თუ ენა ლაფში ამოავლოს და ზედ თავზედ დაგაბერტყოთ. სამწუხარო ჭირთა ჭირი ის არის, რომ ამის მომქმედს ბარაქალის ქუდსა ვხურავთ და ისიც გაბღინძული და გამოჭიმული დადის და უსირცხვილოდ ჰქადულობს თავის სამარცხვინო საქციელს.

დღე არ გადის, რომ ზოგიერთი ადგილებიდამ ესე ლაფში ამოვლებულ კალმით დაწერილი კორრესპონდენციები არ მოგვდიოდეს. ზოგი ბაზარნიკსა ჰლანძღავს, ასეთი და ასეთიაო და სამსახურიდამ უნდა გაგდებულ იქმნასო, ზოგი მღვდელზედ, ზოგი ბლაღოჩინზედ, ზოგი მეზობელზედ, ზოგი მტერზედ, ზოგი მოყვარეზედ. ყოველის სტრიქონიდამ გამოჰკრთის, რომ აქ ნაწყენი, გადამტერებული, დამუქრებული გული მოქმედებს და არა გამკითხველი, გულდინჯი, ჭკუადამჯდარი მართალი.

ამ ლაფის წვიმის ქვეშ, რა თქმა უნდა, უფრო იმისთანანი ჰდგანან, რომელთაც უბედური სვე შეხვედრიათ და გამოსულან გასარჯელად საზოგადო მოედანზედ საზოგადო სამსახურისათვის შეძლებისა-მებრ. იმისთანა უნუგეშო, უმწეო, ხელთაღუპყრობელი კაცი არ არის ჩვენში, როგორც საზოგადო საქმის მოღვაწე. როგორც გადატეხილს ღობეს, დიდი და პატარა მისდგომია და სთელავს. არავის სტკენს გულს ეს ასეთი უსამართლო ქცევა, არავის ეზიზღება, არავის ეთაკილება. ისე გაბიაბრუებული, ისე გაუპატიურებული არავინ არის ჩვენში, როგორც სვეუბედური მსახური საზოგადო საქმისა. აქაოდა მოედანზედ სდგას და ნიშანში ადვილი ამოსაღებიაო, აღარაფერს ვერიდებით, ვასორსლებთ ტალახის გუნდას და პანტასავით თავზე ვაყრით.

უცდომელი არავინ არის და შესაძლოა საზოგადო მოღვაწე ბევრში სცდებოდეს, ბევრში არ ემარჯვოს, ბევრში იმედი გაუმტყუნდეს და ამასთანავე შესაძლოა, რომ გული, ნამუსი, სინიდისი წმინდა ჰქონდეს, სურ-ვილი, განზრახვა, გულისნადები პატიოსანად ერჩოდეს. არ გამარჯვება, იმედთა გამტყუნება, შეცდომილება საზოგადო მოღვაწისა ჩვენ სასიხარულო ამბად მიგვაჩნია იმიტომ რომ შემთხვევას გვაძლევს ლანძღვის გუდას პირი მოვხსნათ და გაბიაბრუების, გაუპატიურე-ბის საწამლავში ამოვლებულ ისრით გული გავურ-ღვიოთ და რამდენად უფრო სატკენია, საწყენია ეს ამბავი მოღვაწისათვის, მით უფრო ბევრს ბარაქალას ვეუბნებით მსროლელსა.

ამ ჭუჭყს მოვერიდნეთ. კმარა ასეთი სამარცხვინო ქცევის შეწყნარება. სამართლიანის გულისწყრომით ზურგი შევაქციოთ სხვის გამაუპატიურებელს და ყოველივე ლანძღვა-თრევით გაბიაბრუებული ჩვენს საფარველქვეშ მივიღოთ და სარჩლი გავუწიოთ. ამას ითხოვს ჯანმრთელობა საზოგადოებისა, ამას ითხოვს ნამუსი და პატიოსნება ყველასი ერთად და თვით-ვეულისა ცალკედ. გულმტკივნეულად მომქმედი მარ-

თებული განმკითხველია და არა შემაგინებელი და მლანძღავი. პირველს მხარი მივსცეთ და მეორე კი... მეორემ კი ილაწლაწოს, ვიდრე თვის საკუთარს ლაფში სული შეუგუბდება და დაირჩობა.



«თვითმოქმედებისათვის»

ტფილისი, 30 დეკემბერი

ეხლანდელი დრო ისეთია, რომ თუ კაცი თვითონ არ არის, თვითონ არა ჰშველის თავის თავს, თვითონ არ ირჯება თავის სიკეთისა და ბედნიერებისათვის და თავის საკუთარს მხნეობის გარედ ეძიებს სახსარს ცხოვრების ავკარგიანობის გასაძღოლად, ამისთანა კაცი გადადებულია უფრო სასიკდილოდ, ვიდრე სასიცოცხლოდ.

სხვის იმედის მქონებელი გლახაა, მთხოვარა და გლახამთხოვარეობით ცხოვრება პირველი რომ სათაკილოა, თვითონ ადამიანის ღონის მომშლელი და დამდუნებულია, და მეორე — არც შემძლებელია, რომ ადამიანი მართლა ფეხზედ დააყენოს, გამოაბრუნოს და ოდესმე თავისით აცხოვროს, თავისით გამოაკეთოს.

გლახა, მათხოვარა, რამოდენადაც წაქეზებულია სხვის გულშემატკივრობისაგან, იმოდენად თანდათან უკან მიდის, იმოდენად სული და გული უღონდება, უკვდება და ბოლოს ის გამოდის, რომ მთლად გადაეჩვევა თავის თავის პატრონობას და მოვლას. ამ გადაჩვევას ხომ უღონობა, დაუძლურება სულისა და ხორცისა მოსდევს და ეს უღონობა, დაუძლურება კდომაა, ხრწნაა, აგებულების დაშლა და დარღვევაა.

თუ ეს ითქმის ცალკედ კაცზედ, თუ ეს საფიქრებელია და მართალია ცალკე კაცისათვის, უფრო

საფიქრებელია და მართალი მაშინ, როდესაც რომელიმე წოდება, ან მთელი საზოგადოება ამისთანა სენით არის დასნეულებული. ამაზედ უარესი სენი ჩვენ არ ვიცით, რომელს წოდებასაც თუ საზოგადოებას, ეს სენი ჩასჯდომია გვამსა და აგებულებაში, ფუტურო ხესავით დღედადღე იფხვნება და პირქვე დასამხობად გამზადებულია და გადადებული: თავოსნობას მუხლი ეჭრება, თვითმოქმედებას, გამრჯელობას და მხნეობას, ამ დედაბოძებს წარმატებისას, ძირი ულპებათ და აქ დარღვევისა და წაქცევის მეტს რას უნდა მოელოდეს ადამიანი? ეს საშინელი სენი უქმობისა, თავის თავის არპატრონობისა, თავის თავის არშველისა, ისე არსად არ არის ხელაღებით მოკიდებული, როგორც ჩვენს თავადაზნაურობაში. არ არის არც ერთი იმისთანა გაჭირება, რომელსაც ცხოვრება კარზედ მოგვაყენებს ხოლმე, რომ ჩვენმა თავადაზნაურობამ მაშინვე თვალი არ გაახილოს, იმისათვის კი არა, რომ თვითონ თავის თაოსნობასა მხნეობაში მოიპოვოს ღონე ხსნისა, არამედ იმისათვის, რომ თავის გარედ, ხელფეხგაუნძრევლად, გაურჯელად, სამადლოდ ხელი ვისმე გამოაწვდევინოს საშველად. თუ ეს სამადლოდ გამოწვდილი ხელი იპოვა, ხომ რა კარგი, თუ არადა, დაიკრებს ხოლმე გულზედ ხელებს და წუწუნებს, ვაი რა მეშველებაო, არავინ არა მშველისო.

ამისთანა საკუთარი სულმოკლეობა, მარტო სხვის სულგრძელობაზედ დამყარებული, კარგს არას მოასწავებს, პირიქით. რამოდენადაც დიდხანს გასტანს და დიდს მანძილს გაივლის, იმოდენად გაათახსირებს, მოადუნებს, მოაკვდენს თვითარსებობის ძალ-ღონესა. წუთისოფლის სუფრა წვეულების სუფრა არ არის: ამ სუფრაზედ ყველამ თავის საკუთარი კერძი თვითონ უნდა მოიტანოს და დაიდგას, თვითონ უნდა მოჰთესოს, მოჰხნას, მოიმკოს, მოზილოს და გამოაცხოს თავისი არსებითი პური. ამაების იქით ხსნა არ არის და ტყუილად ჰფიქრობენ, ვითომც ეხლანდელ დროში სხვისით რჩენა შეიძლებიდეს.წავიდა ის დრო

სამუდამოდ და დღეს ვინც თვითონ არის გამრჯელი და მხნე, ბურთი და მოედანი ცხოვრებისა, კეთილისა და ბედნიერებისა იმისია და მარტო იმისი.

შორს რომ არ წავიდეთ, ავიღოთ მაგალითად სწავლა-განათლების საქმე. სწავლა-განათლება საჭიროა ყველასათვის და ამ საჭიროებას თავადაზ-ნაურობა უფრო უნდა დიდის ტკივილითა ჰგრძნობდეს, ვიდრე სხვა ვინმე იმიტომ, რომ ამისი გემო თავადაზნაურობას ყველაზედ უწინა აქვს გაღებული. რას ვხედავთ აქ? არც ერთი წოდება ჩვენში ისე გულგრილად არ ეკიდება ჩვენში ამ საქმეს, როგორც თავადაზნაურობა. აქაოდა მთავრობას სკოლები და სასწავლებელი აქვს სხვათა შორის ჩვენთვისაცაო, და იმასაც კი აღარა ჰფიქრობენ, რომ მთავრობა ვერ გასწვდება, ძალიანაც მოწადინებული რომ იყოს, მთელს იმ სიდიდე საჭიროებას, როგორიც ქვეყნის სწავლა-განათლებაა. აქ უეჭველად თვითონ ერის, საზოგადოების თაოსნობა და შველაც უნდა. ეს იგრძნო ჩვენში თითქმის ყველა ცალკე წოდებამ, მოქალაქეებმა თავისი სკოლები გაიჩინეს, გლეხობამ თავისი, სამღვდელოებამ თავისი, და მარტო თავადაზნაურობა დარჩა წრეს გარედ და სხვის იმედზედ.

მართალია, ტფილისისა და ქუთაისის ბანკი ორ სათავადაზნაურო სკოლას ინახავს, მართალია, ამ ბანკების საწარმოებელი ფული თავის სასახელოდ თავადაზნაურობამ გამოიღო, მაგრამ ყველანი ჰგრძნო-ბენ, რომ მარტო ამ სკოლაზედ არ უნდა შეჩერებული-ყო ჩვენი თავადაზნაურობა იმიტომ, რომ საჭიროება დღეს სახსარს გადამეტებულია. რომ მართლა ამ ნაკლებულობასა ჰგრძნობენ, ამისი ცხადი მაგალითი ის არის, რომ თავადაზნაურობამ სასკოლო ფულის გაწერ-ვა მოიწადინა, მაგრამ ეს სამაგალითო და მშვენიერი წადილი მარტო წადილადღა დარჩა და არავინ ჰფიქრობს წადილი საქმედ აქციოს.

ამბობენ, ღარიბნი ვართო და წელი არ მოგვდევს სწავლა-განათლებისათვის გამოვიღოთ რამეო. ჯერ ამას

ვიტყვით, ღარიბნი თუ ვართ, სწავლა-განათლების უქონლობის მიზეზია. სწავლა-განათლება თვითონ არის სათავე სიმდიდრისა. მაშასადამე, აქ არაფრის დაზოგვა არ უნდა, რომ სათავიდან სიმდიდრის წყარო მოვადინოთ. მერე ერთია ეს ვიკითხოთ: მართლა ისეთნი ღარიბნი არიან, რომ ამაზედ შესდგეს ჩვენი ლარი და ხაზი? გლეხები კი მდიდრები არიან, რომ თავის სკოლებს თავისის საკუთარის ჯიბით უძღვებიან? ვთქვათ, აქაც სიტყვას შემოგვიბრუნებენ და გვეტყვიან: გლეხები ბევრნი არიან, იმათს სკოლებსაც ბევრი

ხარჯი არა აქვთ და სუბუქად უძღვებიანო. ჩვენს სამღვდელოებაზედ რაღას იტყვით, რომ მარტო ტფილისის გუბერნიაში შვიდს სასწავლებელს ინახავენ თავისის საკუთარის ხარჯით თავისის საკუთარის შვილებისათვის? ნუთუ ჩვენი თავადაზნაურობა ჩვენს სამღვდელოებაზედ უფრო ღარიბი და შეუძლებელია? თავის დღეში ამას არ დავიჯერებთ და მაშასადამე, სიღარიბის ხელზედ დახვევა სხვა არა არის რა, რომ მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო.

თუ გული ჰგულობს, ქადა ორივ ხელით იჭმევა. საქმე ის არის, გული არ ჰგულობს და ტყუილად ღობე-ყორეს ვედებით. საქმე ის არის, რომ თავადაზნაურობა აქაც, როგორც ბევრში სხვაშიაც, დაჩვეულია სხვისით თავის საქმის გასწორებას და გაძ-ღოლას: სულ მთავრობას შესცქერის, მუქთად გაგვიზარდოს შვილებიო.

ეს ძველი ჩვეულება თუ ოდესმე თავადაზნაურობას ხელს უწყობდა, დღეის იქით ვეღარას გამოადგება. თავადაზნაურობა ბევრია თუ ცოტა, თავის შვილების სწავლა-განათლებას უნდა თავისი ჯიბით მიეშველოს. უამისოდ ხსნა არ არის და ეს სახსარი რაც მალე იქნება, მით უფრო ძლიერ და უებარ წამლად დაედება იმ წამწყმედელს ტკივილს, რომელსაც სწავლა-განათლების უქონლობას ეძახიან.

ეს ძველი წელიწადი იმით გავათავოთ, რომ მასთან ერთად გამოვეთხოვოთ ამ ძველს ჩვეულებასაც და

ახალს წელიწადს მივეგებნეთ იმ ტკბილის იმედით, რომ თავადაზნაურობა ჩვენი თვალს აახელს და საკუთარის მხნეობით თავის თავის მორჩენას მოიწადინებს და შეუდგება.

შენიშვნები, კომენტარები

«ტექსტისათვის»

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული აკადემიური გამოცემის წინამდებარე ტომში მოთავსებულია 1887 წელს გაზეთ "ივერიაში" გამოქვეყნებული პუბლიცისტური წერილები. სულ 118 წერილია.

ტომში შესული მასალა წარმოადგენს გაზეთის მეთაურ წერილებს, რომლებიც იბეჭდებოდა უსათაუროდ და ხელმოუწერლად. ამ წერილების ნაწილი წინა გამომცემლობისაგან მიჩნეული იყო ილიასეულად და შედიოდა კიდეც მწერლის თხზულებათა ტომეულებში, მაგრამ იყო დიდი ნაწილი წერილებისა, რომელთა ატრიბუციის საკითხი დასადგენი იყო. მკვლევარები გულდასმით მუშაობდნენ ამ მიმართებით და მწერლის პუბლიცისტური მემკვიდრეობის მოძიებასა და მისი ავტორობის დადგენაში თვალსაჩინო შედეგებსაც მიაღწიეს. მკვლევარებმა პ. ინგოროყვამ, თ. მაჭავარიანმა, პლ. კვეშელავამ, ალ. კალანდაძემ, შ. გოზალიშვილმა, ნ. შალუტაშვილმა, ნ. ტაბიძემ და სხვ. მნიშვნელოვნად გაამდიდრეს ი. ჭავჭავაძის პუბლიცისტური მემკვიდრეობა.

მუშაობა ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტურ ნაწერებზე კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც დღის წესრიგში დადგა მწერლის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემის მომზადება. მუშაობის დროს ახალი საარქივო მასალების გამოვლენამ, ხელნაწერი კრებულებისა და ავტორის დროინდელი გამოცემების შესწავლამ შესაძლებელი გახადა საბოლოოდ დადგენილიყო იმ წერილების საკითხი, რომლებიც ხელმოუწერლად ან ფსევდონიმებით იბეჭდებოდა გაზ. "ივერიასა" და "დროებაში". ამ საკითხების გარკვევასა და დაზუსტებაში დიდი წვლილი შეიტანა მკვლევარმა ლევან ჭრელაშვილმა, რომელმაც ზემოაღნიშნულ საკითხს რამდენიმე წერილი მიუძღვნა* და მეტად საყურადღებო დასკვნები გააკეთა. ახლად მოკვლეულ მასალებზე დაყრდნობით მკვლევარმა შეადგინა ი. ჭავჭავაძის გაზ. "ივერიასა" და "დროებაში" ხელმოუწერლად დაბეჭდილი წერილების ბიბლიოგრაფია, რის შედეგადაც ილიას პუბლიცისტური წერილების მოცულობა საგრძნობლად გაიზარდა და რამდენიმე ტომი შეადგინა.

წერილების გულდასმით შესწავლამ და მათზე დაკვირვებამ დაგვარწმუნა ამ საკითხის გადაჭრის სისწორეში. წერილებში ნათლად ჩანს მწერლის დიდი ერუდიცია და მისია, როგორც საზოგადო მოღვაწის ინტერესების ფართო სპექტრი. ილიასათვის არ არსებობს დიდი და პატარა საკითხი. ის, რაც ეხება მშრომელ ხალხს, მისი ქვეყნის კეთილდღეობას, ყველაფერი ხვდება მწერლის ყურადღების არეში.

ამ პუბლიცისტური წერილების შინაარსი, თემატიკა, სტილი, ილიასეულ სიტყვათა ფორმები, ილიას პუბლიცისტური წერილებისთვის დამახასიათებელი ენამახვილობა და გამანადგურებელი ირონია, ანდაზების, რუსთაველისა და სხვა კლასიკური ლიტერატურიდან აფორიზმების გამოყენება, ხშირად წერილის ლექსით დაბოლოვება და სხვა თავისებურებანი ამის საიმედო და უეჭველ საფუძველს იძლევა.

ლ. ჭრელაშვილმა დოკუმენტებით დაამტკიცა, აგრეთვე, რომ ი. ჭავჭავაძე უშუალოდ მონაწილეობდა თავისი წერილების ჟურნალ-გაზეთობიდან ამოწერას,

* იხ. ლევან ჭრელაშვილის წერილები "ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ატრიბუციისა და გამოცემის ისტორიის საკითხები"- ჟურნ. "მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია", 1981 წ. №2, №3.

რაც საფუძვლად უნდა დასდებოდა მწერლის პუბ-
ლიცისტური წერილების გამოცემას (კერძოდ, 1887
წლის წერილები გადმოუწერია პელაგია წულუკიძეს,
რისთვისაც გასამრჯელო მიუღია). ამიტომ ხელნაწერ
კრებულს, რომელიც ინახება აკად. კ. კეკელიძის
სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, განსაკუთ-
რებული მნიშვნელობა ენიჭება ი. ჭავჭავაძის პუბ-
ლიცისტური წერილების ატრიბუციის საკითხის
გადაწყვეტაში.

ხელნაწერ კრებულში წერილები შერჩევითაა შეტა-
ნილი. ეს, ჩვენი აზრით, იმით აიხსნება, რომ ზოგმა
მათგანმა დროთა განმავლობაში დაკარგა თავისი სიმ-
წვავე, აქტუალობა, ზოგი საკითხი კი შემდეგში
სხვაგვარად გაშუქდა. ამიტომ მწერალს კრებულში
მათი შეტანა საჭიროდ აღარ მიუჩნევია.

წინამდებარე ტომში, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ,
118 წერილი შედის, აქედან 90 მათგანი პირველად
იბეჭდება. წერილის პასპორტში მითითებულია თუ ვინ
მიიჩნია იგი ილიასეულად, სად დაიბეჭდა პირველად,
რა სათაურით, ხოლო რაც შეეხება 90 წერილს,
რომლებიც ტომში მკვლევარ ლევან ჭრელაშვილის
გამოკვლევების საფუძველზე მოხვდა, თვითვეულ მათ-
განთან ამაზე აღარ მოვუთითებთ, რათა თავიდან
ავიცილოთ ხშირი გამეორება.

წინა გამოცემებთან შედარებით ტომში ზოგი რამ
ჩასწორდა: ზოგან სიტყვა იყო შეცვლილი, ზოგან ამა
თუ იმ საგნის რუსული შესატყვისი სიტყვა იყო
გამოტოვებული, ზოგან მთელი წინადადებები აკლდა,
შეცდომა იყო დაშვებული ვრცელ ნარკვევში
“ქართულად ღვინის დაყენება”, სადაც XXI თავიდან
ბოლომდე ტექსტი არეულად იყო დაბეჭდილი.ეს
ნარკვევიც პირველწყაროს მიხედვით გასწორდა.

ტომის ძირითად წყაროდ აღებულია გაზეთ
“ივერიის” ტექსტი. ავტორის ბოლო ნების გათ-
ვალისწინებით, აღდგენილია მწერლის მართლწერა,
ჩასწორებულია მხოლოდ პუნქტუაცია და კომპოზიტთა

დაწერილობა (გარდა იმ კომპოზიტებისა, რომლებიც
დღეს არ იხმარება). დანარჩენი სიტყვები უცვლელად
არის დატოვებული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წერილები უსათაურო, ა,
გარდა ერთი წერილისა “ყრმობა დიმიტრი ყიფიანისა”.
ის სათაურები, რომლებიც წერილებს წინა გამომ-
ცემლებისაგან აქვთ მიცემული, ტომში უცვლელადაა
გადმოტანილი, დანარჩენი წერილები ჩვენ
დავასათაურეთ ისე, რომ სათაურები დიდად არ დაშო-
რებოდა წერილების საერთო ტონს და შეძლების-
დაგავარად ისინი წერილიდან გამოგვეტანა. აქვე უნდა
ავღნიშნოთ, რომ არაილიასეული სათაურები
ბრჭყალებშია მოთავსებული.

ტომში შეტანილი ყველა წერილი უთარიღოა, ისინი
გაზეთ “ივერიის” 1887 წლის ნოემბრის მეთაურ
წერილებად არის დაბეჭდილი. ამიტომ წერილის
ბოლოს გამოქვეყნების თარიღს არ ვუთითებთ, თვე და
რიცხვი თვითეული წერილის დასაწყისშია მოცემული.

სამეცნიერო აპარატში წერილებს, რომელთა ტექ-
სტიც ამას მოითხოვს, პასპორტისა და შენიშვნების
შემდეგ ერთვის ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის
კომენტარები ძირითადი გვერდის მინიშნებით.

ტომს ერთვის სარჩევი, თემატური და პიროვნებათა,
პერიოდულ გამოცემათა და გეოგრაფიულ სახელთა
ანოტირებული საძიებლები.

U – აღნიშნულია აკად. კ. კეკელიძის სახელობის
ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ი. ჭავჭავაძის
პუბლიცისტური წერილების ხელნაწერი კრებული.

«პოლემიკური წერილები "ცხოვრება და კანონის" გამო» (გვ. 9)

წერილი პირველი

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ. №2, 4 იანვარი, გვ. 1

წერილი დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

წერილი ილიასებურად მიიჩნიეს და მწერლის თხზულებათა გამოცემაში პირველად შეიტანეს პ. ინგოროყვამ და ალ. აბაშელმა 1928 წელს – ილიას ნაწერების სრული კრებულის VIII ტომში. აღნიშნული წერილი გამოცემულია "ივერიის" №55 და№56 მეთაურ წერილების საერთო სათაურით: "პოლემიკური წერილები "ცხოვრება და კანონის" გამო". წინამდებარე ტომში კი წერილები ქრონოლოგიურადაა განლაგებული (VIII ტომში პ. ინგოროყვა შეცდომით უთითებს, თითქოს აღნიშნული წერილები შეტანილ იყოს ხელნაწერ კრებულში).

.1 "ამ შვიდი წლის წინად "ივერიამ", ჯერ როცა ჟურნალი იყო, გამოსთქვა, რომ სოფელი ერთ წოდებათა გაურჩეველს საზოგადოებას უნდა წარმოადგენდეს" – ციტატა ილიას აღებული აქვს "ცხოვრება და კანონის" მეხუთე წერილიდან, რომელიც მან ჟურნალ "ივერიის" 1879 წლის №№1–2-ში დაბეჭდა.

გვ.2 წინადგრძნობამ არ უმტყუვნა "ივერიას" და იმავ "ივერიის" ფურცლებზედ ერთმა ლიბერალმა ლიბერალობის სახელით გამოილაშქრა ამ აზრზედ და ავტორს რეტროგრადობა შესწამა –– ილიას მხედველობაში ჰყავს ნ. ხუდადოვი და მისი წერილი სათაურით "უსაფუძვლო წადილი (ი. ჭ.–ძის "ცხოვრებისა და კანონის" გამო)", სადაც წერილის ავტორი აკრიტიკებს ილია ჭავჭავაძის მიერ

"ცხოვრება და კანონის" მეხუთე წერილში გამოთქმულ მოსაზრებას სოფლის თვითმმართველობის შესახებ. ზემოაღნიშნული წერილი დაიბეჭდა ჟურნ. "ივერიის" 1881 წლის მეექვსე და მეშვიდე ნომრებში.

«პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში» (გვ. 12)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ასლი U №1052, გვ. 527–531.

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ. №3, 6 იანვარი გვ.1; №4, 8 იანვარი, გვ.1

წერილის ზემოთ გადამწერისაგან განსხვავებული ხელით, რბილი ლურჯი ფანქრით წერია: "о хлебной мировой торговле".
დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

წერილი ილიასეულად მიიჩნია და მწერლის თხზულებათა გამოცემაში პირველად შეიტანა პ. ინგოროყვამ 1956 წელს — ილიას ნაწარმოების სრული კრებულის VII ტომში, სადაც ეს წერილები 1887 წელს დაბეჭდილ სხვა წერილებთან ერთად გამოქვეყნებულია საერთო სათაურით "პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში".

«ბამბის მოყვანის საქმე და ბაზრის საკითხი» (გვ. 19)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ასლი U №1052, გვ. 532–535; 535–537.
ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ. №5, 9 იანვარი, გვ.1; №6, 10 იანვარი, გვ.1.

ხელნაწერის ზემოთ რბილი ლურჯი ფანქრით აწერია: “о хлопчатобум. промышлен.”

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილებად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

წერილი ილიასეულად მიიჩნია და მწერლის თხზულებათა გამოცემაში პირველად შეიტანა პ. ინგოროყვამ 1956 წელს – ილიას ნაწერების სრული კრებულის VII ტომში ზემოაღნიშნული სათაურით.

ნიჟეგაროდის “იარმუკა”– Нижегородская ярмарка, ეს ბაზრობა ადრე წმინდა მაკარის სავანესთან იმართებოდა. 1817 წლის 15 თებერვლიდან კი, ხანძრის შემდეგ, იგი გადაიტანეს ნიჟნი-ნოვგოროდის ახლოს. ეს ძალზე პოპულარული ბაზრობა იყო, რაც აიხსნებოდა ნიჟნი-ნოვგოროდის მოხერხებული ადგილმდებარეობით.

როცა ჩრდილო ამერიკის შტატებ შორის ომი ასტყდა–იგულისხმება 1861-1865წლების სამოქალაქო ომი ამერიკის შეერთებულ შტატებში.

«იასე ანდრონიკაშვილი» (გვ. 26)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ასლი U, №1052, გვ 537–541

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. “ივერია”, 1887 წ.,№7, 11 იანვარი, გვ.1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

წერილი ილიასეულად მიიჩნიეს და მწერლის თხზულებათა გამოცემაში პირველად შეიტანეს პ. ინგოროყვამ და ალ. აბაშელმა 1928 წელს – ილიას ნაწერების სრული კრებულის VII ტომში ზემო აღნიშნული სათაურით. ამ

წერილთან გაერთიანებული იყო მეორე ი. ანდრონიკაშვილის იუბილეს ამსახველი წერილი, რომელიც მოგვიანებით დაიბეჭდა “ივერიაში”. წინამდებარე ტომში იგი განთავსებულია ქრონოლოგიის მიხედვით.

«ბისმარკის სიტყვა სამხედრო კანონის შესახებ» (გვ. 30)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. “ივერია”, 1887 წ., №8, 13 იანვარი, გვ.1.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი ავტორისდროინდელი ნაბეჭდის შემდეგ წინა გამოცემებში არსად დაბეჭდილა.

წერილი წინამდებარე გამოცემაში პირველად იბეჭდება. იგი დასათაურებულია ჩვენს მიერ.

თ. ბისმარკმა იქავ პარლამენტშივე ამოიღო უბიდამ ბრძანება იმპერატორისა წინადვე მომზადებული – იმპერატორში იგულისხმება ვილჰელმ I პოენცოლერნი (1797-1888), პრუსიის მეფე 1861 წლიდან. ვილჰელმ I-ის დროს პრუსიას, შემდეგ კი გერმანიის იმპერიას, ფაქტობრივად ბისმარკი მართავდა.

სწყუროდეს, წყალსა ვინ დაჰღვრის
კაცი უშმაგო, ცნობილი!

ციტატა მოტანილია “ვეფხისტყაოსნიდან”.

«საფრანგეთის საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცებისათვის ზრუნვა» (გვ. 33)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №9, 14 იანვარი, გვ.1.

ეს ხელმოუწერელი და უსათაურო მეთაური წერილი ავტორისდროინდელი ნაბეჭდის შემდეგ არცერთ გამოცემაში არ შესულა.
წერილი პირველად იბეჭდება წინამდებარე გამოცემაში. იგი დასათაურებულია ჩვენს მიერ.

ვისაც ახსოვს, რომ საფრანგეთი დამარცხების შემდეგ... გამოძევებულ იქმნა ევროპიის აეროპაგიდამ... — იგულისხმება საფრანგეთ-პრუსიის ომი 1870-1871 წლებში, რომლის შედეგად დამარცხებულ საფრანგეთს გერმანიამ ჩამოართვა ელზასი და ლოთარინგიის ჩრდ-აღმ. ნაწილი.

არ დაწყნარდება ქვეყანა
და მისი სანახავები.

ციტატა მოტანილია "ქილილა და დამანადან".

«აშიოტაში ბისმარკის სიტყვის გამო» (გვ.36)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №10, 16 იანვარი, გვ1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

მთელი ევროპა ჰცდილობს ღვიძლი უპოვოს ბისმარკის სიტყვას... — იგულისხმება ბისმარკის მიერ პარლამენტში წარმოთქმული სიტყვა, რაზედაც საუბარია წერილში: "ბისმარკის სიტყვა სამხედრო კანონის შესახებ"(გვ. 2).

"ან რა გვიკვირდეს საწუთროსი!" "ან რა უქმნია უარაკო!"— ეს სიტყვები მოტანილია "ვეფხისტყაოსნიდან".

«ბელგიის საომარი მზადება» (გვ. 39)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №11, 17 იანვარი, გვ1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. იგი დასათაურებულია ჩვენს მიერ.

1866 წელს, როცა ბისმარკმა დაუპირა ავსტრიას ომი... აქა-იქ ხმები ისმოდა, რომ ბისმარკი ნაპოლეონს დაჰპირდაო... — იგულისხმება ნაპოლეონ III, ლუი ნაპოლეონ ბონაპარტი (1808-1873), საფრანგეთის იმპერატორი 1852-70 წლებში, ნაპოლეონ I-ის ძმისშვილი.

«ნავთის საქმე კავკასიაში» (გვ. 42)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ასლი, U №1052, გვ. 541–549

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №12, 18 იანვარი, გვ. 1-2; №13, 20 იანვარი, გვ. 1; №14, 21 იანვარი, გვ.1.

ხელნაწერის მეორე გვერდზე რბილი ლურჯი ფანქრით აწერია: "О нефтян. пром".

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

წერილი ილიასეულად მიიჩნია და მწერლის თხზულებათა გამოცემაში პირველად შეიტანა პ. ინგოროყვამ 1956 წელს – ილიას ნაწერების სრული კრებულის VII ტომში ზემოაღნიშნული სათაურით.

«საშემოსავლო გადასახადის შემოღება» (გვ.53)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №15, 22 იანვარი, გვ.1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«საფრანგეთსა და გერმანიას შორის ურთიერთობის გამწვავება» (გვ. 55)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №16, 23 იანვარი, გვ.1-2.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

ეს მეშვიდმეტე წელიწადია მას აქედ, რაც საფრანგეთი დაამარცხა გერმანიამ... – იგულისხმება 1870- წლების საფრანგეთსა და პრუსიას შორის.

«ევროპის ფვრილ სახელმწიფოთა საომარი მზადება» (გვ. 60)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №17, 24 იანვარი, გვ.1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. იგი დასათაურებულია ჩვენს მიერ.

დანიის... სამხედრო მინისტრმა ბანსონმა... მოურიდებლად სთქვა: ჩვენის ქვეყნის ერთი ნაწილი, ერთი ნაწილი ჩვენის სისხლისა ხორცის ერისა პრუსიის უღელქვეშ ჰკვნესისო – იგულისხმება 1864 წელს პრუსიასთან ომის შედეგად შლეზვიგისა და ჰოლშტეინის დაკარგვა დანიისათვის.

«ჯაჭისაგან არყის გამოხდაზე შელავათიანი საბაჟო ფესების შემოღების შესახებ» (გვ. 63)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №18, 25 იანვარი, გვ.1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულის წინამდებარე ტომში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«პარლამენტი თუ სამინისტრო» (გვ. 66)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №19, 27 იანვარი, გვ.1-2.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«სალუსბერის სამინისტროს გასაჭირი» (გვ.73)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №20, 28 იანვარი, გვ.1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«ბულგარეთის საქმის მშვიდობიანად დამთავრების ცდა» (გვ. 76)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №21, 29 იანვარი, გვ.1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«იტალიის მიერ მასსოვას დაპყრობის მცდელობა» (გვ. 78)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №22, 30 იანვარი, გვ.1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«"ზემსკი ნაჩალნიკის" შემოღების აუცილებლობა» (გვ. 81)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №23, 31 იანვარი, გვ.1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«აბისინიის სახელმწიფოს რაობა» (გვ. 83)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №24, 1 თებერვალი, გვ. 1-2.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«იტალიისა და აბისინიას შორის ურთიერთობის გამწვავება მასსოვას გამო» (გვ. 87)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №25, 4 თებერვალი, გვ. 1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად. უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«დაძაბული პოლიტიკური ვითარება ევროპაში» (გვ. 91)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №26, 5 თებერვალი, გვ. 1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«ბისმარკის ავტორიტეტის შესუსტება გერმანიაში» (გვ. 93)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №27, 6 თებერვალი, გვ. 1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«ერმოლოვი და ჩრდილო- კავკასიის ღვინოები» (გვ. 98)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ასლი, U №1052, გვ. 550–553.

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №28, 7 თებერვალი, გვ.1.

ხელნაწერის ზემოთ, რბილი ლურჯი ფანქრით აწერია: "О виноград. на сев. Кавказ".

წერილი დაიბეჭდა მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად. წერილი ილიასეულად მიიჩნია და მწერლის თხზულებათა გამოცემაში შეიტანა პ. ინგოროყვამ 1956 წელს – ი. ჭავჭავაძის ნაწერების სრული კრებულის VII ტომში ზემოაღნიშნული სათაურით. "ჩვენი მევენახეობისა და მეღვინეობის საჭიროებანი"– ამ სათაურის ქვეშ გაერთიანებული იყო რამდენიმე წერილი.

«ევროპის პოლიტიკის ცვალებადობა» (გვ. 102)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №31, 11 თებერვალი, გვ. 1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

ამ სამისა თუ ოთხის კვირის წინად ევროპა, ჯერ შეშინებული ბისმარკის სიტყვებისაგან... – იგულისხმება ბისმარკის სიტყვა წარმოთქმული პარლამენტში სამხედრო კანონის შესახებ. (იხ. ამავე ტომში წერილი "ბისმარკი სამხედრო კანონის შესახებ").

«ადგილობრივ შავ ნავთზე და უცხოეთიდან შემოტანილ ნავთზე ბაჟის დადების საკითხის გამო» (გვ.105)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №32, 12 თებერვალი, გვ. 1; №33, 13 თებერვალი, გვ. 1-2.

წერილი დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

წერილი ილიასეულად მიიჩნია და მწერლის თხზულებათა გამოცემაში პირველად შეიტანა პ. ინგოროყვამ 1956 წელს – ილიას ნაწერების სრული კრებულის VII ტომში ზემოაღნიშნული სათაურით.

«ჩვენი სოფლური მეურნეობის შესაძლებლობანი და ბიუროკრატიზმი» (გვ. 111)

ხელნაწერი: ასლი, U №1052, გვ. 557-558

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №34, 17 თებერვალი, გვ. 1.

წერილი დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

წერილი ილიასეულად მიიჩნია და მწერლის თხზულებათა გამოცემაში პირველად შეიტანა პ. ინგოროყვამ 1956 წელს – ილიას ნაწერების სრული კრებულის VII ტომში ზემოაღნიშნული სათაურით.

«ღვინო ჩვენი ქვეყნის სიმდიდრის წყარო» (გვ.113)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ასლი, U №1052, გვ. 558-561.

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №35, 18 თებერვალი, გვ. 1.

წერილი დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

წერილი ილიასეულად მიიჩნია და მწერლის თხზულებათა გამოცემაში პირველად შეიტანა პ. ინგოროყვამ 1956 წელს – ილიას ნაწერების სრული კრებულის VII ტომში ზემოაღნიშნული სათაურით "ჩვენი მევენახეობისა და მეღვინეობის საჭიროებანი", რომელიც რამდენიმე სხვადასხვა დროს დაწერილ წერილებს აერთიანებდა. ეს წერილები ტომში განთავსებულია ქრონოლოგიის მიხედვით. ზემო აღნიშნული წერილი დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«ეგვიპტე – ევროპის სახელმწიფოთა ერთმანეთში მოურიგებლობის მიზეზი» (გვ. 117)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №36, 19 თებერვალი, გვ. 1.

წერილი დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«ღვინის ქართულად დაყენება» (გვ. 120)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ასლი, U №1052, გვ. 561-564; 564-567; 567-570; 570-572; 572-574; 574-577; 577-580; 580-582; 582-584; 584-586; 586-590; 590-593; 593-596; 596-600; 600-603; 603-606; 606-608; 608-610; 611-614; 614-616; 616-619; 619-621; 621-623; 624-626.

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №37, 20 თებერვალი, გვ. 1-2; №38, 21 თებერვალი, გვ. 1-2; №39, 22 თებერვა-ლი, გვ. 1. №41, 25 თებერვალი, გვ. 1; №44, 1 მარტი, გვ. 1; №45, 4 მარტი, გვ. 1; №46, 5 მარტი, გვ. 1-2; №47, 6 მარტი, გვ. 1-2; №49, 8 მარტი, გვ. 1; №50, 10 მარტი, გვ. 1; №52, 12 მარტი, გვ. 1-2; №54, 14 მარტი, გვ. 1; №57, 18 მარტი, გვ. 1-2; №58, 19 მარტი, გვ. 1-2; №59, 20 მარტი, გვ. 1; №60, 21 მარტი, გვ. 1-2; №62, 24 მარტი, გვ. 1; №63, 25 მარტი, გვ. 1-2; №65, 28 მარტი, გვ. 1-2; №66, 29 მარტი, გვ. 1. № 68, 1 აპრილი, გვ. 1; №69, 2 აპრილი, გვ. 1; №71, 14 აპრილი, გვ. 1; №73, 16 აპრილი, გვ. 1-2.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ეს ვრცელი გამოკვლევა ილიასეულად მიიჩნია და მწერლის თხზულებათა გამოცემაში პირველად შეიტანა პ. ინგოროყვამ 1956 წერლს – ილიას ნაწერების სრული კრებულის VII ტომში ზემოაღნიშნული სათაურით.

პ. ინგოორყვას გამოცემულ ტექსტში ზოგან სიტყვაა გამოტოვებული, ზოგან – მთელი წინადადებები, ზოგან – ზოგიერთი ტერმინის რუსული სახელწოდება. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ XXI თავიდან ბოლომდე, დაახლოებით 20-22 გვერდი არეულად არის დაბეჭდილი, რაც, რა თქმა უნდა, ხელს უშლის ტექსტის სწორ გაგებას.

ჩვენ აღვადგინეთ ტექსტის თანმიმდევრობა, შემოვიტანეთ გამოტოვებული წინადადებები, სიტყვები, რუსული ტერმინები. ტექსტი დავიყვანეთ ზუსტად ავტორის ტექსტამდე.

... ერთი პატარა წიგნაკი, რომელიც შარშან დაიბეჭდა მოსკოვში რუსულად ამ სახელით: "О гвавнейших нуждах и потребностях Кахетии" – იგულისხმება 1886 წელს მოსკოვში გამოცემული წიგნაკი "О гвавнейших нуждах и потребностях Кахетии", რომლის ავტორია დიმიტრი ფურცელაძე.

«ბისმარკის მუქარა» (გვ. 199)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №40, 24 თებერვალი, გვ. 1.

წერილი დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«ღირსეულის დაფასება» (გვ. 202)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ასლი, U №1052, გვ. 627-629.

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. “ივერია”, 1887 წ., №42, 26 თებერვალი, გვ. 1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

წერილი ილიასეულად მიიჩნიეს და მწერლის თხზულებათა გამოცემაში პირველად შეიტანა პ. ინგოროყვამ და ალ. აბაშელმა 1928 წელს – ილიას ნაწერების სრული კრებულის VII ტომში სათაურით “იასე ანდრონიკაშვილი”. ამ წერილთან ერთად გაერთიანებული იყო “ივერიის” №7-ში გამოქვეყნებული სტატია ი. ანდრონიკაშვილზე. (იხ. წინამდებარე ტომის გვ. 18). წერილი დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«გერმანიის შეშფოთების მიზეზი» (გვ. 206)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. “ივერია”, 1887 წ., №43, 28 თებერვალი, გვ. 1.

წერილი დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«მამულების გამიჯვნის უკეთ მოწყობისათვის» (გვ. 209)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. “ივერია”, 1887 წ., №48, 7 მარტი, გვ. 1.

წერილი დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«საფრანგეთსა და გერმანიას შორის დაძაბულობის შენელების ცდები» (გვ.213)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. “ივერია”, 1887 წ., №51, 11 მარტი, გვ. 1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«ავსტრიის ორჭოფული პოლიტიკა» (გვ.217)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. “ივერია”, 1887 წ., №53, 13 მარტი, გვ. 1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.
ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

ჰამსბურგების იმპერატორები არასდროს არ დაივიწყებენ, რომ ერთ დროს გერმანიის იმპერატორები იყვნენ და ამავ დროს ავსტრიას პირველი ხმა ჰქონდა გერმანიაში – ჰაბსბურგების დინასტიას საფუძველი ჩაეყარა 1282 წელს. მათი მრავალსაუკუნოვანი გამგებლობა ავსტრიაში 1918 წლამდე გაგრძელდა.

... დღევანდლამდე ავსტრიას იმედი არ გადაუწყვეტია სადოვის სამაგიეროს გადახდისა – ავსტრიასა და პრუსიას შორის 1866 წელს მოხდა ომი გერმანიაში ჰეგემონიისათვის. 3 ივლისის გადამწყვეტ ბრძოლაში სადოვა-კენიგგრეცის რაიონში ავსტრია სასტიკად დამარცხდა.

«პოლემიკური წერილები "ცხოვრება და კანონის" გამო» (გვ. 221)

წერილი მეორე

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ასლი, U №1052, გვ. 629-632; 632-636.

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №55, 15 მარტი, გვ. 1-2; №56, 17 მარტი, გვ. 1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

წერილი ილიასეულად მიიჩნიეს და მწერლის თხზულებათა გამოცემაში პირველად შეიტანეს პ. ინგოროყვამ და ალ. აბაშელმა 1928 წელს – ილიას ნაწერების სრული კრებულის VII ტომში ზემოაღნიშნული სათაურით.
ბ-მა ხუდადოვმა ჩვენის ერთის მეთაურის გამო მოგვიძღვნა წერილი – იგულისხმება 1887 წლის 11 მარტს "ივერიის" №51-ში დაბეწდილი ნ. ხუდადოვის "წერილი რადაქციის მიმართ", სადაც წერილის ავტორი ეხება ამავე წლის გაზ. "ივერიის" №2-ში გამოქვეყნებულ ილიას მეთაურ წერილს სოფლის თვითმმართველობის საკითხზე.

... იგინი უფრო შეუცდომელნი ჰგონია, ვიდრე მაგალითად, რედაქტორი "ივერიისა" – აქ ილია თავის თავს გულისხმობს.

... ამისთანა ლახტის ქნევა ავტორიტეტების შესამუსრავად ცხონებულ პისარევის შემდეგ შემოვიდა რუსეთში – ილია გულისხმობს პისარევის კრიტიკულ დამოკიდებულებას ავტორიტეტების მიმართ, რაც თავის დროზე პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდობის მოწონებას იმსახურებდა, მით უმეტეს, რომ პისარევთან იგი ყოველთვის ერწყმოდა მეცნიერების დაუფლებისა და განათლების გავრცელების, უბრალო ხალხის ცხოვრებისა და შრომის პირობების შემსუბუქების, პიროვნების განთავისუფლებისა და მისი სუვერენული უფლებების აღიარებისაკენ მოწოდებას.

«ტრაგედია რკინიგზაზე» (გვ. 231)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №64, 27 მარტი, გვ.1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«სიწყნარე ევროპის პოლიტიკურ სარბიელზე» (გვ. 234)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №67, 31 მარტი, გვ.1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«ᲐᲚᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ» (გვ. 238)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №70, 5 აპრილი, გვ.1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲡᲐᲝᲛᲐᲠᲘ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ» (გვ. 242)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №72, 15 აპრილი, გვ. 1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

ზარბაზნის მანქანა კრუპისა ... – უდიდესი სამხედრო მეტალურგიული კონცერნი იმპერიალისტური გერმანიისა. იგი დაარსდა 1811 წელს. ეკუთვნოდა კრუპების ოჯახს.

«ᲖᲜᲔᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲘᲬᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲔᲠᲘᲡ ᲛᲔᲠᲛᲘᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ» (გვ. 245)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ასლი, U №1052, გვ. 641-642.

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №74, 17 აპრილი, გვ.1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

წერილი ილიასეულად მიიჩნიეს და მწერლის თხზულებათა გამოცემაში პირველად შეიტანა პ. ინგოროყვამ და ალ. აბაშელმა 1928 წელს – ილიას ნაწერების სრული კრებულის VIII ტომში სათაურით "საზოგადოება და ზნეობა". ამ საერთო სათაურის ქვეშ გაერთიანებული იყო სხვადასხვა წერილები.

ანტონინების საუკუნე – რომის საიმპერიო დინასტია 96-192 წლებში. სახელი ეწოდა ანტონინუს პიუსის მიხედვით. დმაფუძნებელია იმპერატორი ნერვა (96-98). მათი მმართველობის პერიოდში იმპერიამ გარკვეულ პოლიტიკურ სტაბილურობას მიაღწია. ანტონინების დინასტიის დასასრულიდან იწყება რომის იმპერიის ისტორიის ახალი პერიოდი ე. წ. III ს. კრიზისი.

«ᲨᲜᲔᲑᲔᲚᲔᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ» (გვ. 249)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №78, 22 აპრილი, გვ.1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲣᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲝᲑᲐ» (გვ.253)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №79, 23 აპრილი, გვ. 1-2.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«კვლავ შნებელესა და გაუჩის შესახებ» (გვ.258)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №80, 24 აპრილი გვ.1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«პოლიტიკის ფერისცვალება ბალკანეთის ნახევარკუნძულზე» (გვ. 261)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №81, 25 აპრილი, გვ.1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«ავლაბრელების საქმე» (გვ. 265)

ხ ე ლ ნ ა წ ე რი: ასლი, U №1052, გვ. 655-657; 657-659; 659-662; 662-666; 666-670; 670-674; 674-676.

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №82, 26 აპრილი, გვ. 1; №83, 28 აპრილი, გვ.1; №84, 29 აპრილი, გვ. 1-2; №85, 30 აპრილი, გვ. 1-2; №86, 1 მაისი, გვ. 1-2; №87 22 მაისი, გვ. 1-2; № 88, 3 მაისი, გვ. 1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

წერილი ილიასეულად მიიჩნია და მწერლის თხზულებათა გამოცემაში პირველად შეიტანა პ. ინგოროყვამ 1957 წელს – ილიას ნაწერების სრული კრებულის VIII ტომში ზემოაღნიშნული სათაურით.

«კრედიტის როლი ქვეყნის ეკონომიკაში» (გვ.292)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №89, 5 მაისი, გვ. 1-2.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.
ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. იგი დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«ღვინის წარმოების გასაუმჯობესებელი ღონისძიებანი» (გვ. 296)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ასლი, U №1052, გვ. 676-678.

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №90, 6 მაისი, გვ.1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

წერილი ილიასეულად მიიჩნია და მწერლის თხზულებათა გამოცემაში პირველად შეიტანა პ. ინგოროყვამ 1956 წელს – ილიას ნაწერების სრული კრებულის VII ტომში სათაურით "ჩვენი მევენახეობის და მეღვინეობის საჭიროებანი", სადაც რანდენიმე წერილია გაერთიანებული. ტომის "სარედაქციო შენიშვნებში" "ივერიის" №90-ის ნაცვლად შეცდომით მითითებულია №96 და №97.

«ევროპის პოლიტიკური მდგომარეობა» (გვ.300)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №91, 8 მაისი, გვ.1-2.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

... ერთმა თ. ბისმარკის ბრძანების უმორჩილესმა გაზეთმა გამოაცხადა, რომ გერმანიას არავითარი ბრალი არა აქვს, რომ ავსტრია-ვენგრიამ ბერლინის კონგრესზედ ბოსნია-ჰერცოგოვინა ჩაიგდოვო და ამის ბრალს რუსეთსა სდებდა. – 1878 წელს ავსტრია-უნგრეთის და ინგლისის მოთხოვნით და გერმანიის მხარდაჭერით მოწვეულ იქნა ბერლინის საერთაშორისო კონგრესი რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შემდგომ დადებული სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულობის (1878 წ.) პირობების გადასასინჯად. კონგრესის შედეგად ავსტრია-უნგრეთმა მიიღო სლავებით დასახლებული ბოსნიისა და ჰერცოგოვინის ოკუპირების "უფლება".

... სან-სტეფანოს მორიგება ... – იგულისხმება სან-სტეფანოს ზავი, რომელიც 1878 წ. დაიდო რუსეთსა და თურქეთს შორის სან- სტეფანოში.

«გერმანიასა და საფრანგეთს შორის ახალი ხიდის გადების ცდა» (გვ. 306)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №92, 9 მაისი, გვ.1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«ბისმარკის დიპლომატიური სვლები» (გვ.310)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №93, 12 მაისი, გვ. 1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«სიწყნარე ევროპის პოლიტიკაში» (გვ. 313)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №94, 13 მაისი, გვ. 1-2.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«“ბოსნიის საქმის” ამოტივტივება» (გვ. 318)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. “ივერია”, 1887 წ., №95, 14 მაისი, გვ.1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.
ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«ჰურეულის ყიდვა სამხედრო უწყების მიერ» (გვ. 321)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ასლი, U №1052, გვ. 679-680; 680-681.

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. “ივერია”, 1887 წ., №96, 17 მაისი, გვ. 1; №97, 19 მაისი, გვ. 1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

წერილი ილიასეულად მიიჩნია და მწერლის თხზულებათა გამოცემაში პირველად შეიტანა პ. ინგოროყვამ 1956 წელს – ილიას ნაწერების სრული კრებულის VII ტომში ზემოაღნიშნული სათაურით.

«გერმანიის მბრძანებლობას ევროპაში აღსასრული დაუდგა» (გვ. 326)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. “ივერია”, 1887 წ., №98, 20 მაისი, გვ. 1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«საფრანგეთის პოლიტიკა გერმანიისკენ გადაიხარა» (გვ. 330)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. “ივერია”, 1887 წ., №99, 21 მაისი, გვ. 1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

შნებელეს საქმე – იხ. წერილი ამავე ტომში გვ. 249.

«ტოკვა ევროპის თანასწორობის სასწორისა» (გვ. 333)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. “ივერია”, 1887 წ., №100, 22 მაისი, გვ. 1-2.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. იგი დასათაურებულია ჩვენს მიერ.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

... თ. ბისმარკმა ჯერ ეგრედწოდებული "სამთა იმპერიათა კავშირი" მოახერხა და ამ შეერთებულის ძალით მთელი ევროპა ხელთ იგდო – "სამთა კავშირი" წარმოადგენდა გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის და იტალიის სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკს. გერმანიამ გამოიყენა იტალია- საფრანგეთის კონფლიქტის გამწვავება და იტალია დაითანხმა, ხელი მოეწერა გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთთან. ერთად საიდუმლო სამოკავშირეო ხელშეკრულობაზე 1882 წლის 20 მაისს ვენაში. ხელშეკრულობა საფრანგეთისა და რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული.

«ინგლისი ინდოეთის შესანარჩუნებელი გზების ძიებაშია» (გვ. 338)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №101, 23 მაისი, გვ.1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«კალიების შემოსევა სიღნაღის მაზრაში» (გვ.342)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №102, 24 მაისი, გვ.1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«კანონის წინაშე თანასწორობა საზოგადოების წესიერი აგებულების საფუძვლის ქვაკუთხედია» (გვ. 346)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №103, 27 მაისი, გვ.1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. იგი დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«ჩვენი მესაქონლეობის საჭიროებანი» (გვ.350)

ხელნაწერი: ასლი, U №1052, გვ. 682-684; 697-700.

ნაბეჭდი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №104, 28 მაისი, გვ. 1; №120, 16 ივნისი, გვ. 1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად. წერილები ილიასეულად მიიჩნია და

მწერლის თხზულებათა გამოცემაში პირველად შეიტანა პ. ინგოროყვამ 1956 წელს – ილიას ნაწერების სრული კრებული VII ტომში ზემოაღნიშნული სათაურით.

«საფრანგეთის ორჭოფული პოლიტიკა» (გვ.357)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №105, 29 მაისი, გვ.1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.
ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«ხანძრისაგან შენობების დაზღვევის შემოღება» (გვ. 361)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №106, 30 მაისი, გვ. 1; № 107, 31 მაისი, გვ. 1; №108, 2 ივნისი, 1-2; №109, 3 ივნისი, 1-2.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«რომის პაპის ბრძოლა ძველი დიდების აღსადგენად» (გვ. 377)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №110, 4 ივნისი, გვ. 1-2.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«ტფილისის უღარიბეს მკვიდრთათვის საკვირაო სკოლის გამართვის სიკეთე» (გვ.382)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №111, 5 ივნისი, გვ. 1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში ფრიტრედერობა და პროტექციონობა» (გვ.385)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ასლი, U №1052, გვ. 684-687; 687-690; 690-693; 693-696.

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №112, 6 ივნისი, გვ. 1-2; №113, 7 ივნისი, 1-2; №115, 10 ივნისი, გვ. 1; №116, 11 ივნისი, გვ. 1-2.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

წერილი ილიასეულად მიიჩნია და მწერლის თხზულებათა გამოცემაში პირველად შეიტანა პ. ინგოროყვამ 1956 წელს – ილიას ნაწერების სრული კრებულის VII ტომში ზემოაღნიშნული სათაურით.

«მორიგების მცდელობა ინგლისსა და ოსმალეთს შორის ეგვიპტის თაობაზე» (გვ. 402)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №114, 9 ივნისი, გვ. 1-2.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«ინგლისში შექმნილ დამხმარე საზოგადოებათა სიკეთე» (გვ. 407)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №117, 12 ივნისი, გვ.1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«დიმიტრი სულხანის-ძე ჯავჯავაძის ანდერძი» (გვ. 411)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №118, 13 ივნისი, გვ.1; №119, 14 ივნისი, გვ. 1-2.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«მთავარ – მინისტრის შეცვლა სერბიაში» (გვ.421)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №122, 18 ივნისი, გვ.1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«ბისმარკის ზღვარდაუდებელი ბატონობა» (გვ. 424)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №123, 19 ივნისი, გვ. 1-2.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.
ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

ჩვენა გვგონია, რომ საფრანგეთი ამაზედ ხმას ამოიღებს და შნებელეს საქმეზედ არანაკლებ აალაპარაკებს საფრანგეთის ერსა – იხ. წერილი ამავე ტომში გვ. 249.

«გერმანიის მიერ არასწორად გადადგმული ნაბიჯი» (გვ. 429)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №124, 20 ივნისი, გვ.1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«მეფენახე გლეხთა მდგომარეობა» (გვ. 433)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ასლი, U №1052, გვ. 700-702; 702-706.

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №127, 24 ივნისი, გვ.1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

წერილი ილიასეულად მიიჩნია და მწერლის თხზულებათა გამოცემაში პირველად შეიტანა პ. ინგოროყვამ 1956 წელს – ილიას ნაწერების სრული კრებულის VII ტომში ზემოაღნიშნული სათაურით.

«რა არის თავისუფლება» (გვ. 442)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №129, 26 ივნისი, გვ. 1-2.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«კანონის ცოდნა და მისი ფარად გამოყენების აუცილებლობა» (გვ. 446)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №130, 27 ივნისი, გვ.1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«გაზეთ "ივერიის" მარცხი» (გვ. 449)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ასლი, U №1052, გვ. 707-709.

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №134, 3 ივლისი, გვ.1.

ხელნაწერ კრებულში წერილის ზემო კუთხეში რბილი ლურჯი ფანქრით აწერია "Илья в роли моралиста".

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

წერილი ილიასეულად მიიჩნია და მწერლის თხზულებათა გამოცემაში პირველად შეიტანა პ. ინგოროყვამ 1956 წელს – ილიას ნაწერების სრული კრებულის VII ტომში ზემოაღნიშნული სათაურით.

ყოველივე ეს გვათქმევინა ერთმა შემაძრწმუნებელმა ამბავმა, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენს "ივერიაში" ადგილი ჰქონია – ილია ჭავჭავაძეს მხედველობაში აქვს 1887 წლის მაისში, გაზეთ "ივერიის" №22-ში ს. მგალობლიშვილის ფელეტონი "რამე-რუმე"(წვრილმანი ამბები)" ს. გუმცაძის ხელმოწერით.

ფელეტონში ასეთი სტრიქონებია: "ახლა ტფილისში რომ "ჰოი, კვიცოს პოეზია" დაიბადა და ქუჩა-ქუჩა ხოტბას გაიძახიან კვიცებისას რაჭველი მესტვირეები, განა ჩვენში, ამ დალოცვილს გორში, "ქართლის მეთაურში" აღარ იკითხავთ, თუ რა პოეზია დაიბადა? ჰმ! ფას, "ჰოი, კვიცოს პოეზიაც" და ათასი სხვებიცა. გორულს ლექსს "ქალ-ვაჟიანს" ყველა პოეზია ენაცვალოს!" როგორც გამოირკვა, ლექსი-პასკვილი "ქალ-ვაჟიანი" შეეხებოდა მარიამ კერესელიძისას, რომელთანაც თვით ს. მგალობლიშვილი ახლო, მეგობრულ ურთიერთობაში იყო. იგი ძალიან შეწუხდა, როდესაც მოგვიანებით გაიგო, ვინც იყო პასკვილის ადრესატი.

მარიამ კერესელიძე გორის ინტელიგენციის ერთ-ერთი პატივსაცემი პიროვნება იყო და, რა თქმა უნდა, მისი შეურაცხყოფა ბევრს საწყენად დარჩებოდა. ამ ამბავმა ილიას ყურამდეც მიაღწია და სწორედ ამან გამოიწვია ილიას რისხვით აღსავსე მეთაური წერილის დაბეჭდვა.

შემდეგში გაირკვა ამ საქმეში ს. მგალობლიშვილის უდანაშაულობა (ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო დაწვრილებით იხილეთ ს. მგალობლიშვილის "მოგონებანი", ტფილისი, 1938 წ.).

«სახასო გლეხთა მამულების გაყიდვა» (გვ.452)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ასლი, U №1052, გვ. 709-710.

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №137, 7 ივლისი, გვ.1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

წერილი ილიასეულად მიიჩნია და მწერლის თხზულებათა გამოცემაში პირველად შეიტანა პ. ინგოროყვამ 1957 წელს – ილიას ნაწერების სრული კრებულის VIII ტომში ზემოაღნიშნული სათაურით.

«პოლიტიკური ამინდის შეცვლა გლადსტონის სასარგებლოდ» (გვ. 455)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №139, 9 ივლისი, გვ.1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«სწავლა-განათლება ერის წარმატების საწინდარია» (გვ. 459)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №140, 10 ივლისი, გვ. 1-2.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«პოლიტიკის სასწორის ორმხრივი ტოკვა» (გვ. 463)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №141, 11 ივლისი, გვ.1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. იგი დასათაურებულია ჩვენს მიერ.

... შნებელეს საქმე გამოსაცდელი ნიშანი იყო ... – იხ. გვ. 219.

«"საგლეხო ბანკის" გარშემო» (გვ. 469)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ასლი, U №1052, გვ. 711-713; 713-715; 716-718; 719-721; 721-725; 728-729; 730-732; 732-734; 734-736; 736-738; 738-741; 741-742; 743-745; 745-749.

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №142, 12 ივლისი, გვ. 1; №143, 14 ივლისი, გვ. 1-2; №144, 15 ივლისი, გვ. 1-2; №145, 16 ივლისი, გვ. 1; № 146, 17 ივლისი, გვ. 1-2; №147, 18 ივლისი, გვ. 1-2; № 148, 19 ივლისი, გვ. 1; №149, 21 ივლისი, გვ. 1; №150, 22 ივლისი, გვ. 1; №155, 29 ივლისი, გვ. 1-2; №156, 30 ივლისი, გვ. 1; №157, 31 ივლისი, გვ. 1; №158, 1 აგვისტო, გვ. 1; №159, 2 აგვისტო, გვ. 1. № 163, 8 აგვისტო, გვ. 1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად უსათაუროდ, და ხელმოუწერლად. ეს ვრცელი წერილი ავტორისდროინდელი

ნაბეჭდის შემდეგ ილიას თხზულებათა არც ერთ გამოცემაში არ დაბეჭდილა.

ამ წერილების ავტორი რომ ილია ჭავჭავაძეა, ამის უდავო დასტურია ის ფაქტი, რომ წერილები შეტანილია ხელნაწერ კრებულში, აგრეთვე, ისიც მნიშვნელოვანი საბუთია, რომ "ივერიის" სარედაქციო კომპლექტში ყველგან ამ წერილების ქვემოთ მიწერილია "ი."

წერილი პირველად იბეჭდება წინამდებარე ტომში. იგი დასათაურებულია ჩვენს მიერ.

ჩვენებურის გაზეთების მკითხველთა უკვე მოეხსენებათ, რომ აქაურმა გაზეთმა "Новое Обозрение"-მ თავისი გამგებელნი გამოიცვალა – გაზეთი "Новое Обозрение" გამოდიოდა თბილისში 1884 წლიდან; 1887 წლის 1 ივლისიდან გაზეთის რედაქტორ-გამომცემელის ა. სტეფანოვის ავადმყოფობის გამო იგი ო. ნიკოლაძის ხელში გადავიდა. ო. ნიკოლაძე გაზეთის გამომცემელი იყო, ხოლო რედაქტორად მოწვეულ იქნა მ. უსპენსკი. ფაქტობრივად გაზეთს 1887-1891 წლებში ხელმძღვანელობდა გამომცემლის მეუღლე, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მწერალი ნიკო ნიკოლაძე.

გაზეთის მესვეურთა ამ შეცვლაზეა საუბარი წერილის დასაწყისში.

"Новое Обозрение"-მ ... ყოველთ უწინარეს წამოაყენა ფეხზედ კრედიტის საქმე ჩვენში – ილიას მხედველობაში აქვს "Новое Обозрение"-ს 1887 წლის 4 ივლისის № 1219-სა და 5 ივლისის №1220-ში "Крестъянский Банк"-ის სახელწოდებით გამოქვეყნებული ორი ხელმოუწერელი მეთაური წერილი. აქ წამოჭრილ საკითხებს, კერძოდ გლეხთა მიერ მიწების შესყიდვას, მათთვის კრედიტის მოცემას და საერთო მიწისმფლობლობის საკითხების მოგვარებას ილია იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რომ "Новое Обозрение"-ს ამ ორ პატარა წერილს გაზ. "ივერიის" თხუთმეტი ნომრის მეთაური წერილი მიუძღვნა.

Юърев день – იურის დღე, წმინდა გიორგის პატივსაცემი საეკლესიო დღესასწაული რუსეთში, აღინიშნებოდა 26 ნოემბერს (ძვ. სტ.). XV-ს-ში იურის დღე გადაიქცა გლეხთა ერთი ფეოდალისაგან მეორესთან გადასვლის დროდ. თანდათან ეს პერიოდი – ერთი კვირა იურის დღემდე და ერთი კვირა მას შემდეგ – დაკანონდა, როგორც გლეხთა გადასვლის ერთადერთი ვადა. პირველმა საერთო რუსულმა სახელმწიფო ძეგლისდებამ 1497 წ. ოფიციალური კანონის ძალა მისცა ამ წესს. 1550 წელს კი ძეგლისდებამ დაამტკიცა იგი. ივანე IV-ის დროს, 1581 წელს ეს კანონი გაუქმდა.

«მკურნალი დ. ერისთავი» (გვ. 521)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №161, 5 აგვისტო, გვ.1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«ბულგარეთის ისტორიაში ახალი ხანის დადგომა» (გვ. 523)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №162, 6 აგვისტო, გვ.1.
დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«საერთაშორისო სასამართლოს შემოღების აუცილებლობა» (გვ. 526)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №164, 9 აგვისტო, გვ.1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«კვლავ ბულგარეთის შესახებ» (გვ. 530)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №168, 14 აგვისტო, გვ. 1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«ბისმარკი და ევროპის პოლიტიკა» (გვ. 533)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №185, 6 სექტემბერი, გვ. 1-2.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად უსათაუროდ, და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«სათავადაზნაურო სკოლებში სწავლების ხასიათის ძირეულად შეცვლის აუცილებლობა» (გვ. 638)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №188, 11 სექტემბერი, გვ. 1-2; №189, 12 სექტემბერი, გვ. 1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«გიმნაზიების ერთი დიდი ნაკლი» (გვ. 546)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №190, 13 სექტემბე-რი, გვ. 1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«ისეთი დაწესებულების საჭიროება, სადაც შესაძლებელი იქნება გართობა, გასაუბრება, დასვენება...» (გვ. 549)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №195, 20 სექტემბერი, გვ. 1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«გერმანიის პოლიტიკა ბულგარეთთან მიმართებაში» (გვ. 552)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №196, 22 სექტემბერი, გვ. 1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

მწერლის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«საქმის სიყვარული წარმატების საწინდარია» (გვ. 555)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №198, 24 სექტემბერი, გვ. 1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

მწერლის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«ერის ჯანმრთელობა სახელმწიფოს ერთი უდიდესი საზრუნავია» (გვ. 558)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №200, 26 სექტემბერი, გვ. 1-2.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

მწერლის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«შეუწყნარებელი გულგრილობა საზოგადო საქმისადმი» (გვ. 562)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №202, 30 სექტემბერი, გვ. 1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად. ავტორისდროინდელი ნაბეჭდის შემდეგ არც ერთ გამოცემაში არ დაბეჭდილა.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«სამრეწველო და სამეურნეო ნაწარმთა გამოფენის მოწყობის შესახებ» (გვ. 565)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №203, 1 ოქტომბერი, გვ. 1-2.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

მწერლის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«მამულების გამოსყიდვის ოქმის შედგენის ხარჯის განსაზღვრის აუცილებლობა» (გვ. 571)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ასლი, U №1052, გვ. 749-751.

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №207, 7 ოქტომბერი, გვ. 1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

წერილის ილიასეულობას ადასტურებს ის უდავო ფაქტი, რომ იგი შეტანილია ხელნაწერ კრებულში. აგრეთვე, მნიშვნელოვანი საბუთია ისიც, რომ "ივერიის" სარედაქციო კომპლექტში წერილის ქვემოთ მიწერილია ილიას ინიციალი "ი".

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«სიყალბე ნავთის მრეწველობაში» (გვ. 574)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №208, 8 ოქტომბერი, გვ. 1-2.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«საფრანგეთის მთავრობის დაუდგრომელობა» (გვ. 577)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №209, 9 ოქტომბერი, გვ. 1-2.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«ევროპის სახელმწიფოთა დაინტერესება მაროკოთი» (გვ. 582)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №212, 13 ოქტომბერი, გვ. 1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«გენერალ კაფფარელის საქმე» (გვ. 586)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №214, 15 ოქტომბერი, გვ. 1-2.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«ყალბი და ნამდვილი» (გვ. 590)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ასლი, U №1052, გვ. 759-763.

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №218, 20 ოქტომბერი, გვ. 1.

ხელნაწერ კრებულში სათაურის ზემოთ რბილი ლურჯი ფანქრით აწერია: "Илья в роли моралиста".

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

წერილი ილიასეულად მიიჩნია პ. ინგოროყვამ და მწერლის თხზულებათა გამოცემაში პირველად შეიტანა 1957 წელს – ილიას ნაწერების სრული კრებულის VIII ტომში სათაურით "ყალბი და ნამდვილი", სადაც იგი გაერთიანებულია "ივერიის" №217-ში დაბეჭდილ წერილთან. რამდენადაც ეს უკანასკნელი ეხება მწერლობას, იგი ამავე სათაურით დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ამ გამოცემის V(კრიტიკა) ტომში.

«დიმიტრი ყიფიანის გარდაცვალება» (გვ. 595)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №225, 29 ოქტომბერი, გვ. 1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

ეჰ, სოფელო, რა შიგან ხარ! – ციტატა "ვეფხისტყაოსნიდან".
მოკვდა და თვისის ანდერძით
აწ ისევ ჰსაქმობს მკვდარიო – ციტატა დ. გურამიშვილის "დავითიანიდან".

«ყრმობა დიმიტრი ყიფიანისა» (გვ. 597)

ნ ა ბ ე ჭ დი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №228, 1 ნოემბერი, გვ. 1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«პირველდაწყებით სკოლებში სწავლების გაუმჯობესების საკითხი» (გვ. 605)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №235, 10 ნოემბერი, გვ. 1.
დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«რუსეთს სამინისტროს გადადგომა» (გვ. 608)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №237, 12 ნოემბერი, გვ. 1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«ვენახების და ჭირნახულის წანახედობა და მისი საწინააღმდეგო ზომები» (გვ. 612)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №238, 13 ნოემბერი, გვ. 1-2.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

წერილის ილიასეულობა დაადგინა თ. მაჭავარიანმა და ზემოაღნიშნული სათაურით შეიტანა "ივერიის" ბიბლიოგრაფიაში (იხ. "ანალიტ. ბიბლიოგრაფია", ტ. III, №1403).
ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება.

«ბისმარკის ორპირი პოლიტიკა რუსეთის მიმართ» (გვ. 616)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №245, 24 ნოემბერი, გვ. 1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. იგი დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«საფრანგეთის ზნეობრივი ძალ-ღონე მამულის სიყვარულშია» (გვ. 619)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №258, 9 დეკემბერი, გვ. 1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«გაზეთ "მშაკის" გამოხდომა» (გვ. 622)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ასლი, U №1052, გვ. 771-772.

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №259, 10 დეკემბერი, გვ. 1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

წერილი ილიასეულად მიიჩნიეს და მწერლის თხზულებათა გამოცემაში პირველად შეიტანეს პ. ინგოროყვამ და ალ. აბაშელმა 1928 წელს – ილიას ნაწერების სრული კრებულის IX ტომში, უსათაუროდ. შემდეგში პ. ინგოროყვას რედაქციით გამოცემულ ი. ჭავჭავაძის თხზულებათა VIII ტომში, 1957 წელს იგი დაიბეჭდა ზემოხსენებული სათაურით.

ესე ხელაღებით დამხობა მთელი ერისა არ შეიწყნარა "Новое Обозрение"- მ და განკიცხულნი თავის საფარველქვეშ მიიღო – იგულისხმება 1887 წლის 28 ნოემბრის "Новое Обозрение"- ს №1362-ში დაბეჭდილი ილია ხონელის ვრცელი წერილი სათაურით "Эскизы и этюды. Армянские Малъбурги". წერილის ავტორს მოაქვს

ციტატები სომხური გაზეთებიდან, სადაც სომეხი ავტორები ბ. იოანისიანი და გ. არწრუნი ლაფში სვრიან სომეხ ხალხს. წერენ, რომ ისინი არიან მხდალები, ხარბები, ვერცხლისმოყვარულები, ეშმაკები, ფარისევლები, შურიანები და სხვა მსგავსი თვისებების მატარებელნი. ილია ხონელი თავის წერილში იცავს სომეხ ხალხს ამ ბრალდებებისაგან.

ქორი მყვარს არა იკადრებს,
არცა სდევს საჭმლად ნდომითა.

ციტატა აღებულია ილიას "ორხმიანი საახალწლო ოპერეტიდან", უმნიშვნელო ვარიაციით.

სონღული მუმლთა შეპყრობად
ფრთებსა არ გაშლის ზომითა.

«ევროპის საომარი მზადება» (გვ. 625)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №260, 11 დეკემბერი, გვ. 1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

თ. ბისმარკმა სამთა კავშირი მოახერხა ... – იხ. გვ. 654 შენიშვნა.

«ევროპის პოლიტიკურ ასპარეზზე მყუდროებამ დაისადგურა» (გვ. 628)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №265, 17 დეკემბერი, გვ. 1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დაგრეგილი ჭარბი სიმდიდრე» (გვ. 630)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №266, 18 დეკემბერი, გვ. 1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«ბათუმის ჰავის ავკარგიანობის შესახებ» (გვ.633)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ასლი, U №1052, გვ. 773-774.

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №267, 19 დეკემბერი, გვ. 1.

ილიას ავტორობის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ წერილი შეტანილია ხელნაწერ კრებულში. ასევე მნიშვნელოვანია და ანგარიშგასაწევი საბუთია ისიც, რომ "ივერიის" სარედაქციო კომპლექტში წერილს ქვემოთ მიწერილი აქვს "ი".

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«გაზეთი "კავკაზი" და ქართველი ხალხი» (გვ.636)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ასლი, U №1052, გვ. 774-777.

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №268, 20 დეკემბერი, გვ. 1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

წერილი ილიასეულად მიიჩნიეს და მწერლის თხზულებათა გამოცემაში პირველად შეიტანეს პ. ინგოროყვამ და ალ. აბაშელმა 1928 წელს – ილიას ნაწერების სრული კრებულის IX ტომში, უსათაუროდ, ხოლო შემდეგ პ. ინგოროყვას რედაქციით გამოცემულ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა VIII ტომში, 1957 წელს წერილი დაიბეჭდა ზემოსენებული სათაურით.

ვის არ წაგიკითხავთ ჩვენი აქაური რუსული გაზეთი, "Кавказ"-ი, გირჩევთ წაიკითხოთ სულ კი არა, გირჩევთ წაიკითხოთ მარტო №332, ისიც მთელი ნომერი არა, ... მარტო მეორე გვერდის მეექვსედის ნახევარი. – ილიას მხედველობაში აქვს გაზეთ "Кавказ"-ის 1887 წლის 15 დეკემბრის №332-ში მოთავსებული ერთი ხელმოუწერელი წერილი, სადაც ავტორი მიმოიხილავს წიგნის "Свод материалов по изучению экономического быта государственных крестьян Закавказского края"-ს მეორე ტომს. იმ ოთხი სტატიიდან, რომელიც ამ ტომშია მოთავსებული, ავტორი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას პირველ მათგანზე: "Племенной состав, религия и происхождение государственных крестьян. С. П. Зелинского".

«ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ» (გვ. 640)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ასლი, U №1052, გვ. 777-780.

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №270, 23 დეკემბერი, გვ. 1-2.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

წერილი ილიასეულად მიიჩნიეს და მწერლის თხზულებათა გამოცემაში პირველად შეიტანეს პ. ინგოროყვამ და ალ. აბაშელმა 1928 წელს – ილიას ნაწერების სრული კრებულის V ტომში ზემოხსენებული სათაურით.

«ქრისტეშობის მოლოცვა» (გვ. 644)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №272, 25 დეკემბერი, გვ. 1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«ქუთაისი საქალაქო არჩევნების მოლოდინში» (გვ. 646)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №273, 29 დეკემბერი, გვ. 1-2.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში წერილი პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენს მიერ.

«საზოგადო საქმის მსახურთა სახელის დაცვისათვის» (გვ. 649)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ასლი, U №1052, გვ. 780-785.

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №274, 30 დეკემბერი, გვ. 1.

წერილი ილიასეულად მიიჩნია და მწერლის თხზულებათა გამოცემაში პირველად შეიტანა პ. ინგოროყვამ 1957 წელს – ილიას ნაწერების სრული კრებულის VIII ტომში ზემომითითებული სათაურით.

«თვითმოქმედებისათვის» (გვ. 653)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ასლი, U №1052, გვ. 783-785.

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1887 წ., №275, 31 დეკემბერი, გვ. 1.
დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

წერილი ილიასეულად მიიჩნია და მწერლის თხზულებათა გამოცემაში პირველად შეიტანა პ. ინგოროყვამ 1955 წელს – ილიას ნაწერების სრული კრებულის IV ტომში სათაურით "თავადაზნაურობის გულგრილობა სწავლა-განათლების საქმეში", ხოლო 1957 წელს კი VIII ტომში შეცდომით განმეორებით დაბეჭდა სათაურით "თვითმოქმედებისათვის".

საძიებლები

1) პირთა საძიებელი

ა

აბდურახმან ხანი, – აბდურაჰმანი (1844–1901), ავღანეთის ამირა 1880 წლიდან. მონაწილეობდა თავისი პაპის, დოსთ მუჰამედის გარდაცვალების შემდეგ ტახტისათვის გამართულ შინაფეოდალურ ბრძოლებში. იგი დამარცხდა და 1869 წ. შუა აზიას შეაფარა თავი. 1879 წ. დაბრუნდა სამშობლოში და 1880 წ. გაბატონდა ჩრდილოეთ ავღანეთში. 1880 წ. 31 ივლისს ინგლისმა აბდურაჰმანი მთელი ავღანეთის ამირად ცნო, ხოლო ავღანეთის საგარეო პოლიტიკა დაუქვემდებარა თავის კონტროლს, 315

აბერდინი, – გრაფი ჯორჯ ჰამილტონ გორდონი (1784-1860), ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე. 1852-1855 წლებში დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი, 395

აკსაკოვი – ივანე სერგის ძე (1823-1886), – რუსი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე სლავიანოფილების ერთ-ერთი იდეოლოგი. რედაქტორი ჟურნალებისა "დღე", "მოსკვა", "Руссъ" და სხვა. 1840-1850-იან წლებში გამოდიოდა ბატონყმობის წინააღმდეგ, 10

ალექსანდრე II, – (1818-1881), რუსეთის იმპერატორი (1855-1884), ნიკოლოზ I-ის უფროსი შვილი. პოლიტიკური შეხედულებით კონსერვატორი იყო. მოკლეს 1881 წლის 1 მარტს "ნაროდნაია ვოლიას" აღმასრულებელი კომიტეტის განაჩენით, 286, 346, 426

ანდრაში, – დიულა უფროსი (1823-1890), გრაფი, უნგრელი პოლიტიკური მოღვაწე, 1867 წელს იყო ავსტრია-უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი. 1874 წ. ბისმარკთან ერთად ხელი მოაწერა გერმანია-ავსტრია-უნგრეთის ხელშეკრულებას, რომელიც საფუძვლად დაედო სამთა კავშირს (1882), 300, 311, 318, 319, 625

ანდრონიკაშვილი იასე ადამის ძე, – მოსამართლე (მსაჯული), 26-29, 202, 204

არისტოტელე, არისტოტელე – (ძვ. წ. 384-322), ძველი ბერძენი ფილოსოფოსი და მეცნიერი, 224

არსენიევი – კონსტანტინე კონსტანტინეს ძე (1837-1919), რუსი პუბლიცისტი, იურისტი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსი (1900), 10,11

არღუთინსკი, – სახელმწიფო მოხელე, 435, 436-438

არხიპოვი, – სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მოხელე, 297

ასკლეპიადი – (ძვ. წ. 128-56), რომაელი ექიმი, წარმოშობით ბერძენი, 132

ასტროვსკი, – ოსტროვსკი მიხეილ ნიკოლოზის ძე (1827-1901 წ.წ.), 1881-1893 წლებში სახელმწიფო ქონებათა მინისტრი, რუსი დრამატურგის ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ოსტროვსკის (1823-1886) უმცროსი ძმა, 296, 299

აქილეოსი, – აქილევსი, ბერძნულ მითოლოგიაში და ჰომეროსის "ილიადაში" ტროას ომის გმირი. მითის თანახმად თეტიდამ აქილევსის დედამ, უკვდავება რომ მიენიჭებინა, ბავშვი ამოავლო მდინარე სტიქსის წმინდა ტალღებში. ბავშვი დედას ქუსლით ეჭირა, ამიტომ უკვდავების წყალი ქუსლს არ შეეხო. შემდეგში სწორედ ქუსლში მოხვედრილმა პარისის ისარმა განგმირა იგი. აქედამ მოდის გამოთქმა "აქილევსის ქუსლი", რომელიც ადამიანის სუსტ მხარეს გულისხმობს, 281, 282

ახნაზაროვი ყაზარ, 277

ახნაზაროვი ავეტი, 277

ახნაზაროვი, 266-267, 281

ახნაზაროვები, 277-279, 281, 283, 285, 288-291

ბ

ბაბო ლამბერტ-იოსებ ლეოპოლდი – (1790-1862), გერმანელი მეცნიერი, 183

ბაგრატიონი პეტრე ივანეს ძე – (1765-1812), თავადი, რუსი გენერალი ინფანტერიისა. პირველ სამამულო ომში მეთაურობდა მეორე არმიას; ბოროდინოს ბრძოლაში ხელმძღვანელობდა მარცხენა ფრთას. ამ ბრძოლაში იგი სასიკვდილოდ დაიჭრა, 602

ბაგრატიონი რომან ივანეს ძე, – გენერალ-ლეიტენანტი, ძმა პეტრე ბაგრატიონისა, 602

ბალფური — ართურ ჯეიმს (1848-1930), ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე, 1902-1905 წლებში დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი, კონსერვატორი. 1904 წ. ბალფურის მთავრობამ საფრანგეთთან დადო ხელშეკრულება, რომელიც ანტანტის საფუძველი გახდა, 591
ბანსონი, — დანიის სამხედრო მინისტრი, 61, 670
ბასტია. — ფრედერიკ (1801-1850), ფრანგი ბურჟუაზიული ეკონომისტი, 396
ბატტენბერგი — ალექსანდრე (1857-1893), გერმანელი პრინცი, ბულგარეთის თავადი (მმართველი). 1879-1886 წ.წ. უკიდურესი რეაქციონერი, ცდილობდა ბულგარეთი ბალკანეთზე ავსტრია-გერმანიის დასაყრდენი ყოფილიყო. ბულგარელ ოფიცერ-რუსოფილთა დაჟინებით იძულებული გახდა უარი ეთქვა ტახტზე, 263, 534
ბებუთოვი, — თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი, 282, 283
ბერინგი, — ინგლისელი ოფიცერი, 118
ბერში — იოსებ, გერმანელი ავტორი, 176-178, 184, 194
ბიკონსფილდი, — ლორდი, ინგლისის მთავარ-მინისტრი, 302
ბისმარკი — ოტო ედუარდ ლეოპოლდ, თავადი ფონ ბისმარკ-შენჰაუზენი (1815-1898), გერმანელ სახელმწიფო მოღვაწე, იუნკრულ-ბურჟუაზიული გერმანული იმპერიის დამაარსებელი და პირველი რაიხსკანცლერი, 30-32, 34-40, 57, 58, 66, 67, 69-72, 91-97, 102, 103, 159, 199, 200, 206-208, 213, 214, 215, 219, 234, 243, 244, 250, 258-260, 263, 264, 300, 301, 302, 304-312, 316, 318, 319, 327-330, 332, 334-337, 379, 380-397, 400, 422-428, 431, 465-467, 533-534, 552-554, 578, 580, 581, 609, 610, 616-618, 625-627, 629
ბოსსუეტი, — ბოსუე ჟაკ ბენინ (1627-1704), ფრანგი მწერალი, 442, 443
ბრაიტი — ჯონ (1811-1889), ცნობილი ინგლისელი პოლიტოკური მოღვაწე, 395
ბრეი (ბრეიდე) — გრაფი, გერმანიის ელჩი სერბიაში, 423
ბრისტოლი, — მარკიზი, ინგლისის პარლამენტის წევრი, 528

ბროუნი — ჯონ (1735-1788), ექიმი, ერთ-ერთი სამედიცინო ფუძემდებელი, რომელიც ცნობილი იყო ბროუნიზმის სახელწოდებით, 132
ბრუადელი, — ბრუარდელი პოლ-კამილ-იპოლიტი, ფრანგი ექიმი, 132
ბულანჟე — ჟორჟ ერნსტ (1837-1891), ფრანგი გენერალი, პოლიტიკური მოღვაწე. 1886-1887 წლებში საფრანგეთის სამხედრო მინისტრი. 1887-1889 წლებში ხელმძღვანელობდა შოვინისტურ მოძრაობას, რომელიც ბულანჟიზმის სახელითაა ცნობილი, 35, 37, 60, 330-332, 337, 358-360, 465, 466, 587
ბუნგე — ნიკოლოზ ქრისტინის ძე (1823-1895), რუსი სახელმწიფო მოღვაწე, ეკონომისტი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1890), 1881-1886 წლებში ფინანსთა მინისტრი. ატარებდა პროტექციონიზმის პოლიტიკას, 53
ბუსსენგო — ჟან ბატისტ (1802-1827), ფრანგი ქიმიკოსი, აგროქიმიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, 134, 135, 186

გ

გაგარინი, — თავადი, თბილისის გუბერნიის გუბერნატორი, 342, 343
გალი ლუდვიგ, — გალიზაციის სისტემის ავტორი, 128, 181
გამბეტა ლეონ — მიშელ (1838-1882), ფრანგი პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე. 1870 წ. სექტემბრიდან 1871 წ. თებერვლამდე იყო "ეროვნული თავდაცვის მთავრობის" შინაგან საქმეთა მინისტრი, 1879-1881 წლებში დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე, 1881-1882 წლებში — პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი, 37, 213
გარაშანინი — ილია (1812-1874), სერბიის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი 1852-1853, 1861-1867 წლებში, ავტორი საგარეო პოლიტიკის პროგრამისა, რომელიც ითვალისწინებდა იუგოსლავების განთავისუფლებას ოსმანთა ჩაგვრისაგან და მათ გაერთიანებას სერბიის მონარქიის ეგიდით, 261, 262, 421, 423

გარნიე პაჟეს – ლუი ანტუან (1803-1878), ფრანგი ფინანსთა მინისტრი 1848 წლის მარტ-აპრილში, 396
გარსოევი, – თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი, 361, 362, 365
გარტინგტონი, – ინგლისის პარლამენტის წევრი, 340
გაუჩი, – გერმანიის პოლიციის კომისარი, 250-252, 258
გეტონი ფინჩ, – ინგლისის პალატის დეპუტატი, 456
გარჩაკოვი, – გორჩაკოვი ალექსანდრე მიხეილის ძე (1798-1883) თავადი, რუსი სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, კანცლერი 1867 წლიდან, საგარეო საქმეთა მინისტრი 1856-1882 წლებში, 302
გირსი – ნიკოლოზ კარლოზ ძე (1820-1895), რუსი სახელმწიფო მოღვაწე. დიპლომატი, საგარეო საქმეთა მინისტრი, 220
გლადსტონი – უილიამ იუარტ (1809-1898), ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე. 1843-1845 წლებში იყო ვაჭრობის მინისტრი, 1845-1847 წლებში – კოლონიებისა, 1852-1855, 1859-1866 წლებში ფინანსთა მინისტრი, 1868-1874 წლებში კი – პრემიერ-მინისტრი. 1880-1885 წლებში კვლავ პრემიერ-მინისტრი იყო. 1882 წელს გლადსტონმა ჯარები გაგზავნა ეგვიპტის დასაპყრობად. იგი სასტიკად ახშობდა ირლანდიის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. 1892-1894 წლებში იგი კვლავ პრემიერ-მინისტრი იყო, 73-75, 455-458, 536, 593, 594
გნეისტი, – გერმანელი მეცნიერი, 67
გობლე რენე – (1828-?), ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე. 1882 წ. იყო შინაგან საქმეთა მინისტრი, 1885 წელს სახალხო განათლების მონისტრი. 1886 წლის 11 ნოემბრიდან 1887 წლის 17 მაისამდე იყო საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი, 1888 წლის აპრილიდან 1889 წლის თებერვლამდე ფლოკეს კაბინეტში იყო საგარეო საქმეთა მინისტრად, 33, 304-309, 330, 331, 337, 358, 465, 466
გოშენი, – ინგლისელი მინისტრი, 74
გრადოვსკი – ალექსანდრე დიმიტრის ძე (1841-1889), რუსი იურისტი, პუბლიცისტი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, 10, 222
გრანტი – ინგლისელი ექიმი, 132

გრევი, – ჟიულ (1807-1891), საფრანგეთის პრეზიდენტი 1879-1887 წლებში, ზომიერ რესპუბლიკელთა ლიდერი, 309, 359, 587, 588, 608, 610, 619
გურგენიძე, 168, 169

დ

დ–ანდლე, – ფრანგი სენატორი, 587
დარვინი – ჩარლზ რობერტ (1809-1882), ინგლისელი ბუნებისმეტყველი, დარვინიზმის შემქმნელი, 519
დარია – დედოფალი, დარეჯან დედოფალი? ერეკლე მეორის თანამეცხედრე, 265
დემეტრე ცინიკი, 247
დეპრეტისი – აგოსტინო (1813-1887), იტალიელი ბურჟუაზიულ-პოლიტიკური მოღვაწე. 1876-1887 წლებში არაერთხელ იყო სახელმწიფოს მეთაური, 83, 84, 88, 89, 206
დერულედი – პოლ (1846-1914), ფრანგი პოეტი და პოლიტიკური მოღვაწე. 1882 წ. დერულედმა დააარსა ე. წ. "პატრიოტთა ლიგა", სადაც მოიწვია ყველა მოქალაქე, განურჩევლად მათი პარტიული რწმენისა. ბულანჟეში დერულედი ხედავდა გერმანიასთან ომის მომავალ გმირს. 1889 წ. იგი დეპუტატად აირჩიეს სენატში, 250
დინგელშტეტი, 254
დიუმა – ჟან ბატისტ ანდრე (1800-1884), ფრანგი ქიმიკოსი, 188
დოროშენკო, 575

ე

ერდი, – ინგლისის პალატის დეპუტატი, 457
ერეკლე მეფე, – ერეკლე II (1720-1798), 1744-1762 წლებში კახეთის, 1762-1798 წლებში ქართლ-კახეთის მეფე, 265, 283
ერისთავი დ. – დავით გიორგის ძე (1847-1890), ქართველი მწერალი. დრამატურგი და ჟურნალისტი, ავტორი ფრანგი დრამატურგის სარდუ ვიქტორიენის (1831-1901)

პიესიდან "ფლანდრია" გადმოკეთებული პიესის "სამშობლო", 521, 522
ერმოლოვი ა. ს. – რუსეთის სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს თანამშრომელი, 98-100

ვ

ველინგტონი – ართურ უელსლი (1769-1852), ჰერცოგი, ინგლისელი მხედართმთავარი, სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, ფელდმარშალი, 1828-1830 წლებში იყო ინგლისის პრემიერ-მინისტრი, 396
ვერსპასიანი, – ვერპასიანე ტიტუს ფლავიუს (2-79), რომის იმპერატორი 69 წლიდან, ფლავიუსების დინასტიის დამაარსებელი, 246
ვილსონი, – საფრანგეთის პრეზიდენტის გრევის სიზე, 587, 588, 608, 610
ვილჰელმი, – იმპერატორი, ვილჰელმ I ჰოჰენცოლერნი (1797-1888), პრუსიის მეფე 1861 წლიდან და გერმანიის იმპერატორი 1871 წლიდან, 96, 200, 207, 208, 215, 431, 609
ვინდჰორსტი – ლუდვიგ (1812-1891), პრუსიის სახელმწიფო მოღვაწე, 1871 წლიდან კათოლიკური პარტიის ხელმძღვანელი, 95, 96
ვოლფი დრუმონდ, 118

ზ

ზელინსკი, – რუსი მწერალი, 636, 637
ზუბალოვი ნ. დ. – თბილისის ქალაქის სამჭოს ხმოსანი, 280

თ

თათულოვი შაქრო, 276, 279
თამამშოვი მ. ი, 283
თეოდორე, – აბისინიის მეფე, 85

თუშმალოვი – მირზა ჯაფარ, მასწავლებელი, 601, 602

ი

იაკობი, კარდინალი, 94-96
იაკობი, შოას მეფე, 85
იანოვსკი, – კირილე პეტრეს ძე (1822-1902), კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი 1878-1899 წლებში, შავრაზმელი, იბრძოდა ქართული ენის განდევნისათვის ქართული სკოლებიდან, 416
იზმაილოვი, – ქალაქის გამგეობის წევრი, 282, 283, 286
იოანნე, – აბისინიის მეფე, 88, 89
იშხანოვი ავეტიქა, 276, 279

კ

კაიროლი – ბენედეტო (1825-1889), იტალიის რისორჯიმენტოს მონაწილე, გაერთიანებული იტალიის პრემიერ-მინისტრი 1878 და 1879-1881 წლებში, X
კალნოკი, – გრაფი ავსტრიის იმპერატორის მრჩეველი, 220, 626
კაფფარელი, – ფრანგი გენერალი, 579, 585-588, 607-610
კვინტილიანი – მარკუს ფაბიუს (დაახლ. 35-96), საორატორო ხელოვნების თეორეტიკოსი ძველ რომში, 245
კლავდია, – კლავდიუსი, ტიბერიუს დრუზუს ნერონ გერმანიკუს (ძვ. წ. 10 – ახ. წ. 54), რომის იმპერატორი 41 წლიდან, იულიუს კლავდიუსების დინასტიიდან, 246
კლემანსო – ჟორჟ ბენჟამენ (1841-1929), საფრანგეთის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, საფრანგეთის აკადემიის წევრი (1918). ესწრაფვოდა საფრანგეთის იმპერიალიზმის სამხედრო-პოლიტიკური ჰეგემონიის დამყარებას ევროპაში, 620
კლიველანდი – კლივენდ სტივენ გროვერ (1837-1908), 22-ე (1885-1889) და 24-ე (1893-1897) პრეზიდენტი ამერიკის შეერთებული შტატებისა, დემოკრატიული

პარტიიდან. ატარებდა პროტექციონიზმის პოლიტიკას, 631
კობდენი – რიჩარდ (1804-1865), ფრიტრედერების ერთ-ერთი ლიდერთაგანი დიდ ბრიტანეთში, სამრეწველო ბურჟუაზიის იდეოლოგი, 395
კობურგის პრინცი, 463, 464, 466-468, 523-525, 531, 532, 617
კორდონი, – ფრანგი ოფიცერი, 426, 427
კრისპი – ფრანჩესკო (1818-190), იტალიის სახელმწიფო მოღვაწე, ადვოკატი, იტალიის 1848-1849 წლების რევოლუციის მონაწილე. 1887-1891 და 1893-1896 წლებში იყო იტალიის პრემიერ-მინისტრი, 206, 244, 335
კრომველი – ოლივერ (1599-1658), ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის მოღვაწე, 396
კრუპი, – უდიდესი სამხედრო მეტალურგიული კონცერნის მფლობელი, 242

ლ

ლებენსტეინ – ლებელი, მკურნალი, 132
ლეონ XIII, – პაპი, ერისკაცობაში ვინჩენცო ჯოაკინო პეჩი (1810-1903), რომის პაპი 1878 წლიდან, 378, 379, 381, 529
ლეოპოლდი, – II (1835-1909), ბელგიის მეფე 1865 წლიდან. იგი ხელმძღვანელობდა ცენტრალური აფრიკის (კონგო, თანამედროვე ზაირა) დიდი ტერიტორიის დაპყრობას, 41
ლესეპსი, – ლესეფსი ფერდინანდ მარი დე (1805-1894), ფრანგი დიპლომატი, განათლებით იურისტი, 215, 216
ლეფლო, – ფრანგი გენერალი, 358
ლიმუზენი, 586, 587
ლობანოვი, – ლობანოვ-როსტოვსკი ალექსი ბორისის ძე (1824-1896), თავადი, რუსი სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, 1882-1895 წლებში ელჩი ვენაში, 220

მ

მაკაროვი პეტრუს, – სირაჯი, 257
მანჩინი, – პასკუალე სტანისლაო (1817-1888), იტალიელი იურისტი, დიპლომატი და სახელმწიფო მოღვაწე, ტურინის, ნეაპოლის და რომის უნივერსიტეტების პროფესორი, 528
მაროზოვო, მოროზოვი, რუსი ვაჭარი, 24
მაჩაბელი მიხეილ, ქალაქის გამგეობის ხმოსანი, 267, 268, 280, 289, 290, 353, 354
მაჰდი, სუდანელი მუჰამედ აჰმად (1844-1845), განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი სუდანში (მაჰდისტების აჯანყება). სუდანის მაჰდისტური სახელმწიფოს დამაარსებელი, 78
მაჰომედი, მუჰამედი (მაჰამედი), ევროპულ ლიტერატურაში ხშირად იხსენიება მაჰომედად, მაჰომეტად (დაახლ. 570-632), ისლამის დამაარსებელი, 235
მენდელეევი დიმიტრი ივანეს ძე (1834-1907), რუსი ქიმიკოსი, მრავალმხრივი მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. აღმოაჩინა ქიმიურ ელემენტთა პერიოდულობის კანონი, 47, 50
მენელიკი, შოას მეფე, 85, 89
მილანი, მეფე (1854-1901), სერბიის მთავარი (1868-1882), მეფე მილან I (1882-1889) ობრენოვიჩების დინასტიიდან, ცდილობდა დაემყარებინა თვითმპყრობელური რეჟიმი. ატარებდა ავანტიურისტულ საგარეო პოლიტიკას, 261, 262, 421, 423
მილი ჯონ სტუარტ (1806-1873), ინგლისელი პოზიტივისტი, ფილოსოფოსი, ეკონომისტი და საზოგადო მოღვაწე, 227, 228
მიქელაძე, – ქალაქის გამგეობის ხმოსანი, 282,
მოლტკე, უფროსი, ჰელმუთ კარლ ბერნ ჰარდ (1800-1891), პრუსიისა და გერმანიის სამხედრო მოღვაწე, გრაფი (1870), გენფელდმარშალი (1871), სამხედრო თეორეტი-კოსი, 200,
მულლეინ – ჰასანი, მაროკოს სულთანი, 584
მუხრანსკი – ლევან, 599

ნ

ნაპოლეონი, – ნაპოლეონ III, ლუი ნაპოლეონ ბონაპარტი (1808-1873), საფრანგეთის იმპერატორი 1852-1870 წლებში, ნაპოლეონ I-ის ძმისწული, 39, 40
ნატალია დედოფალი, – (1859-?), სერბიის დედოფალი, მეფე მილან I ობრენოვიჩის მეუღლე, რუსი პოლკოვნიკის, კეშკოს ქალიშვილი, 261
ნაჩევიჩი, – ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, 262
ნელიდოვი, – რუსეთის ელჩი ოსმალეთში, 76
ნერვი, – იმპერატორი ნერვა მარკუს კოქციეუს (30 ან 35-98), რომის იმპერატორი 96 წლიდან. ანტონინების დინასტიის ფუძემდებელი, ძველ სენატორთა გვარის წარმომადგენელი. დაწინაურდა ნერონის დროს, 245
ნერონი, – ნერო ლუციუს დრუზუს გერმანიკუს ცეზარ (37-68), რომის იმპერატორი 54 წლიდან, იულიუსებისა და კლავდიუსების დინასტიის წარმომადგენელი, პატივმოყვარე, გარყვნილი ტირანი, ცნობილი თავისი არაჩვეულებრივი სისასტიკით, 246
ნიჟარაძე, 562, 564

ო

ოკტავია, – ოქტავია, იმპერატორ ნერონის მეუღლე, 245
ოსკარი, – ოსკარ II (1829-1907), შვეციის მეფე 1872-1907 წლებში და ნორვეგიისა 1872-1905 წლებში. ეყრდნობოდა კონსერვატორებს, იყო პროგერმანული ორიენტაციისა, 62

პ

პალმერსტონი – ჰენრი ჯონ ტემპლ ვიკონტი (1784-1865), ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე. 1809 წლიდან სხვადასხვა დროს. ეკავა სამხედრო საქმეთა, საგარეო და შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტები. 1855-1859 წლებში იყო პრემიერ-მინისტრი, 310

პაპოვი, – პოპოვი, ბულგარელი ოფიცერი, 261, 262
პაპოვი, – პოპოვი, ქალაქის გამგეობის წევრი, 280, 281, 290
პარნელი – ჩარლზ სტიუარტ (1846-1891), ირლანდიის პოლიტიკური მოღვაწე, ჰომრულის ლიდერი. იგი მოითხოვდა ირლანდიისათვის ფართო ავტონომიის მინიჭებას ინგლისთან კონსტიტუციური კავშირის შენარჩუნებით, 315
პასტერი – ლუი (1822-1895), ფრანგი მიკრობიოლოგი და ქიმიკოსი, თანამედროვე მიკრობიოლოგიისა და იმუნოლოგიის ფუძემდებელი, 147-149
პეტენკოფერი, – მეცნიერი, 181
პეტიო, – ფრანგი მეცნიერი, 179, 182
პეტროვი, – ბულგარელი ოფიცერი, 263
პილი რობერტ – (1788-1850), დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო მოღვაწე, ტორების პარტიის წარმომადგენელი. იგი იყო 1812-1818 წლებში ირლანდიის საქმეთა მინისტრი, 1822-1827, 1828-1830 წლებში კი შინაგან საქმეთა მინისტრი, ხოლო 1834-1835, 1841-1846 წლებში მას ეჭირა პრემიერ-მინისტრის პოსტი, 396
პიოს IX, – პაპი (1792-1878), რომის პაპი 1846 წლიდან. 1870 წ. რომზე პაპის ხელისუფლების ლიკვიდაციის შემდეგ პაპმა აღარ ცნო გაერთიანებული იტალიის სახელმწიფო, 377
პისარევი – დიმიტრი ივანეს ძე (1840-1868), რუსი პუბლიცისტი და ლიტერატურის კრიტიკოსი, 229
პლინი უმცროსი, – პლინიუს უმცროსი, გაიუს პლინიუს ცეცილიუს სეკუნდუსი ($^{61}/_{62}$ – $^{113}/_{114}$), რომაელი მწერალი და სახელმწიფო მოღვაწე, 245
პოცოლინი, – იტალიელი გენერალი, 88
პრისკუსი ჰელვიდი, 246

ჟ

ჟირარი შარლ, – ფრანგი ქიმიკოსი, 181, 187, 188
ჟულფერი, – ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, 588, 610

რ

რას-ალული, – აბისინიელი სარდალი, 80, 88
რენანი – ჟოზეფ ერნესტ (1823-1832), ფრანგი მწერალი და ფილოლოგი, აღმოსავლეთმცოდნე. საფრანგეთის აკადემიის წევრი 1878 წლიდან, 245-247
რეუმური, – რეომიური რენე ანტუან (1683-1757), ფრანგი ბუნებისმეტყველი, რომელმაც 1730 წ. შემოიღო ტემპერატურის შკალა, რომელიც მისი სახელითაა ცნობილი, 156
რიზა-ბეი, – ოსმალეთის სამხედრო კომისარი, 234, 235, 263
რისტიჩი – იოვან (1831-1899, სერბიის პრემიერ-მინისტრი 1873, 1878-1880, 1887 წლებში, 262, 421-423
რიჩარდი ჰენრი, – ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე, 527
რობერტსი, – ინგლისელი გენერალი, 341
რობილანი, – იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი, 79, 80, 83, 89, 206, 335
როინაშვილი ა. ს. – კერძო მუზეუმის დამაარსებელი, 555-557
რუვიე, – ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე, 330-332, 466, 608-610, 619, 620

ს

საგინოვები, 43
სადი-კარნო – მარი-ფრანსუა სადი (1837-1924), საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწე, 1887-1894 წლებში საფრანგეთის პრეზიდენტი, 620
სავა დედოფალი, 85
სალუსბერი, – სოლუსბერი, რობერტ არტურ ტალბოტ გასკონ სესილ (1830-1903), იჰგლისის სახელმწიფო მოღვაწე, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი 1885-1892 წლებში, 73-75, 243, 303, 340, 403, 430, 455, 456, 527-529, 536, 625, 626
სანბეფი, – ელზასელი სახელმწიფო მოღვაწე, 250
სვიტენი, – მკურნალი, 132

სიდენჰამი – ჟან შარლ ლეონარ სიმონდ დე (1773-1842), შვეიცარიელი ეკონომისტი, წვრილბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, 132
სმიტი – ადამ სმითი (1723-1790), შოტლანდიელი ეკონომისტი და ფილოსოფოსი, "პოლიტიკური ეკონომიის მამა", 395
სობნერი სენტრი, – ამერიკელი სენატორი, 528
სოლომონი, – მეფე, 85
სოკოლოვსკი, – ინჟინერი, 51
სპასოვიჩი – ვლადიმერ დანიელის ძე (1829-1906), რუსი იურისტი, სისხლის სამართლის სპეციალისტი, 1857 წლიდან პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, 11, 229
სპენსერი – ჰერბერტ (1820-1903), ინგლისელი ფილოსოფოსი და სოციოლოგი, 224-226, 519
სროტინსკი – პეტრე სტეფანის ძე, მასწავლებელი, 598
სტოკესი, – ინგლისელი მკურნალი, 132
სტუარტი დონალდ, – ინგლისელი გენერალი, 341
სტუარტი გალეი, – ინგლისის პალატის დეპუტატი, 456, 457
სუმაროკოვი, – გრაფი, საგანგებოდ გაგზავნილი პირი ვენაში, 302

ტ

ტარდანი, – ფრანგი მეცნიერი, 150, 151
ტაციტი, – ტაციტუსი, პუბლიუს კორნელიუს (დაახ. 55-116), ცნობილი რომაელი მწერალი, ისტორიკოსი, 245
ტიზენგაუზენი, – ტიზენჰაუზენი, სიღნაღის მაზრის უფროსი, 344
ტირარდი, – საფრანგეთის მინისტრი, 192
ტისა – კალმან ბოროსიენე (1830-1902), გამოჩენილი უნგრელი სახელმწიფო მოღვაწე, 1875-1890 წლებში უნგრეთის შინაგან საქმეთა მინისტრი. ამავე დროს იყო ლიბერალური პარტიის ხელმძღვანელი, მომხრე იყო უნგრულ თავად-აზნაურთა და ჰაბსბურგების კავშირისა, მჭიდრო ურთიერთობისა გერმანიასთან, 312, 315

ტიხიევი, – რუსეთის სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წარმომადგენელი, 435

უ

უაიტი, – ინგლისის ელჩი ოსმალეთში, 77
უელსლეი, – ინგლისელი გენერალი, 341

ფ

ფერდინანდი, – პრინცი, იგივე პრინცი კობურგისა, ფერდინანდ I კობურგი (1861-1948), ბულგარეთის მთავარი (1887-1908), მეფე (1908-1918), კობურგების დინასტიის დამაარსებელი ბულგარეთში, 463, 530, 532, 618
ფერი – ჟიულ (1832-1893), ფრანგი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, ადვოკატი, პუბლიცისტი. 1879-1883 წლებში დროდადრო განათლების მონისტრი, 1883-1885 წლებში საგარეო საქმეთა მინისტრი, 1880-1881, 1883-1885 წლებში კი პრემიერ-მინისტრის პოსტი ეჭირა, 309, 332
ფერონი, – საფრანგეთის სამხედრო მინისტრი, 331, 587
ფისსუნი, 110
ფლოკე – შარლ თომას (1828-1896), ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, აქტიურად მოღვაწეობდა ბარიკადულ ბრძოლებში 1848 წლის რევოლუციის დროს. 1885 წლიდან 1888 წლამდე იყო დეპუტატთა პალატის პრეზიდენტი. 1883 წლის 3 აპრილს ფლოკემ რადიკალური პარტიის წევრებისაგან შეადგინა კაბინეტი. ამის შემადგენლობაში შევიდნენ: გობლე - საგარეო საქმეთა მინისტრი, ფრეისინე - სამხედრო მინისტრი, ჰეიტრალი - ფინანსთა მინისტრი, ლოკრუა – სახალხო განათლების მინისტრი, თვით ფლოკემ დაიკავა შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი, 33-35
ფლურანსი, – ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე, 92, 309, 330
ფოდერე, – მკურნალი, 132
ფორაქოვი – დავით ფორაქიშვილი, ვექილი, 276

ფორსტერი – გეორგ (1754-1794), გერმანელი განმანათლებელი და რევოლუციონერი დემოკრატი, პუბლიცისტი, 181
ფრეისინე, – საფრანგეთის მთავარ-მინისტრი, 33, 309, 332
წმ. ფრუმენტი, – მან შეიტანა ქრისტიანობა აბისინიაში, 85

ქ

ქიშმიშოვი – იაკობ, 266, 267, 277-279, 281-283, 285, 286, 288-291
ქრისტე იესო, 232, 233, 238, 240, 241, 245, 461, 462, 555, 644, 645
ქუთათელაძე, – ქუთაისის "საურთიერთო კრედიტის საზოგადოების" დირექტორი, 562-564

ყ

ყიფიანი დიმიტრი – ივანეს ძე (1814-1887), საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, მწერალი, მთარგმნელი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მესვეური. მოკლეს მეფის აგენტებმა სტავროპოლში გადასახლების დროს, 595, 597, 598, 600, 603, 604

შ

შაპტალი, – ფრანგი ქიმიკოსი, 190
შალუბათოვი, 265
შეელი, – შეელე, კარლ ვილჰელმ (1742-1786), შვედი ქიმიკოსი, პროფესიით აფთიაქარი. პირველმა მიიღო ბევრი ორგანული და არაორგანული ნაერთი, მათ რიცხვში გლიცერინი, 192
შექსპირი, – უილიამ (1564-1616), დიდი ინგლისელი დრამატურგი, პოეტი, 254, 519
შოპულინი პავლე ივანეს ძე, 598

შნებელე, – საფრანგეთის პოლიციის კომისარი, 249-252, 258-260, 263, 300, 307, 311, 312, 316, 331, 335, 336, 427, 465
შტეინი ლორენც, – გერმანელი მეცნიერი, 67-70

ჩ

ჩამბერლენი, – ჩემბერლენი, ჯოზეფ (1836-1914), დიდი ბრიტანეთის კოლონიების მინისტრი 1895-1903 წლებში. 1880-1886 წლებში პერიოდულად შედიოდა მთავრობის შემადგენლობაში. კარიერის დასაწყისში ლიბერალი იყო, 90-იანი წლების დასაწყისში – კონსერვატორი: ინგლისის კოლონიური ექსპანსიის ერთ-ერთი იდეოლოგთა-განი, 73
ჩერჩილი რანდოლფ, – ლორდი, კონსერვატორთა მოთავე, 73, 74, 457, 627, 629

ც

ცანკოვი დრაგან, – ბულგარეთის ოპოზიციონერთა მოთავე, 76

ჭ

ჭავჭავაძე დიმიტრი სულხანის ძე, 411, 416, 418, 420
ჭავჭავაძე ივანე, 411, 413-418
ჭავჭავაძე სულხან გიორგის ძე 411-418, 416
ჭავჭავაძენი, 411-418

ხ

ხოვენი რომან ივანეს ძე, 600, 602
ხორვატოვიჩი, – სერბიის სახელმწიფო მოღვაწე, 262
ხუდადოვი ნ. – ნიკოლოზ ალექსის ძე (1850-1907), ექიმი და საზოგადო მოღვაწე, 221-230, 633, 634

ჯ

ჯენე, – იტალიელი გენერალი, 79, 80, 88, 89

ჰ

ჰაბსბურგების დინასტია, – რომელიც მართავდა ავსტრიას 1282 წლიდან; იყვნენ ჰერცოგები, 1453 წლიდან – ერცჰერცოგები, 1804 წლიდან ავსტრიის იმპერატორები. შეიერთეს რა 1526 წ. ჩეხეთი და უნგრეთი (სადაც იყვნენ მეფეებად) და სხვა ტერიტორიები, გახდნენ დიდი მრავალფეროვანი სახელმწიფოს მონარქები, 218
ჰეკკელი – ერნესტ (1834-1919), გერმანელი ბიოლოგი-ევოლუციონისტი. ჩარლზ დარვინის მოძღვრების მომდევარი და პროპაგანდისტი, 224, 229, 520
ჰეკსლი – (ხაკსლი) თომას ჰენრი (1825-1895), ინგლისელი ბიოლოგი. ჩარლზ დარვინის მიმდევარი და თვალსაჩინო პროპაგანდისტი მისი მოძღვრებისა. პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრ-კორესპონდენტი (1864). ლონდონის სამეფო საზოგადოების პრეზიდენტი 1883-1885 წლებში, 224-226, 228-229
ჰერბერტი, – საფრანგეთის ელჩი გერმანიაში, 215
ჰერკულესი, – ბერძნული მითოლოგიის გმირი, ვაჟი ზევსისა და ჩვეულებრივი მოკვდავი ქალისა ალკმენისა. იგი აღჭურვილი იყო არაჩვეულებრივი ძალით, 229
ჰილგერი, – მეცნიერი, 181
ჰიპოკრატი, – ჰიპოკრატე (დაახლ. 460 – დაახლ. 370 ძვ. წ.), ბერძენი ექიმი, ანტიკური მედიცინის რეფორ-მატორი, მატერიალისტი, 132
ჰოშენი, – ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე, 591-594
ჰუმბერტი, – იტალიის მეფე, 88
ჰუმბოლტი – ალექსანდრე (1769-1859), გამოჩენილი ბუნე-ბისმეტყველი, გეოგრაფი და მოგზაური, 138
ჰუსსონი – კრისტოფ ვილჰელმ (1762-1836), გერმანელი ექიმი, გერონტოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, 130
ჰუფელანდი – კრისტოფ ვილჰელმ (1762-1836), გერმანელი ექიმი, გერონტოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, 132
ჰუქსამი, – მკურნალი 132

გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი

ა

აბისინია – აფრიკის თანამედროვე სახელმწიფოს, ეთიოპიის ძველი არაოფიციალური სახელწოდება. ძველად საქართველოში აბაშეთს უწოდებდნენ, – 84, 85, 87-89
ავლაბარი, – 265, 282, 283
ავსტრალია, – 13, 14, 17
ავსტრია, – 31, 32, 39, 40, 58, 80, 83, 84, 89, 90, 92, 206, 217-220, 236, 244, 261, 262, 300-304, 311-318, 332-336, 358, 380, 381, 421-423, 463, 466, 524, 525, 534, 535, 625-628
ავსტრო-ვენგრია, – 13, 32, 77, 300-302, 305, 311, 314
ავღანისტანი, ავღანი, – 235, 236, 243, 303, 315, 316, 339, 340, 341, 402, 536
აზია, – 236, 338, 339, 341, 464, 538
ალაზანი, – 162
ალგეთი, – 355
ალჟირი, – 584
ამგარა, – 84
ამერიკა, – 14-17, 21, 24, 43-50, 109, 528, 529, 630-632
ამიერ-კავკასია, – 64, 82, 115
ანგრი-პეკვენი, – 553
არახსი, არაქსი, არეზი, მტკვრის უდიდესი შენაკადი, – 114
არხანგელის გუბერნია, არხანგელსკის გუბერნია, – 496
ასტრახანი, – 100
ასტრახანის გუბერნია, – 115
ასური – იგივე ასურეთი ძველი სახელმწიფო დღევანდელი ერაყის ტერიტორიაზე. ჩამოყალიბდა ძვ. წ. III ათასწლეულში, შუამდინარეთის ჩრდ. ნაწილში და იარსება ძვ. წ. VII ს. ბოლომდე, – 555
ატლანტის ოკეანე, ატლანტიის ოკეანე, – 631
აფრიკა, – 78, 79, 84, 86, 87, 89, 583, 584
აღმოსავლეთ ინდოეთი, – 13
ახალი გვინეა, – 554

ახალი ზელანდია, – 13

ბ

ბავარია, – 218
ბაზელი, – 189
ბათომი, ბათუმი, – 49-52
ბალკანის, ბალკანეთის ნახევარკუნძული, – 76, 102, 261, 263, 301, 332, 421, 464-466
ბატენბერგი, – 263
ბაქო, – 42-52, 109, 575
ბელგია, – 39-41, 55, 61, 103, 104, 118, 213, 215, 463
ბერლინი, – 300-302, 312, 327, 336, 405, 530-532, 609-610
ბესარაბია, ისტორიული ოლქი, მდინარეების დნეპრსა და პრუტს შორის (ახლა მოლდავეთის ტერიტორიის ძირითადი ნაწილი და ოდესის ოლქის სამხრეთ ნაწილი), – 115
ბირმანია, – 78
ბოლგარია, ბულგარეთი, – 31, 38, 60, 62, 73, 76, 77, 83, 92, 102, 201, 219, 234, 235, 242, 243, 262, 263, 302, 303, 313, 314, 336, 402, 463-467, 523, 525, 530-533, 552, 554
ბორდო, – 192
ბოსნია, – 302-319, 336
ბოსნია-ჰერცოგოვინა, – 300-336
ბრაზილია, – 23
ბრესლავი, – 443
ბრუსელი, ბრიუსელი, – 528
ბურგუნდია, ისტორიული პროვინცია საფრანგეთში, – 179, 187
ბუხარა, – 22

გ

გავრი – ჰავრი, – 306
გეოკჩაი, მდინარე აზერბაიჯანში, – 114
გერმანია, – 12, 30, 31, 36-41, 55-78, 83-97, 102-104, 198-629

გიბრალტარი, – 584
გოლანდია, ჰოლანდია, – 12
გონდარი, ქალაქი ჩრდილოეთ ეთიოპიაში. 18-20 საუკუნეებში ეთიოპიის დედაქალაქი იყო, – 84
გორი, – 557, 700
გროდნის გუბერნია, გროდნოს გუბერნია, – 82

დ

დანია, – 55, 58, 61
დასავლეთ ინდოეთი, – 12
დაღესტანი, – 115, 354
დედოფლის წყარო, – 342, 344
დონი, – 115
დუბლინი, – 132
დუშეთი, – 555

ე

ეგვიპტე, – 23, 79, 87, 117-119, 201, 302, 303, 314, 316, 339, 402-406, 552-554
ევროპა, ევროპია, – 15, 16, 21, 30, 32, 36, 45, 46, 53, 55-62, 76, 78, 87-92, 102, 116-130, 135-159, 162, 171, 182, 193-237, 242-263, 303-316, 326-396, 421-465, 523-630

ვ

ვენგრია, უნგრეთი, – 314
ვილენის გუბერნია – ვილენის ოლქი რუსეთის იმპერიაში. 1920 წ. მოსკოვის ხელშეკრულებით შევიდა ლიტვის შემადგენლობაში, მაგრამ მაშინვე პოლონეთმა დაიპყრო. 1939 წ. იგი კვლავ ლიტვას დაუბრუნდა, – 82
ვისლის მიდამოს გუბერნია, – 82
ვლადიკავკავი, ვლადიკავკასი, – 100, 354

ზ

ზეგაანი, – 142
ზემო ხოდაშენი, – 43

თ

თეთრი (კასპიის) ზღვა, – 42
თელავის მაზრა, – 435-436, 453, 454, 613
თელავი, – 453, 454
თერგი, – 100
თერგის მხარე, – 64
თიანეთის მაზრა, – 353
თრიალეთი, – 351, 354
თუქურმიშა, – 43
თუშ-ფშავ-ხევსურეთ-კახეთი, – 353, 355

ი

ივრის ხეობა, – 354, 355
იმერეთი, – 20, 22, 23, 114, 115,198
იმიერკავკასია, – 98, 99, 115
ინგლისი, – 12-16, 23, 24, 41, 57, 67, 68, 73-79, 83-85, 103, 104, 117-235, 243-249, 303-318, 328, 338-341, 380-396, 402-407, 455-466, 528-537, 552-554, 590-594, 627, 629
ინდოეთი, – 14, 16, 17, 23, 117, 338-341
იორი, – 355
ირლანდია, – 12, 243, 315, 380, 430, 455-458
ისპანია, ესპანეთი, – 12, 78, 189, 190, 379, 387, 529, 584, 627
იტალია, – 12, 77-89, 130, 190, 206, 236, 244, 335, 358, 377, 387, 535, 584, 625, 626

კ

კავკასია, – 29, 42, 43, 63, 98, 100, 254, 323, 324, 567-570, 633
კავკასიის ოლქი, – 418
კანადა, – 13
კახეთი, – 43, 114, 115, 138, 142, 153, 198, 355, 454
კელნი, – 96
კვათანი, – 459, 460, 462
კიევი, – 522

კიპრის კუნძული – კვიპროსის კუნძული, მდებარეობს ხმელთაშუა ზღვაში. მასზე მდებარეობს კვიპროსის რესპუბლიკა. ძირითადი მოსახლეობა ბერძნები და თურქები. დედაქალაქი ნიქოზია, – 405
კოვენის გუბერნია, – 82
კოროლინის კუნძულები, – 78, 379
კრიტის კუნძული – კრეტას კუნძული, ხმელთაშუა ზღვაში. შედის საბერძნეთის შენადგენლობაში, 303
კუინი, – 555
კუკია, – 272
კუმა, – 100

ლ

ლანჩხუთი, – 459, 460, 462
ლაპლატა, ლა-პლატა – 13
ლეიფციხი, ლეიფციგი – 427
ლივერპული, – 74
ლილო, – 174
ლონდონი, – 528, 553, 625
ლუქსემბურგი, – 38, 214

მ

მადრიდი, – 627
მანგლისი, – 355, 356
მაროკო, – 582, 584
მასსოვა, მასავა, ქალაქი ჩრდ. ეთიოპიაში, პორტი წითელ ზღვაზე, – 78
მექსიკა, – 12
მეცი, – 251
მეწამული ზღვა, – 78, 84, 87, 88
მინსკი, – 323
მინსკის გუბერნია, – 82
მიუნხენი, – 94
მოსკოვი, – 25, 81, 125, 253, 295, 368-370, 373, 575, 638
მტკვარი, – 355, 635

ნ

ნათლუხი, ნავთლუღი, – 272
ნეაპოლი, – 80
ნიჟეგაროდი, ნიჟეგოროდი, – 21
ნიუ-არკა, – 594
ნორვეგია, – 55, 61, 62
ნოტინჰემი, – 593, 595
ნუხი – ქალაქ შეკის სახელწოდება 1968 წლამდე, ქალაქი, ჩრდილოეთ აზერბაიჯანში, – 112

ო

ოდესა, – 369
ოზურგეთის მაზრა, – 521, 522
ოსმალეთი, ოსმალო, – 13, 76-79, 87, 117, 118, 234, 235, 302, 303, 314, 316, 319, 402-405, 525, 530-532

პ

პანიე, – 249-252
პადდინგტონი, – 457
პარიჟი, პარიზი, – 181, 188, 193, 214, 467
პერუ, – 13
პეტერბურგი, სანკ-პეტერბურგი, – 10, 32, 53, 99, 253, 316, 370, 515, 560, 617, 629
პორტუგალია, – 12
პრუსია, – 39, 40, 58, 61, 66, 69, 103, 214, 217, 252, 326, 327, 443, 444
პსკოვი, – 606, 607

რ

რიონი, – 114
რომი, – 245-247, 377, 555
რომის იმპერია, – 245
როსტოვი, – 100, 370
როჩდელი, – 409

რუმელია – საერთო სახელწოდება 14-16 საუკუნეებში თურქების მიერ დაპყრობილი ბალკანეთის ქვეყნებისა. ახლანდელი სახელწოდება თურქეთის ევროპული ნაწილისა, სტამბოლის გამოკლებით

რუმინია, რუმინეთი, – 13, 531
რუსეთი, – 10, 13, 17, 19-53, 63, 76, 77, 100, 109, 111, 115-119, 141, 161, 198, 207, 217-229, 244, 253, 256, 261, 295-340, 357-468, 496-515, 524-537, 547, 552-560, 609, 616-628, 636
რუსეთის იმპერია, – 54

ს

საატისი, – 80
საბერძნეთი, – 555
სადოვა, ქალაქი ჩეხოსლოვაკიაში, რომლის მიდამოებში 1866 წ. ავსტრია-პრუსიის ომის დროს პრუსიელებმა სასტიკად დაამარცხეს ავსტრია-საქსონელთა არმია, – 219
სამტრედია, – 50
სამხრეთ ამერიკა, – 13
სან-სტეფანო, – 302
საფრანგეთი, – 31, 33-40, 56-61, 79, 83, 84, 92, 117, 119, 129, 133, 181, 188-218, 234, 244-620
საქართველო, – 20, 125, 179, 254, 279, 353, 452, 555
სერბია, – 261, 302, 421-423
სიღნაღი, – 342, 453, 454
სიღნაღის მაზრა, – 162, 344, 435, 453
სიცილია, – 12, 636
სომხითი, ქვემო ქართლ ეძახდნენ სომხითს, – 114, 115, 138
სოფია, – 262
სპალდინგი, – 456, 457
სპარსეთი, – 13, 236, 555
სტავროპოლის გუბერნია, – 64
სტამბული, სტამბოლი, – 76, 77, 302, 305
სტოკპოროტი, – 593
სუაკიმი, – 80, 87

სუდანი, – 78, 79
სუეზის არხი, სუეცის არხი, – 79, 117-119, 338
სურამი, – 446-448

ტ

ტაკაცე, – 84
ტიგრე, ჩრდილოეთ ეთიოპიის პროვინცია, – 84
ტიგრესის სამეფო, – 84, 88
ტონკინი, – 78
ტულის გუბერნია, – 638
ტურისციხე, – 142
ტფილისი, თბილისი, – 9, 12, 15, 19, 23, 26, 30, 33, 36, 39, 42, 43, 46...174, 254, 271, 279, 345, 354, 384, 411, 500-515, 559, 565, 570, 597, 600, 634-636, 655
ტფილისის გუბერნია, – 271, 342, 412, 493, 571, 600, 656
ტფილისის მაზრა, – 354

უ

ურალი, – 253

ფ

ფაშაანი, – 142
ფოთი, – 50, 108
ფონა, სოფელი რიკოთის უღელტეხილის დასავლეთ კალთაზე, – 231

ქ

ქაბული, – 334
ქართლი, – 115, 138, 198, 436
ქართლ-კახეთი, – 20, 23, 343, 436
ქუთაისი, – 493, 539, 541, 544, 559, 562, 563, 646-648, 655

ყ

ყაირი, – 119
ყანდაარი, – ქალაქი სამხრეთ ავღანეთში. მის დაარსებას მიაწერენ ალექსანდრე მაკედონელს, – 340, 341
ყარსი, – ქალაქი ჩრდ.-აღმოსავლეთ თურქეთში, იგი ქართულ წყაროებში მოხსენებულია კარის სახელწოდებით, – 354, 355
ყიზლარი, – 98, 100, 101, 299
ყირიმი, – 115, 310
ყუბანი, – 64, 115

შ

შავი ზღვა, – 42, 114
შამახა – შუმახა, შემახია, ადგილი აზერბაიჯანში, – 114
შამქორი – ქალაქი აზერბაიჯანში, – 265
შაქრიანი – სოფელი ყვარლის რაიონში
შეფილდი – ქალაქი დიდ ბრიტანეთში, – 593
შვეიცარია, – 12, 55
შვეცია, – 55, 61, 62, 528
შიდა აზია, – 20, 22, 23, 25
შიდა ამერიკა, – 12
შირაქი, – 342, 344, 354
შლეზვიგ-გოლშტეინი – შლეზვიგ-ჰოლშტეინი, ამჟამად შედის ფრგ-ში, პირველად ორ დამოუკიდებელ ნაწილს წარმოადგენდა: შლეზვიგის საჰერცოგო და ჰოლშტეინის საგრაფო. მე-19 საუკუნის შუა ხანებში დაიწყო გერმანელი მოსახლეობის ნაციონალურ-გამანთავისუფლებელი ბრძოლა. 1864 წ. ჰოლშტეინი გადაეცა ავსტრიას, ხოლო შლეზვიგი – პრუსიას. 1866 წ. ავსტრია-პრუსიის ომის შემდეგ შლეზვიგ-ჰოლშტეინი გახდა პრუსიის პროვინცია. 1949 წლიდან იგი ფედერაციული გერმანიის შემადგენლობაშია, – 58, 61
შოა – პროვინცია ეთიოპიის ცენტრალურ ნაწილში. ადმინისტრაციული ცენტრი ადის-აბება, – 84, 85, 89
შტეტინი – ქალაქი და პორტი პოლონეთში, – 609, 610
შუა აზია, – 339, 340, 536

ჩ

ჩერნოგორია – ჩერნოგორიის სოციალისტური რესპუბლიკა, შედის იუგოსლავიის შემადგენლობაში, – 64, 302
ჩილი, – 13
ჩინეთი, – 236, 257
ჩრდილო ამერიკის შტატები, – 13, 21-23
ჩრდილოეთ ამერიკა, – 20
ჩრდილოეთ კავკასია, – 98, 99
ჩრდილოეთ პადდინგტონი, – 457

წ

წიფა, – 231

ხ

ხარკოვი, – 253
ხერსონის გუბერნია, – 496
ხმელთაშუა ზღვა, – 79, 338, 535

ჰ

ჰაბები, – 84
ჰებრიჯის კუნძულები – არქიპელაგი ატლანტიის ოკეანეში, შედის დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში, – 536
ჰერცოგოვინა – ჰერცეგოვინა, – 300-302, 315, 336
ჰოლანდია, – 214, 215, 528

პერიოდული გამოცემათა საძიებელი

“ივერია” – ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული ორგანო, გამოდიოდა თბილისში 1877-1906 წ.წ. (1877-1878 წლებში – კვირეული გაზეთი, 1879-1885 წლებში – ჟურნალი, 1886 წლიდან ყოველდღიური გაზეთი). მისი დამაარსებელი და რედაქტორი ილია ჭავჭავაძე. თანარედაქტორები – ს. მესხი (1881 წ. “დროებისა” და “ივერიის” რედაქტორების გაერთიანებისას), ი. მაჩაბელი (1882-1884), ა. სარაჯიშვილი (1901 წლის 4 დეკემბრიდან), გ. ყიფშიძე (1903-1905), შემდეგ გაზეთის დახურვამდე (1906 წ. 27 აგვისტომდე) – ფ. გოგიჩაიშვილი, 9, 10, 221, 226, 446-451, 555

“Биржевые Ведомости” – ბირჟის ფინანსთა, სავაჭრო, პოლიტიკური გაზეთი 1880 წ. 1 იანვრიდან სცემდა პროპერი პ.ს. მაკაროვის რედაქციით. 1885 წლის 13 ნოემბრიდან გამოდიოდა ყოველდღე. “Вестник Европы” – რუსული ყოველთვიური ჟურნალი, რომელიც 1866-1918 წლებში გამოდიოდა მოსკოვში. იგი იყო ბურჟუაზიულ-ლიბერალური მიმართულებისა, 51

“Кавказъ” – ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი, გამოდიოდა 1846-1918 წლებში თბილისში, რუსულ ენაზე. თავდაპირველად იგი კერძო, არაოფიციალური გამოცემა იყო, 1850 წლიდან კი გაზეთს კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარია სცემდა, 384, 470, 636-638

“Московские Ведомости” – უძველესი რუსული გაზეთი (1756-1917), 1863 წლიდან – რეაქციულია (რედ. მ. კატკოვი და პ. ლეონტიევი), 214

“ᲫᲨᲐᲙᲘ” – სომხური ლიტერატურულ-პოლიტიკური გაზეთი, გამოდიოდა 1872-1920 წლებში, თბილისში. დააარსა გ. არწრუნიმ, 622-624, 714

“Новое обозрение” – ყოველდღიური რუსული გაზეთი, გამოდიოდა თბილისში 1884 წლიდან. ბურჟუაზიულ-პროგრესული ორგანო. გაზეთის გამოცემას 1887-1891 წლებში სათავეში ედგა ნ. ნიკოლაძე, 280, 469, 470, 473, 487, 493, 521, 622, 623

“Русские Ведомости” – ყოველდღიური რუსული გაზეთი, გამოდიოდა მოსკოვში 1863-1918 წლებში, 372

“Русский Куръер”, 575

“Daily News”, ინგლისური გაზეთი, 340

“De Luvzy” ,

“**Matin**”, ფრანგული გაზეთი, 219

“Memorial Diplomatique”, ფრანგული გაზეთი, 303

“Nation”, ფრანგული გაზეთი, 249, 252

“ოდიეკი”, სერბიის გაზეთი, 262

“Англо-Руский торговый журнал”, 13

“Republique Francaise”, ფრანგული გაზეთი, 621

“Post”, გერმანული გაზეთი, 262

“Standart”, ინგლისური გაზეთი, 104

“St-James Gazette”, ინგლისური გაზეთი, 318

“Times”, ინგლისური გაზეთი; ყოველდღიური, გამოდის 1785 წლიდან ლონდონში, 249, 252, 302, 307, 316

“Jurnal Des Debats”, 117, ფრანგული გაზეთი, 304

“Jurnal Official”, ფრანგული გაზეთი, 359

თემატური საძიებელი

I პოლიტიკა

ბისმარკი სამხედრო კანონის შესახებ, 30-32
ბისმარკის დიპლომატიური სვლები, 310-312
ბისმარკის და ევროპის პოლიტიკა, 533-537
ბისმარკის ავტორიტეტის შესუსტება ევროპაში, 93-97
საფრანგეთი, 33-35, 213-216, 357-360, 577-581
საფრანგეთის საერთაშორისო მდგომარეობა, 33-35
გენერალ კაფარელის საქმე, 586-589
რუვიეს სამინისტროს გადადგომა, 608-611
საფრანგეთსა და გერმანიას შორის ურთიერთობის გამწვავება, 55-59, 306-309, 330-332
ინგლისში პოლიტიკური ამინდის შეცვლა გლადსტონის სასარგებლოდ, 455-458
ინგლისი ინდოეთის შენარჩუნების ძიებაში, 338-341
ევროპის პოლიტიკა, 91-92, 102-104, 234-241, 300-305
ევროპა დიდი ომის მოლოდინში, 60-62, 242-243, 625-627
ბერლინის კონგრესი, 300-305
ევროპისა და სხვა სახელმწიფოთა საშინაო და საგარეო პოლიტიკა, 313-317
აბისინია, 83-90
ავსტრია, 217-220
ბალკანეთის ნახევარკუნძული, 261-264
ბელგია, 39-41
დანია, 55-62
მაროკო, 582-585
ნორვეგია, 55-62
სერბია, 420-422
შვეცია, 55-62
რუსეთი, 9-19, 63-77, 98-199, 207-229, 295-340, 616-628
“ბულგარეთის საქმე”, 76-77, 523-525, 530-532, 552-554
“ბოსნიის საქმე”, 318-320

შნებელესა და გაუჩის შესახებ, 249-252, 258-260
რომის პაპის როლის გაძლიერება ევროპის პოლიტიკაში, 377-381
პარლამენტი თუ სამინისტრო, 66-72
სასოფლო თვითმმართველობა, 9-11
ქუთაისის საქალაქო არჩევნები, 646

II სამართალი

დავა ავლაბრის მამულებზე, 265-291
“ზემსკი ნაჩალნიკების” შემოღების შესახებ, კანონის წინაშე თანასწორობა, 346-349
სახასო გლეხების მიწების გაყიდვასთან დაკავშირებული საკითხები, 452-454
მამულების გამოსყიდვის ოქმის შედგენის ხარჯის დადგენა, 571-573
საერთაშორისო სასამართლოს დაარსების აუცილებლობა, 526-529

III ისტორია

აბისინიის სახელმწიფო, 83, 90
კავკასიის არქეოლოგიური და ისტორიული მუზეუმი, 555-557

IV რელიგია

აღდგომის დღესასწაული, 238, 241
ქრისტეშობა, 644, 645

V ეკონომიკა

პურეულით ვაჭრობა, 12-18, 321-325
ნავთის საქმე კავკასიაში, 42-52, 105-110, 574-576
იმიერ-კავკასიის ღვინოები, 98-101
მამულების გამიჯვნა, 209-212
საშემოსავლო გადასახადის შემოღება, 53-54
კრედიტის როლი, 292-295

ხანძრისაგან შენობების დაზღვევის აუცილებლობა, 361-376
ამერიკის შეერთებული შტატების ჭარბი სიმდიდრე, 630-632
სამრეწველო და სამეურნეო ნაწარმთა გამოფენის მოწყობა, 253-257, 565-570
ფრიტრედერობა და პროტექციონობა, 385-401
"საგლეხო ბანკი" , 469-520
სოფლის მეურნეობა, 111-112
ბამბის მოყვანა, 19-25
მევენახე გლეხების მდგომარეობა, 433-441
კალიების შემოსევა, 342-345
ღვინო, 113-115, 296-299
ა)ვენახისათვის ადგილის შერჩევა, 612-615
ბ)ღვინის კეთების აღწერა, 120-198
გ)ღვინის შენახვა, 151-158
დ)ქვევრის სიკეთე, 146-173
ე)ღვინის გამძლეობა, 142-192
ვ)ღვინის გამგებლობა, 113-116
ზ)ყალბი ღვინო, 134-298
თ)ღვინი კეთების ევროპული ხერხები, 136-139, 173-175

VI სწავლა-განათლება

თბილისის უღარიბეს მკვიდრთათვის საკვირაო სკოლის სიკეთე, 382-384
გიმნაზიის ერთი დიდი ნაკლი, 546-548
სათავადაზნაურო სკოლებში სწავლების ძირეულად შეცვლის აუცილებლობა, 538-545
პირველდაწყებით სკოლებში სწავლების გაუმჯობესებისათვის, 605-607
ჭავჭავაძიანთ საგვარეულო ერთობის დაფუძნება შვილების აღზრდის საქმეში, 411-420
ხალხის ზნე-ჩვეულებათა შესწავლის შესახებ, 640-643

VII ლიტერატურა

ყრმობა დიმიტრი ყიფიანისა, 597-604

VIII მორალი

ღირსეულის დაფასება, 202-205
ავტორიტეტის მნიშვნელობა, 221-230
ზნეობრივი სიწმინდის მნიშვნელობა ერის მომავლისათვის, 245-248
დიმიტრი ჭავჭავაძიანთ ანდერძი, 411-420
თავისუფლების რაობა, 442-445
კანონის უზენაესობა, 346-349
გაზეთ "ივერიის" მარცხი, 449-451
კანონის ცოდნის აუცილებლობა, 446-448
ქართველი კაცის საქებარი ზნე, 495-497
გაზეთ "Кавказ"-ი და ქართველი ხალხი, 636-639
საფრანგეთის ზნეობრივი ძალ-ღონე, 619-621

IX მედიცინა

ერის ჯანმრთელობის შესახებ, 558-561
მკურნალი დ. ერისთავი, 521-522

X ეკოლოგია

ბათუმის ჰავის ავკარგიანობა, 633-635

ს ა რ ჩ ე ვ ი

«პოლემიკური წერილები "ცხოვრება და კანონის" გამო»
წერილი პირველი 9
«პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში» 12
«ბამბის მოყვანის საქმე და ბაზრის საკითხი» 19
«იასე ანდრონიკაშვილი» 26
«ბისმარკის სიტყვა სამხედრო კანონის შესახებ» 30
«საფრანგეთის საერთაშორისო მდგომარეობის
განმტკიცებისათვის ზრუნვა» 33
«აჟიოტაჟი ბისმარკის სიტყვის გამო» 36
«ბელგიის საომარი მზადება 39
«ნავთის საქმე კავკასიაში» 42
«საშემოსავლო გადასახადის შემოღება» 53
«საფრანგეთსა და გერმანიას შორის ურთიერთობის გამწვავება» 55
«ევროპის წვრილ სახელმწიფოთა საომარი მზადება» 60
«ჭაჭის არყის გამოხდაზედ შეღავათიანი საბაჟო
წესების შემოღების შესახებ» 63
«პარლამენტი თუ სამინისტრო» 66
«სალუსბერის სამინისტროს გასაჭირი» 73
«ბულგარეთის საქმის მშვიდობიანად დამთავრების ცდა» 76
«იტალიის მიერ მასსოვას დაპყრობის მცდელობა» 78
«"ზემსკი ნაჩალნიკის" შემოღების აუცილებლობა» 81
«აბისინიის სახელმწიფოს რაობა» 83
«იტალიისა და აბისინიას შორის ურთიერთობის
გამწვავება მასსოვას გამო» 87
«დაძაბული პოლიტიკური ვითარება ევროპაში» 91
«ბისმარკის ავტორიტეტის შესუსტება გერმანიაში» 93
«ერმოლოვი და ჩრდილო-კავკასიის ღვინოები» 98
«ევროპის პოლიტიკის ცვალებადობა» 102
«ადგილობრივ შავ ნავთზე და უცხოეთიდან შემოტანილ
ნავთზე ბაჟის დადების საკითხის გამო» 105
«ჩვენი სოფლური მეურნეობის შესაძლებლობანი და ბიუროკრატიზმი» ... 111
«ღვინო – ჩვენი ქვეყნის სიმდიდრის წყარო» 113
«ეგვიპტე – ევროპის სახელმწიფოთა ერთმანეთში
მოურიგებლობის მიზეზი» 117
«ღვინის ქართულად დაყენება» 120
«ბისმარკის მუქარა» 199
«ღირსეულის დაფასება» 202
«გერმანიის შეშფოთების მიზეზი» 206
«მამულების გამიჯვნის უკეთ მოწყობისათვის» 209
«საფრანგეთსა და გერმანიას შორის
დაძაბულობის შენელების ცდები» 213
«ავსტრიის ორჭოფული პოლიტიკა» 217
«პოლემიკური წერილები "ცხოვრება და კანონის გამო"»
წერილი მეორე 221
«ტრაგედია რკინიგზაზე» 231

«სიწყნარე ევროპის პოლიტიკურ სარბიელზე» 234
«ევროპის საომარი მზადება» 242
«ზნეობრივი სიწმინდის მნიშვნელობა ერის მერმისისათვის» 245
«შნებელეს საქმე» 249
«გამოფენის მოწყობის უპერსპექტივობა» 253
«კვლავ შნებელესა და გაუჩის შესახებ» 258
«პოლიტიკის ფერისცვალება ბალკანეთის ნახევარკუნძულზე» 261
«ავლაბრელების საქმე» 265
«კრედიტის როლი ქვეყნის ეკონომიკაში» 292
«ღვინის წარმოების გასაუმჯობესებელი ღონისძიებანი» 296
«ევროპის პოლიტიკური მდგომარეობა» 300
«გერმნიასა და საფრანგეთს შორის ახალი ხიდის გადების ცდა» 306
«ბისმარკის დიპლომატიური სვლები» 310
«სიწყნარე ევროპის პოლიტიკაში» 313
«"ბოსნიის საქმის" ამოტივტივება» 318
«პურეულის ყიდვა სამხედრო უწყების მიერ» 321
«გერმანიის მბრძანებლობას ევროპაში აღსასრული დაუდგა» 326
«საფრანგეთის პოლიტიკა გერმანიისკენ გადაიხარა» 330
«ტოკვა ევროპის თანასწორობის სასწორისა» 333
«ინგლისი ინდოეთის შენარჩუნების გზების ძიებაშია» 338
«კალიების შემოსევა სიღნაღის მაზრაში» 342
«კანონის წინაშე თანასწორობა საზოგადოების წესიერი
აგებულების საფუძვლის ქვაკუთხედია» 346
«ჩვენი მესაქონლეობის საჭიროებანი» 350
«საფრანგეთის ორჭოფული პოლიტიკა» 357
«ხანძრისაგან შენობების დაზღვევის შემოღება» 361
«რომის პაპების ბრძოლა ძველი დიდების აღსადგენად» 377
«ტფილისის უღარიბეს მკვიდრთათვის საკვირაო
სკოლის გამართვის სიკეთე» 382
«სატამნჟო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და
პროტექციონობა» 385
«მორიგების მცდელობა ინგლისსა და ოსმალებს
შორის ეგვიპტის თაობაზედ» 402
«ინგლისში შექმნილ დამხმარე საზოგადოებათა სიკეთე» 407
«დიმიტრი სულხანის-ძე ჭავჭავაძის ანდერძი» 411
«მთავარ-მინისტრის შეცვლა სერბიაში» 421
«ბისმარკის ზღვარდაუდებელი ბატონობა» 424
«გერმანიის მიერ არასწორად გადადგმული ნაბიჯი» 429
«მევენახე გლეხთა მდგომარეობა» 433
«რა არის თავისუფლება» 442
«კანონის ცოდნა და მისი ფარად გამოყენების აუცილებლობა» 446
«გაზეთ "ივერიის" მარცხი» 449
«სახასო გლეხთა მამულების გაყიდვა» 452
«პოლიტიკური ამინდის შეცვლა გლადსტონის სასარგებლოდ» 455
«სწავლა-განათლება ერის წარმატების საწინდარია» 459
«პოლიტიკის სასწორის ორმხრივი ტოკვა» 463
«"საგლეხო ბანკის" გარშემო» 469
«მკურნალი დ. ერისთავი» 521

«ბულგარეთის ისტორიაში ახალი ხანის დადგომა» 523
«საერთაშორისო სასამართლოს შემოღების აუცილებლობა» 526
«კვლავ ბულგარეთის შესახებ» 530
«ბისმარკი და ევროპის პოლიტიკა» 533
«სათავადაზნაურო სკოლებში სწავლების ხასიათის
ძირეულად შეცვლის აუცილებლობა» 538
«გიმნაზიების ერთი დიდი ნაკლი» 546
«ისეთი დაწესებულების საჭიროება,სადაც შესაძლებელი იქნება
გართობა, გასაუბრება, დასვენება...» 549
«გერმანიის პოლიტიკა ბულგარეთთან მიმართებაში» 552
«საქმის სიყვარული წარმატების საწინდარია» 555
«ერის ჯანმრთელობა სახელმწიფოს ერთი უდიდესი საზრუნავია» 558
«შეუწყნარებელი გულგრილობა საზოგადო საქმისადმი» 562
«საძრეწველო და სამეურნეო ნაწარმთა გამოფენის
მოწყობის შესახებ» 565
«მამულების გამოსყიდვის ოქმის შედგენის ხარჯის განსაზღვრის
აუცილებლობა» 571
«სიყალბე ნავთის მრეწველობაში» 574
«საფრანგეთის მთავრობის დაუდგრომელობა» 577
«ევროპის სახელმწიფოთა დაინტერესება მაროკოთი» 582
«გენერალ კაფფარელის საქმე» 586
«ყალბი და ნამდვილი» 590
«დიმიტრი ყიფიანის გარდაცვალება» 595
«ყრმობა დიმიტრი ყიფიანისა» 597
«პირველდაწყებით სკოლებში სწავლების გაუმჯობესების საკითხი» 605
«რუვიეს სამინისტროს გადადგომა» 608
«ვენახების და ჭირნახულის წანახედობა და მისი
საწინააღმდეგო ზომები» 612
«ბისმარკის ორპირი პოლიტიკა რუსეთის მიმართ» 616
«საფრანგეთის ზნეობრივი ძალ-ღონე მამულის სიყვარულშია» 619
«გაზეთ "მშაკის" გამოხდომა» 622
«ევროპის საომარი მზადება» 624
«ევროპის პოლიტიკურ ასპარეზზე მყუდროებამ დაისადგურა» 628
«ამერიკის შეერთებული შტატების მიერ
დაგროვილი ჭარბი სიმდიდრე» 630
«ბათუმის ჰავის ავკარგიანობის შესახებ» 633
«გაზეთი "კავკაზი" და ქართველი ხალხი» 636
«ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ» 640
«ქრისტეშობის მოლოცვა» 644
«ქუთაისი საქალაქო არჩევნების მოლოდინში» 646
«საზოგადო საქმის მსახურთა სახელის დაცვისათვის» 649
«თვითმოქმედებისათვის» 653
შენიშვნები და კომენტარები 658
«ტექსტისათვის» 659
საძიებლები 719

ИЛЬЯ ГРИГОРЬЕВИЧ ЧАВЧАВАДЗЕ
ПОЛНОЕ СОБРАНИЕ СОЧЕНЕНИЙ
В 20-ти ТОМАХ

ТОМ IX

(На Грузинском языке)

ТБИЛИСИ

"ИЛИАС ФОНДИ"

2006

გამომცემლობის რედაქტორები: ივანე ამირხანაშვილი,
უჩა შერაზადაშვილი.

კორექტორი: ელენე ბედუკაძე
ტექსტი აწყო: ნათელა ბერიშვილმა
დააკაბადონა: გიორგი ბერიშვილმა

ტირაჟი 300

ფასი სახელშეკრულებო